



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანბნული მოწოდება

ქრისტიანების
პირველი
დღის სათქუნე

ქრისტიანული
მწერლობა

ანდრეი მურავიოვი



ქრისტიანობის
პირველი
ოთხი საუკუნე

გამომცემლობა „ალილო“
თბილისი 2017

თარგმნა
გონა კუჭუხიძემ

ავტორი და კოორდინატორი
თინათინ გოგონაშვილი

K 317 . 379
3



ISBN 978-9941-27-476-3

ისტორიკოსი, მწერალი, პოეტი, მოგზაური – ანდრეი მურავიოვი თანაბრად საინტერესოა, როგორც ქრისტიანობის ისტორიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტების, ისე – მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთათვის, საერთოდ, მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. მისი ნაშრომების გაცნობისას ისტორიკოსების წინაშე წყაროებზე დაყრდნობით მოძიებული მრავალი საინტერესო ფაქტი წარმოდგება, მივიწყებული ისტორია ცოცხლდება... ეს ისტორია ისეთი გულწრფელი სიყვარულით, ისეთი ხალასი ენით არის მოთხრობილი, რომ ქრისტიანობით ოდნავ მაინც დაინტერესებულ ყველა ადამიანს აუცილებლად მიიზიდავს და შინაგანი სითბოთი აავსებს. ამ ნაშრომის ავტორს ფართო მკითხველიც ჰყავს და სპეციალისტებსაც დიდ სამსახურს უწევს.

ანდრეი მურავიოვი (1806-1874) ცნობილი მათემატიკოსის, გენერალ მაიორ – ნიკოლაი მურავიოვის ოჯახში დაიბადა. დაწყებითი განათლება აღიარებულ პედაგოგ – სემიონ რაჩინთან მიიღო.

შემდეგ სამხედრო სამსახურში გაინვიეს. იმყოფებოდა ყირიმში. როგორც მიაჩნიათ, იქ გაიცნო ალექსანდრ გრიბოედოვი, რომელიც თავის მასწავლებლად აღიარა.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ყირიმში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად დაწერა და 1827 წელს წიგნად გამოსცა ლექსების კრებული – „ტავრიდა“. დრამატურგიაშიც სწორედ ყირიმში ცხოვრების დროს მოსინჯა კალამი...

1828 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა. იმავე წელს საგარეო საქმეთა კოლეგიის უწყებაში შეუდგა მუშაობას.

1829-30 წლებში იმოგზაურა წმიდა მიწებზე – კაიროში, ალექსანდრიაში, იერუსალიმში, კვიპროსზე, სმირნაში, კონსტანტინეპოლში, რის შემდეგაც დაწერა წიგნი – „მოგზაურობა წმიდა მიწებზე 1830 წელს“. წიგნმა ფართო აღიარება მოუტა-



ნა. ანდრეი მურავიოვი „საეკლესიო ბელეტრისტიკის“ დებლად გახდა ცნობილი.

1833 წელს წმიდა სინოდის ობერ-მდივანი ხდება.

1836 წელს რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის საპატიო წევრად ირჩევენ.

1842 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტის წევრია.

50-იან წლებში მოსკოვში ცხოვრობდა, ხოლო 1866 წელს კიევში დასახლდა, სადაც გარდაიცვალა 1874 წელს.

ანდრეი მურავიოვის ნაშრომებია:

„მოგზაურობა რუსეთის წმიდა მიწებზე 1830 წელს“,

„წერილები აღმოსავლეთის საყოველთაო ეკლესიის ღვთისმსახურების შესახებ“,

„რუსეთის ეკლესიის ისტორია“,

„ბრძოლა ტივერიადასთან, ანუ ჯვაროსანთა მარცხი პალესტინაში“,

„წმიდა ანდრია პირველწოდებულის დაუჯდომელი“,

„რუსეთის, ასევე ივერიისა და სლავური ეკლესიების წმიდანთა ცხოვრება“ (თორმეტ ტომად) და სხვა – არაერთი.

წინამდებარე ნაშრომში ქრისტიანობის დასაწყისი ეპოქაა ასახული. ძალიან დიდი ნიჭით არის აღწერილი, თუ როგორი ტანჯვის ატანა, მონამეობა, ზეადამიანურ გამძლეობათა გამოჩენა სჭირდებოდათ პირველ ქრისტიანებს, რათა ქრისტეს რწმენა მთელ ქვეყნიერებაზე განმტკიცებულიყო. ცოცხლად არის დახატული დიდ ისტორიულ პიროვნებათა სახეები, თეოლოგიის ღრმა ცოდნაა გამოვლენილი ნაშრომში.

ნიგნი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. სხვათაშორის, წინამდებარე ნაშრომში მკითხველი ნახავს, თუ რა დიდი სიყვარულით წერს ანდრეი მურავიოვი ქართული ეკლესიისა და ქართველთა განმანათლებლის – წმიდა ნინოს შესახებ. საერთოდ, ქართული ეკლესიის წმიდანებს გამორჩეული ადგილი უკავიათ მის შემოქმედებაში. ქართველი მკითხველისათვის, ალბათ, ამ ფაქტების გამოც განსაკუთრებით საინტერესო იქნება ანდრეი მურავიოვი.

ნიგნის თარგმნისას განეული დახმარებისათვის უღრმესი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ შემოქმედის ნმიდა ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტრის მონაზონი – დედა ნისიმე, მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი – მამა ნიკოლოზი (ღლონტი).

ვიმედოვნებთ, ქართველი მკითხველი ინტერესითა და სიყვარულით მიიღებს ჩინებული მწერლისა და მეცნიერის – ანდრეი მურავიოვის მიერ გულწრფელი სიყვარულით შექმნილ ნაშრომს.

მთარგმნელი

შინაარსი

ქრისტიანობის პირველი საუკუნე

თავი I.	მოციქულთა ქადაგება	8
თავი II.	პავლეს მიმოსლვა	24
თავი III.	პირველი დევნა	45
თავი IV.	იერუსალიმის დაცემა	53
თავი V.	იოანეს უკანასკნელი წლები. მეორე დევნა.....	63
თავი VI.	სამოციქულო ეკლესია	73

ქრისტიანობის მეორე საუკუნე

თავი VII.	მესამე დევნა.....	81
თავი VIII.	ქრისტიანთა აპოლოგიები ფილოსოფოსთა წინააღმდეგ	90
თავი IX.	მეოთხე დევნა	101

ქრისტიანობის მესამე საუკუნე

თავი X.	მეხუთე დევნა	112
თავი XI.	მეექვსე დევნა	128
თავი XII.	მეშვიდე დევნა	136
თავი XIII.	მერვე და მეცხრე დევნა	152
თავი XIV.	მეათე დევნა	167

ქრისტიანობის მეოთხე საუკუნე

თავი XV.	მშვიდობა ეკლესიისა.....	188
თავი XVI.	ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება.....	201
თავი XVII.	ეგვიპტისა და პალესტინის მეუღაბნოენი...	217

თავი XVIII.	ქრისტიანობის გავრცელება კონსტანტინეს დროს.....	229
თავი XIX.	იმპერიის გაყოფა. ათანასეს ბრძოლა არიანელთა წინააღმდეგ	245
თავი XX.	კონსტანტინის ერთმმართველობა. ათანასესა და მართლმადიდებელთა დევნა	259
თავი XXI.	მეუდაბნოეობის განვითარება.	269
თავი XXII.	კონსტანტინის უკანასკნელი წლები. არიანელობის გაძლიერება	280
თავი XXIII.	იულიანე განდგომილი	290
თავი XXIV.	იმპერატორები ვალენტინიანი და ვალენტი. ბასილი დიდის წმიდა მღვდელმთავრობა	305
თავი XXV.	ვალენტის არიანული მდევნელობა	315
თავი XXVI.	ბასილი დიდის ღვანლი.....	323
თავი XXVII.	იმპერატორი თეოდოსი დიდი. გრიგოლ ღვთისმეტყველის ღვანლი. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება	342
თავი XXVIII.	ამბროსი დიდის ღვანლი.....	361
თავი XXIX.	ბრწყინვალეა იმპერატორ თეოდოსისა. ოქროპირის ეპოქის დასაწყისი	374
თავი XXX.	ამბროსის უკანასკნელი წლები. ნეტარი ავგუსტინე. აღმოსავლეთ-დასავლეთის სხვა სახელოვანი ეპისკოპოსები და განდევნვები	390
თავი XXXI.	ოქროპირის წამებანი და მოსაგრეობა ...	405

თავი I

მოციქულთა ქადაგება

ახლა, როცა იმდენად ნათლად ვეღარ ვხედავთ იმ სასწაულებსა და წინასწარმეტყველებებს, რომელთაც ქრისტიანობის დასაწყის ხანაში ხედავდა ხალხი, იმის საუკეთესო მონობად, რომ ქრისტიანობა ჭეშმარიტებაა, თავად ის მოვლენა იქცა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე განმტკიცდა ქრისტეს ეკლესია. ამიტომ ეკლესიის ისტორია აუცილებლად უნდა გახდეს კეთილშობილური ცნობისმოყვარეობის საგანი, დამაჯერებელ ქადაგებად ეს ისტორია უნდა იქცეს, აქედან დავიწახავთ, თუ რა მოელის ღმერთის განგებით ადამიანებს, რომელნიც მისმა თანაარსმა ძე ღმერთმა გამოისყიდა, – მან, ვინც ალგვითქვა, რომ უკუნისამდე ჩვენთან იქნება.

ასეთ ფიქრებში ვარ და თხრობას იმ დღის გახსენებით ვიწყებ, როცა უფალი იესო ქრისტე ზეცად ამაღლდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მოციქულებს უბრძანა, რომ ევლოთ, ყველა ხალხი განესწავლათ და მოენათლათ სახელითა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა; და აღუთქვა, რომ ყველა, ვინც იწამებს და მოინათლება, გადარჩება, ხოლო იგი, ვინც არ იწამებს, განისჯება. ანგელოზებმა კი ამ მოვლენის მომსწრეთ აღუთქვეს, რომ ძე კაცისა მომავალში, ამჯერად უკვე მამისეული დიდებით, მეორედ მოვა.

ქრისტეს შობიდან 33-ე წელი

თერთმეტი მოციქული, დედა ღვთისა და სხვა კეთილმსახური მონაფეები, ყველა – არა უმეტეს ასოცისა, სიონის სენაკში იმ ეკლესიის ჩანასახს წარმოადგენდნენ, რომელსაც,



მაცხოვრის სიტყვით რომ ვთქვათ, ვერ შეარყევენ ბჭენი ეკლესიის
 ჯოხეთისანი. ისინი დაუცხრომელ ლოცვაში იყვნენ და ებრძოდნენ
 ნენ გარდამოსვლას აღთქმული ნუგეშისმცემელი სულიწმიდ-
 ისა, რომელიც მამისაგან გამოდის და ძისაგან წარმოიგზავნე-
 ბა, რომელსაც ყოველ ჭეშმარიტებასთან უნდა მიეყვანა ისინი,
 მაცხოვრის ყველა სიტყვა გაეხსენებინა და მოკრძალებულ
 მეთევზეებად, კაცთა მეზადურებად, ქვეყნიერების მასწავლე-
 ბლებად ექცია თავისი მონაფეები. მოციქულებმა ჯერ კიდევ
 სულიწმიდის გარდამოსვლამდე შეავსეს თავიანთი თავდაპირ-
 ველი რიცხვი – თორმეტი. ეს მაშინ მოხდა, როცა წილისყრით
 ორ რჩეულ მონაფეთაგან ერთი, – მატათა, თავიანთ შორის მი-
 იღეს. მატათამ გამყიდველ იუდა ისკარიოტელის ადგილი დაი-
 კავა. პირველმოციქულთა სახელები ეს იყო: პეტრე, რომელიც
 პირველობდა მათ შორის, თუმცა, ღირსებით მათი თანაბარი
 გახლდათ; და ძმა მისი – ანდრია პირველწოდებული, იაკობი და
 იოანე, – უფლისაგან შეყვარებული, ზებედეს ძენი, – თავიანთი
 სულიერი ძალის გამო ქუხილის ძეებად წოდებულნი; ფილიპე
 და თომა, რომელმაც მაცხოვრის აღდგომა მის ჭრილობებზე
 შესებით ირწმუნა; ბართლომე და მათე, – მეზაყეთაგან გამო-
 სული მოციქული; იაკობ ალფესი, – უმცროსი, სიმონ ზილოტი
 გალილეის კანადან, იუდა, – იაკობის ძმა, და ახალარჩეული
 მატათა. მათ შორის არავინ იყო ბრძენად შობილი, არავინ იყო
 წარჩინებული და ძლიერი, არცთუ დიდი ხნის წინათ ისინი, –
 ყველანი შიშით გარბოდნენ. ეს მაშინ მოხდა, როცა მათი ღვ-
 თაებრივი მასწავლებელი გაყიდეს. პეტრემ სამჯერ უარყო იგი,
 თომას კი არა სჯეროდა, რომ უფალი მართლა აღდგა. მიუხე-
 დავად ამისა, სწორედ მათ დაევაღათ, რომ მთელ ქვეყნიერე-
 ბაზე ექადაგათ. ისინი უნდა წარმდგარიყვნენ წარმართ თა-
 ვადთა წინაშე და ჭეშმარიტების სიტყვის გამო ბორკილებიც
 უნდა მიეღოთ, – წამებაცა და სიკვდილიც, – იმიტომ, რომ სხ-
 ვას არაფერს დაპირებია ღმერთი მაშინ, როცა აგზავნიდა რო-
 გორც კრავებს მგელთა შორის. პავლე მოციქულის სიტყვით
 რომ ვთქვათ, ამის აღსრულებას ჩვენ ახლა ვხედავთ, გონები-

სათვის გაუგებარი მიზანი ირჩია ღმერთმა, რათა შეერყობოდა მძლავრი. ღმერთმა უჩინო და დამცირებული, – თითქოსდა არცკი არსებული ირჩია, რათა მაშინ აღზევებული წარმართული უკუნეთის სამეუფო ჯვრის სიტყვით წარენყმიდა. ღვთის სიტყვა დაღუპვის გზაზე მდგომთათვის გაუგებრობაა, გადარჩენისაკენ მავალთათვის კი – ძალა ღმერთისა, – იმიტომ, რომ ღვთაებრივ გაუგებრობაში მეტი სიბრძნეა, ვიდრე – ადამიანებში და ღვთაებრივი უძლურება ადამიანებზე ძლიერია.

და აი, ორმოცდამეათე დღეს ქრისტეს აღდგომიდან და პასეჟიდან, რომელსაც ებრაელები იხსენიებენ როგორც დღეს სჯულისა, რაც ცეცხლოვან სინაიზე ქარიშხლებში მოეცა მოსეს, ცეცხლის ენების სახით ხმაურსა და ქარიშხლისებურ სუნთქვაში სულიწმიდა გარდამოვიდა ქრისტეს მონაფეებზე და, რათა ქადაგების საქმეები გაადვილებოდათ, ისინი უეცრად ყველა ენაზე ალაპარაკდნენ. იუდეველები, რომლებიც იერუსალიმის დღესასწაულზე ყველა მხარიდან შეკრებილიყვნენ, შეძრწუნდნენ. და რადგან მსმენელები სულიერი მოვლენის ახსნას ადამიანური გრძნობებით ცდილობდნენ, მოციქულები ღვინით მთვრალეები ეგონათ. მაგრამ პეტრემ, რომელიც ხალხის შუაში წარმოდგა, მოციქულთა სახელით თქვა, რომ „ეს მოფენა სულისა არის აღსრულება ძველ წინასწარმეტყველებათა, რომლებიც გადარჩენას აუწყებდნენ ყველას, ვინაც მოუხმობს ღმერთის სახელს“¹. მან დავითის სიტყვით დაამონმა, რომ ქრისტე ჭეშმარიტად აღდგა. იესო, ებრაელთაგან ჯვარცმული, თამამად გამოაცხადა უფლად და ქრისტედ, რომელიც ღმერთის მარჯვნივ ზის და რომელმაც სულიწმიდა მოჰფინა მათ. მოციქულის პირველმა ქადაგებამ სამი ათასი კაცის გული მოაღბო და ერთსულოვნად იკითხეს, თუ რა გაეკეთებინათ.

¹ ავტორი ზოგიერთ შემთხვევაში ბიბლიის ტექსტის პერიფრაზირებას, ზოგიერთში – ციტაციას ახდენს, ამ შემთხვევაში ბიბლიის ვრცელი ტექსტი (იხ. – „საქმე მოციქულთა“, 2: 14-21) მოკლე პერიფრაზებით აქვს გადმოცემული; ბიბლიური ტექსტების ციტირებისას უმეტესწილად ვსარგებლობთ გამოცემით – ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989 (შენიშვნები ყველგან მთარგმნელისა);

„მონანიეთ“, – პასუხობდა პეტრე, – და თვითეულმა თქვენგანმა ნათელ იღოს უფლის იესო ქრისტეს სახელით ცოდვათა მისატყვევებლად და მიიღებთ სულის წმიდის საბოძვარს“².

ამრიგად, უპირველესად მონანიების საიდუმლოს სრულებით ღმერთისადმი მიმართვა იყო აუცილებელი, რათა ნათლობის საიდუმლოსა და მესამე საიდუმლოს – ცხების ძალით ღმერთთან შერიგებულიყო და ზეციურ ნიჭთა მიღების ღირსი გამხდარიყო ადამიანი. მორწმუნეები კი – ყველანი ერთად ლოცულობდნენ და პურის გატეხვაზე, ე. ი. ქრისტეს ღვთაებრივ სერობაზე ყოველდღე ერთსულოვნად იკრიბებოდნენ და ხალისითა და წრფელი გულით ღებულობდნენ ამ საიდუმლო საზრდოს, ღმერთს ადიდებდნენ და განუწყვეტლივ მოციქულთაგან სწავლებასა და ურთიერთობაში, სიყვარულში იმყოფებოდნენ. ისინი ყველას უყვარდა და ღმერთი გადარჩენის გზაზე დამდგარ თავის ეკლესიას ამრავლებდა, რამეთუ შიში იყო ყოველ სულთან, იერუსალიმში ბევრ სასწაულს იქმოდნენ მოციქულები.

მაღე აღუსრულდათ ღვთის სიტყვა, – ქვმმართვების დამონებისათვის დევნის შესახებ თქმული. ერთხელ პეტრემ და იოანემ სოლომონის ტაძრის კარიბჭეში შესვლისას დაბადებიდან კოჭლი განკურნეს. „ოქრო-ვერცხლი მე არა მაქვს“, – უთხრა პირველმა წყალობის მთხოვნელს, – „ხოლო რაც მაქვს, მოგცემ, იესო ქრისტეს, ნაზორეველის სახელით, აღდექ და ნადი“³. შეძრწუნებამ მოიცვა აქ შეკრებილი ხალხი; მოციქულმა კი ეს გაოცება რწმენად უქცია, ხალხს განუცხადა, რომ „თავისი ძალით კი არ განკურნა სნეული, არამედ რწმენით ღმრთის ძისა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ უარყვეს იუდეველებმა და სასიკვდილოდ განირეს. მაგრამ აღსდგა იგი და სწორედ ის არის, რომელზედაც წინასწარმეტყველებდნენ მოსე და წინასწარმეტყველნი“⁴. პეტრეს ამ მეორე ქადაგები-

² საქმე მოციქულთა; 2: 38;

³ საქ. 3: 6;

⁴ პერიფრაზი, – საქ. 3: 12-13, – „კაცნო ირსრაელიტნო, რად გიკვირთ ეს, ან რად გვიყურებთ ისე, თითქოს ჩვენი საკუთარი ძალითა და ღვთისმოსაობით

სას ხალხიდან ხუთი ათასმა მოინანია, მაგრამ იუდეველებმა მღვდლებმა ტაძრის დაცვასთან ერთად ხელი ჩაავლეს მოციქულებს და მათგან პასუხს ითხოვდნენ: „რომელი ძალით მოახდინეთ სასწაულო?“⁵

ისევე, როგორც ხალხის წინაშე, უფლის მკვლელთა წინაც არ შეშინებულა პეტრე, დაემონებინა, რომ ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი იესოს სახელით განკურნა კოჭლი, რომ იესო არის ლოდი მშენებელთაგან უარყოფილი, რომელიც ქვაკუთხედი გახდა⁶ და ურომლისოდაც ვერავითარი ხსნა ვერ იქნება. როცა განკურნებული ნახეს, შეშფოთდნენ მღვდელმობღვრები, მოციქულთა გაბედული სიტყვის წინააღმდეგ ველარაფერს ამბობდნენ და მხოლოდ ისღა მოახერხეს, რომ იესოს სახელით ლაპარაკს მუქარით კრძალავდნენ. მაგრამ პეტრე და იოანე პასუხობდნენ: „განსაჯეთ, მართებულია თუ არა ღმერთის წინაშე, რომ უფრო მეტად თქვენ გისმინოთ, ვიდრე ღმერთს“⁷.

როცა ძმებთან დაბრუნდნენ, მოუთხრეს, რაც ტაძარში თავს გარდახდათ, ღმერთის მიმართ ყველამ ერთად აღამაღლა მლოცველი ხმა, გაიხსენეს დავითის სიტყვა, – თქმული ქვეყნის მეფეებზე, რომელნიც შეიკრიბებიან უფლისა და მისი ცხებულის წინააღმდეგ⁸ და – სიტყვა ხალხთა უიმედო ხეტიალის შესახებ. უფალს სთხოვდნენ, რომ გაბედულება მიეცა მათთვის, რათა, მიუხედავად ყველა მუქარისა, გაეგრცელებინათ მისი სიტყვა და იესოს სახელით სასწაულები მოეხდინათ. ლოცვისას უეცრად ის ადგილი, სადაც შეკრებილიყვნენ, შეირყა, სული-

აგვედგმევიწინებინოს მისთვის ფეხი? აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთმა, ჩვენი მამების ღმერთმა განადიდა ძე თვისი იესო, რომელიც თქვენ გაეცით და უარყავით პილატეს წინაშე, როცა მან გადაწყვიტა მისი გაშვება“;

⁵ პერ. საქ. 4: 7, – „რომელი ძალით ან რომელი სახელით ჰქმენით თქვენ ეს?“;

⁶ „ლოდი თავ კიდეთა“, „ლოდი თავ საკიდურთა“, „ლოდი საკიდური“, – სიმბოლო იუდეველთაგან უარყოფილი იესო ქრისტესი, რომელიც შემდეგ ახალი სარწმუნოების დამამკვიდრებელი გახდა, – იხ. ფსალ. 117: 22-23; ესაია, 28: 16; მათ. 21: 42; მარ. 12: 10; ლ. 20: 17; საქ. 4: 11;

⁷ პერ. საქ. 4: 19;

⁸ იხ. ფსალ. 2: 2;



წმიდამ აღავსო ყველა და მათ გაბედულად განაგრძეს ქადაგება ღმერთის სიტყვისა, რომელიც ყოველივეს დასაბამიდან იცხვრისეთი განუსაზღვრელი ძალით მოქმედებდა, რომ არავითარ ადამიანურ სიბრძნეს არ ძალუძდა, წინ აღდგომოდა; მართალთა რიცხვი კი განუწყვეტლად იზრდებოდა.

მორწმუნეთა მრავალრიცხოვან თემს, თითქოს, ერთი გული და ერთი სული ჰქონდა. ერთმანეთის მიმართ ყველას ისეთი სიყვარული აკავშირებდა, რომ არავინ იყო მათში ღარიბი, – იმიტომ, რომ სოფლებისა თუ სახლების ყველა მფლობელი თავის ქონებას ყიდიდა და ფულს მოციქულთა ფერხით აწყობდა, ისინი კი აძლევდნენ ყველას, ვისაც რაიმე აკლდა. ასე ამგვარად, ერთმა ლევიტელმა, იოსიამ, რომელიც შემდეგ ბარნაბად იწოდა, თავისი მიწა გაყიდა და ფული მოციქულებს მიუტანა. მისთვის ცოლ-ქმარს, – ანანიასა და საფირას უნდოდათ მიბაძვა, მაგრამ სიხარბისაგან ძლეულებმა გაყიდული ქონების ნაწილი გადაამალეს.

ღვთის სამართალმა მაშინვე დასაჯა პირველი დანაშაული, რაც ქრისტეს ეკლესიაში სიყვარულს არღვევდა. და სულიწმიდამ, სიყვარულის წარმმართველმა, დამნაშავენი პეტრეს პირით ამხილა: „ანანია, რატომ აღავსო სატანამ შენი გული, რომ გეცრუვა სულის წმიდის მიმართ დაგემალა ყანის ფასი? განა შენი არ იყო, სანამდის გქონდა, და რაც გაყიდვით აიღე, განა შენვე არ გეპყრა ხელთ? მაშ, რაღად ჩაიდე გულში ეს საქმე? ხალხს კი არ ეცრუვე, არამედ ღმერთს. ამ სიტყვის გაგონებისთანავე დაეცა და სული განუტევა და თავზარი დაეცა ყველას, ვინც ისმინა ეს“⁹. ყველა შეძრწუნდა. ის იყო დასამარხავად გაიყვანეს, რომ მისი ცოლი იგივე ტყუილით მივიდა და მოციქულის მიერ მხილების შემდეგ იგივე ეწია. სანყის ხანაში ასეთი სინმიდე სუფევდა იერუსალიმის ეკლესიაში. მოციქულთა ხელით მრავალი სასწაული ხდებოდა, ეს კი ხალხში რწმენას აძლიერებდა, პეტრეს ჩრდილიც კი კურნავდა სნეულთ¹⁰,

⁹ საქ. 5: 3-5;

¹⁰ საქ. 5: 15;



რომელნიც ქალაქის ზღურბლის გარეთ გაჰყავდათ ხოლმე. სასწაულთა მოთხოვნით მეორედ აწრიალდნენ მღვდელმთავრები და ყველა მოციქულს ჩაავლეს ხელები. მაგრამ უფლის ანგელოზმა ღამით დილეგიდან გაათავისუფლა ისინი და უბრძანა, წასულიყვნენ და ტაძარში ისევ ექადაგათ სიცოცხლის ანი და ჰოე. მაშინ კიდევ უფრო მეტად შეშფოთდნენ იუდეველი მთავრები, გამოიძახეს მოციქულები და ეკითხებოდნენ: – „რად უნდათ, რომ თავიანთი ქადაგებით მათზე ქრისტეს სისხლი მოაწიონ?“¹¹ მათ თამამად მიუგეს: – „მორჩილება ღმრთის მიმართ უფრო გემართებს, ვიდრე კაცთა მიმართ“¹².


ქრისტეს მკვლელებს გული არ უსვენებდათ, – უნდოდათ, მისი მიმდევრებიც დაეხოცათ, მაგრამ მთელ ამ კრებულში ყველაზე უფრო ჭკვიანმა, გამალაელმა, კეთილგონივრულობის საზღვრებისაკენ მოუწოდა მათ. შეახსენა ორი მაცდუნებელი – თევდა და იუდა, რომლებმაც არცთუ დიდი ხნის წინათ დიდძალი ხალხი აიყოლიეს და მალე სასჯელში ჩავარდნენ. იგი იძლეოდა რჩევას, რომ თავი დაენებებინათ მოციქულთათვის: – „იმიტომ, რომ, თუ მათი საქმე კაცთაგან არის, მაშინ ის თავისით ჩაიშლება, და თუ ღმრთისგანაა, მაშინ კაცნი მის ჩაშლას მაინც ვერ შეძლებენ და ღმრთისბრძოლებად კი შეიქმნებიან“¹³. ბრძენის რჩევა ყურად იღეს, მაგრამ მოციქულები მხოლოდ ცემისა და მუქარის შემდეგ გაუშვეს. გახარებულნი გამოვიდნენ ისინი ტაძრის კრებულიდან, უხაროდათ, რომ ქრისტეს სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი შეიქმნენ. ყოველ დღეს, ტაძრად თუ სახლში, უფალ იესო ქრისტეზე მახარებლობდნენ.

მართალთა რიცხვმა იმდენად იმრავლა, რომ უპოვართა მომსახურებისათვის ბევრი უკვე ვეღარ იცლიდა. ახალმოქ-

¹¹ პერ. საქ. 5: 28, – „და, აჰა, თქვენი მოძღვრებით ავიცხიათ იერუსალემი და გინდათ ჩვენზე მოიწიოს იმ კაცის სისხლი“;

¹² საქ. 5: 29;

¹³ პერ. საქ. 6: 38-39, – „დაეხსენით ამ ხალხს, და გაუშვით ისინი, რადგანაც, თუ მათი განზრახვა, გინდა საქმე, კაცთაგან არის, ჩაიშლება; ხოლო თუ ღმრთისაგან არის, ვერ შეძლებთ მის ჩაშლას; მაშ, გაფრთხილდით, ღმრთისმბრძოლებად არ შეირაცხოთ“;



ცეული ელინები და ყოფილი იუდეველები აფორიაქდნენ. მაშინ თორმეტმა მოციქულმა, რომელთაც მიაჩნდათ, რომ საკადრო სი საქციელი არ იქნებოდა, ღვთის სიტყვის ქადაგება სტეფანის მომსახურების გამო რომ მიეტოვებინათ ხოლმე, მთელ საზოგადოებას შესთავაზეს, რომ ამისათვის შვიდი ღვთისწიერი კაცი ამოერჩიათ, ლოცვით ხელი დაასხეს მათ, ახალ ნოდებაზე – დიაკონობაზე ჰყვეს ხელდასხმულნი. მათი სახელები იყო: სტეფანე, ფილიპე, პროხოზე, ნიკონორი, ტიმონი, პარმენი და ნიკოლოზ ანტიოქელი.

ამრიგად, ქრისტეს ეკლესიაში პირველად ჩნდება მდაბალი ესე ხარისხი მღვდლობისა, რომელიც ხელდასხმის საიდუმლოთი ცხადდება და რომელსაც თვით მოციქულები აღასრულებდნენ, შემდეგ კი ეპისკოპოსებს გადაებარათ.

დიაკონთა შორის უფროსი, — სტეფანე, რწმენით აღსავსე, ხალხში უდიდეს ნიშნებს აჩვენებდა და, რადგან იუდეველებთან ყველა კამათში იმარჯვებდა, ძველი აღთქმის ქომაგებში, რომლებიც ზილოტებად იწოდებოდნენ, შურმა გაიღვიძა. მათ იგი მკრეხელობაში დაადანაშაულეს და თავიანთ კრებულში წაიყვანეს.

იქ მას სახე ანგელოზსავით გაუბრწყინდა; სინედრიონის წინაშე აბრაამიდან და სხვა პატრიარქთაგან დაწყებული ვრცლად განმარტა ძველი აღთქმა, სჯული, რომელიც ღმრთისგან ებოძა მოსეს და რასაც მოციქულები ეთანხმებოდნენ, რათა ისრაელის ხალხი ჭეშმარიტების შეცნობამდე მიეყვანათ; მწარედ ამხილა სისასტიკით მბრძოლნი, სულიწმიდის წინაშე ყოველთვის გაჯიუტებულნი, რომელთაც, მას შემდეგ, რაც ყველა წინასწარმეტყველი დახოცეს, ბოლოს მათ მიერ ნანინასწარმეტყველები მართალიც მოკლეს. სულიწმიდით აღვსებულმა სტეფანემ ცას ახედა და შესძახა: — „ვხედავ გახსნილ ცათა და ძეს კაცისას, ღმრთის მარჯვნივ მდგომს!“¹⁴ კრებული მრისხანებით აბოპოქრდა, ყვირილით წაიყვანეს არქიდიაკონი, რათა ქალაქის გარეთ ჩაექოლათ; მან კი მუხლი მოიყარა და

¹⁴ საქ. 7: 56;

თავისი მკვლევებისთვის ლოცულობდა; სტეფანეს სისხლი, რომელიც აბელის სისხლის მსგავსად ცას შეჰლანდა, პირველი მონამებრივი სისხლი იყო, - ქრისტეს სისხლისთვის დაღვრილი.

მადლიან წვიმასავით გამანაყოფიერებელი იყო ეკლესიისათვის ეს სისხლი. დევნა, რომელიც ქრისტეს მოწმეებზე მაშინ დაიწყო, მთელ იუდეას, გალილეას და უფრო შორეულ მხარეებს მოედო, - იმიტომ, რომ, უფლის თანახმად, მათ ქვეყანათა მიღმა უნდა დაემონებინათ ქრისტე. მხოლოდ მოციქულები დარჩნენ იერუსალიმში, - ყველა ეკლესიის დედა საფუძველში, რომლიდანაც ღვთაებრივი შუქი მთელ სამყაროს ეღვრებოდა. ძველი გადმოცემის თანახმად, რომელსაც იოანე ოქროპირი იმონებს, იერუსალიმის ეკლესია განსაკუთრებულად ერთ მოციქულს ჩაებარა; - იაკობი, რომელიც თავისი ამქვეყნიური მამის, - იოსების პირველი ქორწინებიდან იყო დაბადებული და უფლის ძმად იწოდებოდა, წმიდა ქალაქში თავად მაცხოვრის მიერ იქნა ხელდასხმული. მკვდრეთით აღმდგარი უფალი თავის სხვა მონაფეთაგან განცალკევებით გამოეცხადა იაკობს. მეორე დიაკონის, - ფილიპეს მეშვეობით სიტყვამ უპირველესად სამარიაში შეაღწია, აქ იუდეველთა მსგავსი სარწმუნოება იყო გაბატონებული. სამარიელები წინასწარმეტყველებას უარყოფდნენ, მხოლოდ მოსეს ხუთნიგნეულს აღიარებდნენ, მაგრამ მესიის მოსვლას ელოდნენ და ამიტომ ადვილად ირწმუნეს იესო. მრავალი მათგანი მოინათლა. მათ შორის იყო სიმონ მოგვი, რომელსაც მისი უჩვეულო ნამოქმედარის გამო ხალხში პეტრეს სცემდნენ. თუმცა, მალე გამოჩნდა, რომ მის ნამოქმედარს არაწმიდა საფუძველი ჰქონდა.

მოციქულებმა იერუსალიმში სიხარულით შეიტყვეს, რომ მეზობელი სამარია მოინათლა, თავიანთი კრებულიდან პეტრე და იოანე გაგზავნეს იქ, რათა ახლადმოქცეულებს ხელდასხმის მეშვეობით სულიწმიდა მოფენოდათ და განმტკიცებულიყვნენ რწმენაში. ამრიგად, ნათლობის პირველი საიდუმლო სულიერი ცხების მეორე საიდუმლოს მეშვეობით ღვთაებრივ ნიჭთა



მიღებას უნდა ჩაებეჭდა მათში მტკიცედ. იმ დროს სიმონ მოგვი მოციქულებს მიადგა, ისე გაკადნიერდა, რომ ვერცხლი შესთავაზა, რათა სულიწმიდის ნიჭთ დაუფლებოდა. მაგრამ პეტრემ ასე მიუგო მკრეხელს: – „დაე, შენთან ერთად წარწყმედეს შენი ვერცხლი, რადგან აზრად მოგსვლია, რომ ვერცხლით მოიპოვო ღმრთის ნიჭი“¹⁵. და მიუხედავად იმისა, რომ სიმონმა თავისი მძიმე ცოდვა მოციქულთა წინაშე აღიარა, იმდენად ძლიერი იყო ეს შეცოდება, რომ სულიწმიდის ნიჭთა მკრეხელური ყიდვა-გაყიდვისა და საიდუმლოთა ამგვარად გაცხადების სურვილს საუკუნეთა განმავლობაში სიმონის საძრახისი სახელით იხსენიებენ¹⁶. თავად სიმონის მონამლული გულიც არ განწმედილა, რისი შედეგიც ის იყო, რომ ახალი ერესის წინამძღოლი გახდა; მას ქრისტიანობაში არეულობა შეჰქონდა იმით, რომ მოგვობის მეშვეობით თავს ღმერთად ასალებდა. აი, რა ახლოს არის ერთმანეთთან ერესი და მკრეხელობა!

სხვა საოცარი ქადაგება ფილიპეს ელოდა წინ. ანგელოზმა მას უბრძანა, რომ შუადღისას უდაბნოს გზით იერუსალიმიდან ლაზარსაკენ წასულიყო; – იმიტომ, რომ ეთიოპიის დედოფალ კანდაკის დიდებულის, – ერთი ევნუხის გულს ღვთის მადლი შეეხო, – ეთიოპია მისგან უნდა გაბრწყინებულიყო. იგი ეგრეთ წოდებულ პროზელიტებს, ანუ – ებრაული სჯულის მიმდევრებს მიეკუთვნებოდა; ისინი ძალიან მომრავლდნენ მას შემდეგ, რაც ბაბილონელთა ტყვეობამ იუდეველები ყველა ქვეყანაში მიმოაბნია. სასახლის კაცი იერუსალიმიდან თავყანისცემის შემდეგ ბრუნდებოდა, ეტლში იჯდა და ესაიას წინასწარმეტყველებაში უფლის ტანჯვათა შესახებ მისთვის გაუგებარ ადგილს კითხულობდა: „ცხვარივით მიჰყავთ იგი დასაკლავად, მდუმარეა, როგორც კრავი მპარსველის წინაშე; დამცირებაში აღსრულდა სამსჯავრო მისი, თუმცა, დამინდა ქვეყანისგან სიცოცხლე

¹⁵ პერ. – საქ. 8: 20, – „ეგ შენი ვერცხლი შენთანვე იყოს წარსაწყმედელად, ვინაიდან განიზრახე ფულით გეყიდა ღმრთის ნიჭი“;

¹⁶ სიმონია – სულიწმიდის მადლის ქრთამის საშუალებით მოპოვების სურვილი, ქრთამით საეკლესიო თანამდებობის ყიდვა, ქრთამზე გაყიდვა...



მისი, ამოხსნის ვინმე მის წარმოშობას?“¹⁷ უეცრად ეტლ“ ფილიპე იპე მიუახლოვდა და ჰკითხა: „თუ გაიგო მან ნაკითხული“?¹⁸ დიდებულმა მოკრძალებით შესთავაზა ეტლში ასვლა; და ნმიდა კაცმა განუმარტა, რომ წინასწარმეტყველურ საიდუმლოებებში იესოს ტკივილებზეა ლაპარაკი. როცა მართალი გული სარწმუნოებისაკენ არის მიდრეკილი, მაშინ ბევრი დრო და ლაპარაკი აღარ არის საჭირო. საუბრობდნენ მგზავრები, მიიწნეოდა ეტლი. გზაზე წყარო შემოხვდათ: – „აჰა, წყალიც, რა მიშლის ხელს, რომ ნათელ ვილო?“¹⁹ – „თუ გნამს მთელი გულით, შეიძლება“, უთხრა მეორემ, – „მნამს, რომ იესო ქრისტე ძეა ღმრთისა“²⁰, – მიუგო ეთიოპელმა. წრფელი აღსარება საკმარისი აღმოჩნდა. წყალთან ორივე მივიდა და აღასრულა თუ არა ფილიპემ ნათლობა, სულიწმიდა გარდამოვიდა ევნუხზე. და გადარჩენის გამო გახარებული აგრძელებდა იგი გზას, ველარ ხედავდა თავის იდუმალ მასწავლებელს, – ანგელოზის მიერ წაყვანილს.

სტეფანეს დაკარგვის გამო დამწუხრებულ ეკლესიას ძალიან დიდი ნუგეში ეკლესიის წიაღში მომხდარმა ყველაზე უფრო დიდებულმა მოქცევამ მისცა; მადლის რჩეული ჭურჭელი, ღვთისათვის მსხვერპლად გაღებული სისხლით აღვსებული, ელოდა მას სავლეს სახით. ბენიამინის შტოდან გამოსული ახალგაზრდა, ბრძენი გამალაელის გვერდით აღზრდილი, სავლე, ისევე, როგორც იუდეველი მღვდელმობღვრები, ქრისტეს ეკლესიას ეჭვის თვალთ უყურებდა, ოლონდ იმიტომ კი არა, რომ ბოროტმზრახველი იყო, არამედ – იმიტომ, რომ ჭეშმარიტება ჯერ არ იცოდა. სავლე სტეფანეს ჩამქოლველებს გვერდით ედგა, მოკვლის მომხრე იყო; ეკლესიას აწამებდა, მართალთ სახლებში უფარდებოდა, ცოლები და ქმრები გარეთ

¹⁷ პერ. საქ. 8: 32; – „ცხვარივით მიიყვანეს დასაკლავად, და როგორც კრავი უხმოდა მისი მპარსველის წინაშე, ისე თვითონაც არა ხსნის ბაგეს“;

¹⁸ პერ. საქ. 8: 30; – „მივიდა ფილიპე და, როცა გაიგონა, რომ კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველს, უთხრა: გესმის კია, რასაც კითხულობ?“

¹⁹ საქ. 8: 36;

²⁰ საქ. 9: 37;

გამოჰყავდა და დილეგში აგდებდა. მაინც ვერ და ვერ და-
კმაყოფილებულიყო. უფლის მონაფეებზე მუქარით სუნთქავდა²¹. სავლემ დამასკოს სინაგოგისათვის გადასაცემი წერილები გამოითხოვა, უნდოდა, რომ იერუსალიმში დამასკოდანაც წაეყვანა ტყვეები. მაგრამ გზაზე თვით უფალი ელოდებოდა.

დამასკოს კარიბჭესთან სავლე უცბად სინათლემ მოიცვა, იგი მიწაზე დაეცა და ღვთაებრივი ხმა მოესმა: – „საულ, საულ, რად მდევნი მე?“ – „ვინ ხარ შენ, უფალო?“²² – ათრთოლებულმა წამოიძახა. – „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი“²³, – პასუხობდა იგივე ხმა, – „გაგიძნელდება ნიხვლა დეზისა!“²⁴ აკანკალებულმა მდევნელმა შეძრწუნებით ჰკითხა: – „რის ქმნას მიბრძანებ, უფალო?“²⁵ – „ადექი და შედი ქალაქში და იქ გაიგებ, რისი ქმნაც გმართებს“²⁶, – ამცნო დევნილმა. გახევებულნი იდგნენ სავლესთან ერთად მავალნი, ხმა ესმოდათ, მაგრამ ვერავის ხედავდნენ; მათი მეთაური, რომელიც ძირს იყო დამხობილი, ფეხზე უკვე მოციქულად ქცეული წამოდგა, თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა; დაბრმავებული სავლე დამასკოში ხელით შეიყვანეს, დამასკო იყო მიზანი ქრისტიანთათვის საშიშარი მისი მგზავრობისა. იქ სამ დღეს არც უჭამია, არც უსვამს, სავლე ვერა ხედავდა.

ქრისტეს მონაფეს – ანანიას გამოცხადება ჰქონდა, – უფალმა უბრძანა, რომ აღარ შეშინებოდა სავლესგან დევნის, წასულიყო და გაენათლებინა იგი, – იმიტომ, რომ ჭურჭელი ესე იმისათვის იქნა არჩეული, რათა მეფეებთან და ხალხებთან ღმერთის სახელი ექადაგა და მის გამო ბევრი ტანჯვა ეწვნია. დაემორჩილა ანანია უფალს, ხელი დაასხა და სავლეს უეცრად თვალთაგან თითქოს ქერცლი ჩამოშორდაო. ამის შემდეგ მონათლა და სინაგოგებში ღმერთის ძის – იესოს ქადაგება დაიწყო.

²¹ ავტორი სახარებისეული სტილით წერს, – საქ. 9: 1;

²² საქ. 9: 5;

²³ საქ. 9: 5;

²⁴ საქ. 9: 5;

²⁵ საქ. 9: 6;

²⁶ საქ. 9: 6;



გაოცდნენ, როცა ქრისტეს სახელი მისი მდევნელის მატე-
ეთაგან გაიგონეს. მართალნი პირველად ეჭვით უცნობდნენ
სავლეს, განრისხებული იუდეველები კი მოკვლას უპირებდნენ.
მაგრამ სავლე ღამით გაიქცა, ქალაქის კედლიდან გაუშვეს. იგი
არაბეთში გაიქცა, შემდეგ ისევ დამასკოში დაბრუნდა, გაბე-
და და შევიდა იერუსალიმშიც, სადაც ერთ-ერთმა მოწაფემ
– ბარნაბამ მოციქულებს წარუდგინა, მისი საოცარი მოქცე-
ვის ამბავი მოყვა. თუმცა, შურისძიების სურვილით შეპყრობი-
ლ იუდეველთა განზრახვამ, მოეკლათ სავლე, აიძულა, რომ
დროებით სამშობლოში, – ტარსში წასულიყო.

ასეთი იყო საოცარი გზები ქრისტეს ეკლესიის ნაწინას-
წარმეტყველური განვრცობისა. თვითონ მოციქული საკუთარი
მოქცევის მაგალითზე იუდეველთა და წარმართთა ურწმუნოე-
ბას განუწყვეტლივ ამხილებდა, შეკრებებზე ყვებოდა და ეპის-
ტოლეებში წერდა, რომ ადრე სხვა თანამოაზრეებზე უფრო
მკაცრად იავარყოფდა ეკლესიას, – იმიტომ, რომ მამათა გარ-
დამოცემის ერთგული იყო, ამბობდა, რომ გამოცხადება ადა-
მიანთაგან კი არა, ღმრთისაგან მიიღო, ღმერთმა გამოუცხადა
თავისი ძე, რათა წარმართებისათვის ექადაგა იგი.

ამასობაში დევნა დროებით შეწყდა და მართლებმა მშ-
ვიდობით გაიხარეს, სულიწმიდისეული ნუგეში ამრავლებდა
მათ. პავლე მოციქული ყველგან მიდიოდა, – ლიდაში უძღური
ენეა განკურნა, იაფოში მართლმორწმუნე ტაბითა აღადგინა
და ასე, – სიტყვითა და სასწაულებით განამტკიცებდა. მა-
გრამ ღვთის სიტყვას აქამდე მხოლოდ იუდეველებს, სამარ-
იელებსა და ელინებს უქადაგებდნენ. ისინი, მოსეს სჯულის
თანახმად, წინადაცვეთას მისდევდნენ. წარმართები კი ღვთის
სიტყვის გარეშე იყვნენ დარჩენილნი. ასე იმიტომ ხდებოდა,
რომ ქრისტეს მოწაფეები არ არღვევდნენ იუდეველობაში
დადგენილ წესს, რომლის მიხედვით, წარმართებთან ურთიერ-
ობა არ უნდა ჰქონოდათ. უფაღმა, რომელიც მთელი კაცო-
ბრიობისათვის იტანჯა, რათა ხსნის გზაზე ყველანი დაედგინა,
წარმართთა მოწოდების პირველი მაგალითი კეთილმსახური



რომაელი ასისტავის – კორნელის მაგალითზე აჩვენა. ასისტავს ლოცვისას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: კორნელი, „შენი ლოცვები და წყალობანი ავიდნენ მოსახსენებლად ღმერთის წინაშე“²⁷, მაშ, იაფოში გაგზავნე კაცნი და მოიხმე სიმონი, პეტრედ ნოდებულის, ის გეტყვის სიტყვებს, რომლითაც გადარჩებით შენ და მთელი შენი სახლი“²⁸.

ამგვარად, თუმც, ასისტავის ქველმა საქმეებმა ხსნისთვის შეამზადა, მაგრამ იესო ქრისტეს რწმენის გარეშე მანც ვერ გადარჩებოდა იგი, – იმიტომ, რომ არ არის ცათა ქვეშე სხვა სახელი, რომლითაც შესაძლებელია გადარჩენა. ბუნებრივი სინდისი, რაც ყველა ადამიანის გულში ცოცხლობს, არის მხოლოდ მაუწყებელი მადლისა, რაშიც ასე საოცრად გვარწმუნებს კორნელის მაგალითი. მან ანგელოზის ბრძანება შეასრულა, სანდო კაცები იაფოში გაგზავნა, იქ პეტრე ზეციური ჩვენებით უკვე გაფრთხილებული იყო, რომ არ ეთაკილა წარმართები და ბინიერად არ მიეჩნია ის, რაც ღმერთმა განწმიდა. კორნელი მის ფერხთა წინაშე დაემხო და მისვლის მიზეზი აუწყა. მოციქულმა ყურადღებით მოუსმინა, გაიხსენა ხილვა, მიხვდა, რომ ყველა ის ხალხი, ვინც ღვთის მოშიშია და სიმართლეს მისდევს, არ განიგდება ღვთისგან, რომ აქვს მას ნება, ღვთის მადლში იქნას მიღებული. პეტრემ ასისტავს უთხრა, რომ ყველა ადამიანისთვის ხსნის ერთადერთი საშუალება, – ეს არის იესო ქრისტე, ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი, ცოცხალთა და მკვდართა მსაჯული, ვისზედაც მონმობდნენ წინასწარმეტყველები, რათა ყოველს, ქრისტეს მორწმუნეს, მისი სახელით მიეღო ცოდვათა შენდობა.

პეტრე იმაზეც ლაპარაკობდა, თუ უეცრად როგორ გარდამოვიდა სულიწმიდა ყველა იმათგანზე, ვისაც სიცოცხლის სიტყვა ესმოდა, რომ მორწმუნეები, წინადაცვეთილთაგანნი, გაოგნდნენ, როცა დაინახეს, რომ სულიწმიდის ნიჭი

²⁷ საქ. 10: 4;

²⁸ პერ. საქ. 10: 5-6; – „ან გაგზავნე კაცნი იოპეს, და მოუხმე სიმონს, რომელსაც ჰქვია პეტრე. ის სტუმრადაა ვინმე სიმონ დაბაღისას, ვისი სახლიც ზღვის პირას დგას. ის გეტყვის, რისი ქმნაც გმართებს“.

წარმართებმაც მიიღეს. ასე იმიტომ მოხდა, რომ წარმართებმა შეისმინეს მათი, ვინც ღმერთს სხვადასხვა ენაზე ადიდებდა. მაშინ პეტრემ თქვა: „ვინ აუკრძალავს წყლით მონათვლას ამათ, რომელთაც ჩვენსავით მიიღეს სული წმიდა?“²⁹ და უბრძანა კორნელის, უფალ იესოს სახელით მთელ სახლთან ერთად მონათლულიყო. როცა ამის შემდეგ პეტრეს იერუსალიმში უსაყვედურეს, რომ წინადაუცვეთელთ უქადაგებდა, მოციქულმა დაამშვიდა იუდეველები, მოუყვა ყველაფერი, რაც მოხდა და ისინიც დარწმუნდნენ, რომ ღმერთმა მარტო ებრაელებს კი არა, წარმართებსაც მომადლა მონანიების საშუალება და მარადიული სიცოცხლე.

მიუხედავად იმისა, რომ სტეფანეს სიკვდილის შემდეგ ქრისტეს მოწაფეებმა ფინიკიას, კვიპროსსა და ანტიოქიას ისე მიაღწიეს, რომ, იუდეველთა გარდა, ღვთის სიტყვას არავის უქადაგებდნენ, ზოგიერთმა კვიპროსელმა და კვირინელმა ანტიოქიაში თვით ელინებს დაუწყო ქრისტეს ხარება. ღვთის ხელი ისე წარმართავდა მათ, რომ უკვე ბევრმა მათგანმა ირწმუნა და მოიქცა უფლისკენ. ამის შესახებ იერუსალიმის ეკლესიამდე მიაღწია ხმამ. ანტიოქიაში ბარნაბა გაგზავნეს. მან ახალმოქცეულები განამტკიცა რწმენაში. მეტი წარმატების მისაღწევად ბარნაბამ ტარსიდან სავლეს მოუხმო და ღვთის სიტყვას ანტიოქიის ეკლესიაში მასთან ერთად მთელი წელი ქადაგებდა. მართალნი იქ იწოდნენ პირველად ქრისტიანებად. ერთ-ერთმა მოციქულთაგანმა, სახელად აგაბოსმა, რომელიც იერუსალიმიდან ჩამოვიდა, იმ შიმშილზე იწინასწარმეტყველა, რომელიც იუდეას მოელოდა; სიყვარულით სავსე ანტიოქელებმა თავიანთი ქონებიდან ძმათა სასარგებლოდ შესანირავი შეკრიბეს და ბარნაბასა და სავლეს ხელით გაუგზავნეს იგი.

მხოლოდ შიმშილით როდი იტანჯებოდნენ იუდეაში, მათ წინააღმდეგ ახალი დევნა დაიწყო, ამჯერად უკვე – არა მღვდელმოდღვართაგან, არამედ, ჰეროდე დიდის შვილიშვილის, – მეფე ჰეროდე აგრიპასაგან, რომელმაც ეკლესიის რამ-

²⁹ საქ. 11: 47;



დენიმე წევრზე აღმართა ხელი და მახვილით მოკლა ზებედესი, - ძმა იოანესი. უფლის ფერიცვალების მოწმე, ყველა მოციქულზე ადრე გახდა წამებული და წავიდა, რათა პირისპირ ემზირა იმ დიდებისთვის, რომელიც თაბორზე უკვე იხილა, - მაშინ ჯერ თითქოს ანარეკლი. კაცმა, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა იაკობი, მისი სიმტკიცით გაოცებულმა, თვითონ აღიარა ქრისტე. როცა სიკვდილით დასასჯელი ადგილისაკენ მიჰყავდათ მოციქული, პატიება სთხოვა მას, მიიღო შენდობა და მოციქულთან ერთად წარეკვეთა თავი. ჰეროდემ დაინახა, რომ იუდეველებს იაკობის სიკვდილი ესიამოვნათ და პეტრეც ჩააგდო დილეგში, რათა პასექის შემდეგ მოეკლა. მაგრამ ეკლესია ღვთის წინაშე მხურვალედ ლოცულობდა პეტრესთვის და შესმენილ იქნა საყოველთაო ლოცვა.

დასჯის წინააღმდეგ, ღამით, ორ ჯარისკაცს შორის მყოფს, ორი ჯაჭვით შებორკილს ეძინა მოციქულს. დილეგის კარებს დაცვა დარაჯობდა. უეცრად დილეგი ნათელმა მოიცვა, ღმერთის ანგელოზი შეეხო პეტრეს, გააღვიძა მძინარე. პეტრეს რკინის ბორკილები ხელთაგან დასცვივდა. ანგელოზმა უთხრა და მანაც ჩაიკვა და გამოჰყვა მას, ფიქრობდა, რომ ხილვაში იყო. როცა მეორე და მესამე დაცვასაც გასცდნენ და მათ წინაშე ქალაქში გასასვლელი რკინის კარები თავისით გადაიხსნა, ხოლო ანგელოზი კი გაქრა, მაშინდა მოვიდა პეტრე გონს და ირწმუნა, რომ გადარჩა. მისთვის მწუხარე ეკლესიას, - მოწაფე მარკოზის სახლს მიაშურა, ყველა განამტკიცა მისვლით და იერუსალიმს დროებით განეშორა.

მოციქულის დაკარგვის გამო განრისხებულმა ჰეროდემ მეორე დღეს სასჯელს გადასცა ჯარისკაცები და თვითონ კესარიასი გაემგზავრა. იქ მალე ამპარტავნების გამო აღსასრული ენია, - იმიტომ, რომ, როცა ხალხი ღმერთად აცხადებდა, მატლებმა, რომლებიც შიგნეულობას უღრნიდნენ, ჯერ კიდევ სამარემდე შეახსენეს, რომ ხრწნილებას მიეცემოდა.

პავლეს მიმოსლვა

ამ დროს წარმართთა მხარეებში სავლეს მიმოსლვა დაიწყო, – იმიტომ, რომ მას ღმერთისაგან წინადაუცვეთელთათვის, პეტრეს კი წინადაცვეთილთათვის ხარება ევალებოდა. სულიწმიდამ მოციქულებსა და ანტიოქელ მასწავლებლებს, რომლებიც ღმერთის მსახურებაში იყვნენ, უთხრა: „გამომიყავით ბარნაბა და სავლე იმ საქმისათვის, რომლისკენაც მე მოვუწოდე მათ“³⁰; და სულის მიერ შთაგონებულებმა ლოცვითა და მარხვით ხელი დაასხეს მათ, – იმიტომ, რომ ეკლესიის დასაწყისიდან ხელდასხმა იყო ერთადერთი სახე საეკლესიო თანამდებობასა და ხარისხზე კურთხევისა. ბარნაბამ და სავლემ სელევკიის მისადგომიდან კვიპროსში გაცურეს და ღვთის სიტყვას ჯერ იუდაურ სინაგოგებში ქადაგებდნენ. როცა მთელი კუნძული პაფომდე გაიარეს, ერთ მოგვს შეხვდნენ, – სახელად ბარ-იესოს, იგი პროკონსულ სერგის-პავლესთან იმყოფებოდა და ხელს უშლიდა მას, რომ ღვთის სიტყვა ესმინა. მაგრამ სავლემ, რომელიც იმ დროიდან წერილებში უკვე პავლეთიც იხსენიებოდა, ერთი შეხედვით დააბრმავა მოგვი, რათა სინათლიდან ვერავინ გადაეცდინა სიბნელისკენ. და ირწმუნა პროკონსულმა, – უფლის სწავლებით გაოცებულმა.

მოციქულებმა პისიდიის ანტიოქიაში განაგრძეს გზა. იქ სინაგოგის მოძღვრებმა შაბათ დღეს რჯულის წაკითხვის შემდეგ ისინი ხალხის სასიკეთოდ ღვთის სიტყვის სათქმელად მიიწვიეს. პავლემ ეს კარგი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და დავითისა და წინასწარმეტყველთა ენით ქრისტე იქადაგა, ნათლისმცემლის მოწმობაც შეახსენა მათ, ცოდვათა გამომსყიდველის ტკივილების, აღდგომისა და იმის შესახებ ამცნო, რომ ფსალმუნებში იგი ოდითგანვე იწოდება ღმერთის ძედ, რომელიც ხრწნადობასთან არ არის ზიარებული და რომლის მე-

³⁰ საქ. 13: 2;



ოხებითაც განმართლდება ყველა მორწმუნე. როცა სინაგოგადან გამოდიოდნენ, ელინებმა პავლეს სთხოვეს, რომ შემდეგ შაბათს მათთვისაც ექადაგა იგივე. მაგრამ იუდეველები შურის გამო შეენინაალმდეგნენ მოციქულებს, - ხედავდნენ, რომ ბერის წარმართი მოიქცა.

მაშინ პავლემ და ბარნაბამ უთხრეს მათ: - „თქვენს მიმართ უთუოდ პირველად უნდა თქმულიყო ღმერთის სიტყვა, მაგრამ რაკი უარყოფთ მას, და საუკუნო სიცოცხლის უღირსად გიჩანთ თავი, აჰა, ჩვენც წარმართებს მივმართავთ. რადგანაც ასე გვამცნო უფალმა“³¹. ქალაქიდან გაძევებულებმა, ქრისტეს მცნების შესაბამისად, დაუმორჩილებელთაგან განიყარეს ფერხთა მტვერი³² და იკონიაში წავიდნენ.

ასეთივე ხვედრი ელოდა მათ იკონიაში. იუდეველებსა და წარმართებს შორის ჩამოვარდნილმა შულმა აიძულა ისინი, რომ სიკვდილისაგან თავდასახსნელად ლუკაონიის ქალაქებში გაქცეულიყვნენ. მაგრამ პავლეს ლისტრაში ქადაგებაც ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა. როცა მოციქულმა დაბადებით ხეიბარი ნახა, - ის, ვინც ყურადღებით ისმენდა მის ქადაგებას და განკურნებისთვის საკმარისი რწმენა ჰქონდა, უბრძანა, რომ უფალ იესო ქრისტეს სახელით ამდგარიყო და ევლო. სასწაულისგან გაცოცხლდა ხალხმა პავლე და ბარნაბა მათთან ადამიანის სახით ჩამოსულ ღმერთებად მიიჩნია. იუპიტერის ქურუმს უკვე სურდა, მსხვერპლი შეენირა მათთვის. მაგრამ მოციქულებმა ტანისამოსი შემოიხიეს და ხალხს შესძახეს, რომ თვითონაც „მათი მსგავსი ადამიანები არიან და მხოლოდ იმისთვის მოვიდნენ, რომ ისინი ცრუ ღვთაებათაგან მოაქციონ ცოცხალი ღმერთისკენ, სამყაროს შემოქმედისკენ, რომელმაც გარდასულ წლებში ნება მისცა ყველა ხალხს, რომ თავიანთი გზებით ევლოთ, თუმცა, სიკეთის ქმედებით ყოველთვის მონობდა თავის თავზე“³³.

³¹ საქ. იხ. 13: 46-47 - ანდრეი მურავიოვის ტექსტში ჩამატებულია სიტყვა „ახლა“, - „ჩვენ ახლა წარმართებს მივმართავთ“;

³² იხ. მათ. 10: 14; მარ. 6: 11; ლ. 9: 5; ლ. 10: 11; საქ. 14: 51;

³³ პერ. საქ. - 14, 14-17; ანდრეი მურავიოვს მოციქულთა სიტყვები მესამე პირობი



როგორც კი ცოტა დაწყნარდა ხალხი და ისინი სიციხის სიტყვის ქადაგებას შეუდგნენ, მათ, ვინც იკონიდან წამოყვნიენ, მოციქულთა წინააღმდეგ მაშინვე ალაგზნეს ბრბო, რომელმაც ქვები დააყარა პავლეს და, რადგან მკვდარი ეგონათ, ქალაქს მოაშორეს. მაგრამ პავლე იქ შეკრებილ მონაფეთა შორის წამოდგა და წავიდა დერბში, სადაც იქადაგა სახარება. თავიანთი მტრების ავ განზრახვათა მიუხედავად, ორივე მოციქული ლისტრას გავლით გაბედულად დაბრუნდა იკონიასა და ანტიოქიაში, თან მორწმუნეებს სულიერად აძლიერებდნენ რწმენაში, ყველას ასწავლიდნენ, რომ „ბევრი ტანჯვით მიიღწევა ღმრთის სასუფეველი“³⁴. ისინი ყოველ ეკლესიაში ხელს ასხამდნენ პრესვიტერებს, ლოცვითა და მარხვით ღმერთს მიაბარეს ისინი. თვითონ კი პისიდიასა და ატალიას გავლით ანტიოქიისაკენ გაცურეს, იქ მთელი ეკლესია შეკრიბეს და ამცნეს, რაც ღმერთმა მათ თავზე მოახდინა და როგორ გაეხსნათ რწმენის კარი წარმართებს.

საკმაო ხნის შემდეგ ზოგიერთმა იუდეველმა საძმოში შიში შეიტანა იმის შეხსენებით, რომ, მოსეს სჯულის მიხედვით, წინადაცვეთის გარეშე ვერავინ გადარჩება. როცა მათ პავლესთან და ბარნაბასთან იპაექრეს, მაშინ ანტიოქიის ეკლესიამ გონივრულად გადანყვიტა, რომ მოპაექრეები იერუსალიმში, – ყველა ეკლესიის დედასთან წარეგზავნა, იქ უნდა გამოეძიათ ჭეშმარიტი სწავლება, რათა არ დარღვეულიყო მთლიანობა და ერთობა ეკლესიისა, რაც ღმერთისაგან არის ნაბრძანები. მოპაექრეები სიყვარულით მიიღეს მოციქულებმა და პრესვიტერებმა, ისინი ხელისუფლებაში სამღვდელოების იმ ორ, – სხვადასხვა ხარისხს წარმოადგენდნენ, რომლებიც დასაწყისი-

აქვს გადატანილი, – „ჩვენც თქვენივე მსგავსნი კაცნი ვართ, და გახარებთ თქვენ, რათა ამ ცრუ ღვთაებათაგან ცოცხალი ღმერთის მიმართ მოიქცეთ, რომელმაც შექმნა ცა და მიწა და ზღვა და ყველაფერი, რაც არის მათში, და რომელმაც გარდასულ თაობებში ნება უბოძა თავის ხალხს, ევლოთ თავიანთი გზით, თუმც, უმოწმებლად არასოდეს დაუტოვებია თავისი თავი“;

³⁴ პერ. საქ. 14: 22, – „ასწავლიდნენ, რომ ჩვენ გვმართებს დიდი ტანჯვის ფასად შევიდეთ ღმრთის სასუფეველში“;

დანვე განირჩეოდა ერთმანეთისგან. მოციქულები, როგორც განსაკუთრებული მადლით მოსილნი, ერთადერთი გამგებელი იყვნენ ქრისტეს ეკლესიისა, ისინი სვამდნენ თავიანთ ადგილებზე ეპისკოპოსებს და მთავარ დამცველებს, რომლებსაც ყოველი ქალაქის ცალკეული ეკლესია უნდა დაემწყემსათ. სრულყოფილ ქადაგებაში შეძლებისდაგვარად დასახმარებლად მათ პრესვიტერებს, ხოლო საეკლესიო სამსახურისთვის – დიაკვნებს უნიშნავდნენ.

მოციქულთა კრება, რომელიც სიონში გაიმართა და რომელსაც პავლე და ბარნაბაც დაესწრნენ, მშვენიერია როგორც პირველი შეკრება ქრისტეს ეკლესიისა; ეს არის ჩინებულ ნიშნულში სულიერი მართვისა; ამიტომაც იქნა იგი აღიარებული ყველა მომდევნო კრების საფუძვლად. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ პეტრე ადგა და საძმოს უთხრა, რომ „ღმერთმა, რომელმაც თავიდანვე აირჩია ის წარმართთა მოსაქცევად, არავითარი განსხვავება არ დადო მათსა და იუდეველებს შორის, ყველას ერთნაირად მომადლა სულიწმიდა, და რომ არ შეიძლება ღმერთის გამოცდა, ახალმოქცეულთ არ უნდა დაეკისროს ებრაული სჯულის მიძიმე უღელი, და საჭიროა რწმენა იმისა, რომ ისინი ქრისტეს ერთიანი მადლით გადარჩებიან“³⁵. მაშინ მთელი კრება გაჩუმდა და ყურადღებით უსმენდა პეტრესა და ბარნაბას თხრობას იმ ნიშნებისა და სასწაულების შესახებ, რომელიც ღმერთმა მათი მეშვეობით წარმართებზე მოახდინა. იაკობმა, იერუსალიმის ეპისკოპოსმა, მოიწონა პეტრეს აზრი, რომელიც ეთანხმებოდა წინასწარმეტყველთა ნათქვამს, რომლის თანახმად, ყველა ხალხის უნდა მოქცეულიყო და კრებას შესთავაზა, რომ მხოლოდ წარმართებისათვის მიენ-

³⁵ პერ. საქ. 15: 7-11, – „კაცნო, ძმანო, ხომ იცით, რომ ღმერთმა პირველი დღეებიდანვე თქვენგან გამომარჩია მე, რათა წარმართებმა ჩემს ბაგეთაგან ისმინონ სახარების სიტყვა და ირწმუნონ. გულთამხილავი ღმერთი ემონმა მათ, და მისცა მათაც სული წმიდა ჩვენსავე მსგავსად. არაფრით განასხვავა ერთმანეთისგან, რაკილა რწმენით განწმიდა მათი გულები. მაშ, ახლა რაღად გამოსცდით ღმერთს? რად გინდათ, მოწაფეებს ქედზე დაადგათ უღელი, რომლის ტვირთვა ვერც ჩვენ შევძელით და ვერც მამებმა? მაგრამ გვენამს, რომ უფლის იესო ქრისტეს მადლით ვცხონდებით ჩვენც და ისინიც“;

ერათ, რათა „მათ თავი შეიკავონ საკერპო წესებისგან, სიძვისა და სისხლისაგან, და რომ, რაც თავისთვის არ უნდათ, ნუ განუკუთებენ“³⁶. ამის შემდეგ მოციქულებმა პრესვიტეროებთან და მთელ ეკლესიასთან ერთად გადაწყვიტეს, რომ კრების სახელით რჩეული კაცები ანტიოქიაში გაეგზავნათ. პავლესა და ბარნაბას მეგზურებად იუდა და სილა აარჩიეს.

კრების გადაწყვეტილება კი თავიანთ სიგელში გადმოსცეს და იგი შემდეგი სიტყვებით დაბეჭდეს: „ენება სულიწმიდას და ჩვენ, რამეთუ სულიწმიდა განაგებს ეკლესიას სულიერ მწყემსთა მეშვეობით“³⁷, „და ყველა მომდევნო კრებაზე ასე ინებებს სულიწმიდა“.

მაშინ მოციქულებმა: იერუსალიმის ეპისკოპოსმა იაკობმა, პეტრემ და იოანემ, რომლებსაც პატივს სცემდნენ როგორც ეკლესიის ბურჯებს, – იმიტომ, რომ ღმრთის მიმართ პავლეს საღმრთო შური ჰქონდათ ნანახი, პავლეს და ბარნაბას ხელი გაუნოდეს იმაში შეთანხმების ნიშნად, რომ ისინი ელინებთან საქადაგებლად წასულიყვნენ, თვითონ კი იუდეველთა მოქცევა დაისახეს მიზნად. პავლე ისე ერთგულად იცავდა ელინთა შემწყნარებლობის შესახებ მოციქულთა კრების გადაწყვეტილებას, რომ ერთხელ ანტიოქიაში პეტრეს შეენინა აღმდეგა კიდევც, – იერუსალიმიდან მოციქულ იაკობის გამოგზავნილი რამდენიმე იუდეველის ჩამოსვლამდე პეტრე წარმართებთან ერთად ჭამდა, მაგრამ ჩამოვიდნენ თუ არა, პეტრემ წინადაუცვეთელებისაგან შორს დაიჭირა თავი და თავისი მაგალითით სხვა იუდეველები და ბარნაბაც აიყოლია. დაინახა თუ არა პავლემ, რომ სახარებისეული ჭეშმარიტების მიხედვით არ იქცევიან, პეტრეს სახალხოდ უთხრა: „თუკი ჩვენ, იუდეველები, წარმართულად ვცხოვრობთ, ანუ აღარ ვემორჩილებით ძველი აღთქმის წეს-ჩვეულებებს, მაშ, წარმართებს რაღადა ვთხოვთ, რომ იუდაურად იცხოვრონ მაშინ, როცა შევიცანით, რომ მხოლოდ

³⁶ პერ. საქ. 15: 29, – „ეკრძალენით კერპთათვის შეწირულს და სისხლს, დამხრჩვალს და სიძვას. თუ ამათგან თავს მოიზღუდავთ, კარგს იზამთ, იცოცხლებთ“;

³⁷ მოციქულთა ვრცელი წერილი იხ. – საქ. 15: 23-29;



იესო ქრისტეს რწმენით და არა მოსეს სჯულით გამართლდება ყოველი კაცი³⁸. ასე რომ, თავგამოდებას თავმდაბლობის სულთან რწმენის ძალით აზავებდნენ და ასე ამრიგად, – ერთმანეთს ეხმარებოდნენ მოციქულები. და პეტრე, რომელსაც ადრე უფლისაგან ძმათა განმტკიცება დაევალა, თვითონვე მტკიცდებოდა მათით, რათა რწმენის ერთობა სიყვარულის კავშირით ჰქონოდათ დაცული. ქრისტეს ეკლესიაში არავინ ცდილობდა, თავი აემალლებინა თავისი უცოდველობით, – იმიტომ, რომ მხოლოდ ქრისტეს ძალუძს მოგვიძღვნას ნიჭი ესე სულიწმიდისა.

ქრისტეს შობიდან 48-ე წელი

ამასობაში ღრმა სიმშვიდეში გასრულდა განსხეულებული ღმერთის ყოვლად წმიდა დედის ამქვეყნიური დღენი. უფლის საყვარელმა მონაფემ აღასრულა ამქვეყნად სიყვარულის ვალი, რომელიც მისმა ღვთაებრივმა მასწავლებელმა ჯვართან მყოფს უთხრა, და თხუთმეტი წელი, როგორც ჭეშმარიტი ძე, იერუსალიმში, – თავის სახლში იფარავდა უბატოსნესსა ქრუბიმთასა – დედას უფლისა. ანგელოზმა, რომელმაც ახარა, რომ ნაზარეთში მესიის საოცარი შობა მოხდებოდა, ახლა აუნყა, რომ მალე ელეონის მთიდან, სადაც უფლის ამაღლების შემდეგ უყვარდა ხოლმე მას მისვლა, თავის ზეციურ ძესთან უნდა წასულიყო. როცა მისი ნეტარი აღსასრული მოახლოვდა, მისგან შობილი სიტყვის საქადაგებლად მიმობნეული ყველა მონაფე შეიკრიბა, – გარდა თომასი, რომელმაც ღვთის განსაკუთრებული ნების გამო, ღვთისმშობლის მიძინებას ვერ მიუსწრო იმიტომ, რომ მისთვის ღვთისმშობლის სამარე უნდა გახსნილიყო და ეკლესია ღვთისმშობლის აღდგომაში დარწმუნებულიყო. მან, ვისშიც ბუნების კანონები დამარცხდა,

³⁸ იხ. რომაელთა, 3: 21-28; – ანდრეი მურავიოვი სახარებისეული ტექსტის პერიფრაზირებისას ამ შემთხვევაში, სახარების სხვა ტექსტებთან შედარებით, უფრო მეტ თავისუფლებას ავლენს;



ქართული
საქმიანობა

რადგან ქალწულობა და შობა გააერთიანა, ვინაც ლეზე დანინდა სიკვდილი, მიძინებისას არ მიატოვა ეს ქვეყანა. თავისი უბინო სული ძესა და ღმერთს მიაბარა და, როგორც მეოხი, ლოცვებით ყოველთვის შველის თავის მემკვიდრეობას, ქვეყნის ყველა შტოს, მოსიყვარულეთ მისი ღიღებისა, რომელიც ყოვლადძლიერმა შეუქმნა ღვთისმშობელს, როცა ჩვენი სულების ხსნიასა დედად შექმნა იგი.

მაშინ იოანემ სამუდამოდ დატოვა იერუსალიმი, რომელიც უკვე დაცემის პირას იყო მისული, ღვთის სიტყვის ქადაგებით აზიის საზღვრები გაიარა და ბოლოს ეფესოში დამკვიდრდა.

ამასობაში პავლემ ბარნაბას შესთავაზა, რომ თავიანთ მოქცეულ ქალაქებში ისევ წასულიყვნენ და ენახათ, თუ როგორი რწმენით ცხოვრობდნენ იქაურები. ოღონდ, არ უნდოდა, რომ მარკოზიც წაეყვანათ თან, - იმიტომ, რომ მან ერთხელ პამფილიაში ისინი მიატოვა. მაგრამ, რადგან ბარნაბა მარკოზის დატოვებაზე არ თანხმდებოდა, გადაწყვიტეს, რომ ცალ-ცალკე ემოგზაურათ, რაც, სხვათაშორის, ღვთის ნების გარეშე არ მომხდარა, - იმიტომ, რომ ბარნაბა კვიპროსში, - თავის სამშობლოში ეპისკოპოსად დარჩა და მის მიერ წაყვანილმა მარკოზმა, მომავალმა მახარებელმა, რომელიც შემდეგ პეტრეს გაყვა, სახარება დანერა, რაც თავად მოციქულისაგან ჰქონდა მოსმენილი. პავლეს კი, სილასთან ერთად, თანამეგზურად სხვა მახარებელი ჰყავდა, - ლუკა, რომელმაც მოციქულთა საქმეებიც მოგვითხრო. ამრიგად, მოციქულების განცალკევებამ მხოლოდ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ქრისტეს ნათელი უფრო გავრცელდა.

ლიკაონის საზღვრებმა კვლავ იხილეს უშიშარი პავლე. მოციქულმა ლისტრაში მართლმორწმუნე მონაფე - ტიმოთე შეიძინა, რომელიც შემდეგ ეფესოს ეპისკოპოსად დაადგინა. პავლე ყოველი ქალაქის გავლისას შთააგონებდა იქ მცხოვრებთ, რომ მოციქულთა სწავლება და გარდამოცემანი დაეცვათ. სულიწმიდამ ღვთის სიტყვის საქადაგებლად ასიასა და ბითონიაში არ გაუშვა იგი, - იმიტომ, რომ ამა ქვეყა-



ნათ ჯერ არ ძალუძდათ პავლეს მიღება. მაგრამ ერთმა მკვედონელმა კაცმა, რომელიც სიზმრისეულ ჩვენებაში გამოეცხა და პავლეს, დაარწმუნა იგი, რომ მკვედონიის დასახმარებლად წასვლა დაეჩქარებინა. ფილიპეში გულითადად მიღებულმა პავლემ მკითხავი მონა ქალისგან მისნობის სულის გაძევების შემდეგ მისი ბატონების მრისხანება გამოიწვია, – მათ უპატიოსნო შემოსავალი დაეკარგათ. პავლე და მისი თანამგზავრები სასამართლოზე წარადგინეს, ყოველგვარი გასამართლების გარეშე ჯოხებით სცემეს, რათა ხალხის მრისხანება დაეცხროთ და შემდეგ ძლიერი დაცვის ქვეშ დილეგში ჩააგდეს.

შულამე იქნებოდა, ღვთის ქებას რომ გალობდნენ, სხვა პატიმრები კი სიამოვნებით უსმენდნენ. უეცრად ისეთი მინისძვრა მოხდა, რომ დილეგის საფუძვლები შეირყა, კარები გადაიხსნა და ბორკილები ყველას დასცვივდა. დილეგის მცველს გაელვიდა და, როცა გახსნილი კარები დაინახა, ეგონა, გამექცა ყველა დატყვევებულიო და მახვილი ამოიღო, რომ თავი მოეკლა. მაგრამ პავლემ ხმამაღლა შესძახა: „თავს ბოროტს ნურას აუტეხ, ვინაიდან ყველანი აქა ვართ“.³⁹ ცეცხლით ხელში შევარდა მცველი დილეგში და, როცა ნახა, რაც მომხდარიყო, მოციქულის ფერხთა ქვეშ აკანკალებული დაემხო და და ჰკითხა: – „რა ვქნა, რომ ვცხონდე?“ – „გწამდეს უფალი იესო ქრისტე“ – პასუხობდნენ ისინი – „და ცხონდები შენცა და შენი სახლიც“⁴⁰. დილეგის მცველმა დაუყოვნებლივ, იმავე ღამით, ჭრილობები გაუნმიდა მოციქულებს და წმიდა ნათლობით თავის სულიერ წყლულთაგანაც განიბანა. მას დილით მთავრებმა უბრძანეს, გაეშვა ტყვეები, მაგრამ პავლე, როგორც რომის მოქალაქე, ითხოვდა, რომ სახალხოდ ცემის შემდეგ უსამართლო მოსამართლეები თვითონ მისულიყვნენ და დილეგიდან გამოეყვანათ. რომის მოქალაქეობით შეშინებულიებმა პატივისცემით გამოიყვანეს მოციქულები.

პავლეს მეზობელ თესალონიკშიც, – ახლა უკვე იუდეველ-

³⁹ საქ. 16: 28;

⁴⁰ საქ. 16: 30-31;

თა საძმოს მხრიდან მრავალი ელინის მოქცევის გამოდგინა. მას ბერეაშიც უთვალთვალეზდნენ, რის გამოც მოციქული იძულებული გახდა, მალულად ათენში წასულიყო.

სული უნუხდა კერპებით სავსე ქალაქში დიად მოციქულს. როცა წარმართ ფილოსოფოსთა წინაშე სავაჭრო ადგილას ქადაგებდა იესო ქრისტეს, არეოპაგში წაიყვანეს, მაგრამ – არა იმის გამო, რომ ჭეშმარიტებისადმი გულწრფელი სწრაფვა ჰქონდათ, არამედ – იმიტომ, რომ რაიმე ახალი გაეგოთ, რადგან ეს ათენელთა და მათი ფუჭი სოფისტების საყვარელი საქმე გახლდათ. პავლე არეოპაგის ცენტრში დადგა, ამცნო მათ უცნობი ღმერთის შესახებ, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ისინი. ასე იმიტომ მოიქცა, რომ სავაჭრო ადგილას ერთი სამსხვერპლო ნახა, რომელსაც ეწერა – „უცნობ ღმერთს.“ რათა მათ შეხედულებებთან ახლოს ყოფილიყო, მან გამოიყენა ელინ მოლექსეთა გამოთქმებიც უმაღლეს არსებაზე, რომლითაც ცხოვრობენ, მოძრაობენ და არსებობენ ყველანი. მაგრამ ათენელთა ამაოების მოყვარულმა ყურმა კაცობრიობის საყოველთაო განკითხვისა და მკვდართა აღდგომის შესახებ შემადრწუნებელ სიტყვას ვერ გაუძლო. მხოლოდ ერთმა, სახელგანთქმულმა არეოპაგელმა, – დიონისემ ირწმუნა პავლეს ჭეშმარიტი სიტყვა, რის შემდეგაც ქალაქის პირველი ეპისკოპოსი გახდა.

მოციქულმა შემდეგ ათენი დატოვა, კორინთოში ჩავიდა და ერთ რომაელ იუდეველთან – აკვილასთან დასახლდა. აკვილა, კეისარ კლავდიუსის ბრძანებით, ყველა თავის თანამემამულესთან ერთად მსოფლიო ქალაქიდან გამოძევებული იყო იმიტომ, რომ კეისარმა ებრაელთა, როგორც რომაული სარწმუნოების დამრღვევთა, დევნა დაიწყო. პავლეს უნდოდა, რომ აქ ქადაგებისას თავისი ხელობით გაეტანა თავი, მასპინძელთან ერთად კარვებს ამზადებდა და ადამიანთა გამომსყიდველის – იესო ქრისტეს შესახებ განუწყვეტლად ახარებდა სინაგოგებში მყოფებს. როცა დაინახა, რომ იუდეველები მრისხანებდნენ, მაშინ ელინებს მიმართა, ელინთა შორისაც მრავალი ღებულობდა



სარწმუნოებას და ინათლებოდა. პავლე ღამეულ ხილვაში თვით უფალმა განამტკიცა: – „ნუ გეშინია, არამედ ილაპარაკე და ნუ დადუმდები. ვინაიდან მე შენთან ვარ, და ვერავინ აღმარსებს ხელს შენზე, რადგანაც ბევრი ხალხი მყავს ამ ქალაქში“⁴¹.

ქრისტეს შობიდან 50-ე წელი

პავლემ შთაგონებული ეპისტოლეების წერა კორინთოში დაიწყო, ამ ეპისტოლეებით თავისი დაარსებული ეკლესიები ზნეობაში უნდა დაემოძღვრა და რწმენაში განემტკიცებინა. ჩამოსვლა ტიმოთესი, რომელსაც პავლემ სოლუნის ეკლესიის მოხილვა დაავალა, ზიძგის მიმცემი გახდა იმისათვის, რომ მათ მიმართ ორი ეპისტოლე დაენერა, რწმენასა და მოთმინებას ქადაგებდა და მათდამი თავის დამოკიდებულებას ნათლად გამოხატავდა. შიშობდა, რომ გაჭირვებას, როგორსაც თვითონაც განიცდიდა, არ შეერყია ისინი, სიკვდილთან დაკავშირებით ანუგეშებდა. და, რადგან გავრცელებული იყო აზრი, რომ მეორედ მოსვლა მალე მოხდებოდა, ამ მოვლენის წინარე ნიშნებზე ესაუბრებოდა და იუწყებოდა, რომ ჯერ ანტიქრისტე უნდა გამოჩენილიყო.

ასევე კორინთოდან, ამჯერად იქ უკვე მეორედ ყოფნისას, დანერა მოციქულმა თავისი ცნობილი ეპისტოლე რომაელთა მიმართ, რომელთა მონახულებასაც აპირებდა. კამათმა, რაც მორწმუნე იუდეველებსა და წარმართებს შორის ერთმანეთისათვის საკუთარი უპირატესობის დამტკიცების სურვილის გამო წარმოიშვა, შთააგონა, რომ ეპისტოლეში წარმართი მის სიბრძნესთან ერთად, ხოლო იუდეველი მისი სჯულის კანონებიანად გაემტყუნებინა და აეხსნა, რომ ერთადერთი გამართლება – ეს არის რწმენა, რომლითაც იუდეველიცა და წარმართიც თანაბარი მონყალებით გადაარჩება.

კორინთოში წელიწადნახევარი დაჰყო და შემდეგ იერუ-

⁴¹ საქ. 18: 9-10;



სალიმსა და ანტიოქიაში გაბრუნდა. მოციქულმა ისევ მოიარა აზიის ქვეყნები, ხალხს რწმენაში აძლიერებდა. ეფესოში რამდენიმე მონაფე შეიძინა, ისინი ერთ, - იოანე ნათლისმცემლისესულ ნათლისლებას იცნობდნენ, ეს კი არ იყო საკმარისი, - იმიტომ, რომ მხოლოდ მონანიების კარს ხსნიდა, მაგრამ სულნიმდით არ სრულდებოდა. მათზე ნათლობის საიდუმლო აღასრულა და მადლის ნიჭთა შესახებ აუწყა. პავლეს ხმა ეფესოში ორი წელი ისმოდა და ღმერთმა მისი ხელით მრავალი სასნაული მოახდინა. ისიც კი ხდებოდა, რომ ხელსახოცები და პირსაწმენდები, რომლებიც მის სხეულს შეხებოდა, ყოველგვარ სნეულებას არჩენდა და არანმიდა სულებს განასხამდა. ზოგიერთმა იუდეველმა შემლოცველმაც კი დაიწყო იესოს სახელის ხსენება, რათა დემონები განესხა, ამბობდა: - „გაფიცვით თქვენ იესოს, რომელსაც ქადაგებს პავლე“. მაგრამ ბოროტი სული პასუხობდა: - „იესო ვიცი, პავლესაც ვიცნობ, მაგრამ ვინ ხართ თქვენ?“⁴² ერთი ავი სულისგან შეპრობილთაგანი შემლოცველებს მივარდა, ტანისამოსი შემოაძარცვა და სცემა ისინი. იუდეველები და ელინები შიშმა შეიპყრო. მრავალი მორწმუნეთაგანი მოვიდა, თავისი ცოდვები აღიარა და 50000 ვერცხლის დრაჰმად ღირებული მჩხიბავთა წიგნები დანვა. აი, ასე ძალუმად იზრდებოდა და მოქმედებდა ღვთის სიტყვა, და განდიდდებოდა სახელი ქრისტესი.

ეფესოში პავლეს ხანგრძლივ ცხოვრებას მრავალი ეპისტოლეს შექმნა მოჰყვა. როცა კორინთოს ახალგაზრდა ეკლესიაში დაწყებულ ანგარიშსწორებათა და ცდუნებათა შესახებ შეიტყო, გული ეტკინა იმათ გამო, ვინაც ქრისტეს რწმენით მეორედ დაბადა. და მკაცრად ამხილა საძმო იმისთვის, რომ თავიანთ დამრიგებელთა სახელები მიიღეს და ამ მიზეზით შემდეგ დაცალკევდნენ, - იმის ნაცვლად, რომ ქრისტეში ერთიანნი ყოფილიყვნენ. მოციქულმა შეახსენა, თუ როგორი სიტყვაკრძალვით უქადაგებდა მათ სახარებას, რათა არ დაემცირებინა ქრისტეს ჯვარი, რადგანაც ღვთაებრივ უგონობაში ადა-

⁴² საქ. 19: 13; 19: 15;



მიანებზე მეტი სიბრძნეა. შეახსენა, რომ, ჯვარცმული ქრისტეს გარდა, არაფრის ცოდნას არ ითხოვდა მათგან. მოწმობდა, რომ მართლა აღდგა იგი. აღდგომას ჯერაც ცოცხალი მოწმეები ჰყავდა. წინასწარმეტყველებდა, რომ ამ მცირეოდენთა და უცნობ ადამიანთა რწმენა მომავალში მსოფლიოს დაიპყრობდა. დამრიგებლურად საუბრობდა ქორწინების საიდუმლოსა და სხვა უდიდეს საიდუმლოზე, – ქრისტეს სისხლსა და ხორცზე, რომლის შესახებ მართალთა გასაფრთხილებლად თავად ღვთისაგან ჰქონდა ნაუწყები; აუწყებდა, თუ როგორი შიშით უნდა მიემართათ ამ საიდუმლოსთვის. როცა შეიტყო, რომ ერთი კორინთელი ახალგაზრდა საშინელ მრუშობაში ჩავარდა, სამოციქულო უფლებით ბრძანა, რომ მართლებთან ურთიერთობისაგან განეყენებინათ იგი, რათა დასჯით მისი სული განკითხვის დღეს გადაერჩინა. ერთი წლის შემდეგ, ახლა უკვე კორინთოში მყოფმა, როცა იმ კეთილქმედების შესახებ შეიტყო, რაც თავისი მოწაფის – ტიტეს მეშვეობით გაგზავნილმა ეპისტოლემ მოახდინა, დამნაშავეს უფლება აღუდგინა და კიდევ ერთხელ მისწერა კორინთელებს, რათა მის მიერ მიცემულ სწავლებაში განმტკიცებულიყვნენ. ზოგიერთები შერყევას უპირებდნენ ამ სწავლებას. თავის სახარებისეულ ნაშრომებზე, დევნასა და დიად გამოცხადებებზე მოუთხრო მათ.

მოციქულმა ეფესოდან მიმართა გალატელებს, რომელნიც მის მიერ იყვნენ განათლებულნი, მაგრამ რომელნიც სხვა მასწავლებელთაგან ძველი აღთქმისეული წინადაცვეთის წესით გატაცებულიყვნენ. მათი მერყეობის გამო დაღონებული თავის სწავლებას საკუთარი ცხოვრების მაგალითით ამართლებდა, ძველ აღთქმას ახლით განმარტავდა, ასწავლიდა, რომ ქრისტიანული თავისუფლების ძალით ეკეთებინათ კეთილი საქმეები და საქვეყნოდ გამოაცხადდა, რომ, თუ თვითონ, ანდა ციური ანგელოზი, სხვაგვარ სწავლებას დაუწყებდა, მაშინ, დაე, იყოს ანათემა.

იმ დროს, როცა პავლე მაკედონიის, ანაქიისა და თვით რომის მონახულებას აპირებდა, ეფესოში მის წინააღმდეგ ძლ-



იერი გამოსვლა დაიწყო იმ მოქანდაკეთა მხრიდან, რომელნიც დიანას ტაძარს აპირკეთებდნენ და ეშინოდათ, რომ წარმართობის დაცემის შემდეგ სამუშაოს დაკარგავდნენ. შეუდრეკელ მოციქულს უნდოდა, გასულიყო ხალხთან, მაგრამ მონაფეებმა შეაჩერეს, ქალაქის მთავრებმა მღელვარება ძლივს შეაჩერეს. მართალია, წინააღმდეგობას არ უწევდა, მაგრამ მოციქულს მაკედონიის შემოვლა მაინც მოუწია, შემოიარა საბერძნეთი და ისევ აზიაში დაბრუნდა, რათა ყველგან განუწყეტლად ექადაგა სახარება.

ეფესოში თავის ნაცვლად ტიმოთე დატოვა. მას ეფესოს ეპისკოპოსობა უბოძა და მაკედონიიდან სწერდა, რომ, როგორც ამ ხარისხის მქონეს, დაერიგებინა და დაეცვა იმ ცრუ სწავლებისაგან, რომელიც ქრისტეს კი არა, არამედ, სამყაროს ბუნებრივ სანყისებს ეფუძნებოდა. იმ ცრუ მასწავლებლებზე წინასწარმეტყველებდა, ვინც ბოლო ჟამს უნდა გამოჩენილიყვნენ; აცნობა წესებზე, რომლებიც ეკლესიის მსახურებად ნაკურთხ პიროვნებებს: ეპისკოპოსებს, პრესვიტერებს, დიაკონებს და ეგრეთ წოდებულ დიაკონისებს უნდა დაეცვათ. დიაკონისებს კეთილმსახურ ქვრივთაგან ავადმყოფების მოსავლელად ირჩევდნენ ხოლმე. როცა რომში მიმავალმა კრეტას ეპისკოპოსად დააყენა, პავლემ ასეთივე წესები დაუდგინა თავის სხვა მონაფეს, - ტიტეს, რომელიც მასთან ერთად მოგზაურობდა.

ტროადაში, სადაც კვირის პირველ დღეს პურის გატეხვაზე იყვნენ მონაფეები შეკრებილები და ნაშუალამევს პავლე მათთან საუბარს განაგრძობდა, ერთი ყმანვილი, რომელიც სარკმელთან იჯდა და ღრმად ჩაეძინა, მესამე სართულიდან გადავარდა და მოკვდა. მაგრამ მოციქულმა იგი მკვდრეთით აღადგინა, უსისხლო მსხვერპლი აღასრულა და შემდეგ მილეთისაკენ გაცურა. იქ, ზღვის ნაპირას, ეფესოს ახლოს, მოციქულმა იქაური ეკლესიის პრესვიტერები მოიხმო, რათა გამოეშვიდობებოდა, - იმიტომ, რომ სულით იგრძნო, მეტად ველარ ნახავდა მათ. გაახსენა, თუ როგორი ცრემლებითა და მორ-



ჩილებით ემსახურებოდა ღმერთს მათთან ერთად სამი წელი დღითა და ღამით, თუ როგორ მოუწოდებდა იუდეველთაგან დევნის დროს მონანიებისა და იესო ქრისტეს რწმენისაკენ ისე, რომ შრომის საფასურად არაფერი მოუთხოვია, რადგან საკუთარი ხელით შოულობდა სარჩო-საბადებელს. ყველას წინაშე მოწმობდა, რომ დანაშაული არ მიუძღვის მათ სისხლში, - იმიტომ, რომ ყველას აუნყა ღვთის ნება. უბრძანა, რომ დაეფარათ სამწყსო, - იმიტომ, რომ სულიწმიდამ ისინი მცველებად დაადგინა, რადგან მალე მათ შორის ცრუ მასწავლებლები უნდა გამოჩენილიყვნენ.

ეს თქვა, მუხლი მოიყარა და ყველასთან ერთად ილოცა. მაშინ გლოვამ მოიცვა ხალხი, კისერზე ეხვეოდნენ პავლეს, სამუდამო განშორების წინ ცხარე ცრემლებით ამბორს-უყოფდნენ. ძლივს მოახერხა, თავი დაეღწია მათგან, რათა მგზავრობა განეგრძო. ტვიროსისა და პტოლემიდას ეკლესიები მოინახულა და კესარიას მიაღწია. იქ ერთმა წინასწარმეტყველმა, - აგაბოსმა მას ბორკილები უწინასწარმეტყველა, იერუსალიმში ელოდა ეს ბორკილები. მაგრამ საფრთხეს არ შეეძლო, შეეჩერებინა დაუდეგარი მოციქული. - „რად ტირით და მიურვებთ გულს?“ - უთხრა მონაფეებს, - „რადგან მე მზად ვარ, არამცთუ შეკრულ ვიქმნე, არამედ მოვკვდე კიდევაც იერუსალემს“⁴³ უფლის იესოს სახელისათვის“⁴⁴. იერუსალიმში აღარ დახვდნენ მოციქულები: პეტრე და იოანე, რომლებსაც ადრე ეთათბირებოდა ხოლმე. მსგავსად სხვებისა, რომლებიც თორმეტში შედიოდნენ, - ღვთის სიტყვის საქადაგებლად ისინიც მიმოდდიოდნენ ქვეყნიერებაზე. დარჩენილიყო მხოლოდ ერთი, - ეპისკოპოსი იაკობი, - ძმა უფლისა. დიდმა მოღვაწემ მას მთელი ეკლესიის წინაშე მოუყვა წარმართთა მოქცევის შესახებ. ძმათა შორის რამდენიმემ, - მან, ვინც იცოდა, რომ იუდეველები ამბობდნენ, პავლე მოსეს სჯულს ანადგურებსო და მძვინვარებდნენ მის გამო, პავლეს ურჩია, რომ საყოველ-

⁴³ ანდრეი მურავიოვთან არ გვხვდება სიტყვა - „იერუსალემს“;

⁴⁴ საქ. 21: 13;



თაო მშვიდობის შესანარჩუნებლად სოლომონის ტაძარში განმედის რიტუალი აღესრულებინა. პავლე დათანხმდა, იუდეველთათვის იუდეველი ყოფილიყო, ხოლო ელინისათვის – ელინი. მაგრამ, როცა ტაძარში შესული ნახეს, იუდეველებმა ხალხი გააღიზიანეს, მოციქულს ხელი ჩაავლეს და წაიყვანეს, რათა სტიფანეს მსგავსად ისიც მოეკლათ. მაგრამ ამბოხების შესახებ ხმამ რომაული ლეგიონის მეთაურის ყურამდე დროზე მიაღწია, მან ანტონის ციხე-კოშკში წაიყვანა და გადაარჩინა პავლე. პავლემ ციხის კიბეებზე სიტყვა ითხოვა, ხალხისაკენ მიბრუნდა და ხმამაღლა განაცხადა, თუ ვინ არის წარმოშობით, როგორ მგზნებარებდა ადრე მოსეს სჯულის გამო, როგორ სდევნიდა ღმერთის ეკლესიას და მდევნელიდან როგორ იქცა მოციქულად მას შემდეგ, რაც იესო ქრისტე გამოეცხადა, როგორ უბრძანა მან წარმართთათვის საქადაგებლად წასვლა. ხალხის დრტივინვამ პავლეს ხმა ჩაახშო და მეომრები იძულებულნი გახდნენ, ციხე-სიმაგრეში შეეყვანათ იგი. იქ გამოაცხადა, რომ რომის მოქალაქე იყო და ცემასა და ბორკილებს ასე გადაურჩა.

რომაელმა უფროსმა მეორე დღეს სინედრიონის წინაშე წარადგინა მოციქული, რათა გაეგო, რაში ადანაშაულებდნენ იუდეველები. პავლემ, რომელმაც იცოდა, რომ კრებულის ერთი ნაწილი ფარისეველთა სექტას, მეორე კი – სადუკეველებისას მიეკუთვნებოდა, როგორც კი თავი იმ ფარისეველად გამოაცხადა, რომელსაც იმის გამო ასამართლებდნენ, რომ იმედი ჰქონდა აღდგომისა, რაც სადუკეველებს არა სწამდათ, სინედრიონის წევრებს შორის ისეთი მძვინვარე დრტივინვა ატყდა, რომ რომაელი იძულებული გახდა, გააფთრებულთა ხელთაგან ისევ ეხსნა პავლე. იმავე ღამით თავად უფალი გამოეცხადა თავის მტკიცე აღმსარებელს და უთხრა: – „მხნედ იყავ, პავლე, ვინაიდან როგორც მიმონმე იერუსალემში, ისევე უნდა მიმონმო რომშიც“⁴⁵.

ამასობაში ორმოცმა იუდეველმა კაცმა ფიცი დადო, რომ

⁴⁵ საქ. 23: 11;



არაფერს შეჟამდა და დაღევდა მანამ, სანამ არ მოკლავდა პავლეს, ამისათვის მღვდელმთავართაგან გამოითხოვეს ბართვა. მაგრამ მათი შეთქმულების შესახებ ცნობილი გახდა და შეშინებულმა ტრიბუნმა ბრძანა, მოციქული ღამით საიდუმლოდ კესარიასი რომის ოლქის გამგებელ ფელიქსთან წაეყვანათ. უხუცესებთან ერთად სასწრაფოდ იქით გაემართა მღვდელმთავარი ანანია, რათა პავლე პროკონსულის წინაშე ხალხში შფოთვის ჩამოგდებაში დაედანაშაულებინა. მაგრამ მოციქულმა თავი მომხდარის შესახებ გულწრფელი თხრობით იმართლა, ხოლო ფელიქსმა დაინახა, რომ სარწმუნოების გამო ჰქონდათ დავა და არავითარი სამოქალაქო დანაშაული არ იყო ჩადენილი. იმედი ჰქონდა, - პავლესაგან რაიმე ქრთამს მივიღებო, ამიტომ სასამართლო დროებით გადადო და მოციქული პატიმრობაში დატოვა. მისი სწავლების მოსმენა თვითონ ფელიქსს ეწადა, მაგრამ შემდეგ განზე გადგა, რადგან სიმართლეზე, თავშეკავებასა და მომავალ სამსჯავროზე სიტყვამ შეაშინა, - იმიტომ, რომ ანგარებისა და ხორციელი ტკობის მოყვარული იყო.

ორი წლის შემდეგ ფელიქსის ადგილი პორკიოს ფესტოსმა დაიკავა და ისევ ამოქმედდნენ მღვდელმთავრები, - ახალი მმართველისაგან მოციქულის იერუსალიმში გასამართლებას ითხოვდნენ, უნდოდათ, რომ იქ მოეკლათ პავლე. მაგრამ ფესტოსმა სასამართლო კესარიასი დანიშნა. როცა იუდეველთა საამებლად მათ მხარეს გადაიხარა ფესტოსი, მაშინ პავლემ კესარიის სასამართლოს მიმართა და ამგვარად გააუქმებინა ყველა განაჩენი. ასე ამგვარად, - ადამიანური სიბრძნით იგერიებდა იგი ადამიანთაგან თავდასხმებს, ამავედროულად, სულიწმიდით მტკიცდებოდა იქ, სადაც საქმე ხორცსა და სისხლს კი არა, არამედ, - ღმერთის სიტყვის ქადაგებას ეხებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰეროდეს შთამომავალი აგრიპა ცოლთან, - ბერნიკესთან ერთად კესარიასი ჩავიდა, რათა ფესტოსი მოეკითხათ; ფესტოსმა მათ შესთავაზა, რომ თავიანთი საერთო ტყვისათვის მოესმინათ, - მისთვის, ვინც სარწმუნოების



ზოგიერთ საკითხზე შუღლის ჩამოგდებაში იყო ბრალდებული და პავლე მეფისა და დედოფლის, ჰეგემონისა და მთელი მათი კრებულის წინაშე წარდგა.

ეს პირველად მოწმობდა ღმერთის სიტყვა ასეთი ბრწყინვალეობით ქვეყნის მპყრობელთა წინაშე. ძლიერი იყო იგი – მოციქულის ბაგეთაგან მომდინარე. პავლემ აგრიპას იუდაიზმში თავის თავდაპირველ ცხოვრებაზე, ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ თავისი მღევნელობისა და საოცარი მოქცევის ამბები მოუთხრო. უფალი იესოს თვით ის სიტყვები გაუმეორა, რომელიც ხსნის ჟამს ციდან ჩამოესმა. უთხრა, თუ როგორ ებრძანა მას წარმართებთან წასვლა, რათა თვალი აეხილა მათთვის, რომ სიბნელიდან სინათლისაკენ, სატანის მპყრობელობიდან ღმერთისაკენ მოქცეულიყვნენ და იესო ქრისტეს რწმენით ცოდვათაგან გათავისუფლებულიყვნენ და წმიდანთა საზღაური მიეღოთ. თავისი სიტყვების ჭეშმარიტებას პავლე წინასწარმეტყველებათა საშუალებით ამტკიცებდა, მეფე აგრიპას წინასწარმეტყველნი სწამდა. როგორც იუდეველმა, ამცნო მას, რომ წამებული და მკვდრეთით აღმდგარი იესო სწორედ ის იყო, ვისზედაც მოსე და წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებდნენ.

ეს სიტყვები მართლა მიეკარა მეფის გულს და პავლეს უთხრა: „ცოტაც და ქრისტიანად მაქცევ“⁴⁶. ტლანქმა წარმართმა ფესტოსმა კი პავლესი ვერა გაიგო რა, – იმიტომ, რომ ძველი აღთქმისეული წინასწარმეტყველებებით ახლის მისაღებად ჯერ არ იყო მზად. მას მოციქული შეშლილადაც კი მოეჩვენა. პავლე თვით აგრიპას მაგალითზე დარწმუნდა, რომ ის, რაც იესო ქრისტეზე თქვა, საყოველთაოდ იყო ცნობილი, – რომელიღაც უცნობ და დაფარულ ადგილას ხომ არ მომხდარა სახარებისეული მოვლენები! და მოციქულმა მსმენელებს უსურვა, რომ რწმენის ძალით ყველანი მას მიმსგავსებოდნენ ყველაფერში, გარდა ბორკილებისა, რომლებსაც ქრისტეს გამო ატარებდა. ორივემ, – მეფემაც და გამგებელმაც უდანაშაულოდ მიიჩნიეს მოციქული და მხოლოდ იმიტომ გაგზავნეს რომში, რომ კეის-

⁴⁶ საქ. 26: 28;

რისაგან გასამართლება თვითონ ჰქონდა მოთხოვნილი.

მღვდელმთავარმა ანანიამ და იუდეველთა კრებულმა, ზღაპრულს გადარჩენის გამო გაბოროტებულებმა, პროკონსულ ფესტოსის სიკვდილით ისარგებლეს და შურისძიების გრძნობა სხვა მოციქულისაკენ მიმართეს, მათი შური და შიში უფლის ძმამ გამოიწვია. იაკობი ოცდაათი წლის განმავლობაში იერუსალიმის ეპისკოპოსი იყო. იმდენად შეაყვარა ქალაქის მცხოვრებთ თავი, რომ მის სახელს მართლის წოდება მიემატა. საყოველთაო პატივისცემის გამო იმისი დაუბრკოლებელი უფლებაც ჰქონდა, რომ იუდაურ სინმდემი შესულიყო. სიყრმიდან ღვთის მსახურებისათვის თავმიძღვნილი ღმერთს განუწყვეტილვ თავისი ხალხის ხსნას ევედრებოდა. მუდმივი და ხანგრძლივი ლოცვისაგან მუხლები გაუუხეშდა, მარხვათაგან სხეული დაექანცა. იმის გამო, რომ იუდაური ტაძარი ძველი აღთქმისა იყო, იაკობი სიონის წიაღში ცოცხალი ღმერთის ცოცხალ ეკლესიას კრებდა, ქრისტეს სერობაზე ლოცვების წესი მან დადგინა, ეს კი შემდგომი ლიტურგიების საფუძველი და ნიმუში გახდა. პირველსაწყის ლიტურგიას იაკობის სახელი შემორჩა. ებრაელ მორწმუნეთა უბედურებებმა, ზნეობისათვის ცრუსწავლებათაგან მიყენებულმა ზიანმა მისი მოსიყვარულე გული იმისათვის განანყო, რომ მთელი საძმოსათვის გაეგზავნა საყოველთაო ეპისტოლე, რომელშიც ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და ვნებათმოყვარების დამლუპველ შედეგებზე, ცდუნებათა გადალახვაზე, მორჩილებაზე, გლახაკთმოყვარებაზე, სამსჯავროს მოლოდინსა და ორ საიდუმლოზე – აღსარებასა და უძღურთა გასამხნეველად ზეთის ცხებაზე იყო ლაპარაკი⁴⁷.

იუდეველი მღვდლები შიშობდნენ, ხალხის გულზე იაკობის ძლიერ ზეგავლენას ეს ხალხი ჯვარცმული მესიისაკენ უფრო არ მიეზიდა და მართალის წინააღმდეგ ყველა აღდგა. ჯერ იმას იმედოვნებდნენ, რომ ლიქნით ათქმევინებდნენ ქრისტეზე უარს, ქება-დიდებათ ადიდეს მორჩილი და სთხოვეს, პასექის დღეს ეკლესიის ქონგურზე გასულიყო და იქიდან ყველა მორწმუნის

⁴⁷ იხ. იაკ. 5: 15;



გასაგონად გამოეცხადებინა, რომ ამო საქმეში, სწავლებაში ფუჭად დაკარგა დრო. რადგან იაკობი მზად იყო, ქვემარტებისათვის მომკვდარიყო, ყალბად დაეთანხმა მათ და ტაძრის ტერასაზე გავიდა. იქ მნიგნობრებმა ხმამალა შესძახეს: - „მართალო კაცო, რომელსაც შეგფერის, რომ ყველანიირად გერნმუნოთ, ცდუნდება ხალხი, რადგან ჯვარცმულ ქრისტეს მისდევს, სიმართლე გვასწავლე: - რა არის ჯვარზე იესო ქრისტეს მსხვერპლი?“ - და მქუხარე ხმით მიუგო მათ იაკობმა: - „რად მეკითხებით ძე კაცისაზე? იგი ღმრთის ძალის მარჯვნივ ზის და გზას მოიკვლევს ციურ ღრუბლებზე.“ გამძვინვარებულმა მნიგნობრებმა ხალხის შეძახილებში - „ოსანა ძესა დავითისასა“ ტაძრის წვერიდან გადააგდეს მართალი. მომაკვდავმა მაინც მოასწრო, რომ, სტეფანეს მსგავსად, თავისი მკვლელებისათვის ელოცა მაშინ, როცა ქვებს უშენდნენ. ასე დაასრულა იაკობმა ეპისკოპოსობა. მის ადგილას მორნმუნებმა უფლის სხვა ნათესავი, დავითის შთამომავალთაგანი, - სიმონი აირჩიეს.

ქრისტეს შობიდან 64-ე წელი

წმიდა პავლე ამასობაში, სხვა ტყვეებთან ერთად, ასისტავს მიანდეს და მოციქულმა იტალიისკენ გაცურა. კრეტას ნაპირებთან ცუდი ამინდი დაუხვდათ. მოციქული ურჩევდა, ის ზამთარი ნავსადგურში გაეტარებინათ, რათა საფრთხე აეცილებინათ. მაგრამ ასისტავს მესაჭის იმედი ჰქონდა და გზა განაგრძო. ატყდა ბობოქარი ქარიშხალი, რომელიც მრავალ დღეს გაგრძელდა. აღარც მზე ჩანდა, აღარც ვარსკვლავები და აღარც გადარჩენის არავითარი იმედი აღარა ჰქონდათ. უკუნეთსა და უცნობ მხარეებში მიაქანებდნენ ტალღები გემს, რომელსაც ყოველ წუთს დალუპვა ელოდა. მაშინ ანგელოზი გამოეცხადა პავლეს და უთხრა: - „ნუ გეშინია, პავლე! შენ გმართებს წარუდგე კეისარს, და აჰა, ღმერთმა მოგმადლა ყვე-



ლა შენი თანამგზავრი“⁴⁸. პავლემ გაამხნევა სასონარკვეთილები და მეთოთხმეტე დღეს მინაც დაინახეს. პავლემ გამთენიისას მგზავრები დაარწმუნა, რომ საქმლით მოძლიერებულიყვნენ, პირობა მისცა, რომ ყველანი გადარჩებოდნენ და ასისთავმაც შეაჩერა ჯარისკაცები, რომლებიც ტყვეების დახოცვას აპირებდნენ. გემი მალტის უდაბურ ნაპირთან დაიმსხვრა. ყველა გადარჩა და კუნძულის მცხოვრებლებმა ისინი სტუმართმოყვარულად მიიღეს. პავლეს მიერ აღსრულებულმა ორმა სასწაულმა წარმართებს მის სინმიდეზე მიანიშნა: – მან ცეცხლში გადაფერთხა ხელზე შეცოცებული გველი ისე, რომ არაფერი დაშავებია და მამა განუკურნა კუნძულის უფროსს, – პუბლიუსს, რომელმაც შინ მიიღო იგი. იქიდან სიცილიის გავლით რომისაკენ გაცურა, იქ მის შესახვედრად ქალაქის კედელსგარეთ მართალნი გამოსულიყვნენ, ღვთის სიტყვას წარმართული სამყაროს დედაქალაქისათვის უკვე მიეღნია. კეისრის სასამართლოს მოლოდინში მოციქულს განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრების ნება დართეს, – ცხოვრობდა მხოლოდ ერთ, – მის მცველ ჯარისკაცთან ერთად. იმ დროს ნერონი იყო კეისარი. მაშინ პავლე იუდეველთა თავმოყრას შეუდგა, ამცნობდა, რომ მათი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი რაიმე დანაშაულის გამო კი არა, არამედ, იმისათვის ედო ბორკილები, რომ ისრაელის მომავლისა სჯეროდა. იმონმებდა მათ წინასწარმეტყველთ, რომელნიც იესო ქრისტეზე წინასწარმეტყველებდნენ. მრავალი რწმუნდებოდა, სხვებს არ სჯეროდათ. ესაიას სიტყვებით ამხილა ისინი, ეს სიტყვები გულთა გაუხეშებას ეხება. მთელი ორი წელი ცხოვრობდა რომში, ყველა მიმსვლელს ღებულობდა, ღმერთის სასუფეველს უქადაგებდა და უფალი იესო ქრისტეს შესახებ მთელი სიმამაცით, – დაუბრკოლებლად ასწავლიდა მათ.

აქ სრულდება მოციქულთა საქმეების წიგნი. ამის შემდეგ ეკლესიის ისტორია ცნობებით უკვე სხვა, მართალია, – არა ასე წმიდა, მაგრამ, მაინც, – წრფელი გადმოცემებითა

⁴⁸ საქ. 27: 24;



და წერილებით სარგებლობს. ლუკა მახარებელი თხრობით სას საინტერესო ადგილზე შეჩერდა, - ამბობს წმიდა იოანე ოქროპირი, რომლის აზრით, ლუკას მიაჩნდა, რომ აღარ იყო საჭირო თხრობის განგრძობა იმის შესახებ, რაც ყველასათვის ისედაც გასაგები იყო, - იმიტომ, რომ მის მიერ დასაწყისში მოთხრობილი მთლიანადა ჰგავს იმას, რაც შემდგომში მოხდა: იგივე ბორკილები, იგივე დევნილობები, იგივე ტკივილები, დაბეზლებანი, მკვლელობები; ნაჩვენებია ნიმუში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევა მსგავსია. ვინც ზეცის ერთი ნაწილი ნახა, სადაც არ უნდა წავიდეს, თვალწინ ყველა მხრიდან იგივე სანახაობა წარმოუდგება. ამ ცაზე, რომელსაც საქმე მოციქულთა ჰქვია, ნათლად წარმოჩნდა, თუ როგორი იყო დასაწყისი და ხვედრი ქრისტეს ეკლესიისა, ნათლად გამოჩნდა ქადაგების ძალა, რაც ამქვეყნიურ მეფეთა ხორციელ ძალას სჯაბნიდა, გამოჩნდა ღმერთის სიტყვა, რომელიც იმგვარი ნიშნებით მტკიცდებოდა, როგორიც აქამდე ჯერ არ ეხილა სამყაროს, ეს სასწაულები სრულყოფილია და ისეთი წრფელი გულით არის აღწერილი, რომ მათ შესახებ მონათხრობს ეჭვის ჩრდილიც კი არ ადგება. ღვთის ბოძებული სასწაულია, რომ მოგვეცა შვიდი საეკლესიო საიდუმლო და სამი მთავარი იერარქიული ხარისხი: ეპისკოპოსისა, პრესვიტერისა და დიაკონისა, რაც, ეკლესიის საკრებულო ხელისუფლებასთან ერთად, თავიდანვე ნათლად წარმოჩნდა და რაც ერთ უხუცესზე არა ყოფილა დამოკიდებული. ასეთია საქმე მოციქულთას ძირითადი ჭეშმარიტებანი, რომლებიც შეგვაცნობინებს, თუ როგორ მოხდა, რომ ქვეყნიერება ასე სწრაფად დაემორჩილა სახარებისეულ, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, უცნაურ სწავლებას, და თანაც ეს მოხდა მაშინ, როცა წარმართული რომაული სამყაროს ძალასთან ერთად განათლებული საბერძნეთის ფილოსოფიური სისტემების მთელი ნატიფი მრავალფეროვნება იყო ქრისტეს წინააღმდეგ შეიარაღებული.

პირველი დევნა

ქრისტეს შობიდან 67-ე წელი

რომმა, განაგრძობს ოქროპირი, მოციქული მიიღო დაბორკილი, თანაც – გემის დამსხვრევის შემდეგ; მაგრამ მსოფლიოს დედაქალაქში იგი შევიდა, როგორც მეფე, რომელიც გამარჯვებას ზეიმობდა. მისი სული იმ ქვეყნიერებაზე უფრო ვრცელი იყო, რომელიც შემოიარა. კეისრისგან გამართლებულმა მან შორეული ესპანეთი მოინახულა, ისევ მოიარა ზოგიერთი ეკლესია, დაბრუნდა რომში, რათა თავისი სისხლით დაებეჭდა ის, რასაც სიტყვით მონმოზდა. შებორკილი იყო და თავის ეკლესიებს მაინც თავისუფლების სიტყვით ეწვეოდა ხოლმე, ღმერთს ევედრებოდა, რომ გაენათლებინა ეფესოელები, რომლებიც მოგვობისაკენ მიდრეკილიყვნენ და, როცა სამყაროს გადარჩენის შესახებ ღმერთის ნებას უმხელდა, არწმუნებდა, რომ სარწმუნოების ერთიანობა შეენარჩუნებინათ და სულიერი იარაღით აღჭურვილიყვნენ. მაკედონიის ეკლესია ფილიპეში, კოლოსის ეკლესია როდოსში ასევე იყო ქრისტეს ტყვის მამობრივი ზრუნვის საგანი, იგი ცდილობდა უფრო და უფრო მიეზიდა ისინი მისკენ, ვისთვისაც ატარებდა ბორკილებს რომში. პავლეს არ დავინწყებია არც თანამემამულენი, რომელთა გადარჩენის სურვილისა და მეტისმეტი სიყვარულის გამო უნდოდა, რომ თვითონ ყოფილიყო ქრისტესაგან მოკვეთილი, – ისევე, როგორც ოდესღაც მოსე, იმავე ებრაელების გამო, ღმერთს საკუთარი თავისთვის სთხოვდა სასჯელს. პავლეს სახეზე ეხატა ღვთაებრივი დიდებულება და ის, რომ ქრისტეს ემსახურება, ქრისტესმიერი სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა მათ. ლევიტელთა სამღვდლოებას იესოსას ადარებდა და ასწავლიდა, რომ ხსნა ამ უკანასკნელშია: რათა ლევიტელებისათვის მიებაძათ, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მაგალითზე

უჩვენებდა, რომ უპირატესობა რწმენაშია. მოციქულოდ რომის
დან სწერდა ცალკეულ პირებს – ტიტეს, ფილიმონს და, ბო-
ლოს, რამდენიმე ეპისტოლე იმით დაასრულა, რომ თავის საყ-
ვარელ მონაფეს – ტიმოთეს, ეფესოში მყოფს, ამაღელვებლად
მოუწონდა თავისთან, – იმიტომ, რომ დევნასა და ბოლო ტკივი-
ლებში მოყვასთაგან მარტოდ იყო დარჩენილი.

და მაშინ დადგა ჟამი მისი. კეთილად მოიღვანა გმირული
საქმენი, დაასრულა სარბიელი, სარწმუნოება დაიმარხა. და
განმზადდა მისთვის ქვეშარიტების გვირგვინი, რაც აღუთქ-
ვა ყველას, ვინც სიყვარულით მიიღო მისი გამოცხადება. აი,
ის გმირობანი, რასაც თავად პავლეს წერილებიდან ვხედავთ:
იუდეველთაგან ორმოცი დარტყმა მიიღო ისე, რომ ერთიც არ
დაკლებია; სამჯერ კვერთხებით სცემეს, ერთხელ – ქვებით,
სამჯერ მისი გემი გადაბრუნდა და ღამე და დღე ღრმა ზღ-
ვაში იყო; მოგზაურობების დროს მდინარეებზე ბევრჯელ ეწია
უბედურებანი: უბედურებანი ყაჩაღთაგან, უბედურებანი ნათე-
სავთაგან, უბედურებანი წარმართთაგან, უბედურებანი უდ-
აბნოში, უბედურებანი ქალაქებში, უბედურებანი ცრუძმათა-
გან; ხშირად იყო შრომასა და დაღლილობაში, მღვიძარებაში,
შიმშილსა და წყურვილში, ხშირად მარხულობდა, სციოდა და
შიშველი იყო; გარდა იმისა, რომ გარედან ესხმოდნენ თავს,
ყველა ეკლესიისათვის ყოველდღე ზრუნავდა; უძღურებთან
დაუძღურდებოდა ხოლმე, ცდუნებულებთან აღენტებოდა;
ერთადერთი, რითაც ამაცობდა, ეს იყო თავისი უძღურება,
რომელშიც ღმერთის ძალა ვლინდებოდა. ბოლოს რომში ამ
მთელი სამყაროს მასწავლებელს თავის ქადაგებათა გამო,
რომლებიც მის ბაგეებში ორლესულ მახვილს ემსგავსებოდა,
ნერონის სურვილით თავი მოკვეთეს.

პავლესთან ერთად რომში მსხვერპლად შეიქმნა მისი
უდიდესი თანამოღვანე, მთავარმოციქული პეტრე, რომელ-
მაც ოდესღაც იერუსალიმში ხელი მისცა მას, რომ პავლე
წარმართებთან საქადაგებლად წასულიყო, საკუთარი თავი
კი იუდეველთა სამსახურისათვის გადადო. სიკვდილმა ორივე



შეაერთა. „საქმე მოციქულთა“, რომელმაც პირველ ნაწილში ასე თანამიმდევრულად შემოგვინახა პეტრეს მოსაგრეობა, მოსაგრეობანი პავლესი, მეორეში, იმისათვის, რომ ორივე მოციქულის თანაბრობა გამოეხატა, არაფერს ამბობს მათ აღსასრულზე.

გადმოცემის თანახმად, პეტრე მოციქულმა იერუსალიმიდან წამოსვლის შემდეგ მრავალი წელი ანტიოქიაში გაატარა და აზიის ყველა ის ეკლესია მოიარა, რომლებიც პავლემ მოაქცია და ყველგან დაადგინა ეპისკოპოსები. შემდეგ ღვთის მონოდებით რომს მიაღწია, იქ მეორედ შეეპაექრა სიმონ მოგვს და ჭეშმარიტი სასწაულებით წარმოაჩინა, რომ ცრუ იყო მისი სასწაულები. პეტრემ დედაქალაქის ეპისკოპოსად ჯერ ლინს, შემდეგ – ანაკლეტს დაასხა ხელი. ანტიოქიაში კი პირველ მწყემსმთავრად თავისი მონაფე – ევოდი დაადგინა; მახარებელი მარკოზი კი ალექსანდრიაში დააყენა ეპისკოპოსად და, ასე ამგვარად, ეს სამი პირველხარისხოვანი კათედრა იერუსალიმისას გაუთანაბრა.

პეტრემ ისრაელის გაფანტულ შტოებს ეგვიპტიდან საყოველთაო წერილი მოსწერა, მათში სხვადასხვა ეკლესიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით დარიგებებს იძლეოდა. იესო ქრისტეს მაგალითებით გმირობებისკენ მოუწოდებდა, შთააგონებდა აღქმული სამსჯავროთი, რომლის ნიშანი იერუსალიმის მოახლოებული დაცემა იყო. რომს რომ მიაღწია, მოციქულმა მეორე საყოველთაო ეპისტოლე დაწერა, ეს იყო უკანასკნელი ანდერძი მათთვის, ვისაც ადრე უქადაგებდა, რწმენას უმტკიცებდა, ცრუმასწავლებელთა გამოჩენას უწინასწარმეტყველებდა და სამყაროს აღსასრულში არნმუნებდა.

ქრისტეს შობიდან 67-ე წელი

წარმართული სამყაროს დედაქალაქში ნეტარი აღსასრული ელოდა პეტრეს, რათა, პავლეს მსგავსად, ქვეყნიერების ყველა



განმგებლის წინაშე ქრისტეს სწავლების მსოფლიო მონაწილეობა მოეტანა. ქრისტესაკენ კეისრის ორი ცოლის მოქცევამ მძვინვარე ნერონი განარისხა და ცდილობდა, მოეკლა მოციქული. რომის მთელი მორწმუნე საზოგადოება, ვისაც ჰეროდეს ხელიდან პეტრეს საოცარი გათავისუფლება ახსოვდა და ვერ შეეცნო იდუმალი გზები განგებისა, რომელსაც თავის დროს უკვე გადაეწყვიტა, თუ როდის უნდა გადარჩენილიყო და როდის აღსრულებულიყო იგი, ევედრებოდა პეტრეს, რომ აღელვებული ეკლესიისდა სასიკეთოდ გაქცევით ამჯერადაც გადაერჩინა თავი. და მაშინ დადგა პეტრესათვის ის დრო, რომელზეც მაცხოვარმა უწინასწარმეტყველა: – „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ, სანამ იყავ ახალგაზრდა, სარტყელს შემოირტყამდი და მიდიოდი, სადაც გინდოდა; ხოლო როდესაც დაბერდები, ხელებს გაიწვდი, და სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს, სადაც არ გინდა“,⁴⁹ – მაცხოვარმა ამცნო პეტრეს, თუ როგორი სიკვდილით უნდა განედიდებინა ღმერთი. პეტრემ მორწმუნეთა ტირილს ანგარიში გაუწია და რომიდან ღამით მარტო გავიდა. მაგრამ ქალაქის კარებთან მომავალ ქრისტეს შეხვდა, დაუჩოქა და ჰკითხა: – „უფალო, სად მიხვალ?“ – „რომში მივდივარ, რომ ისევ ჯვარს ვეცვა“, – მიუგო უფალმა და უჩინარ იქმნა. მაშინ შეიცნო პეტრემ, რომ უფალ იესო ქრისტეს, ვინც თავის მონებში, რომელნიც მისი ჭეშმარიტი ნაწილნი იყვნენ, ისევ ეწამებოდა, სურდა, რომ რომში მის სხეულშიც დატანჯულიყო; რომში მობრუნებული პეტრე მეფის ჯარისკაცებმა შეიპყრეს. დასასჯელად წაყვანილი ჯვარმცმელებს ჯვარზე უფლის სიკვდილისადმი პატივისცემის გამო მხოლოდ იმას სთხოვდა, რომ ჩვეულებრივად კი არა, არამედ, თავდაყირა გაეკრათ ჯვარზე, – დაე, ნუ დაემსგავსება უფალს ჯვარცმამში, მის ფეხებთან თავს დახრის პეტრე. წმიდა კლიმენტიმ, მისმა მოწაფემ, რომის მესამე ეპისკოპოსმა, ორივე უდიდესი მოციქულის სხეული გამოითხოვა და ეკლესიის სამარადისო პატივისცემისათვის შეინახა ისინი.

⁴⁹ იოან. 21: 18;



პეტრემ და პავლემ თავიანთი მონამეობრივი სიკვდილით დაამძვენეს ათთაგან პირველი დევნა, რომელიც წარმართებმა ქრისტიანთა წინააღმდეგ განახორციელეს. წინასწარმეტყველური ნება იყო, რომ ჯვარი, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის საფუძველად დაიდო, მაჩვენებელი ყოფილიყო იმისა, თუ როგორ იზრდებოდა და მშვენდებოდა ეკლესია. უმეტეს შემთხვევაში მისი შინაგანი მაღლი გარეგან მსხვერპლთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, რადგან მათ არჩევანში ღირსებაც იყო და თავისუფალი ნებაც. და წამებანი მძიმე უნდა ყოფილიყო, რათა მათით განკურნებულყო კაცობრიობის ძველისძველი სნეულებანი ცრურწმენისა და გარყვნილებისაგან გამოწვეული. მთელი მსოფლიო უნდა აღმდგარიყო ეკლესიის წინააღმდეგ, რათა დიდებული ყოფილიყო ეს გამარჯვება.

ქრისტიანთა მიმართ იუდაური ხელისუფლების სიძულვილმა, რომელმაც პირველად სამი ადამიანის – სტეფანეს, იაკობ ზებედესი და იაკობ – უფლის ძმის, სიცოცხლე შეინირა, ახლა უკვე წარმართები მოიცვა. წარმართებს ადრე ქრისტიანები და სარწმუნოებრივი სიჯიუტისა და შფოთვის შემოტანის გამო მათთვის საძულველი იუდეველები ერთმანეთში ერეოდათ. ქრისტიანები კეისარს ღმერთად არ აღიარებდნენ, მის სახელს არ ფიცულობდნენ, საზოგადოებრივ გართობებში მონაწილეობას არ ღებულობდნენ, საიდუმლო შეკრებები ჰქონდათ და რომის ხელისუფლებასა და მთელ საზოგადოებას მტრები ეგონათ ისინი, – მით უმეტეს, რომ სწრაფად მრავლდებოდნენ. რომაელთა პოლიტიკა ძველ რელიგიაში რაიმეს შეცვლის უფლებას არ იძლეოდა და ქურუმებიც, რომელთა შემოსავალი რელიგიასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული, განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ცილი დაეწამებინათ ქრისტიანთათვის, – დიდ ცრუმორწმუნოებასა და დანაშაულებში დაედოთ ბრალი. კაცთა მოდგმის სიძულვილსა და ხალხზე თავდატეხილ უბედურებებში მათ ადანაშაულებდნენ. იმპერატორები თავიანთი შეხედულებებისდა მიხედვით ეჭვებს სიმართლედ მიიჩნევდნენ და „დიდსულოვან“



რომაელ ხალხსაც თავიანთ სანახაობებზე ქრისტიანობის
ლის ნახვა სწყუროდა.

ნერონმა, რომელიც იმპერიისათვის სირცხვილად და
ოჯახისათვის საშინელებად იქცა, პირველმა გამოიყენა კეის-
რის უფლება იმისათვის, რომ ღვთის მონები გაენადგურებინა.
მან რომი გადაწვა, რათა ცეცხლმოდებული ტროას მსგავსი
სანახაობით დამტკბარიყო და ახალი ქალაქი გაეშენებინა,
თავისი დანაშაული კი ქრისტიანებს გადააბრალა. სჯიდა და
თან ლანძღვასაც უმატებდა, ნადირის ტყავებით მოსავდა და
დასაგლეჯად ძაღლებს უგდებდა, ცეცხლს უკიდებდა და ცე-
ცხლში გახვეულ სხეულებს ღამეული ბაკხანალების დროს
თავისი ბალების გასანათებელ შუქურებად იყენებდა. დევნა
ოთხ წელიწადს, - მდევნელის გარდაცვალებამდე გაგრძელდა
და, მიუხედავად იმისა, რომ, სასჯელთა საბაბი რომს ეხებოდა,
დევნამ შორეული ოლქებიც მოიცვა.

ღვთის სიტყვის გამო მძიმე აღსასრული ერგოთ სხვა მო-
ციქულებსაც; თითოეული მათგანის სისხლი - ეს იყო მომა-
ვალი კეთილი ნაყოფის მოსამკელად დათესილი თესლი. სიმონ-
პეტრეს ძმამ, მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, იოანე
ნათლისმცემლის მოწაფეთაგანმა, - მან, ვინც ღვთის კრავს,
სამყაროს ცოდვათა მტვირთველს, პირველი გაჰყვა უკან,
ქრისტე შავი ზღვის სანაპიროს გარშემო და ველურ სკვითიაში,
- ჩვენს სამშობლოში იქადაგა; მან თავისივე დაარსებულ ბი-
ზანტიის კათედრაზე პირველი ეპისკოპოსი - სტაქიოსი დასვა,
და, როცა აქაიასა და პელოპონისს მიაღწია, იქ, - ქალაქ პა-
ტრასში პროკონსულ ერეათისაგან მოწამებორივი აღსასრუ-
ლი ჯვარზე მიიღო. ანდრია, უფროსი ძმის მსგავსად, თავისი
ჯვრის გამო ხარობდა და, ცოდვათა გამოსყიდვის ამ ნიშნის
წინ მდგარი, მუხლებზე დაემხო, სანამ ჯვარს იესო ქრისტეს-
თან შესაერთებელ საშუალებად გამოიყენებდა.

ორივეს თანამემამულემ, - მოციქულმა ფილიპემ ზეციურ
სამშობლოს ამგვარივე აღსასრულით მიაღწია. ფილიპემ სხვა
მოწაფესთან, - ბართლომესთან ერთად, რომელიც, თავის

მხრივ, სირიასა და მესოპოტამიაში ქადაგებდა, სახარება აზიის ქვეყნებში იქადაგა; ფილიპემ ინდოეთს მიაღწია, ისევ სომხეთში გაბრუნდა და ჯვარზე აღესრულა. ფილიპემ ინდურ ენაზე თარგმნა სახარება, რომელიც უფლის ამალლებიდან რვა წლის შემდეგ ებრაულ ენაზე დაწერა მათემ, — მან, ვინც მებაჟე იყო, მოციქული გახდა და თავისი სახარება ეთიოპიის ქვეყანაში მონამეობით დაამონმა. ცხოვრებისეული გზა იქვე დაასრულა მატათამ, რომელიც მოციქულთა შორის იუდა ისკარიოტელის ნაცვლად იქნა არჩეული. მოციქულმა იუდამ, იერუსალიმის ეპისკოპოსის, — წმიდა იაკობის ძმამ, — მან, ვინც, ძმის მსგავსად, საყოველთაო ეპისტოლე დაწერა, მთელი გალილეა, სირია, არაბეთი, მესოპოტამია მოიარა, არარატის ქვეყანაში ჯვრის ფორმის ხეზე ჯვრის სიტყვის ქადაგების გამო წარმართ მოისართა სამიზნედ იქნა არჩეული; სიმონი, რომელიც კანას გალილეადან იყო და რომელმაც მავრიტანია, აფრიკა განანათლა, დასავლეთში აღესრულა; თომა, მარჩბივი, რომელიც უფალს აღდგომის შემდეგ ნაჭრილობევებზე შეეხო, ვინაც შუბით განგმირულ მის ფერდს ხელი შეახო, თვითონ იქნა განგმირული სადღაც, — ინდოეთის შორეულ ქვეყნებში, სადაც შეაღწია და პართელები, მიდიელები, სპარსები, ბაქტრები და ბრაჰმანები მოაქცია. მოციქულთათვის ასე აღსრულდა ფსალმუნის სიტყვები: „ღალადებდით ღმრთისა ყოველი ქუეყანა“⁵⁰.

ცოცხალი იყო კიდევ ერთი მოციქულთაგანი, — იესოსაგან შეყვარებული, იოანე, რომელიც მაცხოვრის გამომსყიდველ სიკვდილს ბოლო წუთამდე ესწრებოდა. მხსნელმა ამ იოანეზე უთხრა ოდესღაც პეტრეს: „თუკი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, შენ რა? შენ მე გამომეყე“⁵¹. და მის შესახებ ძმათა შორის გავრცელდა სიტყვა, რომ არ მოკვდებოდა. ღვთის განსაკუთრებული ნების გამო იოანეს მოუწია, ყველაზე მეტხანს დარჩენილიყო ქვეყანაზე, რათა ძველალექმისეულ იერუსალიმზე ქრისტესმიერ წინასწარმეტყველებათა

⁵⁰ ფსალ. 99: 1;

⁵¹ იოან. 21: 22;

აღსრულებანი ეხილა და რათა დაემონებინა, რომ სიმართლეა
ძე ღმერთის შესახებ ახალი აღთქმის ყველა ხარება და რათა
გამოცხადებით, რომელიც მაღლიდან მოეცა, სამყაროს აღ-
სასრული და ღმერთის სასუფეველი, რომელსაც მომავალში
ღვთის ძალი მოიტანს, შეეერთებინა. სამყაროს აღსასრულს
ღმერთის სამეუფო შეცვლის; ქრისტეს ეკლესიის მომავალი ის
არის, რომ სამეუფო იგი ქვეყნიერებაზე გადაიფინოს.

იერუსალიმის დაცემა

გავიდა ქრისტეს შობიდან სამოცდაათი და მისი ამალლებიდან უფრო ნაკლები წელი და დადგა მის მიერ წინასწარმეტყველავი ჟამი, როცა დაემხო იერუსალიმი, რომელსაც იგი იერუსალემ, წინასწარმეტყველთა მკვლელო და შენდამი მოვლინებულთა ქვებით ჩამქოლველო! რამდენჯერ ვცადე შემეკრიბა შენი შვილები, როგორც ფრინველი კრებს ბარტყებს თავის ფრთათა ქვეშ, და არ ისურვე. და აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად“.⁵²

უფლის მოსვლამდე ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინათ, ბაბილონელთაგან ტყვეობის ჟამს, რაც იუდეველთათვის იმის გამო მოწეული სასჯელი იყო, რომ მამათა ღმერთს უარყოფდნენ, მოციქულმა დანიელმა იწინასწარმეტყველა მომავალი საბოლოო დამხობა იერუსალიმისა, რაც აღთქმული მესიის მოკვდინების გამო უნდა მომხდარიყო, მან იდუმალი შვიდეულებით წელიწადზეც კი მიანიშნა.

დანიელს ლოცვისას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „შენი ერისათვის და შენი ქალაქისათვის სამოცდაათი შვიდეულია დადგენილი, შეცოდების დასაფარავად, ცოდვათა დასაბეჭდავად, უკეთურების დასაფარავად, სამარადისო სიმართლის დასამყარებლად, ხილვისა და წინასწარმეტყველების დასაბეჭდავად და წმიდათა წილის საცხებად. ოღონდ იცოდე და შეიგნე: მას შემდეგ, რაც გამოვა ბრძანება იერუსალიმის აღსადგენად და ასაშენებლად, შვიდი შვიდეული და სამოცდაორი შვიდეული გავა ცხებული მეფის მოსვლამდე. აღდგება ქუჩა და უბანი, ოღონდ ძნელბედობის ჟამს. სამოცდაორი შვიდეულის შემდეგ მოიკვეთება ცხებული, მაგრამ ბრალი არ ექნება. ქალაქსა და სანმინდარს დაანგრევს მომავალი მთავრის ხალხი და მისი აღ-

⁵² მათ. 23: 37-38;



სასრული წარღვნასავით იქნება; ომის ბოლომდეა გადაწყვეტილი გატიალებანი. იგი მრავალთაგანს განამტკიცებს აღთქმას ერთ შვიდეულში, შვიდეულის ნახევარში შეცვლის მსხვერპლსა და ძღვენს. სიბილნის ფრთებზე იქნება გამტიალებელი, ვიდრე განგებული დრო არ ეწევა გამტიალებელს“.⁵³

ღმერთის უკვე ახალი აღთქმა, რომელიც ადამიანს ქრისტეს ტანჯვათა საშუალებით მოეცა, სამყაროში მრავალთა შორის საუკუნოდ განმტკიცდა. საჭირო იყო, რომ ძველი აღთქმა ერთ რჩეულ ხალხში აღბეჭდილიყო, ღმერთის შესახებ წმიდა სწავლება თაობებს უნდა შემოენახათ და შემდეგ მთელი სამყაროსათვის ცხადი გამხდარიყო, რომ ამიერიდან უკვე ღმერთის შვილია ყველა და რომ მისი ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი მხოლოდ იერუსალიმში როდი სცემენ მას თაყვანს. ქალაქის დაქცევას ბევრი განსაკუთრებული მოვლენა ერთვოდა ზედ, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ იერუსალიმის დაქცევას მრავალი წლის განმავლობაში დიდ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ.

მას შემდეგ, რაც მაკაბელთა სახელოვანმა ტომმა იუდეა სირიის ანტიოქელთა ძალადობისაგან იხსნა და რომაელებთან დადო კავშირი, მათი წყალობით სიონში უცხოტომელი ჰეროდე გაბატონდა, რაც ძველი პატრიარქის, – იაკობის წინასწარმეტყველებას დაემთხვა. იაკობმა თავის თორმეტ შვილს უთხრა, რომ არ მოაკლდება იუდას ტომს მთავარი, სანამ მესია არ მოვა⁵⁴; და მესია დაიბადა უცხოტომელის, – ჰეროდეს დროს, რომლის შთამომავლობა იუდეაში ბატონობას განაგრძობდა და ქრისტეს ახალგაზრდა ეკლესიას ავინროვებდა. იერუსალიმში, სირიის პროკონსულების გამგებლობის ქვეშ მყოფნი, პილატეს მსგავსად რომაელი ჰეგემონები მბრძანებლობდნენ.

ამასობაში, წინასწარგანზრახულობის ბრძნული ნებით, ბაბილონელთაგან ტყვეობის ჟამს, ისრაელიან შტოთა უმეტესი ნაწილი მესოპოტამიაში დარჩა და აღმოსავლეთით განსახლ-

⁵³ დანიელი, 9: 24-27;

⁵⁴ დაბ. 49: 10, – „არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“;

და. მრავალი იუდეველი რომის დასავლეთი ნაწილის ოლქებში დამკვიდრდა, წარმართული ქალაქების მოქალაქეობის უფლება მოიპოვა და ზღვისპირეთის საუკეთესო ქალაქებში პროზელიტების რაოდენობა მოამრავლა. ასე რომ, რამდენადაც მოციქულთა ქადაგება ვრცელდებოდა იუდეველთა შორის, რომელთაც მესიაზე გადმოცემა ჰქონდათ შემონახული, სამყარო ქრისტეს სწავლების მისაღებად უფრო და უფრო მომზადებული ხდებოდა. განსაკუთრებით ბევრი ებრაელი, რომელიც იმ ცოდნით ამყობდა, რაც ელინურ ფილოსოფიასთან იყო შერწყმული, განათლებული ალექსანდრიით განთქმულ ეგვიპტეში ცხოვრობდა. იქ, ქრისტეს დაბადებამდე ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ, ეგვიპტელმა მეფემ, - პტოლემეოს ფილადელფოსმა, მართალია, როგორც ჩანს, მხოლოდ განათლებისაკენ სწრაფვის გამო, იერუსალიმიდან სამოცდაათი ებრაელი განმარტებელი მიიწვია, რაც ღვთის ნების გარეშე არ მომხდარა; მათ ბერძნულ ენაზე ძველი აღთქმის ყველა წიგნი უნდა ეთარგმნათ. საყოველთაოდ გავრცელებულ ბერძნულ ენაზე ბიბლიის თარგმნა ელინთა შორის ქრისტიანობის ქადაგებას უწყობდა ხელს, დროულად მოხდა განმარტება წმიდა წერილის იმ ადგილებისა, რომლებიც ებრაული ენის დაცემის გამო, შესაძლოა, გაუგებარი გამხდარიყო.

ალექსანდრიაში სწეულებებმა იჩინა თავი. ისინი ებრაელ ხალხს ყველა წინასწარმეტყველებისადმი თავისი ურწმუნობის გამო ეწია. იქ მათზე პირველად აღიმართა ელინთა ხელი. ეს მოხდა მაშინ, როცა ჰეროდეს შვილიშვილის, - აგრიპას მიერ, რომელიც კეისარის ნებით რომიდან საბრძანებლოდ პალესტინაში მიდიოდა, ებრაელთა დაცინვის გამო ამბოხებამ იფეთქა. გამძვინვარებული წარმართი ბრბო ნებისმიერი ასაკის მრავალ ათას ადამიანს სპობდა, მსგავსი მკვლევლობები შემდეგ სირიისა და პართელთა ქალაქებში გრძელდებოდა, - იმიტომ, რომ ებრაელები ყველგან სძულდათ, ხანძრების გაჩენასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში ყველას მათზე მიჰქონდა ეჭვი. თავიანთი მხსნელის უარყოფის გამო მოძულეების



ბეჭედი მათ ყველგან თან სდევდა. სხვა უბედურებას ეძლეოდა იუდეველებს, მისი აცილება ვერც მათი სწავლული თანამემამულე წარმომადგენლის, - ფილონის და ვერც მეფე აგრიპას მიერ რომში განუღმმა შუამდგომლობამ შეძლო. გონგადასულმა კეისარმა, - კალიგულამ, რომელიც ვერ იტანდა, რომ ერთადერთი მხოლოდ იუდეველები იყვნენ, ვინც მას თაყვანს არ სცემდნენ როგორც ღვთაებას, სირიის მმართველს იერუსალიმის წმიდა ადგილზე თავისი ქანდაკების დადგმა უბრძანა. ეს თითქოს მხილება იყო იმ დაუმორჩილებელი ხალხისა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ არ ისურვა, რომ იმავე ტაძარში ელიარებინა ძე ღმრთისა, რომელიც მათ წინაშე ადამიანის თავმდაბალი სახით წარმოცხადდა. ერთადერთი, რამაც პროკონსული შეაჩერა და კეისრის ბრძანება არ შეასრულა, ეს საყოველთაო თავგანწირული აჯანყების შიში იყო, - იუდეველები მზად იყვნენ, თავიანთი სინმიდის შეურაცხყოფის გამო თავი გაეწირათ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კლავდიოსის გამეფების შემდეგ ამ უგუნურ აზრს თავი ანებეს, რომის მიერ ლამის ყოველ საათს უფრო და უფრო სიმძიმემომამატებელი უღელი და სირიელი მმართველების მზარდი მტაცებლობა მოთმინების ფიალას უვსებდა ხალხს, ასე ხდებოდა იმიტომ, რომ ქრისტიანული მოთმინების უნარი ჯერ არ ჰქონდათ შეთვისებული. ბოლოს, კეისარ ნერონის დროს, ცალკეული ამბოხებანი საერთო სახალხო აჯანყებაში გადაიზრდა.

ომის დაწყებას წინ ნიშნები უძლოდა. ღამით, უფუარობის დღესასწაულზე, უეცრად საკურთხეველი და ტაძარი ნათელმა მოიცვა და აღმოსავლეთით - რვალის კარები, რომელთაც ოცი ადამიანი ძლივს აღებდა ხოლმე, თავისით გაიხსნა. საღამოს ცაზე, პალესტინის სხვადასხვა მხარეს, ცხენები და ეტლები გამოჩნდნენ, ისინი წმიდა ქალაქისაკენ მიისწრაფოდნენ. სულთმოფენობის დღეს ქურუმებმა და ლევიტელებმა, რომლებიც ქალაქში ჩვეულებრივი მსხვერპლის შესწირავად შევიდნენ, შეძრწუნებულებმა მისი მძიმედ შერყევა შეიგრძნეს და უეცრად განსაწმედელის სიღრმიდან მალალი ხმა გაისმა: „განვი-



დეთ აქედან⁵⁵. არა წყდებოდა მათი ყოველდღიური სისხლიანი მსხვერპლშენირვა, რასაც, მას შემდეგ, რაც ერთხელ ქრისტეს მიერ გამომსყიდველი მსხვერპლი იქნა გაღებული, მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა; არა წყდებოდა მღვდელთმთავრების ხელდასხმა აარონის შთამომავალთაგან, რომელთაც კაიაფას დროს დაკარგეს კანონიერება, – იმ კაიაფასი, რომელმაც, ისე, რომ თავისი სიტყვების მნიშვნელობას თვითონაც ვერ ხვდებოდა, ქრისტეზე წინასწარმეტყველურად თქვა, რომ სჯობს ერთი ადამიანი მოკვდეს თავისი ხალხისათვის⁵⁵ და ამით იგი მელქისედეკის შთამომავალთაგან მარადიულ მღვდელთმთავრად ძალაუნებურად აღიარა. კაიაფას დროებითი შთამომავლები განუწყვეტლივ იცვლებოდნენ იმისდა მიხედვით, თუ რა მოესურვებოდათ ხალხში ან რა სურდათ მეფე ჰეროდეს შვილებს, რომელნიც, დაბრმავებულნი, ვერ ხედავდნენ, რომ ძველი აღთქმა შესრულდა და მოახლოებული იყო აღსრულება ყველა იმ წინასწარმეტყველებისა, რომელიც იერუსალიმს ეხებოდა; არ უსმენდნენ წინასწარმეტყველურ მოთქმას იესო – ანანიას ძისა, რომელიც იერუსალიმის დაცემამდე ოთხი წლით ადრე მთელ ქალაქში დაიარებოდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: „ღალადება აღმოსავლეთიდან, ღალადება დასავლეთიდან, ქარების ოთხი მხარიდან; ღალადება იერუსალიმისათვის, ტაძრისა და ახალქორწინებულთათვის, ღალადება მთელი ხალხისთვის“; წინასწარმეტყველური ხმა მხოლოდ ქალაქზე ალყის შემორტყმის დროს შეწყდა, როცა ამ იესომ კიდევ ერთხელ წამოიძახა: „და ვაი ჩემდა“, – იგი მოიერიშეთა მიერ ნასროლმა ქვამ განგმირა და დასცა. და, ისევე, როგორც მთელი სულიერი და სამოქალაქო ცხოვრება ებრაელი ხალხისა, აბრაამის პატრიარქალურ დროებათაგან მოყოლებული, მათ წმიდა წიგნებშია აღწერილი, ძველი აღთქმისეული ქალაქის აღსასრული შთამომავალთათვის ასევე ზუსტად აღწერა იუდეველმა იოსებმა, რომელიც მრავალი ბრძოლის შემდეგ რომაელთაგან გარშემორტყმულ ბანაკში თვითონ მოხვდა ტყვედ.


⁵⁵ იხ. იოან. 11: 50; 18: 14;



სამი მილიონი ებრაელი შეიკრიბა იერუსალიმში, დღესასწაულზე, — მაშინ, როცა ისინი პროკონსულ კესტიუს გალს ამაოდ სთხოვდნენ, რომ მათი პირადი მმართველის — ფლორის სიხარბე დაეცხრო. და მიუხედავად იმისა, რომ — მეფე აგრიპა უმცროსი უმორჩილესად ევედრებოდა ებრაელებს, შეეცვალათ გადაწყვეტილება, საბედისწერო ჯანყმა მაინც იფეთქა. მღვდელმოდვარ ანანიას შვილმა, — ახალგაზრდა ელიაზარმა, რომელიც ტაძრის დაცვის უფროსი იყო, ააჯანყა ხალხი; საყრდენად დაიკავა ანტონის კოშკი, რომელიც ქალაქის მთავარი სიმაგრე იყო და სხვა სიმაგრეებიდან გამოყრილი რომაელი მეომრები გამძვინვარებულმა ბრბომ ამოხოცა. იმავე დღეს მეზობელ კესარიაში წარმართთა ხმლისგან 20 000 ებრაელი დაეცა. ამ ამბის შესახებ ცნობამ მთელი პალესტინა ააფორიაქა. სირიის ყველა ქალაქსა და სოფელში იუდეველებსა და სირიელებს შორის სასტიკი ომი გაჩაღდა. გზაჯვარედინები და მღვიმეები ყაჩაღებით გაივსო. ებრაელთა ჯარებმა ბევრი ციხე აიღეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ თანამოქალაქეებს ყველგან შეუბრალებელი დარტყმა მიაყენეს და ალექსანდრიაში ისევ დაიღუპა — დაახლოებით 50 000 ებრაელი. თავიდანვე შეიძლებოდა განჭვრეტა, რომ ეს ომი მთელი ხალხისათვის საბედისწერო გახდებოდა. პროკონსული შეიარაღდა, გალილეა დააწყნარა, შემდეგ იერუსალიმისაკენ დაიძრა, მაგრამ ებრაელთა თავგანწირულმა წინააღმდეგობამ დანაკარგით უკან გაბრუნება აიძულა.

მაშინ ქრისტიანები, რომელთაც, დანიელის წინასწარმეტყველების შესაბამისად, წმიდა ადგილას გატიანების სიბილწე იხილეს⁵⁶, უფლის სისხლისმიერ ბიძაშვილთან, — თავიანთ ეპისკოპოს სიმონთან ერთად უდაბნოს საზღვართან, — სირიის ქალაქ პელაში გაიქცნენ. იუდეველებმა კი, წარმატებით გაამაყებულებმა, ამბრაზურებით შეაიარაღეს ქალაქი. გალის ნაცვლად ვესპასიანე გაემართა და გალილეა და იუდეის შემოგარენი დაიპყრო. ვესპასიანემ, მას შემდეგ, რაც ნერონის

⁵⁶ იხ. დან. 9: 27; მათ. 24: 15; ლუკ. 21: 20; მარ. 13: 14;



გარდაცვალების მერე იმპერატორად გამოცხადდა, იერუსალიმის საბოლოო დამორჩილება თავის შვილს, - ტიტუსს, მიანდო. იგი, მსოფლიო მონარქიის შესახებ აღმოსავლეთის წინასწარმეტყველებათა მიერ განდიდებული, დასავლეთისაკენ გაემართა, - ბნელი მკითხავები მასში ძველთაგან აღთქმულ მსოფლიოს მბრძანებელ მესიას ხედავდნენ.

ამასთან, ჯერ კიდევ რომაელთა მახვილამდე, იერუსალიმს უკვე შინა განხეთქილებანიც ღუპავდა. ყველაზე უფრო გამოცდილებს მშვიდობა უნდოდათ, უფრო ფიცხებს - ომი. მღვდელმთავარი ანანია და სხვა უხუცესები ზილოტებმა დახოცეს. ე. წ. ქომაგთა ბელადები, - იოანე ჰისკალა და ელიაზარი ტაძარს იყვნენ დაპატრონებულნი და მტაცებლისმუხლა იდუმიელებს მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალაქის ქუჩებში ყაჩაღობისა და მკვლევლობისაკენ მოუწოდებდნენ. თავიანთ მხრივ, ზილოტებიც დაცალკევდნენ. ვინმე სიმონ ბარ სიორმა იორდანის მიღმა, ვითომდა იმიტომ, რომ მღვდელმთავარ ანანიას გამო შური უნდა ეძიათ, ყაჩაღების ბანდა შეადგინა და სიონი და ქალაქის ქვემო ნაწილი დაიკავა. თავის მხრივ, ჰისკალა ტაძრის შიდა დარბაზებში გამაგრდა და ხან მათ ებრძოდა და ხან - ელიაზარს, რომელიც წმიდა ტაძრის შიდა ეზოში იყო ჩაკეტილი მანამ, სანამ იოანე, რომელმაც პასექის დღესასწაულით ისარგებლა, შიგნით არ შეუვარდა და ხელთ არ იგდო ყველა ზილოტი. სიმონი კი, იდუმიელებთან ერთად, ქალაქის მბრძანებლად დარჩა.

მაშინ ჩრდილოეთიდან ტიტუსი მოადგა და რომის ლეგიონებით გარს შემოერტყა იერუსალიმს. მილიონ ადამიანზე მეტი, რომელიც პასექის უკანასკნელ დღესასწაულზე შეკრებილიყო, ამ გამანადგურებელ ალყაში დაიღუპა. შიმშილი და ტანჯვა ხარბად ნთქავდა შინაგანი შუღლისაგან გამოფიტულ ქალაქს. რომაული იარაღი ჩრდილოეთის კედლებს ნელ-ნელა ამტვრევდა. ანტონიუსის კოშკთან დროებით შედგა ეს იარაღი, მაგრამ ვერავითარმა დარწმუნებამ ვერ მოაქცია იუდეველები მორჩილებაზე. რომაელებს სამი დღე დასჭირდათ იმისათვის,

რომ მთელი იერუსალიმისათვის მრავალკოშკიანი ეკლესია ევლოთ და ამ საბედისწერო ხაზის გადაკვეთა მცხოვრებთაგან უკვე აღარავის შეეძლო. შიმშილისაგან გაქცეულ ათასობით ადამიანს ჯვარზე აკრავდნენ. და იოსაფატის მთელი ეს ჭირვარაში მათმა ჯვრებმა წარმოაჩინა როგორც შემადრწუნებელი შეხსენება იმ ჯვრისა, რომელზედაც მათმა მამებმა დიდების მეუფე ამ შედახილით გააკრეს: – „ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მაგისი სისხლი!“⁵⁷

ქალაქის შიგნითაც არანაკლებად ხდებოდა კაცთა კვლა. ღვთის მრისხანების გამო განწირული იყო ეს ქალაქი. სიხარბისაგან გონდაკარგული მკვლევლები სახლებში უვარდებოდნენ ყველას, ვისთანაც, როგორც ეჭვობდნენ, შესაძლოა, რაიმე საჭმელი იყო და რომლებშიც ყველაზე უფრო საზიზღარი გვარები სასონარკვეთილებისაგან გამოფიტულიყვნენ და ბოლოს უკანასკნელ ზღვარს მიაღწიეს, – დედამ თავისი ახალშობილი შთანთქა. მაგრამ ურთიერთშუღლი მაინც არ წყდებოდა. უკანასკნელი მღვდელმთავარი მათეოსი სიმონმა მოკლა, იოანემ კი გაძარცვა თვით ტაძარი, რომელსაც ანტონიუსის კოშკის ნანგრევებიდან ტიტუსი მიდგომოდა. და მაშინ ყოველდღიური მსხვერპლგაღებაც შეწყდა. რადგან წმიდა ადგილის გადარჩენა ენადა, ტიტუსი კიდევ ერთხელ შეეცადა, დაერწმუნებინა ისინი, დანებებულიყვნენ, – იგი იძულებული იყო იერიში ბოლომდე მიეყვანა. შიდა კარიბჭეები ცეცხლის ალმა მოიცვა. სანამ რომაელები მის ჩაქრობას ცდილობდნენ, იოანემ ბოლოს გაბედა და გაძვრომა მოახერხა. ბრძოლის დროს ერთმა რომაელმა მეომარმა ტაძარში ცეცხლმოდებულ ძელი შეაგდო და, მიუხედავად ტიტუსის მთელი ძალისხმევისა, ძველი ალთქმის ტაძარზე აღსრულდა ქრისტეს სიტყვები: „ქვა ქვაზეც არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგრევა“⁵⁸.

⁵⁷ მათ. 27: 25;
⁵⁸ მარ. 13: 2;

სამინელი ნგრევა ჯერ კიდევ ბაბილონის მეფე – ნაბუქოდონოსორის დროს, – ტაძრის პირველი განადგურებისას მოხდა. ახლა კი ტიტუსს, რომელსაც ზეცა მოჰყავდა მონმედ, რომ ამ უბედურებაში დამნაშავე არ იყო, უკვე აღარ უნდოდა, რომ შეენყალებინა დამნაშავე ქალაქი და მასში ყველაფერი ცეცხლსა და მახვილს მისცა. მხოლოდ ჰეროდეს სამი დიდებული კოშკი დატოვა როგორც ნაშთი ძველი დიდებისა. ხუთთვიანი ალყის დროს ხუთი მილიონ ასი ათასზე მეტი ებრაელი დაიღუპა. მათი ბელადები: სიმონი და იოანე, სატაძრო ჭურჭელთან ერთად, გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფზე წარსადგენად რომში წაიყვანეს. თავშესაქცევად გამართულ თამაშობებზე საზეიმო დღეებში მრავალმა ათასმა ტყვემ თავისი სისხლით წითლად შეღება ამფითეატრები. მათი უთვალავი რაოდენობისა და იერუსალიმში მოპოვებული ოქროს სიუხვის გამო მონებისა და ლითონის ფასი დავარდა. პალესტინის ციხე-სიმაგრეები თანდათანობით დაეცა. ქალაქების ცალკეული ამბოხებები სისხლში ჩაიხშო. ჰეროდეს გვარის უკანასკნელი მეფე თავის ტომთან ერთად სულ რამდენიმე წელიწადში გაუჩინარდა. და მაშინ აღსრულდა ებრაელ ხალხზე მოსეს საოცარი წინასწარმეტყველება, რომელმაც ორი ათასი წლით ადრე ცხადად წარმოაჩინა ურწმუნობის გამო მოსალოდნელი სასჯელი:

„წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან, დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი. მას უსმინე...⁵⁹ და რადგან არ ისმინეთ თქვენი უფალი ღმერთის ხმა,⁶⁰ ალგვილი იქნებით თქვენი სამკვიდრებელიდან, ყველა ენას შორის გაგფანტავთ უფალი, ქვეყნის კიდიდან მეორე კიდემდეც კი;⁶¹

⁵⁹ || შჯულ. 18: 15;

⁶⁰ პერ. 28, 58; – „თუ არ შეასრულებ ამ რჯულის ყველა სიტყვას“;

⁶¹ პერ. || შჯულ. 28: 63-64; – „აღმოიფხვრებით იმ მიწიდან, რომლის დასამკვიდრებლაც მოხვედით. გაგფანტავთ უფალი ყველა ხალხში ქვეყნის კიდიდან ქვეყნის კიდემდე“;

ენათა⁶² შორისაც ვერ ნახავთ შვებას, ფერხთა ქვეშ საყოფიერო გამოგეცლებათ; ღმერთი გულს დაგინაღვლიანებთ და თვალებს ჩაგიქრობთ; სული გექნებათ შენუხებულის; და თქვენი ცხოვრება თქვენს წინაშე ბენჯზე იქნება დაკიდებული; დღისით და ღამით შეგეშინდებათ; დილით იტყვი, – როგორი იქნება სალამო? სალამოს, – როგორი იქნება დილა? – იმისი შიშით, რითაც თქვენი გული იქნება სავსე, იმის ხილვისგან, რასაც თქვენი თვალები იხილვენ⁶³.

მესიის ასე ჯიუტად არმიმღებნი, ასეთი მძიმე ბრალდებებითა და ცხადი მოწმობების უარყოფით დამძიმებულნი, ქვეყნიერებაზე მიმოიფანტნენ ებრაელები, რათა, სანამ მთელი სამყარო ქრისტესკენ არ მოიქცევა, ამ სამყაროს მოქცევას ემსახურონ როგორც ნიმუშნი უარმყოფელობისა. და, როცა აღსრულდება ჟამი და მოვა დრო ნუთისოფლის აღსასრულისა, თვითონაც შეუერთდებიან გადარჩენილთა რიცხვს, როგორც ღვთაებრივი პავლე ბრძანებს.

⁶² ლაპარაკია უცხო წარმართ ხალხებზე; სიტყვა „ენა“ ბიბლიურ ლიტერატურაში, ბიბლიის ძველ თარგმანებში, ხშირად გვხვდება ხოლმე როგორც „ერის“ სინონიმი;

⁶³ პერ. II შჯულ. 28: 65-67; – „ვერ იგრძნობ შვებას იმ ხალხში და არ ექნება შესვენება შენს ფეხებს. გარგუნებს იქ უფალი მხდალ გულს, დავსებულ თვალებს და მწუხარე სულს. მბენჯზე ეკიდება შენს წინ შენი სიცოცხლე, შიში იქნები დღისით და ღამით, დაგეკარგება სიცოცხლის სასო. დილით იტყვი: ნეტავ სალამო იყოს! სალამოთი იტყვი: ნეტავ დილა იყოს! იმ შიშის გამო, რითაც სავსე გექნება გული და იმ სანახავის გამო, რასაც დაინახავ“;

იოანეს უკანასკნელი წლები. მეორე დევნა

ქრისტეს ეკლესიას სჭირდებოდა ეს დამოწმება, – იმიტომ, რომ, ამავე მოციქულის თანახმად, ცრუ მასწავლებლები უკვე იწყებდნენ გამოჩენას, და ერესები იმიტომ უნდა წარმოშობილიყო, რათა მათ უარსაყოფად რწმენაში დახელოვნებულნიც გამოჩენილიყვნენ. იერუსალიმის დაცემამ, ტაძრის საბოლოო დანგრევამ, პირველი ქრისტიანები, რომელნიც იუდეველობას ეფუძნებოდნენ, ძველი აღთქმისეული ადათებისაგან მაშინ განდრიკა, როცა დარწმუნდნენ, რომ ძველი უკვე ნავიდა და ყველაფერი ქრისტეში უნდა განახლდეს. პელში, სადაც იერუსალიმის დაქცევის გამო გაიქცნენ ისინი, ევიონის ერესი წარმოიშვა. იგი თითქოს პეტრეს ეწინააღმდეგებოდა, ქრისტეს ღმერთობას უარყოფდა და მის ხელისუფლებას მკრეხელურად სატანის ხელისუფლებასთან გათანაბრებულად წარმოადგენდა, პირველს თანამედროვე, ხოლო მეორეს მომავალი ჟამის მეუფედ აცხადებდა. მის მსგავს მკრეხელობას მცირე აზიაში ჯოჯოხეთის სხვა მოციქული, – კერინფი ავრცელებდა; მის დაუმარცხებელ მონინაღმდეგედ უფლის საყვარელი მოწაფე – იოანე წარმოდგა, – იგი, ვინც მთელი ქვეყანა მოიარა და სმირნაში, პერგამოში, ლაოდიკიაში, სარდში, თიატირაში, ფილადელფიაში ახალი ეკლესიები დააარსა, ვინც ეფესოს ეკლესიას, პავლეს დაფუძნებულს, იქ პირადად ყოფნით განამტკიცებდა. ფილადელფიაში იოანე ამხელდა ნიკოლაელებს, რომლებიც ხორციელ ტკბობას ეძლეოდნენ. მათ სახელი შვიდთაგან ერთ-ერთი დიაკონის, – ნიკოლოზ ანტიოქელისაგან უსამართლოდ დაირქვეს და გრძნობიერებით აღსავსე ურთიერთობისდა ნიშნად ერთმანეთის ცოლებს იყოფდნენ.

და იმ დროს, როცა მცირე აზიაში ნიკოლაელთა სექტა ვნებებს ასე სამარცხვინოდ ეძლეოდა, ეგვიპტეში სრულიად



განსხვავებული საზოგადოება წარმოიშვა; მისი წევრები წმიდა ცხოვრებისა და განუწყვეტელი ლოცვების გამო თავს თერაპევტებს უწოდებდნენ. ისევე, როგორც ევსეველთა მცირე რაოდენობა, რომელიც პალესტინაში ორი მძლავრი სექტის, - ფარისევლებისა და სადუკეველებისაგან სულიერი ცხოვრებისაკენ განსაკუთრებული მიდრეკილებით გამოირჩეოდა, უდაბნოში მდებარე ტბა - მერისის ნაპირებთან მრავალი იუდიეველი განმარტოვდა იმისათვის, რომ თავი მთლიანად ღმერთის შემეცნებისათვის მიეძღვნა. კაცები და ქალები ცალ-ცალკე მოწყობილ სავანეებში ცხოვრობდნენ, ქორწინებას თავს არიდებდნენ, დღეებს ხელსაქმეში ატარებდნენ და განსაზღვრულ საათებში საერთო ლოცვისათვის იკრიბებოდნენ. როცა პირველი ალექსანდრიელი ეპისკოპოსის, - წმიდა მარკოზის სახარებამ ეგვიპტის სიბნელეში შეანათა, მაშინ თერაპევტები სხვაზე უფრო ადრე შეუერთდნენ ქრისტეს ეკლესიას, - იმიტომ, რომ ცხოვრების წმიდა წესმა ღმერთის შესამეცნებლად ადრიდანვე განაწყო, ხოლო ძველი აღთქმა ახალმა აღთქმამ გაუხადა ნათლად გასაგები.

მათი სავანეები ალექსანდრიის შემოგარენებშიც არსებობდა, ამ სავანეებმა წმიდა მახარებელ მარკოზის შთამომავლების: ეპისკოპოს ანიანის, ავილიის, კერდონეს დროს იმ მონასტერთა ჩანასახების როლი შეასრულა, რომლებიც შემდგომ ასე გაბრწყინდა ეგვიპტეში.

ისევე, როგორც ოდესღაც სამარიასა და რომში სიმონ მოგვი, ანტიოქიის მიდამოებში მისი მოწაფე - მენანდრე, აგრეთვე, წარმართულ სამყაროში ცნობილი აპოლონიუს ფიანელი, პირველ ერესთა გავრცელებას უწყობდნენ ხელს. თავიანთი მოგვობით ქრისტეს ჭეშმარიტი სასწაულების მორწმუნე მოწაფეებს აშფოთებდნენ; მოწაფეებს, როგორც ეს „საქმე მოციქულთაგან“ ჩანს, მოგვები ყველგან ხვდებოდათ; - იმიტომ, რომ უკუნეთის სამეფო, დაცემის პირას ქვეყნიერებაზე გადაშლილი მადლის სამეფოს წინააღმდეგ მყოფი, მთელი თავისი ცრუ ნიშნებით შეიარაღდა. „რამ ძეს ჩვენი და შენი,



იესო, ძეო ღმრთისაო? ვიცით, ვინცა ხარ, - ღმრთის წმიდა, დაგვანებე თავი, რად მოხვედი აქ უწინარეს ჟამისა ჩვენს სატანჯველად?"⁶⁴ - იყვირეს ერთ დროს დემონებმა, რომლებიც მაცხოვარმა განდევნა და ამაოდ ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ მოციქულებს, რომელნიც ნათლად ამბობდნენ, რომ ისინი კიცხავენ არა სისხლსა და ხორცს, არამედ, უკუნეთის მეუფეებს, რომელნიც ამა ჟამსა შინა მეუფებენ, - ცისქვეშეთში მყოფ სულებს ბოროტებისა; და ამიტომ ყველას მოუწოდებდნენ, რომ ღვთის საჭურველით აღჭურვილიყვნენ, რათა ეშმაკის სასჯელს გადარჩენილიყვნენ. ძველ ცოდვილთა უკანასკნელი იმედი ელინი ფილოსოფოსების წარმავალი სიბრძნე იყო. მაგრამ საეპისკოპოსო კათედრებზე, თავიანთთემხრივ, მოციქულთა ისეთი შთამომავლები ახოვნობდნენ, რომელნიც ზეადამიანური სიბრძნით იყვნენ შემოსილები.

ასეთი იყო წმიდა კლიმენტი, რომის პაპი, - ქადაგების საქმეში პავლეს მიმდევარი, რომელმაც თავის მიერ გაგზავნილი ეპისკოპოსის, - დანიელისა და ორი პრესვიტერის მეშვეობით გალიამდე განავრცო ქადაგება; რომში კი თავად მოღვაწეობდა და ღვთის სიტყვასთან წარმართული სამყაროს მრავალი დიდებული მოჰყავდა. მის დროს იერუსალიმის სინმიდეები გამარჯვებულებმა რომში გადაიტანეს და იუდეველთა დაცემამ ქრისტიანთა რაოდენობის ზრდა გამოიწვია. კლიმენტის დაუკავშირდა კორინთოს ეკლესიაც, რომელსაც ის შინა განხეთქილებანი სტანჯავდა, რაც პავლეს წასვლის შემდეგ ზოგიერთი მასწავლებლის გონებრივი შესაძლებლობების შესახებ დიდმა წარმოდგენამ გამოიწვია. ღვთაებრივი მოციქულის მიბაძვით კლიმენტიმ კორინთელთა მიმართ ვრცელი ეპისტოლე დაწერა, მასში სიმშვიდის სიკეთე, განხეთქილების სავალალო შედეგები წარმოაჩინა და დაანახა კორინთელებს მოვალეობა, რომელიც მწყემსთა მიმართ მორჩილებას გულისხმობს და მოციქულთა წამების მაგალითებით ქრისტიანულ სათნოებათაკენ მოუწო-

⁶⁴ კერ. მათ. 8: 29, - „რა ჩვენ და შენ, იესო, ძეო ღმრთისაო? ვადაზე ადრე მოსულხარ ჩვენს სატანჯველად“;



და. კლიმენტი არ გაამპარტავებულა იმის გამო, რომ სხვა საეპისკოპოსოებში მორწმუნეები მის პირად ღირსებას ენდობოდნენ. თითქოს საკუთარი თავი დავინწყებიაო, ისე თავმდაბლურად იწყებს ეპისტოლეს: „ღმრთის ეკლესია რომში ღმრთის ეკლესიას კორინთოში“, – და ეს ეპისტოლე კორინთოში პავლეს ეპისტოლეთა დონისად მიიჩნეოდა დიდხანს.

აღმოსავლეთში ასეთივე სახელით სხვა ეპისტოლე სარგებლობდა, – მოციქულ ბარნაბასი. ბარნაბა მკვდრეთით აღდგენილ ლაზარესთან ერთად კვიპროსში დამკვიდრდა. ეს ეპისტოლე იერუსალიმის დაცემის შემდეგ მორწმუნე იუდეველების მიმართ დაიწერა, რათა უფრო დარწმუნებულიყვნენ ისინი, რომ ქრისტეს განსხეულება აუცილებელი იყო და ძველი აღთქმის ზოგიერთი რიტუალის სიმბოლური მნიშვნელობის მინიშნება განემარტა. მოციქულთა საუკუნიდან შემოგვრჩა ასევე სამი წიგნი ერმისა. ეს წიგნები კლიმენტის დროებაში რომის ეკლესიას ეკუთვნოდა. მათში სძალი, რაც ეკლესიას გამოხატავს, თავის ხილვას უამბობს, ხოლო მწყემსის სახით მოვლინებული ანგელოზი შეაცნობინებს, თუ რატომაა, რომ ყველა წიგნი ერთი სახელით – მწყემსისად არის ცნობილი. ამავე დროს აკუთვნებენ ათენის პირველი ეპისკოპოსის, – წმიდა დიონისე არეოპაგელის ქმნილებებს, ზეციური იერარქიის შესახებ, თუმც, პირველ საუკუნეთა მწერლები არ ადასტურებენ, რომ ისინი დიონისე არეოპაგელისაა. თავად კლიმენტი რომაელს მიაწერენ პირველსაწყის კრებულს მოციქულთა კანონებისა, რომლებიც უშუალოდ მოციქულთაგან ჰქონდა მოსმენილი და რასაც საეკლესიო კანონმდებლობისათვის იყენებდნენ, – იმიტომ, რომ მოციქულების მცნებით, რომელნიც ზეპირად უფრო ქადაგებდნენ, ვიდრე – წერილობით, ძველ დროთაგან ზეპირი გარდამოცემა ისევე წმიდად ინახებოდა, როგორც – წერილობითი.

ამ დიდებული ადამიანის, – კლიმენტის სწრაფვამ, მოექცია სახელგანთქმული თანამოქალაქენი, მის მიმართ სასტიკი კეისრის, – დომიციანეს უკმაყოფილება გამოიწვია, – ქრისტეს



ეკლესიის წინააღმდეგ იგი ნერონის მსგავსად ამხედრდა. კდრეწული მენტი, რომელსაც წარჩინებული წარმოშობის გამო, როგორც ჩანს, მაინც პატივს სცემდნენ, შორეულ ტავრიდაში გადაასახლეს. იქ, მას შემდეგ, რაც რწმენისაკენ ხერსონესი შემოაქცია, მორიგი დევნილობის შემდეგ წამებით გარდაიცვალა. მისი პირველი შთამომავლები, ისევე, როგორც შთამომავლები წმიდა მარკოზ ალექსანდრიელისა, – წმიდა ევარისტი, ალექსანდრე და სიქსტი, მსოფლიო ეკლესიაში ნაკლებად იყვნენ ცნობილნი. მაგრამ იერუსალიმში ჯერაც ფხიზლობდნენ ქრისტეს თანამედროვენი, – ასი წლის ეპისკოპოსი სიმონი და ანტიოქიის პირველი ეპისკოპოსის, – ევოდის შემცვლელი – წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი, რომელიც ასე იმიტომ იწოდა, რომ გულში ღრმად ატარებდა ხსოვნას მაცხოვრისა, რომელმაც ოდესღაც მასთან მიყვანილ სხვა ყრმებს შორის მყოფი დალოცა იგი. და ეფესოში ჯერაც ცოცხალი იყო თვით ის მოციქული, რომელიც მაცხოვარს უყვარდა.

ქრისტეს შობიდან 96-წელი

მეორე დევნის დროს იოანეს ელოდა დიდება, რომ ღვთაებრივი მასწავლებლის სახელისათვის აღმსარებლად⁶⁵ შექმნილიყო, – ისევე, როგორც პეტრეს და პავლეს წილად ხვდათ, რომ პირველი დევნა თავიანთი მოწამეობრივი აღსასრულით დაეგვირგვინებინათ. ვარაუდობენ, რომ მესიის მსოფლიო გამეფების შესახებ წინასწარმეტყველებამ შიში გაუჩინა დომიციანეს. რომში მრავალი სახელოვანი ადამიანი ეწამა. უკანასკნელი მოციქული დედაქალაქში გამოიძახეს. იქ მან, ნაცემმა, სასიკვდილო სანამლაღი ისე შესვა, რომ ზიანი არ მოსვლია, როგორც ეს მაცხოვარმა აღუთქვა და შეშინებული კეისრის გამაოგნებლად უვნებლად გამოვიდა მდულარე

⁶⁵ ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში ტერმინი – „აღმსარებელი“ „მოწამის“ სინონიმად გამოიყენებოდა...



ზეთის ქვაბიდან. კეისარმა იგი, დატუსალებული, პატმოსზე გააგზავნა. დევნა შემცირდა მაშინ, როცა ბოლოს დომიციანესთან დავითის უკანასკნელი იურესალიმელი შტოს შთამომავლები, – მოციქულ იუდას ორი ძმის შვილი, – უფლის ძმის, მესიის შორეული ნათესავები მიიყვანეს, კეისარი ისე იყო შეშინებული, როგორც ოდესღაც – ჰეროდე. იგი ქრისტეს სამეუფოზე ეკითხებოდა და გაოგნებულმა ისეთივე პასუხი მიიღო, როგორიც ოდესღაც პილატემ, – რომ ის სამეუფო ამა სოფლისა არ არის; მათ მემკვიდრეობაზე ჰკითხა და გაუშვა ზიზლით, როცა მიუგეს, რომ ამ ქვეყანაზე მთელი მათი ქონება არის პატარა ბალი, რომელსაც საკუთარი ოფლის ღვრით უვლიან.

პატმოსზე კეისრის გარდაცვალებამდე მოციქულ იოანეს ყოფნას მრავალი სასწაული სდევდა თან. იგი მკურნალობით ქველმოქმედებდა. პატმოსზე განმარტოებულ თავის საყვარელ მონაფეს უფალი ეწვია ღვთიური გამოცხადებით, რაც იოანემ აპოკალიფსისში აღწერა. ამა წიგნის საგანი არის გამომსყიდველ კრავთან გველის, ედემის მაცდურის, დამარცხება; ქრისტიანობისა და სამყაროს ბედი გახსნილია იმდენად, რამდენადაც ეს მორწმუნეთა სანუგეშებლად და იმის ასახსნელად არის საკმარისი, თუ რად გრძელდება დევნა.

ამდენად, წიგნში არის ახსნა მთელი წმიდა წერილისა. მასში ნაჩვენებია სახე ზეციური ღმრთისმსახურებისა, რომლიდანაც არის გადმოღებული მიწაზე საღვთო მსახურება, – ისევე, როგორც მოსემ მოაწესრიგა ყოველივე იმის შესაბამისად, რაც სინაის მთაზე, – ნისლში იხილა; გველისა და მის იარაღთა სამსჯავროს წინ წიგნში მოჩანს შვიდი ბეჭედი, შვიდი საყვირი, შვიდი თასი მრისხანებისა; ამას მოჰყვება საღვთო ქორწინება კრავისა და სამყაროს განახლება. წიგნი იოანეს წინაშე თავად უფლის ბრწყინვალე გამოცხადებითა და უფლის ანგელოზებისადმი, ანუ აზიის შვიდი ეკლესიის ეპისკოპოსებისადმი მიმართვით იწყება, ისინი ყველა ადგილისა და დროის ეკლესიას განასახიერებენ. ესენი არიან: ეკლესია ეფესოსი,



რომელშიც ჯერაც მღვიძარებდა ტიმოთე, — პავლეს მონაწილე, სმირნისა, — იოანეს მონაწილე, — ნმიდა პოლიკარპეს მიერ მონაწილე, თული, პერგამოსი, თიატირისა, სარდიისა, ფილადელფიისა და ლაოდიკიისა.

იოანემ ცხოვრების ბოლო წლები ეფესოში გაატარა მშვიდად, ეფესო იყო მოწმე იმ ნაზი სიყვარულისა, რაც ქრისტეს სახარების გზით შობილ თავის სულიერ შვილთა მიმართ ამოქმედებდა მოციქულს. ერთხელ ქალაქის შემოგარენში ერთ ყმანვილს შეხვდა. ყმანვილმა კეთილი თვისებებით მიიპყრო მისი ყურადღება. იოანემ ცხოველი ყურადღება გამოიჩინა მის მიმართ და იმ ადგილის ეპისკოპოსს დაავალა, რომ ნმიდა ნათლობით განენათლებინა იგი. ეპისკოპოსმა, რომელიც დასაწყისში მწყემსური გულისხმიერებით ეკიდებოდა ამ საქმეს, შემდეგ ყურადღება მოადუნა და ახალგაზრდა, რომელიც მღელვარე ასაკის მთელ მღვრიე ვნებებს იყო აყოლილი, სწრაფად დაექანა ცოდვის საფეხურებზე და ბოლოს ყაჩაღთა მეთაური გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ისევ მიმდებარე ეკლესიების მოსახალხლებლად იყო, იოანემ მიბარებული ვალის შესახებ ჰკითხა ეპისკოპოსს. მოხუცმა ჯერ ვერ გაიგო კითხვა და დუმდა. როცა გასაგები გახდა, რომ სიტყვანი ესე დაღუპული ძმის სულს შეეხებოდა, აცრემლებულმა მიუგო: „მოკვდა ახალგაზრდა“. „როგორ?“ — ნამოიძახა იოანემ. „ის ღმერთს მოუკვდა“, — მიუგო ეპისკოპოსმა, — „ეკლესია მიტოვებული ჰყავს და ამ მიდამოებში დათარეშობს“. — „ასე დაიცავი ძმის სული?“ — ნალვლიანად წარმოთქვა მოციქულმა, მაშინვე ცხენი მოითხოვა, ყაჩაღთა მღვიმისაკენ გაეშურა და ბრძანა, რომ მათ მეთაურთან მიეყვანათ. შეძრწუნდა ახალგაზრდა, როცა ღვთაებრივი სახე დაინახა და გაიქცა; მაგრამ იოანე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მიჰყვა მას და უძახოდა: — „შვილო, რად გაურბიხარ უიარაღო მოხუცს? მოიქეცი, ჯერაც არის იმედი, მე გიშუამდგომლებ ღმერთთან“. ახალგაზრდა შედგა და იოანეს ფერხთა წინაშე მომნანიედ დაეცა. მაგრამ იოანე თვითონვე მოეხვია მუხლებზე, ევედრებოდა, არ დაეკარგა გადარჩენის

იმედი და, მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღე მასთან ერთად მარხვასა და შემმუსვრელ ლოცვაში გაატარა, იგი ეკლესიის წიაღში დააბრუნა.

მოციქული უკვე ას წელს იყო მიტანებული და, თავისი ღვთაებრივი მასწავლებლის მსგავსად, სახარებას ჯერაც ზეპირად ქადაგებდა. დიდხანს ვერ ბედავდა, წერილობით გადმოეცა იგი, – სანამ, ბოლოს, აზიის ეპისკოპოსთა და მრავალი ეკლესიის დამაჯერებელი შუამდგომლობის შემდეგ არ დათანხმდა. მაგრამ ჯერ საზოგადო მარხვა დაუდგინა საძმოს და ლოცვას ითხოვდა მათგან. და მაშინ სულიწმიდის შთაგონებით გაისმა იოანეს საოცარი სიტყვები: „დასაწყისში⁶⁶ იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი“. იოანე ბერძნულ ენაზე წერდა, ყველა ხალხისათვის ყველაზე უფრო მეტად მოსახმარისი ბერძნული იყო. რადგან იცოდა, რომ ევიონისა და კერინფის მიმდევრები მათეს სახარებას ამახინჯებდნენ, – იესოს ღმერთობას უარყოფდნენ და მას როგორც მხოლოდ ძეს კაცისას წარმოსახავდნენ, იოანემ სხვა მახარებლებზე უფრო მეტად გამოხატა მესიის ღმრთეება, მამასთან მისი თანაარსობა, გამომსყიდველი მსხვერპლის საიდუმლო, რომელიც პურისა და ღვინის სახით მოგვეცა, რაც არსებითად ქრისტეობის სისხლი და ხორცია ქრისტესი, და – დიდება აღდგომისა. ამ განწყობილებით დაწერა სამი ეპისტოლე, რომელშიც დამაჯერებლად მიმართავს მორწმუნეებს: „ჩვენ გიქადაგებთ იმის შესახებ, რაც მოგვისმენია, რაც ჩვენი თვალთ გვინახავს, რასაც დავეკვირვებოვართ და ჩვენი ხელით შევხებივართ, ე. ი. სიცოცხლის სიტყვაზე; იმიტომ, რომ სიცოცხლე გამოჩნდა და ჩვენ ვიხილეთ და ვმონებთ და გაუწყებთ თქვენ სიცოცხლეს ამას მარადიულს⁶⁷. შვილნო ჩემნო, ამას გწერთ თქვენ, რათა არ სცოდოთ, ხოლო თუ ვინმე სცოდავს, ქომაგი გვყ-

⁶⁶ ავტორისეულ ტექსტში ნახმარია სიტყვა – „В начале“, – „დასაბამად“;

⁶⁷ პერ. I იოან. 1: 1-2, – „რომელიც იყო თავდაპირველად, რომელიც ვისმინეთ და ჩვენი თვალთ ვიხილეთ, რომელსაც ვჭვრეტდით, და ჩვენი ხელით ვეხებოდით სიცოცხლის სიტყვას. და სიცოცხლე ცხად იქმნა, და ჩვენ ვიხილეთ და ვმონებთ, და გაუწყებთ თქვენ საუკუნო სიცოცხლეს“;



ავს მამის გვერდით, იესო ქრისტე მართალი⁶⁸, ყოველს, ვინც უარყოფს ძეს, არც მამა ჰყავს; და ვინც ძეს აღიარებს, მამაც ჰყავს⁶⁹, სული ღვთისა და სული ცდუნებისა ასე იცანით: ყოველი სული, რომელიც აღიარებს იესო ქრისტეს, – მოსულს ხორციელად, ღმერთისაგან არის; ხოლო არმცნობი მისი ანტიქრისტიეთა სულია⁷⁰, რომელზეც ნათქვამია, რომ ის მოვა და უკვე არის ქვეყანაზე⁷¹. ღვთის მიერ შეყვარებულებმა შევიყვაროთ ერთმანეთი, რადგან სიყვარული ღმერთისაგანაა და ღმერთი არის სიყვარული⁷².

ქრისტეს შობიდან 99-ე წელი

სიყვარულის მოციქული ამ დამაჯერებელ სიტყვებს განუწყვეტელად იმეორებდა. როცა წელთა სიმრავლისაგან დაუძღურდა, მონაფეებს დაჰყავდათ ეკლესიაში, სადაც მხოლოდ ამას ამბობდა – გვიყვარდეს ერთმანეთი⁷³. ერთხელ ჰკითხეს: – „სულ ამ სიტყვებს რად იმეორებ?“ – „ასეთია მცნება ქრისტესი“, – მიუგებდა მოხუცი, – „საკმარისია, ეს აღვასრულოთ“. ეფესოში იდუმალებრივად დასრულდა იოანეს ცხოვრება, – ისე, რომ ბევრს არც სჯეროდა მისი გარდაცვა-

⁶⁸ | იოან. 2: 1;

⁶⁹ | იოან. 2, 23;

⁷⁰ ტექსტში – „Дух антихристов“ ;

⁷¹ პერ. | იოან. 4: 1-3, – „საყვარელნო, ყველა სულს ნუკი ენდობით, არამედ გამოსცადეთ, ღმერთისაგან არიან თუ არა სულნი, იმიტომ, რომ მომრავლდნენ ცრუნინასწარმეტყველნი ქვეყნად. ამით იცნობთ ღმრთის სულს: ყოველი სული, რომელიც აღიარებს იესო ქრისტეს, ხორციელად მოსულს, ღმრთისაგან არის. ხოლო ყოველი სული, რომელიც არ აღიარებს იესო ქრისტეს, ხორციელად მოსულს, ღმრთისაგან კი არ არის, არამედ ესაა ანტიქრისტეს სული, რომლისთვისაც გსმენიათ, რომ მოვა და მოვიდა კიდეც ქვეყნად“.

⁷² პერ. | იოან. 4: 7-8, – „საყვარელნო, გვიყვარდეს ერთმანეთი; ვინაიდან სიყვარული ღმრთისაგან არის, და ყველა, ვისაც უყვარს, ღმრთისაგან შობილია, და იცნობს ღმერთს. ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია“;

⁷³ იბ. | იოან. 4: 11; 4, 7: 4, 23;



ლება, რადგან ახსოვდათ მაცხოვრის მიერ მოციქულთაგანის მიმართ ნათქვამი სიტყვები: „თუკი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, შენ რა? შენ მე გამომყევ“⁷⁴.

⁷⁴ იოან. 21: 22;

სამოციქულო ეკლესია

იოანე ღვთისმეტყველის ნეტარი აღსრულებით დასრულდა ქრისტიანობის პირველი საუკუნე, რომელსაც მოციქულებისა იმიტომ ეწოდება, რომ ისინი უშუალოდ ქადაგებდნენ. უფლის მოხუცებული თანამედროვე – სიმონი და ღმერთშემოსილი ეგნატელა იყვნენ ჯერაც დარჩენილნი. მაგრამ აღარავინ იყო თორმეტთაგან, აღარც სამოცდაათ მონაფეთაგან დარჩენილი იყო ვინმე, ვინაც ქრისტეს ხარებისა და სასწაულთა შესახებ დამონმებას შეძლებდა.

პირადი მონმოზა გარდამოცემამ შეცვალა, ზეპირი ხარება წერილობითი აღიბეჭდა. მათეს სახარება, ქრისტეს ამაღლებიდან რვა წლის შემდეგ ებრაულად დაწერილი, რომელიც მესიის წარმომავლობასა და მასზე წინასწარმეტყველთა მინიშნებებს გვიჩვენებს, აკმაყოფილებდა აღმოსავლეთის ქრისტიანებს. დაახლოებით ოცი წლის შემდეგ რომში მოციქულ პეტრეს თანამეგზურმა, – წმიდა მარკოზმა, როგორც ზოგერთებს მიაჩნიათ, ლათინურ ენაზე გამოხატა კაცთა მოდგმისადმი მესიის საზეიმო მსახურება; ხოლო წმიდა ლუკამ, – პავლეს მონაფემ, ბერძნულ ენაზე უფრო მეტი სისრულით შემოინახა არა მხოლოდ ახალი აღთქმისეული მოვლენები, არამედ, – მოციქულთა საქმეები; იოვანეს სახარებამ პირველი სამი სრულყო; ყველა ამან, მოციქულთა საქმეებმა, იოანეს აპოკალიფსისმა, მისმა სამმა და პავლეს თოთხმეტმა, პეტრეს ორმა საყოველთაო, იაკობისა და იუდას თითო ეპისტოლემ, შეადგინა ღმერთისაგან ადამიანისადმი ბოძებული ახალი აღთქმის სრული მონმოზა, რომლისთვისაც მომდევნო საუკუნეებში ველარაფრის მიმატება ველარ გაბედეს.

სულიერი სარბიელიდან ჯერაც არ ჩამოსულიყვნენ მოციქულები, მახარებლები და წინასწარმეტყველები, რომლებსაც სარწმუნოების პირველგასავრცელებლად სასწაულთა და ენა-



თა ისეთი განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდათ ღმერთისაგან ეყოლილნი მადლებული, რომ ეკლესიის მარადიული იერარქია და წმიდა მღვდელმსახურება უკვე მათ თვალთა წინაშე ჩამოყალიბდა. ასე აღსრულდა წინასწარმეტყველება მალაქიასი, რომელმაც ქრისტემდე 500 წლით ადრე გვაუწყა, რომ „მზის აღმოსავალიდან ვიდრე დასავალამდე სახელი უფლისა განდიდება ენათა შორის და ყოველ ადგილზე საკმეველი მოერთმევა მის სახელს და მსხუერპლი წმიდა“⁷⁵; ასევე აღსრულდა უფრო ძველი წინასწარმეტყველება ესაიასი, რომელიც ახალ სამღვდელოებას ეხებოდა, ახალ სამღვდელოებას ძველი აღთქმისეული ლევიტელები უნდა შეეცვალა; და უნდა შემოსულიყო ახალი სახელი (ქრისტიანები),⁷⁶ რომლითაც მორწმუნეები იწოდებიან და კურთხეულია ქვეყანაზე.

როგორც ამას „საქმე მოციქულთა“ და მოციქულთა ეპისტოლეები ცხადყოფს, ეპისკოპოსი, მღვდელი⁷⁷ და დიაკონი იყო ის სამი იერარქიული საფეხური, რომელიც ეკლესიის პირველსაწყისში იღებს სათავეს და რომელიც დღემდეა შემონახული. ამათგან პირველს, როგორც თავისი სამწყსოსა და სასულიეროთა⁷⁸ საკრებულოს, ე. ი. იმ ნაწილის მთავარ წინამძღვარს, რომელიც საეროთა დასამოძღვრად იყო არჩეული, ერთადერთს ჰქონდა უფლება, რომ ხარისხში აეყვანა სასულიერო პირები: მღვდლები, როგორც ქადაგების საქმეში და საიდუმლოთა აღსრულებაში დამხმარეები, დიაკონები, როგორც ქრისტეს სე-

⁷⁵ პერ. შუად.: „დიდი იქნება ჩემი სახელი ხალხებში მზის აღმოსავლეთიდან დასავლამდე; ყოველ ადგილას დაუკმევენ საკმეველს ჩემს სახელს და წმიდა ძღვენს შესწირავენ“, მალაქია, 1: 11; ...

⁷⁶ ესაიას წიგნში უთითებენ ძალიან ბევრ წინასწარმეტყველებას, რომელთა ნაწილი, ახალი აღთქმის წიგნების თანახმად, უკვე აღსრულდა, ნაწილი კი მომავალში უნდა აღსრულდეს (იხ. ესაია: 1: 27; 4: 2; 4, 3; 7: 14; 8: 10; 9: 1; 9, 6; 9: 7; 10: 22; 11, 1; 11: 2; 11: 10; 12: 2; 12: 3... 19: 25; 26 2; 26: 20... 32: 18... 43: 1; 43: 3; 43: 4; 43: 5; 43, 11... 44: 3; 44: 22; 43: „23... 52: 3; 53: 4; 53: 6... 60, 3; 62: 2; 63, 16... 65: 17 და სხვა);

⁷⁷ ანდრეი მურავიოვი ყველგან ხმარობს სიტყვას პრესვიტერი, რაც ჩვენ არაერთ შემთხვევაში თარგმნილი გვაქვს როგორც – მღვდელი;

⁷⁸ ავტორი სასულიერო პირთა და მათი კრებულის აღსანიშნავ ტერმინებად ძირითადად – „კლერიკალებს“, „კლირს“ იყენებს;



რობასა და უპოვართათვის ზრუნვაში დამხმარეები. ღარიბ ქალთა მიმართ ასეთივე პატრონობისათვის ეპისკოპოსები ღირსეულ, - მონიფული ასაკის მქონე ქვრივ ქალთაგან ღირსეულ კონსიებს ირჩევდნენ. სხვა საღვთისმსახურო მაღალი და დაბალი თანამდებობები შემდგომში თანდათან, - ქრისტიანული საზოგადოების მოთხოვნებისდა შესაბამისად ჩამოყალიბდა. მაგრამ მათში უკვე პირველ წლებში გამოირჩეოდნენ ასკეტები, ე. ი. მოსაგრენი, თავშემზღუდველნი, რომლებიც ქორწინებაზე უარს ამბობდნენ, სიღარიბის, მარხვისა და მუდმივი ლოცვის გზას ნებაყოფლობით ირჩევდნენ, უფლის ძმის, - იაკობისა და იოანე ნათლისმცემლის მსგავსად.

ქრისტიანულ ეკლესიაში ღმერთისადმი სულით შინაგან თაყვანისცემას გარეგანი ღვთისმსახურება ყოველთვის სდევდა თან. ამის საჭიროებას თავად ადამიანის არსება ცხადყოფს, - მას შინაგანი და გარეგანი მხარეები აქვს, ამის საჭიროებას საზოგადოებრივ მოწყობასთან შესაბამისობაში ყოფნის აუცილებლობა ცხადყოფს. ღირსება იმაშია, რომ შინაგან ღვთისმსახურებასთან იყოს თანხმობა. მისი არსებითი ნაწილები იესო ქრისტეს მიერ არის დადგენილი, შემდეგ, - უმთავრესები - მოციქულთაგან, სხვები - მათ მიმდევართა მიერაა დადგენილი. დასაწყისში იგი ძველ იუდაურ წესებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ თანდათან, როცა მისი საკუთარი განათლება სრულად განვითარდა, მით უმეტეს, როცა იერუსალიმის ტაძართან ერთად ძველი აღთქმისეული წესებიც დაირღვა, ადრე დადგენილ წესთაგან მხოლოდ ის იქნა შენარჩუნებული, რაც ახალ აღთქმასა და ქრისტიანობას თავისუფლად შეესაბამებოდა.

კეთილმსახურ შეკრებათა პირველი ადგილი იერუსალიმის ტაძარი იყო. აქ თავად მაცხოვარი ასწავლიდა და მოციქულები აღიოდნენ ხოლმე სალოცავად. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მოციქულთა პერიოდებში ქრისტიანული ღვთისმსახურება და საიდუმლო საკუთარ სახლებში სრულდებოდა. აქ, სხვათაშორის, საამისოდ განსაკუთრებული ადგილი ჰქონდათ შერჩეული.



საღვთისმსახუროს პირველი ნიმუში არის ის სენაკის სადაც იესო ქრისტემ ევქარისტის საიდუმლო დაადგინა, რომელშიც აც მოციქულები სულიწმიდას მოელოდნენ და სადაც მიიღეს იგი. პავლე მოციქული ასეთ სახლებს ჩვეულებრივ სახლებთან არ აიგივებს და მათ ეკლესიებად მოიხსენიებს. მოციქულთა დროის ბოლოს ეგნატე ღმერთმემოსილი ფილადელფელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში წერს, რომ ეკლესიას ერთი საკურთხეველი აქვს და მოციქულებთან და დიაკონებთან ერთად ერთი ეპისკოპოსი ჰყავს. მაგნეზიელთა მიმართ ეპისტოლეში მას ღმერთის ტაძრად მოიხსენიებს.

საერთოდ, მოციქულთა დროებაში, ღვთისმსახურთა საზოგადოებრივი საქმიანობა ლიტურგიად, ანუ მსახურებად იწოდებოდა. მაგრამ ამ სახელით ძირითადად ისეთ ღვთისმსახურებას იხსენიებენ, რომელშიც ევქარისტის საიდუმლო აღესრულება. პირველი ეკლესიის ლიტურგიკის წესი, რამდენადაც ცნობილია, წინამძღოლის განკარგულებაზე მრავალწილად იყო დამოკიდებული და მისი პირველი ნიმუში იერუსალიმის ეპისკოპოსის, - მოციქულ იაკობისაგან შემოინახა. ლიტურგია, რომელიც პავლე მოციქულმა ტროადაში აღასრულა, სწავლებით დაიწყო და დასრულდა, იგი მთელ ღამეს გრძელდებოდა. ლიტურგიას მიეკუთვნებოდა: წმიდა წიგნების კითხვა, გალობა, ლოცვა ცოცხალთა და მიცვალებულთათვის, რომელნიც ქრისტიანთა მართლმორწმუნეობის გამო დავინწყებულნი არასოდეს ხდებოდნენ, პროსკომიდია, ანუ პურისა და ღვინის შეწირვა, - იგი ხალხს მოჰქონდა მღვდელმსახურებთან, რათა მათ საიდუმლო აღესრულებინათ და უპოვართ შეწეოდნენ; ლიტურგიას მიეკუთვნებოდა შენაწირის კურთხევა მაცხოვრის სიტყვებით, რომლითაც საიდუმლოს წესებს ადგენდნენ, ლოცვა-კურთხევით იქ მყოფთათვის დიაკონთა საშუალებით ამ შენაწირის დარიცება. ხოლო შემდგომად ამისა იყო საერთო ტრაპეზი, რომელსაც ამა კრებულში სიყვარულის ტრაპეზი ეწოდებოდა.

როგორც სარწმუნოებისაკენ გადახსნილი კარი - ნათლობა ყოველთვის მრავალ ახალმოქცეულს ელოდა. ამიტომაც იგი



სრულდებოდა როგორც სახლებში, ისე მდინარეებზე, ხალხში. თა შეკრებებზე და სარწმუნოების მსახურთან განმარტობით. საიდუმლოს აღსრულებას სარწმუნოებაში დამოძღვრა და სიმბოლოს საშუალებით აღიარება უძლოდა წინ. მას იესო ქრისტეს სწავლებათა შესაბამისად, - წმიდა სამების მოხმობით და წყალში სხეულის შთაფვლით აღასრულებდნენ. ამას თავად სახელი ცხადყოფს ნათლისღებისა და - ის, რომ ნათლისღება ქრისტეს სიკვდილთან და დამარხვასთან არის შედარებული. წინადაცვეთის ნაცვლად ამა წესის დადგენა და მთელ ოჯახთა მაგალითები, მოციქულთა მიერ აღსრულებული ნათლობები, გვაფიქრებინებს, რომ ეს საიდუმლო ახალშობილ ბავშვებსაც ეცხადებოდა. ქრისტეში, ანუ ახალ ადამში, შემოსილობა, ზოგიერთების აზრით, თეთრი სამოსით ახალმონათლულთა შემოსვით იყო განსახოვნებული.

ნათლობას მოსდევდა ცხების ხელდასხმა, რომლის საშუალებითაც მორწმუნე სულიწმიდისაგან ხდებოდა ცხებული, მისგან იღებდა რწმენის სიმტკიცეს და სწორად მოიხმარებდა სულიერ ნიჭთ. ამგვარ ნიშნებში, რომლებიც საიდუმლოს სასწაულს წარმოაჩენდა, მირონცხების წესის გამოყენებას შეუდგნენ. ქრისტიანობის დასაწყის ხანაში საიდუმლო ესე უმეტესწილად მოციქულთა მიერ აღსრულებოდა. მაგრამ დიონისე არეოპაგელის მოწმობით, მას მღვდლებიც აღასრულებდნენ. იგი ქრისტიანს სულიერი ღვანლისათვის ამზადებდა, - იმის მსგავსად, როცა ქრისტესთვის მოღვაწენი სანახაობებზე იცხებდნენ ხოლმე ზეთს.

პირველ ეკლესიაში ნათლობის შემდეგ ცოდვაში ჩავარდნილთა მონანიებას, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახისა იყო დანაშაული, ერთნაირი სახე არ ჰქონია. მსუბუქ ცოდვებს, სისუსტეებს მართალნი აღიარებდნენ და დარიგებასა და ლოცვით დახმარებას ლებულობდნენ. მძიმე და მაცდუნებელი ცოდვები მთელი ეკლესიის წინაშე უნდა ყოფილიყო აღსარებული და ისინი წანამძღვრის ხელისუფლობით იხსნებოდა. ნაკლებად მძიმე ცოდვებს კი, რომლებიც ცდუნებასთან არ იყო დაკა-



ვშირებული, მღვდლის წინაშე მონანიება წმენდა, ამას დიონისე არეოპაგელი გვამცნობს.


მღვდლობის საიდუმლოსათვის ღირსეულთ ზოგჯერ საღვთო გამოცხადება წარმოაჩენდა, ზოგჯერ – ნილისყრა, ჩვეულებრივ კი – ეკლესიის თანხმობა. არჩეულები რწმენასა და ქცევაში გამოიცდებოდნენ ხოლმე, შემდეგ მოციქულთა ან ეპისკოპოსთა მიერ მარხვით, ლოცვითა და ხელდასხმით იკურთხებოდნენ. დიონისე ამას უმატებს საკურთხეველთან მუხლმოყრას იმისა, ვინც უნდა ეკურთხებინათ და ნიშანს ჯვრისა, რომელსაც მას საიდუმლოს აღმასრულებელი აძლევდა.

ქორწინების საიდუმლო გალილეას კანაში თავისი ყოფნით თავად უფალმა აკურთხა. ქორწინებისათვის ეპისკოპოსის ნებართვა იყო საჭირო, რათა უფლისმიერი ყოფილიყო ქორწინება და არა – ვნებისაგან აღძრული.

სნეულისათვის მღვდლები ზეთის ცხებას აღასრულებდნენ. ამას განკურნებისა და ცოდვათაგან გათავისუფლების იმედით ლოცვა ემატებოდა. ხის სუფთა ზეთი ამ შემთხვევაში მაღლის, მოწყალებისა და ღმერთთან შერიგების ნიშანი იყო.

ღვთისმსახურების საათები ეკლესიათა თანდათანობითი ჩამოყალიბებისა და შიდა წინააღმდეგობების გამო საერთო წესით ჯერ არ იყო დადგენილი. ზოგიერთი მაგალითი ცხადყოფს, რომ ლოცვისათვის იუდაური ჩვეულებისა და შესაბამისად ნაკურთხი იყო: მესამე საათი, ესე იგი, – დღის პირველი მეოთხედის ბოლო, რომელიც სულიწმიდის გარდამოსვლით აღინიშნა; – მეექვსე, რომელზეც პეტრემ, ვინც იოანესთან ერთად იერუსალიმის ტაძარში სალოცავად ადიოდა, კოჭლი განკურნა; ევქარისტიას, უსაფრთხოების გამო, ღამით აღასრულებდნენ, ეს იყო ჟამი ამა საიდუმლოსი, – აქედან დაიწყეს ღვთისმსახურებისას სანთლების გამოყენება.

ქრისტიანული ეკლესიის კეთილმსახურებას იმთავითვე ზოგიერთი ისეთი დღე განსაზღვრავდა, რომელიც სარწმუნოების დიად მოვლენებთან იყო დაკავშირებული და ნაწილობრივ



ეს იუდაური ეკლესიის მაგალითზე ხდებოდა. ქრისტეს აღდგომის დღემ, რომელიც უფლის სახელის დღით იყო ცნობილი, შაბათი შეცვალა. ამ დღეს ეკლესია ჩვეულებრივ საზოგადოებრივი ღმრთისმსახურებისათვის იკრიბებოდა. მაშინ მდიდრები თავიანთი მონაგებიდან ნაწილს საეკლესიო წყალობისათვის დებდნენ, როგორც ეს მოციქულმა პავლემ გალატიისა და კორინთოს ეკლესიებს დაუდგინა წესად. ამ დღეს იოანეს ჰქონდა ხილვა, რომელიც მის აპოკალიფსისში აღიწერა. უნდა ითქვას, რომ იუდეველთაგან გამოსულ მორწმუნეებს მთლიანად არ მიუტოვებიათ ძველი დადგენილებები და შაბათები. პასექის ახალი აღთქმისეული დღესასწაული ასევე ქრისტეს ვნებებისა და აღდგომის სადიდებლად იმართებოდა, იგი ძველი აღთქმის პასექიდან გარდაიქმნა. აღდგომიდან ორმოცდამეათე დღის, - სულთმოფენობის დღესასწაული იუდაური ეკლესიიდან არის გადმოღებული და სულიწმიდის გარდამოსვლის გახსენებას ემსახურება.

პირველი ქრისტიანები მარხვას ხშირად ინახავდნენ, უნდა ითქვას, რომ უმეტესწილად, - თავისუფალსა და სხვადასხვა დროისას. ისინი მარხულობდნენ, რათა ლოცვის შემძლენი გამხდარიყვნენ, მარხულობდნენ მნიშვნელოვან საქმეთა დაწყების წინ, უბედურებათა დროს. პასექის წინარე ორმოცდღიანი მარხვა, რომელიც ქრისტეს ვნებათა და აკლდამაში მის ყოფნას ეძღვნება, დამყარებულია მის სიტყვებზე: „მოვლენან დღენი, ოდეს ამალდდეს სიძე იგი მათგან, და მაშინ იმარხვიდენ მას დღესა შინა“⁷⁹. და ორმოცი დღე განსაზღვრულია მიბაძვით უფლისა, რომელმაც თავისი ნათლობის წინ ამდენივე იმარხულა.

სამოციქულო ეკლესიის ღმრთივგანგებულება შემდეგ წესებზეა დამყარებული: მორწმუნეებს ზუსტად უნდა დაეცვათ სწავლება, - მოციქულთა მიერ ბოძებული; შორს უნდა მდგარიყვნენ შეჯიბრებებისა და სიტყვით პაექრობისაგან, რომელთაგანაც წარმოიშობა შური, განხეთქილება და ძაგება;

⁷⁹ მარ. 2: 20; ლუკ. 5: 35;



ერეტიკოსებთან, მათი ყოველმხრივი მხილების შემდეგ, უნდა ჰქონოდათ ურთიერთობა, მდაბლად უნდა მისაღწეოდნენ მათ; როგორც ძუძუთა ბავშვებს, ისე შეეყვარებინათ სიტყვიერი რძე და ეცადათ, რომ გადასარჩენად შეუჩრებლად გაზრდილიყვნენ. ქცევაში მოეთხოვებოდათ, რომ ძლიერები სუსტებს შენეოდნენ და ერთმანეთი სიყვარულით აეტანათ; განეშორებინათ ყოველგვარი ის უბრალო რამ, რაც სუსტებს აცდუნებდა; მართლმორწმუნეებს წარმართულ სასამართლოთაგან თავი შორს უნდა დაეჭირათ და უთანხმოების შემთხვევაში საეკლესიო წინამძღვართათვის მიემართათ; უღირსნი და ურჩნი საზოგადოებისა და ტრაპეზისაგან განდევნილნი უნდა ყოფილიყვნენ, რათა შეერცხვინათ და გამოესწორებინათ ისინი. აშკარა ცოდვილები და მოუნანიებელნი, სახარების ძირეულ ჭეშმარიტებათა შემცვლელნი ეკლესიიდან საყოველთაო ტირილის ქვეშ ეკლესიის ერთობიდან განიკვეთებოდნენ.

მოციქულთა დროში ცალკეულ ეკლესიათა ერთიანობის განმაპირობებლად გვევლინება მშვიდობასა და სიყვარულში საყოველთაო კავშირი, სულიერსა და ხორციელ საჭიროებებში თანადგომა, განსაკუთრებული პატივისცემა ღვთაებრივ საწყისთან უახლოესის, - ეკლესიის მიმართ, რომელთა შორის, იერუსალიმისა იყო ყველაზე უფრო განსაკუთრებული, - მოციქულებისა და კრებების ჭეშმარიტი მსმენელი.

ქრისტიანობის მეორე საუკუნე

მესამე დევნა

მეორე საუკუნე ქრისტიანთათვის იმპერატორ ტრაიანეს მიერ წამოწყებული მესამე დევნით დაიწყო: ქრისტიანებმა აღმოსავლეთში ერთდროულად თავიანთი ორი მეოხი დაკარგეს. გაბოროტებულმა იუდეველებმა ასოცი წლის ეპისკოპოსი – სიმონი პროკონსულ ატიკთან დააბეზლეს, – ბრალი დავითთან სულიერ ნათესაობაში დასდეს და მან მრავალი ტანჯვის შემდეგ ჯვარცმა იწვნია, – ისევე, როგორც უფალმა, – მისმა ღვთაებრივმა ნათესავმა. იერუსალიმის კათედრაზე მისი ადგილი წმიდა იუსტმა დაიკავა. იგი ებრაული ტომიდან იყო, ისევე, როგორც, ადრიანეს დროს ქალაქის ახალ განადგურებამდე, – ყველა მისი შემცვლელი. კეისარმა ადრიანემ სხვა ეპისკოპოსის – ეგნატეს სიმტიკიცე პირადად გამოსცადა. როცა პართელთა დასამარცხებლად მიდიოდა, ანტიოქელ ქრისტიანთა თავს თავისთან მოუწოდა, რათა მისი დამორჩილებით სხვებიც დემორჩილებინა. – „ეს შენ ხარ, ვინც თავს ღმერთშემოსილად⁸⁰ მოიხსენიებს?“ – ჰკითხა ტრაიანემ, – „ჩვენი ბრძანებების მიუხედავად მთელ ანტიოქიას რომ რყვნი ქრისტიანობისაკენ მოწოდებით?“ – „მე ვარ“ – მიუგებდა ეგნატე, და მეორე კითხვაზე, თუ „რას ნიშნავს ღმერთშემოსილობა“, ისევ პასუხობდა: – „სულში ქრისტეს ტარებას“; – „ხომ არ გგონია,“ – ეპასუხებოდა მეფე, – „რომ ჩვენ არ ვატარებთ სულში ხსოვნას ჩვენი ღმერთების, რომელთაც გამარჯვება მოაქვთ?“ – „თქვენი ღმერთები“ – მიუგო ეგნატემ, – „წარმართული კერპებია! ჭეშმარიტი ღმერთი ერთია, – იგი, ვინც შექმნა ცა და ქვეყანა, ერთია უფალი – იესო ქრისტე, არ დასრულდება მისი მეუფება“. ტრაიანემ, როცა ნახა, რომ სარწმუნოების ასეთი გაბედული

⁸⁰ ტექსტში – „Богоносец“;



აღიარებით შეარცხვინა ეგნატემ, სასიკვდილო განაჩენი წარმოთქვა: – „ეგნატე, რომელიც ჯვარზე გაკრულ ღმერთს ატარებს სულში, შებორკილი წაყვანილ იქნას რომში, – ამფითეატრში მხეცთა საჭმელად!“

ანტიოქიის ეკლესია, რომელიც ეგნატეს ხანგრძლივი მმართველობისას შინაგანი და გარეგანი კეთილმონესეობით გაბრწყინდა და დამშვენდა იმგვარი გალობით, რომელიც ხილვაში ანგელოზთაგან მოესმინათ, ტირილით მიაცილებდა მიმავალ წამებულს. მხოლოდ ის ერთი მიდიოდა მხიარულად, თითქოს რომელსამე დღესასწაულზე მიემართებაო, რათა, პავლეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ანგელოზთა და ადამიანთაგან სახილველი გამხდარიყო⁸¹; თავისი სამწყსო დიაკონთაგან არჩეულ იერონს ჩააბარა, ათი მეომრისაგან შედგენილი დაცვის ქვეშ ზღვით ჩავიდა სმირნაში, სადაც იოანე ღვთისმეტყველის მონაფემ, – ეპისკოპოსმა პოლიკარპემ სიყვარულით მიიღო. იქ აზიის ეკლესიათა მწყემსები და დამწყემსილები შეიკრიბნენ, რათა ლოცვითი კავშირით ეგნატეს მონამეობის თანამონაწილენი გამხდარიყვნენ. სიტყვითა და ეპისტოლეებით ანუგეშებდა მათ. ეფესოს, მაგნეზიის, ტრალის, ფილადელფიის, სმირნის, რომის ქრისტიანებს, თვით – პოლიკარპეს სწერდა. ყოველ ეპისტოლეში ქრისტეს ღმერთობას აღიარებდა, ლოცვას ითხოვდა, სიყვარულისა და ერთი აზრისაკენ მოუწოდებდა ყველას. ამაღლევებლად ეხვეწებოდა რომაელებს, არ შემურებოდათ, რომ მონამეობის ბედნიერება ერგო; უხსნიდა, რომ ახლა არ იყო იმისი დრო, – სიყვარულის გამო ხელი შეეშალათ ღმერთისათვის შეეწირა მსხვერპლად თავი. – „მე არ მინდა, რომ მხოლოდ ვისხენიებოდე ქრისტიანად, – მინდა, სინამდვილეში ვიყო იგი. ყველა ეკლესიას ვამცნობ, რომ ჩემი სიკვდილი არ არის საწუხარი. ჩემი ნებით კვკდები, არ განმირისხდეთ. ხილული ჟამიერია, უხილავი კი – მარადიული. მომეცით ნება, მხეცთა საკვები გავხდე, ამით ღმერთს მივეახლები. გააღიზიანეთ მხეცები, რათა სამარხად შემექმნან და არაფერი და-

⁸¹ იხ. I კორინთ. 4: 9;



ტოვონ ჩემი სხეულიდან, დამმარხველებს სიმძიმეც კი დაუტოვონ. ოჰ, ნეტა რომში გავმხდარიყავ მხეცთა საკვეთი! მე ახლალა ვინცებ ქრისტეს მონაფეობას, – როცა მხოლოდ იგი ერთადერთი მწაღია. ცეცხლი, მახვილი, ჯვარი, ნამებანი, მხეცები, – ყველაფერი მომიმზადეთ, დაე, მივილო ქრისტე“.

ასეთი სიყვარულით იყო ეგნატე ქრისტესადმი აღვსებული. ჯერ კიდევ ქვეყნად ყოფნისას შეიგრძნო ზეციური ნეტარება. და ღირსი შეიქმნა სასურველი სიკვდილის. მის გადარჩენას ამოდ ცდილობდნენ რომაელი ქრისტიანები. მათთან ერთად ილოცა, რათა დასრულებულიყო დევნა და ამფითეატრისკენ გაეშურა. იქ მძვინვარე მხეცებმა დაგლიჯეს, – თითქმის არაფერი დაუტოვიათ. სუდარაში ცოტა ძვალი მაინც შეაგროვეს, რათა ანტიოქიის ეკლესია ენუგეშებინათ. მგლოვარეებს ღამით წმიდა მონამე გამოეცხადა, – მათ გადასარჩენად ლოცულობდა. და ღვარად წამოვიდა ცრემლები.

ქრისტეს შობიდან 106-ე წელი

დევნა მაშინ შესუსტდა, როცა ბითვინიის მმართველმა, – პლინიუსმა, რომელიც ამ ოლქის მცხოვრებთა შორის მოციქულ პავლეს ქადაგებათა მიერ მოქცეულ ბევრ ქრისტიანსა და იმ სიმტკიცეს ხედავდა, რომლითაც ქრისტიანებს რწმენისათვის სიკვდილი ძალუძდათ, იმპერატორთან მიწერილ წერილში თვითონ გაუწია მათ შუამდგომლობა. ტრაიანესთვის ცხადი გახადა, თუ აღმსარებლობის რა დაუძლეველი სიმტკიცე ჰქონდათ ქრისტიანებს, – მიუხედავად ასაკისა და სქესისა, მოითხოვდა, რომ გადაეწყვიტათ, თუ როგორ მოქცეოდნენ მათ, – იმითომ, რომ სასამართლოს წინაშე წარმდგარებში, სიჯიუტის გარდა, ვერავითარ დანაშაულს ვერ ხედავდა. „მთელი მათი ცდომა“, – წერდა პლინიუსი, – „ის არის, რომ კვირის ერთ გარკვეულ დღეს გათენებამდე ქრისტე ღმერთის სადიდებლად ჰიმნების სამღერად და უბრალო ტრაპეზობისათვის იკრიბე-



ბიან და ფიცით პირობას დებენ, რომ ცუდს არაფერს გააკეთებენ. ქრისტიანთა რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ ქალაქები და სოფლები გაივსო მათით.“

იმპერატორი მიუგებდა, რომ „ქრისტიანთა ძებნა არ არის საჭირო, მაგრამ, თუ ვინმე გამომჟღავნდება და არ დამორჩილდება, უნდა დაისაჯონ; თუ შესწირავენ ღმერთებს მსხვერპლს, მაშინ ეპატიოთ“. კიდევ უფრო შემწყნარებლური იყო განკარგულება ტრაიანეს მემკვიდრისა, რომელთანაც ქრისტიანებს შუამდგომლობა აზიის პროკონსულმა სირენიმ გაუწია. იგი ცხადყოფდა, თუ რა უსამართლობაა ბრბოს სიშმაგის დასაკმაყოფილებლად ქრისტიანთა სისხლის ღვრა. კეისარმა ადრიანემ ქრისტიანთა ყოველგვარი დაბეზლება მკაცრად აკრძალა და ბრძანა, რომ სასამართლოებში გაერკვიათ, სახელმწიფო კანონების წინააღმდეგ თუ აქვთ მათ რაიმე ჩადენილი და მათი დამბეზლებლები კი დაესაჯათ.

მაგრამ, ამის მიუხედავად, ადგილ-ადგილ მაინც გრძელდებოდა ცალკეული დევნა: სხვადასხვა დროში მსხვერპლად შეიქმნენ: ათენის ეპისკოპოსი პუბლიუსი, - დიონისე არეოპაგელის მემკვიდრე, - მოსწავლე პავლე მოციქულისა; ონისიმი, - ეფესოელი ეპისკოპოსი, რომელიც რომში ჩაქოლეს; თავის წამებათაგან სახელგანთქმული ტელესფორი, - რომის მნათობი; და ჰერონი, - ანტიოქიაში ღმერთშემოსილის მემკვიდრე; თორმეტამდე წამებული იერუსალიმისა, სადაც ებრაელები უფრო მეტად იყვნენ გაბოროტებულნი, ეს კი წარმართებს ქრისტიანთა წინააღმდეგ აღძრავდა. იერუსალიმს კი ახალი განადგურება ელოდა: - ისევ ამბოხდნენ ებრაელები, - ალექსანდრიაში, ლიბიასა და კირინიაში დასახლებულნი. იქ მათ განსაკუთრებული გამძვინვარებით 200 000-ზე მეტი ბერძენი და ებრაელი დახოცეს, ამდენივე - კუნძულ კვიპროსზე. ამბოხებულებს სასტიკი სასჯელი ეწიათ: ეგვიპტესა და მესოპოტამიაში რომის ჯარებმა ისინი ათასობით ამოხოცეს, რათა აჯანყება მთელ ოლქს არ მოსდებოდა. ადრიანეს დროს, კიდევ ერთხელ, - ამჯერად უკანასკნელად, იარალი აისხეს იუდეველებმა,

რომლებიც ცრუ მესიით იყვნენ გატაცებულნი, როგორც უმცირესი ქემმარიტი მესია წინასწარმეტყველებდა⁸². ვინმე ბარკობე-ბამ, ვინც თავს ვარსკვლავის შვილს იმ ვარსკვლავის გასახსენებლად უწოდებდა, რომლის იაკობისაგან გამობრწყინება ვარლაამმა იწინასწარმეტყველა, თანამოქალაქეებში რწმენა გამოიწვია. მათ არ შეეძლოთ, გულგრილად ეყურებინათ, თუ როგორ აღმართა ადრიაანემ იერუსალიმის ელია კაპიტოლინას სახელით აღდგენისას სოლომონის ტაძრის ადგილას იუპიტერის ბომონი. ისევე, როგორც რომის პირველი ომის დროს, ციხეები, გამოქვაბულები და გზაჯვარედინები ყაჩაღებით გაივსო. რომის მმართველის სისასტიკემ ხალხში სასონარკვეთა გამოიწვია. ბარკობემა წარმართებსა და ქრისტიანებსაც შეუბრალებლად ხოცავდა, აღშფოთებას მათშიც იწვევდა. იმპერატორი იძულებული გახდა, გახლებული ებრაელების დასაშოშმინებლად რომაული ლეგიონები გაეგზავნა. ორმოცდაათ ციხესა და ათასობით სოფელთან ერთად 600 000 კაცი ცეცხლითა და მახვილით განადგურდა. ქვეყნიერების სავაჭროებში ისევ აუარებელი ტყვე იქნა გაყიდული, ანდა მონა გახდა. იუდეა უდაბნოდ იქცა, იერუსალიმი წარმართებს მიეცა და მის ძველ შვილთათვის მიუღწეველი შეიქმნა. ქალაქის კარიბჭეზე მათთვის საძულველი ცხოველის ქანდაკება დადგეს და წელიწადში მხოლოდ ერთხელ აძლევდნენ ნებას, მისულიყვნენ, შორიდან გაეხედათ და თავიანთ უძველეს სამშობლოზე ეტირათ.

ადრიაანეს სურდა, რომ წარმართთათვის საძულველი ქრისტიანებიც გაეძევებინა მათთვის ასევე წმიდა ქალაქიდან. მიზნად ჰქონდა, რომ იმ ადგილების ხსოვნა აღმოეფხვრა, სადაც მაცხოვარი ტანჯეს. მან გოლგოთაზე ვენერას ქანდაკება, სამარხის შესასვლელთან კი იუპიტერის ქანდაკება დადგა, ბეთანიის მღვიმესთან ადინოსების კორომი გააშენა, მაგრამ ამით, პირიქით, - ქრისტიანული სიწმიდეების შესახებ ადგილობრივი გადმოცემები შეინარჩუნა. არ შეწყვეტილა იერუსა-

⁸² იხ. მარ. 13: 22; - „აღდგებიან ცრუქრისტიანი და ცრუწინასწარმეტყველნი და მოახდენენ სასწაულებსა და ნიშნებს, რათა აცდუნონ, თუკი შეძლებს, თვითონ რჩეულნიც“;



ლიმელ ეპისკოპოსთა შთამომავლობა. მათგან მეთხუთმეტის – იუდას შემდეგ, რომელიც წარმოშობით ებრაელთაგან ბოლო იყო, მოქცეული წარმართი, – მარკოზი აირჩიეს.

ეს რომის იმპერიისათვის აყვავების ხანა იყო. ნერონისა და დომიციანეს საშინელებათა შემდეგ, – იმ დროს, როცა მმართველობდნენ ტრაიანე, ადრიანე და ორი ანტონინი, რომელთა ხელისუფლება ოკეანიდან ევფრატამდე, ხმელთაშუა ზღვისპირეთის გარშემო ვრცელდებოდა, შეისვენა რომმა. იმდროისათვის განთქმულ რომის იმპერიაში ერდადერთი, რაც აღიარებული იყო, ეს კეისართა მონარქია გახლდათ. ეს იყო ბრწყინვალე ეპოქა ელინური ფილოსოფიისა, რომლითაც ამაცობდნენ იმპერატორები, ვისაც წარმართი მღვდელმთავრის წოდებას ფილოსოფოსის სახელი ერჩიათ (ეს წოდება ყოველთვის განუშორებელი იყო მათი ღირსეულობებისათვის). თუმცა, ფილოსოფიას, რომელიც ადამიანურ გადმოცემასა და სამყაროს ბუნებრივ სანყისებზე იყო დაფუძნებული, არ შეეძლო შეესუსტებინა ნება ხელისუფალთა და ხალხისა, რომელთაც ამფითეატრში იმ მხეცებზე არანაკლებ სწყუროდათ სისხლი, რომელნიც მათ თვალთა წინაშე გლადიატორებსა და ქრისტიანებს ესხმოდნენ თავს. თავიანთ მონებს ისინი უსულო საგნებსავით ეპყრობოდნენ. ფილოსოფიას არ შეეძლო განენმბიდა პირადი და საზოგადო ზნეობანი იქ, სადაც ყოველი ვნება უკავშირდებოდა კერპს, რომელსაც მსხვერპლს სწირავდნენ და სადაც ფილოსოფოსები, ვისაც ყოველგვარ ცრუ რწმენასა და ცრუ აზრზე მაღლა მდგომებად მიაჩნდათ თავი, კერპების ნაცვლად თავიანთსავე ვნებებს სწირავდნენ მსხვერპლს. კეისარი ადრიანე, რომელმაც ყველა წარმართული საიდუმლო შეისწავლა და ათენის საპორტოებში ფილოსოფოსად იყო ცნობილი, თავის საყვარელ ღვთაებებს კერპებს უდგამდა. თავად, ისევე, როგორც მისი ყველა წინამორბედი და შემცვლელი, სიცოცხლეშივე გაღმერთებული, გარდაცვალების შემდეგ, სენატის დადგენილებით, რომის მფარველი ღმერთების დასში იქნა შერაცხილი.

ასეთმა უგუნურებამ მოიცვა სამყარო, როცა იგი, მოცი-



ქულ პავლეს სიტყვით რომ ვთქვათ, თავისი ამო სიბრძნით ცდილობდა შეეცნო ღმერთი და არა - ღმრთიული ზემოთხელის სიბრძნით. ქრისტიანობის ერთ უბრალო ქადაგებას შეეძლო ხალხი ღვთის ჭეშმარიტი შემეცნებისკენ მოექცია. წარმართი ბრძენები, მრავალ ურთიერთსანიანალმდეგო სექტად და სისტემად დაყოფილნი, ღმრთის შემეცნებას ამოვ ცდილობდნენ. სტოიკოსები გატანჯულ ადამიანს მხოლოდ ცივ გონებასა და ბედისწერის დაუძლეველ ნებას სთავაზობდნენ. პლატონელები თავიანთ განათიფებულ ნაშრომებში ჭეშმარიტებისა და მშვენიერების იდეებს ეძიებდნენ, მაგრამ მხოლოდ საკუთარ ოცნებებს პოულობდნენ და მიზანს ვერ აღწევდნენ. ეპიკურელები ყველაფერს ცხოველურ საწყისთან აკავშირებდნენ და გრძობათა სიამოვნებაში იძირებოდნენ. სკეპტიკოსებს ყოველივეში ეჭვი ეპარებოდათ. ეკლექტიკოსებმა, რომლებიც ბოლომდე არაფერს არ ენდობოდნენ, სხვათა ნამსხვრევებისაგან უცნაური სისტემა შეადგინეს. ერთი სიტყვით, ეგრეთ წოდებული განათლებულობა იმ საუკუნისა, რომელიც ხორციელი სიბრძნით იყო დაბრმავებული, შინაგანად სიცარიელის შეგრძნებითა და რწმენის ნაკლებობით იტანჯებოდა, ერთადერთი - რწმენას ძალუძს განკურნოს სულიერი სნეულება, - სიყვარულით სავსე საქმეებითა და მარადიულ ნეტარებათა იმედით.

დასავლეთში ფილოსოფოსები, აღმოსავლეთში კი ქრისტიანობის სხვა მოწინააღმდეგეები ჩნდებოდნენ, - ზოგჯერ ქრისტიანობის წიაღებიდანვე გამოსულები. ქრისტიანულ სარწმუნოებაში მათ ბოდვები ან თავიანთი უძველესი საშობლოს, - აზიის უცნაური მითები შეჰქონდათ. ერესიარქების ავადმყოფობა ის იყო, რომ კათოლიკე ეკლესიის დოგმატები ძალიან მარტივი ეჩვენებოდათ და, რადგან უნდოდათ, რომ ღვთაების შესახებ უმაღლესი გაგება შეექმნათ, საკუთარი გამონაგონით აკნიებდნენ მის ღირსებას. ისინი გრძობადს სულიერში ურევდნენ მაშინ, როცა ალეგორიების განმარტებასა და წმიდანერილის ახსნას ცდილობდნენ. ამიტომაც იყო, რომ საყოველთაო ეკლესია, რომელმაც ადამიანური გონების მერყეო-



ბისა და ავადმყოფურ წარმოდგენათა უსაზღვროების შესახებ კარგად იცოდა, ასეთი მგზნებარებით იშორებდა ყოველგვარ საცთურს, იგი ადრინდანვე მკაცრად ადევნებდა თვალს, რომ ერთი ასოც არ დარღვეულიყო ღვთაებრივ გამოცხადებაში, რომელიც ზეგარდამო მოეცა; - იმიტომ, რომ ადამიანთაგან კი არა, არამედ, მხოლოდ ღმერთისაგან შეიძლებოდა ჭეშმარიტი მსოფლმხედველობის მიღება.

სიმონ მოგვის ერესს თავისი გამგრძელებლები ჰყავდა: ანტიოქიაში - სატურნინი, ალექსანდრიაში კი - ვასილიდე და კარპოკრატე, რომლებიც ზოგიერთი ელფერული განსხვავებით, იგივე ცრუსწავლებას განაგრძობდნენ. ისინი ერთ უხილავ ღმერთს აღიარებდნენ, სამყაროს ანგელოზთა მიერ შექმნილად, იელოვას, ებრაელთა ღმერთს, ერთ-ერთ მათგანად, ხოლო ქრისტეს არაფრის მომცემად და იელოვას მტრად მიიჩნევდნენ; ქორწინებას უარყოფდნენ, ხორციელ საქმეებს არ კიცხავდნენ. ამ ოცნებებს მთელი თავისი იდუმალებიანად სულთა გადასახლების შესახებ პითაგორას ეგვიპტური შეხედულება დაერთო ზედ. მათი მოსწავლეები თავს ხმამაღალი სახელით მოიხსენიებდნენ - გნოსტიკოსები, ე. ი. მცოდნენი. ვითომდა მხოლოდ მათ ჰქონდათ გამოცხადებული ჭეშმარიტი ცოდნა, თუმცა, სულიერ ცნებათა სიტლანქე ადვილად მულავნდებოდა იმ გრძნობადობით, რომელშიც დანთქმულიყვნენ, - იმიტომ, რომ სხეულებრივი აღდგომისა არ სწამდათ... გარეგნულად ქრისტიანებს ბაძავდნენ, საღამოს ლოცვებზე ისინიც იკრიბებოდნენ. მაგრამ სიყვარულის ტრაპეზი ავხორცობის საძაგელ საქმეებად ექცეოდათ ხოლმე, რაც ქრისტიანებს არასასურველ ჩრდილს აყენებდა და სახელს უტეხდა.

გამოჩნდა ახალი ერეტიკოსი, ვალენტინი, - წარმოშობით ეგვიპტელი. იგი კვიპროსზე ებრძოდა ქრისტიანობას იმიტომ, რომ ეპისკოპოსის კათედრისათვის მას სხვა ამჯობინეს. პლატონის ფილოსოფიით ნასაზრდოებმა, - მან გნოსტიკოსებზე უფრო რთული ფილოსოფია შექმნა. იოანეს სახარება ჰესიოდეს ღმერთების საგვარეულოსა და რიცხვების წარმართი



ბრძენებისეულ ჰარმონიაში აურია, უნდოდა, რომ მამის წყალობით ალიდან სიტყვის გამოსვლა და მისი წინასწარგანზრახულობით სამყაროს გამოსყიდვა ოცდაათი განსხეულებული ეონითა და ჟამით აეხსნა. მაგრამ ვალენტინის ეს უაზრო სწავლება მისმა დამახანიჯებულმა მორალმა წარმოაჩინა, - იმიტომ, რომ ისინი, როგორც პავლე ამბობს, ღმერთს კი არ აღიღებდნენ, არამედ, ამო აზროვნებას მიეცნენ, თავს ბრძენებად იხსენიებდნენ და ისე გაუგუნურდნენ, რომ ღმერთმა მათი გულები საკუთარ სხეულთა შემრყვენელ ავხორცობას გადასცა.

ამასობაში წარმართული სამყაროს ქურუმები და ფილოსოფოსები სარგებლობდნენ ამ უწესრიგობით, ბოროტ განზრახვას იკმაყოფილებდნენ და ქრისტიანების წინააღმდეგ ქორებს ავრცელებდნენ, - იმიტომ, რომ ქრისტიანები მრავალრიცხოვნობით კერპთა და ელინურ სექტათა რელიგიათათვის უკვე საშიში ხდებოდნენ. ავრცელებდნენ ხმებს, რომ ვითომდა სერობაზე შეკრებისას ქრისტიანები ახალშობილს კლავდნენ და მის სისხლს სვამდნენ, შემდეგ კი სანთლებს აქრობდნენ და მსურვალე ვნებებს ეძლეოდნენ. ცელსმა, - ადრიანეს დროინდელმა ეპიკურელმა ფილოსოფოსმა, ისიც კი გაბედა, რომ იუდეველობა და ქრისტიანობა ერთმანეთში აურია და მათ წინააღმდეგ დამცინავი, საწინააღმდეგო აზრებით სავსე მთელი იყო სავსე, მსგავსად ახალი სოფისტებისა, რომელთაგან ბევრი რამ გადაიღო, ცელსი წმიდა წერილის ღრმა ცოდნით იწონებდა თავს, - მაშინ, როცა უვიცობით ამახინჯებდა მას. ცელსმა თანამედროვეებში მიმდევრებიც ჰპოვა, ესენი იყვნენ: რიტორი ფრონტონი, ცინიკოსი კრესცენტი და სხვები, რომლებიც ქრისტიანობის წინააღმდეგ სიტყვიერა და საქმით შეიარაღდნენ. ამ ფილოსოფოსთა ბოროტ დაცინვებს ხშირად მოწამეთა სისხლი სდევდა თან.

ქრისტიანთა აპოლოგიები ფილოსოფოსთა წინააღმდეგ

მაგრამ მათ უარსაყოფად განსწავლულ კაცთა ნაკლებობას ქრისტიანებიც არ უჩიოდნენ. პირველი აპოლოგია სწორედ ათენში, – სოფისტთა ცენტრში გამოჩნდა. იგი ადრიაწე კეისარს ეპისკოპოსმა კოდრატმა მიართვა. ახალგაზრდობაში მას მესიის მიერ განკურნებული რამდენიმე ადამიანი ენახა და ქრისტეს მიერ მოტანილ სარწმუნოებას ინახავდა მოხუცი. სარწმუნოების განსამტკიცებლად მაშინ ჯერაც ბევრი ისეთი კაცი დარჩენილიყო, ვინც მოციქულებს იცნობდა: პოლიკარპე სმირნელი, პაპია იეროპოლელი და სხვები, რომელთაც ან თავად მოციქულები ენახათ, ან – მათი უახლოესი მოსწავლეები და მათგან გადმოცემულ სწავლებას ზუსტად იცავდნენ. პაპია თვითონვე მოწმობს, რომ ყოველთვის ეძიებდა ქვეშარიტებას იმ მოხუცებულთაგან, რომლებიც მოციქულთა მიერ იყვნენ მოქცეულები და სიყვარულით ეკითხებოდა ხოლმე, თუ რა მოესმინათ მათ ანდრიასა და პეტრესაგან, იოანესგან, ფილიპესა და მათესგან. და მათ საუბრებს მეტი სარგებლობა მოჰქონდა, ვიდრე – წიგნებს. ეს ახლო და სარწმუნო გადმოცემები აადვილებდა ყოველგვარი ერესისა და ყოველგვარი ცრუსიბრძნის უარყოფას.

ეპისკოპოს კოდრატის შემდეგ მალე გამოჩნდა სხვა, – ქრისტიანობის უფრო ცნობილი დამცველი – იუსტინე, წარმოშობით სამარიელი წარმართი, რომელიც ჯერ ფილოსოფოსი იყო, შემდეგ კი აღმსარებელი და მონაწილე გახდა. ღმერთის შეცნობის მგზნებარე სურვილის გამო მოქცევამდე მან ყველა ფილოსოფიური სისტემა გამოსცადა. პირველად სტოიკოსთა სწავლებას მიეძალა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, – იმიტომ, რომ თვით მასწავლებელს არ ეხილა ღმერთი და არც მიაჩნდა ამგვარი შეცნობა საჭიროდ; შემდეგ მიმართა პერიპატე-



ტიკოსს, რომელიც ბევრს ოცნებობდა, ამით იმას ცდილობდა, რომ საკუთარი სიბრძნით აღვსილიყო; მაგრამ, როცა დაინახა მისი ანგარება, — მეცნიერებისაგან სარგებელი მიელო, შეიძულა და გადავიდა პითაგორელთან, ვინც უპირველესად მუსიკის, ასტრონომიისა და გეომეტრიის შესწავლა უბრძანა; ახალგაზრდამ, რომელმაც იცოდა, თუ რა ბევრი დრო სჭირდება ამ მეცნიერებათა შესწავლას და — ის, რომ სულიერი წყურვილი ნაკლებად დაუკმაყოფილდებოდა, გადანყვიტა, პლატონიკოსთა სიბრძნე გამოეცადა და მათ სწავლებას მიექედლა, მის გონებრივ შესაძლებლობებს, რომელიც სულიერი სამყაროსაკენ იყო მიმართული, ეს უფრო სასიამოვნო ეჩვენა. სწორედ სულიერ სამყაროში იმედოვნებდა იგი ღმერთის მოპოვებას.

ამ აზრით მოცული ერთხელ ერთ მოშორებულ ზღვისპირა ადგილას სეირნობდა. უეცრად კეთილშობილი შეხედულების მქონე მოხუცი დაინახა. ამ უდაბურ ადგილას მისმა დანახვამ გააკვირვა იუსტინე. „ჩემმა ახლობლებმა“, — უთხრა მოხუცმა, — „ზღვა გადალახეს და მე ახლა აქ მათ დაბრუნებას ველი, შორს, — ტალღებს გავყურებ; შენ რაღას აკეთებ?“ — „მე კი მდუმარებაში ფილოსოფიას ვსწავლობ“, — მიუგო იუსტინემ, კითხვაზე: — „რა სარგებელია ამაში?“ — აღუნერა განათლების ყველა ის სიკეთე, რომელიც მას გონებისთვის მოაქვს მაშინ, როცა კეთილს ბოროტისაგან არჩევს. — „მაგრამ ნეტარება თუ მოაქვს და ღმერთზე თუ გასწავლის?“ — ისევ ჰკითხა მოხუცმა. — „ნეტარება ჭეშმარიტების შეგრძნება“, — შეეპასუხა იუსტინე, — „ღმერთი კი უცვლელი მიზეზია ყველაფრის არსებობისა“. მოხუცს მოენონა ახალგაზრდის ეს გულწრფელი პასუხები. პლატონურ შეხედულებათაგან გამომდინარე, ღმერთზე კიდევ რამდენიმე კითხვა მისცა უცნობს და ფილოსოფოსის სიტყვებსა და საქმეებზე დაყრდნობით დაუმტკიცა, თუ რა არასრულყოფილია რწმენის გარეშე ადამიანური შეხედულებები. ბოლოს გაუმჟღავნა, რომ ღმერთის შეცნობის ერთადერთი წყარო, — ეს არის ღვთაებრივი გამოცხადება, გააცნო რამდენიმე გამოცხადება, რაც ადამიანს სამყაროს შექმნის შემდეგ



პატრიარქებისა და წინასწარმეტყველთაგან ქრისტეშემდგომის ცემია, - ქრისტე მოვიდა, რათა მათი ნაწინასწარმეტყველები აღესრულებინა. მოხუცმა უთხრა: „უპირველეს ყოვლისა ჭეშმარიტ ღმერთზე ილოცე გულმოდგინედ, რათა განგელოს კარები ნათლისა, რამეთუ არავის ძალუძს შეიცნოს ღვთაებრივი, თუ ამას თავად ღმერთი არ ინებებს.“

ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი გოცეზული იუსტინეს თვალთაგან გაუჩინარდა და აღარსად შეხვედრია. მაგრამ ამ წუთიდან ღვთაებრივი ცეცხლით აღივსო ახალგაზრდის გული, როგორც ამას იუდეველ ტრიფონთან საუბრებში თვითონ ამბობდა. ახალი აღთქმისაკენ ტრიფონის მოქცევას ძველი აღთქმის დამონებით ცდილობდა, - იმიტომ, რომ თავად იუსტინეც წინასწარმეტყველთა და მოციქულთა კითხვამ აქცია ჭეშმარიტ ფილოსოფოსად, ე. ი. - ქრისტიანად. მისი სიტყვით, ფილოსოფია, ანუ - ის, რაც ღმერთთან გვაახლოებს, საუკეთესო საგანძურია, მაგრამ ყველანი ვერ სწვდებიან მას, - იმიტომ, რომ ქრისტეს სიტყვების ადამიანური განმარტებებით არიან გატაცებულნი. ამ სიტყვებში ჭეშმარიტი გზისაგან გადახრილებისათვის რალაც შემადრწუნებელი იგრძნობა და ღვთივმოაზროვნეთათვის კი - დამამშვიდებელი სიტკბოება.

დევნამ, რომელსაც ქრისტიანთა წინააღმდეგ ასე უსამართლოდ იწყებდნენ და სიმამაცემ, რომლითაც ისინი ყოველგვარ ცილისწამებასა და ტანჯვას უძლებდნენ, იუსტინეს მოქცევას მრავალწლიად შეუწყო ხელი და ორი ძლიერი აპოლოგიის შექმნისაკენ უბიძგა მას. იუსტინე არ შეშინდა და თვით იმპერატორებს, - ანტონინსა და მის შვილს გაუგზავნა ეს აპოლოგიები. როცა თანამორწმუნეთა სიკეთის წარმოჩენას მათი კეთილი აზრებისა და ცხოვრების წესების ჩვენებით ცდილობდა, ამ აზრებისა და ქცევის წესების მიზეზად მათი სარწმუნოება მოჰყავდა. წმიდა დოგმატებსა და თავად საიდუმლოსაც გადმოსცემდა, - იმდენად, რამდენადაც ამის გამოძულავნება წარმართთათვის შესაძლებელი იყო.

„თქვენ ღირსეულებად და სიბრძნისმოყვარეებად მოგიხ-



სენიებენ“, - წერდა იუსტინე კეისრებს, - „ფილოსოფოსებს ერთადერთი, - ჭეშმარიტება უნდა უყვარდეთ, საზოგადოებრივმა შეხედულებებმა და მცდარმა განმარტებებმა არ უნდა გაიტაცონ. თქვენ შეგიძლიათ სიცოცხლე წაგვართვათ, მაგრამ არ ძალგიძთ გვავნოთ. ჩვენ სამართალს ვითხოვთ. თუ უდანაშაულონი ვართ, მაშ, განა სასჯელი ძალადობასა და უსამართლობაზე არ მეტყველებს? აი, ინებეთ თავად სწავლება, ამის შემდეგ ღმერთის წინაშე პასუხისგებას ველარ შეძლებთ. როცა ამბავი მოაქვთ, რომ რომელიღაც სამეფოს ველოდებით, არ გეგონოთ, ეს ამქვეყნიური სამეფო იყოს. გჯეროდეთ, - მისთვის სიცოცხლეს არ გავწირავდით, - მაშინ ხომ იმას ვეცდებოდით, რომ ამქვეყნიურ სიამეთა მისაღებად ეს ქვეყანა შეგვენარჩუნებინა. თქვენთვის ჩვენზე უფრო მეტად არავისა სურს მშვიდობა. ჩვენ თავად ცოდვის გვეშინია, და არა - ცოდვის გამო თქვენგან სასჯელის. რადგან ვიცით, ყველა ჩვენს ცოდვას ხედავს უფალი, - მათზე უმნიცკლო მოსამართლე. საუკეთესო მოწმობად იმისი შედარება გამოდგება, თუ რანი ვიყავით წარმართობისას და რანი ვართ ახლა“. იუსტინემ ყველასათვის ცხადად დასანახი გახადა გარყვნილების სიბილწე, რომელშიც წარმართული სამყარო იყო შთანთქმული და მკაფიო სანინაალმდეგო მხარის წარმოსაჩენად, - არა მარტო ზნეობრივ მხარეებს, არამედ, ქრისტიანული ეკლესიის შინაგან წყობასაც შეეხო მსუბუქად. იგი ლაპარაკობდა მასში დადგენილ მარხვებსა და მოწყალებაზე, გულის შემუხვრილებაზე, მონანიებაზე, განმარტოებისას აღვლენილ და საერთო მოუწყინარე ლოცვაზე, წყლებში წმინდა სამების სახელით ცოდვათაგან განწმედაზე, სიყვარულის სერობათა საკვებზე, - პურსა და ღვინოზე, რომელიც მაკურთხევლის მიერ დალოცვის შემდეგ თავად განსხეულებული უფლის ხორცად და სისხლად გარდაიქმნება, - ისევე, როგორც თვით უფალი, ღმერთის დასაბამიერ მარადიული სიტყვა, ჩვენს სახსნელად გახდა სისხლი და ხორცი. - „თუ ჩემს მიერ თქმული“, - ასკენიდა იუსტინე, - „ფასეულად მოგეჩვენებათ, დააფასეთ იგი, თუ არა და - მოი-



ძულეთ. ჩვენ თქვენს წინაშე ცხადვყოფთ, რომ არსებობს უსა
 ამართლობისათვის ღმრთისგან მოვლენილი სასჯელი. თუმც,
 დაე, აღსრულდეს ნება ღმრთისა“.

ქრისტეს შობიდან 167-ე წელი

ამავე განწყობილებით დაწერა თავისი აპოლოგია სხვა ქრისტიანმა ფილოსოფოსმა, – ათინაგორა პრესვიტერმა, რომელიც განსწავლულობით ათენსა და ალექსანდრიაში იყო სახელგანთქმული. მაგრამ მისმა ნაწერმა, ისევე, როგორც იუსტინესამ, ვერ შეძლო ჩაქრობა ცალკეულ დევნათა, რომლებიც ანტონინის წყნარი მმართველობის დროს წამოიწყეს და რომლებიც ბოლოს, იმპერატორთაგან ყველაზე უფრო მშვიდის, – ფილოსოფოს მარკ-ავრელიუსის დროს, ერთ დიდ დევნაში გადაიზარდა. თვითონ იუსტინემ თავისი სისხლით აღბეჭდა რწმენა, რომელსაც ასე მტკიცედ იცავდა. ის, ფილოსოფოსთა მანტიამოსხმული, რომში მოწაფეებთან ერთად ჩავიდა და დააარსა სასწავლებელი, სადაც სიბრძნისმოყვარულთა სახელით ჭეშმარიტ ქრისტიანულ მოძღვრებას ასწავლიდა.

მან იქ ერესთა დამწყები, – მარკიონი განაქარვა. მარკიონი კეთილშობილ მშობელთაგან იყო შობილი და მძიმე დანაშაულის გამო მამის პასუხისმგებლობის ქვეშ პონტოს მხარეებში მოხვდა. ამაო ძიებებში იგი რომში სხვა ერეტიკოსს, – კერდონს დაუკავშირდა, რათა ღვთაების ორი საწყისის, – კეთილისა და ბოროტის, მათგან გამოსული ორი ქრისტეს შესახებ ექადაგა. იუსტინე ქრისტიანობის სხვა მტერს, – ფილოსოფოს კრესცენტს შეეპაექრა. კრესცენტი თავისი გაუთავებელი ცილისწამებებით ხალხს იუსტინეს წინააღმდეგ ამხედრებდა. ასე იქცეოდა მანამ, სანამ სასამართლომდე არ მიიყვანა იგი. რომაელმა პრეფექტმა გამოჰკითხა, თუ რას ასწავლიდა. – „მე ყველა სწავლებას გავეცანი“, – მიუგო იუსტინემ, – „და ქრისტიანულს შევეუერთდი, თუმც, გზააბნეულებს არ მოსწონთ იგი.“



მწამს ერთი ღმერთი, შემოქმედი ხილულთა და არახილულთა, ვალიარებ უფალ იესო ქრისტეს, რომელმაც ხსნა და კაცობრიობის მომავალი განკითხვა გვამცნო. მე სუსტი ქმნილება ვარ, არ ძალმიძს მისი ღვთაებრიობის უსაზღვრობა გამოვხატო, ეს იყო საქმე წინასწარმეტყველთა, რომლებმაც რამდენიმე საუკუნით ადრე წინასწარმეტყველეს სამყაროში ძე ღმრთისას მოსვლა: იუსტინეს არ უნდოდა, რომ პრეფექტისათვის ქრისტიანთა საიდუმლო შეკრებათა ადგილი გაემჟღავნებინა და ამიტომ მრავალი წამების შემდეგ მონაფეებთან ერთად თავის მოკვეთა მიუსაჯეს.

ეკლესიამ უფრო მეტი დანაკლისი წმიდა პოლიკარპე სმირნელის დაკარგვისას განიცადა. იოანე ღვთისმეტყველის მოხუცებული მონაფე ესე, რომელმაც ყველა თავისი თანამედროვის დაკარგვა გადაიტანა, დიდი დროის განმავლობაში იცავდა თავის სამწყსოს როგორც მოციქულთა დროების უკანასკნელი მოწმე და როგორც პირველი რგოლი მათ გადმოცემებთან დაკავშირებული გრძელი ჯაჭვისა. უკვე ხანში შესული რომში ჩავიდა, რათა იქ ეპისკოპოს ანიკიტთან ერთად აღდგომის დღესასწაულის დროის დადგენის შესახებ ემსჯელა; - იმიტომ, რომ აზიის ეკლესიები აღდგომას, იოანეს სახარებაზე დაყრდნობით, 14 აპრილს აღნიშნავდნენ, რომისა და ალექსანდრიის ეკლესიები კი - გაზაფხულის სრულმთვარეობის შემდეგ პირველ კვირას, - მოციქულ პეტრესა და პავლეს გადმოცემაზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთსა და არც მეორე ეპისკოპოსს არ უნდოდა ადგილობრივ გადმოცემებზე უარის თქმა, ამ საკითხზე კამათს არ დაურღვევია ურთიერთკავშირი ეკლესიებისა, რომელიც იმ დროს მსოფლიოში ერთიანი იყო. ურთიერთსიყვარულის აღსანიშნავად ერთად აღასრულეს საღვთო ლიტურგია, რომელზედაც პაპმა ანიკიტმა პოლიკარპეს შემონაწირთა კურთხევაში, როგორც მოციქულთა კაცს, პირველობა დაუთმო.

პოლიკარპეს სტუმრობის ამბავი შთამომავლობას პირველმა ქრისტიანმა ისტორიკოსმა, - ეგეზინმა შემოუნახა. იგი მა-



შინ რომში ცხოვრობდა. მაგრამ მისი მატინე, რომელიც მოციქულთა დროის ყველა მოვლენას ეხება, სამწუხაროდ, მეოთხე საუკუნის სხვა ცნობილი ისტორიკოსის, - ეპისკოპოს ევსევი კესარიელის ნაშრომში მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის შემონახული. რომში პოლიკარპეს მოკლენიანი ყოფნა ვალენტინისა და მარკონის მიმდევართათვისაც კი სულის სახსნელი იყო, - დროებით ორივე ერეტიკოსი მოიქცა, - იმიტომ, რომ მათ მიერ წმიდა მოხუცებულის ბაგეთაგან მოსმენილი სიტყვები თითქოს თავად იოანეს მოწმობას უდრიდა. პოლიკარპე იმდენად მტკიცედ იცავდა მოციქულთა გარდამოცემას, იმდენად უჭირდა მის ყურთ ყოველგვარი ერესის მოსმენა, რომ, თუ ზოგჯერ მოხდებოდა ისე, რომ რაიმეს, - ეკლესიის საწინააღმდეგოს მოისმენდა, შეძრწუნებული დაიხშობდა ხოლმე ყურებს და წამოიძახებდა: - „ღმერთო, ეს რას მომასწარ!“ - და მაშინვე გარბოდა იქიდან, სადაც მკრეხელობას წარმოთქვამდნენ.

პოლიკარპესთვის აღსასრული ისედაც უკვე მოახლოებული იყო, როცა მისთვისაც დადგა დღე წამებისა, - იმიტომ, რომ ასეთ ღირსეულ მქადაგებელს არ უნდა, აცილებოდა ნათელი გვირგვინი. იგი თავისი სამწყსოს ქრისტიანებთან ერთად იტანჯა, მათი სიმტკიცე ვერ გატეხეს ვერც მხეცებმა, ვერც ტკივილებმა, ვერც ტანჯვამ მათრახითა და მარწუხებით, რომლებიც ძვლებს უშიშვლებდა. ხალხმა, რომელიც წამებულთა ამტანობამ გააღიზიანა, ამფითეატრში დაიღრიალა: - „პოლიკარპე მოიყვანეთ, მოიყვანეთ პოლიკარპე!“ მოხუცი, რომელიც ახლობლებმა ძლივს დაითანხმეს, ქალაქიდან მეზობელ სოფელში წავიდა, დღესა და ღამეს ლოცვაში ატარებდა. აღსრულებამდე სამი დღით ადრე, ცხად ხილვაში თავისი სარეცლის თავი ცეცხლში გახვეული წარმოუდგა და წინასწარმეტყველურად თქვა: - „მე დამწვავენ“. მოხუცებულის მძებნელებმა მალე მიაგნეს სახლს, სადაც ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიკარპეს შეეძლო სხვა საცხოვრებელში გადასვლით ეშველა თავისთვის, ამ სიტყვებით, - „დაე, აღსრულდეს ნება ღვთისა“, იგი საკუთარი ნებით ჩაუვარდა მათ ხელში. ბრძანა, რომ გუ-



ლითადად ემასპინძლათ მისულთათვის და სთხოვა, მხოლოდ ერთი საათი მიეცათ ლოცვისთვის. მგზნებარე იყო ეს ლოცვა, რომელმაც თავად წარმართები გააკვირვა, - ლოცვამ მთელი ქრისტიანული სამყარო, მთელი კათოლიკე ეკლესია მოიცვა: -

ეს აღდგომის წინ მოხდა. სანახაობათა ხელმძღვანელები გზაზე დახვდნენ მოხუცებულს, ეტლში აიყვანეს და არწმუნებდნენ, რომ კეისრისათვის ღმერთი ენოდებინა და მსხვერპლი შეენირა ღმერთთათვის, მაგრამ, როცა მტკიცე უარი მიიღეს, ეტლიდან გადააგდეს. ნაგვემი მაინც ხალისიანად მიდიოდა ამფითეატრისკენ. ახმაურდა ბრბო. ამაოდ ევედრებოდა პროკონსული, თავისი სიბერისათვის მაინც ეცა პატივი და ქრისტიანებზე ერთი ჩვეულებრივი ფრაზა ეთქვა: - „დაე, გაქრნენ უღირსები!“ მკაცრად შეხედა მას და მთელ უსჯულო წარმართ ხალხს, მერე ცას ახედა, ხელი მათკენ გაიშვირა და შესძახა: - „დაე, გაქრნენ უღირსები!“ გამძვინვარებული აბობოქრდა ბრბო. კიდევ ერთხელ შეეხვეწა პროკონსული, რომ საძაგებელი ეთქვა ქრისტეზე. „ოთხმოცდაექვსი წელი მას ვემსახურები“, - პასუხობდა მოხუცი, - „და რა უნდა ვთქვა მეუფესა და ჩემს მხსნელზე?“ - „კეისრის ბედნიერება მაინც დაიფიცე“, - უთხრა მმართველმა. „მე ქრისტიანი ვარ“, - გაუმეორა პოლიკარპემ. - „ჰოდა, დაგიჯერებს ხალხი“, - ეპასუხებოდა პირველი. - „შენს, - როგორც მმართველის, წინაშე, მე ვაგებ პასუხს“, - უთხრა აღმსარებელმა, - „იმიტომ, რომ ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ყოველგვარ ხელისუფლებას, - ღმერთისაგან დადგენილს; მაგრამ ხალხი ესე ქრისტესაგან განმართლებას არ იმსახურებს“. - „მე შენ მხეცები მოგიმზადე, მე ცეცხლიცა მაქვს“, - წამოიძახა გაბრაზებულმა პროკონსულმა. პოლიკარპე კი წყნარად პასუხობდა: - „მხსნელია ყველანაირი წამება. შენ უამიერ ცეცხლზე ლაპარაკობ, მაგრამ არსებობს მარადიულიც, - უღირსთათვის მომზადებული. რაღას აჭიანურებ, მე მზად ვარ!“

მაშინ გამომცხადებელმა ამფითეატრში ყველას გასაგონად გამოაცხადა: - „პოლიკარპემ ქრისტიანობა აღიარა“, - და გამძვინვარებულმა ბრბომ დაიღრიალა: - „ეგ არის აზიის მას-

წავლებელი, ეგ არის მამა ყველა ქრისტიანისა და ღმერთთა მძარცველი! მხეცებს მიუგდეთ, მხეცებს!" — მაგრამ წესრიგის მცველმა ხალხს გამოუცხადა, რომ მხეცთა თამაშობანი უკვე დასრულებული იყო. მაშინ ყველამ დაიძახა: — „დაინვას პოლიკარპე!“ წარმართები და იუდეველები სანამებელი იარაღებისაკენ გაიქცნენ, მიმდებარე ბანებსა და სახლებში შეშა მოაგროვეს და დიდი ცეცხლი გააჩაღეს. მოხუცებულმა ქამარი შეიხსნა, ტანისამოსი გაიხადა, ფეხსაცმელი წვალებით შეიხსნა, — მიუჩვეული იყო, — იმიტომ, რომ მართალნი მის ღირსებას იმდენად სცემდნენ პატივს, რომ გვერდით მყოფნი ყოველთვის ასრულებდნენ ყველა სამოსამსახურო მოვალეობას. როცა აპირებდნენ, რომ წამებული ცეცხლში დასაწველად ძელზე მიეკრათ, სთხოვა, ლურსმნები არ დაერტყათ მისთვის, — იმიტომ, რომ, ვინც მას ცეცხლის ატანის ძალა მისცა, იმასაც შეაძლებინებს, რომ მტკიცედ იდგეს ცეცხლში. მაგრამ ხელები მაინც შეუკრეს. პოლიკარპე იმ კრავს ჰგავდა, რომელიც მთელი ფარიდან ღმრთისთვის ყოვლადდასაწველად ამოერჩიათ. მაშინ ზეცისაკენ შემართა მზერა და წარმოთქვა ლოცვა ესე: — „უფალო, ღმერთო ყოვლისშემძლეო, მამაო კურთხეული და შენგან სათნოყოფილი ძისა შენისა იესო ქრისტესი, რომლისაგან მოვიღეთ შენი შეცნობის წყალობა, ღმერთო ანგელოზთა და ძაღთა და ყოვლისა ქმნილისა, ყველა მოდგმის მორწმუნისა, რომელნიც შენს წინაშე ცხოვრობენ, გმადლობ, რამეთუ მომასწარ დღესა ამას და საათსა ამას, და მარგუნე წილი შენთვის წამებულთა შორის და მარგუნე იესო ქრისტეს სასმისი, რათა სულით და სხეულით აღვდგე სული წმიდისეულ მარადიულ ცხოვრებაში, ამინ.“ დაამთავრა თუ არა ლოცვა, დიდი ცეცხლის ალი აენტო. და სასწაული საკვირველი! ცეცხლი კამარის მსგავსად გარს შემოერტყა წამებულს, — იალქანს ჰგავდა, — ქარისგან გაშლილს. ის კი იდგა შუაში, ცეცხლისაგან შეუხებელი, როგორც პური, რომელიც ცხვება, და როგორც ოქრო და ვერცხლი, რომელიც ქურაში განინმიდება. და მის გარშემო თითქოს საკმევლის სურნელება მიმოიფრქვა. როცა



მნამებლებმა ნახეს, რომ ცეცხლი ვერ წვავდა, ბრძანეს, ხმლით მოეღოთ პოლიკარპესთვის ბოლო, – მსგავსად იმისა, მხეცებს რომ ხოცავდნენ ამფითეატრში. როცა ჯარისკაცმა სხეული განუგმირა, სისხლის სიჭარბემ ცეცხლი ჩააქრო. გაოგდნენ მაყურებლები, როცა დაინახეს, თუ როგორი განსხვავებული იყო ქრისტიანებისა და სხვა ადამიანების სიკვდილი. იუდეველებმა პროკონსულს სთხოვეს, არ დაემარხა პოლიკარპეს სხეული, – ეშინოდათ, რომ ქრისტიანები ჯვარცმული ქრისტეს სახელით სცემდნენ მას თაყვანს. მაშინ დაცვის უფროსმა მოკლულის ნაწილთა დანვა ბრძანა იმ ცეცხლზე, რომელზედაც ცოცხალი ვერ დანვეს. მიუხედავად ებრაელთა დიდი წინააღმდეგობრივი მცდელობისა, მართლებმა მაინც შეაგროვეს წმიდა ნაწილები.

მოთხრობა წმიდა პოლიკარპეს წამების შესახებ სმირნის ქრისტიან თვითმხილველთაჲ მიერ ფილადელფიის ეკლესიის ქრისტიანთა თხოვნით დაიწერა და მსოფლიოს ყველა ეკლესიას დაეგზავნა. „ნეტარმა პოლიკარპემ“, – წერდნენ ისინი, – „თავისი სიკვდილით თითქოს ბეჭედი დაუსვა დევნას, რომელიც დასრულდა. როგორ ეგონათ მღვწეულთ, რომ დევნის გამო მივატოვებდით ჯვარცმულს, მთელი ქვეყნიერების ხსნისთვის წამებულს, რომელსაც ვეთაყვანებით როგორც ძეს ღმერთისას? ჩვენ სამართლიანად ვცემთ თაყვანს წამებულთ, ოღონდ, მხოლოდ – როგორც მისთვის დამმონმებელთ და მის მიმბაძველთ, მეუფისა და ღმერთისადმი მათი დაუკებელი სიყვარულს გამო. რათა ჩვენც ვიყოთ მათთან ერთობაში. პოლიკარპეს ძვლები, რომლებიც ჩვენთვის ოქროსა და ძვირფას ქვებზე უფრო ძვირფასია, დავალაგეთ დაცულ ადგილას, სადაც ღმერთის წყალობით, როცა ეს შესაძლებელი იქნება, შევიკრიბოთ ხოლმე, რათა ბრწყინვალედ აღვნიშნოთ დღე მისი წამებისა, რომ ძველ მქადაგებელთა გახსენებით მომავალ ღვანლთათვის შევამზადოთ საკუთარი თავიცა და სხვებიც“. ასე რომ, ქრისტიანობის საწყისებში უკვე პატივდებული იყო მართალთა წმიდა ნაწილები.

როგორც ეგნატეს, ისე პოლიკარპეს სიკვდილის შემდეგ



აზიაში დროებით შეწყდა დევნა, – იმიტომ, რომ სამხინული მინისძვრებისა შეეშინდათ. კეისარმა მარკუს-ავრელიუსმა შეისმინა სარდისა და იეროპოლის ეპისკოპოსების, – მელიტონისა და აპოლინარის ორი აპოლოგია და ქრისტიანთა სასარგებლოდ ბრძანებაც კი გამოსცა, რომელშიც ხელქვეითებს მათი დევნის გამო ბრალს სდებდა, – მაშინ, როცა თვითონ თავს არ იწუხებდნენ თავიანთი ღმერთების გამო. ქრისტიანთა კეთილი სახელი გერმანიაში სარმატების წინააღმდეგ ლაშქრობისას უფრო განთქმული გახდა. რომაული ლეგიონები მტერმა უწყლო ხეობებში მოაქცია. წარმართთა რიგებში მრავალი ქრისტიანი მეომარი იყო და, როცა ლეგიონების სასონარკვეთა ნახა, ყველა მათგანი სალოცავად შეიკრიბა. მათი ლოცვისას უეცრად ზეცა ღრუბლებმა დაფარა და ძლიერი ქუხილით წამოვიდა მაცოცხლებელი წვიმა, რომელმაც დაარწყულა ისინი, მტერს კი იმდენი ელვა და სეტყვა დაატეხა თავს, რომ სარმატები ბოლოს იძულებული გახდნენ, გაქცეულიყვნენ. საკვირველი მოვლენა, რომელმაც ქრისტიანთა ლეგიონს ელვისებურის, კეისარს კი, მეშვიდედ, იმპერატორის სახელი მოუტანა, რომის საომარ მონაპოვართა შორის ანტონინეს კოლონის ქანდაკებებზეა აღბეჭდილი.

მეოთხე დევნა

თუმცა, გალიაში, – გამარჯვების ადგილიდან არცთუ შორს, იმავე ავრელიუსის დროს ისევ დაიღვარა ქრისტიანთა სისხლი. ლიონის ეკლესია შვილი იყო სმირნის ცნობილი ეკლესიისა, ხოლო ლიონის პირველი ეპისკოპოსი პოფინი, – მოსწავლე პოლიკარპესი. იქ უფრო სახელგანთქმულებიც დაადგინეს, ლიონში დაადგინეს ირინეოსიც. ამასთან დაკავშირებით, ლიონსა და ვიენაში წამებათა ზუსტი აღწერები აზიის ეკლესიებს ეგზავნებოდა იმის იმედით, რომ უფროსი ძმები მიეხმარებოდნენ გალიას, რომელსაც აზიიდან ეფინებოდა ქრისტეს ნათელი. დევნა იმით დაიწყო, რომ ბრბო ქრისტიანთა ლანძღვს მოჰყვა და სასამართლოებზე მათი მიყვანა მოითხოვა. ზოგიერთებმა, წარმართთა გასახარად, ვერ შეინარჩუნეს რწმენა. ამასობაში დილეგებს მართალნი ავსებდნენ, მათ საშინელ ცილისწამებებს ატყებდნენ თავს. გამოჩნდნენ ჭეშმარიტების აღმსარებელნი, – არა მხოლოდ ქმრები, არამედ – სუსტი ცოლებიც. მონა ბლანდინა და სხვა, – სახელად – ბიბლისი, მათურნი და ატალი, დიაკონი სანკტი მტანჯველებს ქანცავდნენ ყველაზე უფრო საშინელ ტანჯვათა ატანით. თითქოს ტკივილებს ვერც კი გრძნობენო, მხოლოდ ამას იმეორებდნენ: – „ჩვენ ქრისტიანები ვართ“. ლამის ბოლო ამოსუნთქვამდე მიყვანილი წამებულები დილეგებში გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე და ნუგეშს აძლევდნენ იმათ, რომლებიც იქ წამებათა მოლოდინში იხოცებოდნენ.

მოვიდა ჯერი ოთხმოცდაათი წლის ეპისკოპოს პოფინისა, რომელიც ნელთაგან დაუძღურებული, მაგრამ ქრისტესათვის სიკვდილის მოსურნეობით გაძლიერებული იყო. იგი სასამართლოზე ხალხის წყევლა-კრულვის ქვეშ წარადგინეს. ჰკითხეს: – „ვინ არის ქრისტიანთა ღმერთი?“ – „შეიცნობთ, თუ კი ღირსნი გახდებით“, – პასუხობდა იგი. მაშინ ყოველი მხრიდან ცემა

დაუნყეს, – ისე, რომ მისი ხანდაზმულობისათვის სწავლა და სწავლა უციათ პატივი; დილეგში ჩააგდეს, იქ ორი დღის შემდეგ სული მისცა უფალს. ასე აღსრულდა სიტყვები ქრისტესი, – თქმული მონაფეთა შესახებ, რომ ყოველი, რომელიც დახოცავს მათ, იფიქრებს, რომ ღმერთს ემსახურება.⁸³ იმავე დილეგში იყვნენ აღმსარებელნიცა და განდგომილებიც, – იმიტომ, რომ უარყოფაც კი ვერა შევლოდა. მაგრამ რა დიდი განსხვავება იყო მათ სულთა შორის! პირველნი ახალ ტანჯვათა მოლოდინში სახე-გაბრწყინებულნი ხარობდნენ, მეორენი კი, სასონარკვეთილნი, შეწყალებასა და შებრალებას ითხოვდნენ. დიაკონი სანკტი, ბლანდინა, მათურნი და ატალი ამფითეატრში გამოიყვანეს, ხალხის მძვინვარების დასაკმაყოფილებლად ისევ მიაყენეს ყველანაირი ტკივილი. ორ მათგანს რკინის სარანდავმა, გახურებულმა სკამმა და მხეცებმა მოუღეს ბოლო, ბლანდინას მხეცები არ შეხებიან, ატალა კი დროებით რომის მოქალაქეობამ იხსნა. ისეთი ძლიერი იყო ღმრთისადმი მათი მორჩილება, რომ ყველა ამა წამების შემდეგ ჯერაც ვერ ბედავდნენ, თავი წამებულებად მოეხსენიებინათ, რადგან ამ წმიდა სახელს მხოლოდ იმათ უწოდებდნენ, რომლებმაც სიკვდილით დაამოწმეს აღმსარებლობა. ცრემლებით ლოცულობდნენ, რომ მათაც ბოძებოდათ ეს ნუგეში. დაცემულთა წინაშე სიამაყით კი არ იმაღლებდნენ თავს, პირიქით, ცდილობდნენ მართლებთან შეერიგებინათ ისინი და თავიანთი მაგალითით ახალი განსაცდელისათვის განემტკიცებინათ. ამასობაში გამოვიდა კეისრის ბრძანება, რომ მხოლოდ განდგომილები შეენყალებინათ, დანარჩენები კი სიკვდილით დაესაჯათ. და დაიწყო სასჯელალსრულებანი. ვინმე ალექსანდრემ, წარმოშობით ფრიგიელმა, რომელიც სასამართლოებზე ქრისტიანებს სარწმუნოების მტკიცე დაცვისაკენ მოუწოდებდა, მათთან ერთად მიიღო სასჯელი და გვირგვინი. ატალი, გახურებულ სკამზე მჯდარი, ხალხს ასე უძახდა: – „რაში გვდებთ ბრალს? თქვენ თვითონ არა ხართ ადამიანის ხორცის მჭამელები?!“ ყველაზე ბოლოს, მესამე, საწამებლად

⁸³ იხ. იოან. 16: 2;



თავის ყრმასთან ერთად, ვინც მისი მაგალითით იყო განმტკიცებული, წარდგა ბლანდინა, რომელიც ისე ემზადებოდა სასიკვდილოდ, როგორც – საქორწილოდ. გამათრახებისა და გახურებული სკამის შემდეგ ბადეში გაახვიეს იგი და გამძვინვარებულ ხარს მიუგდეს, ბოლოს მახვილით განგმირეს. მისმა სიმტკიცემ დაამარცხა წარმართთა მცდელობა. მაშინ სხეულებზე იყარეს ჯავრი, მათ დამწვარსა და ერთმანეთში არეულ ნაწილთა ნარჩენებს ამფითეატრში ექვს დღეს დარაჯობდნენ, დაცინვით ელოდნენ მათ აღდგომას, მეშვიდე დღეს კი მახლობელ მდინარე რონაში ჩაყარეს.

პოთინის ადგილას, რომიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი ლიონელი წამებულების მიერ პაპ ელეფთერთან საეკლესიო საქმეთა მოსაგვარებლად იყო გაგზავნილი, ეპისკოპოსად ირინეოსი აირჩიეს. რომში ყოფნისას მან ორი პრესვიტერი, – ვლასტი და ფლორინი ამხილა; ისინი წმიდა გადმოცემებს არ ემორჩილებოდნენ და თვითონ, როგორც გადმოცემათა მტკიცე დამცველი და პოლიკარპეს ღირსეული მოწაფე, აღმსარებლობის ერთიანობის შესახებ განდგომილებს ლიონიდანაც სწერდა: – „თქვენი დოგმატები სწორ სწავლებას არ შეესაბამება; ეს არ გადმოუციათ ჩვენს წმიდა წინამორბედებს, რომელნიც მოციქულთაგან იყვნენ მოქცეულები. ყრმობისას პოლიკარპესთან ვიყავი და მაშინდელი ამბები ახლანდელზე უკეთესად მახსოვს, – იმიტომ, რომ ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები იზრდება და სულს ერწყმის. ახლაც შემიძლია გიჩვენოთ ის ადგილი, სადაც იჯდა ხოლმე ნეტარი მოხუცი, ჩვენთან რომ ლაპარაკობდა, მის შეხედულებასა და მანერებსაც კი, ცხოვრების წესსა და თავად სიტყვას აღვინერო: – იგი გვიამბობდა მოციქულ იოვანეს დროში ცხოვრებაზე და რაც მისგან უფლის სასწაულებსა და სწავლებაზე სმენოდა. პოლიკარპე ყველაფერს გულწრფელად გადმოგვცემდა იმიტომ, რომ ყველაფერი ღმერთის სიტყვის თვითმხილველისგან ჰქონდა ნასწავლი. მე კი უფალმა ამგვარი საუბრის ყურადღებით მოსმენის კურთხეული უნარი მიბოძა, საუბარს ქალაქდზე

კი არა – გულში ვინერდი. და ღვთის წყალობით აქამდე ვინერდი
წყვეტლად ვიხსენებ ხოლმე მას“.

ამრიგად, ღვთაებრივი გადმოცემა, რომელიც წმიდა წერილს მიესადაგება, ხელუხლებლად მოციქულების კაცთა მრავალჯამიერმა სიცოცხლემ შემოინახა, – ისევე, როგორც ეს წარღვნამდელ პატრიარქთა დროში ხდებოდა. მან ქრისტედან 200 წლის შემდეგ იოანესა და პოლიკარპეს წყალობით მხოლოდ მესამე თაობამდე მოაღწია. ბრძენმა ირინეოსმა, რომელიც გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის მოწმობას, რაც მოციქულთა საუკუნესთან ასეთი სიახლოვის გამო ჰქონდა, მართალთა განსამტკიცებლად ყველა თანამდროვე ერესის შესახებ მამხილებელი წიგნი დაწერა და, როგორც მკვეთრი წინააღმდეგობა, წარმოაჩინა მასში სულის ერთობა ყველა კათოლიკე ეკლესიისა, რომელნიც მიმობნეულნი იყვნენ გერმანიაში, გალიასა და ესპანეთში, აღმოსავლეთში, ეგვიპტესა და ლიბიაში, ვისაც ერთი სარწმუნოება ერთ მზესავით აბრწყინებდა.

მწვალებელთა დასარწმუნებლად ირინეოსი განკურნებას, სასწაულებსა და წინასწარმეტყველებებს იმონებდა, მის დროს ეს ყოველივე მართალთა შორის ჯერაც უხვად ხდებოდა. სწავლების ქეშმარიტებას წმიდა წერილითა და გადმოცემით განამტკიცებდა, ახსენებდა ოთხ სახარებას, რომლებიც მთელი ეკლესიის მიერ ერთსულოვნად იქნა აღიარებული, და ნუხდა იმათზე, ვინც მართალ დოგმატებს გაურბოდნენ და ვინც თავდაც არ იცოდნენ, რას დაყრდნობოდნენ. გარდამოცემის უტყუარობას იმით ამტკიცებდა, რომ იგი მოციქულთა დროიდან ეპისკოპოსთა განუწყვეტელი შემცვლელი წყალობით მოდიოდა, მოციქულები კი თავიანთ ადგილებზე საუკეთესო კაცებს სვამდნენ. სამაგალითოდ რომის ეკლესია მოჰყავდა, – როგორც ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე ვრცელი. ყველას ურჩევდა, რომ რომის სწავლების სიმტკიცეს დაყრდნობოდნენ. ირინეოსი ასევე აქებდა სმირნის ეკლესიას, პოლიკარპეს მიერ დაარსებულს, რომელთანაც აზიის ყველა ეკლესია ათანხმებდა საკითხებს; ამბობდა, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში



ყოველთვის ძველ ეკლესიებს უნდა მივმართოთ, — იქ ოდესღაც თავად მოციქულები იმყოფებოდნენ. წერილები რომ არ დაეტოვებინათ, ჩვენ მთლიანად მათგან შემორჩენილ გადმოცემებს უნდა დავყრდნობოდით, რაც იმ მრავალ ბარბაროს ხალხში გვხვდება, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, მაგრამ სწამთ იესო ქრისტე და სულიწმიდის ძალით გულში ინახავენ ღმერთზე სწავლებას. ეს სწავლება ირინეოსმა შემდეგ დოგმატში გადმოსცა:

„ეკლესიამ, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზე, — ქვეყნის კიდემდე არის გადაჭიმული, მოციქულთა და მათ მონაფეთაგან მიიღო რწმენა ყოვლისმპყრობელი ერთი ღმერთისა, შემოქმედისა ცისა და ქვეყანისა, ზღვისა და ყოველივესი, და ერთისა უფლისა — იესო ქრისტესი, — ძისა ღმრთისა, ჩვენს სახსნელად განსხეულებულისა, და სულისა წმიდისა, ვინც წინასწარმეტყველთა მიერ ღაღადებდა ღმერთის განზრახვაზე, მოსულიყო, შობილიყო ქალწულისაგან, ვნებათა შესახებ, მკვდრეთით აღდგომაზე, ცად ზეალსვლასა და ციდან მამის დიდებით მოსვლაზე, რათა განახლდეს სამყარო და აღდგეს ყოველი სხეული ადამიანური.“ სხეულთა აღდგომის შესახებ ირინეოსი ამბობდა, რომ მათ ეძლევათ საამისო იმედი და რომ ზიარების საიდუმლოს მეშვეობით უხრწნელნი ხდებიან, — ისევე, როგორც მიწიერი პური, რომელიც კურთხევას ღებულობს, ჩვეულებრივი პური აღარ არის, არამედ, ხდება ზიარებული, — შემდგარი მიწიერისა და სულიერისგან: მიწიერი არის სხეული იესო ქრისტესი, ჩვენი მსგავსი, ზეციური კი — სული მისი, ე. ი. სამშვენიველი და ღმრთეება მის სხეულთან ზიარებაში.

ერესების წინააღმდეგაც იყო საჭირო ლაპარაკი, — იმიტომ, რომ მარკუს-ავრელიუსის ძე — კომოდი, მიუხედავად თავისი სისასტიკისა, ქრისტიანებს არ სდევნიდა და მის დროს აღმოსავლეთში ერესები მრავლდებოდა. ვალენტინის ერესის ცნობილ მიმდევართა შორის პატივისცემით სარგებლობდნენ მარკონი, რომელიც მოგვობდა, კოლარვაზი და ვარდესანი, — წარმოშობით მესოპოტამიელი, რომელიც ბოლოს მაინც მოიქ-



ცა ქრისტესკენ. გერმოგენე აფრიკაში და გერმია აზიაში რომლებიც სტოიკოსთა სწავლებას მინდობოდნენ, ამტკიცებდნენ, რომ მატერია მარადიულია და სამყარო მისგან შეიქმნა. თეოდორიტე ბიზანტიელმა, რომელიც სიციყვის ღვთაებრიობას უარყოფდა, თავის სექტას ასეთი სახელი მოარგო – უსიციყვოთა. კასიანე ეგვიპტელმა კი დოკიტთა სექტას ჩაუყარა საფუძველი, მათ უფალ იესოს სხეული მოჩვენება ეგონათ. ნმიდა ფილოსოფოს იუსტინეს მონაფე, რომელმაც ელინთა წინააღმდეგ წიგნი დაწერა, შემდეგ თვითონ გახდა მეთაური ენკრატიტების, ანუ თავშეკავებულებისა, რომელნიც ქორწინებას უარყოფდნენ, ღვინოს კრძალავდნენ, თვით ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროსაც კი წყალს იყენებდნენ, ხორცს არ ჭამდნენ და ღმერთისაგან მომდინარედ არ აღიარებდნენ ძველ აღთქმას, რომელიც ახალ აღთქმაშია გაცხადებული.

მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი და დიდხნიანი – ეს იყო ერესი ევნუხ მონტანისა, რომელიც წარმოშობით ფრიგიიდან გახლდათ, რის გამოც მის მიმდევრებს კატაფრიგიელებად იხსენიებდნენ. რადგან პატივმოყვარული მადიებლობით ვერ დაკმაყოფილდა, მონტანი ნატიფ ხიბლში ჩავარდა და აყვა ოცნებას, რომ ყოფილიყო ის ნუგეშისმცემელი, რომლის ქვეყნად მოვლინება მხსნელმა აღგვითქვა. მან საეკლესიო გადმოცემათა სანინააღმდეგოდ დაიწყო ქადაგება, – რადგანაც მიაჩნდა, რომ მოციქულებზე მეტად იყო სულით აღვსებული. მას ორი გარყვნილი ქალი შეუერთდა: – პრისკილა და მაქსიმილა, ისინი წინასწარმეტყველებად ასალებდნენ თავს და თავიანთი მომხიბვლელი წინასწარმეტყველებებით მრავალს იყოლიებდნენ. მონტანი ქადაგებდა, რომ ცოდვისაგან ადამიანთა სრული გამოსყიდვა მხოლოდ მაშინ მოხდა, რაც მასზე სულიწმიდა გარდამოვიდა, მეორე ქორწინებას კრძალავდა, ახალ მარხვებს ადგენდა, საერთოდ არ სცნობდა აღსარებას და მკაცრად განიკითხავდა მათ, ვინც მონამეობას გაურბოდნენ. ასეთი უჩვეულო სიმკაცრე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა გამოუცდელ ადამიანებზე, – განსაკუთრებით მათზე, ვისაც



სიშორის გამო თვითონ არ შეეძლოთ მონტანის სისულელეები ენახათ. იგი ახალ იერარქიულ თანამდებობებსაც აარსებდა და თანამდებობები უფრო მაღალი იყო, ვიდრე - ეპისკოპოსობაა. მათ მთელ კათოლიკე ეკლესიაში მონტანისტები ყოველთვის მთავარ ადგილს აკუთვნებდნენ და, რადგან ყველგან შემონირულობას აგროვებდა, მონტანი ფულით იზიდავდა მონაფეებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მეოცნებემ და მისმა ერთმა წინასწარმეტყველმა ქალმა თავიანთი დანაშაულებრივი ასპარეზი უბედური სიკვდილით დაასრულეს მაშინ, როცა ეგზალტაცი-აში ყოფნისას ჩაავლეს ხელი, ეს ერესი იმდენად გაძლიერდა, რომ მრავალი ეპისკოპოსი გახდა იძულებული მათ წინააღმდეგ სიტყვითა და წერილებით აღჭურვილიყო. სერაპიონ ანტიოქელმა სახალხოდ დაგმო იგი, ელეფთერ რომაელი აიძულეს, უარეყო ის საქებარი სიტყვები, რომელთაც ვერგაგების გამო ადრე მონტანის სასარგებლოდ წერდა, რადგან მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტი სულით იყო მონტანი აღსავსე. დიონისე კორინთელი, რომელიც არა მხოლოდ თავისი წმიდა ცხოვრების წესით, არამედ, - მრავალი ეკლესიის მიმართ გაგზავნილი ეპისტოლეებითაც იყო სახელგანთქმული, აფრთხილებდა მათ, რომ თავი დაეცვათ მარკიონელებისა და მონტანისტებისგან. ჭეშმარიტებისაკენ ილტვოდა სერაპიონის მონაფე თეოფილეც, რომელსაც თავად დიდი ხნის განმავლობაში არა სწამდა სულის უკვდავება, ვერ შეეცნო იგი; მაგრამ, როცა ქრისტიანობასთან ერთად მხსნელი სწავლებაც მიიღო, ცდილობდა, რომ წარმართები ცდომიდან გამოეყვანა, უკვდავებისა და წმიდა სამების დოგმატების შესახებ ასწავლიდა მათ.

ქრისტეს შობიდან 194-ე წელი

მაშინ, როცა ქრისტიანობის სხვადასხვა ადგილას სარწმუნოებაზე უცნაურმა მოსაზრებებმა იჩინა თავი, ხოლო მოციქულთა მიმდევარი კაცები ნელ-ნელა მიდიოდნენ, ნება

ღმრთისა, ეკლესიისათვის მზრუნველი, ყოველივესა დასაცავდა, რომ გამოსადეგი გამხდარიყო უფრო ჩვეულებრივი საშუალებები, რომლებიც ქრისტიანულ დოგმატებს დაიცავდა და განავრცელებდა. ალექსანდრიის გახმაურებული სკოლა, რომელმაც, გარდამოცემის თანახმად, არსებობა ჯერ კიდევ წმიდა მარკოზის დროს დაიწყო, მსოფლიო ვაჭრობისა და განათლების ამ შუაგულში ისე გაბრწყინდა, რომ ყველგან იმის სურვილს აღვიძებდა და ავრცელებდა, რომ ცოდნის სიყვარული ქრისტიანობის გასამშვენიერებლად და დასაცავად გამოეყენებინათ. ისევე, როგორც ოდესლაც ებრაელებმა, რომლებმაც ეგვიპტელთაგან წამოსვლისას მათი საგანძური ჭეშმარიტი ღმერთის კარავის შესამკობლად (თუმც, სამწუხაროდ, ერთის მხრივ, – ოქროს ხბოს ჩამოსასხმელადაც) გამოიყენეს, ასევე ქრისტიანებმა, იმავე ეგვიპტეში, წარმართებისაგან მიიღეს ის, რაც კი ამ წარმართებს თავიანთი ბუნებრივი სიბრძნისმოყვარების გამო ფასეული ჰქონდათ, ქრისტიანებმა ჭეშმარიტი რელიგიის სულიერი ტაძრის შესამკობლად გამოიყენეს იგი. თუმც, სამწუხაროდ, ამავე მასალიდან ერეტიკოსებმა ისიც არაერთხელ სცადეს, რომ ფილოსოფიური ბრძნობის კერპი ჩამოესხათ და ქრისტიანობა სასაცილოდ აეგდოთ. ალექსანდრიაში ყოველი მხრიდან ათასობით მართალი მიდიოდა, რათა იქ მოეძიათ ის, რაც ღვთაებრივი, ბუნებრივია. და ეს ქრისტიანულ განათლებასთან ერთად ისეთი ეპისკოპოსების ხელმძღვანელობით ხდებოდა, როგორებიც იყვნენ იულიანე და დიმიტრი, რომლებიც 43 წელი მფარველობდნენ თავიანთი ეკლესიის სასწავლებელს, და ისეთი მოძღვარნი, როგორებიც გახლდნენ პანთენი და მისი შემცველელი, – კლიმენტი ალექსანდრიელი. პირველს, რომელსაც დოგმატების გასავრცელებლად მრავალი საღმრთო სამსახური ჰქონდა გაკეთებული, ისიც ეწადა, რომ ველურ ხალხებში თავად გამხდარიყო მქადაგებელი. იგი ვაჭრებს ინდოეთში გაყვა და იქ ჰპოვა ბევრი ის ქრისტიანი, ვინც სარგებლობდნენ მათეს სახარებით, რაც მოციქულმა ბართლომემ უთარგმნა.



კლიმენტი, რომელმაც პანთენის შემდეგ ალექსანდრიის სასწავლებელი ჩაიბარა, თავისი ზეგავლენა პალესტინაზეც გაავრცელა. პალესტინაში იგი წმიდა ალექსანდრეს, - იერუსალიმის ეპისკოპოსის დამრიგებელი იყო, მან თავის შემდეგ სხვა, - უფრო ცნობილი მონაფე - ორიგენე დატოვა. თავის სიტყვებში კლიმენტიმ მთელი წმიდა წერილი განმარტა, მაგრამ ჩვენ შემოგვრჩა მხოლოდ უწყება წარმართებისადმი და მისი ორი წიგნი, - სტრომატები და პედაგოგი, რომლებშიც ღვთაებრივი დამრიგებლის ანუ პედაგოგის მიერ მთელი ქრისტიანული ზნეობა არის მოკლედ გადმოცემული. სახელში - სტრომატი, ანუ მოხატულ ქსოვილში, კლიმენტი ქრისტიანული ფილოსოფიის სულიერ ქსოვილს გულისხმობს და ცხადყოფს, რომ სწავლების საწყისი ყველა შემთხვევაში დამტკიცება კი არა, არამედ, თავად სწავლებისადმი რწმენაა. იგი უარყოფს წარმართ ფილოსოფოსთა და თანამედროვე ერეტიკოსთა მცდარ შეხედულებებს ქორწინებაზე, წამებასა და ცოდვაზე. იმათ სამხილებლად, ვინც თავს ხმამალალი სიტყვით, - გნოსტიკოსებად მოიხსენიებდა, ჭეშმარიტი გნოსტიკოსის სახე დახატა:

„ჭეშმარიტი გნოსტიკოსი“ - წერდა იგი, - „განისწავლება რწმენით სიტყვისა ღმრთისა, რომელსაც ყოველივე ძალუძს. ადამიანური ცოდნა კი მხოლოდ მზადებაა სარწმუნოების მისაღებად. გნოსტიკოსი ან გაურბის ვნებებს, ან სძლევს მათ. ის სულიერად მშვიდია, რამეთუ არაფერს ძალუძს ღმრთისგან განდრიკოს. მას არ შეუძლია შურდეს ან სძულდეს რომელიმე ქმნილება, რომელთა მეოხებითაც შემქმნელის სიყვარულს სწავლობს. მას სურვილები არ აქვს, რადგან სულმა უკვე უმაღლეს მადლს მიაღწია, და მადლის შეგრძნებისას მისთვის ყველა მიწიერი სიამოვნება ქრება“.

ელინურ ფილოსოფიას, მიუხედავად იმისა, რომ, კეისრები მფარველობდნენ, არ შეეძლო, დამარწმუნებლად ემოქმედა ხალხზე. მის ყველა სისტემას საკმაოდ ცოტა მიმდევარი ჰყავდა. ერთადერთი მხოლოდ ქრისტიანული ფილოსოფია, თავისი არსებობის დასაწყისიდან ყველა ხელისუფლების მიერ



დევნილი, გავრცელდა მსოფლიოში და დღითიდღე სულ უფრო უკავდება. იმდენად, რამდენადაც სწორ დოგმატთა განდგომილები იმხილებიან, თავად ერესები გამოდგება იმის დამადასტურებლად, თუ რა შეურყვეველია ჭეშმარიტი სარწმუნოება. კათოლიკე ეკლესია, – წყალობით სულის ერთობისა და თავის ეპისკოპოსთა მემკვიდრეობითობისა, რომელიც ქრისტესგან და მოციქულთაგან იღებს სათავეს, მკვეთრად განსხვავდება ახლის შემომღებელთაგან, რომელნიც წმიდა ჯაჭვს არღვევენ და რომელთაც ადვილად შეიძლება აგუხსნათ, თუ როდის, ვისგან და საიდან იღებენ ეს ერეტიკოსები სათავეს.

ქრისტეს შობიდან 196-ე წელი

იმ დროს მთელი ეკლესიის წინაშე ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იდგა, – როდის უნდა ეზეიმათ აღდგომა. ამისათვის მრავალ ადგილას ეწყობოდა ცალკეული კრებები, რაც იმ დიად კრებათა ჩანასახი იყო, რომელთა წყალობითაც მთელ მსოფლიოში გავრცელებული კათოლიკე ეკლესიის ერთიანობა ცხადი ხდებოდა. რადგან ფრთხილობდნენ, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული სხვადასხვა დროს არ აღენიშნათ, რაც ქრისტიანობის ერთიანობას დაარღვევდა, პალესტინის კესარიაში რამდენიმე ეპისკოპოსი შეიკრიბა: იქაური თეოფილე, კასიუსი და კლარი, ტირისა და პტოლემაიდას ეპისკოპოსები, ნარკის იერუსალიმელი, რომელიც თავისი სინმიდითა და სასწაულებით იყო ცნობილი, რომელმაც ერთხელ, აღდგომის წინ, – მაშინ, როცა ზეთი აღარ ჰყოფნიდათ, დიაკონებს უბრძანა, რომ კანდელებში წყალი ჩაესხათ და ზეთი კი აენტო მათში; შემდგომში მას მრევლის წინაშე ცილი დასწამეს და უდაბნოში გადაიკარგა; ცრუმონმეებმა ისეთი სასჯელი დაადეს, რომელსაც თვითონ იღებდა თავზე ყველა, ვინც ცრუდ მონობდა; პაპი ვიქტორი – რომში, გალიაში – პრინეი, ეპისკოპოსი ვასილი – კორინთოში, ამასტრიელი ეპისკოპოსი – პალმასში, ოზროენას რამდენიმე ეპისკოპოსი ასევე აწყობდნენ კრებებს,



რათა აღდგომა გაზაფხულის სავსემთვარეობის პირველ კვირას დაედგინათ.

მაგრამ პოლიკრატე ეფესელი და მიმდებარე მცირე აზიის რამდენიმე ეპისკოპოსი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ ამას. პოლიკრატემ ვიქტორ რომაელს მისწერა ვრცელი ეპისტოლე, რომელშიც თავის მოსაზრებას მოციქულების, — ფილიპესა და იოანეს მაგალითებზე დაყრდნობით ამტკიცებდა. იოანე, მისი, მოწმობით, ამავდროულად, მღვდელმთავარიც იყო და შუბლზე იუდეველთა მღვდელმთავრების ოქროს მოსახვევს ატარებდა (შესაძლოა, იგი მან უფლის ძმის, — იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსის, — იაკობისგან მიიღო, ეპისკოპოსთაგან ისღა იყო ცოცხალი მაშინ, როცა ძველი აღთქმისეული მღვდლობა შეწყდა). მცირე აზიის ეპისკოპოსთა დაჟინებამ, რომ აღდგომა 14 აპრილს აღენიშნათ, ვიქტორი გააღიზიანა. იგი აპირებდა, რომ კავშირი გაენწყვიტა მათთან და გადანყვეტილება სხვა საძმოთა ეპისკოპოსებს სიგელებით ამცნო. მაგრამ ყველა მათგანმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ამ გადანყვეტილებას, რაც ქრისტიანული სიყვარულისათვის უცხო იყო და თავიანთ წერილებში ბევრნი ურჩევდნენ, რომ უფრო მეტად იმაზე ეფიქრა, რაც ძმათა შორის მშვიდობასა და ერთობას შეუწყობდა ხელს. ირინეი ლიონელმა გალიის მთელი კრებულის სახელით შეახსენა მაგალითი მისი წინამორბედის, — ანიკიტისა, რომელიც ასეთივე შემთხვევისას პოლიკარპე სმირნელთან ურთიერთობას არ გაურბოდა და თავის ეკლესიაში შემონიშნულობის კურთხევის უფლებაც დაუთმო, — იმიტომ, რომ აღდგომის დღესასწაულობის საკითხი დოგმატური კი არა, არამედ, — სანესჩვეულებო იყო. ნარკის იერუსალიმელისა და კესარიის მთელი კრებულის კაცთმოყვარულმა ეპისტოლემ ვიქტორისაგან მომდინარე საშიშროებას აჯობა, მცირე აზიის ეკლესიებში ერთსულოვანებამ დაივანა და ალექსანდრიის კათედრას განსაკუთრებულად დაევალა, რომ შეესწავლა აღდგომის საკითხი და ამის შესახებ ირგვლივ ეპისტოლეთა გაგზავნით ყველა კათოლიკე ეკლესიისათვის ემცნო.

ქრისტიანობის მესამე საუკუნე

მეხუთე დევნა

მესამე საუკუნე, ქრისტიანთათვის საკმაოდ მონამებორივი, მეორის მსგავსად ისე სასტიკად დაიწყო, უკვე ფიქრობდნენ, რომ ანტიქრისტეს გამოჩენა იყო მოახლოებული. რომაელი ხელისუფალნი მთელი ასწლეული თითქმის შეუწყვეტლად დევნიდნენ ქრისტიანებს. კეისარ კომოდის გარდაცვალების შემდეგ სუპტიმ სევერი გახდა კეისარი, მანამდე მან ტახტის მამბარი ყველა მონინალმდეგე დაამარცხა. სუპტიმი პალესტინელ ებრაელებზე მის მონინალმდეგეთა მიმართ მათი მფარველობის გამო გალიზიანებული იყო. განრისხებულმა კეისარმა ებრაელები ქრისტიანთაგან ველარ გაარჩია. აფრიკის მხარე, რომელიც ეკლესიათა სიმრავლით უკვე ყვავდებოდა (თუმც, ისტორიამ ვერ ასახა დრო მისი აყვავებისა), ეკლესიის მეხუთე დევნისას თავისი წამებულებითა და აღმსარებლებით სხვებზე უფრო მეტად გახდა განთქმული. პირველი თორმეტი მსხვერპლი, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ: სპერატი, ნარზალი, ცეტანი, და სამი ქალი, – დონატა, სეკუნდა და ვესტინა, კართაგენში ეწამნენ. ისინი, როგორც რომის მოქალაქეები, სასტიკი მბრძანებლის, – პროკონსულ სატურნის გადანყვეტილებით მახვილით იქმნენ მომწყდარნი. სატურნი მალე დაბრმავდა.

მათი მიყოლებით დააპატიმრეს ოთხნი, რომლებსაც ჯერ მხოლოდ განეცხადებინათ, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდნენ, ისინი მონათა წრიდან იყვნენ გამოსულნი. მათ შორის იყო ორსული მონა ქალი, – ფელიციტა. ამავე დილეგში თავის ძუძუმწოვარ ბავშვთან ერთად კეთილშობილი ქალიც მოათავსეს, – პერპეტუა. მეექვსე აღმსარებელი, სატირი, ნებაყოფლობით შეუერთდა მათ. პერპეტუამ, რომელმაც სულის საოცარი სიმტკიცე შეინარჩუნა, თავისი წამების პირველი



ნანილი თავადვე აღწერა. ალერსითა და მუქარით მონამებლის გზიდან მის გადაცდენას ამაოდ ცდილობდა მისი შობუცებული წარმართი მამა. პერპეტუამ სიცოცხლის დარჩენილ მოკლე დროში, სხვა ტუსალებთან ერთად, წმიდა ნათლობის მიღება მოასწრო, იგი დედასა და ძმას ანუგეშებდა, ბავშვს ძუძუს ანოვებდა და დახუთული დილეგი სამოთხედ ეჩვენებოდა. ზეციური გამოცხადებანი ნუგეშს აძლევდნენ. პერპეტუას წინასწარ ეუნყა, თუ ჯერ ვის ელოდა მონამეობის გვირგვინი. მოსამართლე, რადგან ქალის მამისაგან ჰქონდა ნათხოვნი, პირველ დაკითხვაზე შეეცადა დაეყოლიებინა პერპეტუა, უარი ეთქვა ქრისტეზე. მაგრამ შემდეგ, რადგან გაჯიუტდა ქალი, სხვა აღმსარებლებთან ერთად მხეცთაგან დაგლეჯა მიუსაჯა. გახარებული დაბრუნდა პერპეტუა დილეგში. როგორც ამას უკვე მიჩვეული იყო, ბავშვისათვის ძუძუს ნოვება ითხოვა, მაგრამ სასტიკმა მამამ ამ უკანასკნელ ნუგეშზე უარი უთხრა.

სატირიც ზეციური გამოცხადებებით ღებულობდა ნუგეშს და, ჯერ კიდევ ამქვეყნად მყოფი, აფრიკის ეკლესიის იმ წამებულებს, - ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ესაუბრებოდა, რომელნიც უკვე აღსრულებულნი იყვნენ და მიღებული ჰქონდათ მონამეობის გვირგვინი. სხვა დატყვევებულმა, - ფელიციტამ ბავშვი დილეგში გააჩინა. მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როცა ყველაფერი გადაწყდებოდა და დასჯის დღეს აღარ გადაუდებდნენ. ამის შესახებ მქადაგებლებს ლოცვასა სთხოვდა. მისი სურვილი და მათი ლოცვები საწამებლად დადგენილზე სამი დღით ადრე აღსრულდა. ბორკილების ქვეშ ნაადრევად დაწყებული მშობიარობა მძიმე ჰქონდა, სუსტმა ქალმა ყვირილისაგან ველარ შეიკავა თავი. - „შენ ახლავე ტირი,“ - უთხრა ერთმა მცველმა, - „მხეცებს შორის რომ მოხვდები, მერე რაღა დაგემართება?“ - „მაშინ ჩემში სხვა იქნება მონამე, იმიტომ, რომ მე მისთვის ვწამები!“ - მიუგო ქალმა. დიაკვნები ჩუმად ამხნევებდნენ წამებულებს.

დასჯის წინ წამებულთ დილეგის წინ ჩვეულებრივ ტრაპეზი მიუტანეს, მათ კი იგი სიყვარულის სერობად აქციეს; თამამად



მოუნოდებდნენ ყველას, რომ ქრისტიანები გამხდარიყვნენ „ხვალ შეგეძლებათ გვიცქიროთ და დატკბეთ ჩვენი წამებით“, – ეუბნებოდნენ ცნობისმოყვარე ბრბოს, – „ახლა კი გირჩევნიათ სახეზე კარგად დაგვაკვირდეთ, რათა საშინელი სამსჯავროს დღეს გვიცნოთ!“ შუბლგაბრწყინებულნი წარდგნენ ამფითეატრში და მოიშორეს წარმართული შესამოსელი, რომლითაც, საერთოდ, სასეიროდ განწირულებს შემოსავდნენ ხოლმე. პერპეტუა ღვთის სადიდებლებს გალობდა. მისმა, – სხვებზე უფრო მტკიცედ დგომამ მდაბიორები გააღიზიანა. მხეცები მიუშვეს, მაგრამ ლეოპარდმა და დათვმა, სატირის გარდა, თავიანთი მსხვერპლნი მხოლოდ მსუბუქად დაბეჟეს, სატირი კი დაგლიჯეს. რათა უფრო მეტად დაეშინებინათ, პერპეტუა და ფელიციტა გააშიშვლეს, მაგრამ შემდეგ ძონძებით შემოსეს, – იმიტომ, რომ ხალხს არ უნდოდა ამ მდგომარეობაში მყოფებისათვის ეცქირა, – ახალნამშობიარევენი იყვნენ. გამძვინვარებულმა ძუმ ორივენი ერთხელ შეისროლა ჰაერში და მერე გვერდით გაიქცა. პირველად პერპეტუა წამოდგა ფეხზე, უბინომ ტანისამოსი შეაგროვა და ხელით წამოაყენა ფელიციტა, თითქოს არც უგრძენიარ რქების დარტყმა. – „როდისღა მიგვაგდებენ მხეცებს?“ – იკითხა ამფითეატრის კარებთან, – არ უნდოდა დაჯერება, რომ გამოცდამ უკვე გაიარა. არა და, დახეული სამოსი არწმუნებდა ამაში. გამხეცებულმა ბრბომ იღრიალა, რომ დაეხოცათ წამებულები. ისინი ისევ ავიდნენ ამფითეატრზე. არ უყვირიათ, როცა გლადიატორების გამოუცდელმა მოწაფეებმა დაშნებით დახოცეს; ეს მოწაფეები მხეცთაგან დანდობილებს უღებდნენ ხოლმე ბოლოს.

ამდენი საშინელება ვერ აიტანა ენატკბილი ტერტულიანეს მგზნებარე სულმა. იგი, კართაგენელი ასისტავის შვილი, სიყმაწვილიდანვე იყო ქრისტიანობაზე მოქცეული, შემდეგ მღვდლის ხარისხი მიიღო. ეკლესიაში მრავალი სასულიერო ქმნილებით უკვე განთქმული იყო. მისი ნაშრომები ნათლობის, მონანიების, ქორწინების საიდუმლოებებს ეხებოდა. ტერტულიანემ კერპთაყვანისმცემლობისა და სანახაობათა გახმაუ-

რებული მხილებებით მაშინ გაითქვა სახელი, როცა წარმართთა დაუნდობლობამ აიძულა არა მხოლოდ მანუგეშებელი წერილები დაენერა მონამეთა მიმართ, არამედ, ქრისტიანთა დასაცავი ძლიერი აპოლოგიები შეექმნა. თამამი გამოთქმებით რომის ხელისუფალთ უმტკიცებდა, რომ მათ მიერ ჩადენილი სამართებლივი დევნა უსამართლო იყო, – როცა სხვებს, – დამნაშავეებს, დანაშაულის პირველივე აღიარების შემდეგ სჯიდნენ, ქრისტიანთა ნებაყოფლობითი აღიარება მხოლოდ იმისი მაუწყებელი ხდებოდა, რომ მათი ნამება იწყებოდა. წერდა კეისარ ტიბერიუსის შესახებ, რომელმაც მომნანიე პილატესაგან უფლის ჯვარცმის შესახებ ყველა ცნობა მიიღო და, სენატს რომ არ შეეჩერებინა, იმისთვისაც კი მზად იყო, ღმერთთა შორის მოეხსენიებინა იგი. ტერტულიანე ტრაიანეს, ადრიანეს და სიკეთის მოსურნე იმ სხვა კეისრებს ახსენებდა, ვინც ქრისტიანთა შესახებ მოწყალე დადგენილებები გამოსცეს და პირველ მდევნელს, – ნერონს კაცობრიობის სირცხვილად იხსენიებდა. წარმართული მითოლოგიის უაზრობას ამხელდა და ძალაუნებურად ერთი ღმერთის შემეცნებისაკენ მოუწოდებდა ყველას. თან თავისი ადრეული ურწმუნობის მაგალითი მოჰყავდა: „ადამიანები ქრისტიანებად კი არ იბადებიან, არამედ, შემდეგ ხდებიან“, – წერდა ტერტულიანე, – „ადრე ჩვენ ვიციოდით ხოლმე იმაზე, რისაც ახლა გვწამს“.

ჭეშმარიტების დასამოწმებლად ტერტულიანეს მოჰყავდა იუდეველებზე ნათქვამი ყველა წინასწარმეტყველება და ფაქტი მზის დაბნელებისა, რომელიც ჯვარცმისას მოხდა, რაც რომაულ არქივებში იყო აღნუსხული. შემდეგ წარმართული ცრუ სწავლებების საწინააღმდეგოდ ძე ღმერთსა და წმიდა სამების ყოველ წევრზე გადმოსცემდა სწავლებას. „მოიყვანეთ“, – თამამად ამბობდა ის, – „მოიყვანეთ სასამართლოზე, სადაც ქრისტიანებს წარადგენთ ხოლმე, – სიშმაგით შეპყრობილი ანდა – თქვენი მოგვი და ყოველი ჩვენთაგანი აიძულებს დემონს, რომ თავისი თავი თავადვე ამხილოს; თუ ასე არ მოხდა, მაშინ იქვე დაღვარეთ ქრისტიანის სისხლი. თქვენ ყველას აძლევთ



ნებას, რომ თავისი სარწმუნოება თავისუფლად აღიაროს. მხოლოდ ჩვენ გვართმევთ ამის უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ განუწყვეტლად ვლოცულობთ კეისრებისათვის, მათი სახელმწიფოს სიმშვიდისთვის, სენატის სიბრძნეზე, მეომართა სიძლიერეზე, ხალხის კეთილგონიერებასა და მთელ ქვეყნიერებაზე მშვიდობისათვის, როგორც ეს ჩვენმა ღვთაებრივმა მასწავლებელმა გვამცნო. თქვენ გვდევნით, მაგრამ ჩვენ თქვენზე დამოკიდებულ ყველა ხალხზე მეტნი ვართ, – იმიტომ, რომ ჩვენ ერთი ერი კი არა ვართ, არამედ, ყველგან ვალწევთ და, რომ მოგვენდომებინა, გავნებდით. განა ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვჩნდით? და აი, უკვე გავავსეთ თქვენი ქალაქები, სოფლები, ციხეები, სასახლეები, სენატი! თქვენ კი თქვენი ლახვრებიღა დაგრჩათ. ნუ გაშინებთ ქრისტიანებთან კავშირი და ნუ სწამებთ ცილს: ჩვენ ყოველგვარი პატივმოყვარეობისაგან შორს ვართ, ხმაურიანი ტკბობებიც უცხოა ჩვენთვის; მხოლოდ ლოცვისა და სიყვარულის ტრაპეზისათვის ვიკრიბებით, ურთიერთდახმარებით ვცხოვრობთ. ჩვენი კარგი ზნეობის საუკეთესო მაგალითად თქვენივე სასამართლო აქტები გამოდგება: აბა, ჩაიხედეთ მათში, დამნაშავეთა შორის ერთ ქრისტიანს მაინც თუ ნახავთ სადმე? მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ღვთაების ჭეშმარიტი გაგება გვაქვს. იმისი შეცნობა, რასაც თქვენთან მხოლოდ ფილოსოფოსები ცდილობენ ნვალებით, ჩვენთან ყველა უბრალო ადამიანს ხელენიფება. თქვენს ფილოსოფოსებს ბევრი უწერიათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიძლიოს ტანჯვა, სიკვდილი, ქრისტიანთა მოწამეობანი კი თქვენს ფილოსოფოსთა ამაო გამოკვლევებზე უკეთ თავად საქმით მეტყველებს“.

ასე წერდა ტერტულიანე, მაგრამ დევნა მაინც არ წყდებოდა. გალიაში მათი მსხვერპლი, სხვა მრავალ წამებულთან ერთად, ცნობილი ეპისკოპოსი, – ირინეოსიც გახდა. ეგვიპტეში უფრო მეტი სისხლი დაიღვარა. ზოგი გარბოდა ალექსანდრიიდან და ამით, სხვათაშორის, სახარების მცნებას ასრულებდა: „როდე-

საც დაგინყებენ დევნას ერთ ქალაქში, მიაშურეთ მეორეს⁸⁴ სწავლულმა კლიმენტიმ თავისი სასწავლებელი დატოვა და კაბადოკიაში დასახლდა. იქ დროებით ერთი ეპისკოპოსის, – ალექსანდრე აღმსარებლის დატყვევების გამო დაობლებული ეკლესიის მეურვეობა იდო თავს, განამტკიცა იგი რწმენაში. შედეგად, ალექსანდრე იერუსალიმის კათედრაზე იქნა არჩეული, – მაშინ, როცა მოხუცებულ ნარკისს, რომელიც თავისი სამწყსოს საერთო სიხარულის ქვეშ რომელიღაც იდუმალი უდაბნოდან დაბრუნდა, უძღურებისდა გამო მმართველობა აღარ შეეძლო; მან ხალხს აღუთქვა, რომ ღმერთი შემცვლელს გამოუგზავნიდა იმ კაცის სახით, ვინც პირველი შეხვდებოდა ქალაქის კარებთან; ალექსანდრე შეხვდა, რომელიც წმიდა ადგილების მოსალოცად მიდიოდა.

ამასობაში კლიმენტის, ყმანვილ ორიგენეს სახით, სახელოვანი შემცვლელი ელოდა. მისი მამა, – ლეონიდი ალექსანდრიელ წამებულთა დასში შედიოდა. ლეონიდი ჩვიდმეტი წლის ასაკამდე განსაკუთრებული მზრუნველობით ზრდიდა შვილს, მის უჩვეულო ნიჭთაგან თვითონ იყო გაოცებული. როცა სწამებელი ასპარეზი გაიშალა და ლეონიდი დილეგში ჩააგდეს, ყმანვილის გული დაუოკებელმა საღმრთო შურმა აღაგზნო, რომ ქრისტეს სახელისათვის მასთან ერთად წამებულიყო და ძლივს შეაჩერა იგი დედამ იმით, რომ აუცილებელი ტანისამოსი წაართვა. მაშინ ორიგენემ გრძნობები იმით გადმოლვარა, რომ მხურვალე წერილი დაუნერა მამას, რომელშიც ამხნევებდა მას სასიკვდილოდ, ევედრებოდა, რომ დაევიწყა თავისი წვრილმვილიანი ოჯახი. ასეთსავე განსაკუთრებულ საღმრთო შურს იჩენდა იგი მთელი მდევნელობის განმავლობაში, წამებულებს დასასჯელ ადგილამდე მიჰყვებოდა, აღმსარებლებს ჭრილობებს წმენდდა, ტყვეებს ნახულობდა, – ასე რომ, სახალხო მძვინვარებაში არაერთხელ მომხვდარა და ცოცხალ-მკვდარიც მიუყვანიათ სახლში. ღმერთის ნება ის იყო, რომ სხვა გამირობები აღესრულებინა ორიგენეს: რადგან ღარიბი იყო, გრამა-

⁸⁴ მათ. 10: 23;



ტიკის სწავლებით გაჰქონდა თავი. ასე გრძელდებოდა მისი სანამ ეპისკოპოსმა დიმიტრიმ რწმენის სიმტკიცით განთქმული სასწავლებლები არ ჩააბარა. განუწყვეტელ გაკვეთილებთან ერთად ორიგენე სხეულისათვის ყველაზე უფრო მკაცრ ცხოვრების წესს მისდევდა, - მღვიძარებით, მარხვებით, ხორშაკითა და სიცივით იქანცავდა სხეულს, მეგობართა ყველა დახმარებაზე უარს ამბობდა, იგი სიტყვის სიტკბოთი და ალერსიანი ურთიერთობებით იზიდავდა ამ დახმარებას. მიუხედავად სიყმანვილისა, მოკლე ხანში მის გარშემო მრავალმა მონაფემ მოიყარა თავი; მათ შორის იყვნენ წარმართები და ელინი ფილოსოფოსები, რომელნიც მის არაჩვეულებრივ სიბრძნეს გაცებაში მოჰყავდა. ორიგენეს შვიდმა უახლოესმა მიმდევარმა სხვადასხვაგვარი წამებით დაამონმა ჭეშმარიტება, რომელსაც ასწავლიდა. პირველი და ყველაზე უფრო სახელგანთქმული იყო პლუტარქე, რომელიც მხოლოდ კი არ მოაქცია ღმერთისკენ, არამედ, მის ხელთ გადასცა. რადგან მზრუნველი დამრიგებელი იყო, უკანასკნელ წუთამდე ამხნევებდა მას საუბრით.

ამა წამებათა შემდეგ ცხადად წარმოჩნდა, თუ რამდენი ძალუძს მართალთა ლოცვას, - მათი სიკვდილის შემდეგაც კი. პოტამია, მონა ქალი, იშვიათი სილამაზისა, სასამართლოს მისმა მფლობელმა გადასცა როგორც ქრისტიანი, - იმიტომ, რომ ბატონმა თავის სამარცხვინო ვნებათა დაკმაყოფილებაზე ვერ დაიყოლია. მან დიდი ფული შეაძლია ეგვიპტის პრეფექტს, თუ კი ის შეძლებდა, დაერწმუნებინა ქალი, რომ დაეთმო თავი. მაგრამ ამას გამოდგა ცთუნება და ბრძენ მონა ქალს ადუღებულ ქვაბში ჩაგდება მიუსაჯეს. პოტამიამ მხოლოდ ის ითხოვა, რომ ტანისამოსი შეენარჩუნებინათ, შესთავაზა, რომ, სამაგიეროდ, ქვაბში ნელ-ნელა ჩაეშვათ და ამით ტანჯვა გაეძლიერებინათ. პრეფექტი დათანხმდა და ერთ-ერთ დარაჯს, - ვასილიდს უბრძანა, წაეყვანა პოტამია დასასჯელად. ჯარისკაცი თანაგრძნობით იყო სავსე და ცდილობდა, მისი მძიმე გზა რბილი მოპყრობით მაინც შეემსუბუქებინა, - გამძვინვარებულ ბრბოს ამორებდა ქალს. პოტამია კეთილად განენყო მისდამი და და-



პირდა, რომ უამიერი ცხოვრების დასრულებისთანავე მის ხსენას შეევედრებოდა უფალს. ისიც აღუთქვა, რომ მადლიერების შედეგს მალე იგრძნობდა. უსაზღვრო სიმტკიცით აიტანა ყველა სატანჯველი. იქვე მისი დედა, - მარკელაც დაწვეს. დიდ ხანს არ გაევილო, რომ ერთხელ ვასილიდს ამხანაგებმა ყალბ ღმერთებზე დაფიცება სთხოვეს. მაგრამ ვასილიდმა მიუგო, რომ ასეთი ფიცი ქრისტიანს არ შეჰფერის. ჯერ გაეცინათ, ეგონათ, ისიც მხიარულობდა და ხუმრობდა, მაგრამ, როცა მისი სიმტკიცე ნახეს, პრეფექტთან დააბეზლეს და დილეგში ჩააგდეს. იქ მოსანახულებლად მისული ქრისტიანები ასეთი უეცარი მოქცევის მიზეზზე ეკითხებოდნენ. - „აღსრულებიდან სამი დღის შემდეგ“, - მიუგებდა ვასილიდი, - „ღამით პოტამია გამომეცხადა, თავზე გვირგვინი დამადგა და მითხრა, რომ უკვე სთხოვა ღმერთს ჩემი წყალობა და მალე ზეციური დიდების ღირსი გავხდები“. მართლებმა თავიანთი ახალი ძმა ნათლობის საიდუმლოს ნიშნით, ხოლო არამართლებმა კი წამების ნიშნით აღბეჭდეს, - მას თავი მოჰკვეთეს. ასე ამრიგად, ნეტარი აღსრულების შემდეგ წმიდა პოტამია ხილული და უხილავი, - მებრძოლი და გამარჯვებული ეკლესიის განუყოფელი კავშირის ძალით ცოცხალ ადამიანს გადარჩენაში ლოცვით შეეწია. ორიგენე თავის ნაწერებში მონიშნავს, რომ ბევრი ისეთი ადამიანი უნახავს, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოებისაკენ ასეთი სასწაულებრივი ძალით მოქცეულა, ისინი სიზმრებით ან გამოცხადებებით უეცრად მოიქცეოდნენ ხოლმე და ჭეშმარიტებისათვის სიკვდილსაც ლებულობდნენ, მანამდე კი სძულდათ ჭეშმარიტება.

ეს შესანიშნავი ადამიანი, - ორიგენე შეუბრკოლებელმა საღმრთო შურმა გაიტაცა, მაგრამ ზომიერების დაშვებულ საზღვრებს გადაცდა. მქადაგებლის თანამედრობით ევალებოდა, რომ ორივე სქესის მოწაფეებთან განუწყვეტლივ ჰქონოდა ურთიერთობა. მოხდა ისე, რომ ორიგენეს შეცდომისა შეეშინდა და გადაწყვიტა, რომ პირდაპირ მნიშვნელობას მიჰყოლოდა სახარების იმ ადგილის განმარტებისას, რომელიც ვაჭრებს შე-



ეხება, – იმ ვაჭრებს, ვინც ღვთის სასუფეველისათვის აგრომბენ⁸⁵. ორიგენე ცდილობდა, რომ ყველასაგან დაეფარა თავისი შეცდომა და, როცა ამის შესახებ ალექსანდრიელმა ეპისკოპოსმა დიმიტრიმ შეიტყო, ვერ გაბედა, ემხილებინა დამნაშავე. მაგრამ გადაწყვიტა, მღვდლობამდე არ მიეშვა იგი. შემდეგ თავად ორიგენესაც აღარ მოეწონა სახარების სიტყვათა ასეთი უხეში განმარტება და სწორად განმარტა წმიდა წერილის სულიერი მნიშვნელობა დამგროვებელთა შესახებ.

ქრისტეს შობიდან 211-ე წელი

ამასობაში, იმპერატორ სევერის გარდაცვალების შემდეგ, დევნა შეწყდა, მისი სასტიკი შვილის კაპაკალასა და ორი ნათესავის, – გემოთმოყვარე ჰელიოგავალისა და წყნარი ალექსანდრე სევერის მმართველობაში ისვენებდა ტანჯული ეკლესია. ორიგენემ მშვიდობიანი დროით ისარგებლა და რომს ეწვია, იქ მაშინ ეპისკოპოსი ზეფირინი მღვდლობდა და ცნობილი ადვოკატი, – მინუციუს ფელიქსი ქრისტიანულ რელიგიას დიდებულად იცავდა იმ წარმართთა უაზრო ცილისწამებათაგან, რომლებსაც იურისკონსულტები თესავდნენ, განსაკუთრებით კი – ულპიანე, რომელიც რომის პრეფექტი იყო, – მიაჩნდათ, რომ რელიგია იგი სახელმწიფოს ყველა ძირითად დადგენილებას ეწინააღმდეგებოდა.

დაბრუნდა თუ არა ორიგენე ალექსანდრიაში, ეპისკოპოს დიმიტრისთან და ეგვიპტის პრეფექტთან გაგზავნილი სიგელეზით არაბეთის მმართველმა იხმო თავისთან, რათა სარწმუნოების სამეცნიერო ამბებზე მოთათბირებოდა.

შემდეგ ორიგენე ძმათამკვლელმა ომმა აიძულა, რომ პალესტინის კესარიაში შეჩერებულიყო. იქ ეპისკოპოს თეოკტისტეს თხოვნით სასწავლებელში საჯარო სწავლება დაიწყო. ამითი თავისი მოძღვრის უკმაყოფილება გამოიწვია. იგი ალექსანდრიის

⁸⁵ იხ. მათ. 13: 44-45;



სკოლის სახელოვნობას ესწრაფვოდა. თეოკტისტემ და იერუსალიმის ეპისკოპოსმა, - ალექსანდრემ მხარი დაუჭირეს გენეს. მაგრამ დიმიტრის მოსაწვევმა სიგელებმა და მასთან გაგზავნილი დიაკვნების საშუალებით თხოვნამ აიძულა, რომ ალექსანდრიაში დაბრუნებულიყო.

იქ ახალი მოშურნეობით დაიწყო სწავლება. ყურადღებას აქცევდა, რომ გონივრულად დაეცვა თანამიმდევრობა: ჯერ ფილოსოფიის, ე. ი. ჭეშმარიტი სიბრძნის, ქებას იწყებდა, ამით ყველას იქითკენ უბიძგებდა, რომ საკუთარი თავი შეეცნო და პირუტყვულად ტლანქი უაზრობა და გულგრილობა დაეძლია; მისი სიტყვები, რომლებიც იმისდა მიხედვით განსხვავდებოდა, თუ რის შესახებ ლაპარაკობდა, მიმზიდველი იყო, - იმიტომ, რომ ცდილობდა მოსწავლეთა ხასიათს მორგებოდა, ყურადღებით აკვირდებოდა, თუ როგორ ზემოქმედებდა სიტყვა მათ გულზე, ხან შეკითხვებით ანცვიფრებდა, ხანაც უჩვეულო პასუხებით აოცებდა და ამ ყველაფერს ისეთი თავმდაბლობით აკეთებდა, რომ შეუძლებელი იყო, წინ აღდგომოდი. როგორც კი წინასწარი გასაუბრებისას ნიჭიერებას შეამჩნევდა ყმანვილებს, მაშინვე ცდილობდა შეეჩერებინა მათი სიამაყე და საგანთა შესახებ ლოგიკური განსჯისა და ფიზიკური დაკვირვებების საშუალებით სწორი გონებრივი განვითარების გზაზე დაედგინა, რათა შეეცნოთ სიდიადე შემქნელის შემოქმედებისა. საბუნებისმეტყველო მეცნიერების სასწავლებლად გეომეტრიასა და ასტრონომიას მიმართავდა, ხოლო ზნეობის შესახებ გაკვეთილების სწავლებას კი კეთილი მაგალითებით განამტკიცებდა. და, მას შემდეგ, რაც ძველი დროის ყველა გამოჩენილ მასწავლებელს შერჩევით ნაიკითხავდნენ, ბოლოს, წმიდა წერილთა კითხვაზე გადაჰყავდა, ღვთისმეტყველების უმაღლეს მეცნიერებას მათზე ამყარებდა. ასე ამრიგად, ადამიანთა მეცნიერების მთელ წრეს შემოივლიდა ხოლმე და ბოლოს, როგორც შეურყეველ ლოდზე, ისე მტკიცედ ადგინებდა მათ საღვთო გადმოცემებზე, წარმავლობაზე დამოკიდებულ გონებას ღვთაებრივ სიბრძნეს უმორჩილებდა.



როცა ყველა მოსწავლის მოთხოვნების დაკმაყოფილება მარტომ ვეღარ შეძლო, ორიგენემ განმანათლებლობის მიმიე ტვირთი თავის მეგობარ, - განათლებულ ჰერაკლესთან ერთად გაინანილა. ჰერაკლემ შემდგომში ეპისკოპოს დიმიტრის ადგილი დაიკავა. ორიგენემ მას დამწყები მოსწავლეები მიაბარა და თავისთან უფრო სრულქმნილები დაიტოვა. მას ფულადი საშუალებებით ვინმე ამბროსი ბევრს ეხმარებოდა, იგი ალექსანდრიის სახელგანთქმული მოქალაქე იყო. ამბროსი ორიგენემ მართლმადიდებლობაზე ვალენტინის სექტიდან მოაქცია. ამბროსი თავის თავზე იღებდა ყველა ხარჯს, რათა ორიგენეს უსაზღვრო კვლევების საშუალება ჰქონოდა, - იმიტომ, რომ, გარდა ძვირფას ხელნაერთა მოპოვებისა, შვიდი სწრაფად-ამწერი ერთთავად უფრო იმით იყო დაკავებული, რომ დიადი მასწავლებლის ზეპირ სწავლებათა ქარტიას ადგენდა. როცა სრულ ასაკს მიაღწია, ორიგენე წმიდა წერილის სიყვარულის გამო ებრაული ენის სიძნელეს არ შეუშინდა, - მან წმიდა წერილი მრავალი განმარტებით არა მხოლოდ გასაგები გახადა, არამედ, გულდასმით შეაგროვა წმიდა წერილის ებრაულ და ბერძნულენოვანი სხვადასხვაგვარი ტექსტი.

ორიგენემ, როგორც ეს პალესტინის განსწავლული ქრისტიანის, - აფრიკანის მიმართ გაგზავნილი წერილიდან ჩანს, ებრაულ ორიგინალს სამოცდაათი განმმარტებლის მიერ გადანერილი თარგმანი ამჯობინა, - იმიტომ, რომ ეს თარგმანი სრული და ყველა კათოლიკე ეკლესიის მიერ მიღებული იყო. მაშინ ზოგიერთი ქრისტიანი უკვე უფრო იმ აზრისაკენ იხრებოდა, რომ შეუცვლელი სახით სწორედ ებრაული ტექსტი იყო შემორჩენილი. ორიგენე ოცდარვა წელი იყო დაკავებული წმიდა წერილის პირველი და მეორე საუკუნეებიდან მომდინარე იმ განსხვავებული ტექსტების ურთიერთშერწყმით, რომლებიც ებრაელებმა, - აკვილამ და თეოდომიმემ და მისმა თანამედროვე სიმახმა გადაწერეს და რომლებსაც იერიქონსა და ეპირში თავადვე მიაკვლია. იმისათვის, რომ ტექსტების ურთიერთშედარება არ გაძნელებოდა, მან ისინი რვა, ექვს და

ოთხ სვეტად ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამონერა და ბოლოს ერთმანეთთან ყოველი მათგანის შედარების შემდეგ, გამოყვანა ერთი სრული და განწმედილი ტექსტი, რომელიც სამოცდაათთა განმარტებებთან ყველაზე უფრო ახლოს იდგა.

ქრისტეს შობიდან 229-ე წელი

როცა იმპერატორი ალექსანდრე სვეერუსი აღმოსავლეთს ეწვია, რათა პართელთა დამმარცხებლის, - არტაქსერს სპარსის ახალ სახელმწიფოს აღდგომოდა წინ, მისმა მზრუნველმა დედამ, - მამეიამ, რომელიც ცდილობდა, რომ შვილი ქრისტიანთა მიმართ კეთილად განეწყო, ანტიოქიაში გამოიძახა ორიგენე და სარწმუნოების ჭეშმარიტებათა შესახებ ისე ბევრი ესაუბრა, თავად კეისარზეც კი დაეჭვდნენ, - ქრისტიანობაზე ხომ არ მოექცაო. მიუხედავად იმისა, რომ ასე მკვეთრად არ შემოქცეულა ქრისტესკენ, ღვთის მიმართ მართლაც ისეთი კრძალვა ჰქონდა, რომ მისი გამოსახულება თავისი სახლის ღმერთებს შორის დადგა და ტაძარი უნდა აეგო მისთვის, სენატს რომ არ აეკრძალა, როგორც ეს ოდესღაც ტიბერიუსს გაუკეთეს. თავისი დროის მნათობი, ორიგენე, იძულებული შეიქმნა ისევ დაეტოვებინა ალექსანდრია, რათა ათენში წასულიყო და აქაიის ეკლესიებში ნოეტიუსის ერესი გაეცამტვერებინა. ნოეტიუსი ძე ღმერთის სახეს მამა ღმერთისაში ურევდა და წმიდა სამების დოგმატს ვერ იგებდა. წამოსვლის ნებადამრთველი სიგელით, რომელიც თავისმა ეპისკოპოსმა მისცა, ორიგენე პალესტინის კესარიაში ისევ შეჩერდა გზად, იქ ადგილობრივმა ეპისკოპოსმა, - თეოქტისტემ და ალექსანდრე იერუსალიმელმა მღვდლად აკურთხეს. ეკლესიის წესის ამ დარღვევამ დიმიტრი ალექსანდრიელი ძალიან აღაშფოთა და მან ორიგენე ახალგაზრდობისდროინდელ ცოდვაში ორივე ეპისკოპოსის წინაშე ამხილა, ეს კი მის მღვდლობას კრძალავდა. ალექსანდრემ უცოდინრობის გამო მოიბოდიშა, თავად



დიმიტრი სიგელში აქო, მაგრამ ორიგენეს კურთხევაში ესიაში მაინც ბევრი ვნებათაღელვა გამოიწვია. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ის არ იცმარა, რომ თავის ქალაქში სწავლება აუკრძალა, იქ ცხოვრების ნებაც არ მისცა ორიგენეს, მისი ზოგიერთი, ცოდვასთან მიახლოებული აზრი წარმოაჩინა და ბოლოს გაძევებული სახალხოდ გაასამართლა. მაშინ ორიგენე ეპისკოპოს თეოქტისტესდა უსაზღვროდ სასიხარულოდ კესარიამი დამკვიდრდა, თეოქტისტემ თავის სამწყსოსთან ქადაგების საქმეები ჩააბარა ორიგენეს. ალექსანდრიის ძველი ტკბილმოუბარი მასწავლებლის კათედრასთან მთელი სირიიდან ისევ ბევრი მოსწავლე შეიკრიბა. სარწმუნოებაზე სასაუბროდ იერუსალიმის მნათობი და მეზობელი ეპისკოპოსები მოდიოდნენ მასთან, – შორეული კაბადოკიის კესარიიდანაც კი მოდიოდა ეპისკოპოსი, ეს იყო თირმილიანე, რომელიც არცთუ იშვიათად თავის სამწყსოს ტოვებდა ხოლმე, რათა პალესტინის კესარიამი ორიგენესთან საუბრის საშუალება ჰქონოდა.

მაგრამ ამ უდიდესი ადამიანის შეცდომებმა, რომლებსაც მის დროს ცუდი ზეგავლენა არ მოუხდენია, – იმიტომ, რომ დოგმატებად კი არა, არამედ, პირად მოსაზრებებად წარმოაჩენდა მათ, დიდი კამათი მომდევნო საუკუნეებში გამოიწვია, – მაშინ, როცა ერეტიკოსებმა მისი ნაშრომების ბევრი ადგილი დაამახინჯეს, როგორც ეს მის სიცოცხლეშიც მომხდარა; ორიგენემ ამის შესახებ ზოგიერთი მათგანი ამხილა კიდევ. ასეთი საშიშია, როცა ეკლესიის ნმიდა სწავლებას, თუნდ, ერთი ბგერით ვცილდებით და მეოცნებე გონების გაბედულად ქროლვის გამო სარწმუნოების ნებადართულ საზღვრებს ვცდებით და ამით სხვებს, ნაკლებად გამოცდილებს, მიზეზს ვაძლევეთ, მცდარად განმარტონ აზრი, რომელიც ზოგჯერ თავისი არსით სწორია, მაგრამ მარტივად არ არის გადმოცემული. პლატონის ფილოსოფიამ, რომელიც განსაკუთრებულად უყვარდა ორიგენეს, ღვთისმეტყველების დასაწყისში უცნაური აზრები შთააგონა მას ზეციურ სხეულთა შესახებ, რომლებსაც თითქოს მათში არსებული სულები ამოძრავებდნენ და



რომელებიც განწმედის სხვადასხვა ხარისხს გადაიან და თავი
 ანთი მდგომარეობის შესაბამისად მეტ-ნაკლებად ნათელი სწ-
 ეულებით იმოსებიან; ასეთივე იყო აზრი ადამიანთა სულების
 შესახებ, რომ ისინი დაბადებამდე უკვე შექმნილნი არიან, რაც
 თითქოს პირველ ცოდვას გამოორიცხავდა; აზრი იმის შესახებ,
 რომ მარადიული არ არის ჯოჯოხეთში ტანჯვა, მიუხედავად
 იმისა, რომ სახარებაში ნათლად არის ამაზე ნათქვამი.

აღსანიშნავია, რომ ორიგენეს თანამედროვე, ტერტულიანე,
 რომელიც მასავით მქადაგებელი იყო, ოლონდ, მნათობად აფ-
 რიკის მხარეში იღვწოდა, სიჭარმაგეში მეოცნებე გონებამ თუ
 არა, მონტანისტების იღუმალმა ერესმა გაიტაცა. ფრიგიის
 იმ ბაცილაშეყრილი ბუდიდან შორს ამ ერესის დამაარსებლის
 ტლანქი უაზრობები რამდენიმე წელში გაქრა, მაგრამ ცნობის-
 მოყვარე გონება, რომელსაც სახარებისეული უბრალოება არ
 გააჩნდა, ცხოვრების უჩვეულოდ მკაცრ წესებსა და ღმერთთან
 ძალიან მიახლოების რწმენას მაინც აღფრთოვანებაში მოჰყ-
 ავდა.

ფიქრობენ, რომ რომის ეკლესიის კლერიკალთა შური და
 შეურაცყოფა გახდა მიზეზი ტერტულიანეს დაცემისა, რომ
 მისი აღგზნებულობით იყო შთაგონებული პროკლე, — მონ-
 ტანისტთა შორის ყველაზე უფრო ტკბილმოუბარი, როცა ამაყ
 პრესვიტერს შთააგონა, რომ ისიც უკვე აღსავსე იყო პარა-
 კლიტით, ე. ი. ნუგეშინისმცემელი სულით, — იმიტომ, რომ
 ერესი ჩვენში ყოველთვის გაღიზიანებულ პატივმოყვარეო-
 ბას შემოაქვს. ტერტულიანეს მგზნებარე და, ამავედროულად,
 მკაცრი ხასიათი მონტანისტების ვითომ მკაცრსა და დაცე-
 მულთა შემწყალებელი ეკლესიის წინაღმდეგ მიმართულ ხა-
 სიათს სრულიად შეესაბამებოდა. მიუხედავად ამისა, ცდომის
 შემდეგ ტერტულიანე ზოგჯერ სასარგებლო საღვთისმეტყვე-
 ლო წიგნებსაც წერდა: მარკიონის წინააღმდეგ მიმართულ ვრ-
 ცელ თხზულებაში ეკლესიასა და ძე ღმრთისაზე სწორი სწავ-
 ლება გადმოსცა, ახალი აღთქმით განმარტა ძველი აღთქმა,
 ელინთა ფილოსოფია, როგორც საწყისი ერესებისა, უარყო და



გადმოცემათა ქეშმარიტებას ეპისკოპოსთა მემკვიდრეობითობით ამტკიცებდა. ერეტიკოსთა მხილებისას იგი ამბობდა, რომ მათ ყველა იერარქიული წესრიგი დარღვეული აქვთ, რომ მათთან ის ადამიანები, რომლებმაც რწმენის შესახებ ეს ესაა განაცხადეს, მართალთაგან არ განსხვავდებიან, პრესვიტერები ერისკაცებთან არიან არეულები, ცოლები კი ქადაგებენ, ყველა მცდარი ცოდნით არის დაპურებული და მორჩილება არავისა სურს.

დიდად საყურადღებოა, რომ ამგვარი ცნობიერება იმ ადამიანში წარმოჩნდა, რომელიც ადრე ერესს იყო აყოლილი და რომლის მიმდევრებშიც სწორედ რომ ქალები წინასწარმეტყველებდნენ. ეს კი ცხადყოფს, რომ ტერტულიანე მთლიანად არ მინდობია ერესს და მართლმადიდებლობის ძველი წესები სულში მაინც ჰქონდა შემონახული. ნმიდა სამების შესახებ, - ერეტიკოს პრაკრეასის საწინააღმდეგოდ ასეთივე შესანიშნავი თხზულება შექმნა ტერტულიანემ, სხვა, - გერმოგენეს საწინააღმდეგოდ, რომელიც სხეულთა აღდგომას ეხება. ამ ნაშრომში ხსნიდა, თუ როგორ წარმოდგება ეკლესიის საიდუმლო ხორცის მომავალი განუხრწნელობის წყაროდ. მისი ნაზრევი, რომელიც ცოლ-ქმრობის ერთობას ეხებოდა, ეკლესიისათვის მიუღებელი იყო, - იგი მეორედ ქორწინების ნებას იძლეოდა. მაგრამ მარხვებზე დაწერილი წიგნები ცხადყოფდა, თუ როგორი გულმოდგინებით იცავდა დაწყებითი ეკლესია მარხვებს, რომელთა შესახებაც მოციქულთაგან ჰქონდა გადმოცემული, ეს იყო კვირაში - ოთხშაბათი და პარასკევი, აღდგომის წინ კი - დიდმარხვა. ამას გარდა, ეპისკოპოსები, სხვადასხვა დროს ძველთაგან მიღებული წესების თანახმად, თავიანთ სამწყსოს მარხვებს თვითონ უდგენდნენ. ეს მარხვები კრძალავდა ღვინოს, ხორცს და ხილსაც კი. ტერტულიანეს უკანასკნელი ქმნილება, რომელიც მონამეობის გვირგვინს ეხება, იმდროინდელი ეკლესიის წესებზე, ნათლობის წინ აღთქმის დადებისა და დემონთაგან განდგომის შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავს. ტერტულიანე წერდა იმაზე, რომ უფლის სისხლთან და ხორც-



თან ზიარება მხოლოდ მღვდლის ხელიდან უნდა მოხდეს. წერილობრივი და ყოველწლიურ შესანიშნავ, გარდაცვალებულთათვის ლოცვით და მოწამეთა დღეების აღნიშვნაზე, იმაზე, რომ მარხვა სრულიად ხსნილია აღდგომის, პასექისა და ამაღლების შორის დღეებში, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ნათლიას ქრისტიანის ცხოვრებაში, მხსნელის ხატზე, რომელიც კეთილი მწყემსის სახით საზიარებელ ბარძიმზე არის გამოსახული.

მექვსე დევნა

ქრისტეს შობიდან 235-ე წელი

ტერტულიანეს ბოლო თხზულების დაწერის მიზეზი ის ახალი დევნა გახდა, რომელიც ოცდახუთი წლის შესვენების შემდეგ განახლდა და რომელიც ქრისტიანთა წინააღმდეგ კეისარ ალექსანდრეს მკვლელმა და მისმა შემცველმა, – სისხლმწყურვალმა მაქსიმინმა წამოიწყო. იგი გაღიზიანებული იყო, რომ მის მსხვერპლს, – ალექსანდრეს ქრისტიანთა მიმართ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ დევნა ესე მხოლოდ ადგილობრივი იყო და ქრისტიანებმა ადვილად აიცილეს იგი, – იმიტომ, რომ მწამებლები უმეტესწილად მხოლოდ მასწავლებლებსა და უხუცესებს ეძიებდნენ. დევნა სამ წელს გრძელდებოდა, სანამ არ მოკლეს მაქსიმინე, რომლის ადგილი გორდიებს გადაეცა. მაშინ პონტიც დაზარალდა, – რომის ეპისკოპოსი, რომელსაც კათედრა წაართვეს და სიცოცხლე გადასახლებაში, – კუნძულ სარდინიაში დაამთავრა. როცა მისი გარდცვალების შემდეგ რომის საძმოს ვერ გადაეწყვიტა, თუ ვინ დაენიშნა შემცველად, წმიდა ფამიანეს თავზე შუა კრების დროს მტრედი გადმოეშვა და კრებას ამან მისი ერთსულოვანი არჩევა გადააწყვიტინა.

ორიგენე, რომელიც დევნისას მთავარი სამიზნე იყო, ერთი კესარიიდან მეორეში, – ეპისკოპოს ფირმილიანესთან დაიმალა და თავის მეგობარ ამბროსის იქიდან წერილებით ამხნევებდა, რომ ქრისტეს სახელის აღსარებაში მტკიცე ყოფილიყო. შემდეგ ტირში გადასახლდა, ისევ იმოგზაურა ახაიასა და შორეული მესოპოტამიის ბოსტრაში, სადაც მართლმადიდებლობაში ეპისკოპოს ვერილს განამტკიცებოდა. სიცოცხლის ბოლო წლები ტირში თავისი საყვარელი ქადაგების საქმეს დაუთმო, იქ წმიდა წერილის განმარტებები დაასრულა.



იქვე დაწერა მამხილებელი წიგნი ეპიკურელი ცელსუსის მიმართ ქმნილების წინააღმდეგ, რომელშიც გააკიცხული იყო ქრისტიანული რელიგია, რის ჭეშმარიტებასაც ორიგენე თავად იმ მოვლენით ამტკიცებდა, რომ ქრისტიანობა, მიუხედავად ფილოსოფოსთა უაზრო სწავლებისა, მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელდა. ორიგენე ამბობდა, რომ ქრისტიანობა უკვე ყველგან ბატონობს, ტერტულიანე კი ნათლად წარმოაჩენდა, რომ მის დროს ქრისტიე ყველა ენას სწამდა⁸⁶: სწამდათ პართელებს, მიდიელებსა და ელამელებს, მცხოვრებლებს მესოპოტამიისა, სომხეთისა, პონტოსი და მცირე აზიისა, ეგვიპტისა, აფრიკისა და მთელი ზღვისპირეთისა, რომაელებსა და მათ კოლონიებს, იერუსალიმის იუდეველებს, სხვადასხვაენოვან გეტულებსა და მავრებს, ესპანეთის ყველა მიმდებარე მხარეებს, გალიისა და გერმანიის ტომებს, სარმატებს, სკვითებს და რომაელებისადმი დაუმორჩილებელ, მაგრამ, – ქრისტეს ერთგულ ბრიტანელებს. ორი ასწლეულის განმავლობაში ისე სწრაფად გავრცელდა სახარების ქადაგება, რომ მრავალ მხარეში უკვე ყვაოდა ქრისტიანობა, – ეს მაშინ, როცა სხვებმა, გაცილებით ძველებმა, მათი არსებობის შესახებ არც კი იცოდნენ, თუმცა, სულიერად ყველა შეერთებული იყო ქრისტესთან, რომელიც თავი იყო ერთმანეთისათვის უცნობი, მაგრამ არა – უცხო ქრისტიანებისა.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქრისტიანობაზე გამძვინვარებულმა ბევრმა ახალმა მესიბრძნე კაცმა თავისი მწარე საყვედურები ეპიკურელის წიგნიდან ისესხა, – ისე, რომ არც კი ჩაუხედავს ორიგენეს თანამედროვე წიგნში, რომელშიც ისეთი ძალაა ჩადებული, რომ უკვე უარყოფილია ის, რასაც თხუთმეტი საუკუნის შემდეგ სიახლედ აჩვენებდნენ. გარდა სხვა მრავალი ქმნილებისა, ორიგენესაგან ის ათასზე მეტი სიტყვა შემორჩა, რომელიც ეკლესიაში წარმოთქვა და საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი იყო მაშინდელი საეკლესიო მმართველობა და

⁸⁶ „веровали... все языки“; – ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია ბიბლიურ ლიტერატურაში გავრცელებულია სტილი, როცა ხალხს, ერს მოიხსენიებენ სიტყვით – „ენა“;



ღვთისმსახურება. მსოფლიო ეკლესიის მთავრად ერთ-ერთ უფალს იხსენიებს, ყოველ ეპისკოპოსს თავისი ცალკეული ეკლესიის თავად, ხოლო მღვდლებს – მის დამრიგებლებად, დიაკონებს მსახურებად მოიხსენიებს. კლერიკალთა უფრო დაბალ საფეხურებსაც ახსენებს: ესენი არიან: მკითხველები, ფარგალიტნი,⁸⁷ შემფუცებელნი;⁸⁸ ლაპარაკობს ასევე დიაკონისებზე, ანუ – ქვრივებზე და ქალწულებზე, რომელთაც ქრისტესთან სულიერი ქორწინების აღთქმა ჰქონდათ დადებული; მოღვაწეებზე, რომელნიც სხეულს მარხვებით იუძღურებდნენ. საეროებს ორ ნაწილად ჰყოფდა: მართლებად, რომელნიც ქრისტე საიდუმლოთ უკვე ეზიარებოდნენ და კათაკმეველებად ანუ მონანულებად; ამ უკანასკნელთაგან პირველნი ჯერ მხოლოდ ემზადებოდნენ, რომ ეკლესიის წიაღში შესულიყვნენ, მეორენი კი, რადგან მცნებები დაერღვიათ, მართალთა ლოცვითა და მთელი ეკლესიის წინაშე თავიანთი მონანიებით იწმიდებოდნენ. ორიგენეცა და ტერტულიანეც ერთნაირად საუბრობდნენ ახალმობილთა ნათლობასა და წმიდა მირონზე, რომელსაც ნათლობის შემდეგ მაშინვე სცხებდნენ ხოლმე მათ, რათა მაღლი მიეღოთ და შემდეგ ზეციური საზრდო, – უფლის სისხლი და ხორცი ეგემათ. ასე ამრიგად, ამ ორი მასწავლებლის თანამედროვე ქმნილებათაგან ნათლად ჩანს, თუ როგორ ჰგავს ქრისტეს თავდაპირველი ეკლესია დღევანდელს, რომელიც ამდენი საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილა მართლმადიდებელთა შორის.

ორიგენეს მოწაფეთაგან ორი უდიდესი ეპისკოპოსი გამოვიდა, – დიონისე, რომელიც ალექსანდრიის კათედრაზე ჰერაკლეს შემდეგ აირჩიეს და გრიგოლ სასწაულთმოქმედი ნეოკესარიელი. გრიგოლის მთელი ცხოვრება არა ჩვეულებრივად მიემართებოდა: სიყმანვილეში სურდა, რომ რომის სამართა-

⁸⁷ საეკლესიო ტერმინი, – მეკარე;

⁸⁸ Заклинатель, – საუბარია ადრეული პერიოდის ეკლესიაში არსებულ მსახურებზე, ვინც ნათლობის რიტუალისას წარმოთქვამდნენ „შეფუცების“ ლოცვას, რომლითაც უწმიდურ ძაღას მიმართავდნენ სიტყვით – „განვედ“, დღეს ამ მოვალეობას მღვდელი ასრულებს;



ლი შეესწავლა, ამის ნაცვლად ვერიტაში ორიგენეს მოსწავლე გახდა, მან შეასწავლა საღმრთო ჭეშმარიტება; შემდეგ ანარქო-ცდილობდა მშობლიურ პონტოში განმარტოებულები, რადგან სიკეთის კეთების თხოვნით ყველგან თან სდევდნენ; უდაბნოდან უდაბნოში დაეხეტებოდა, რათა მღვდლობა აერიდებინა თავიდან. თეოდიმემ, - ალექსანდრიის ეპისკოპოსმა, რომელიც წინასწარმეტყველების სულით იყო აღსავსე, სულიერი თვალთ საში დღის სავალი გზის დაშორებით მყოფი იხილა იგი და დაუსწრებლად, ღვთის ნებით, ნეოკესარიის ეპისკოპოსად დაასხა ხელი, იქ მაშინ მხოლოდ ჩვიდმეტი ქრისტიანი იყო. გრიგოლმა თეოდიმეს მხოლოდ ის სთხოვა, რომ სარწმუნოების დოგმატებზე განსჯისათვის მოკლე დრო მაინც მიეცა, რათა ერესისაგან დაეცვა თავი და ღმერთს სთხოვდა, რომ ჭეშმარიტების ცოდნა გარდამოევიტინა მისთვის. შუალამისას, როცა ღვთაებრივ ჭეშმარიტებაზე ფიქრში იყო ჩაღრმავებული, უეცრად თავის წინ წარმომდგარი მოხუცი, შემდეგ კი ნათლით მოსილი ქალი იხილა. ქალმა მოხუცს უბრძანა, რომ ეპისკოპოსისათვის ჭეშმარიტება შთაეგონებინა. აკანკალებულმა გრიგოლმა მათ იდუმალ საუბარში იოანე მახარებელი და განსხეულებული ღმერთის ყოვლადწმიდა დედა შეიცნო და მაშინვე დანერა გადმოცემა სარწმუნოებისა, რომელიც სამართლიანად შემოინახა ნეოკესარიის ეკლესიამ:

„ერთია ღმერთი, - მამა სიტყვისა ცხოველისა, თვითარსი ზეშთასიბრძნისა, ძალისა და სახე მარადიულისა; სრულყოფილი მშობელი სრულყოფილისა, მამა, - თანაარსი ძე ღმერთისა. ერთია უფალი, ერთი ერთისგან, ღმერთი ღმერთისგან, სახე და გამოხატულება ღმრთაებისა, სიტყვა მოქმედი, სიბრძნე, ყოვლის მომცველი, შემქმნელი ძალა ყველა ქმნილების, ჭეშმარიტი ძე ჭეშმარიტი ღმერთისა, უხილავი უხილავისა, მარადიული მარადიულისა; და ერთია სულიწმიდა, გამოძავალი ღმერთისაგან, ძე ღმერთის მეოხებით გაცხადებული, იგი არს სიცოცხლე ადამიანთა, მასშია მიზეზი სიცოცხლისა, წმიდა წყარო, სინმიდე, ნათლის მომცემი. ეს არის მამა ღმერთი, რო-



მელიც ყოველივეზე მაღლა და ყოველივეშია, და ძე ღმერთისა, რომლისაგან იქმნა ყოველი⁸⁹, და ძე ღმერთისა, სადაცა სარულყოფილი, განუყოფელი და განუშორებელი დიდებით, მარადიულობითა და მეუფებით; რატომ არ არის სამებაში არცა შექმნილი, არცა მომსახურე, არცა მეორადი, რაც ადრე არ ყოფილა და რაც შემდეგ შემოვიდა? არცა მამა ყოფილა ძის გარეშე, არცა ძე სულის გარეშე; არამედ სამება დაურღვეველია, უცვალებელია და ყოველთვის ერთი და იგივეა“.

გრიგოლმა ღვთის სიტყვის სწავლების გულისთვის განმარტობაზე უარი თქვა. ცხოვრებაში მის სინმიდეს იმდენი სასწაული სდევდა თან, რომ თანამედროვეებმა სასწაულთმოქმედი უწოდეს. ერთხელ, როცა თავის წარმართ მრევლთან მიდიოდა, გზად შემოაღამდა, ერთ საკერპო ტაძარში შევიდა და მისი ლოცვების შემდეგ დემონები გაიქცნენ. ქურუმი, რომელიც ორაკულის გარეშე დარჩა, სასამართლოთი ემუქრებოდა, თუ ღმერთებს თავიანთ ჩვეულ ადგილას არ დააბრუნებდა. გრიგოლს ვითომდა შეეშინდა, ფურცელზე სამი სიტყვა დაწერა: – „გრიგოლი სატანას – განვედ“, ქურუმის არანმიდა სურვილს ვითომ აკმაყოფილებდა, ღმერთის წმიდა შემეცნებისაკენ კი აქცევდა მას. დემონთა განშორებისაგან გაოცებული მსახური ამიერიდან იმისი მოწაფე გახდა, ვისაც დემონები ემორჩილებოდნენ. ნეოკესარიის ხალხი ლოცვით მივიდა, რათა თავიანთი მომავალი მწყემსი ენახა, მაგრამ გაოცდა, როცა ნახა, რომ ღარიბი იყო ეს კაცი, – მთელ ქალაქში თავშესაფარიც კი არსად გააჩნდა. მოქალაქეთა შორის ყველაზე მდიდარმა თავისი სახლი შესთავაზა. მოსაღამოვებული არც კი იყო, რომ უკვე მრავალმა შეიცნო მიუაჩრდილებელი ნათელი ქრისტესი, დილით კი სხვადასხვა ასაკის ბევრი განკურნებული თვითონ გახდა ქრისტეს მქადაგებელი. მალე საერთო ძალებით შეიარაღდა ეკლესია, რომელმაც ბევრ დარტყმასა და დევნას გაუძლო. გრიგოლი ხალხის მრჩეველი და მოსამარლვე გახდა: ორი ძმა, რომელიც მამის მემკვიდრეობის გამო, – ტბის წყლების

⁸⁹ იხ. იოან. 1: 3;



მისაღებად იბრძოდა, არ ურიგდებოდა ერთმანეთს, თუმცა, ამის საკენ სულ მოუწოდებდა მათ თავიანთი მწყემსი. ერთმანეთთან ომისათვისაც კი მოემზადდნენ და ერთ ღამით მათი ტბა დაშრა. კალაპოტიდან ამოვარდნილი ადიდებულ მდინარე ლიკს იქაურობა მიჰქონდა და მთელ ჯებირებს ანგრევდა. გრიგოლმა ხალხის თხოვნით ილოცა და თავისი კვერთხი მიწის შემაკავებელ ჯებირზე აღმართა, კვერთხი ხედ იქცა და ჯებირი დაიჭირა.

ერთხელ ებრაელებმა მოინდომეს, რომ მღვდელმთავრის სიკეთით ბოროტად ესარგებლათ, - გზაზე ერთი თავიანთი ძმათაგანი დააწვინეს, დაიწყეს ტირილი, ვითომცდა მკვდარს დასტიროდნენ და იქვე მიმავალს გარდაცვალებულისათვის გადასაფარებელი სთხოვეს. გრიგოლმა მანტია მოიხსნა, ვითომდა მკვდარს დააფარა, მისი სულის მოსახსენებლად ლოცვა აღასრულა და გზა განაგრძო. ებრაელები იცინოდნენ და უნდოდან ფეხზე წამოეყენებინათ დაწოლილი, მაგრამ სიკვდილიდან მისი გამოხსნა ვეღარ შეძლეს. ეპისკოპოსის ლოცვამ სიყალბე სინამდვილედ უქცია.

მარტო კესარიას კი არა, მიმდებარე ქალაქებსაც მოუწოდებდა ქრისტიანობისაკენ და მისი კურთხევით ეპისკოპოსებიც დაადგინეს. ომანები თავიანთთვის მწყემსმთავარს ითხოვდნენ და გრიგოლს ყველაზე უფრო საპატიო მოქალაქეები წარუდგინეს. მაგრამ არცერთი მათგანი არ ამოურჩევია, რადგან გარეგნულს კი არა, - შინაგან ღირსებას ეძიებდა. მაშინ ერთ-ერთმა უხუცესთაგანმა გრიგოლს დაცინვით მენახშირის, სახელად - ალექსანდრეს არჩევა შესთავაზა და დანახვა იგი, - ხალხში მდგარი. ყველასდა გასაკვირად, არც გრიგოლსა და არც ალექსანდრეს არ გაკვირვებით ეს უჩვეულო შემთავაზება. ეპისკოპოსმა ცალკე გამოკითხა ხელოსანს, თუ ვინ იყო იგი. და შესახედავად ლატაკში ღრმა სიმდაბლე წარმოჩნდა, - ის საიდუმლო გაცხადდა, რაც ნახშირის მურში იყო მიმაღული. მღვდელმთავარმა დამოძღვრა ალექსანდრე, ბრძანა, რომ მდაბალი სამსახურის კვალი მოეწმინდათ მისგან, წესიერი სამოსი



ჩაეცმიათ, – და ისევ გაოცდა ყველა, როცა ნახეს, როგორ გარდაიქმნა ალექსანდრე, დიდებული შესახედაობა მიიღო. გრიგოლმა მთელი ხალხისდა სასიხარულოდ ხელი დაასხა ალექსანდრეს და ღირსეული მწყემსი ესე შემდგომში ერთ-ერთ პირველ მსხვერპლად შეიქმნა დევნისა, რომელიც უკვე მოახლოებული იყო.

ამა სამკალისათვის ემზადებოდნენ აღმოსავლეთის პირველხარისხოვან კათედრაზე დამნიჭებული სხვა ძნებიც, ალექსანდრე იერუსალიმელი და წმიდა ბასილი ანტიოქელი, – ბაბილა, რომელმაც ახალგაზრდა კეისარ გორდიას მკვლელი ფილიპე, ვინც მთელი სახელმწიფოს სათავეში მოექცა და თავს ქრისტიანად ასაღებდა, რადგანაც სული მეფის სისხლით ჰქონდა სავსე, მონანიების გარეშე საკურთხეველში არ შეუშვა. ღვთის ხელი ერია იმაში, რომ დასავლეთში თავისი დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული კაცის, – წმიდა კვიპრიანეს სახით ბრწყინვალე სანთელი აღენთო. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მოიქცა იგი ქრისტიანობისაკენ და თავადვე უკვირდა ხოლმე ასეთი გარდაქმნა, როცა იხსენებდა, თუ როგორი ღრმა უკუნეთიდან აღმოუბრწყინდა უეცრად ღვთაებრივი შუქი და ნათლობის მადლიან წყალში როგორ გაუქრა ყველა ეჭვი. წარმართობასთან ერთად მან თავისი ამქვეყნიური სიმდიდრეც მიატოვა, იგი ღარიბებს დაურიგა და თავი ერთადერთს, – წმიდა წიგნების შესწავლას მიუძღვნა: მისი საყვარელი საკითხავი ტერტულიანე იყო. ხალხის თხოვნამ, რომ ახალგაზრდა კვიპრიანესაგან სიკეთე მიეღო, სამღვდელობისაკენ ადრე გაუხსნა მას გზა, – მიუხედავად იმისა, რომ ეს წესებსა და მის სურვილს ეწინააღმდეგებოდა, მოქალაქეთა ერთსულოვანმა არჩევანმა კართაგენის გარდაცვლილი ეპისკოპოსის, – დონატის ადგილზე ასევე თავისდაუნებურად აიყვანა იგი.

კვიპრიანეს თავისი სამწყსოს ერთი წმიდა მოხუცის ხილვის საშუალებით მომავალი უბედურების შესახებ წინასწარ ეუწყა. ამ მოხუცს გამოეცხადა მამა ერთი ოჯახისა, რომელსაც მარჯვნივ მსუხარე და ღმერთის მცნებათა დარღვევის გამო ზეცი-



ური მრისხანებით აღსავსე ყრმა ედგა, მისგან ხელმარცხნივ იდგა კაცი, ვისაც გაშლილი ზადე ეპყრა ხელთ და მზად იყო უზრუნველი ხალხი გაეხვია მასში; და ეს – იმიტომ, რომ ხანგრძლივი მშვიდობის შემდეგ დაუდევრობამ მოიცვა ქრისტიანული ეკლესია. ერისკაცები, რომლებმაც მოციქულთა დროისათვის დამახასიათებელი მოუხვეჭელობა დაივიწყეს, მხოლოდ ქონების მოპოვებისთვის ზრუნავდნენ, მათ ღვთისმსახურებიც, ზოგჯერ კი – თვით ეპისკოპოსებიც ბაძავდნენ. ზნეობამ დაკნინება იწყო, მართლები წარმართებს უთანხმდებოდნენ; მომრავლდა ფიცი და ფიცის დარღვევა, – შური და სიძულვილი, საძმო შიმშილობდა. საჭირო იყო, განსაცდელი მოსულიყო, რათა ეკლესია განწმენდილიყო, როგორც ქურაში. დევნა დეკიუსის გამეფებით დაიწყო, იგი კეისარ ფილიპეს აუმხედრდა, – იმიტომ, რომ მაშინ მხოლოდ სისხლით მოიპოვებოდა რომის ტახტი. ქრისტიანები კი ისევ იმის გამო დაზარალდნენ, რომ ახალი იმპერატორის წინარემყოფი მფარველობდა მათ, როგორც ეს ქრისტიანთა მიმართ ალექსანდრე სევერუსის კეთილი დამოკიდებულების გამო მაქსიმინეს დროს მოხდა. მაგრამ სისასტიკითა და საშინელებებით ამ დევნამ ადრინდელს გადააჭარბა კიდევც, – იმიტომ, რომ ქრისტიანთა ბოლოდროინდელმა ძალისხმევამ წარმართობა შეარყია, ამან კი დიდად გააბოროტა წარმართები.

მეშვიდე ღევნა

ქრისტეს შობიდან 250-ე წელი

მეფის ბრძანებები ყველა მხარეში დააგზავნეს, მმართველები ყველგან ცდილობდნენ, დასჯის ისეთი ახალი ფორმები გამოეგონებინათ, რომ სიკვდილის იმედიც კი აღარ მისცემოდათ ტანჯულებს და გულის სიმტკიცეს ელაღატა მათთვის. ერთს, რომელსაც გახურებული რკინით ტანჯავდნენ, ქრილობებზე თაფლი წაუსვეს და მცხუნვარე მზეზე მწერთაგან შესაჭმელად დასვეს; მეორე, რათა როგორმე გაეტეხათ მისი სიმტკიცე, ცივ კორომში დააბეს და შემდეგ მას მეძავი ქალი გაშმაგებული ეხვეოდა; მაგრამ სახეში შეაფურთხა მეძავს და მერე ენა მოიკვნითა.

შიშმა მოიცვა ქრისტიანები და მრავალს შეერყა სარწმუნოება. წარჩინებული ადამიანები უფრო სულმდაბლობდნენ. წარმართი ბრბოც კი დასცინოდა მათ, როცა ფერმიხდილები წარდგებოდნენ ხოლმე კერპების წინაშე და ვერ გადაენწყვიტათ მსხვერპლი შეენირათ მათთვის, თუ დახოცილიყვნენ. ზოგი გარბოდა, სხვანი უარყოფდნენ ქრისტეს, ზოგიერთები კი ჯერ აღიარებდნენ, მაგრამ ბორკილებსა და დილეგებში პირველივე ტანჯვისას უარყოფდნენ მას. კართაგენში კი ბევრნი, – ისე, რომ დაკითხვას არც ელოდებოდნენ, წარმართ მოსამართლეებთან თვითონვე გარბოდნენ და აცხადებდნენ, რომ არასოდეს ყოფილან ქრისტიანები, ან უარს ამბობდნენ სარწმუნოებაზე, – განსაკუთრებით მდიდრები, რომელთაც განხრწნადი სიკეთისაგან განშორება არ შეეძლოთ. სხვადასხვაგვარი იყო დაცემის დონე: ერთნი მიიტანდნენ და ჭამდნენ შენაწირს, მეორენი მხოლოდ საკმევლს უნთებდნენ კერპებს; ზოგიერთები სახალხო გაკიცხვის შიშით მოსამართლეებს მოისყიდდნენ ხოლმე, – მათგან მოწმობებს ან ლიბელებს ღებულობდნენ, – ვითომ



უკვე აუნთეს კერპებს საკმეველი. მაგრამ მართალნი ასეთებს კერპთაყვანისმცემლებთან აიგივებდნენ და სამარცხვინო სახელით, - ლიბელატებით მოიხსენიებდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დაკითხვებზე თავიანთ ნაცვლად მონებს აგზავნიდნენ, ან ფულით მთლიანად იხსნიდნენ ხოლმე თავს განდგომის ვალდებულებისგან.

მაგრამ, თუ დასაწყისში ასეთი მწარე დაცემა ხდებოდა ხალხში, რომელიც ქრისტეს ეკლესიის ადრინდელ ტანჯვას გადაჩვეული იყო, მეორეს მხრივ, ეკლესიას თავის აღმსარებელთა უდიდესი გმირობანი ანუგეშებდა. წამება, რომელსაც სისხლით მეორე ნათლობა ეწოდება, ბევრს მხურვალედ ეწადა. ასე რომ, შეწყდა მრავალთა სულიერი უძლურება, ეკლესია ყველაფერს აკეთებდა, რათა სულმოკლეობისაგან თუ ვერა, თვითდაჯერებულობის გამო დაცემისაგან მაინც გადაერჩინა ადამიანები. ქრისტიანები ასეთ დაძაბულ ყოფას მიეჩვივნენ, მართალია, ურწმუნოების სხვადასხვა საფეხურზე მრავალი ეცემოდა, მაგრამ სხვები მონამეობის სხვადასხვა საფეხურზე აღიოდნენ, უმაღლეს სიკეთედ და სრულყოფილებად აღიარებდნენ ამ ზეალსვლას. განსაკუთრებით აღმსარებლებს სცემდნენ პატივს, - მათ, ვინც მრავალი ტანჯვის შემდეგაც მტკიცენი რჩებოდნენ. მრავალგვარი ტანჯვის ატანა და დაკითხვათა სიმრავლე მართალთა შორის მათ პატივისცემას აძლიერებდა: ზოგნი მხოლოდ ბორკილებს ატარებდნენ, სხვები, - დაუძლურებისაგან ლამის სიკვდილის პირამდე მისულები, ზოგჯერ რამდენჯერმე ეწამებოდნენ, - ასეთები განსაკუთრებულ უპირატესობას ლეზულობდნენ. მათ უფლება ჰქონდათ, რომ სხვადასხვა ეკლესიისთვის საყოველთაო ეპისტოლე გაეგზავნათ, - ისევე, როგორც ამას ოდესღაც მოციქულები აკეთებდნენ; შეეძლოთ ეპისკოპოსთა წინაშე შუამდგომლობა გაენიათ და მონანულთა შეწყალება ან მათი ეპიტიმის შემცირება ეთხოვათ; თუ საეკლესიო ხარისხიც ჰქონდათ, მათ ხმას კრებებზე უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მხოლოდ მართლებს არა, მწვალელებსაც ეშინოდათ მათგან მკაცრი მხილების (ერეტიკოსებს,



მით უმეტეს, უნდა შინებოდათ), – იმიტომ, რომ ქვემოთაღნიშნულ, რომელიც საკუთარი სისხლით აღიბეჭდება, საშინელი მოზაა. ასე ამრიგად, სულმდაბლობა, რომელმაც დევნის დასაწყისში იჩინა თავი, უძლეველ გმირობაში გადაიზარდა მაშინ, როცა ყველამ გამოამჟღავნა ნამდვილი სახე და ყველა უღირსი განდგა. ზოგიერთ ეკლესიაში უთანხმოებაც მოხდა იმის გამო, რომ სხვადასხვა თვალთახედვა ჰქონდათ: – ნამებისაგან თავის არიდებას ზოგი ძალიან მკაცრად, სხვა კი – შემწყნარებლურად უყურებდა.

ერთ-ერთი პირველი, – წმიდა პაპი – ფაბიანე ევნო. და რომის ეკლესია მის შემდეგ წელიწადნახევარი იყო დაობლებული, – იმიტომ, რომ ისინი, ვისაც შემცვლელს არჩევა შეეძლოთ, ან დილეგში გამოემწყვდეულნი, ან დაბნეულები იყვნენ. გადარჩენილი სამღვდლოება მართავდა თავის ეკლესიას და ზრუნავდა სხვა საქმეებისთვის. დეკიუსის დევნა ქრისტიანული სამყაროს ყველა უმაღლეს საეკლესიო კათედრაზე მყოფ ეპისკოპოსს შეეხო. წმიდა ბაბილა ანტიოქელი და ალექსანდრე იერუსალიმელი, რომლებიც ორმოცი წლის წინათ, სევერის დროს, უკვე იყვნენ აღმსარებელნი, დილეგში ჩასვეს, – ერთი თავის საკუთარ ქალაქში, მეორე კი კესარიის ნარდგენ შებორკილნი. როცა საწამებელი ადგილისაკენ თავიანთ მიერ განათლებულ ყრმებთან ერთად მიჰყავდათ, წმიდა ბაბილამ ირგვლივ მყოფთ სთხოვა, რომ მისი სხეული ბორკილებიანად დაემარხათ, რათა განკითხვის დღეს არ მოკლებოდა ეს სამკაული. როცა ყრმებს შეხედა, შესძახა: „ეს მე და შვილები ვართ, რომელნიც ღმერთმა მიბოძა“. უკვე მოხუცებულ ორიგენეს აღსრულებამდე ერთი წლით ადრე ასევე ელოდა სასტიკი მოწამეობა, რათა განთქმულ ნაწერებს საქმეებიც თან დართოდა.

წმიდა დიონისე ალექსანდრიელი მტანჯველთა ხელიდან უცნაურმა შემთხვევამ იხსნა. ოთხი დღე მშვიდად ელოდა მათ მოსვლას, მაგრამ მძებნელებმა ვერ იპოვეს. ბოლოს ღმერთისაგან შთაგონებით სახლი დატოვა და მაშინ ასისთავისა და დაცვის ხელში ჩავარდა, ღამით ეგვიპტის პატარა ქალაქში



მიიყვანეს. ამასობაში, ერთი ეპისკოპოსი, რომელსაც დიონისე¹ ეწოდებოდა, ეპისკოპოსის სახლში მივიდა, მაგრამ როცა იქ პროკონსულის დაცვა ნახა, ალექსანდრიიდან გაიქცა, ერთ მცხოვრებს შეხვდა და გაქცევის მიზეზი უთხრა. ორივე მახლობელ სოფელში შევიდა, იქ ქორნილი იყო. როცა ხალხმა თავისი მწყემსის დატყვევება შეიტყო, ჯგუფურად გაემართა ქალაქში, სადაც დიონისე ჰყავდათ დაკავებული. დაიბნა დაცვა. წმიდა ეპისკოპოსს მის საშველად მოსულეები ჯერ ყაჩაღები ეგონა და თავისი ღარიბული ტანისამოსი შესთავაზა. შემდეგ კი, როცა მათი მისვლის მიზეზი გაიგო, სთხოვდა, არ აერიდებინათ მისთვის მონამეობა, მაგრამ – ამაოდ, მორწმუნეებმა ძალით წაიყვანეს იგი ქალაქიდან და ეგვიპტის საზღვართან ერთ უდაბურ ადგილას მიიყვანეს, სადაც დევნის დასასრულამდე დარჩა.

გრიგოლი, ნეოკესარიელი სასწაულთმოქმედი, რომელმაც იცოდა, რომ მისი არცთუ დიდი ხნის წინ მოქცეული სამწყსო გამოუცდელი იყო, ყველას ურჩევდა, გაქცეოდნენ მონამეობას. და მისი კეთილგონივრული რჩევის წყალობით არავინ დაცემულა. თვითონ, რათა სხვებისთვის მაგალითი მიეცა, ერთ ყოფილ ქურუმთან ერთად, რომელიც მას ახლა დიაკვნად ემსახურებოდა, განაპირა ბორცვზე დაიმალა. ხელები ზეცისაკენ ჰქონდათ აპყრობილი, ორივე გაუნძრევლად იდგა ლოცვად და ახლოს მავალი წარმართები ამაოდ ეძებდნენ, ღმერთის ნებით, მათ შორიდან ორ ურთიერთშეზრდილ ხედ ეჩვენებოდა ისინი. როცა ჯარისკაცები მოშორდნენ, მაძებართა გამცილებელმა უეცრად დაინახა, რომ ეს ხეები არა ყოფილა, გრიგოლის წინაშე კანკალით დაეცა და მისგან მარადიული სიცოცხლის ნაყოფი იგემა. მღვდელმთავრის ლოცვები დაუსწრებლად ამხნევებდა მისი სამწყსოს აღმსარებლებსა და მარტვილებს, რომლებთან ერთადაც უხილავად იყო იგი, კომანაში მის მიერ დადგინებული ეპისკოპოსი ალექსანდრე ცეცხლში ეწამა.

სმირნაში ეპისკოპოს ევდემონს სულმდაბლობა ეწია და კერპებს მსხვერპლი შესწირა. მაგრამ ეკლესიის მამაცი პრეს-

ვიტერი, - პიონიოსი კი თავისი სამაგალითო საქციელით ამხნევებდა სამწყსოს, წმიდა წამებული, - პოლიკარპე განასენა სამწყსოს. პიონიოსმა თამამად ამხილა კერპთა ქურუმი, თავად ეპისკოპოსი, რომელმაც წარმართულ საკურთხეველთა წინაშე მონური მორჩილება გამოიჩინა; თვითონ ყველა სასტიკ სატანჯველს გაუძლო და ბოლოს ცეცხლში აღსასრულით პოლიკარპეს მიემსგავსა. ცეცხლთან ძელზე მიბმულს კიდევ ერთხელ შესთავაზეს, უარი ეთქვა ქრისტეზე. „ლურსმანთა სიმწარე უკვე გამოვცადე“, - პასუხობდა იგი, - „ახლა კი ღმერთთან ვიჩქარე“. ალი ავარდა და ცეცხლმა მოიცვა იქაურობა. პიონიოსმა, თითქოს ლოცვიდან ახლა გამოერკვაო, სიხარულით აღმოთქვა - „ამინ“ და სული მისი ამაღლდა ზეცად. სხეული კი ცეცხლში გადარჩა, - ისევე, როგორც პოლიკარპესი, რომელსაც ყველაფერში ბაძავდა ხოლმე. ბევრი სიმამაცე გამოავლინა სარწმუნოების სხვა აღმსარებელმა, - ეპისკოპოსმა აკაკიმ, რომელმაც პროკონსულის არცერთი მუქარა არ ჩააგდო არაფრად და დილეგში ტროდას ეპისკოპოს პიზანთან ერთად ურყევი დარჩა მანამ, სანამ მისი სიმტკიცით გაცეცხლებული იმპერატორის ბრძანებით არ გაათავისუფლეს.

მცირე აზიაშიც გრძელდებოდა ქრისტიანთა სისხლის ღვრა. განსაკუთრებული სისასტიკით პროკონსული ოპტიმი გამოირჩეოდა. რა ასაკისა და სამღვდლო ხარისხის ადამიანიც არ უნდა ყოფილიყო, ყველა მტკიცე ხვდებოდა. ეპისკოპოსებს, ღვთისმსახურებს, ერისკაცებიც არ ჩამორჩებოდნენ. მდიდარი ვაჭარი მაქსიმე განხრწნადმა სიმდიდრემ ქრისტეს სახელის ჭეშმარიტი აღსარებისაგან ვერ დააბრკოლა. ძლიერად სცემდნენ და ის კი იმეორებდა, რომ ერთადერთს, - მხოლოდ ღმერთს შესწირავს მსხერპლს, რომ მას სიყრმიდან სიხარულით ემსახურება და იმ მკერდით, რომელზეც ქვებს უშენენ, შეურყეველ ლოდს, - ქრისტეს მტკიცედ ეყრდნობა. ლამპასაკში პეტრემ, ნიკომიდიაში კონდრატემ, ნიკეაში ტრიფონმა და რესპიკიმ, ქრისტეფორემ ლიკიაში, მერკურიმ კაბადოკიასა და პოლიევქტოსმა სომხეთში მრავალ სხვასთან ერთად



მონამეობით დაამონმეს⁹⁰ რწმენა. ტროადაში უძველესი ქალაქის ნანგრევებთან ახლოს პროკონსულმა სამი ახალგაზრდა შეიპყრო, მათ მაშინვე განაცხადეს, რომ ქრისტიანები არიან. მაგრამ ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო ტანჯვას, წამების დროს გადანყვიტა, შეენირა დემონთათვის მსხვერპლი. მაგრამ ერთბაშად, როცა გაიცნობიერა, თუ ვისთვის აპირებდა მსხვერპლშენირვას, საშინელ კრუნჩხვებში განუტევა სული. როცა მისი სამარცხვინო განდგომის შესახებ შეიტყო, ახალგაზრდა ქალწული, – დიონისია ხალხის ჯგუფს გამოეყო და სულმდაბალს მწარე საყვედურები დააყარა. გაღიზიანებულმა პროკონსულმა ბრძანა, რომ ლანძღვის გამო დილეგში ჩაეგდოთ იგი, მაგრამ ზეციური ჭაბუკი იცავდა ქალწულს და დილით ორ სხვა აღმსარებელთან, – ანდრიასთან და პავლესთან ერთად მონამეობის ნანატრი გვირგვინი ეღირსა.

მრავალი მონამით სახელგანთქმული გახდა ალექსანდრიაც. მოხუცი იულიანე, რომელიც მსცოვანებისაგან ძლივს დადიოდა, იმისათვის რომ ქრისტე ეღიარებინა, სასამართლოს წინაშე წარდგა და შეურაცხმყოფელი სიტყვების ძახილით ცეცხლში დაწვეს მასთან ერთად, ვინც დასასჯელი ადგილისაკენ მავალს ამხნეებდა. მასთან ერთად ეწამნენ ასევე: მაკარი, ალექსანდრე და ეპიმახე, რომლებმაც მანამდე ყველა გამოსაცდელი ტანჯვა იწვნის. სხვა მოხუცი, – მეტრა, რომელსაც არ უნდოდა, რომ შეურაცხმყოფელი სიტყვები გაემეორებინა, ბევრჯელ სცემეს, თვალი ამოუგდეს და ქალაქის გარეუბანში ჩაქოლეს. ნემეზიონი ჯერ ყაჩაღობისთვის გაასამართლეს და გაამართლეს, შემდეგ კი, ქრისტიანობის გამო, ყაჩაღებზე უფრო მძიმედ დატანჯეს და მათთან ერთად დაწვეს. ეპისკოპოსი სატურნინი, რომელმაც კერპებისათვის მსხვერპლშენირვაზე უარი თქვა, თავად შეიქმნა სახალხო მრისხანების მსხვერპლად. დიოსკურემ, ყრმამ, ტანჯვის ქვეშ თავისი პასუხებითა და სიმტკიცით მოსამართლეები განაცვიფრა და მას დროებით თავისუფლება უბოძეს. არც ის ქალები დაუნვათ,

⁹⁰ ქართული სიტყვა „მონამე“ „დამონმებასთან“ კავშირდება;



რომლებიც თამამად აღიარებდნენ, რომ ქრისტიანები არიან, არც ქრისტესკენ მოქცეული რომაელი მეომრები, რომლებიც მონამობას თავიანთი მამაცობის სანახაობად გადააქცევდნენ ხოლმე, - არც სხვა ეგვიპტელები, რომელთა სახელები უთვალავია. შიშის გამო მრავალი არაბეთის უდაბნოებში გარბოდა და იქ ბარბაროსთა მსხვერპლნი ხდებოდა. ქერემონი, ნიკოპოლისის მოხუცი ეპისკოპოსი, უკვალოდ დაიძალა. კეთილშობილი ახალგაზრდა პავლე, მდიდარ მშობელთა შვილი, თავისივე ნათესავთაგან დევნის გამო იძულებული გახდა, რომ ქვემო თებაიდადან გაქცეულიყო. იგი უდაბნოს უფრო და უფრო შორეულ სიღრმეებში შედიოდა, უდაბნოსეული მდუმარება შეუყვარდა და, როცა ერთ განაპირა მღვიმეს მიაღწია, რომლის ნაპრალებში ნაყოფიერი პალმა იზრდებოდა და წყარო ჩუხჩუხებდა, იქ გაატარა მთელი თავისი ამქვეყნიური ცხოვრება. ღრმა ჭვრეტასა და სრულ სიმარტოვეში ვერც კი შეამჩნია, როგორ გაიბრინა ოთხმოცდაათმა წელმა და თითქმის საუკუნის განმავლობაში მისი უდაბნოსეული ცხოვრება ეგვიპტეში მონაზვნური ცხოვრების დასაბამი გახდა. ანტონის, განმარტოებულთა უდიდეს მამას, როცა საამისო დრო დადგა, უნდა აღმოეჩინა თებაიდას პირველი მეუდაბნოე.

ამასობაში კართაგენის ამფითეატრში დევნის დანყებისთანავე გაისმა ბობოქარი დრტვინვა: „ლომებს მიუგდეთ კვიპრიანე!“ იგი საიდუმლო შთაგონებით განმარტოებული იყო, - არა საკუთარი თავის, არამედ, - თავისი ეკლესიის სიკეთისათვის, რათა დიდი ვნებათაღელვა არ გამოწვეულიყო. მთელი მისი მონაგები ხელისუფლებამ წაიღო, თავად კი კანონგარეშედ გამოაცხადეს. მიუხედავად ამისა, სამწყსოსაგან განმარტოებული, კვიპრიანე ეპისტოლეებით მაინც განაგრძობდა სამწყსოს მართვას. ძალზე ამალეღვებელია კვიპრიანეს წერილები, რომლებშიც მხოლოდ მისი მგზნებარე სული კი არა, არამედ, იმდროის განწყობილება, დროის სული მოჩანს. კართაგენში დარჩენილ სასულიერ პირებს ევედრებოდა, რომ ეკლესიაში წმიდად აღესრულებინათ თავიანთი და მისი მოვალეობა და



ეპისკოპოსთა მთელი შემოსავალი უპოვართათვის დაერიგებინათ და რომ ძალიან ბევრს არ მოეყარა თავი და დილეგებში აღმსარებლებთან ასე არ მოსულიყვნენ, რათა ამით ბრბო არ გაელიზიანებინათ. სთხოვდა, რომ ლიტურგიისათვის ერთი მღვდელი და დიაკონი მოსულიყო. წერილებს სწერდა აღმსარებლებს: სერგის, როგაცინანს, ფელიციისიმს, მონინებით ეამბორებოდა მათ ჭრილობებზე, რომლებიც ქრისტეს გამოჰქონდათ მიღებული და ბაგეებზე, რომლებიც ქრისტეს აღმსარებდნენ და ხელებზე, რომლებმაც უარი თქვეს, კერპებისათვის მსხვერპლი ეწირათ.

დაობლებულმა რომმა კვიპრიანეს თავისი მწყემსის, - ფაბიანეს გარდაცვალების შესახებ აცნობა და კართაგენის ეკლესიასთან დაიწყო მიმონერა, - თავისი გამარჯვებებისა და ზარალთა შესახებ ატყობინებდა, ეთათბირებოდა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ მაშინ, როცა ეცემოდნენ ქრისტიანები, რათა სულმოკლე შეშინებულებში გამირობათა სურვილი აღეძრათ. კვიპრიანე რომაელ მღვდლებთან და დიაკვნებთან სიყვარულით პასუხისმგებლობდა ეკლესიისთვის. როცა აფრიკაში დევნამ იმატა და სასტიკ წამებათა შემდეგ მონამეობის გვირგვინი ბევრმა მიიღო, ფხიზლად მყოფი ეპისკოპოსი დილეგში დარჩენილებს ისევ ამხნევებდა და ნუგეშსაც კი აძლევდა, თუ ისე მოხდებოდა, რომ ეკლესიაში მანამ დამყარდებოდა მშვიდობა, სანამ ისინი მონამენი გახდებოდნენ. - იმიტომ, რომ ზოგნი, საღმრთო შურით აღსავსენი, შიშობდნენ, რომ მონამენი ვერ გახდებოდნენ. იგი სასულიერო პირებსაც უფრო მეტი ლოცვისა და მარხვისაკენ მოუწოდებდა, რათა საეკლესიო წესები არ დარღვეულიყო და ბრძანებდა, რომ შეენახათ სხეულები არა მხოლოდ იმათი, ვინც წამებით მოკლეს, არამედ, - იმათიც, ვინც ქრისტეს სახელისათვის ბორკილებში გარდაიცვლებოდა, რათა შემდეგ მიძინებულთა სხეულებზე მოსახსენებელი დღესასწაული აღესრულებინათ.

ერთ-ერთმა აღმსარებელთაგანმა, - ლუკიანემ რომიდან სხვა აღმსარებლის, - კელესტინესგან მიიღო წერილი,



რომელშიც კელესტინე მწუხარებით აუნყებდა, რომ ორი სული იერი და დაეცა და მათი სულის გადასარჩენად ხსნას სთხოვდა. ლუკიანემ, ქრისტეს გამო გადატანილ ტანჯვათაგან განდიდებულმა, უპასუხა, რომ კართაგენელმა წმიდა მონამემ, - პავლემ სიკვდილის წინ მას უფლება მისცა, რომ ცოდვებისაგან გაეხსნა ყველა დაცემული და ამიტომ, თვითონ საწამებლად მომზადებული, მხოლოდ ამ ორ დას კი არა, - ყველა იმ დამნაშავეს უბოძებს ეკლესიურ სიმშვიდეს, რომელიც დევნის შემდეგ ეპისკოპოსთან მოინანიებს.

ლუკიანემ, რომელიც დასაწყისში გულზვიადობამ სძლია, განურჩევლად დაიწყო განდგომილთა ფურცლების დარიგება და ლამის განდგომილთა მეთაურს დაემსგავსა, - იმიტომ, რომ თვითონაც არ ვნებულა დილეგში, თუმცა, შემთხვევამ იხსნა და არა - უარყოფამ ქრისტესი. წმიდა კვიპრიანეს მაშინვე არ შეუტყვია მისი საქციელის შესახებ. მაგრამ, როცა შეამჩნია, რომ მრავალრიცხოვან აღმსარებელს შორის ბევრის ზნეობამ იკლო, კართაგენელ ეპისკოპოსებს ამცნობდა, რომ მეტი მორჩილებისა და მაღალზნეობრიობისკენ მოეწოდებინათ ქრისტიანთათვის. როცა განმარტოებაში მყოფ კვიპრიანემდე ლუკიანეს უწესრიგობათა შესახებ ხმებმა მიაღწია, დამწუხრებული გულის სიღმიდან სამი დამარწმუნებელი წერილი მისწერა წამებულებსა და აღმსარებლებს, მღვდლებსა და დიაკვნებს, თავისი სამწყსოს მართალ ერისკაცებს, ევედრებოდა, არ განდრეკილიყვნენ ძველ წესთაგან, აღარ გამოეჩინათ სულმოკლეობა და არ წარმოექმნათ ცდუნებანი, რომ მხოლოდ სნეულთა მიმართ გამოეჩინათ მონყალეობა და საშიშროების დროს მათთვის მიეცათ ნება წმიდა საიდუმლოსთან ზიარებისა.

რომაელი სასულიერო პირის მიერ კართაგენელ სასულიეროთაგან გაგზავნილმა ეპისტოლემ ნათლად ცხადყო, რომ სწორი იყო ეპისკოპოსის ნამოქმედარი. ლუკიანეს კადნიერება სულ უფრო და უფრო მატულობდა. მან პირადად თავისი სახელით კვიპრიანესაც კი მისწერა მბრძანებლური წერილი, ამცნობდა, რომ დაცემულთათვის ეკლესიური სიმშვიდის მიცემის



უფლება ჰქონდა მიღებული და თავად ეპისკოპოსსაც აძლევდა ეკლესიურ სიმშვიდეს, თუმც, არავითარი საეკლესიო ხარისხი არ ჰქონდა. მღვდელმთავარმა ისევ მიმართა თავის სამწყსოს, მეზობელ ეპისკოპოსებსა და რომის ეკლესიას, რათა საერთო ძალისხმევით შეეჩერებინათ ბოროტება. და, როცა მათგან გამოგზავნილი ვრცელი ეპისტოლედან დაინახა, რომ ერთ-სულოვანნი იყვნენ და ეპისკოპოსის აზრებს ეთანხმებოდნენ, მეტი ძალა მიეცა, რომ წესების დარღვევას უფრო მტკიცედ აღდგომოდა წინ. კართაგენის ეკლესიაში განხეთქილების დამწყებნი მღვდელი ნოვატი და დიაკონი ფელიციისიმი იყვნენ, - ზნეობრივად ჩამოუყალიბებელნი და საქციელთა გამო სახელგატეხილნი. მათ აღიზიანებდა მწყემსის საქციელი, რასაც დევნის პერიოდში მრევლს უწესებდა და გაღიზიანებულები მთებში განმარტოვდნენ, - იქ დააარსეს განსაკუთრებული სექტა, რომელსაც მთიელთა სახელი უწოდეს. როცა ასეთი კადნიერების შესახებ შეიტყო, წმიდა კვიპრიანემ ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიისაგან მოკვეთა ისინი და მართალთ აფრთხილებდა, რომ მათ ცდუნებას არ წამოგებოდნენ. როცა დეკიუსის გარდაცვალების შემდეგ დევნის დასრულებამ კართაგენში დაბრუნების საშუალება მისცა, თავისი მხარის ყველა ეპისკოპოსის კრება მოიწვია და ფელიციისიმი და ნოვატი მათ მიმდევრებთან ერთად სახალხოდ გაასამართლა, განდგომილთა ცოდვის სხვადასხვა დონეც განიხილა და იმისდა მიხედვით, თუ ვის როგორი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ყველას განუსაზღვრა, რამდენ ხანს უნდა ყოფილიყვნენ ეკლესიიდან მოკვეთილები და როდის დაბრუნებულიყვნენ ეკლესიაში.

ამავე კრებაზე გადაწყდა, რომ რომში კაცი გაეგზავნათ, რათა მიეღოთ ზუსტი პასუხი, თუ ვინ აირჩიეს დაობლებულ კათედრაზე, - იმიტომ, რომ თავისი ეკლესიის სასულიერო პირთა მიერ კეთილმოქმედი კორნელის სამართლიანად დადგენამ ასევე განხეთქილება გამოიწვია. განხეთქილების დამწყები ისევ მეთაობოხე ნოვატი იყო. იგი აფრიკიდან რომში გაიქცა. იქ იგი შეუერთდა სხვა მღვდელს, - ნოვატიანს, რომელიც კორნე-



ლის არჩევას არ ამართლებდა ვითომდა იმ მიზეზით, რომ იგი დაცემულ ეპისკოპოსებს ეთათბირებოდა ხოლმე⁹¹. ნოვატიანი ყალბი სიმკაცრით მართავდა საეკლესიო პირთ, თავის მხარეს ბევრი გადაიბირა და დაარწმუნა, რომ რომის ეპისკოპოსად იგი აერჩიათ. ეს ყველაფერი კანონისდა საწინააღმდეგოდ გააკეთა. განხეთქილებას ნოვატიმა ის ერესიც დაუმატა, რომლის მიმდევრებიც თავს კათარებად, ანუ წმიდებად მოიხსენიებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ არასოდეს არ შეიძლება ურთიერთობა ვიქონიოთ დაცემულებთან, ან მათთან, ვინც მეორედ არიან დაქორწინებულნი. თავისი დადგენილების შესახებ მრავალ ეპისკოპოსს წერილები გაუგზავნა, მაგრამ არავინ არ აპყვავ, მათ შორის არც – წმიდა დიონისე ალექსანდრიელი და კვიპრიანე აპყოლიან, რომელნიც ურჩევდნენ, რომ სულის სიმშვიდე და მონანიების ძალა მოეპოვებინა.

მაშინ კორნელიმ, რომელიც თავის ტახტზე უპირველეს მწყემსთაგან იყო არჩეული, რომში მასზე დამორჩილებულ ეპისკოპოსთა და პრესვიტერთა მცირე კრება მიიმხრო და, მას შემდეგ, რაც აფრიკის ეკლესიის კრების ყველა დადგენილება მიიღო, განხეთქილების ერთ-ერთი წამომწყები, – ნოვატიანი დევნის დროს დაცემულთა მიმართ მისი ულმობელი სისასტიკის გამო დაადანაშაულა და ამის შესახებ კართაგენის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიებს შეატყობინა. რომაელი განდგომილები ისევ დაუკავშირდნენ თავიანთ მღვდელმთავარს. რომში დამარცხებული ნოვატიანი აფრიკაში გაიქცა, ნოვატიანმა იქ ნოვატთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად ახალი ამბოხება წამოიწყო. მაგრამ კართაგენში კვიპრიანე იყო ფხიზლად. შეურყეველ ლოდზე დაფუძნებული ეკლესიის განუყოფლობის, დაცემულთა სავალალო მდგომარეობისა და მონანულთა მიმართ გამოსაყენებელი შემწყნარებლური

⁹¹ კართაგენელი მღვდელი ნოვატი და რომაელი მღვდელი ნოვატიანი ზოგჯერ ერთმანეთში ერევათ ხოლმე; მიჩნეულია, რომ ნოვატიანურმა ერესმა სახელწოდება ორივე ამ პიროვნებისაგან მიიღო; – იხ. ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში), ნიკეის წმიდა I მსოფლიო კრების კანონები განმარტებებით, თარგმნა და მოამზადა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, თბ., 2004, გვ. 55-56;



ზომების შესახებ დაწერილ ეპისტოლეებში ის თავის ეპისკოპოსებს არიგებდა და ნოვატიანის განხეთქილებას ამხელდა. კვიპრიანემ აფრიკის ოლქის ორმოცდაორი განმანათლებელი შეკრიბა და ახალი კრებაც გამართა, მასზე უფრო მეტი გულმონყალებით განსაზღვრა, თუ რა დონისა იყო სხვადასხვა დაცემა და ის, თუ როგორ უნდა დაებრუნებინათ ეკლესიაში დაცემულები, - ისე, რომ სასონარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყვნენ. გადაწყვეტეს, რომ ერთმანეთისაგან განესხვავებინათ დაცემულები, სულმდაბლები და სავსებით განმდგარები: პირველებს ხანგრძლივი მონანიება წმენდდა, უკანასკნელთ კი ზიარების უფლება მხოლოდ სიკვდილის შემთხვევაში ეძლეოდა; იმ ეპისკოპოსებსა და სხვა სასულიერო პირებს, რომლებსაც ერთხელ ჩაედინათ სულმდაბლობა, ეკლესიაში მხოლოდ საერო პირებადღა აბრუნებდნენ. ამის გამო წმიდა კვიპრიანემ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია პაპს, - სტეფანეს, როცა მას მოუწინა, რომ ორი დაცემული ესპანელი ეპისკოპოსი, - ვასილიდი და მარციალი თავიანთ თავდაპირველ ხარისხში აღედგინა.

ანტიოქიაში სირიისა და მცირე აზიის ეპისკოპოსებმა ნოვატიანის გასასამართლებლად ადგილობრივი საეკლესიო კრება გამართეს. მას წმიდა დიონისე ალექსანდრიელიც ესწრებოდა. იგი ეპისტოლეებით რწმენის აღმსარებელთ სიმტკიცისკენ მოუწოდებდა. კვიპრიანეს მსგავსად, მანაც განსაზღვრა, თუ რა და რა დონეზე უნდა მოენანიებინათ დაცემულებს. მონანიება მრავალ წელს მოიცავდა: ეკლესიიდან მოკვეთილები, რომელთაც მიუსაფართ უწოდებდნენ, ჯერ ტაძრის გარეთ იდგნენ, შემდეგ ნებას რთავდნენ, წმიდა წერილის მოსასმენად კარიბჭესთან დამდგარიყვნენ; შემდეგ ეპისკოპოსის კურთხევით წმიდა ნათლობისათვის მომზადებულები ძირს დაემხობოდნენ ხოლმე; ბოლოს მართლებთან ერთად დადგომის უფლებას ლებულობდნენ; თუმც, წმიდა ძღვენს მანამ ვერ ეზიარებოდნენ, სანამ სრულად ხსნილნი არ შეიქმნებოდნენ.

მაგრამ, მიუხედავად აღმოსავლეთის ეპისკოპოსთა საეკლესიო განჩინებისა, აფრიკული უწესრიგობები მაინც ვერ



დამთავრდა. რომში თუ ნოვატიანს ენადა ეპისკოპოსობა, კართაგენში ვინმე პრესვიტერი ფორტუნატი ხუთმხრედად ჩილებელმა ეპისკოპოსმა აკურთხა და მან ამის შესახებ რომში მაშინვე ეს შეურიგებელ მტერს, – ფელიციისიმს აცნობა. ფელიციისიმი ერთხელ უკვე იყო ეკლესიიდან მოკვეთილი. პაპმა კორნელიმ ჯერ უკან გააბრუნა წარგზავნილი და მისი შემოგდებული სიგელები, რომლებიც ვითომ ოცდახუთი ეპისკოპოსის მიერ იყო ხელმოწერილი, მაგრამ შემდეგ, მუქარით შეშინებულმა, სწორი პასუხი კვიპრიანეს სთხოვა, – ჩიოდა, რომ ფორტუნატის არჩევის შესახებ წინასწარ არ ეცნობებინათ მისთვის. მტკიცე იყო პასუხი ესე. იგი კორნელის იმ ადამიანების მიმართ საეკლესიო სიმკაცრის შესუსტებაში საყვედურობდა, რომლებიც არ იმსახურებდნენ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას, საყვედურობდა, რომ ვერ ერკვეოდა იმ საქმეებში, რომლებიც თავის ეპისკოპოსებს კრებამ ერთხელ უკვე გადაუწყვიტა. რამეთუ ძველ დადგენილებათა თანახმად, ყველა მწყემსს თავისი სამწყსო ჰყავს, მასზე, – ერთადერთზე დამოკიდებული. და ის არ უნდა დარბოდეს ერთი მწყემსიდან მეორესთან, რათა დამოკიდებულთა ერთობა არ დაირღვეს. ერთი მწყემსიდან მეორესთან არ უნდა დარბოდეს კიდევ იმიტომ, რომ ეპისკოპოსთა შორის არ დაირღვეს სულიერი ერთობა და სიყვარული. კვიპრიანემ წარმოაჩინა უაზრობა ორი უკიდურესობისაგან წარმოშობილი განხეთქილებისა, რაც აფრიკის ეკლესიას მაშინ შუაზე ხლეჩდა, – იმიტომ, რომ ფელიციისიმი და ფორტუნატი კვიპრიანეს დაცემულთა მიმართ ზედმეტ სიმკაცრეში, ნოვატიანი კი – ზედმეტ შემწყნარებლობაში ადანაშაულებდნენ და ამის გამო გამოეყვნენ.

ქრისტეს შობიდან 252-ე წელი

ამასობაში იმპერატორ დეკიუსის გარდაცვალების შემდეგ, მისი შთამომავლის, – გალის დროს, ქრისტიანული ეკლესიის



წინააღმდეგ ახალი, თუმც, არა იმდენად ძლიერი, დევნა დაიწყო. მისი მიზეზი ზღვის ქარები გახდა, - იმიტომ, რომ მეფის ბრძანებებით წარმართული ღმერთებისათვის ყველა ადგილას მსხვერპლი უნდა შეეწირათ. ქრისტეს სახელის პირველი აღმსარებელი ამ დროს პაპი კორნელი შეიქმნა, - იგი ტიბრის შესართავთან გადაასახლეს, სადაც მალე მისი შთამომავალი ლუკა მიჰყვა. ორივე მონამეობრივად აღესრულა და სტეფანე არქიდიაკონმა, რომელსაც სიკვდილის წინ კორნელიმ თავისი სამწყსო ჩააბარა, მისი ადგილი დაიკავა. რომაელ წამებულთა შორის სახელი ყველაზე უფრო მეტად გაითქვეს ქალწულმა ანასტასიამ, რომელიც უსასტიკესი წამებით დატანჯეს და იპოლიტემ, რომელმაც, სხვა მრავალ წამრომს შორის, თორმეტი მოციქულის ცხოვრებაც დაწერა. იგი დიდხანს იყო აყოლილი ნოვატიანის განხეთქილებას, მაგრამ მონამეობის დროს ეკლესიისაკენ შემობრუნდა და, როცა სხვა წამებულებს თავი მოჰკვეთეს, იპოლიტე, იმის გამო, რომ მას და თეზეის შვილს ერთი სახელი ერქვათ, ველურ ცხენებს კუდებზე გამოაბეს.

ღმერთისკენ მოქცევით წყლულთაგან სავსებით განიკურნა ნეოკესარია, - იმიტომ, რომ მოქალაქეთა სახლებში ეპისკოპოს გრიგოლის ხშირი სტუმრობა მთლიანად დევნიდა მათგან ურწმუნობას. კართაგენში კი, მართალია, დასაწყისში ისევ გაისმა ბობოქარი შეძახილები: - „ლომებს მიუგდეთ კვიპრიანე!“ - მაგრამ მისმა მაგალითმა და დარიგებებმა ხალხს გულმონყალება მაინც გაუღვიძა, - იმიტომ, რომ მართალნი ერთმანეთში ინაწილებდნენ ხოლმე სნეულთათვის საზრუნავს. ასეთივე სიყვარულით ზრუნავდა იგი აფრიკელ და ასევე ანტიოქელ ტყვეებზე, რომლებიც ბარბაროსთა შემოსევების გამო იმპერიის გარეთ იყვნენ გასახლებულნი და თავისუფლებადაკარგულები, მოსაზღვრე ეპისკოპოსებს მათ გამოსასყიდ ფულსა და ნუგეშინიმცემელ ეპისტოლეებს უგზავნიდა.

ვალერიანის გამეფების შემდეგ დევნა არცთუ დიდი ხნით შეწყდა. აფრიკის ეკლესიისათვის საუკეთესო დრო ახლალა დადგა. მსოფლიო ეკლესიათა შორის იგი ყველაზე უფრო



ცოტა ხანს იყო აყვავებული. მის ადგილობრივ ხშირ კვიპრიანე მეთაურობდა ხოლმე. მისი სიბრძნის გაზიარება ხშირად სჭირდებოდათ და ხშირად მიმართავდნენ მეზობელი ესპანეთის, გალიისა და აღმოსავლეთის პერველხარისხოვან საეპისკოპოსოებს, რათა ნოვატიანი ემხილებინათ, ცალკეული საკითხები გადაეწყვიტათ, საეროთა და სასულიეროთა დაცემისა და ზოგჯერ მთელი ეკლესიისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ემსჯელათ. ნოვატიანთან დაკავშირებულ საკითხებზე მთლიანობაში ეთანხმებოდა იგი, რასაც განამტკიცებდნენ: დიონისე ალექსანდრიელი, დიმიტრი ანტიოქელი, მოზავან იერუსალიმელი, ორივე კესარიიდან – თეოკტისტე და ფირმილიანე, მარინ ტირსელი, ილიოდორ ლაოდიკიელი, გელენ ტარსელი და ამათვან პირველის ეპისტოლე, – გაგზავნილი პაპ სტეფანესთან. მაგრამ ერთობა, ლამის იყო და, დაირღვა საკითხზე, რომელიც ერეტიკოსთა ნათლობას შეეხებოდა.

წმიდა კვიპრიანე მომხრე იყო იმისა, რომ ახალშობილები მოენათლათ ხოლმე, – იმიტომ, რომ ისინი უფრო ღირსეულნი იყვნენ, ვიდრე ზრდასრული უფროსები, რადგან ემბაზში მხოლოდ ადამისდროინდელი პირველცოდვისაგან უნდა განწმედილიყვნენ და არა – პირადი ცოდვებისგან. მაგრამ არ სურდა, ნამდვილად მიეჩნია ჭეშმარიტი ეკლესიისაგან განდგომილთაგან აღსრულებული ნათლობა, რადგან ასეთ ადამიანებს სულიწმიდის მადლისაგან განშორებულებად მიიჩნევდა და კრებაზე დაადგინა, რომ ერესთაგან მოქცეულები თავიდან მოენათლათ. მხოლოდ აფრიკის ეპისკოპოსებმა კი არა, – არამედ, მრავალმა აღმოსავლეთელმაც, ვისთანაც მიმონერა ჰქონდა, გაიზიარა მისი აზრი. და ფირმილიანე კესარიელმა იკონიის ხალხმრავალ კრებაზე საზეიმოდ დაადგინა ეს წესი. მაგრამ სტეფანემ, რომელიც ძველ საეკლესიო გადმოცემას ეყრდნობოდა, კართაგენის კრების გადაწყვეტილება არ მიიღო და იმუქრებოდა, რომ აღმოსავლეთის ეკლესიებთან კავშირს განწყვეტდა. მოციქულთა მიერ ერთი სარწმუნოებისა და ერთი ნათლისღების შესახებ თქმულ სიტყვაზე დაყრდნობით, იგი ყოველგვარ ნათლობას



მტკიცედ მიიჩნევდა, თუ ის სწორად იყო წარმოთქმული მაშინ, ძისა და სულიწმიდის სახელით. სულიწმიდის ნიჭთა მისაღებად მხოლოდ იმას მიიჩნევდა აუცილებლად, რომ ერესიდან შემოქცეულებს ხელდასხმისას მირონცხება მიეღოთ. ის მაგალითიც მოჰყავდა, რომ წამებულთათვის წყლით ნათლობას თავიანთ სისხლში ნათლობა ცვლიდა, თუ კი ისინი გარდაცვალებამდე ვერ ასწრებდნენ ნათლობის მიღებას.

ამ საკითხზე უთანხმოებანი კიდევ რამდენიმე წელს, - პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებამდე გრძელდებოდა.

თუმც, ეკლესიათა ერთობა არ დარღვეულა, - ეკლესიები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ადგილობრივი ჩვეულებებით ხელმძღვანელობდნენ და ამიტომ სტეფანეს მუქარამ კვიპრიანესა და ფირმილიანე კესარიელის აღმფოთება გამოიწვია. თავიანთ ეპისტოლეებში ამხილეს მისი მედიდურობა. ისინი არ სცნობდნენ თანასწორ ეპისკოპოსებზე სტეფანეს უპირატესობას, ეპისკოპოსები მოვალენი იყვნენ, რომ ქრისტეს ერთიანი სამწყსო ურთიერთსიყვარულით ემწყემსათ. აფრიკისა და მცირე აზიის ადგილობრივ კრებებს იმონებდა ორივე. დევნათა შუალედურ პერიოდებში საკმაოდ ხშირად იმართებოდა ხოლმე ეს კრებები, - მაშინვე, როგორც კი საამისო საშუალება იქმნებოდა, რათა საეკლესიო საქმეები მოგვარებულიყო.

დიონისე ალექსანდრიელი ნაწილობრივ მათ აზრებს ეყრდნობოდა და პაპ სტეფანესადმი გაგზავნილ წერილებში იმ უწესობის რამდენიმე მაგალითი მოჰყავდა, როცა ნათლობის საიდუმლოს აღსრულება მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთ ხდებოდა. სტეფანეს მემკვიდრის, - სიქსტისადმი გაგზავნილ წერილებში ის ეგვიპტეში წარმოშობილ საბელიუსის სექტას ამხილებდა, - საბელიუსი წმიდა სამების წევრთა სხვადასხვაობას არ სცნობდა და ძე ღმრთისას და სულიწმიდას განსაკუთრებულ ჰიპოსტასს უარყოფდა, ამით ცდილობდა, რომ ქრისტეს განსხეულების შესახებ ნათელი და დოგმატური სწავლება დაებინდა.

მერვე და მეცხრე დევნა

ქრისტეს შობიდან 257-ე წელი

დიონისე ამ წერილებს უკვე ტყვეობაში მყოფი წერდა, ტყვეობა ქრისტეს სახელის მეორედ აღსარებისათვის იწვნია. ვალერიანეს სამწლიანი, – ქრისტიანთათვის მშვიდობიანი მმართველობის შემდეგ ქრისტიანების მიმართ კეისრის საყვარელი რომაელი პრეფექტის, – მაკრინის სიძულვილის მიზეზით კვლავ განახლდა დევნა. მაგრამ ამ წმიდა კაცის განდევნამაც კი მხსნელი ზემოქმედება იქონია ლიბიის იმ შორეული ადგილებისათვის, სადაც პირველად გადაასახლეს იგი. მასთან ერთად იქ ქრისტეს სხივებმა შეაღწია. და დანაწევრებით დატოვა მან თავისი ველური თავშესაფარი მაშინ, როცა ეჭვიანმა პრეფექტმა ისევ გაასახლა, – ამჯერად ალექსანდრიასთან ახლოს, რათა უკეთ ედევნებინა თვალყური ქრისტიანთა უზუცესის საქმიანობისთვის. მაგრამ მოხდა პირიქით, – თავად მწყემსს მიეცა საშუალება, რომ უფრო მოხერხებულად ედევნებინა თვალი თავისი ეკლესიისათვის და, მიუხედავად კეისრისგან აკრძალვისა, გარშემო მართალნი შემოეკრიბა. ტყვეობაში წმიდა დიონისეს მეგზურობდენ პრესვიტერი მაქსიმე, რომელმაც ალექსანდრიის კათედრაზე შეცვალა იგი, ორი დიაკონი: – ევსევი, რომელმაც ლაოდისიის ეკლესიაში ღვთისნიერი საქმეებით გაითქვა სახელი, და ფავსტე, რომელიც დიოკლიტიანეს უკანასკნელ დევნას მოესწრო და ღრმა სიბერეში ეწამა.

რომში პრეფექტ მაკრინის ყოფნამ სასჯელთა რიცხვი მოამრავლა. იმპერატორს, რომელიც სპარსელებთან ომით იყო დაკავებული, სენატისათვის გადასაცემად ქრისტიანთა საწინააღმდეგო სასტიკი ბრძანება გამოსთხოვა, ამ ბრძანებით, ძე ღმრთისას აღსარებისათვის ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკონები სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ, სენატორების,



რომაელ მხედართა და წარჩინებულ ქალთათვის ღირსება და პატივითა
 ქონება უნდა ჩამოერთვათ, მონობისაგან გათავისუფლებულ
 თათვის კი თავისუფლება წაერთმიათ. ეს ბრძანება იმპერიის
 ყველა ოლქში გამოაცხადეს. რომაელი ეპისკოპოსი სტეფანე
 დევნიას პირველი იქნა დასჯილი, — მას თავი მოჰკვეთეს; მისი
 მემკვიდრე სიქსტი სიკვდილის თავისებურებითაც მიემსგავსა
 სტეფანეს მაშინ, როცა ლიტურგიკის აღსრულებისათვის ემზა-
 დებოდა. ღმრთისთვის მოშურნე ეპისკოპოსმა ლავრენტიმ,
 რომელიც რომის ეკლესიის შვიდ დიაკონს შორის უფროსი
 იყო, როცა თავისი მწყემსი სასიკვდილოდ მიმავალი დაინახა,
 აცრემლებულმა შესძახა: — „მამაო, შვილის გარეშე სად მიდიხ-
 არ? შენ არასოდეს გინირავს მსხვერპლი შენი შემნის გარეშე!
 გამომცადე, — ღირსეულად გყავდი, თუ არა ამორჩეული!“ — „მე
 შენ არ გტოვებ,“ — მიუგო სიქსტმა, — „შენ უფრო მეტი ღვან-
 ლი მოგელის: სამი დღის შემდეგ წამომყვები.“ და სამი დღის
 შემდეგ მონამეობრივად მიყვა იგი თავის მწყემსს. პრეფექტ-
 მა, რომელსაც ეკლესიის ძვირფასეულობის შესახებ სმენოდა,
 ლავრენტის, როგორც სიქსტისაგან ხაზინის მოვლის ნდობით
 აღჭურვილს, ეს ძვირფასეულობა მოსთხოვა. მამაცმა დიაკონ-
 მა სამი დღის ვადა ითხოვა და კარიბჭესთან კოჭლები, ბრმები,
 ყველგა ყარიბი და ლატაკი შეაგროვა, — ისინი, ვისაც რომის
 ეკლესია მონყალეებას აძლევდა ხოლმე: — „აი, ჩვენი საუკეთესო
 ძვირფასეულობა,“ — მიუგო გაოგნებულ პრეფექტს, — „ოქროსა
 და ვერცხლის ჭურჭელი, ტალანტები, რომელსაც ამა ქვეყნის
 ვერანაირი სიმდიდრე ვერ შეედრება, სიკეთეში მოიხმარე ისინი
 და გადარჩებით კეისარიცა და შენც“. მაკრინმა ბრძანა, რომ
 გახურებულ ცხავეზე გაეწვინათ წამებული. და ზეციურმა შუქმა
 გაუბრწყინდა სახე. სურნელებას გამოსცემდა მისი დამწვარი
 სხეული. ერთ ადგილზე დიდ ხანს წოლის შემდეგ ლავრენტიმ
 მშვიდად უთხრა მტანჯველს: — „აჰა, შევიწვი, ახლა შეგიძლია,
 შემჭამო“. შემდეგ ღმერთს რომის გადარჩენისთვის შეჰლაღა-
 და და სული განუტევა. მისი დიდი მოთმინებით გაოცებულმა
 სენატორებმა არქიდიაკონის ნაწილები ძელებზე დაასვენეს და

დასაკრძალავი ადგილისაკენ წაასვენეს.

დევნის დასაწყისისში აფრიკაში პროკონსულის სასამართლოზე კვიპრიანე გამოიძახეს მუქარით, რომ მოკლავდნენ, თუ იესო ქრისტეზე უარს არ იტყოდა. – „მე ქრისტიანი და ეპისკოპოსი ვარ“, – მიუგო წმიდა კაცმა, – „მნამს ერთი ჭეშმარიტი ღმერთი, იმპერატორთა ჯანმრთელობისათვის ვევედრები მას, მე მტკიცე აღმსარებლად დავრჩები“. – „ახლა ტყვე გახდები“, – უთხრა მოსამართლემ, – „და მერე შენი პრესვიტერები დამისახელე“. – „შენ ყველა, თავის ადგილას მყოფი, შეგიძლია ნახო“, – მიუგო კვიპრიანემ, – „თქვენივე კანონები გვიკრძალავს, მაბეზლარები გავხდეთ, ჩვენი კანონები კი იმის ნებას არ გვაძლევს, რომ საკუთარი ნებით გავხდეთ მონამენი; გააკეთე, რაც ნაბრძანები გაქვს“.

პატარა ზღვისპირა ქალაქში მთელ წელს გასტანა კვიპრიანეს ტყვეობამ. ტყვეობა სიკვდილთან მშვიდად შეხვედრაში ეხმარებოდა და საამისოდ სხვებსაც ამზადებდა, ამაღლელები ეპისტოლეებით მტკიცე აღმსარებლობისაკენ მოუწოდებდა; – იმიტომ, რომ ცხრა ეპისკოპოსი, მრავალ მღვდელთან და დიაკონთან ერთად, ცოლები და ბავშვებიც კი – მართალთაგანნი, შებორკილები, ცემით დასახიჩრებულები, მავრიტანიის მალაროებში გააგზავნეს. კვიპრიანეს ლოცვა და მოწყალეობა შეენია მათ. კვიპრიანემ სიზმრისეულ ჩვენებაში საკუთარი აღსასრულიც იხილა. მღვდელმთავარს ესიზმრა, რომ უკვე წარმდგარია წინაშე მსაჯულისა, რომელიც მის განაჩენს წერს, ხოლო ჭაბუკმა, რომელიც ხმლით ხელში უკან იდგა, ანიშნა, რომ სიკვდილს თავის მოკვეთით მიიღებდა. როცა განსჯილმა საეკლესიო საქმეთა მოსაგვარებლად დრო ითხოვა, იმავე ჭაბუკმა ისევ ანიშნა, რომ მოსამართლე თანახმაა.

კვიპრიანე გადასახლებიდან უკვე დაბრუნებული იყო და ცხოვრების უკანასკნელ დღეებს კართაგენთან ახლოს, თავის პატარა ბაღში, ატარებდა, როცა კეისრის მკაცრმა კანონმა აფრიკის ოლქსაც მიაღწია. მეგობრებმა დამალვა ურჩიეს, მაგრამ არ დათანხმდა, გრძნობდა, რომ მოახლოებულიყო დრო,



როცა გამირული ცხოვრება ღირსეულად უნდა დაესრულებინა მხოლოდ იმას ელოდა, პროკონსული დაბრუნებულიყო, რაში შემდეგ მთელი ეკლესიის წინაშე ვნებულებოდა. მის წასაყვანად საპატიო დაცვა მივიდა. სიხარულით შეეგება მოხუცი და დაწმუნებული იმაში, რომ მოწამეობის გვირგვინს მალე უკვე ველარაფერი დააშორებდა, სამხედრო მეთაურის სახლისაკენ სწრაფად გაემართა. იქ ახლობლებმა მოინახულეს. მახლობლად მთელ ღამეს ხალხი იყო შეკრებილი. კეთილი მწყემსი ახალგაზრდა ასულებისათვის ზრუნავდა, რომ ხალხში არავის მიეყენებინა მათთვის შეურაცხყოფა. დილით მოითხოვეს, რომ სასამართლოზე წარმდგარიყო კვიპრიანე.

– „შენ ხარ კვიპრიანე, – მამა ამა უკანონოთა?“ – ჰკითხა პროკონსულმა. – „მე ვარ“, – მიუგო კვიპრიანემ, – „შესწირე ღმერთებს მსხვერპლი, თუ არა და დაფიქრდი, რა მოგელის“, – უთხრა მოსამართლემ და ასეთივე მკაცრი პასუხი მიიღო: – „შენ იცი, რაც უნდა გააკეთო, მე მზად ვარ!“ განსასჯელის გასაგონად სასიკვდილო განაჩენი იქნა წაკითხული და მან ღმერთს მადლი შესწირა. და დაიგმინა ირგვლივ მყოფმა ხალხმა. ჯარისკაცებმა მოხუცი, – კორომების ჩრდილიან ადგილას გაიყვანეს, უკან მიჰყვა ხალხი, რომელიც იძახდა: – „ჩვენს მწყემსთან ერთად დავიხოცოთ“. წმიდა კვიპრიანემ მანტია გაშალა და სალოცავად მუხლი მოიყარა. მერე დიაკვნებს ზედა ტანისამოსი მისცა და ფულის ნაწილი იმას აჩუქა, ვისაც თავი უნდა მოეკვეთა. თვალები აიხვია და მღვდელმსახურებს სთხოვა, რომ ხელები შეეკრათ. მორწმუნეები ქსოვილის ნაჭრებსა და პირსახოცებს ყრიდნენ ძირს, რათა მისი წმიდა სისხლი შეენახათ. და სიყვარულით დაგებულ ამ ლოგინზე დაეცა მოხუცებული თავი.

მონამის წმიდა ნაწილები დიდი პატივით დაკრძალეს. წმიდა ფლაბიანეს, მის დიაკონს, მანუგეშებელი ხილვა ჰქონდა: გახარებული კვიპრიანე ესიზმრა და მზრუნველურ კითხვაზე, – თუ იტანჯებიან მოწამეები წამების დროს, ასეთი პასუხი მიიღო: – „სხეული არ იტანჯება მაშინ, როცა სული უკვე ცა-

შია და მთელი სამშენველი ღმერთშია“. კვიპრიანეს დატყვევება
ლუკიანემ დაიკავა.

ნამებანი კი არა და არ წყდებოდა. იპონში ეპისკოპოსი თეო-
გენე, ნუმიდიაში კი სამი ეპისკოპოსი ენამა ქრისტეს გაბედული
აღსარებისთვის, – ალაპი, სეკუნდინი და ერთი უცნობი – თავის
ღიაკონ იაკობთან და მკითხველ – მარინთან ერთად. მათ ჯერ
კიდევ ამქვეყნად ყოფნისას შეიგრძნეს, რომ ზეციური ნეტარე-
ბა ელოდათ. უტიკოში სამასმა აღმსარებელმა კერპებისათვის
საკმეველის კმევას კირის ცეცხლის შუაგულში დანვა ამჯობინა;
– მწყემსის მაგალითმა, რომელიც რწმენაში განსამტკიცებლად
მრავალს ეცხადებოდა ხოლმე, ყველა აღაფრთოვანა. მისი სხვა
სამი კართაგენელი მოწაფე, რომელიც დაბორკილი იყო ტყვეო-
ბაში და ასევე ზეციური ხილვებით მხნევდებოდა, მალე მიჰყვა
თავის მასწავლებელს და სიმტკიცით საყოველთაო გაოცება
გამოიწვია. პრესვიტერი ვიქტორი, დიაკონები: ფლაბიანე და
პონტი, რომელმაც კვიპრიანეს ნეტარი აღსასრული აღწერა,
ზემორე ხსენებულთა შორის იყვნენ, დილეგებსა და მალაროე-
ბში მრავალი სხვა სასულიერო და საერო პირი აღესრულა.

ვალერიანეს დროს ესპანეთს, გალიასა და აღმოსავლეთსაც
ჰყავდა თავიანთი მოწამეები, თუმცა, იქ ისეთი სასტიკი არ ყო-
ფილა დევნა, როგორც – აფრიკაში. თერაგონის ეპისკოპოსმა
ფრუქტუოსმა ორ ერთგულ დიაკონთან ერთად ცეცხლში დაას-
რულა სიცოცხლე. იგი პარასკევის მარხვას მკაცრად იცავდა
და, რადგან ჯერ არ დამდგარიყო სალამოს საათი, როცა საჭმ-
ლისა და სასმელის მიღების უფლება მიეცემოდა, – მიუხედა-
ვად იმისა, რომ, ამფითეატრში მყოფი წყურვილისაგან იტან-
ჯებოდა, მარხვის დარღვევა სიკვდილის დროსაც არ ინდობა.
აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭიმული მსოფლიო
ეკლესიისათვის მხურვალედ ლოცულობდა და, როცა დაინვა
საბელი, რითაც ბოძზე იყო მიბმული, სალოცავად შუა ცეცხლ-
ში მოიყარა მუხლი. ასეთ მწყემსთა წყალობით უკვე ყვავდე-
ბოდა ესპანეთის ეკლესია, რომლის დასაწყისი ხანის ისტორია
კარგად არ არის ცნობილი. ასეთებითვე განითქვა სახელი



გალის ეკლესიამ, - საეპისკოპოსო კათედრები უკვე დაარსდა ლიმოგიაში, ნარბონაში, ტურში, კლერმონტში, ტულუზასა და პარიზში. სატურნინე ტულუზელი გაბოროტებული წარმართი ქურუმების მიზეზით ღმერთებისათვის შესანიშნავად გამზადებული გააგებული ხარის რქებზე იქნა მიბმული და მაღალი საკერპოს საფეხურებთან სასიკვდილოდ დაიმტვრა. დიონისე პარიზელს, ისევე, როგორც მის პრესვიტერსა და დიაკონს, საფრანგეთის მომავალი დედაქალაქის კარიბჭესთან თავი მოჰკვეთეს; სხვა, - ნაკლებად ცნობილი ეპისკოპოსებიც ეწამნენ, ნიცაში - პონტი, პრესვიტერი მაქსიმე და მისი ერთგული პრესვიტერი ფელიქსი - ნოლში, პროვატი კი - გერმანიის საზღვრებთან ახლოს.

მოციქულ პავლეს ღვთაებრივი სწავლება, რომ სიყვარული ყველაფერზე მაღლაა და რომ, თუ ვინმეს სიყვარული არა აქვს, ანგელოზთა ენითაც რომ ილაპარაკოს, მხოლოდ მონკრიალე წინწილა და მოჟღერიალე რვალი იქნება,⁹² ანტიოქიაში წარმოჩნდა თვალნათლივ. ორი მართალთაგანი, - საპრიკი და ნიკიფორე, ერთი პრესვიტერი, მეორე კი - საერთოთაგანი, ერთმანეთთან მთელი ცხოვრება ძმური სიყვარულით დაკავშირებული, უეცრად წაიჩხუბა და სიყვარული სიძულვილად აქციეს. მაგრამ ნიკიფორე პირველი მოეგო გონს და ძველ მეგობარს შერიგება სთხოვა. ამაო გამოდგა ხვეწნა. დაიწყო დევნა. საპრიკი, როგორც პრესვიტერი, რომელმაც ქრისტეს სახელი მტკიცედ აღიარა, ბევრი ტანჯვის შემდეგ უკვე მონამებრივი გვირგვინის მისაღებად ემზადებოდა. როცა მონანულმა ნიკიფორემ შეიტყო, რომ დასასჯელად მიჰყავდათ, გაიქცა მასთან შესახვედრად, მუხლებზე მოეხვია აღმსარებელს და პატიებას სთხოვდა. საპრიკი დუმილით განემორა. ყოფილმა მეგობარმა ქალაქის კარიბჭესთან ისევ შესძახა: - „იესო ქრისტესათვის წამებულო, მაჰატიე!“ - და პასუხს ისევ ვერ ეღიროსა. ბოლოს, უკვე თავად დასჯის ადგილას, მონამის წინაშე უკანასკნელად დაემხო მუხლებზე და მზად იყო, თვითონ გამხდარიყო

⁹² იხ. I კორინთ. 13: 1;



ქართული ენციკლოპედია

ქრისტეს მსხვერპლი, ნიკიფორემ ერთმანეთის პატივებისთვის ახებ მაცხოვრის მიერ თქმული სიტყვები შეახსენა. მაგრამ მსხვერპლად შეწირვისას საპრიკის გასასტიკებული გული მაინც არ მოლბა და მაშინ მოწამეობის გვირგვინი ნიკიფორეს გადაეცა: - „რას ეხვეწები, შე სულელო, სიკვდილიმისჯილს?! რა, ვერ ხედავ, რომ მალე ცოცხალი აღარ იქნება?“ საპრიკს საქონდრაქეზე დაადებინეს თავი. მაგრამ მისი გული, რომელიც ადამიანის მიმართ გაყინულიყო და სიყვარული აღარ შეეძლო, უცბად ღმერთის მიმართაც გაიყინა, - „რატომ მსჯით?!“ - ნამოიძახა, - „მზად ვარ ღმერთებს მსხვერპლი შევწირო!“ შეძრწუნდა ნიკიფორე, ახლა უკვე თავის პატივებს კი არა, - მისი სულის გადარჩენას ევედრებოდა, მაგრამ - ამოდ. და განდგომილის ადგილის დაკავება მას მოუხდა, - ქრისტეს სახელის მამაცური აღიარების გამო მოწამეობის ჯილდო მას ერგო.

პალესტინის კესარიისში წმიდა მარინმა, კეთილშობილი წარმომავლობითა და სიმდიდრით ცნობილმა, წარმავალი დიდება მთაზე ცხოვრებაში გაცვალა. მისთვის უმაღლესი სამხედრო წოდება უნდა მიეცათ და საჭირო იყო, ასეთი პატივის წინ იმპერატორთა კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირა. მარინი ვერა და ვერ დაითანხმეს. მაშინ პალესტინის მმართველმა მოსაფიქრებლად სამი საათი მისცა. როცა ეს კესარიის ეპისკოპოსმა, - თეოქტისტემ შეიტყო, ხელი ჩასჭიდა მარინს და ეკლესიაში წაიყვანა. საკურთხევლის შიგნით თეოქტისტემ მარინს ერთი ხელით მის წელზე შემორტყმული მახვილისაკენ, მეორით კი ტრაპეზზე დადებული სახარებისაკენ მიუთითა და უბრძანა, მათ შორის უმჯობესი ამოერჩია. მარინმა სახარებისაკენ გაიწვდინა ხელი სიხარულით და სიკვდილის წინ მწყემსმა ლოცვით გაამხნევა იგი. ეკლესიიდან პირდაპირ სასამართლოში, იქიდან კი - მოსაკლავად წაიყვანეს და რომის პატრიკოსმა, - ასტურიუსმა, რომელიც მარინის დიადმა სულმა განაცვიფრა, ძელებზე დადებული წაასვენა მისი გასისხლიანებული სხეული დასაკრძლავი ადგილისაკენ.

სამი წლის განმავლობაში ქრისტიანთა სასტიკი დევნის გამო თავად მდევნელს, – კეისარ ვალერიანეს ენია სასჯელი, – იგი სპარსელებთან წარუმატებელი ომის შემდეგ მათ მეფეს, – საპორს ჩაუვარდა ხელში და, მიუხედავად იმისა, რომ, მისი შვილი და ტახტის მემკვიდრე ვალერიენე გამოსასყიდს იძლეოდა, თავისუფლება ათი წლის განმავლობაში ჰქონდა წართმეული. ცნობილ ტყვეს, რკინის გალიაში გამოკეტილს, საპორი თან დაატარებდა და, როცა ცხენზე ჯდებოდა, გამარჯვებისაგან გაამაყებული, სკამის მაგივრად მასზე შემოდგამდა ხოლმე ფეხს. ქრისტიანებმა კი დაისვენეს გალიენეს მშვიდი მმართველობის დროს, მაგრამ ახლა რომს აღარ ეღირსა მოსვენება, – იმიტომ, რომ რომის სხვადასხვა მხარეს ერთბაშად ოცდაათი ტირანი გამოჩნდა და სამეფო მანტიისათვის ერთმანეთს ებრძოდა მანამ, სანამ მათ შორის ყველაზე უფრო ბედნიერმა მტკიცედ არ მოიკიდა ტახტზე ფეხი. ამასობაში ჩრდილოეთიდან ბარბაროსები მოაწყდნენ: გერმანთა ტომები იტალიაში შეიჭრნენ, გალია გაანადგურეს, სარმატები – პანონიაში, გოთები საბერძნეთსა და მცირე აზიაში შეიჭრნენ, პართელებმა კი სირიას შეუტიეს. ეს იყო დასაწყისი ხალხთა იმ საშინელი მოძრაობისა, რომელიც რომის მოძველებული მონარქიის საფუძვლებს ასი წლის შემდეგაც არყევდა და რომელმაც ერთ შეუწყვეტელ ნაკადად შესვლით აზიის ველური ტომებით გაავსო ევროპა.

დედამიწის ამ მშფოთვარებისას მოხდა ისე, რომ აღსრულდა ნება ღმრთისა, რომ ეკლესია განვრცობილიყო. ქრისტეს ნათელმა პირველად შეანათა იმ ბარბაროსებს, რომლებსაც ტყვედ ბევრი ქრისტიანი, ბევრი ეპისკოპოსი და მღვდელი მიჰყავდათ. თავიანთი ტყვეების კეთილი საქმეებისაგან შეძრულნი, დატყვევებულთა ხელთაგან აღსრულებული საოცარი კურნებებით განცვიფრებულნი, ისინი მორჩილად იღებდნენ სარწმუნოებას იმისა, ვისი ძლიერი სახელიც მათში არაჩვეულებრივ სასწაულებს იქმოდა. ბარბაროსთა შემოსევებისას თავს სხვა



უბედურებებიც დაატყდა იმპერიას, ეს იყო მიწისძვრები, სხვადასხვა ადგილას და თითქმის ყველგან – ზღვის ქარიშხლები. რომსა და ალექსანდრიაში ყოველდღიურად 1000 ადამიანამდე იღუპებოდა და ამ დროსაც მთელი ბრწყინვალეობით წარმოჩნდა ქრისტიანთა ქველმოქმედება, – იმიტომ, რომ თავიანთ მწყემსთაგან შთაგონებით ისინი თავს წირავდნენ და განუწყვეტლად ზრუნავდნენ სნეულთათვის, რომელთაც წარმართები გულცივად ტოვებდნენ სახლებსა და ქუჩებში.

რომისა და ალექსანდრიის ეკლესიებში იმ დროს ორმა დიონისემ გამოიჩინა თავი. ერთ-ერთი მათგანი ჯერ მხოლოდ იწყებდა მოღვაწეობას, მეორე კი ღრმად მსცოვანი იყო და ასე ასრულებდა წმიდა ცხოვრებით აღსრულებულ ღვაწლს. თავის უკანასკნელ წაწერებში ნეპოსისა და მილერანიელების ცდომას განიხილავდა; – მათ მიაჩნდათ, რომ სამყაროს აღსასრულამდე ჯერ მინიერი მეუფება დამყარდებოდა ქრისტესი და წმიდანებისა. აპოკალიპსისის ამ მცდარმა განმარტებამ შემდგომშიაც არაერთხელ ააღელვა მრავალთა გონება. წმიდა სამების დოგმატზე მსჯელობისას წმიდა დიონისეს თავის მართლებაც მოუწია იმ ბრალდებისაგან, თითქოს საბელიუსის ერესზე საუბრისას სამების წევრ – ძე ღმრთისაზე არასწორი აზრი გამოთქვა და თავის მართლმადიდებლობას ამტკიცებდა. აღმოსავლეთში იმდენად დიდი პატივით სარგებლობდა მღვდელმთავარი, რომ აღდგომის დღესასწაულის დროის შესახებ მისმა წერილმა, კრებათა მიერ დადგენილი წესების მსგავსად, კანონიკურის ძალა შეიძინა, – ისევე, როგორც მისი თანამედროვის, – სასწაულთმოქმედ გრიგოლ კესარიელის მიერ ბარბაროსთა შემოსევების დროს ცოდვათა დაცემის სხვადასხვა ხარისხის შესახებ დაწერილმა წერილმა. ხანსრულნი და ღვაწლთა სრულად აღმსრულებელი ორივე მნათობი აღმოსავლეთისა ერთ დროს წავიდა ღმერთთან. ნეტარი აღსასრულის ჟამს გრიგოლმა იკითხა, – კიდევ ბევრი დარჩა წარმართი? – „მხოლოდ ჩვიდმეტი,“ – მიუგეს და გრიგოლმა მადლი აღუვლინა უფალს, – იმიტომ, რომ, როცა საეპისკოპოსოში მივიდა, მხოლოდ ჩვიდ-



მეტი ქრისტიანი იყო იქ, ამ ქვეყნიდან წასვლის წინ კი წარმართული რწმუნების
 თი ზუსტად იმდენილა რჩებოდა, რამდენი ქრისტიანიც ჰქონდა.
 მთელ ქალაქში, როცა იქ მივიდა.

აღსრულების წელს ორივე მწყემსი კიდევ ერთხელ, -
 უკანასკნელად მოემსახურა ეკლესიას: დიონისე - რჩევით,
 გრიგოლი - ანტიოქიაში ადგილობრივი ეპისკოპოსის, - პავლე
 სამოსელის წინააღმდეგ გამართულ კრებაზე პირადი დას-
 წრებით. პავლე სამოსელს, თავმდაბალი დიმიტრის მედიდურ
 შემცვლელს, ცხოვრების წესით უზნეოს, მოსაზრებები კიდევ
 უფრო უარესი ჰქონდა, - არა სჯეროდა, რომ ქრისტე ღმერ-
 თია და თავისი ბუნდოვანი გამონათქვამებით ცდილობდა,
 მამისა და ძის ერთარსების შესახებ მთავარი დოგმები დაემახ-
 ინჯებინა, - იგი ქრისტეს უმეტესწილად ადამიანურ ბუნებაზე
 ამახვილებდა ყურადღებას. გრიგოლ სასწაულთმოქმედთან,
 მის ძმა - ათინაგორასთან, სხვა მღვდლებთან და ეპისკოპ-
 ოსებთან, - თეოქტისტე პალესტინის კესარიელთან, იმენიუს
 იერუსალიმელთან, გალენ ტარსელთან, ნიკომაქე იკონიელთ-
 ან, მაქსიმესთან ერთად, რომელიც ქალაქ ბოსტრიდან იყო,
 ცნობილი ფირმილიანე, კესარიის კაბადოკიელი ეპისკოპოსი,
 თავმჯდომარეობდა ამ კრებას. მათ მრავალ მღვდელთან და
 დიაკონთან ერთად პავლეს ცრუსწავლება სახალხოდ ამხილეს
 და იმის იმედით, რომ იგი ისევ მოიქცეოდა ქრისტესკენ, მასზე
 საბოლოო განაჩენი არ უთქვამთ. მაგრამ პავლე, რომელსაც
 პალმირას დედოფლის, - ზინობიას მფარველობის იმედი ჰქონ-
 და, სიტყვითა და წერით განაგრძობდა თავის საქმეს.

ქრისტეს შობიდან 264-ე წელი

ამასობაში, სანამ მეორე კრება გაიმართებოდა, ერთმანე-
 თის მიყოლებით სახალხოდ წარმოდგნენ ამ კრების მონაწილე-
 ნი: დიონისე, გრიგოლი და ფირმილიანე, რომელიც მეტად
 მკაცრად აკრიტიკებდა პავლეს. მიუხედავად იმისა, რომ სამი



დიდი იერარქის დაკარგვით ძალიან დამწუხრებულნი იყვნენ, მაინც შეიკრიბნენ, პავლეს არასწორი ცხოვრება დასწავლეს. კიდევ ერთხელ დაგმეს და საეკლესიო ხარისხი და ეკლესიასთან ურთიერთობის უფლება ჩამოართვეს. შემდეგ მის ადგილას ანტიოქიის ყოფილი ეპისკოპოსის, - დიმიტრის ვაჟი, - დომნა დაადგინეს და ამ ყოველივეს შესახებ ირგვლივ წერილები დაუგზავნეს დიონისე რომაელს, მაქსიმე ალექსანდრიელს, - წმიდა დიონისეს შემცვლელს, და ყველა სხვა ეკლესიას. მაგრამ მღელვარება არ ჩამცხრალა, - იმიტომ, რომ პავლე ეკლესიის გადანყვეტილებას არ ემორჩილებოდა და ანტიოქია მანამ არ დატოვა, სანამ აღმოსავლეთში ახალი იმპერატორი, - ავრელიანი არ მოვიდა. ავრელიანმა ანტიოქია და პალმირა დაიპყრო, თავად დედოფალი ზინობიაც კი ტყვედ წაიყვანა, რათა უფრო განდიდებულად წარმოსახულიყო რომში თავისი ტრიუმფალური ჩასვლა. ქრისტიანების მიმართ ადრე კეთილად იყო განწყობილი, ბრძანა, რომ პავლე შეურაცხყოფილი გაეძევინათ საეკლესიო სახლიდან და ანტიოქიის ეპისკოპოსად მხოლოდ ის ელიარებიანთ, ვინც რომთან იქნებოდა დაკავშირებული. მაგრამ ბოლოს თვითონ დაიწყო ქრისტიანთა დევნა. და ეს იყო მეცხრე დევნა. იგი დიდხანს არ გაგრძელებულა, - იმიტომ, რომ ავრელიანი მალე თავისი სისასტიკის გამო თავისივე ახლობელებმა მოიშორეს. პრობმა, კარმა და, ბოლოს, დიოკლიტიანემ მიყოლებით დაიკავეს მისი ადგილი.


სანამ დიოკლიტიანეს დროს ქრისტიანობის წინააღმდეგ წარმართთა სასტიკი ბრძოლა გაჩაღდებოდა, ელინური ფილოსოფია სახარების ღვთაებრივი ჭეშმარიტების წინააღმდეგ კიდევ ერთხელ ამხედრდა და მისმა უსუსურმა მცდელობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ დასავლეთში თავისი სწავლებით განთქმული ორი ფილოსოფოსი კაცი გამოჩნდა. პლოტინმა და ორიგენემ ალექსანდრიაში ერთ მასწავლებლთან, - ამონთან მიიღეს განათლება. მაგრამ პლოტინი სულ სხვა გზით წავიდა. იგი უფრო მეტად პლატონის ფილოსოფიას დაეყრდნო და მისი ყურადღების ქვეშ სხვა ფილოსოფიური სისტემებიც მოექცა,



– ესენი იყვნენ სტოიკოსები, პითაგორა, არისტოტელე. მათი საშუალებით უნდოდა ღვთაებრივი ჭეშმარიტების მიღწევა, მაგრამ ქრისტეს გარეშე ვერ მოიპოვა იგი. მისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული მოწაფე – ეს იყო იმპერატორ გალიენის მეგობარი – პორფირი, რომელიც თვითონ ქრისტიანთა ოჯახიდან იყო წარმოშობილი, მაგრამ მათგან გადმოცემული სარწმუნოება ძალიან სძულდა და, ცელსის მსგავსად, ქრისტეს სწავლების შეურაცმყოფელი წიგნი დაწერა. ბევრმა ქრისტიანმა მწყემსმა ამხილა მისი ამპარტავნული უგნურება, განსაკუთრებით, ტირის სწავლულმა ეპისკოპოსმა მეთოდემ, რომელიც შემდეგ, უკანასკნელი დევნისას, ეწამა. განათლებული წარმართები, რომლებიც წარმართობის მთელ უაზრობას გრძნობდნენ, ფილოსტრატესა და სხვათა მიბაძვით, ცდილობდნენ, რომ ქრისტიანობისა და წარმართობის შერწყმით ახალი რელიგია გამოეგონებინათ. მრავალმერტიანობა არ მიუტოვებიათ, თან ერთ ღმერთს აღიარებდნენ. თავიანთ მცირე ღმერთებს კი ბუნების მამოძრავებელ ძალებად მიიჩნევდნენ.

ქრისტეს შობიდან 277-ე წელი

ამ დროს აღმოსავლეთში წარმოიშვა ახალი ფილოსოფია, რომელიც სპარსული მითებით იყო ნასაზრდოები. დასავლეთში შელწევის შემდეგ იგი ქრისტიანობას შეერწყა და ასე ჩამოყალიბდა მანიქველთა ძლიერი სექტა, რომელიც დიდხანს არსებობდა. მისი დამაარსებელი, – მანი სპარსეთში მონათა წრიდან იყო გამოსული. მან თავისი მცდარი აზრები იმ ერთი სპარსი ჭკუათმყოფელის წიგნებიდან აიღო, რომელიც თვითონაც ქრისტიანობას, იუდაიზმსა და წარმართობას შორის მერყეობდა, მის წარმავალ ფილოსოფიას მაგების სწავლებაც ზედ დაურთო და მანი შეიპყრო ოცნებებმა, რომ პარაკლიტონი, ანუ ნუგეშინისმცემელი სული გამხდარიყო და სასწაულები მო-



ეხდინა. მაგრამ მისმა მცდელობებმა ნაყოფი არ გამოიღო მან სპარს მეფეს ახალშობილის განკურნების იმედი მისცა, მაგრამ მოკლა ბავშვი და იძულებული გახდა მესოპოტამიაში გაქცევით ეშველა თავისათვის. იქ, - ქალაქ კასხარში, - პატარა ციხეში დაიმალა და ერთ იქაურ პატიოსან კაცს პირველად გააცნო თავისი მოძღვრება. მაგრამ, როცა ეს ქალაქის ღმრთივმო-შურნე ეპისკოპოსმა შეიტყო, პაექრობაში გამოიწვია მანი და წარმართ მოსამართლეთა წინაშე წარმოაჩინა მისი სისულელე. მანი იძულებული გახდა, იქედანაც გაქცეულიყო. ბოლოს მის მაძებარ მეფის ჯარისკაცებს გადაეყარა და წამებით მოკლეს. მანის ადგილას თორმეტი მონაფე დარჩა. ისინი ქორწინებაზე უარს ამბობდნენ, - აქაოდა ყველაფერი ხორციელი გეძულსო, ქრისტეს განსხეულებასაც უარყოფდნენ. მართალია, წმიდა სამების დოგმატს აღიარებდნენ, მაგრამ თავისებურად განმარ-ტავდნენ მას. ისინი თავიანთ სახარებებსა და ეპისტოლეებს მოციქულებისად ასალებდნენ, ზოროასტრის უცნაურ სწავლე-ბას ქადაგებდნენ იმის შესახებ, რომ არსებობს ორი საწყისი, - კეთილი და ბოროტი, რომ თითქოს მათი შერწყმით წარმოიშვა ხილული სამყარო, ათი ურთიერთმონინააღმდეგე სტიქია და ადამიანთა სულები, რომლებიც განსაწმედად მცენარეებსა და ცხოველებში გადასახლდებიან ხოლმე.

იმ დროს, როცა პორფირის, მანის, პავლე სამოსელისა და სხვა ერესდამწყებთა ცრუსიბრძნე მრავალ სუსტ ქრისტიანს აცდუნებდა, და ეს - მაშინ, როცა სასტიკი დეენის საშიშროება თავზე შავი ღრუბელივით ავისმომასწავებლად დასდგომოდა მათ, ეგვიპტეში სრულიად სხვა ფილოსოფია წარმოიშვა, იგი ერთდროულად მოქმედებასაც გულისხმობდა და შემეცნება-საც, მთლიანად ღმერთისადმი სრულ თვითშენიწვასა და წუთი-სოფლისაგან განდგომას ემყარებოდა. მისი აღმოცენება მეუდ-აბნოე ანტონის სახელთანაა დაკავშირებული. ანტონი მდიდარი მშობლების შვილი იყო, - მალაზნეობრივად აღზრდილი. ან-ტონიმ სიყმანვილეშივე შეიცნო, რომ წარმავალია ამქვეყნიური სიმდიდრე. როცა დაობლდა, ერთხელ ეკლესიაში სახარების



სიტყვები მოისმინა, რომ „ყველამ, ვისაც სურს სრულყოფილი იყოს, თავისი ქონება ღარიბებს უნდა დაურიგოს და ქრისტეს მიყვეს“⁹³, მაშინვე აღასრულა ეს მცნება. მას მხოლოდ ყმანვილი დის ბედი ანუხებდა, მაგრამ შემდეგ მოისმინა, რომ ხვალინდელ დღეზე არ უნდა იზრუნოს, იმიტომ, რომ „ყოველ დღეს ეყოფა თავისი საზრუნავი“⁹⁴, და ანტონიმ შეისმინა შეგონება, – თავისი და კეთილშობილ ქალებს მიაბარა, დარჩენილი ქონება ლატაკებს დაურიგა, რათა მთლიანად ღმერთისათვის მიეძღვნა თავი. მაშინ ეგვიპტეში ჯერ არ იყო მონაზონთა სავანეები, სადაც გულმხურვალე ახალგაზრდა ლტოლვის სურვილს დაიკმაყოფილებდა, – სწორედ ანტონის მოელოდა იმის დიდება, რომ ქრისტიანულ სამყაროში მონაზვნური ცხოვრებისათვის ჩაეყარა საფუძველი. უდაბნოს სიღრმეში ძველთაგანვე იმყოფებოდა თიბაიედელი მეუდაბნოე პავლე. ზოგიერთი ღვთივგანბრძნობილი განდეგილი ქალაქის განაპირა ადგილებში განმარტოებით ცხოვრობდა და განუწყვეტელად მარხულობდა და ლოცულობდა. ღმრთივმოშურნე ანტონიმ მათი მონახულება დაიწყო, მონაზვნური ცხოვრების ხელოვნებასა და მოსაგრეობას სწავლობდა. ერთ-ერთ მათგანს განსაკუთრებით დაუახლოვდა, სრულ მორჩილებასა და საკუთარი ნების უარყოფაში იმყოფებოდა. რადგან ახალი ღვანლი ეწადა, მალე უამრავთაგან ერთ-ერთ იმ მღვიმეში ჩაიკეტა, რომლებსაც ეგვიპტის მეფეები თავიანთი გვამებისათვის ამზადებდნენ ამაოდ. იქ სრულ მარტოობაში მან სხეულის ვნებებზე გამარჯვების გამო გაღიზიანებული მაცდური სულისაგან გამოიცდა ინვნია. ანტონი მეგობრებმა ერთხელ ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს იმ სამარხიდან. მაგრამ ღამით ადგა, მძინარე მეგობართაგან წავ-

⁹³ იხ. – „გაყიდეთ თქვენი საბადებელი და გაეცით მონყალბა; გაიმზადეთ უცვეთი ქისები და უღვევი საუნჯე ცაში, სადაც მპარავი ვერ ეპარება და მღილი ვერ ღრღნის მას“, – ლუკა, 12: 33; „თუ გინდა, რომ სრულქმნილი იყო, წადი, გაყიდე, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ, და გექნება საუნჯე ცაში და მოდი და გამომყევი მე“, – მათ. 19: 21; იგოვე, – მარ. 10: 21; იხ. ასევე – მათ. 6: 19; ლ. 14: 33;

⁹⁴ მათ. 6: 34;



იდა და თავის მოსაგრეობათა ადგილს დაუბრუნდა. იქ ბევრი საშინელი ხილვისა და მიძიმე დარტყმის შემდეგ ჯვარცმული-სადმი რწმენით გაიმარჯვა. ღმერთმა აღუთქვა, რომ უდაბნოს მრავალ შვილს, – მისი წმიდა ცხოვრების მრავალ მიმბაძველს მოავლენდა. ანტონი სამარხსაც განშორდა, რადგან უნდოდა, რომ უფრო შორეულ უდაბნოში განმარტოებულყო, იქ ძველი სვეტის ნანგრევებზე დასახლდა, – ეს ველური ადგილი ჯერ გველებს, მერე იქ მყოფ დემონებს წაართვა. დემონები მანამ სდევნიდნენ, სანამ ქრისტესმიერი ლოცვითა და მარხვით არ დაამარცხა ისინი.

მეათე ღევნა

იმ დროს, როცა მეათე, – ყველა ადრინდელზე უფრო საშინელი ღევნა დაიწყო, მმართველობის სადავეებს ორი იმპერატორი, – ნიკომიდიასი დიოკლიტიანე და რომში – მაქსიმინიან ჰერკული იყოფდნენ, მმართველობაში დამხმარეებად მათ კიდეც ორი კეისარი მოიყვანეს, გალერიუსი – ილირიაში და კონსტანტი – ბრიტანიაში. ეკლესიის თავზე მრისხანე ღრუბლები დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა და შემდეგ კი ერთბაშად იჭექა. მწყემსთა და სამწყსოში დაუღვერობამ და ზნეობის სიმცირემ ისეც იმძლავრა, თუმც, დრო და დრო, წარმართთა სურვილით, ქრისტიანები კვლავაც ენამებოდნენ ხოლმე. გალიაში მაქსიმინიანის მოქმედებამ რამდენიმე მონამეობრივი გვირგვინი მოიტანა. წმიდა მარკიონმა, მთელ ლეგიონთან ერთად, ქრისტესგან განდგომას მისთვის სიკვდილი არჩია. მისი რაზმიდან ორჯელ დასაჯეს ათ-ათი კაცი და ბოლოს მთელი ლეგიონი განყვიტეს. ვიქტორმა, რომელიც მეფის მხედარიც იყო და ქრისტესიც, მათ დიდსულოვნებას მარსელში მიბაძა და კეისრის წინაშე თამამად აღიარა ქრისტე. თავად უფალი გამოეცხადა და მანუგეშებელი სიტყვებით განუმტკიცა სული: – „მშვიდობა შენდა, ვიქტორ, მე ვარ იესო, ჩემს წმიდებში მონამე“. ნამებულმა, შუა ტანჯვისას, სანამ სასჯელს ბოლომდე მიიყვანდნენ, მოასწრო და ჭეშმარიტი ღმერთისაკენ მცველებიც მოაქცია, მონამეობის გვირგვინი მათაც მიიღეს.

კონსტანტი ხლორის რაზმი ქრისტიანებით იყო სავსე და კეისარი ამ რაზმს განსაკუთრებულად მფარველობდა. ისინი დიოკლიტიანეს კარზეც მიღებულნი იყვნენ მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ის ერთმმართველი იყო. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ სასტიკმა გალერიუსმა სუსტი ნებისყოფის მქონე იმპერატორი მათ წინააღმდეგ არ განაწყო. ცნობისმოყვარე და მშიშარა იმპერატორი ცდილობდა, რომ მსხვერ-



პლად შენირული ცხოველების შიგნეულობაზე დაკვირვებით მომავალი ენინასწარმეტყველა, - მკითხავებმა უთხრეს, რომ ქრისტიანთა იქ ყოფნა თავიანთი მაგიის ამოქმედებაში ხელს უშლიდა და გაღიზიანებულმა დიოკლიტიანემ ბრძანა, ყველა იძულებული გაეხადათ, მსხვერპლი შეენირა ღმერთებისათვის.

მაშინ ენამა დიდმონამე გიორგი. იგი წარმოშობით პალესტინის ლიდიდან იყო, - განთქმული სიმამაცითა და მშვენიერებით. მეგობარმა თანამებრძოლებმა მეგობრული სადილი გაუმართეს იმ იმედით, რომ მხიარულების დროს უდრეკი გული თვინიერი გაუხდებოდა და დაიყოლიებდნენ ხსნის არჩეულ გზაზე უარი ეთქვა. ვერც იმპერატორის მაცდუნებელმა სიტყვებმა, ვერც ტანჯვამ ვერ გადაათქმევინა მას. ის კერპი დაამხო ახოვანმა, რომლის წინაშეც საკმევლის ანთებას აიძულებდნენ. დიოკლეტიანეს მრისხანება თვით დედოფალმა ალექსანდრამ გამოიწვია, იგი გიორგის სიმამაცემ გააოცა: ორივეს თავი მოჰკვეთეს.

ქრისტეს შობიდან 302-ე წელი

მსგავსი შემთხვევები სხვა ადგილებშიც ხდებოდა, განსაკუთრებით - იქ, სადაც წარმართთა სიმრავლე და სამხედრო წესების სიმკაცრე სიმამაცეს უფრო უძლიერებდა დევნილთ. მაგრამ ქალაქებში კი ველარ ბედავდნენ მრავალრიცხოვანი ქრისტიანების დევნას. ბოლოს სპარსელებთან ომში გამარჯვებით განდიდებულმა გალერიუსმა მოხუც იმპერატორზე ზეგავლენა მოახდინა და აიძულა, რომ საბჭო მოეწვია და წარმართ ღმერთთა სადიდებლად ყველა იმის წინააღმდეგ წამოეწყობა დევნა, ვინც მსხვერპლშენირვაზე უარს იტყოდა. დევნის დაწყების დღეც დანიშნეს. ნიკომიდაში უკვე შეუდგნენ სასჯელთა აღსრულებას. დიდებული ეკლესია დაანგრიეს, აღდგომის დღეს კი 20000-მდე მორწმუნე დაიღუპა. წმიდა წერილებს წვავდნენ

და გამოსცეს ბრძანება, რომლის თანახმად, ქრისტეს აღმსარებლებსათვის ყოველგვარი ღირსება უნდა აეყარათ. მიუხედავად ჩინისა, კანონგარეშე გამოცხადებულნი, ყველანი წამებას ექვემდებარებოდნენ. ამას მალე შემდგომი ბრძანება მოჰყვა, – ყველა ეპისკოპოსი უნდა დაეპატიმრებინათ და იძულებით შეენიწინებინათ ღმერთებისათვის მსხვერპლი. და ბრძანებანი ესე მაქსიმიანესა და კონსტანტის გადაეგზავნა. კეისარ გალერიუსს სურდა, იმპერატორი დიოკლიტიანე კიდევ უფრო მეტად გაეღიზიანებინა, ამიტომ ბრძანა, დიოკლიტიანეს სასახლე ჩუმიად გადაენვათ და შემდეგ ამაში ქრისტიანები დაედანაშაულებინათ. სამეფო დარბაზთა მსახურებს სასტიკად ტანჯავდნენ, მღვდლებსა და დიაკვნებს ყოველგვარი სასამართლოს გარეშე აწამებდნენ. ნიკომიდიის ეპისკოპოსი ანთიმოზი მთელ თავის სამწყსოსთან ერთად ეწამა. ზოგს ხმლებით უღებდნენ ბოლოს, სხვებს ჯგუფურად ცეცხლში წვავდნენ, ანდა შეაგროვებდნენ ხოლმე და ზღვაში ყრიდნენ. დილეგები კლერიკალებით გაივსო, – დამნაშავეთათვის ადგილი აღარ დარჩათ. უღირს მოსამართლეთა სასამართლოების გვერდით სამსხვერპლოები და მსხვერპლშესანირავი ზვინები ჰქონდათ მომზადებული, რათა ქრისტიანებს კერპებისათვის ეკმიათ. წამების ახალ-ახალ ხერხებს იგონებდნენ, თითქოს ძველი აღარ ჰყოფნიდათ. ზოგს ძალით უღებდნენ ხელში საკმეველს, რათა ცოცხალ-მკვდრებს საწინააღმდეგო სიტყვა ვერ ამოეთქვათ; პირზე ხელს აფარებდნენ, – ვითომდა შესწირეს ღმერთებს მსხვერპლიო. თანაც ხალხში ქრისტიანული რელიგიის მაძაგებელ წერილებს ავრცელებდნენ, ბედავდნენ და ქრისტიანობის ყველაზე უფრო წმიდა დოგმატებს დასცინოდნენ. დევნა ნიკომიდიიდან ყველგან გავრცელდა, – გალიის გარდა, მთელი რომის იმპერია სისხლისღვრის ასპარეზად იქცა. „არასდროს, არცერთ ომს ასე არ გაუნადგურებია ქვეყანა“, – წერს ერთი მემატიანე, – „და როგორც ახლა, ასე ბრწყინვალედ არასდროს არ გაგვიმარჯვია, ამ შემმუსვრელმა ათმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ ჩვენ არ დავმარცხებულვართ. წარმართმა ხელისუფლებამ მონეტაც

კი მოჭრა იმის აღსანიშნავად, რომ ქრისტეს სახელი ამოგდრო
მაგრამ ამოდ გაისარჯნენ“.

პალესტინაში პირველი საეკლესიო მკითხველი, – პროკოფი ენამა. იგი სხეულებრივ ვნებებს სიჭაბუკიდან სიფხიზლითა და მარხვებით ებრძოდა. კესარიაში მისი ბედი რამდენიმე ეპისკოპოსმა და კლერიკალმა გაიზიარა. ანტიოქიაში დიაკონმა რომანმა წარმართები ეკლესიის დანვაში ამხილა. რომანი ჯერ ცეცხლში ანამეს, შემდეგ ენა ამოაჭრეს, მაგრამ მაინც ახერხებდა და ვაჟკაცურად ამხელდა მტანჯველთ. ბოლოს დაახრჩეს დიაკონი. რომანთან ერთად შვიდი წლის გოგონაც ანამეს. იგი დედის კალთას მხოლოდ იმის გამო მოსწყვიტეს, რომ, როცა რომანის წამებას უყურებდა, ბავშვურად წამოიძახა: – „სათნოა ღვთის წინაშე სიკვდილი მისთვის წამებულთა!“ ქალაქ ტირის ამფითეატრში ბევრი წამებული მიუგდეს მხეცებს, რომლებიც გამძვინვარებულები გაექანებოდნენ ხოლმე მათკენ, მაგრამ მიახლოებისას ჯვრისებურად შემართული ხელების წინაშე შეშინებულნი ჩერდებოდნენ, როგორც ამას თვითმხილველი ევსევი აღწერს. იგივე ევსევი მოგვითხრობს, რომ ეგვიპტეში ბევრი თავის კვეთისაგან ხმლები ჩლუნგდებოდა და ჯალათებს ხელები ელღებოდათ; გვიამბობს, თუ როგორი სიხარულის გამომხატველი ჰიმნების გალობით ხვდებოდნენ ქრისტიანები სხვადასხვაგვარ სიკვდილს. ერთნი ჯვარზე კვდებოდნენ, – ზოგ მათგანს თავდაყირა აკრავდნენ ამ ჯვარზე, ზოგს – ცეცხლში წვავდნენ, სხვები მათრახის ქვეშ იღუპებოდნენ, მეორეთ – რკინის მარნუხებით ღადრავდნენ; ნაწილს, გადაღუნულ ხეებზე მიკრულთ, ამ ხეების გასწორებით ფლეთდნენ; ესე წამებანი რამდენიმე წელი თანამიმდევრულად გრძელდებოდა. ყოველ დღეს სხვადასხვა ასაკისა და სქესის რამდენიმე მსხვერპლი იწირებოდა. ეგვიპტეში ერთ თვეს 17•000 ადამიანი დაიღუპა.

ამა წამებულთაგან ერთ-ერთი, – ფილემასი, თმუს ეპისკოპოსი, აღსრულებამდე ცოტა ხნით ადრე მეგობარს სწერდა: – „ბრალსაც კი აღარ გვიყენებენ, თითქოს აღარც კი ვარსე-



ბობდეთ, არავის ძალუძს, აღრიცხოს ყველა ჩვენი ღვთისმირთმობის ღვაწლი. ყველას აქვს უფლება, რომ შეურაცხვეყოს და გვანამოს. დაუცველებს დარტყმას დარტყმაზე გვაყენებენ. ზოგს ქარგებზე ჭიმავენ, მთელ სხეულს რკინის კლანჭებით უგლეჯენ, სხვებს ბოძზე ისე აბამენ, რომ ფეხებით მინას ვერ დაეყრდნონ და ახალ-ახალი ჯალათები ისე ჭიმავენ კვანძებს, რომ სულის ამოხდის პირას მიჰყავთ წამებულნი, მერე ზვინებზე მიაგდებენ ხოლმე აღმსარებლებს, ან დილეგებში ყრიან. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვას სიკვდილი უჯობთ.“ რამდენიმე დღის შემდეგ იგი თვითონ გამოიძახეს სასამართლოზე. სიმამაცით სხვა აღმსარებელი, - ფილორომიც გაამხნევა. ფილორომი ალექსანდრიის წარჩინებულ მოქალაქეებს შორის განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა და უფალ იესო ქრისტეს რწმენა სხვა წარჩინებულებთან ერთად სისხლით დაამონმა. იქვე, - ეგვიპტეში ძალზე ამაღელვებელი ხვედრი ერგო კეთილშობილ ქალწულს, - თეოდორას. სასტიკმა მოსამართლემ იგი ქრისტეს სარწმუნოების აღიარების გამო ჯარისკაცთა ხელში ჩასაგდებად გაიშტა ისე, რომ მისი სოციალურად მაღალი წარმომავლობისათვის საერთოდ არ გაუწევია ანგარიში. იგი ახალგაზრდა დიდმამა საიდუმლოდ იხსნა, - დილეგში შეიპარა, მისი ტანსაცმელი ჩაიცვა და გააპარა ტყვე ქალი. ამის გამო სიკვდილი მიუსაჯეს და ისიც მოემზადა სასჯელის მისაღებად. მაშინ მამაცმა ქალწულმა მოედანზე მიიბრინა და მასთან ერთად სახელოვნად აღესრულა.

სირიაში, მესოპოტამიაში, კაბადოკიაში, პონტოში წამებანი ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებისდა მიხედვით ხდებოდა. არაბეთსა და კაბადოკიაში სხეულის ნაწილებს გლეჯდნენ, პონტოში ლურსმნებს უყრიდნენ ფრჩხილებში, ანდა მდულარე ზეთს ასხამდნენ, ზოგჯერ ისეთ დამამცირებელ სატანჯველს მოიფიქრებდნენ ხოლმე, რომ მათი აღწერაც კი შეუძლებელია. ფრიგიაში ერთი პატარა ქალაქი იყო, - სულ ქრისტიანებით დასახლებული. კერპებისათვის მსხვერპლის



შენიშნავს ქალაქის ყველა ხელისუფალმა უარი თქვა. ჯარები მივიდნენ და ქალაქი ყველა მცხოვრებლიანად გადაიწვეს. ქრისტიანთა წინააღმდეგ განსაკუთრებით გალათიის ოლქში მძვინვარებდა ხელისუფალი, - ისე, რომ გარეთ გამოჩინას ვერავინ ბედავდა და იძულებულნი იყვნენ, ხეობებში დამალულიყვნენ და გარეული ცხოველებივით ბალახით ერჩინათ თავი. მაგრამ იყო ერთი კაცი, ვინმე თეოდორე, სასტუმროს პატრონი, რომელსაც ქრისტიანობის სიკეთენი ყმანვილობიდანვე ჰქონდა შეთვისებული და დევნისა არ ეშინოდა. სიმამაცისკენ მოუნოდებდა ყველას, ავადმყოფებს მკურნალობდა, საპყრობილეებში დადიოდა, წამებულებს მარხავდა და წმიდა ზიარებისათვის პური და ღვინო მიჰქონდა ტყვეებთან, - იმიტომ, რომ წარმართები ქრისტიანთა საქმელს ნაბილწავდნენ ხოლმე. ერთხელ, როცა ქალაქ ანკირიდან კეთილ საქმეთა აღსრულების შემდეგ გამოდიოდა, გზად ქრისტიანებს შეხვდა და მახლობელ სოფელში კაცი გაგზავნა, რათა მათთვის შეთავაზებული ტრაპეზის საკურთხებლად მღვდელი მოეყვანა. როცა პრესვიტერისაგან შეიტყო, რომ მათ მიერ აშენებული ეკლესიის საფუძვლისათვის წმიდანთა ნაწილებს ეძებდა, დახმარება აღუთქვა. მოხდა ისე, რომ შვიდი კეთილშობილი, მოხუცებული ქალწული, რომლებმაც დიანასა და მინერვას კერპებისადმი სიძულვილი გამოამჟღავნეს, ბევრი ტანჯვისა და შეურაცხყოფის შემდეგ ტბაში ჩააგდეს. თეოდოტემ და სამმა მქადაგებელმა გადაწყვიტეს, წმიდა ნაწილები წყლიდან ამოეღოთ. ზეციური ხილვით განმტკიცებულმა კეთილშობილური მიზანი გამირულად აღასრულა და წამებულები წმიდა პატრიარქთა ეკლესიის მახლობლად დაკრძალა. მალე ერთმა ახლობელმა დააბეზლა და ისიც წარდგა სასამართლოზე, საწამებლად მომზადებულ იარაღებს ღიმილით შეჰყურებდა. ჯარისკაცებმა სხეული რკინის მარნუხებით დაუგლიჯეს, მერე ახალ ჭრილობებზე ძმარი დაასხეს და ზედ ცეცხლი წაუკიდეს. თეოდოტე ხელისუფალს საყვედურობდა, - ჯალათებს ასე რატომ ღლიო - და ამნაირად განაგრძობდა იმის დიდებას, ვინაც დაუძღურებულს მონამეო-



ბის ძალას აძლევდა. ხუთი დღის განმავლობაში დახუთულ დილეგში ჰყავდათ დამწყვედული, მერე ცეცხლით ისევ განუახლეს ქრილობები, ბოლოს კი თავი მოჰკვეთეს. სალამოსპირი იყო, როცა მახლობლად იმ მღვდელმა გაიარა, რომელსაც წმიდა ნაწილების მოპოვებას შეჰპირდა თეოდოტე და მთვრალი ჯარისკაცებისაგან როგორც კი შეიტყო, თუ ვის სხეულს დაწაფობდნენ, ხელიდან გამოსტაცა ეს სხეული და თავისი ახალი ეკლესიის მიწას პატივით მიაბარა.

ასეთი ამბები ხდებოდა აღმოსავლეთში. დასავლეთში კი, კეისარ კონსტანტის მხარეებში, მშვიდად იყვნენ ქრისტიანები. ერთხელ კეისარმა მოინდომა, რომ გამოეცადა ახლოს მყოფნი და ბრძანა, - ქრისტეს ყველა მორწმუნე, თუ კი კეისრის კარზე დარჩენა უნდოდა, განმდგარიყო ქრისტესგან. და ამის შემდეგ განიშორა ყველა ის სულმდაბალი, ვინც წარმავალ სიკეთეთა გამო ზეციური დათმო. იტალიაში, განსაკუთრებით, რომში, - ამფითეატრებსა და კაპიტოლიუმის საფეხურებზე ქრისტიანთა წინააღმდეგ ბრბოს გამძვინვარებული ყვირილი ისმოდა. ამით ისინი ბოროტად აამებდნენ იმპერატორ მაქსიმიანეს სასტიკ გულს. და დაიწყო სისხლისღვრა სასულიეროებისა და საეროების, კეთილშობილთა და უბრალოთა, მოხუცებულთა და ქალწულთა. ტოსკანის მმართველს, - ვენუსტიანეს უბრძანეს, რომ ქრისტიანები მოეძებნა. მან მოხუცებული პრესვიტერი საბინი და ორი დიაკონი იპოვა. მღვდელმთავარმა საბინმა სახლში მას კერპი დაუმტვრია მამაცურად. განრისხებულმა მოსამართლემ ბრძანა, ორივე ხელი მოეჭრათ მისთვის და ორივე დიაკონი მოეკლათ. მაგრამ ხელების ნარჩენებით საბინმა ბრმა ახალშობილი და თავად ვენუსტიანიც განკურნა, - ვენუსტიანი დაბრმავებული იყო. და ფიზიკურთან ერთად სულიერი სიბრმავისაგანაც განიკურნა იგი. ვენუსტიანი იმ ჯვარცმულის სახელით მოინათლა, რომელსაც აქამდე დევნიდა და ამის გამო ახალი მმართველის ხელით სიცოცხლეს გამოესალმა. სხვა მრავალი წამებული, რომელთა სახელები სიცოცხლის წიგნში ჩაიწერა და რომელთა გმირობების აღწერა შეუძლებელია, იტალიის



ქალაქების ყველა მხარეში ენამა, მათ შთამომავლობას, წმიდა სახელი და განუხრწნელი წმიდა ნაწილები დაუტოვეს დასამოძღვრად.

აფრიკაში დევნა საეკლესიო ქონებისა და წმიდა წიგნების დატაცებით დაიწყო. ნუმიდიის მმართველმა ცირტის ეპისკოპოსი აიძულა, რომ მისი ეკლესიის მთელი ქონება ჩაებარებინა. მმართველი იპოდიაკონებისა და მკითხველების სახლებში თვითონ შედიოდა ხოლმე და წმიდა წიგნებს ართმევდა. ტივიურის ეპისკოპოსმა ფელიქსმა მამაცურად გამოაცხადა, რომ თავისი ეკლესიის ქონებას, განსაკუთრებით – წიგნებს, არ დათმობს და სულმდაბლობას სიკვდილი ამჯობინა. კართაგენის უმაღლეს საეპისკოპოსო კათედრაზე მჯდომმა მენზურიმაც არ შეუსრულა მდევენელებს სურვილი. ჯერ იყო და მათი უვიცობით ისარგებლა, – წმიდა წერილი სახლში გადაამალა და ეკლესიაში მდევენელებს დასანვაავად მხოლოდ მწვანელებლური წიგნები დაუტოვა, ამით თავისი სამწყსო ერეტიკულ წიგნთაგან განწმიდა; მერე კი, როცა იმპერატორთან პირადად გამოიძახეს, მიტროპოლიის მთელი ქონება სანდო ადამიანებს მიაბარა და მშვიდობიანი დროის ჩამოვარდნამდე ასე ინახებოდა ეს ქონება. აფრიკის სხვა ქალაქებში კი წმიდა წიგნთა დამალვის გამო ბევრი ადამიანის სისხლი დაიღვარა. ქალაქ ავიტინში ორივე სქესის ორმოცდაათამდე ადამიანი, რომელიც თავისი მოხუცებული მღვდლის, – სატურნინისა და მისი შვილების მაგალითით იყო აღფრთოვანებული, წარსდგა სანამებლად, – თან იძახდნენ, რომ მათ გულშია წმიდა წერილი და გულში ჰყავთ მარადიული ნუგეში, – იესო ქრისტე.

ისევე, როგორც ოდესლაც, – დევნის წლებში, ტერტულიანემ; აფრიკაში ქრისტიანული რელიგიის დასაცავად ცნობილმა რიტორმა არნოვიმ აღიმალა ხმა. ოდესლაც თვითონ უარყოფდა ქრისტეს და ეპისკოპოსებს დიდხანს ვერც დაეჯერებინათ, რომ ასე უეცრად მართლა მოიქცა იგი. წარმართთა დასამოძღვრად დაწერილმა მისმა წიგნმა ამ წარმართთა მრისხანება ვერ დააოკა. მეზობელ სიცილიაში სასამართლოზე



სახარებით ხელში არქიდიაკონი ევპლ კატანელი გამოცხადდა, რათა ელიარებინა, რომ ქრისტიანია, სიკვდილი მიეღო მაცხოვრისათვის და ასე გამხდარიყო მისი ღირსი. შორეულ ესპანეთში სხვა დიაკონმა, - ბიკენტიმ თავისი ეპისკოპოსის, - ვალერიუს აღმსარებელის წინაშე ყველა წამება იწვნია. მას ჭრილობებზე მარილი დააყარეს და მაშინ, როცა ახალ ტანჯვათათვის ამზადდებდნენ, გახურებულ რკინაზე მშვიდად მიაბარა უფალს სული. ირინეოსი, - სირმიუმის ახალგაზრდა ეპისკოპოსი, რომელიც ახლობლებს ქრისტეს გამო განემორა, სწორედ ქრისტეს გამო ჩააგდეს ზღვაში. თავიანთ ეპისკოპოსს სიმამაცეში პანონიის არც სხვა კლერიკალები ჩამორჩენილან. თრაკიაში, მღვდელ სევერთან და დიაკონ ჰერმესთან ერთად, ასეთივე განწყობილებით ეწამა ჰერაკლიის ეპისკოპოსი, მოხუცი ფილია; - ეს იმიტომ, რომ მდეგნელები ცდილობდნენ ხოლმე, უფრო მეტად ის ადამიანები დაეხოცათ, ვინც სამწყსოს პატრონობდნენ. როცა ღვთის განცხადების დღესასწაულზე⁹⁵ მმართველმა ეკლესია დაუხურა ფილიპეს, მოხუცს მის ამაო ბოროტ გარჯაზე გაეცინა და მართლები სალოცავად კარიბჭესთან მოიხმო. სიბერისაგან დაუძღურებული ტაძრის კარებს ეყრდნობოდა. სასტიკმა მოსამართლემ საეკლესიო ძვირფასეულობა მოსთხოვა, შემდეგ მღვდელი და დიაკონი დიდხანს აწამა. - „რას დაეძებთ ამ წიგნებს“, - პასუხობდა ჰერმესი მტანჯველთ, - „მთელი დედამიწის პირისგან რომ ამოძირკვოთ, ჩვენი შვილები მაინც დაიმახსოვრებენ და თავიდან დაწერენ“. სამივენი დილეგში ჩააგდეს, რამდენიმე თვის შემდეგ კი ადრიაპოლში ახალი მმართველის წინაშე

⁹⁵ ადრეული პერიოდის ქრისტიანებში შობის დღესასწაული და ნათლისღება ერთდროულად, - 6 იანვარს აღინიშნებოდა და მას „განცხადება“ ერქვა (იხ. - К. Кекелидзе, К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви, труды Киевской Академии; 1905, №1); ჩანს, გულისხმობდნენ, რომ ღმერთი ადამიანთა წინაშე წარმოცხადდა როგორც შობის, ისე - ნათლისღების ფაქტით (შობისას ძე ღმერთის განხორციელება მოხდა, იორდანეში უფლის ნათლისღების შემდეგ კი ადამიანთა წინაშე წარმოჩნდა სამება, - მამა, ძე და მასზე გარდამომავალი სულიწმიდა, - მათ. 3: 16-17) და იმიტომ ერთდროულად აღნიშნავდნენ ამ ორ მოვლენას;



სასამართლოზე წარადგინეს, სასამართლომ ცეცხლში დაწვა მიუსაჯა მათ. ძელებზე მიბმულებს ლოცვა არ შეუწყვეტიათ, ალმა წამებულები დაადრჩო, მაგრამ მათ წმიდა სხეულებს არ შეხებია. ამით გაღიზიანებულმა წარმართებმა ისინი გერბის ტალღებში გადაყარეს, მაგრამ ადრიაპოლის მცხოვრებლებმა განუხრწნელად შენახული წმიდა ნაწილები წყლიდან ამოიღეს.

ამავე დევნისას სალუნში გმირმა რაინდმა, - დიმიტრიმ გაითქვა სახელი. მძიმე ტკივილებით მოწამეობის გვირგვინი მიიღო ოთხმა უმანკო ასულმა: ალაპიამ, ქიონიამ, ირინემ და ანისიამ, მათ წუთისოფლურ დიდებას ქრისტესეული მარადიულობა არჩიეს. ისევე, როგორც ოქრო, რომელიც ცეცხლის ქურის შემდეგაც ოქროდ რჩება, აგიზგიზებულ ცეცხლში შეუდრეკელი დარჩა და ღმერთთან ავიდა მათი სულები. გმირობაში მათ არ ჩამორჩენია პარასკევა, რომელიც ზეციური სიძისათვის იკონიაში ეწამა. კილიკიის ტარსში კი სამი მამაცი აღმსარებელი აწამეს: ტარასი, პროპი და ანდრონიკე. ისინი ყველანაირად ტანჯეს, ბოლოს ამფითეატრის მხეცებს დააგლიჯინეს და მათი დახოცვის საქმე ბოლომდე ამ მხეცებზე უფრო საშინელმა გლადიატორებმა მიიყვანეს. მორწმუნეებმა მათი ნაწამები წმიდა ნაწილებიცა და წამების ამბავიც შემოინახეს. იქვე დედოფალივით დიდებულმა ქალმა, - ივლიტამ, ლიკაონელ მფლობელთა შთამომავალმა, სამი წლის ბავშვის დედამ, ზეციურ მეფესა და მამაში თავისი დიდებულება და დედობრივი სიყვარულიც გაცვალა. გასაოცარი სიმტკიცით გაუძლო იმის ყურებას, თუ როგორ დაახეთქა გამძვინვარებულმა მოსამართლემ მისი ბავშვი ქვაზე და ქალმა მერე თავის მოსაკვეთად წყნარად დადო თავი საქონდრაქეზე. პალესტინის მრავალი ქრისტიანი, რომელიც დევნის დასაწყისში იმიტომ შეინყალებს, რომ იმხანად მსხვერპლად უფრო კლერიკალებს არჩევდნენ, არ გაქცევია მოწამეობას. ასე ამგვარად, წარმართთაგან დევნამ სამი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიო მოიცვა და ბოლოს იმ ადგილებს დაუბრუნდა, სადაც აღმოცენდა. ამ წამებათა უკუნეთიდან მხოლოდ განსაკუთრებულად



გამორჩეულ წამებულთა სახელები შემოგვეჩვენა. სახელები უამთააღმწერელმა ევსევიმ, რომელ ტრიბუნთა ოქმების დედას ნებმა და იმ ადამიანთა კეთილშობილებამ გადაგვირჩინა, ვინც ახლოს თუ შორეულ ადგილებში მცხოვრებთა დასამოძღვრად მოწამეთა გმირობებს იწერდა.

ამასობაში უკვე მოხუცებული დიოკლიტიანე იძულებული გახდა, რომ გალერიუსისათვის დაეთმო, - თავის თანამმართველ მაქსიმიანე ჰერკულესთან ერთად სამეფო მანტია გაეხადა და ამ მანტიით ორი ახალი კეისარი, - მისთვის ასევე საქულველი მაქსიმინ დაიოსი და სევერი შეემოსა. დამორჩილდა სუსტი იმპერატორი და მას შემდეგ, რაც უმაღლესი ჩინი იმას დაუთმო, ვინც ტახტზე უარის თქმა აიძულა, სევერიანი თავის სამშობლო დაღმაცხადეს განმარტოვდა. ბრიტანიაში კონსტანტინე ხლორიც გამოაცხადეს იმპერატორად, მისმა შვილმა, კონსტანტინე დიდმა კი, რომლისკენაც იყო მიმართული იმედები მთელი იმპერიისა, როცა ნახა, თუ რა უსამართლოდ ირჩევდა გალერიუსი კეისრებს, ნიკომიდიიდან გაიქცა და ასე უშველა თავს. იქ საიდუმლოდ მისი მოკვლა ჰქონდათ გადწყვეტილი. ბრიტანიაში მამას, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეს, მიუსწრო და ხლორის წყნარი მმართველობისას მისთვის უკვე კეთილმოქმედი თავისი ერთგული ლეგიონებისა და ოლქების ერთსულოვანი მონოდებით მამის შემკვიდრედ იქნა გამოცხადებული. კონსტანტინემ რწმენის თავისუფლება მაშინვე გამოაცხადა. დამაშინ დასავლეთმა დაისვენა მძიმე დევნათაგან, იტალიის, აფრიკის, ესპანეთის, გალიის ეკლესიებში დროებით მშვიდობა დამყარდა. მაგრამ ილირია, აღმოსავლეთი, ეგვიპტე მძვინვარე გალერიუსის უღელქვეშ იხევ იტანჯებოდნენ. გალერიუსი ბოროტების ყოველგვარ საზღვარს გადასცდა, - ისევე, როგორც ეს გააკეთა მისმა მსგავსმა, - მაქსიმინ დაიოსმა, რომელმაც უკანონობათა ჩადენის ასპარეზად სირია ირჩია.

მშვიდობის დადგომით ისარგებლეს და ქალაქ ციტრაში აფრიკის რამდენიმე ეპისკოპოსი შეიკრიბა, რათა ნუმიდიის



ეკლესიისათვის მწყემსი აერჩიათ. მაგრამ ერთმანეთის დადგენა და ნაშაულება დაინყეს იმაში, რომ დევნის დროს სულმდაბლობის გამო წიგნებს ვერ ინახავდნენ და რომ ზოგი მათგანი უზნეოდ იქცეოდა. ამან კი განხეთქილების ის პირველი თესლი ჩააგდო, რაც რამდენიმე წლის შემდეგ აფრიკის ეკლესიაში დონატისტების სახით აღმოცენდა. განხეთქილება დაიწყო მაშინ, როცა ნეტარი მენზურის გარდაცვალების შემდეგ კართაგენის უმაღლეს კათედრაზე დიაკონი ცეცილიანი აირჩიეს. ორ კლერიკალს შურდა ცეცილიანისა, კათედრისაკენ თვითონ ისწრაფვოდნენ. ცეცილიანს ძალიან უნდოდა, ის საეკლესიო ქონება მოეძებნა, რომელიც მისმა წინამორბედმა რამდენიმე ღირსეულ მოხუცს ჩააბარა. ყოველივე ამან უთანხმოება გამოიწვია. ადგილობრივ ბოროტგანმზრახველთ დაახლოებით სამოცდაათამდე ეპისკოპოსი შეუერთდა, მათ მეამბოხე ხასიათის მქონე ვინმე დონატი ხელმძღვანელობდა. ამტკიცებდნენ, რომ ცეცილიანის არჩევა უკანონო იყო იმიტომ, რომ არჩევნებში ყველას არ მიუღია მონაწილეობა, - მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოლქში ადგილობრივი ეპისკოპოსები ირჩევდნენ ხოლმე მიტროპოლიტებს, ნუმიდეელებს კართაგენში გამართულ არჩევნებში არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ყველანი კართაგენში შეიკრიბნენ. ცეცილიანი თავისი უფლებების დაცვას ამაოდ ცდილობდა; სთავაზობდა, რომ თავიდან ჩაეტარებინათ არჩევნები, საერთო თანხმობით დაედგინათ იგი კათედრაზე და მშვიდობა დაემყარებინათ. მათ ცეცილიანი ეკლესიიდან განკვეთეს და ეპისკოპოსად მკითხველ მაიორინს დაასხეს ხელი. იგი ერთი კართაგენელი მდიდარი ქალის იჯახიდან იყო, და ქალმა მაიორინისათვის სასარგებლო საერთო თანხმობას ფულით მიაღწია. ორი ეპისკოპოსის ორ ნაწილად დაყოფილი სიგელები მთელ აფრიკას, მაკროატანიასა და ნუმიდიას უვლიდა. მაიორინი მალე გარდაიცვალა და მის მემკვიდრედ ასევე არასწორად არჩეულმა დონატმა განხეთქილება კიდევ უფრო გააღრმავა. მაგრამ მსოფლიო ეკლესიამ არ მიიღო იგი, ცეცილიანმა ერთობა არ დაარღვია, მან რომთან და სხვა კათ-



ედრებთან ურთიერთობა შეინარჩუნა.

თორმეტი ეპისკოპოსი, დიდი აღმსარებლის, - ოსია ლუბოელის თავმჯდომარეობით, სულ სხვა განწყობილებით შეიკრიბა ესპანეთის ქალაქ ელვირში. ოსია კორდუბოელმა შემდეგ, - ნიკეის კრებაზე უფრო მეტად გაითქვა სახელი და ყველა მომდევნო კრების მიერ პატივით იხსენიებოდა. ელვირის, - დასავლეთის ამ ერთ-ერთმა პირველმა ადგილობრივმა, კრებამ ბევრი წესი შემოიღო საეკლესიო კეთილმონწყობისა და იმის შესახებ, თუ როგორ დაეცვათ თავი წარმართობის მძლავრობის დროს, როგორ შეენახათ წმიდა ზნეობა, შემოიღო იერარქთა დადგინების სწორი წესები, განსაკუთრებით, - წესები ნათლობისა და სინანულისა. ელვირის საეკლესიო კრების კანონები მომავალში დასავლეთისათვის ბევრი ახალი კანონის შემოღების საფუძვლად იქცა, თუმცა, აღმოსავლეთში ვერ გავრცელდა ეს კანონები, რადგან იქ უფრო საკუთარი დადგენილებებით ხელმძღვანელობდნენ.

მაგრამ მაშინ, წარმართთა სასტიკი მძვინვარების დროს, დაზარალებულ მხარეებში კრება ჯერაც ვერ იმართებოდა და იქ კრების მოვალეობას ეკლესიისათვის უმაღლეს კათედრათა დიდი მწყემსმთავრები ასრულებდნენ. ასე მაგალითად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, - წმიდა პეტრე თავის სამწყსოს სწავლული ეგვიპტელის, - იერაქსის ერესისაგან იცავდა. იერაქსი სხეულთა აღდგომას არ სცნობდა, წმიდა პეტრე, - თებაიდას ეპისკოპოს - მელეტისაგანაც იცავდა სამწყსოს. მან ბინიერებათა გამო მელეტი გადააყენა. აღდგომის დღესასწაულის დადგომისას ირგვლივ მთელი ეკლესიის მიერ კანონიკურის შესაბამისად აღიარებული ეპისტოლეები დააგზავნა, განსაზღვრა, თუ რა და რა დონეზე უნდა მოენანიებინათ დაცემულებს, რათა ეკლესიაში დაბრუნებულიყვნენ. პეტრე არ ინონებდა საქციელს იმ ქრისტიანებისა, განსაკუთრებით კლერიკალების, რომლებიც ზღვარს გადაცდენილი მოშურნეობის გამო ძალით ცდილობდნენ, ვნებულიყვნენ, - იმიტომ, რომ ეს უადგილო მოშურნეობა ხშირად ცოდვაში ჩავარდნის მიზეზი ხდებოდა;

– იყო შემთხვევები, როცა დასაწყისში ძალიან გაბეჭდულნი მერე, ტანჯვისას, სულმდაბლობას გამოიჩინდნენ ხოლმე. პეტრეს მისაბამ მაგალითებად მოციქულები მოჰყავდა, – მათ არაერთხელ უცდიათ, რომ გაქცეოდნენ დევნას.


ამასობაში ურთიერთმტრობამ წარმართი ხელისუფალნი ერმანეთს დაუპირისპირა. მაქსიმიანე ჰერკულის შვილი, – მაქსენციუსი, მამამისივით მრისხანე ხასიათის მქონე, კონსტანტინე დიდისათვის სამეფო მანტიით შეიმოსა, ამან კი იმპერატორ გალერიუსის უსაზღვრო უკმაყოფილება გამოიწვია. მას არცერთის ცნობა არ სურდა, კეისართა ჩინსაც ძლივს იმეტებდა მათთვის. მაქსენციუსმა განმარტოებულ მამას უხმო, რათა მის წინააღმდეგ დაძრულ სევერის ლეგიონებს უფრო დიდი ძალით დადგომოდა წინ. სევერი მოკლა, მაგრამ მის ადგილას იმპერატორად სხვა კეისარი, – ლიკინიუსი ავიდა და თავად მან გამოუცხადა რომს ომი, თუმც, – უშედეგოდ. ამ ყველაფერს თავისი განმარტოებული სამყოფელიდან კარგად ხედავდა მოხუცებული დიოკლიტიანე, რომელიც იძულებით განმარტოებას ძალიან განიცდიდა. მაგრამ სინამდვილეში ის უფრო ბედნიერი გამოდგა, ვიდრე – მისი თანატოლი კაცი, – მაქსიმიანე ჰერკული, რომელიც რომიდან შვილმა გააძევა და მას შემდეგ, რაც გალიაში სიძის, – კონსტანტინეს მოკვლა სცადა, სასჯელი დაიმსახურა. იმპერიის ხელისუფლობა დროებით რამდენიმე კაცმა გაიყო: გალერიუსს, როგორც ყველაზე უფროსს, ნიკომიდია ერგო, ლიკინიუსი ილირიას მართავდა, კონსტანტინე – გალიას, და ტირანობის მთელი სისაძაგლით სავსე ორი კაცი კი, – მაქსენციუსი რომში, ხოლო მაქსიმიანე – აღმოსავლეთში, იმყოფებოდა. აღმოსავლეთი მაქსიმიანეს სისასტიკისაგან გმინავდა, მის ბოროტებას საზღვარი არ ჰქონდა.

დევნა გრძელდებოდა. ამასიაში ახალგაზრდა მეომარმა, – თეოდორე ტირონმა, რომელიც მეფის რაზმში ახალი ჩარიცხული იყო, მეთაურთა და ჯარისკაც ამხანაგთა წინაშე ქრისტე აღიარა. შემდეგ კი, – ტანჯვისას ქრისტეს სახელს აკურთხებდა და ცეცხლში დანვით ასე განადიდა უფალი. პონტოს ზოგიერ-



თი ქრისტიანი ზღვისპირეთის უღრან ტყეებში გარბოდა, მათ შორის ბასილი დიდის მშობლები და მთელი მისი ოჯახი შეიძინა. წლის განმავლობაში მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ილიოპოლისში, - იქ, სადაც ახლა მზის ტაძრის დიდებული ნანგრევებია, წმიდა ქალწულმა ბარბარემ, ვის სულშიც ჭეშმარიტების შუქმა შეანათა, მიუხედავად იმისა, რომ, მამა უკრძალავდა და კოშკშიც კი ჩაკეტა, მაინც მოახერხა და ქრისტეს სწავლების მაცხოვრებელი დოგმატები შეისწავლა. ერთხელ შეიცნო და ამის შემდეგ აღარ უდოდა, ზეციურ სიძეზე უარი ეთქვა. ამას სასტიკი მამისაგან სიკვდილის მიღება ამჯობინა. მრავალმა ქალწულმა და ღმრთისმოშიშმა ქალმა მიბაძა მას, რათა რწმენის სინმიდე შემოენახა. თეოდოსია, წარმოშობით ტირელი, ზღვაში იმის გამო ჩააგდეს, რომ ქალაქის ქუჩებში ქრისტეს აღმსარებლებს ესალმებოდა. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად სახელი, ალექსანდრიაში, წმიდა ეკატერინემ გაითქვა. იგი წარმოშობით სამეფო ოჯახიდან იყო. კეთილშობილებითა და თავისი დროის მთელი სიბრძნით შემკულმა, - მან თავი მთლიანად ღმერთს მიუძღვნა, კეისარ მაქსიმიანეს, რომელიც ხელს სთხოვდა, უარი უთხრა და რწმენაში შეუდრეკლად დაუდგა მბრუნავ ბორბალს, რომელიც ნაზ სხეულს ლურსმნებით უგლვეჯდა და ბოლოს მხიარულად დადო თავი საქონდრაქეზე.

აღმსარებლებით იყო სავსე ეგვიპტისა და პალესტინის მღვიმეები, რომლებშიაც სამეუშაოდ აგზავნიდნენ მათ. მარჯვენა ფეხის სისხლძარღვებს უჭრიდნენ და მარჯვენა თვალს უწვავდნენ, რათა მუდმივი დამლა დაედოთ და გაქცევის საშუალება წაერთმიათ. იქ ერთად იტანჯებოდნენ ეპისკოპოსები და საეროები, მოხუცები, ქალები და ბავშვები. იქიდან მხოლოდ ხანდახან გამოჰყავდათ ხოლმე იმიტომ, რომ დაეხოცათ როგორც მსხვერპლნი ყოვლად დასანველნი. პალესტინის მმართველები, - ურბანი და ფირმილიანე განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ, კესარია კი სასჯელთა აღსრულების ადგილად იქცა. მონამეთათვის ასი-ორასი მსხვერპლი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ზოგი აღმსარებელი მარტო მიჰყავდათ



მოსაკლავად. ორ თავიანთ ხუცესთან ერთად ასე დაიდუმნენ ეგვიპტის ეპისკოპოსები: პელი და ნილი, ლაზას ეპისკოპოსი სილვანი, რომელმაც წმიდა წერილი ზეპირად იცოდა და რომელიც რამდენჯერმე აწამეს და ვინც მთელი დევნის განმავლობაში პატივდებული იყო როგორც თავი აღმსარებელთა. ასე დაიღუპა მოხუცი ავქსენტი, – იგი მხეცებს მიუგდეს; ახალგაზრდა პავლე, რომელმაც ჯალათებსაც კი ცრემლი წამოადინა მაშინ, როცა იუდეველთა, ელინთა და მთელი მსოფლიოს გადასარჩენად ამალეღვებლად ილოცა. მღვდელმა ანტონინემ, ორმა კლერიკალმა და სამმა ქალწულმა მამაცური სიტყვით მმართველის განრისხება გამოიწვიეს.

პალესტინის ყველაზე უფრო სახელგანთქმული წამებული პრესვიტერი პამფილი კესარიელი იყო. იგი სასამართლოზე თორმეტ სხვა აღმსარებელთან ერთად წარსდგა. ისინი პამფილისთან ერთად იტანჯებოდნენ, დილეგში იყვნენ და ბოლოს მასთან ერთად ნეტარის აღსასრულით აღესრულნენ. პამფილიმ, ევსევი ჟამთააღმწერლის მეგობარმა და მასწავლებელმა, რომელიც ბოლოს კესარიის ეპისკოპოსი გახდა, ალექსანდრიის სკოლაში კარგი განათლება მიიღო. საფუძვლიანად შეისწავლა წმიდა წერილი და ორიგენეს ყველა ნაშრომი, მათ დასაცავად რამდენიმე წიგნი დაწერა, ასევე – ჰიეროკლისის ცრუსწავლების წინააღმდეგ. ჰიეროკლისმა გაბედა და მოგვი აპოლონ ტიანელი უფალ იესოს შეადარა. პამფილიმ ბერძნული ნუსხების გამოყენებით წმიდა წერილის სრული ტექსტი შეადგინა, კესარიაში მდიდარი წიგნთსაცავი შექმნა. აქ მთელი ცხოვრება სასულიერო განათლების საქმეს ჭეშმარიტი მოშურნეობით ემსახურებოდა. დილეგში, ისევე როგორც მის ერთ მეგობარს, შრომა არ შეუწყვეტია. ამ მეგობარმა პამფილის სახელი, – ევსევი მიიღო და შთამომავლობას მონამის ცხოვრება აღუწერა. თავისი ნაშრომები ორივე მღვდელმთავარმა ეგვიპტის მალაროებში მშრომელებს მიუძღვნა. პამფილის გარდაცვალების შემდეგ ევსევიმ მოინახულა ისინი, თანამედროვეთა ისეთ უდიდეს გმირობებს იწერდა, რომლებსაც, რომ არა პირადი მონიშვნა, სუ-



ლიერად გაციებული შთამომავლობა, არც დაიჯერებდა, მინიჭებული უმეტეს, რომ, ევსევის აღწერათაგან დროთა ქარტეხილებმა მხოლოდ ერთი შემოინახა.

მაგრამ ახლოვდებოდა ამ ხანგრძლივი დევნის დასასრული და სასტიკ მდევნელებს სხვისთვის მიყენებული ტანჯვა უკან შეუტრიალდათ. იმპერატორ გალერიუსს საშინელი სნეულება დაატყდა თავს. მისი ველური მოთქმა ისმოდა დარბაზებში, სნეულება სულ უფრო უძლიერდებოდა. ექიმებს, იმისი შიშით, რომ დაისჯებოდნენ, მკურნალობის დანყება ვერ გაეხდებოდათ. ყველაზე უფრო გაბედულმა შეახსენა ის ბოროტება, რაც იმპერატორმა ქრისტიანებს გაუკეთა და ურჩია, მოქცეულიყო ღმერთისკენ. მას შემდეგ, რაც თვითონ გამოსცადა, თუ რა ყოფილა ტანჯვა, შეიძრა მისი სასტიკი გული. გვიან, მაგრამ გალერიუსმა, გადაწყვიტა ოდნავ მაინც გამოესწორებინა ჩადენილი და ქრისტიანთათვის სასიკეთო ბრძანება გამოსცა, – ამ ბრძანებით ქრისტიანებს რწმენის თავისუფლად აღსარების უფლება ეძლეოდათ, ვითომცდა ეს ქვეშევრდომთა მიმართ მისთვის დამახასიათებელი გულმონყალება იყო⁹⁶.

ქრისტეს შობიდან 311-წელი

სიხარულით შეხვდნენ ამ კანონს დასავლეთში, მაგრამ მაქსიმიანე, ქრისტიანთა მოსისხლე მტერი, აღმოსავლეთში მის ამოქმედებას აბრკოლებდა. მიუხედავად ამისა, დროებით მაინც შეწყდა დევნა. აღმსარებლები დილეგებიდან და მალა-როებიდან ისე გამოვიდნენ, თითქოს მართალთა გასახარად საფლავებისათვის დაეღწიოთ თავი, გეგონებოდათ, შუალა-მისას მოულოდნელი შუქი გამობრწყინდაო. სოფლებსა და ქალაქებში ისევ იმართებოდა კეთილმოქმედი კრებები. ისინი,

⁹⁶ ანდრეი მურავიოვი ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ ქვეთავში, რომელიც ერთ-ერთი წლით არის დასათაურებული, მოვლენებს წინ უსწრებს და მომდევნო პერიოდში მომხდარ ფაქტებს აღწერს, – გალერიუსმა ქრისტიანობის მალაიარებელი ედიქტი 311 წელს გამოაქვეყნა;



ვინც ნამების დროს მტკიცენი დარჩნენ, ლოცვითა და შიშობით მაგალითებით ამხნევებდნენ მათ, ვინც დევნისას სულმდებლობა გამოიჩინა. ყველა მხიარულად ბრუნდებოდა შინ, სიონის გზები ისევ შეივსო მომლოცველებით, მშვიდობის დამყარებით წარმართებიც კი ხარობდნენ.

მაგრამ ის იყო იმპერატორმა გალერიუსმა თავისი გამწარებული ცხოვრება დაასრულა, რომ მაქსიმიანეს ისევ მრისხანებამ აუდულა სული და ქრისტეს სამწყსოს კიდევ ერთხელ მხეცივით ეკვეთა. მუხანათურად ცდილობდა, რომ გულმონყალის სახე მიეღო და ამიტომ ბევრ ადამიანი არ მოუკლავს. მაგრამ სხეულის ნაწილებს აგლეჯდა, ამბრმავებდა, ტანჯავდა; ზოგჯერ წარმართულ ქალაქებს წერილებით აღიზიანებდა, – ისე რომ, ანტიოქიამ, რომელში მცხოვრებმა მართლებმაც ქრისტიანები უწოდეს თავს, საზეიმოდ ითხოვა, რომ ყველა, ვინც ამა სახელით იწოდებოდა, განდევნილიყო ქალაქიდან. მაქსიმიანი ზოგჯერ პილატეს ყალბ აქტებს აგზავნიდა, მათში ცოდვათაგან გამომსყიდველის ძაგება ეწერა; ზოგჯერ ყველგან განსაკუთრებულად ბევრ მსხვერპლს სწირავდა კერპებს. მიუხედავად შეფარული სისასტიკისა, მისმა მრისხანებამ რამდენიმე ადამიანის მსხვერპლი მაინც გამოიწვია. ეს განსაკუთრებით ალექსანდრიაზე ითქმის, სადაც იმყოფებოდა იგი. და ეს ითქმის ეპისკოპოს პეტრეზე, რომელიც დევნის ბოროქარ ეპოქაში ცამეტი წელი მართავდა ეკლესიას. მას ეგვიპტის დაობლებული ეკლესიის სხვა რამდენიმე ეპისკოპოსთან ერთად მოკვეთეს თავი, ესენი იყვნენ: ისიხი, თეოდორე და პახუმი, ბევრი პრესვიტერი და საერო პირი. დიაკონმა ალიპიმ ტანჯვისას გამოჩენილი ამტანობით, იმ სიმტკიცით, რაც მაშინ გამოიჩინა, როცა კარგად გაჩაღებულ კაცონს თავისი სხეული თვითონვე შეუკეთა, მოსამართლე და დარაჯებიც ქრისტესკენ მოაქცია და შემდეგ ეგვიპტის პრეფექტის ბრძანებით მათთან ერთად ზღვაში იქნა ჩაგდებული.

მაშინ, რათა ალექსანდრიელ მოწამეთა ხვედრი გაეზიარებინა, თავისი ველური უდაბნო ანტონი დიდმაც დატოვა. ძა-



ლიან ესწრაფოდა მონამეობას, მაგრამ არ უნდოდა, მცნებრივენული სათვის გადაეხვია და თავად ჩავარდნოდა მდევნელებს ხელში. ის კი შეძლო, რომ სასამართლოებზე მონამეებს ამხნევებდა, ანდა საპყრობილეებში ემსახურებოდა მათ. მოსამართლემ ანტონისა და მის მონაფეთა გამბედაობა შეამჩნია, მოედნებზე გამოჩენა აუკრძალა მათ. მაგრამ ანტონიმ შეატყო, რომ საშიშროება ელოდა და მართალთა თავყრილობებში გამოჩენას არ ერიდებოდა. წმიდა ეპისკოპოს პეტრეს სიკვდილის შემდეგ, როცა ეგვიპტეში დევნა მიწყნარდა, ანტონი თავის უდაბნოსეულ სავანეს დაუბრუნდა.

მაქსიმიაანემ სხვა მხარეებშიც ბევრი სისხლი დაღვარა. მის დროს დააგლეჯინეს მხეცებს სილვანი, - ის, ვინც ფინიკიის ეკლესიას ორმოცი წლის განმავლობაში მართავდა. მის დროს ხმლით მოკლეს კომანელი ეპისკოპოსი, - ვასილისკო. კესარიისში ერთურთს გამირობაში ტოლი არ დაუდეს ასმეთაურმა გორდიამ, რიგითმა მცხოვრებმა, - ვარლამმა და კეთილშობილმა ქალმა, - ივლიტამ. მაგრამ ყველაზე უფრო სახელგანთქმული კესარიელი პამფილის ღირსეული თანამედროვე, - ანტიოქიელი ლუკიანე გახდა. პამფილის მსგავსად, მრავალწლიანი შრომის შემდეგ, სამოცდაათი განმმარტებლის ბერძნულ თარგმანთან შეჯერებით მანაც დაადგინა წმიდა წერილის სწორი ტექსტი. მისი სიტყვაკაზმული წერილები ანტიოქიის ეკლესიას საღმრთო მოშურნეობაში კიდევ უფრო აძლიერებდა. ნიკომიდიისში გამოძახებულმა, - მან ქრისტე თავად იმპერატორ მაქსიმიაანეს წინაშე აღიარა და დილეგში შიმშილით სასიკვდილოდ ჩააგდეს. მართლები ნახულობდნენ ხოლმე და ერთხელ, როცა ამისათვის მოწყურებულმა, გადაწყვიტა ქრისტეს ხორცსა და სისხლს უკანასკნელად ზიარებოდა, დაბორკილს ლიტურგიკის აღსრულება გაუჭირდა. ნუგეშად ის აზრი მოუვიდა, რომ ტრაპეზად საკუთარი მკერდი გამოეყენებინა, - იმიტომ, რომ ფიცარნაგზე იყო მიბმული. დიაკვნებმა გულმკერდზე პური და ღვინო დაუნყეს და მიეხმარნენ, რომ ბორკილებით დამძიმებული ხელები აენია, რათა წმიდა ძღვენი ეკურთხებინა. მეორედღეს დამთავრდა მონამის ვნება. მოსამართლის სხვადასხვა



შეკითხვაზე, თუ რა წარმოშობა აქვს, რა ტომის შთამომავალია, რა ჩინის მქონეა, პასუხობდა: – „მე ქრისტიანი ვარ“ და ასეთი იყო პასუხი მრავალი მსხვერპლისა, რომელიც ამა ცხრა წლის განმავლობაში გაგრძელებული დევნისას ეწამა. ყველაფერი ამქვეყნიური ამქვეყნადვე მოიძულეს. პავლე მოციქულის სიტყვით რომ ვთქვათ, აქ მათ არ ჰქონდათ ქალაქი, სადაც დამკვიდრება შეეძლოთ⁹⁷ და მომავალ ქალაქს ელოდნენ, – იმიტომ, რომ იცოდნენ, – ნუთისოფლის არავითარი უბედურება არაფერს არ ნიშნავს იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც სულში განუცხდებოდათ. ამიტომაც იყო, რომ, ყველა მტანჯველისდა გასაოცრად, ისინი აუტანელ ტკივილებს ვერც კი გრძნობდნენ, მათი სულიერი ზუნება ღვთის მადლის შემწეობით ხორციელს დროულად სჯაბნიდა. ზოგჯერ კი, რათა წარმართები უფრო მეტად ყოფილიყვნენ მხილებულები, დასასჯელი იარაღები საერთოდ უმოქმედო ხდებოდა, ზოგჯერ სწრაფად განეკურნებოდათ ხოლმე ჭრილობები, რათა სასტიკი მწამებლები შეუმჩნევლად მოქცეულიყვნენ მისკენ, ვინც თავის წმიდა მსხვერპლებში თავად ეწამებოდა.

აღმოსავლეთში მაქსიმიანეს, რომში კი – მაქსენციუსის მძვინვარებას შიმშილი და ტანჯვაც ზედ დაერთო. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ღვთის წინაშე ჩადენილი მათი ბოროტება ყველა საზღვარს არ გადასცდა, – მათ სასჯელად კონსტანტინე დიდი მოეწვინა.

მაქსენციუსის წინააღმდეგ კონსტანტინემ თავის რაზმებს მოუყარა თავი და ქრისტიანთა ღმერთის სახელი ახსენა. პოლკებით მიმავალს ნათელ შუადღეს უეცრად ცათა სიღრმეში მზეზე უფრო ბრწყინვალე ჯვარი და ეს სიტყვები წარმოესახა: „ამით სძლიე“. დიდი ხნის შემდეგ ჟამთააღმწერელს, – ეპისკოპოს ევსევის თავად იმპერატორი ეფიცებოდა, რომ ეს მართლა მოხდა. ხილვისაგან გაცეცხლებული მთელი დღე ფიქრობდა, თუ რა იყო ეს მინიშნება. ღამით სიზმარში უფალი იესო ქრისტე იმავე ნიშნით გამოეცხადა და უბრძანა, ბრძოლებში ჯარების წინ ეტარებინა ეს ნიშანი. კონსტანტინემ მოოქრო-

⁹⁷ იხ. ებრ. 13: 14; 12: 20;



ვილ შუბზე ჯვარი აღმართა, პატიოსანი ქვებით მორთო იგი და ეს ახალი დროშა, რომელსაც ლაბარუმი ეწოდა, წინ უძღოდა ხოლმე რომაელ არწივთ. იმპერატორისა და სხვა მეომართა მუზარადებზეც დამცავად ჯვარი გამოსახეს. მაქსენციუსის რაზმი რომის კედლებთან შეხვდა ჯვაროსან ჯარს და მალე მისი დროშის წინაშე უკუქცეული გარბოდა იგი. ტიბრის ტალღებში შთაინთქა მაქსენციუსი და კონსტანტინეს პატივსაცემად მსოფლიოს უძველესი დედაქალაქის ტრიუმფალურ კარიბჭეზე წარმართებზე ქრისტიანთა პირველი გამარჯვების შესახებ აღნიშნეს. უმაღლვე გამოცხადდა, რომ ქრისტიანებს აღმსარებლობის სრული თავისუფლება ეძლევათ⁹⁸ და რომ უბრუნდებათ ყველა ტაძარი, უფლებები და ქონება, რათა ცხადად მიეღოთ ღმერთის ის აშკარა მფარველობა, რომლითაც ამ ტაძართა და ქონების მფარველები იყვნენ დაცულები. მალე სხვა მდევნელებიც დაიღუპნენ: მოხუცი დიოკლიტიანე ძალადობრივად დამცირების გამო მთელი სულით დარდობდა და ასე გარდაიცვალა. მრისხანე მაქსიმიან დაი, მას შემდეგ, რაც იმპერატორ ლიკინიუსთან ბრძოლაში დამარცხდა, მიძიმე ავადმყოფობისაგან აღესრულა. ლიკინიუსმა, კონსტანტინეს მსგავსად, ქრისტიანთა ღმერთი იწამა და ასე გაიმარჯვა ომში. მოგვიანებით დატანჯული მაქსიმიანე სინანულის გრძნობამ მოიცვა. მან მრისხანე მოსამართლე იხილა, - იგი, ვისაც მთელი ცხოვრება აწამებდა მაშინ, როცა აღმსარებლებს სდევნიდა და საშინელ გმინვაში აღმოხდა სული. ლიკინიუსმა მთელი მისი ტომი და გალერიუსისა და დიოკლიტიანეს შთამომავლობა სულ მოსპო, ცოლები და ბავშვებიც კი არ შეუნყალებია. და ეს გასათვალისწინებელი ისტორია ჩვენ მჭერმეტყველმა ორატორმა, - ქრისტიან ციცერონად წოდებულმა ლაქტანციუსმა შემოგვინახა. ღმერთისაგან ხანგრძლივი მოთმინების შემდეგ ასე აღსრულდა მათზე ღმერთის სამართალი.

⁹⁸ კონსტანტინე დიდსა (306-338) და მაქსენციუსს (307-312) შორის ბრძოლა 312 წლის 28 ოქტომბერს ეტრურიაში გაიმართა; ქრისტიანთათვის თავისუფალი აღმსარებლობის უფლების მიმნიჭებელი ედიქტი (მილანის ედიქტი) კონსტანტინემ და ლიკინიუსმა (308-324) 313 წელს გამოაქვეყნეს;

თავი XV

მშვიდობა ეკლესიისა

ქრისტეს შობიდან 312-ე წელი

მრავალწლიანი ქარიშხლის შემდეგ დიდმა სიმშვიდემ დაისადგურა. ყველა მადლიერების გრძნობით იყო სავსე და გაოცებულნიყვნენ, როცა აშკარად ხედავდნენ, თუ როგორ იცავდა ღმერთი თავის ეკლესიას სამსაუკუნოვანი დევნის შემდეგ. ყველას სიხარულის ნათელი მოჰფენოდა სახეზე. ხალხი ისევ ისწრაფვოდა, საზეიმოდ აღესრულებინა ღვთისმსახურება. მწყემსთა ხმა განუწყვეტლად ისმოდა კათედრებიდან და ემბაზებიდან, საითკენაც მხსნელი ნათლობისათვის მრავალი ათასი ადამიანი მიიღტვოდა. ანდა საკურთხევლებისაკენ ისწრაფოდნენ, რომ უსისხლო მსხვერპლი შეენირათ. დანგრეულ ეკლესიებს აღადგენდნენ, ახლებს ბრწყინვალედ, – საჭიროებებისა და ღვთისმსახურების წესთა ცვლილებებისა შესაბამისად აშენებდნენ. პირველი ეკლესია ტირში აიგო. ყურადღების იმსახურებს, თუ როგორ მოაწყეს ის შიგნიდან. დიდი ეზო, რომელიც სვეტებით იყო შემოზღუდული და რომლის შუაშიც შემსვლელთა განსანმედად შადრევნები ჰქონდათ აგებული, ამ დიდებული ტაძრის კარიბჭე გახლდათ. ტაძარი მაღალი სვეტებით დაამშვენეს, მარმარილოთი იყო იგი მოპირკეთებული და კედარებით დაფარული. ტაძარში სამი კარიდან შედიოდნენ. საკურთხეველს ხალხისაგან შუაში გისოსი ჰყოფდა. ეპისკოპოსებისა და მღვდელმთავრებისთვის საკურთხეველის უკან, – შემადლებულ ადგილზე მაღალი დასაჯდომელები იყო მოწყობილი. ეკლესიას ორივე მხრიდან დარბაზები ერტყმოდა გარს, – ისინი საცავებისა და ემბაზებისათვის, ღვთისმსახურთა და კათაკმეველთათვის იყო განკუთვნილი. ევსევი უამ-



თაღმწერელმა, მაშინ, როცა ხუცესი იყო და ელინებსა და იუდეველებზე მამხილებელ წიგნებს წერდა, სათაურით – სახარებისათვის მზადება და მისი მტკიცება, ეკლესიის აღწერილობა შემოგვინახა და მასში ღირსი მქადაგებლის ეპისკოპოს პავლინის ქება წარმოთქვა. საზეიმოდ შეკრებილ მღვდელმთავართა წინაშე ცოცხლად აღწერა მთელი საშინელება იმ დევნისა, რასაც გაუძლეს და წყალობა ღვთისა, რომელმაც ქრისტეს სამწყსო გადაარჩინა და სიკეთე იმპერატორებისა, რომლებმაც ტირანთა ადგილი დაიკავეს.

და მართლაც, ქრისტიანებისადმი კონსტანტინეს დამოკიდებულება სასწაულს ჰგავდა. განა მარტო იმას სჯერდებოდა, რომ დილეგებიდან ათავისუფლებდა ტყვეებს, ხოლო ეკლესიებს წართმეულ ქონებას უბრუნებდა, არამედ, საკუთარ ქონებასაც არ იშურებდა, რათა ახლები აეშენებინათ და უპოვარი ობლებისათვის, ქვრივებისა და ქრისტიანი ქალწულებისათვის მიეხედათ. ეპისკოპოსებს, როგორც ღმერთისადმი თავშენირულ კაცებს, პატივისცემით ეპყრობოდა, ხშირად ესაუბრებოდა, სატრაპეზოდ ინვევდა და თავის მიერ გაღებული მონყალების დარიგებას სთხოვდა. ცეცილიანე კართაგენელს ნება დართო, რომ აფრიკის მეხაზინისაგან საეკლესიო საჭიროებისათვის დიდი თანხა აეღო, პროკონსულებს კი უბრძანა, კლერიკალები საზოგადოებრივი მოვალეობებისაგან გაეთავისუფლებინათ, რათა საშუალება ჰქონოდათ, მთლიანად ღვთისმსახურებისთვის მიეძღვნათ თავი.

მაგრამ, მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა და იმპერატორის კეთილგანწყობისა, აფრიკაში მაინც არ დამდგარა მშვიდობა. ეს განსაკუთრებით ცეცილიანესთან დაკავშირებით ითქმის, მას შფოთისთავი დონატისტების მიერ ჩამოგდებული განხეთქილებისაგან მოსვენება არ ჰქონდა. კონსტანტინეს სურვილით პროკონსული სინყნარისა და მორჩილებისაკენ მოუწოდებდა მათ, მაგრამ – ამაოდ, ისინი სასამართლოში გალიის ეპისკოპოსების მონაწილეობას ითხოვდნენ, ეს ეპისკოპოსები მათ განკვეთას მხარს არ უჭერდნენ. კონსტანტინეს



უნდოდა, რომ ერთის მოთხოვნებიც დაეკმაყოფილებინა და მეორისაც და ამიტომ რომის პაპს, – მელქიადს, გალიის სამსა და იტალიის თხუთმეტ ეპისკოპოსს დაავალა, რომ განეხილათ დონატისტების საქმე. ორივე მხარის წარმომადგენელი, დონატი და ცეცილიანი, თითოეული ათ ეპისკოპოსთან ერთად, რომში წარდგნენ, სამდღიანი შეკრების შემდეგ დონატისა და მაიორინის წარმომადგენელი საზოგადო სიმშვიდის დამრღვევებად, ხოლო ცეცილიანი – საეკლესიო კანონების შესაბამისად არჩეულ ეპისკოპოსებად იქნენ მიჩნეულნი, ყველა ბრალდება, რომელსაც ცეცილიანს უყენებდნენ, ცილისწამება გამოდგა. მაგრამ რომის კრება, იმისათვის, რომ საერთო სიმშვიდე არ დარღვეულიყო, მონინაალმდეგეებს შემწყნარებლურად მოექცა და მხოლოდ მემბოხე დონატი განკვეთა. სხვათა შესახებ კი დაადგინა, რომ, თუ ერთ ეპარქიაში ორი ეპისკოპოსი იქნებოდა, – ერთი მართლმადიდებელი, ხოლო მეორე – დონატისტი, უპირატესობა მათ შორის უფროსს მისცემოდა, ხოლო მეორისათვის კი სხვა, – თავისუფალი კათედრა მიეცათ.

მაგრამ დონატისტები რომის კრების გადაწყვეტილებამ ვერ დააკმაყოფილა და, მიუხედავად იმისა, რომ, მთელი ეკლესია ცეცილიანს უჭერდა მხარს, დონატმა, თავისივე აღთქმის სანინაალმდეგოდ, კლერიკალები და საეროები დაბრუნებისთანავე ისევ ააშფოთა. ცეცილიანესა და რომაელ მოსამართლეთა მიკერძოების შესახებ ხმებმა და ახალმა საყვედურებმა მალე კონსტანტინეს ყურამდე მიაღწია. იმპერატორი კრების აქტებიდან აშკარად ხედავდა, რომ კართაგენელი ეპისკოპოსი უდანაშაულო იყო. ამასობაში პაპი მელქიადი გარდაიცვალა და მისი ადგილი წმიდა სილვესტრმა დაიკავა. რადგან აფრიკაში გაჩაღებული ცეცხლის ჩაქრობა და საჩივრის ყველა მიზეზის მოსპობა ენადა, კონსტანტინემ ბრძანა, რომ კრება კიდევ ერთხელ, ამჯერად გალიის დედაქალაქ არლიხში, ქალაქ მარინის ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით შემდგარიყო. გალიის, ესპანეთისა და აფრიკის ქალაქებიდან ოცდაათზე მეტი ეპისკოპოსი დაიძრა გრძელ გზაზე, რათა ეს გაგრძელებული



უთანხმოება მოესპო. იმპერატორმა მათი მგზავრობის ყველა ხარჯი თავის თავზე აიღო. ცეცილიანი ისევ გაამართლეს და მისი მონინაალმდეგენი კი გაამტყუნეს.

რომის პაპ სილვესტრს გადაწყვეტილების შესახებ სინოდის სიგელით აცნობეს და კრება ეკლესიის კეთილმონესრიგებას შეუდგა. გამოსცა რამდენიმე დადგენილება აღდგომის დღესასწაულის დროის შესახებ. დასავლეთისათვის აღდგომის დღე რომის პაპს უნდა გემოეცხადებინა. განსაზღვრეს, თუ რა და რა დონეზე უნდა მოენანიებინათ იმათ, ვინც დევნის დროს დაეცნენ. თავიდან ნათლობის საჭიროება უარყვეს, ეს წესი აფრიკის ეკლესიაში ჯერაც გამოიყენებოდა. მკაცრად აკრძალეს ქრთამი, სიმონია, სანახაობები. მეომრებს უბრძანეს, რომ, თუ ქრისტიანთათვის კეთილმოქმედ იმპერატორს ემსახურებოდნენ, უარი არ ეთქვათ თავიანთ წოდებაზე. კრების მამებმა პაპს დონატისტების საბოლოო განქიქების შესახებ აცნობეს. მაგრამ მათმა მზაკვარმა მეთაურებმა სამეფო დარბაზებში შეღწევა მოახერხეს და საეკლესიო საქმეებში გამოუცდელი კონსტანტინე მათი საჩივრების განხილვას საიდუმლო საბჭოზე თვითონ ცდილობდა ხოლმე. ეპისკოპოსი ცეცილიანი იძულებილი გახდა, კიდევ ერთხელ წასულიყო მედიოლანში, სადაც თავად იმპერატორის წინაშე ისევ იმართლა თავი და შემდეგ ღირსეულად წავიდა. მაგრამ დონატისტები მეფის გადაწყვეტილებამ მაინც ვერ დააკმაყოფილა, მათი ბევრი ეპისკოპოსი ისევ განაგრძობდა ნუმიდიაში მართლმადიდებელთათვის ეკლესიების წართმევას, ხელისუფლება, რომელსაც ეშინოდა, რომ ამ მხარეში უკმაყოფილება მოხდებოდა, მათ თავხედურ ქმედებას დაუსჯელად ტოვებდა.

ბოლოს, ბევრი მოთმინების შემდეგ, მათ წინააღმდეგ ზოგიერთი მკაცრი ზომაც გამოიყენეს: შეკრებები აუკრძალეს და ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ნუმიდის ციტრის ეპისკოპოსი, რომელიც მკრეხელობაში იყო მხილებული, თანამზრახველებთან ერთად დააპატიმრეს. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები სიმშვიდისათვის ყოველნაირად



იღვნოდენ, აფრიკის ეკლესიას კიდევ დიდხანს არ ღირსებას ეს სიმშიდე. ისინი ხან კართაგენში, ხან ნუმიდისა და მავრიტანიის სხვა ქალაქებში ყოველ წელს მართავდნენ კრებებს, იქ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ეკლესია და უდაბნოს შორეულ სიღმრეებში აღწევდა.

კონსტანტინე ჯერ თავად არ იყო ეკლესიის წევრი, გამოუცდელიობის გამო იწყნარებდა დონატისტებს და არ იცოდა, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს იერარქიულ წესრიგს და რჩევას იძლეოდა, რომ თვითონვე დაესაჯათ დამნაშავეები იქ, სადაც საეკლესიო კანონები დაირღვეოდა. ამავდროულად თავისი ხელისუფლების ძალით მფარველობდა ეკლესიას და მისთვის სასიკეთო განკარგულებებს გამოსცემდა ხოლმე. კონსტანტინემ წარმართული სანახაობები აკრძალა, ბრძანა, რომ აღდგომის დღე აღენიშნათ და უფლის ჯვარცმის გასახსენებლად მარხვა დაეცვათ. ამ დიდებული მოვლენის ხსოვნის პატივსაცემად მან ჯვარცმით დასჯის კანონი აკრძალა და გააუქმა ძველი რომაული კანონი, რომელიც დაუქორწინებლებს ჯარიმის გადახდას ავალდებულებდა, - იმიტომ, რომ წარმართულმა უზნეობამ უბიზნოებასა და ქალწულობის შენახვას დაუთმო ადგილი. მან ყველას მისცა ნება, რომ თავისუფლად ეანდერძა ეკლესიისათვის ქონება და სადავო საქმეთა გადასაწყვეტად ეპისკოპოსებისათვის მიემართათ და რომ მათი კურთხევით ტაძრებისათვის მონები გაეთავისუფლებინათ. ასე რომ, სამწყსოს შინაგანი მმართველობა ნელ-ნელა გარეგნულს შეერწყა. წმიდა ცხოვრების წესი მწყემსებისადმი თავისთავად იწვევდა საყოველთაო ნდობას, - იმიტომ, რომ კონსტანტინეს, რომელიც ქრისტიანებისადმი კეთილად იყო განწყობილი, სურდა, ქრისტიანთა წესები ხალხში საკუთრივ მის მიერ შემოღებულ წესებად ყოფილიყო აღქმული.



აღმოსავლეთში ასე არ იქცეოდა ლიკინიუსი. მისი მმართველობის დასაწყისში იქ მცირე აზიისა და სირიის ეპისკოპოსები ადგილობრივ კრებებს მართავდნენ, რათა საეკლესიო საქმეები თვითონვე მოეგვარებინათ. პირველხარისხოვან კათედრათა მწყემსებმა: ვიტალი ანტიოქელმა, ორივე კესარიიდან – აგრიკოლამ და ლეონტიმ, ლონგინოზ ნეოკესარიელმა, ლუპემ ქალაქ ტარსიდან, პეტრე იკონიელმა, რომელმაც თავისი წმიდა ცხოვრება მალე მონამეობით აღბეჭდა, მონამე ანთიმოზ ნიკომიდიელის მემკვიდრემ, – ევსევიმ ანკირაში რამდენიმე წესი შემოიღეს. ეს წესები მაქსიმინის დროინდელი ბოლო დაცემის სხვადასხვა დონეს, ეპისკოპოსობის სხვადახვა ხარისხს, ხუცეებს, დიაკონებსა და კათაკმეველებს, მათ უნებლიე და ნებაყოფლობით დაცემას, – იმ საკითხს ეხებოდა, უკვე შეიძლებოდა თუ არა მოქცევა. შემოღებული წესები ყველგან ვრცელდებოდა, თუმც, ეპისკოპოსებს ნება ეძლეოდათ, დადგენილი ვადა იმისდა მიხედვით შეემცირებინათ, თუ როგორი განწყობილება ჰქონდათ მონაწილეებს. სხვა კანონებით განისაზღვრებოდა სულიერი სასჯელი მრუშობისა, მკველობისა და ჯადოქრობისა. ქორეპისკოპოსებს მღვდლებისა და დიაკვნების დადგენა ეკრძალებოდათ, – იმიტომ, რომ ისინი ნამდვილი ეპისკოპოსები კი არა, არამედ, მხოლოდ დამხმარეები იყვნენ. ზნეობრიობის შესანარჩუნებლად იმავე ეპისკოპოსებმა ნეოკესარიის მომდევნო კრებაზე კლერიკალებისა და საეროთათვის ასეთივე მკაცრი კანონები შემოიღეს. მღვდელმობღვრებს ხელდასხმის შემდეგ ცოლის მოყვანა აეკრძალათ. მღვდლად კურთხევისათვის საჭირო იყო, რომ, სულ ცოტა, ოცდაათი წლისა ყოფილიყო კაცი. მათ, ვინც ცხოვრების არანმიდა წესში იყვნენ შემჩნეულნი, თუნდ, ცოდვები მღვდლობამდე ჩაედინათ, უსისხლო მსხვერპლის შეწირვის უფლებას არ აძლევდნენ. მიუხედავად ამისა, გულწრფელი აღსარების გამო, ხარისხს, ისევე, როგორც დიაკვნები, ინარჩუნებდნენ. დიაკონი ყველა ქალაქს

შვიდი უნდა ჰყოლოდა, — მოსაგონებლად იმისა, რომ ლიმში პირველად შვიდი დიაკონი იყო.

მალე ლიკინიუსის ოლქებში კონსტანტინესთან კავშირთან ერთად ეკლესიის კეთილდღეობაც დაირღვა. ლიკინიუსი იძულებული იყო, რომ იარაღის ძალას ყოფილიყო დაყრდნობილი და ძალმომრეობა ქრისტიანების წინააღმდეგ მიმართა. ჯერ იყო და წარმართთა მონათლვა და შორეული ეკლესიების მონახულება ან კრებებზე დასწრება აუკრძალა ქრისტიანებს; მერე თავად ეკლესიებიც წაართვა და მხოლოდ იმისი უფლება მისცა, რომ სალოცავად გაშლილ მინდორზე შეკრებილიყვნენ; თავისი დარბაზებიდანაც გაყარა ქრისტეს სახელის აღმსარებლები, ბოლოს ნილაბი სულ ჩამოიხსნა და უკვე აშკარად მოსთხოვა მათ, რომ კერპებისათვის მსხვერპლი ეწირათ. მრისხანება განსაკუთრებით ეპისკოპოსების, როგორც სამწყსოს ხელმძღვანელების, მიმართ გამოავლინა. მონამეობრივად ბევრმა მათგანმა დაასრულა ამქვეყნიური სიცოცხლე, მათ შორის იყვნენ ბასილი ამასიელი და ვლასი სებასტიელი. სომხეთის იმავე ქალაქში ორმოცმა კეთილშობილმა ქრისტიანმა ჯარისკაცმა განდგომას სიკვდილი ამჯობინა. აგრიკოლას ოლქის მმართველმა, რომელმაც ლიქნით მათი დაყოლიება მერე შეძლო, ზამთრის ღამით გაყინული ტბის პირას შიშვლები გაიყვანა ისინი, ბრძანა, რომ ნაპირზე აბანო გაეხურებინათ, — იმედოვნებდა, რომ ფიზიკურ შეგრძნებებზე ზემოქმედებით აცდუნებდა მათ. მოწამენი კი მხოლოდ იმისთვის ლოცულობდნენ, რომ მათ შორის არავის დაეკარგა მონამეობის გვირგვინი. და მაშინ, როცა ერთ-ერთმა მათგანმა ხორციელ ტანჯვას ველარ გაუძლო და აბანოში გაქცევა ამჯობინა, წარმართმა ჯარისკაცმა, რომელიც მათ დარაჯობდა, სულმოკლის ადგილი ნებით დაიკავა. ყინვისაგან გატანჯულები ცეცხლში ჩაყარეს და ასე, — ცეცხლოვანი აღსასრულით წავიდნენ ისინი ღმერთთან.


კონსტანტინეს აღარ უნდოდა, თანამმართველის სისასტიკეს შეგუებოდა და ზღვაზეც და ხმელეთზეც მის წინააღმდეგ შეიარაღდა. ჯარებს წინ ჯვრის ნიშანი მიუძღოდა. კონ-



სტანტინეს ეპისკოპოსები ახლდნენ თან, ლიკინიუსის ბანაკში კი წარმართ ქურუმთა მკითხაობებით სულდგმულობდა. ქრისტიანობასთან წარმართობის უკანასკნელი გამოლაშქრება ადრიანოპოლისთან უნდა მომხდარიყო და იქ ჯვრის ნიშანმა გაიმარჯვა. ლიკინიუსი ბიზანტიასა⁹⁹ და ნიკომიდიისში გაიქცა. გამარჯვებული ყველგან უკან მისდევდა. მან მანტია ჩამოართვა ლიკინიუსს, სალუნში გადაასახლა და იქ ახალი ამბოხების გამო დასაჯა. ერთმპყრობელობა კონსტანტინეს ხელში გადავიდა. წარმართმა ფილოსოფოსებმა გადანყვიტეს, კიდევ ერთხელ გამოეცადათ ახალი ხელისუფალი, რომელიც დაპყრობილ ბიზანტიაში შევიდა. იმპერატორს ქალაქის ეპისკოპოს, – ნმიდა ალექსანდრესთან პაექრობის ნება სთხოვეს. მორჩილმა ეპისკოპოსმა გამოწვევა მიიღო, მხოლოდ ის ითხოვა, რომ ფილოსოფოსი ამოერჩიათ საპაექროდ და შემდეგ კი პაექრობის მსურველს რწმენით უთხრა: – „უფალ იესოს სახელით დადუმდი“, – და დამუნჯდა წარმართი. ასეთი იყო ის სულიერი ძალა, რომელიც კერპებთან ბრძოლაში შემწედ სულ თან სდევდა კონსტანტინეს. ამ ძალამ ქრისტესადმი რწმენა მთელ მსოფლიოში განამტკიცა.

ის ის იყო გარეთ ჩადგა ქარიშხალი, რომელიც ეკლესიას თავის წევრთა მოწყვეტით აცარიელებდა, რომ წამებულთა მშვენიერ გამირობებს ეკლესიის შიგნით ატეხილი ქარიშხალი დაერთო, – ეს მით უფრო საშიში იყო, რომ ბოროტება საკუთარი ნიალიდან ამოიზარდა, ცხადი მტრები საიდუმლო მტრებმა შეცვალეს. ეგვიპტეში მოწამეობრივ ცეცხლზე დიდებულად აყვავდა ქრისტიანობა, მაგრამ სახელგანთქმულ სასწავლებელში და ღრმა უდაბნოში ეგვიპტე იქცა ჩანასახად იმ დამ-

⁹⁹ ქალაქ ბიზანტიონს, საერთოდ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს, ავტორი აქ და ქვემოთ მოიხსენიებს როგორც ბიზანტიას; იმპერიის ამ ნაწილს – ბიზანტიად, ბიზანტიონს კი დედაქალაქად იხსენიებს მაშინაც, როცა იმ დროის შესახებ წერს, როცა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო ჯერ არ იყო აღმოცენებული და ოფიციალურად არც ბიზანტიონი იყო გამოცხადებული აღმოსავლეთის სახელმწიფოს დედაქალაქად; როგორც ცნობილია, კონსტანტინე I-მა ქალაქი ბიზანტიონი აღმოსავლეთ რომის დედაქალაქად 330 წელს გამოაცხადა და მას კონსტანტინეპოლი უწოდა;



ლუპველი წყლულისა, რომელსაც ორასი წლის განმავლობაში ებრძოდნენ სახელგანთქმული მღვდელმთავრები. არიოზმა სამარცხვინო სახელი დაიმკვიდრა, ეკლესიის სხვა უბედურებებს თავისი საქმეები დაუმატა და აქამდე გაუგონარი ერესის აღმოცენებაში დამნაშავეის სახელი დაიმკვიდრა.

იგი ლაბიაში დაიბადა. ერთი ხანობა ეპისკოპოს მელეტის განხეთქილებას უჭერდა მხარს. იგი უწესრიგობის ჩამოგდების გამო წმიდა პეტრე ალექსანდრიელმა ეკლესიიდან განკვეთა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ, შემდეგ დაიბრუნა და დიაკვნადაც აკურთხა, ისევ განკვეთა იმიტომ, რომ დამნაშავე მელეტის მიმართ გამოჩენილ სამართლიან სიმკაცრეს არ ეთანხმებოდა. ფხიზელმა მწყემსმა, რომელსაც უკვე ბორკილებში ედო, ეკლესიის კარს მომდგარი მღვდელთა რეზოლუცია იწინასწამეტყველა, - იმიტომ, რომ სიზმრისეულ ხილვაში გამოეცხადა საკურთხეველზე მჯდარი ნათელი ყრმა იესო, რომელსაც ხელთუქმნელი კვართი ემოსა, ეს კვართი ზემოდან ქვემოთამდე დაფლეთილი იყო: - „უფალო, ვინ გაბედა შენს სამოსს შეხებოდა?“ - წამოიძახა მღვდელმთავარმა, - „არიოზმა დახია იგი“, - მიუგო ღვთაებრივმა ყრმამ და გაუჩინარდა. წმიდა პეტრეს მონამეობრივი აღსასრულის შემდეგ აქილამ შეუწოდო არიოზს და პრესვიტერად აკურთხა. მაგრამ ალექსანდრიის კათედრაზე ალექსანდრეს არჩევამ არიოზში შურის გრძნობა გამოიწვია, ის თავს იიბედებდა, რომ გარდაცვლილი აქილას ადგილს დაიკავებდა და, თავად მქადაგებელმა, წმიდა სამების შესახებ ალექსანდრეს სწავლების განქიქება დაიწყო, - აქაოდა, საბელიოსის ძველ ერესს იმეორებსო. საბელიოსი სამ ჰიპოსტაზს ერთმანეთში ურევდა. არიოზი იმასაც კი არ შეუშინდა, რომ ხმამაღლა ახალი დოგმა განეცხადებინა იმის შესახებ, რომ მამა თავისი არსით განსხვავდება ძისაგან, ძის დაუსაბამობასა და მამასთან თანამყოფობას არ სცნობდა, არამედ, მიიჩნევდა, რომ იგი არის მხოლოდ ყველაზე უფრო სრულყოფილი ქმნილება, რომელიც მამის ნებით საუკუნეთა უწინარეს არის შექმნილი.



არიოზის ცრუსწავლებას კლერიკალთაგან და საეროთაგან ბევრი გამოუცდელი მიენდო, - იმიტომ, რომ მისი ცხოვრების მკაცრი წესები, მსოფიანება, ტკბილმოუბარობა, რომელიც ვითომ წმიდა წერილს ეფუძნებოდა, მსმენელთა გულს ინადირებდა. ეგვიპტის მწყემსმათავარს ჯერ უნდოდა, რომ თავმდაბლურად აღმოეფხვრა განხეთქილება და ორ კრებაზე ამოდსცადა არიოზის მხილება. მაგრამ, როცა დაინახა, რომ მისი ერესი ალექსანდრიიდან უკვე მიმდებარე ქალაქებში ვრცელდებოდა, არიოზი და მისი მიმდევრები ეკლესიიდან სახალხოდ განკვეთა და ამის შესახებ აღმოსავლეთის ეკლესიათა პირველხარისხოვან ეპისკოპოსებს სიგელებით აცნობა. შემორჩენილია ბიზანტიის ეპისკოპოსი წმიდა მიტროფანესადმი გაგზავნილი მისი წერილი, რომელშიც მხილებულია არიოზის ერესი, ეს ერესი მესიის ღმერთობას უარყოფდა, წერილებში მხილებული იყო მათი ყველა უკანონობა, რაც თავიანთი სწავლების გასავრცელებლად ჩაიდინეს, მასში გადმოცემული იყო ეკლესიის ჭეშმარიტი სწავლება ძე ღმერთზე. სწავლება მახარებელთა სიტყვებსა და თავად ქრისტეს დამონმებაზე იყო დამყარებული, - უფალი თავს თვითონ იხსენიებდა მამის თანასწორად, რათა ძისათვის ისევე ეცა ყველას პატივი, როგორც მამისათვის, - რამეთუ მამა და ძე არსით ერთნი არიან. ალექსანდრემ ნათლად წარმოაჩინა, რომ მსოფლიო ეკლესია ყოველთვის მყარად იდგა სარწმუნოების ამ მთავარ დოგმატზე, მის გარეშე ერთ წუთსაც ვერ გაძლებდა, ცხადყოფდა, თუ როგორ ცდილობდნენ ერეტიკოსები, ვერაგულად გამოეთხარათ ძირი ამ ქვაკუთხედისათვის მაშინ, როცა სახარების მხოლოდ ისეთ ადგილებს წარმოაჩენდნენ ხოლმე, რომელშიც მაცხოვარი თავის ადამიანურ ბუნებაზე ლაპარაკობს მდაბლად და მალავს ყველა ცხად მინიშნებას თავის ღმერთობაზე და - იმას, რომ მარადიულად იყო წიაღთა მამისათა.

მაგრამ ეგვიპტეში ბოროტება იზრდებოდა. არიოზს მხარი უკვე ორმა ეპისკოპოსმა, - სეკუნდ პენტაპოლელმა და თეონ მარმარელმა დაუჭირა. მოხუცებული ევსევი, რომელიც

ოდესლაც მასთან ერთად ანტიოქიაში წამებულ ლუკიანოსთან სწავლობდა და რაღაც ხრიკებით ვერიტას კათედრიდან ნიკომიდიის ტახტზე გადავიდა, ანუ – იქ, სადაც მაშინ სამეფო კარი იყო, ძველ მეგობარს ცხადად მფარველობდა. მაშინ ალექსანდრემ ეპისკოპოსებს კიდევ ერთხელ დაუგზავნა მამხილებელი ეპისტოლე, რომელიც წმიდა წერილის ტექსტებზე იყო დაყრდნობილი და გაიმეორა, რომ არიოზი და მისი მიმდევრები ეკლესიიდან განკვეთილები არიან.

ალექსანდრიაში ბრალდებული არიოზი პალესტინაში წავიდა და მეფის კარზე გავლენიან ევსევი ნიკომიდიელს სთხოვა დახმარება, თავისი მწყემსი უვიცობასა და უსამართლო მდევნელობაში დაადანაშაულა. არ მოერიდა და ეპისკოპოს ალექსანდრეს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მთელი თავისი ცრუ სწავლება გადმოსცა უფალ იესოზე, რომელიც, მისი აზრით, არის შექმნილი და არა მხოლოდ – შობილი მამისაგან, რომ იგი არ ყოფილა მარადიულად; თავის ხუცესს არწმუნებდა, რომ ეს დოგმატები ძველ წმიდა მამათაგან და თვით მასთან მოიძია. რათა უფრო მოხერხებულად გაეგრცელებინა თავისი ერესი, არიოზმა ერთ ჰიმნში უღირსი სწავლების მთელი არსი ჩადო, იგი ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს მიუსადაგა. მისი მფარველი, – ევსევი პალესტინის ეპისკოპოსებისათვის მიწერილ წერილებში ცდილობდა, რომ ყველანაირი საბუთებით განემტკიცებინა მართლმადიდებლობისთვის ასე მიუღებელი აზრები არიოზისა, რათა ეიძულებინა ალექსანდრე თავის ეკლესიაში დაებრუნებინა არიოზი.

აღმოსავლეთის ეპისკოპოსები შემფოთდნენ, – ვერ გაეგოთ სიახლე, – მათთვის უცნაური სწავლება. ზოგიერთმა, რომელიც არიოზის ბუნდოვანმა გამოთქმებმა გაიტაცა, მისი მხარე დაიჭირა. სხვებმა კი, წმიდა წერილში უფრო გამოცდილებმა, კატეგორიულად უარყვეს ძაგებით სავსე მისი სწავლება, ესენი იყვნენ: ფილოგენ ანტიოქელი, მაკარი იერუსალიმელი და ელენიკ ტრიპოლელი. მაგრამ ევსევი ნიკომიდიელმა, რომელიც მათზე და ალექსანდრეზე მრისხანებით იყო სავსე, ბეთანიაში



მცირე კრება გამართა და ისევ დააბრუნა არიოზი. ამის შესახებ ეპისკოპოლებით აცნობა ეპისკოპოსებს, რომელთაგან სამმა: პავლინ ტირსელმა, პატროფილ სკვითოპოლელმა და, პალესტინის კესარიიდან, - ევსევი უამთაალმწერელმა არიოზსა და მის მიმდევრებს, მიუხედავად განკვეთილობისა, რაც არიოზის ეპისკოპოსმა განაცხადა, იმისი უფლებაც მისცეს, რომ ეკლესიებში არიანელები ხალხი მოენვიათ. ოღონდ, არიოზს ეპისკოპოსთან შერიგება უნდა ეცადა. ასე, ყოველ წუთს, უფრო და უფრო ძლიერდებოდა ერესი.

არიოზის შეხედულება რამდენიმე ეპისკოპოსისა და კლერიკალის ვინრო წრეს უკვე გასცდა. საერთო საზოგადოებრივმა დაინტერესებამ, რომელსაც დასაწყისიდანვე ელტვოდა იგი, სრულად დააკმაყოფილა მისი პატივმოყვარული სურვილი. არიოზის ერესი ალექსანდრიის მოედნებზე ურთიერთანგარიშსწორებას იწვევდა. ეს კი წარმართებს აბრკოლებდა. მათ ქრისტიანებზე ჩხუბი დაიწყეს. ეგვიპტის დედაქალაქშიც ატყდა ამბოხი, - ისე, რომ ქრისტიანთა მფარველი იმპერატორის ქანდაკებაც არ დაინდო ბრბომ. კონსტანტინემ დიდსულოვნად აიტანა პირადი შეურაცხყოფა. მან მხოლოდ ის გააკეთა, რომ სახეზე ხელი ჩამოისვა და სასახლის კაცებს, რომლებიც შურისძიებისაკენ მოუწოდებდნენ, ღიმილით უთხრა, - ქანდაკებაზე ნასროლი ქვებისაგან ტკივილი მე არ მადგებაო. მაგრამ მეფის მოვალეობამ და ეკლესიის მცდელობამ აიძულა იგი, რომ ანგარიშსწორების აღსაკვეთად აღმოსავლეთშიც მიეღო ზომები, დასავლეთში ხომ მთელი ძალებით ცდილობდა დონატისტებისაგან ჩამოგდებული განხეთქილების აღმოფხვრას. დედაქალაქის ეპისკოპოსი ევსევი გამოუცდელ იმპერატორს არწმუნებდა, რომ უთანხმოების მიზეზი არიოზის მიმართ ალექსანდრეს მხოლოდ და მხოლოდ პირადი დამოკიდებულებაა და რომ მიზეზი სიტყვათა ამაო თამაშშია, - და იმპერატორმა ორივე მხარეს ამგვარი განწყობილებით მისწერა დამრიგებლური წერილი, მშვიდობისაკენ მოუწოდებდა მათ და სთხოვდა, რომ შეუცნობელ საკითხზე ზედმეტად გაღრმავებული კამათისათვის თავი აერიდებინათ.




კორდუბის ეპისკოპოსი, - ოსია, რომელიც თავის კეთილმედებათა გამო ხელმწიფის ნდობას იმსახურებდა, მისი სასულიტო შუამავლად გაემგზავრა ეგვიპტეში. მაგრამ უდიდესი მღვდელმთავარი ალექსანდრიის კრებაზე ამაოდ ცდილობდა ერესის ჩაქრობას. რადგან კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქრისტეს ღმერთობის შესახებ სწავლებას, რომელსაც უღირსი არიოზი უარყოფდა, მან ალექსანდრეს მხარი დაუჭირა და მწვალებელი გაამტყუნა. მაგრამ ვერ დაანყნარა ვერც არიოზი და ვერც მისი მომხრეები. შინაგანი უთანხმოება ეკლესიაში ნელ-ნელა იზრდებოდა და საჭირო გახდა, მწყემსთა გაცილებით დიდი კრება გამართულიყო, რათა უფრო მკაფიოდ წარმოჩენილიყო, რომ ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი დოგმატის აღსარებაში ერთსულოვანია ქრისტიანული სარწმუნოება.

ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება

ქრისტეს შობიდან 325-ე წელი

და მაშინ პირველად გაჩნდა აზრი, რომ მსოფლიო საეკლესიო კრება გამართულიყო, ე. ი. ქრისტიანობით განათლებული ყველა ქვეყნის ეპისკოპოსები იმ ერთ განმანათლებელ დასად შეკრებილიყო, რომელიც ზეგარდამო წმიდა სულით იქნებოდა მართული, რათა ეკლესიაში წესრიგი დავანებულიყო. აქამდე არსებული მძიმე მდგომარეობა, დევნა, საშუალებას არ იძლეოდა, რომ მწყემსები შორი ქვეყნებიდან შემოკრებილიყვნენ. კონსტანტინეს ერთმმართველობამ და მისმა მფარველობამ ყველას გაუხსნა თავისუფალი გზა. ეს კეთილი აზრი კონსტანტინეს გვერდით მყოფმა ეპისკოპოსებმა შთააგონეს და ისიც მეფური სიდიადით შეუდგა მის აღსრულებას. ხარჯები თავის თავზე აიღო და ეპისკოპოსთა შესაკრებელ ადგილად აღმოსავლეთის დედაქალაქის მეზობელი ქალაქი ნიკეა შეარჩია. ეპისკოპოსები ყოველი მხრიდან დაიძრნენ. მათი რაოდენობა სამასს აჭარბებდა. ჭეშმარიტად რომ საოცარი სანახაობა იყო. ნიკეის კრების შემდეგ არცერთ კრებაზე არ განმეორებულა ამგვარი რამ.

ქრისტეს ეკლესია ჯერ ისეთი ახალი წამებული იყო, რომ მის ბევრ წარმომადგენელს, რომელიც ჭალარას შეემყო, გმობობათა კვალი, – ის ნაჭრილობევიები ამშვენებდა, რომლებიც ქრისტეს მტკიცედ აღსარებისათვის ჰქონდა მიღებული. მართალია, ზოგ ეპისკოპოსს არ მიელო ჭრილობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სახელოვან აღმსარებელთა რიცხვს განეკუთვნებოდა, ასეთები, წარმართთა სასამართლოებზე სშირად ნამყოფნი, ბევრჯელ მზად იყვნენ, თავიანთი სამწყოსოსათვის დახოცილიყვნენ. ზოგნი, როგორც ღირსეული მემკვიდრენი მოციქულებისა, მათ დროსთან ახლოს მყოფნი, სასწაულთ-



მოქმედების ძალით იყვნენ აღსავსენი, – უნმიდურ სულომს განასხამდნენ, სნეულთ კურნავდნენ, მკვდართ აღადგენდნენ. წმიდა ცხოვრებას ყველა გაებრწყინებინა. სახარებისეული სიმარტივე ზოგიერთისა სხვათა ღრმა სწავლებაზე არანაკლებად გასაოცარი იყო, – იმიტომ, რომ სიტყვებს საქმეები ცვლიდა. ქრისტეს სახელისათვის მებრძოლი ეს მძლე მხედრები და მქადაგებლები, რომლებიც ქვეყნიერების შორეულ მხარეებში მოღვაწეობდნენ, ერთბაშად ერთ ადგილას წარუდგნენ ერთურთს და ერთმანეთში ახდენდნენ იმ უეჭველი რწმენის აღსარებას, რომლისთვისაც არცთუ დიდი ხნის წინათ თავიანთი სისხლი დაეღვარათ. და ეს ერთსულოვნება იყო საუკეთესო დასტური ჭეშმარიტებისა. მაღლიერი ეკლესია დღესასწაულზე იხსენებს ხოლმე მსოფლიო კრების მონაწილე სამასთვრამეტი წმიდა მამის სახელს, რომელთა შორის რამდენიმეს სახელმა განსაკუთრებულად გაიბრწყინა.

კრების გამართვის „მოთავე“, არიოზის ერესთან უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მებრძოლი, ალექსანდრიის სულიერი მამა – ალექსანდრე საბჭოზე პირველი წარდგა. ღმრთივ მოშურნე მოსაგრეობის გამო მას ხალხისაგან ქება ელოდა. მას თან ახლდა ეგვიპტის მშვენება, თავისი მომავალი მემკვიდრე – ათანასე, რომელსაც დიაკვნის ხარისხი ჰქონდა, იგი ახალგაზრდა, მაგრამ არიოზელებთან კამათში უკვე სახელგანთმული იყო. მან ორმოცი წლის ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ დაამარხცა არიანელები¹⁰⁰, – თუმც, ცხოვრების მთელი სიმძიმეები გამოსცადა, საშინელი გაძევებაც ნახა და კათედრიდანაც სამჯერ გადააყენეს. ნიკეის კრებაზე მყოფი ცახცახებდა არიოზი, როცა მის სიტყვას ისმენდა. ალექსანდრიის ეკლესიური ოლქების მეუღაბნოე ეპისკოპოსებიც, ანტონი დიდის მონაფეთაგან გამოსულნი და შემდეგ სამღვდელმთავრო კათ-

¹⁰⁰ ტერმინი „არიანელობა“, „არიანელი“ გავრცელებული ფორმებია და ამჯერად თარგმანში ხსენებულ ფორმებს ვიყენებთ, ... ამასთან, ვფიქრობთ, საკითხის შესწავლის შემდეგ მომავალში ქართულად შეიძლება ტერმინი „არიოზელობა“, ან „არიანობა“, „არიანელის“ აღსანიშნავად – „არიოზელი“ დამკვიდრდეს; კონკრული კეკელიძე იყენებს ფორმას – „არიანობა“...

ედრებზე ასულნი, ასევე გამოყვნენ თავიანთ მწყემსმთავარს, ალექსანდრეს, ესენი იყვნენ: ნილოსის ნაპირებიდან, – ქალაქ ჰერაკლიიდან – პოტამონი, თებაიდიდან – პაფნუტი, ქალწული და აღმსარებელი, რომელსაც მარჯვენა თვალი აკლდა და მარჯვენა ფეხით კოჭლობდა მას შემდეგ, რაც სასტიკმა მაქსიმინმა მალაროებში სამუშაოდ გააგზავნა, მაგრამ რომელიც ლოცვით განიკურნა. იმპერატორი ჭრილობებმა გააოცა, კრებაზე ეამბორა მის ჭრილობებს.

აღმოსავლეთში მთავარი ტახტის ეპისკოპოსი, ევსტათი ანტიოქელი, რომელიც დენის დროს ასევე აღმსარებელი გახდა, არიანელთა წინააღმდეგ ალექსანდრეზე არანაკლებად იღვწოდა, – იმიტომ, რომ კარგად ახსოვდა არიოზის ცრუ სწავლებასთან ახლოს მდგომი ერესი პავლე სამოსელისა, რომელიც მის ოლქს სიმშვიდეს ურღვევდა და მთლიანად ჯერაც არ იყო აღმოფხვრილი; ჭეშმარიტების მტკიცე დამცველები იყვნენ წმიდა ალექსანდრე ქალაქ ბიზანტიიდან, სადაც შემდგომში ქრისტიანობის დედაქალაქი უნდა დაარსებულიყო; წმიდა მაკარი, – ეპისკოპოსი ყველა ეკლესიის დედის, – იერუსალიმისა, რომელიც ნანგრევებიდან მაშინ აღდგა, როცა იმპერატორის დედამ – წმიდა ელენემ იქ ძელი ცხოველი და წმიდა საფლავის მღვიმე იპოვა. არიოზს უკვე დიდი ხანია, რაც სძულდა სიონის კეთილმოქმედი მღვდელმთავარი, რომელიც თავიდანვე ამხელდა ხოლმე მის ერესს; დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც წმიდა ალექსანდრეს სიტყვამ ერთ წარმართ ფილოსოფოსს იმპერატორის წინაშე ხმა ჩაუწყვიტა. ზოგი საეკლესიო მწერალი ვარაუდობს, რომ ის მაშინ ბიზანტიის მოხუცებული ეპისკოპოსის, – წმიდა მიტროფანეს წარმომადგენელი პრესვიტერი იყო.

წლებით დამძიმებულ სილვესტრს რომის დატოვება აღარ შეეძლო და ნიკეაში თავის ნაცვლად ორი ხუცესი გაგზავნა, მათ სილვესტრის სახელით კრების ყველა დადგენილება მიიღეს და აქტებზე ყველა სხვა ეპისკოპოსის შემდეგ მოაწერეს ხელი. დასავლეთიდან ბევრი არ ჩასულა იმიტომ, რომ არიოზის

ერესი იქ ჯერ არ იყო გავრცელებული. მაგრამ ჩავიდნენ ნდობით
კართაგენის სახელოვანი ეპისკოპოსი – ცეცილიანი, რომელმაც
საკუთარ ეპარქიაში დონატისტთაგან ამდენი წვალება ნახა,
დიდი ოსია კორდუბოელი, ურომლისოდაც მრავალი წლის გან-
მავლობაში ერთი კრებაც კი არ გამართულა. იგი იმპერატორის
სრული ნდობითა და ყველა თანაეპისკოპოსის საერთო პატი-
ვისცემით სარგებლობდა და ეგვიპტეში უკვე შუამავალი იყო.
ამიტომაც მისი სახელი ყველა აქტის სათავეში ეწერა. დასავ-
ლეთი მისი პირით ლაპარაკობდა და მისი მემკვიდრით მიიღო
ნიკეის კრებამ კანონები. რომაელები, რომლებიც ყველა ერთი
მოგვიანო ხანის ბერძენ ისტორიკოსზე, – გელასიზე დაყრდნო-
ბით იმის შესახებ ლაპარაკობენ, რომ ოსიას თანამედროვენი
მის სახელს არ ახსენებენ, ამტკიცებენ, რომ ოსია მსოფლიო
კრებაზე პაპ სილვესტრის წარმომადგენელი იყო.

აღმოსავლეთის ეპისკოპოსები დიდებანი და მშვენიე-
ბანი იყვნენ ამა კრებისა, და მათ შორის სამი გამოირჩეოდა:
ნიკოლოზი – ლიკიის მირიდან, იაკობ ნიზიბიელი – მესოპოტა-
მიიდან, სპირიდონ ტრიმიფუნტელი – კუნძულ კვიპროსიდან.
მან ბავშვობიდან ღმერთის სამსახურს მიუძღვნა თავი, მირ-
ის კათედრაზე ასვლის შემდეგ ნიკოლოზ განმანათლებელმა
წარმართული დევნის წლებს ვაჟკაცურად გაუძლო და თავისი
სამწყსო დაიფარა. თავის ეპარქიაში არც კეთილმოქმედი კონ-
სტანტინეს დროს დაუხვეია უკან, ეს – მაშინ, როცა ჭეშ-
მარიტებისათვის მგზნებარე ბრძოლა იყო საჭირო, – უკანონ-
ოდ გასამართლებულებს ათავისუფლებდა, სიზმრისეულ ხილ-
ვებში იმპერატორის წინაშე მის უდანაშაულო დიდებულებს
იცავდა და ქარიშხალში მოცურავე იმ ადამიანებს დაუსწრე-
ბლად შველიდა, რომლებიც გაჭირვებისას თავიანთი მწყემსის
სახელს ასხენებდნენ. მართლმადიდებლობის მგზნებარე დამ-
ცველმა უღირსი არიოზის მკრეხელური სიტყვების ატანა ვერ
შეძლო და კრებულის წინაშე, რომელიც წუთიერად გაოგნდა
კიდევ, ხელი დაარტყა მას, თუმცა, ეს გაოგნება მალე გაოცე-
ბამ შეცვალა, – მაშინ, როცა მღვდელმთავრის მოშურნეობაში
ღვთის მფარველობა აშკარად გამოჩნდა.



მესოპოტამიის მწყემსი, – მეუდაბნოე იაკობი ველურ მთებში და მღვიმეებში დიდხანს აუძღვრებდა თავის სხეულს. მანამ მშობლიური ნიზიბიის კათედრაზე ავიდოდა. სასწაულთა მადლი და წინასწარმეტყველების უნარი სდევდა მაშინ, როცა მეზობელი სპარსეთის ოლქებში აღმოცენებული ახალგაზრდა ეკლესიების დიდ სამწყსოს მოინახულებდა ხოლმე. ერთხელ ლატაკებმა იქვე მწოლარე ყარობის დასამარხავად ფული სთხოვეს, იაკობმა გასცა მოწყალება, მისი სულისათვის ილოცა და უეცრად ის, ვინც თავს იმკვდარუნებდა, გარდაიცვალა. როცა ამ მოვლენით შეძრწუნებული მეგობრები მწყემსის ფერხთა წინაშე დაემხნენ და თავიანთი ცოდვა აღიარეს, მაშინ იაკობმა ისევ ილოცა და სიცოცხლე დაუბრუნდა მიცვალებულს.

სასწაულების მოხდენასა და სინმიდეში იაკობს სპირიდონ ტრიმიფუნტელიც არ ჩამოუვარდებოდა. იგი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მწყემსი იყო სიტყვით დამწყემსილებისა და მისი სიტყვის ჯერ არმცოდნე ცხოვართა. ჯგუფურად ცხოვრობდნენ ხოლმე მასთან, – იფარავდა უპოვართ, რომელნიც მის სტუმართმოყვარე სახლში მიედინებოდნენ. მოწყალების სათნოებაში ლატაკთმოყვარე შვილი, – ირინე ეხმარებოდა. იგი გარდაიცვალა. სპირიდონს ერთმა მოგზაურმა ის გირაო სთხოვა, რომელიც ირინესათვის ჰქონდა მიბარებული. მოხუცმა ამის შესახებ გარდაცვლილს ჰკითხა და დააბრუნა გირაო. ერთხელ, – ღამით მის ფარეხში ქურდები შეიპარნენ და უეცრად თვალთ უხილავი ბორკილებით შეიკვრნენ. ასე იყვნენ დიღამდე. მწყემსი გამთენიისას შევიდა მათთან და სიტყვით გახსნა ისინი. ბოროტ საქმეში ამხილა და საუკეთესო ცხვარი აჩუქა, რათა მთელი ღამის წვალება წყალში არ ჩაყროდათ. სახარების მარტივი გაგება, რაც მას უყურადღებოთა წინაშე ტლანქ კაცად წარმოაჩენდა ხოლმე, სრულ ბრწყინვალეობად წარმოჩნდა მაშინ, როცა ის წარმართი ფილოსოფოსი მოაქცია, რომელსაც ეპისკოპოსებთან კამათი ეწადა. ეპისკოპოსთა შორის ყველაზე უფრო განსწავლულებმა სპირიდონის მიმართ სულმდაბლობა გამოავლინეს, – იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ



მიწიერ სიბრძნეზე ფიქრობდნენ, ამას კი მოციქული გაუბრბოდა, რათა ქრისტეს ჯვარი არ დაკნინებულიყო. მაგრამ მოხუცმა, რომელიც ჯვრის ქადაგებაში უვიცი იყო, ფილოსოფოსს მკაფიოდ უთხრა: - „უფალ იესოს სახელით ისმინე: ღმერთი ერთია, - შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, ხილულისა და უხილავისა, ყოველივე თავისი სიტყვის ძალით შექმნა და ნმიდა სულით განამტკიცა. სიტყვა ესე, რომელიც სხვაგვარად ძე ღმრთისად იწოდება, მწყალობელ იქმნა კაცთა და მათი პირუტყვეული ცხოვრებისა მიმართ, სიკეთე ინება და ქალწულისაგან იშვა, კაცთა შორის იცხოვრა, მათთვის მოკვდა და კიდევ ერთხელ მოვა, რომ ყველას საქმენი განიკითხოს. ჩვენ ეს გამოძიების გარეშე გვნამს და ფუჭად ნუ ილლი თავს იმ აზრის ძიებით, რომელიც რწმენის ჭეშმარიტებას შეენიანაღმდეგება; ნურც იმას ჩაეძიები, შესაძლოა თუ არა, რომ მომხდარიყო ესე ყოველი? მხოლოდ უბრალოდ მიპასუხე, - შეგიძლია თუ არა, რომ იწამო? სიტყვიერებით კი არა, რწმენის ძალით უნდა ეზიარო ღმრთის სამეუფოს“. - „მწამს!“ - მიუგო გაოცებულმა ფილოსოფოსმა, რომელიც მოხუცის რწმენამ და იმისმა მადლმა, ვისი სახელიც ახლალა შეიგრძნო, უცბად მოაქცია. ფილოსოფოსის მოქცევამ ბევრი მოიზიდა ქრისტიანობისკენ.

მცირე აზიის უფროს ეპისკოპოსებს შორის კრებაზე იყვნენ: კაბადოკიის ოლქის მიტროპოლიტი ლეონტი, რომელსაც ანკირისა და ნეოკესარიის ორ ადგილობრივ კრებაზე უკვე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, - იგი, ვინც მძიმე დროს დევნილი იყო და რომელთანაც ორი უდიდესი მღვდელმთავარი, ორი გრიგოლი, ჩამოყალიბდა: ერთი, - ეს იყო ნაზიანზინის ეპისკოპოსი, მამა ცნობილი ღვთისმეტყველისა, და მეორე - სომხეთის განმანათლებელი, რომელიც მსოფლიო კრებაზე დასწრების შემდეგ სომხეთში მის მიერ ახლად მოწყობილ ეკლესიაში მონამეობრივად განაგრძობდა მოღვაწეობას; აქ იყვნენ: ნეოკესარიის ეპისკოპოსი პავლე, - ლიკინიუსის დროს წამებული, რომელიც, ევფრატზე გახურებული რკინისაგან ხელებდანყლულებული, ველარ ხმარობდა ხელებს; ლეონტი, მეორე



კესარიამი გრიგოლ სასწაულთმოქმედის მემკვიდრე; მელეთის სებასტიელი, ევპსიხი ტიანელი, ამფინ კილიკიელი, იპატრი განკრელი, რომელიც ბოლოს თავის ეპარქიაში ნოვატიანებმა მოკლეს; მაკედონი ქალაქ მოპსუესტიდან; და მოხუცი მარკელ ანკირელი; - ორივე ჯერაც მართლმადიდებელი იყო და თავის მიტროპოლიაში ყველაზე უხუცესის, - ლეონტი კესარიელი-სა და სხვა ეპისკოპოსების გვერდით ერთად ისხდნენ, ესენი იყვნენ: ევტიხი - სმირნის ეპისკოპოსი, მარინი - ეპისკოპოსი ტროადისა, ნუნხი ფრიგიის ეპისკოპოსი, თეონი - ეპისკოპოსი კიზისა. კრებაზე ილირიის წარმომადგენლები იყვნენ: მიტროპოლიტი ჰერაკლე ფრაკიელი, ფედრა, რომელიც, ათანასე დიდის თანახმად, მოციქულთა მსგავსი კაცი იყო, ალექსანდრე თესალონიკელი და პისტოს ათენელი; მიზიისა და ჟაკიის ორი ეპისკოპოსი: პისტოსი და პროტოგენი; თეოფილე, რომელიც შორეული დუნაისმიღმა მხარეში გუთების მწყემსი იყო.

ასეთები იყვნენ კათოლიკე ეკლესიის დოგმატებისათვის მებრძოლნი. არიოზის მხრიდანაც გამოჩნდნენ ცნობილი ეპისკოპოსები, რომელთაგანაც უმეტესობამ თავისი ცდომა დატოვა მაშინ, როცა მათ მიერ ნაპატრონევი ერესი წმიდა წერილმა ამხილა. ევსევის, ნიკომიდიის გაქნილ ეპისკოპოსს, პირველი ადგილი ეკავა და ის სხვათა სულიერ განწყობილებას უჭერდა მხარს; სხვა ევსევი, პალესტინის კესარიიდან რომ იყო, ჟამთა-აღმწერელი და ენამჭევრი, სანამ ჭეშმარიტებისაკენ გადაიხრებოდა, დიდხანს ყოყმანობდა; თეოდოტე, - ლაოდიკიის ეპისკოპოსი, გრიგოლ ვერიტელი, ათანასე ანაზარბელი და აიეტლიდელი ნამდვილ მისიონერებად თავად არიოზის მიერ იყვნენ აღიარებულნი; მათ სხვა შვიდიც უნდა მიეკუთვნოს: თეოგნოსტე, - ეპისკოპოსი თავად ნიკეისა, სადაც კრება გაიმართა, მარინ ქალკედონელი, მენოფანე ეფესელი, ნარკის კილიკიელი, პორფირ პალესტინელი, სეკუნდი და თეონი ლიბიიდან და მარმარიკიდან, რომლებიც ჯერ კიდევ ეგვიპტის კრებაზე განაყენა არქიეპისკოპოსმა ალექსანდრემ. არიანელთა რაოდენობა, მართლმადიდებლებთან შედარებით, უბადრუკი იყო, მარ-



ქვეყნული
ბიბლიოთეკა

თლმადიდებლები ქვეყნიერების კიდეთაგან მოდიოდნენ, რაც ცხადად ამტკიცებდა, თუ როგორი ახალი და უსაფუძვლო იყო ცრუ სწავლება, რომელიც ძლიერად იმ მხარეებში იყო სახელგანთქმული, სადაც აღმოცენდა. სახალხო კრებას ბევრი კლერიკალი და საერო პირიც ესწრებოდა, ყურადღებით უსმენდნენ მღვდელმთავრებს. მაგრამ ეპისკოპოსები ერთმანეთში ჯერ საიდუმლოდ საუბრობდნენ, პაექრობის შესახებ ხმამაღლა არაფერს ამბობდნენ, მოლაპარაკებაზე თავად არიოზსაც ინვევდნენ ხოლმე, ამაოდ ცდილობდნენ, რომ წმიდა წერილიდან მოყვანილი საბუთებით დაერწმუნებინათ იგი. ბევრს არ შეეძლო, გულგრილად ესმინა მაცხოვრის ჰიპოსტასის შესახებ მკრეხელური გამონათქვამები არიოზისა, რომელიც მას ჭეშმარიტ ღმერთად კი არა, არამედ, მხოლოდ სრულყოფილ ქმნილებად მიიჩნევდა, ყურებს თითებით იხშობდნენ, რათა არ ესმინათ ეს საშინელება, რასაც არ იყვნენ მიჩვეულები; ისინი შორეულ ქვეყნებში, მამათა სწავლების შესაბამისად, სიტყვით და საქმით მორჩილად ემსახურებოდნენ ქრისტეს, - ძეს ღმრთისა. ზოგიერთს უნდოდა, რომ პირდაპირ გაესამართლებინა არიოზი, - ისე, რომ მეტი აღარც ემსჯელათ, მაგრამ სხვები სახალხო სასამართლოს ითხოვდნენ.

იმპერატორი კონსტანტინე დროულად ჩავიდა ნიკეაში. ბევრი არიანელი ეპისკოპოსი აპირებდა, მისი ყოფნით ესარგებლა და მართლმადიდებელთა წინააღმდეგ განეწყო იგი. მაგრამ ზნეკეთილმა ხელისუფალმა ბრძანა, რომ მასთან მიწერილი ყველა საიდუმლო წერილი შეეკრიბათ და, რათა სახალხოდ გამჟღავნებული არ გაეხადათ ისინი, წერილები ყველას დასანახავად დაწვა და მშვიდობას ეძიებდა. - „ადამიანთაგან ნუ ითხოვთ მსჯავრს“, - ამბობდა კონსტანტინე, - „ღმერთისაგან უნდა ელოდოთ მას, ღმერთმა მოგცათ უფლება, რომ სულებზე იმსჯელოთ. ერთსულოვანნი იყავით, რომ რწმენის საკითხებზე იკამათოთ“. 325 წლის 19 ივლისს მეფის დარბაზებში პირველი მსოფლიო კრების საქმეთა სახალხო განხილვა დაიწყო. მოხმობილი ეპისკოპოსები მთელი დარბაზის გარშემო



ჩუმად ჩამომსხდარიყვენენ სკამებზე და კეისრის მობრძანებას ელოდნენ. იგი დაცვის გარეშე შემოვიდა, მხოლოდ რამდენიმე მეგობარი მოაცილებდა, ისინიც – ქრისტიანები. მანტიით მოსილი, დიდებული მანერებით, მაგრამ შესახედაობით მდაბალი, დარბაზის სიღრმეში მოკრძალებით მიუახლოვდა მისთვის მომზადებულ ადგილს. მის გამოჩენაზე ყველა ფეხზე წამოდგა. ის კი იდგა თავის უბრალო დასაჯდომ ადგილთან და ელოდა, თუ როდის დართავდნენ ეკლესიის მწყემსები მათთან ერთად დაჯდომის ნებას. მის შემდეგ დაჯდა ყველა. აღმოსავლეთის ყველაზე უფროსი ეპისკოპოსი, – ევსტათი ანტიოქელი, რომელიც ხელმწიფის ხელმარჯვნივ იჯდა, წამოდგა და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ასეთი ღირსეული მეფე ჰყავდათ. კონსტანტინე დიდს სახეზე ნათელმა გადაჰკრა და სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ ამდენი მწყემსი შეიკრიბა, თქვა, რომ კამათისას მათი ერთსულოვნების იმედი ჰქონდა და მსჯელობისათვის სრული თავისუფლება მისცა მათ. და, აი, მაშინ არიოზმა იკადრა და კრებას თავისი მკრეხელური სწავლება წარუდგინა. მას ევსევი ნიკომიდიელის თანამზრახველები ხმამალლა უჭერდნენ მხარს. მართლმადიდებელი ეპიკოპოსები წმიდა წერილიდან დასაბუთებას ითხოვდნენ. ცრუმასწავლებლები თავადვე აწყვეტინებდნენ ერთმანეთს სიტყვას და წმიდა ტექსტებს ეწინააღმდეგებოდნენ. ზოგიერთი სირცხვილისაგან გაჩუმდა. კამათი მწვავე იყო. იმპერატორი მართლმადიდებლებს სთხოვდა, რომ არიანელთა ყოველ წინადადებაზე პასუხი გაეცათ და დიდი ყურადღებით უსმენდა მათ, ცდილობდა, თავმდაბლური განწყობილებით დაემშვიდებინა მოპაექრენი.

წაიკითხეს ევსევი ნიკომიდიელის წერილი, – პავლინ ტირსელთან მიწერილი, რომელშიც არიოზის მხარდაჭერა იყო გამოხატული. ამ წერილმა საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. არიანელებმა თავიანთი სარწმუნოების სიმბოლო წარმოადგინეს. მკრეხელური შინაარსის გამო კრებაზე იგი დახეულ იქნა. არიანელები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ იესო ქრისტე არის ძე ღმრთისა, ოღონდ ჩვენ მხოლოდ



მადლით გვემსგავსება, – მსოფლიოს მართლმადიდებელნი მღვდლები კი ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდშობილი მეტი, რომელიც მამის წიაღში საუკუნეთა უწინარეს იყო, არსითაც მისი სწორია. სარწმუნოების სიმბოლოში, რომელშიც ძე ღმერთზე მსოფლიო ეკლესიის ჭეშმარიტი სწავლება გადმოსცეს, ისინი სიტყვა „ერთარსის“ შეტანას ითხოვდნენ. ეს არიანელთა ძლიერი მხილება იყო. ასეთია სიმბოლო სარწმუნოებისა, რომელიც საყოველთაო ეკლესიას საუკუნეთა განმავლობაში მტკიცე საყრდენად ედგა: „გვნამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ყოველთა ხილულთა და უხილავთა. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, ესე არს მამისაგან შობილი: ანუ მამის არსიდან შობილი, ღმერთი ღმრთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი, არაქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა: რომელ არს ცათა ზედა და რომელ არს ქვეყანასა ზედა. ჩვენთვის – კაცთათვის და ჩვენისა ხსნისათვის გარდამოხდომილი და ხორცშესხმული და განკაცებული, ნამებული და აღმდგარი მესამე დღესა და ამალლებული ცათა ზედა და მჯდომარე მარჯვენით მამისა. და კვალად მომავალი განსჯად ცხოველთა და მკვდართა. და სულიწმიდა.“


სიმბოლოზე ყველა მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა ერთსულოვნად მოაწერა ხელი. არიანელთა რაოდენობა ჩვიდმეტიდან ხუთამდე შემცირდა, დარჩნენ: თეოგნოსტე ნიკომიდიელი, მარინ ქალკედონელი, თეონ და სეკუნდ ლიბიელები. პირველმა სამმა შემდეგ შეიცვალა აზრი, მაგრამ – არცთუ დიდი ხნით. ამათგან, არიოზთან ერთად, მხოლოდ ორი უკანასკნელი და რამდენიმე ალექსანდრიელი კლერიკალი გაამტყუნეს საეკლესიო სამართლით. ევსევი კესარიელი, რომელიც დიდხან კამათობდა სიტყვაზე – „ერთარსი“, რაც ღვთაების გამოსახატავად პირველად ძალიან ამქვეყნიური გრძნობით აღსავსე და წმიდა წერილებთან შეუთავსებელი ეჩვენებოდა, ბოლოს დარწმუნდა მის ჭეშმარიტსა და სწორ აზრში. ზოგიერთმა ეპისკოპოსმა



იმით ისარგებლა, რომ ბერძნული სიტყვები: „ომოუსიოს“ (ერთნაწილი თარსი) და „ომიუსიოს“ (არსით მსგავსი) ჰგავს ერთმანეთს და სცადეს, რომ სიტყვათა თამაშითა და კალმის ერთი მოსმით გამოსულიყვნენ ძნელი მდგომარეობიდან. მაგრამ ამხილეს ისინი და იძულებულნი შეიქმნენ, თავიანთი აზრი სახალხოდ გამოეცხადებინათ, ისევე, როგორც ეს ევსევი ნიკომიდიელმა გააკეთა. როგორც კი მის ვერაგობაში დარწმუნდა, თავად იმპერატორმა გადაწყვიტა, კრების შემდეგ განედევნა იგი. არიოზს კი თრაკიაში გადასახლება მიუსაჯეს.

მას შემდეგ, რაც მთავარი საქმე, - არიოზის იმ ცრუ სწავლების მხილება დაამთავრა, რაც ეკლესიას ძირს უთხრიდა, კრება სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ ეკლესიის შინაგანი და გარეგანი კეთილმონაცობისათვის აუცილებელი, საკითხებითაც დაკავდა. მან უპირველესად საბოლოოდ დაადგინა ის, რომ აღდგომის დღესასწაული ყველას გაზაფხულის სავსემთვარეობიდან პირველ კვირას აღენიშნა. მიუხედავად იმისა, რომ უპირველესი ეპისკოპოსთაგანნი ზრუნავდნენ, რომ აღდგომა ყველგან ერთ დღეს ყოფილიყო აღნიშნული, აღმოსავლეთში, ქრისტიანობის პირველი დღეებიდან დაწყებული, აღდგომის აღსანიშნავი სწორი დღე ჯერ ვერ დაედგინათ. სირიაში მთელი სექტაც კი არსებობდა ეგრეთ წოდებული ორმოციანელებისა. ისინი აღდგომას, ძველი იუდაური წესის თანახმად, ყველასაგან განსხვავებით, მხოლოდ 14 აპრილს ზეიმობდნენ. აღდგომის ზეიმის დღის დადგენა და იმისი განსაზღვრა, თუ მომავალში როდის უნდა აღენიშნათ ხოლმე ეს დღე, ერთ-ერთ ყველაზე უფრო განათლებულ კაცს, - ევსევი კესარიელს დაევალა.

ნიკეელ მამებს ერთიანი ეკლესიიდან სხვა განმდგარებიც არ დავინწყებიათ, თუმც, ნოვატიანთა მიმართ გარკვეული შემწყნარებლობლობა გამოიჩინეს. ნოვატიანები თავს წმიდებად იხსენიებდნენ და იმით ამაყოფიებდნენ, რომ ფარისევლურ სიმკაცრეს იცავდნენ და მეორე ქორწინებასა და დაცემულთა მონანიებას არ სცნობდნენ. მათ ნება მისცეს, დაბრუნებულიყვნენ ეკლესიაში, თუ განხეთქილებაზე უარს იტყოდნენ და სასუ-



ლიეროთა იერარქიულ ხარისხს აღიარებდნენ. პავლე სამოსწავლო ბიბლიოთეკის მიმდევრებს კი უბრძანეს, მეორედ მონათლულიყვნენ, იმიტომ, რომ ისინი უფალ იესოზე არასწორად მსჯელობდნენ და საიდუმლოს აღსრულებისას მამას, ძეს და სულწმიდას არ ახსენებდნენ. ცნობილი სიმბოლოს გარდა, პირველ საეკლესიო კრებაზე ოცი კანონი მიიღეს, მრავალ უწესობას გადახედეს ან უკუაგდეს ისინი, განსაკუთრებით – იერარქიული უწესრიგობანი. მკაცრად აიკრძალა, რომ კლერიკალთა შორის მიეღოთ ისინი, ვინც ორიგენესავით მცდარად მთელი მონდომებით იგროვებდნენ ქონებას, ან ისინი, ვინც არანმიდა ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ან ვისაც დევნის პერიოდში კერპებისათვის ჰქონდათ მსხვერპლი შეწირული, ან ანგარებიანები, ან ისინი, ვინც რწმენაში ახალმოქცეულები იყვნენ და ამიტომ სხვათა განმტკიცება ჯერ არ შეეძლოთ.

ზოგიერთმა, ზედმეტად მონდომებულმა, კრებას შესთავაზა, რომ მღვდელთათვის უქორწინებლობა დაედგინათ წესად, სახლებში, უახლოეს ნათესავ ქალთა გარდა, სხვა ქალი არ გაეჩერებინათ. მაგრამ ფავნუტიმ, თებაიდას ეპისკოპოსმა, ვინც თვითონ უბინო და აღმსარებელი იყო, საკუთარი გამოცდილებით იცოდა, თუ რა ძნელია ამ უკანასკნელი ტვირთის ტარება და, რადგან საკუთარ თავზე უფრო მეტად სხვების მიმართ იყო შემწყნარებელი, მხურვალედ დაუჭირა მხარი იმ კლერიკალებს, რომელთათვისაც ასეთი მიძიმე უღელი უნდა დაედგათ; მან ყველას შეახსენა მოციქულის სიტყვა, რომ წმიდაა ქორწინება და შეურყვნელია სარეცელი¹⁰¹ და, ამ აზრის შესაბამისად, კრებამ დაადგინა, რომ, ვინც მღვდლობამდე დაქორწინებულიყვნენ, არ დაეტოვებინათ ცოლები; ამდენ მღვდელს შორის, ვინმე, შესაძლო იყო, ცდუნებასაც ეძლია.

კრებამ დიაკონთა უწესრიგობასაც მოუღო ბოლო. ისინი ხარისხით მინიჭებულ უფლებებს აჭარბებდნენ ხოლმე, თავიანთ მოვალეობებზე მიუთითა და აუკრძალა, რომ პრესვიტერებისათვის წმიდა საიდუმლო ესწავლებინათ და მათ წრეში

¹⁰¹ ებრ. 12: 4;



დამსხდარიყვნენ. დიაკონისებს კი, რომელთაც უპოვართობის
ზრუნვა ევალეობდათ, უბრძანა, საგანგებოდ განკუთვნილი
ტანისამოსი ეტარებინათ და მოვალეობა მაკურთხებელი ხელ-
დასხმით მიეღოთ. იმათი მონანიების დონე, ვინც დევნის პე-
რიოდში დაეცნენ, იმის გათვალისწინებით განსაზღვრა, თუ რა
ვითარებაში გადგნენ ეკლესიისგან, ბრუნდებოდნენ თუ არა
უკან, ეცემოდნენ თუ არა თავიდან. მაგრამ, ძველი მოწყალე
ნესის თანახმად, მომაკვდავთ არასოდეს ეუბნებოდნენ უარს და
მარადიული ცხოვრებისაკენ მიმავალ გზაზე ადგენდნენ. დანა-
შაულის დონის განსაზღვრა მხოლოდ ეპისკოპოსებს ევალეობ-
დათ, - ოღონდ, იმ აუცილებელი პირობით, რომ ერთის მიერ
შეკრულის გახსნა მეორეს ვერ უნდა გაეხედა და, თუ შეკვრა ან
განკვეთა უსაფუძვლო იყო, მაშინ, დადგენილების თანახმად,
კრებას უნდა მიეღო გადაწყვეტილება. აი, ამიტომაც, ადგი-
ლობრივი კრებები ყველა ოლქში წელიწადში ორჯელ, სულთ-
მოფენობის წინ და შემოდგომით, უნდა გამართულიყო, საეკლე-
სიო საქმეები სიყვარულსა და სიმშვიდეში უნდა განეხილათ.
ასე ამრიგად, საკრებულო მმართველობა გახდა საეკლესიო
მმართველობის საფუძველი. ეპისკოპოსთა ასარჩევად ოლქის
ყველა ეპისკოპოსი უნდა მისულიყო. საჭიროების შემთხვევაში
- სხვათა წერილობითი თანხმობით სამი უნდა შეკრებილიყო.
და ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე არ უნდა გადასულიყვნენ,
რათა ეკლესიაში უწესრიგობა აღკვეთილიყო.

ნიკეის კრებაზე პირველად გამოჩნდა მიტროპოლიტის
წოდება, ასე იწოდებოდა ეპისკოპოსი. იგი ნები-
სმიერი ოლქის არქიერეის უფროსი იყო. ქრისტეს სამწყსოს
ჩვეულებრივ მწყემსთაგან განსხვავებით, ეპისკოპოსისა და
პაპის ნაცვლად, ასე ეწოდებოდა მათ. ნიკეის კრების კანონებმა
მსოფლიო ეკლესიის სამი უზუცესი კათედრის სახელისუფლე-
ბო საზღვრებიც დაანაწილა. ეს იყო რომის, ალექსანდრიისა
და ანტიოქიის კათედრები, რომლებიც ევროპის დასავლეთში,
აფრიკის სამხრეთსა და აზიის აღმოსავლეთში პირველობდნენ.
მათ ერთი დამაარსებელი, - პეტრე ჰყავთ. „დაე უცვლელად



იქნას შენახული“, – ამბობს ნიკეის წმიდა კრება, – „უშვალეს სი განგებულება ეგვიპტეში, ლიბიაში, პენტაპოლისში, დაე, ალექსანდრიის ეპისკოპოსს ჰქონდეს უფლება ამა მხარეებზე; ხოლო, რომის ეპისკოპოსი თავის მხარეებშია უპირატესი. დაე, იგივე წესები იქნას დაცული ანტიოქიასა და ყველა მხარეში, ყველა მხარემ დაიცვას თავისი უფლებები“.

აქედან ჩანს, რომ სამი საეკლესიო კათედრა, საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, თანაბარი იყო; მეოთხე, – იერუსალიმის სახელოვანი, თუმც, – მცირე კათედრა, ნიკეის მამებმა თავიანთი თავმდაბლური მდგომარეობიდან გამოიყვანეს, პალესტინის კესარიის მიტროპოლიტს, რომელსაც ოდესღაც ექვემდებარებოდა, იგი არჩიეს. ბიზანტიის ახალი კათედრა მიტროპოლიის უფლებებით არ სარგებლობდა იმიტომ, რომ იმპერიის დედაქალაქი იქ ჯერ არ იყო. ასეთი იყო განგებულებანი სამასთვრამეტი ნიკეელი წმიდა მამისა, რომელიც ეკლესიამ ღვანლთათვის და დოგმატების განსამტკიცებლად განაძლიერა. ეს დოგმატები სამეფო სიგელებით ყველგან დაიგზავნა, საეკლესიო ეპისტოლეებით ყველა ეკლესიას გააცნეს ისინი, განსაკუთრებულად, – ალექსანდრიისას, სადაც, არიანული მკრეხელობის საწინააღმდეგო ჭეშმარიტ სწავლებასთან ერთად, ერესიც წარმოიშვა. კრების სამთვიანი სხდომა სამეფო დარბაზებში სტუმართმოყვარულმა ტრაპეზმა დაასრულა, კეისარმა გულუხვად დაასაჩუქრა მიმავალნი. უხუცეს ეპისკოპოსებს დაევაღათ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ეკლესიაში გაეგრცელებინათ კანონები. ოსია კურდუბოელს მთელი – დასავლეთი, მის ეპისკოპოსს – ალექსანდრეს – ეგვიპტე, მაკარი იერუსალიმელსა და ევსევის – პალესტინა და არაბეთი, ევსტათი ანტიოქელს – აღმოსავლეთი, სპარსეთი და ინდოეთი, იოანესა და ლეონტი კესარიელს – მცირე აზია, თეონ კვიზიკელს – პონტოს ზღვისპირეთი, ალექსანდრე თესალონიკელს – საბერძნეთი და ილირია, მეორე ალექსანდრეს, ბიზანტიელს, – ფრაკია და კუნძულები; სხვა ეპისკოპოსებს – დაკია და მიზია, ცეცილიანს – აფრიკა ჩაებარა. ასე გაიშალ-

ნენ ქვეყნიერების ყველა კიდეზე, სადაც მიდიოდნენ როგორც მაცნენი და დამცველნი იმ მთავარი დოგმატისა, რომელიც იესო ქრისტეს ღმერთობას ეხება და რომელსაც ქვეყნიერების გასაგონად შეუცვლელად ქადაგებდნენ ხოლმე თავიანთ ეკლესიებში, „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თავისი ძე მხოლოდშობილი, რათა ყველა, ვისაც სწამს იგი, კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“¹⁰².

ეპისკოპოსები მსოფლიო საეკლესიო კრებიდან მხიარულად დაუბრუნდნენ თავიანთ კათედრებს და ქრისტეს ღმერთობას აღიარებდნენ. როცა მეფის ღირსეულობასა და ქვეყნიერებაზე მართლმადიდებლური რწმენის გამარჯვებას ხედავდნენ, თავს ინუგეშებდნენ, რომ თავდასხმები უკვე დამთავრდა და ქვეყნიერებაზე წარმოჩნდა ღვთის სამეუფოს ძალა. ყველაზე უფრო მეტად გახარებული კრების მთავარი გამირი, – ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი იყო, რადგან საერთო ძალებით შეძლო და თავის სამწყსოს არიოზული წყლული განუკურნა. მაგრამ მხოლოდ ხუთი თვეა უნდა ემწყემსა სამწყსო. რადგან მოახლოებულ აღსასრულს გრძნობდა, ალექსანდრემ ისურვა და სულით წინასწარ იხილა თავისი დიდი მემკვიდრე, – ის ღირსეული დიაკონი, რომელიც კრებაზე თავისი მწყემსმთავრის სახელით მოქმედებდა და წინ აღუდგა არიოზს. ჯერ სულ ყმანვილი იყო ათანასე, როცა ალექსანდრემ დაიახლოვა და სასულიერო პირად გახადა, – იმიტომ, რომ ღვთისკენ უჩვეულო სწრაფვა შენიშნა მასში. ერთხელ ბავშვური თამაშისას თანატოლებმა ათანასე ეპისკოპოსად აირჩიეს და მან ზღვის პირას თავისთან მოთამაშე წარმართი ბავშვები მონათლა. მღვდელმთავარმა, რომელიც ამ ყოველივეს შორიდან უყურებდა, ნათლობა სწორად აღსრულებულად აღიარა და საჭიროდ მხოლოდ ისლა მიიჩნია, რომ ახალი ქრისტიანები მირონცხებით განემტკიცებინა. ეს ათანასე, რომელიც გრძნობდა, რომ პატივი ელოდა, ემალებოდა მომაკვდავს, ის კი სნეულის საწოლიდან შეუჩერებლად უხმობდა მას. როცა დაძახილზე ერთი სეხნია გამოეხმაურა

¹⁰² იოვ. 3: 16;



ათანასესი, ალექსანდრეს მისთვის არაფერი უთქვამს და მადინ მიუხედავად იმისა, რომ, ახალგაზრდა, – ოცდარვა წლისა იყო, ნეტარი ალექსანდრეს მემკვიდრედ სამღვდლოებამ დიაკონი ათანასე ერთხმად აირჩია. ეგვიპტესა და ქვეყნიერებას მართლმადიდებლობისათვის ასეთი მხნე მებრძოლი სჭირდებოდა, მას ორმოცდაექვსი წლის განმავლობაში იმ დევნის ქვეშ უნდა ეღვანა, რომელიც ეკლესიას ისევ დაატყდა თავს და რომლის დროსაც იგი სამჯერ გადააყენეს კათედრიდან. შემდეგ სხვა მნათობები აღენთნენ კესარიის, სატახტო ქალაქისა და მედიოლანის სასანთლეებზე, ესენი იყვნენ: ბასილი, გრიგოლი, ამბროსი და იოანე ოქროპირი. მათ დიდებით დაამთავრეს ეკლესიის მეოთხე ასწლეული და როგორც ხუთი სვეტი, როგორც ჭეშმარიტი მეუფენი, სულის ძალით არა მხოლოდ თავიანთ საუკუნეზე, არამედ, – მომდევნოებზეც მეუფებდნენ, მართლმადიდებლობა მყარ დოგმატებს დააყრდნეს და ერესის სასჯელისაგან დაიცვეს იგი.

ეგვიპტისა და პალესტინის მეუდაბნოენი

სარწმუნოების მცველ ამ მწყემსთა, განსაკუთრებით, – ათანასე დიდის, საფარველქვეშ, ახალი სამყარო წარმოიშვა, – სამყარო მონაზვნობისა, რომელიც გარეგნულად მხოლოდ იმით იყო თავისებური, რომ მორწმუნეები განდევნილად ცხოვრობდნენ. მაგრამ მათი რწმენის ძალა, სასწაულები და ცხოვრების მკაცრი წესები მთელ გარესამყაროზე ზემოქმედებდა. ეგვიპტე იყო სანყისი მათი სარბიელისა და მადლიერებით მას უგალობს ეკლესია: – „გიხაროდენ, ეგვიპტეო მართალო, გიხაროდენ ღირსო ლიბანო, გიხაროდენ თებაიდა რჩეულო, გიხაროდენ მხარეო ყოველო, ქალაქო და ქვეყანავ, რომელმან მოქალაქენი აღუზარდე ზეციურ სამეფოს, მარხვასა და სნეულებებში ზრდიდი, და ღმერთს სრულ და სასურველ კაცად ქმნილნი წარუდგინე ისინი, სულთა ჩვენთა სანთელნი იყვნენ, აზრმა მათმა სასწაულთა და საქმეთა აისით ყველა კიდე გააბრწყინა“.

ეს მოსაგრენი იმგვარად აღარ იბრძოდნენ, როგორც პირველი სამი საუკუნის მონამეები, – ქრისტესთან მეომარ ამა სოფლის მპყრობელებთან საკუთარი სხეულის წამებით აღარ სჭირდებოდათ ბრძოლა, მთელი სულიერი ცხოველი ძალა თავიანთი თავისაკენ წარმართეს, თავს აიძულებდნენ, უკაცრიელ უდაბნოებში ეცხოვრათ, ასაკის სიდიდეს არ უშინდებოდნენ, თუმც, მთელი ასწლეულები აწვათ მხრებზე, სიღიადიდან სიღიადისკენ მიიწევდნენ, – ხორციელ სამოსს უხრწნელობის სამოსზე ცვლიდნენ. ისინი, ჯერაც ამქვეყნად მყოფნი, მიწას უკვე აღარ ეკუთვნოდნენ, არამედ, ზეციურ ანგელოზთ მიმსგავსებოდნენ.

ანტონი დიდი იყო მათი მამა. მისი განმარტოებული სვეტის გარშემო უამრავმა მონაფემ მოიყარა თავი და ირგვლივ, – თიხისაგან შელესილ, ქვიშაზე მდგარ, ან კლდეში გამოკვეთილ



პატარა სენაკებში დასახლდნენ. ეს იყო მემფისისა და სპარტანის მიდამოებში, – ნილოსსა და მენამულ ზღვას შორის, უდაბნოში. წმიდა ათანასე, ანტონის მეგობარი, ღვთაებრივი სახის მქონე ტაძარი იყო. განდევილთა მთელი ცხოვრება ფსალმუნების კითხვასა და გალობაში, მარხვაში, მღვიძარებასა და ლოცვაში გადიოდა. მათი იმედები მომავალი სიკეთეებისაკენ იყო მიმართული, ერთმანეთის სრულ სიყვარულსა და სულიერ ერთობაში ცხოვრობდნენ, საკუთარ თავსა და ღარიბებს ხელსაქმით ინახავდნენ. სულიერ ოაზისთა ნეტარი მცხოვრებნი, ამა ქვეყნიდან შორს მყოფნი, მხოლოდ ღმერთის სიმართლესა და ღმრთივღირსეულობაზე ფიქრობდნენ, ერთმანეთს სულს უმხნევებდნენ, რათა ზეციური მემკვიდრეობა მიეღოთ.

ანტონი მხოლოდ მაგალითებით კი არა, ხშირი საუბრითაც ასწავლიდა, ყველას შთააგონებდა, რომ მხოლოდ ერთი მიზანი, – გადარჩენა ჰქონოდათ და განსადიდებლად არ მიეჩნიათ ის, რაც სოფელში დატოვეს, რომ ღვთაებრივი სამეუფო სულში ეგულვათ, ისე ეცხოვრათ, თითქოს ეს დღე უკანასკნელი იყო ცხოვრებაში. თვითონ ისეთ სრულყოფილებას მიაღწია, რომ უკვე შეეძლო, ეს დიდებული სიტყვები ეთქვა: „მე აღარ მეშინია ღმერთის, არამედ, მხოლოდ მიყვარს იგი“. დღეებს ღვთის შემეცნებაში, ღამეებს ლოცვაში ატარებდა. ზოგჯერ ხდებოდა, რომ ამომავალი მზე შუალამიდან ლოცვად დამდგარს წამოუსწრებდა ხოლმე და წმიდა განდევილი მორიდებულად ესაყვედურებოდა: – „რად მიფანტავ ყურადღებას შენი სხივებით, მზეო, თითქოს გინდოდეს, რომ ჭეშმარიტ ნათელზე ფიქრს მომწყვიტო“.

ბევრი მოსწავლისაგან და განსაკურნებლად უწყვეტ ნაკადად მომავალთაგან გადაღლილმა ანტონიმ ჩუმად დატოვა ისინი და ზეციური შთაგონებით ღრმა უდაბნოში დამკვიდრდა. მარტო იყო. უდაბურ მთა – კოზლიმზე, ორ პატარა სენაკში, დაეყუდა: ერთი სენაკი ფრიალო კლდის წვერზე იყო, ჯგუფად მისული ხალხისაგან თავდასაღწევად აფარებდა ხოლმე იმ სენაკში თავს, – იმიტომ, რომ მის მაძებარ მოწაფეთაგან

დიდხანს არც ამ უდაბნოში ყოფილა მოსვენებული. რადგან მისი მღვიმისაკენ სიციხეში ნილოსის ნაპირებიდან გრძელ გზაზე მავალთ თანაუგრძნობდა, ილოცა, უდაბნოში მათთვის წყალი ითხოვა და მთის მახლობლად ახალი ხალხმრავალი სავანე დააარსა, მომლოდინეები იქ ელოდნენ ხოლმე მის მისვლას. ერთი მოსწავლეთაგანი, მაკარი, მისულებს იდუმალი სიტყვებით, ეგვიპტელი ან იერუსალიმელი, იხსენიებდა და ამით მიანიშნებდა, – სხეულებრივი საჭიროებებისათვის იყვნენ მასთან მისულები თუ სულიერისთვის. და წმიდა მოხუცი დახმარებისას უპირატესობას ამ უკანასკნელთ ანიჭებდა. წარმართი ფილოსოფოსებიც დაადგნენ გრძელ გზას, რათა საოცარი ანტონი ენახათ. – „უგნური მოხუცის სანახავად თქვენ რაღამ მოგიყვანათ ამ უდაბნოში?“ – ეკითხებოდა განდეგილი, – „გვსურს, შენი სიბრძნით დავტკბეთ“, – პასუხობდნენ ისინი. – „მაშინ ისე იყავით, როგორც მე ვარ და ჭეშმარიტ ღმერთს მიმართავთ“, – ეპასუხებოდა ანტონი. როცა სხვა სოფისტებმა ცხოველმყოფელ ჯვარზე მკრეხელობა დაიწყეს, იმავე წუთში ენა დაუდუმა მათ, ჯვრით რამდენიმე ეშმაკეული განკურნა. შინაგანი სულიერი სიმშვიდე ნათელ სახეზე ჰქონდა გამოხატული, და ეს ყველასაგან გამოარჩევდა, – მასთან ყოველწლიურად მიდიოდა ხოლმე სამი მეუდაბნოე, რომელთაგან ერთი სულ მდუმარებდა; როცა მოხუცმა დუმილის მიზეზი ჰკითხა, მიუგო: – „მე შენი ცქერაც მყოფნის, აბბა“¹⁰³.

უკვე ოთხმოცდაათი წლისა იყო ანტონი, როცა ერთხელ იფიქრა, რომ, მის გარდა, ასე შორს უდაბნოში არავინ ცხოვრობდა, მაგრამ სიზმრისეულ ჩვენებაში იხილა, რომ თებაიდას უდაბნოს სიღრმეში იყო ერთი კაცი, რომელიც მასზე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ დეკიუსის დევნის დროს, დაემალა ამ სოფელს და მას შემდეგ მთელ ქვეყანას დავინწყებოდა იგი. თავმდაბლობის გრძნობით სავსე წავიდა ანტონი მის საძებრად და სამი დღის შემდეგ, – ყველაზე უფრო სამიშ უდაბნოში მგლის კვალს წააწყდა, დაადგა მას და მღვიმესთან აღმოჩნდა.

¹⁰³ მამა;



იქიდან შუქმა გამოანათა. მეკარემ, რომელმაც უჩვეულოდ წაიკითხა ჯების ხმა გაიგონა, მოსულს შესასვლელი გადაუკეცა. მაგრამ ანტონი კარებთან დანვა და პირობა დადო, რომ უმალ მოკვდებოდა, ვიდრე აქედან წავიდოდა. – „მუქართი როგორ შეიძლება თხოვნა“, – მოკრძალებული ხმით მიუგეს მღვიმიდან და გაილოკარი. მეოდაბნოეები ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით გადაეხვივნენ. შინაგანი შთაგონებით ანტონიმ გამოიცნო მისი სახელი – პავლე, ხოლო პავლემ ანტონი მიმართა მას და შემდეგ ორივემ მიიღო ზეციური საზრდო, – პური ყვავს მოჭქონდა ყოველდღიურად მისთვის.

როცა დღემ ურთიერთდამრიგებლურ საუბარში, ხოლო ღამემ ლოცვაში გაიარა, მოხუცმა პავლემ მოხუც ანტონს უთხრა: – „ძმაო ჩემო, მე დიდი ხანია ვიცი უდაბნოში რომ ცხოვრობდი, ახლა კი მოვიდა ჩემი დრო და ჩემი მიწიერი შენ უნდა მიაბარო მინას“. როცა მისი ცხარე ცრემლების შემხედვარემ დაინახა, რომ ანტონის არ ძალუძს, ეს განშორება გადაიტანოს, პავლემ იმით დააწყნარა, რომ სთხოვა; – დასაკრძალავად ის მანტია მოეტანა, რომელიც ეპისკოპოს ათანასესაგან ჰქონდა ნაჩუქარი. რათა არცერთი წამი არ დაეკარგა, პავლეს უკანასკნელი ნების აღსასრულებლად ახალგაზრდული სისწრაფით გაემართა მისი სტუმარი. სიხარულით შეხვდნენ მოწაფეები თავიანთ აბბას. ის კი, ნახულით ერთიანად შეძრული, გაიძახოდა: – „ვაი მე ცოდვილს, მეუდაბნოს სახელის უღირსს! მე ელია ვნახე, მე იოანე ვნახე უდაბნოში, ჰოი! მე სამოთხეში ვნახე პავლე!“ მოწაფეთა ყველა შეკითხვას წერილის სიტყვებით პასუხობდა: – არის „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“¹⁰⁴. მან მანტია აიღო და ისევ გზაზე შებრუნდა. გზად მიმავალმა უეცრად პავლეს სული დაინახა, – ანგელოზთა შორის ცად აღმავალი. ხილულით გაოგნებული მეუდაბნოე ცრემლებით დაეცა მინაზე, მოკრძალებით საყვედურობდა პავლეს, რომ გამოუმშვიდობებლად წავიდა, მერე უდაბური მღვიმისაკენ ააჩქარა ნაბიჯი. მაგრამ პავლე იქ იყო, მუხლებზე იდგა და ხელები ცისაკენ ჰქონ-

¹⁰⁴ ეკლესიასტე, 3: 7;



და აპყრობილი. ანტონი სალოცავად ჩუმად ამოუდგა გვერდით და, როცა მის ბაგეთაგან ჩვეული ამოოხვრა ველარ გაიგონა მაშინლა მიხვდა, რომ მლოცველი მკვდარი იყო. კისერზე მოეხვია მიცვალებულს და უკანასკნელად ეამბორა, უგალობა, მღვიმის გარეთ დასაკრძალავად მანტია მოასხა, მაგრამ ხელთ არაფერი ჰქონდა, რომ საფლავი გაეთხარა. მაშინ შეძრწუნებული ანტონის წინაშე უდაბნოდან ორი ლომი გამოვიდა, პავლეს ფეხებთან დანვნენ და ბრჭყალებით სამარისათვის მიწის თხრა დაიწყეს, დამკრძალველთანაც მივიდნენ მისაალერსებლად, თითქოს დალოცვას სთხოვენო. მან ისინი უდაბნოში გაუშვა, სხეული კი მიწას მიაბარა და თავის სავანეს დაუბრუნდა, თან პალმის რტოთაგან შეკერილი სამოსი წაიღო წმიდა მოხუცისა, ამ სამოსს დიდ დღესასწაულთა დროს იცვამდა ხოლმე, – აღდგომას ან სულთმოფენობისას.

მონაფეხებთან ერთად მთაზე ყოფნისას ანტონიმ სულიერი მზერით მის გულთან ახლოს მყოფი სხვა მეუღაბნოს, – ამონი ნიტრელის ცად ასვლაც იხილა. მასთან ერთად რამდენიმე წელი ჰქონდა გატარებული. ეს საოცარი კაცი, რომელმაც ქორწინების დღეს იმისი აღთქმა დადო, რომ უბინო დარჩებოდა და ცოლის დატოვების შემდეგ, ალექსანდრიასთან ახლოს, უდაბნოში დაეყუდა, ქვემო ეგვიპტეში სამონასტრო ცხოვრების დამამკვიდრებლად შეიქმნა, – ისევე, როგორც ანტონი დიდი – შუა, ხოლო ზემო ეგვიპტეში – პახუმი. ამონი, უკვე ასაკში მყოფი, იმდენად მორიდებული იყო, რომ ერთხელ, როცა თავის მონაფე თეოდორესთან ერთად მიმავალს გზაზე მდინარე უნდა გადაეცურა, ჯერ სთხოვა მას, რომ მოშორებულიყო, შემდეგ მარტომაც ვერ გაბედა, გაშიშვლებულიყო და ამ აზრით შეწუხებული, ისე, რომ ეს თავადაც არ უგრძვნია, თითქოს ზებუნებრივი ძალით, მდინარის მეორე ნაპირზე აღმოჩნდა. იგი ხშირად სტუმრობდა ანტონის, თავისთანაც ხშირად ღებულობდა ხოლმე დიდ მოხუცს. ამონიმ ნიტრიის მთიდან არცთუ შორს, სადაც უკვე მრავალი მონაფე არ აძლევდა მოსვენებას, ანტონისთან ერთად განდევილთა ახალ გმირობათათვის საას-



პარეზო სავანე შექმნა, – ეს იყო კელიების უდაბნო, როგორც მრავალმა უწოდა მას. შემდგომში სამოღვაწეო საქმეთა აღსრულებით მას ანტონის ყველაზე ცნობილმა მოწაფემ – მაკარი ალექსანდრიელმა გაუთქვა სახელი. იგი თავის სეხნია – მაკარი ეგვიპტელთან ერთად, რომელიც სკიტის შორეულ უდაბნოში, ლიბიასთან ახლოს, ცხოვრობდა, თავისი დიადი მოძღვრის სახელოვანი მემკვიდრე და უდაბნოს მშვენება გახდა. მთელი ეს უდაბნო, – ნილოსის ნაპირების გარშემო, თებაიდადან ალექსანდრიამდე, მენამული ზღვისპირეთიდან შუა ლიბიამდე, მონაზონთა მიერ უცბად ერთიანად გაბრწყინდა.

თებაიდაში ანტონის თანამედროვისა და მეგობრის, – პახუმი დიდის ხელმძღვანელობით, შეიძლება ითქვას, განდევნილობის პირველი ტიპიკონი აღმოცენდა. პახუმის მშობლები წარმართები იყვნენ. იგი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, სამხედრო სამსახურში წაიყვანეს. ლარიბი იყო და, როცა ქრისტიანთაგან ყურადღება იგრძნო, მათი კაცთმოყვარული სარწმუნოების გაცნობის სურვილი აღეძრა და ერთ-ერთი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ გაქრისტიანდა. სულიერი განათლება როცა მიიღო, განმარტოების სურვილი აღეძრა, ძველი განდევილი, – პალემონი იპოვა და მასთან ერთად დაყუდების უფლება სთხოვა. მოხუცი დიდი ხნის განმავლობაში არ თანხმდებოდა, არ სჯეროდა, რადგან ახალგაზრდა იყო პახუმი. მაგრამ ახალგაზრდას საქმლისა და ყველაფერ იმისაგან განდგომაში, რაც სხეულს ეამება, მოხუცისათვის ტოლი არ დაუდია, – სიფხიზლით, შრომით, ქრისტეს ჭრილობათა გასახსენებლად ეკლებზე სიარულით იტანჯავდა სხეულს. სრული მღუმარება უყვარდა. ერთხელ, ასეთი მღუმარებისას, ტაბენესის უდაბნოში ხმა ჩაესმა: „აქ დააარსე სავანე, შემოიკრიბება შენს ირგვლივ საძმო, რათა იცხოვროს იმ წესებით, რომელთაც მოგცემ“. და მაშინ ანგელოზმა გადასცა მას სპილენძის დაფა, მასზე განდევილთა ცხოვრების წესები ეწერა. განდევილებს თავიანთი შეძლებისდა შესაბამისად უნდა ემარხულათ და ეშრომათ, ერთად მიეღოთ საზრდო, დაეცვათ მღუმარება, ერთ სენაკში სამ კაცს



უნდა ეცხოვრა, ტანისამოსი არც დღისით და არც ღამით არ უნდა გაეხადათ, ეს სამოსი სელის კვართისა და შალის თეთრი მოსასხამისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, ზედა წინსაფარი მხოლოდ ზიარების დროს შეიძლებოდა, რომ გაეკეთებინათ; ანბანის რაოდენობისდა მიხედვით, ისინი, - ყველანი ოცდ-ათხ გუნდად უნდა ყოფილიყვნენ დაყოფილნი, რათა მრავ-ალრიცხოვან საძმოში ადვილად გარკვეულიყო წინამძღვარი; სხვა განდევილი მის გარეშე თავიანთ შორის არ უნდა მიეღოთ, ერთხელ შესული კი უკან ვეღარ გავიდოდა; ახალმოსული პირველი სამი წლის განმავლობაში უფრო ფიზიკური საქმე-ებით უნდა დაკავებულიყო, წმიდა წერილი არ ეკითხა, რათა სიმარტივეში მორჩილება ესწავლა; ამის შემდეგ შეიძლებოდა მიეცათ ნება, რომ სულიერი ღვაწლნი თავს ეღვა; დღისით და ღამით თორმეტჯერ ლოცვა იმიტომ დადგინდა ანგელოზისგან, რომ ძლიერებთან ერთად უძღურებსაც აღესრულებინათ იგი.

მოხუცმა პალემონმა თავისი მოწაფისაგან სიხარულით მი-ილო ცხოვრების ანგელოზური წესი, ტაბენესში გაუშვა პახუმი და ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა. პახუმისთან, ასევე გან-დევილად ცხოვრებისათვის, უფროსი ძმა, იოანე, მივიდა. სა-ნამ განდევილები შეიკრიბებოდნენ მასთან, სავანის კეთილმ-ონწყობას განაგრძობდა მამა მომავალი განდევილებისა და ამ დროს ისევ გამოეცხადა ანგელოზი და ამცნო, რომ დადგა დრო საძმოს შეკრებისა და ღმერთთან შერიგებაში ხალხის შეწვევისა. მაშინ შეუდგა წესებისდა მიხედვით ბერების მიღე-ბასა და განდევილთა სამოსით მათ შემოსვას, საძმოს საზრ-დოსათვის თავად ზრუნავდა როგორც მსახური მათი, - მანამ, სანამ ცოტანი იყვნენ. თავისი მაგალითებით ყველანი აღფრ-თოვანებაში მოჰყავდა. ნელ-ნელა ახალი წესები შემოიღო მათ-თვის იმისდა გათვალისწინებით, თუ რა ახალი საჭიროებები ჩნდებოდა. უცხოთა გადასარჩენადაც ზრუნავდა, - იმ მწყემ-სებისათვის, რომლებიც ტაბენესის მხარეებში მწყემსავდნენ სამწყსოს, ეპისკოპოსის ნებართვით, ეკლესია ააშენა და იქ, სხვა განდევილებთან ერთად, ღვთის სიტყვის საქადაგებლად



დადიოდა ხოლმე. მონაფეთა გამრავლების გამო, იმავდროულად ბენესის წესდების მიხედვით, მათთვის ნელ-ნელა ცხრის საფანეც დააარსა. თუ ძმათა შორის არასრულყოფილთ შეხვედებოდა, - ისეთებს, რომლებსაც წესდების აღსრულება არ ძალუძდათ, კი არ სჯიდა, არამედ, მათთვის მოვალეობებს აადვილებდა, თავმდაბლურად ასწორებდა ჯიუტებს, თუმც, ზოგჯერ სასარგებლო სიმკაცრის მაგალითებსაც აჩვენებდა, რათა სულით სუსტები გაეძლიერებინა. მისთვის ცნობილი იყო გულთა ფარული ზრახვანი. დარიგებას იძლეოდა, რომ ავ საქმეთაგან განსარიდებლად ყველაზე უფრო მცირე ცუდი ფიქრიც კი ყოველდღიურად ეღიარებინათ.

განდეგილთა რაოდენობა მალე თხუთმეტი ათასამდე გაიზარდა. პახუმი დიდმა ცხრა მონასტრისთვის საუკეთესო წინამძღვარი შეარჩია. უფრო მოსახერხებელი მმართველობისათვის ყოველი სავანე შტოებად დაყო, ხოლო ეს შტოები სხვადასხვა ოჯახად დააცალკევა. ყოველი ოჯახი ერთი ხელობით იყო დაკავებული. ოჯახები თორმეტი სენაკისაგან შედგებოდა. ყოველ განყოფილებას უფროსი ძმა დაუდგინა მეთვალყურედ. მთავარი მმართველობა ტაბენესში იყო თავმოყრილი. იქ წელიწადში ერთხელ, აღდგომის დღეს, ერთად ზეიმისათვის იკრიბებოდნენ ხოლმე განდეგილები, ხოლო მხოლოდ წინამძღვრები - მიძინების დღის ახლოს, რათა მთავარი ეკონომოსისათვის ძმათა ნაშრომის შესახებ ანგარიში ჩაებარებინათ, იგი ხელნაკეთთა გაყიდვისა და ყველას გამოკვების საქმეს ადევნებდა თვალყურს. პახუმის უანგარობა ისეთი დიდი იყო და ისე დიდად აფასებდა პატიოსნებას, რომ ერთხელ, როცა ხელნაკეთობათა გამოყიდვებმა ამ ნაკეთობაში დანესტებულზე მეტი ფული მიიღო და, როცა სხვა დროს პური იმაზე იაფად იყიდა, ვიდრე ის ღირდა, მოხუცმა ბრძანა, დაებრუნებინათ ფული და პური. ასევე ბრძანა, რომ დაენვათ ქილობები, რომლებსაც იმდენად ზედმეტი გულმოდგინება დაახარჯეს ძმებმა, რომ სხვა მოვალეობა შეუსრულებელი დარჩათ. ერთი ძმა იმის გამო დასაჯა

მკაცრად, რომ შინაგანი თვითკმაყოფილებით, ერთის ნაცვ-
ლად, ორი მოქსოვა.

ამბავი ტაბუნესის წესდების შესახებ ეგვიპტისა და სირიის ყველა მხარე მოედო. პახუმისთან ახალი განდევილები ყოველი მხრიდან მიდიოდნენ. ოლონდ, იგი ცდილობდა, ძველ საძმოსთან არ შეერია ახლები. ასე მანამ აკეთებდა, სანამ არ გამოცდიდა და არ დარწმუნდებოდა, რომ ეგვიპტეში აღმოცენებული წესდების შესასრულებლად მზად არიან ისინი. ანტონი დიდი მონაფეებს ეუბნებოდა, რომ, ერთადერთი, პახუმის აღმოაჩნდა ღმერთისაგან იმისი ნიჭი მიმადლებული, რომ ღმერთის ამდენი შვილი შეეკრიბა, მანამდე ბევრი ცდილობდა ამის გაკეთებას. თუმც, ადრე ცალკეული განდევილები ცხოვრობდნენ უდაბნოში, ზოგჯერ მცირე საცხოვრებლებში იკრიბებოდნენ. განდევილთა მამა, - პახუმი სიზმრისეული ხილვის შემდეგ მიხვდა, რომ წესდების დაცვის შესუსტების გამო საძმოს განსაცდელი ელოდა. იხილა განდევილთა ჯგუფი, რომელიც ბნელ ველზე, - ჭუჭყში იყო დაცემული და ამაოდ ცდილობდნენ იქიდან გამოსვლას, უძლურების გამო ძირს ეცემოდნენ და სანყალობელი მოთქმით ისევ ჭუჭყიანდებოდნენ. ზოგიერთები ძალუმი მცდელობის შემდეგ ახერხებდნენ ნათელში გამოსვლას. პახუმი მწარედ ატირდა და სანყალობელი ლოცვით მიმართა ღმერთს, - იხსენებდა, თუ რამდენი შრომა დახარჯა შვილთა შესაკრებად. „ნუ აღიმალეებ თავს, კაცო“, - მოესმა იდუმალი ხმა, - „იფიქრე, როგორ გადარჩე, ღმერთის მადლის გარეშე არ არსებობს არაფერი“. ამასთან, მანუგეშებელი აღთქმა მიიღო, რომ, მიუხედავად დროის წახდენისა და იმისა, რომ დაისჯებოდნენ კაცნი, მას განდევილთა წმიდა შთამომავლობა შეუნარჩუნდება. მოხუცმა ხილვის შესახებ მონაფეებს ამცნო, ღვანლთა განგრძობისა და წმიდა სარწმუნოების დაცვისაკენ მოუწოდებდა მათ, არიანელობის ქარიშხლის მოახლოებას გრძნობდა. ეს ქარიშხალი ეკლესიას უნდა დატყდომოდა თავს. მან თავისი სამწყსო საყვარელ მონაფეს, - თეოდორე განწმედილს ჩააბარა და ურჩევდა მას, რომ დიდ მწყემს ათანას-



ესთან ჰქონოდა ურთიერთობა, რადგან მართლმადიდებლებს უკლებლივ დასაცავად დიდად მოშურნე იყო იგი.

ასეთი იყო განდევილთა მამა. მალე არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ, პალესტინაშიც, გამოჩნდნენ დიდი განდევილები, რომელთაც მარტომყოფობის ასეთივე წყურვილი ჰქონდათ. ილარიონმა, რომელმაც განათლება ალექსანდრიის სკოლაში მიიღო, წუთისოფლის ამაოება ბავშვობიდანვე მოიძულა. როცა ანტონი დიდის შესახებ შეიტყო, ცოტა ხანს მასთან დასახლდა, რათა მისი მკაცრი ცხოვრების წესი გადაეღო. შემდეგ, როცა მრავალი მიმსვლელისაგან გადაიღალა, ილარიონი ველურ უდაბნოში, – სირიისა და ეგვიპტის საზღვართან განმარტოვდა, იქ ბევრი ველური სარკინოზი¹⁰⁵ დათარეშობდა. აშკარა საშიშროების შესახებ ამაოდ აფრთხილებდნენ მას, ვაჟკაც ახალგაზრდას მხოლოდ მარადიული სიკვდილისა ეშინოდა. – „როცა არაფერი არსებობს, საშიშიც არაფერია“, – პასუხობდა იგი, – „არ მეშინია სიკვდილისა, მზად ვარ სასიკვდილოდ“. შემოსილი ტყავის სამოსით, რომელიც ანტონიმ მისცა, ეს მოსაგრე რამდენიმე დღის განმავლობაში საჭმელს არ ჭამდა, თუმც, ეს საჭმელი მხოლოდ თხუთმეტი ლელვისაგან შედგებოდა, მზის ჩასვლის შემდეგ ჭამდა ხოლმე მას, კალათებს წნავდა და უდაბნოში მდებარე იმ ვიწრო კელიაში, რომელიც, საცხოვრებელს კი არადა, საფლავს უფრო ჰგავდა, სამოცზე მეტი წელი გაატარა. ზოგჯერ, ყაჩაღთაგან ძალადობისას, საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა, თუმც, სინამდვილეში ყაჩაღობა კი არა, არამედ, სასწაულთაგან განთქმული სახელი აიძულებდა, რომ უდაბნოს ერთი ადგილიდან მეორეში გადასულიყო.

უფრო ადრე სხვა განდევილმა, – ხარიტონმა, რომელმაც კეისარ ავრელიანის დროს იწვინა დევნა, პალესტინა მოინახუ-

¹⁰⁵ Сарацины (სარკინოზები); ცნობილია, რომ სარკინოზს, ძირითადად, მაჰმადიან არაბს, ზოგჯერ, ყველა მაჰმადიანს, უწოდებენ, მაგრამ ადრეულ პერიოდებში ამ სახელით სხვა ხალხები იხსენიებოან... II-IV სს-ში სირიის საზღვრებთან მომთაბარე ველური ტომები არიან ასე მოხსენიებულნი (პტოლემეოსი, ამიანე მარცელინე). ანდრეი მურავიოვთან სიტყვა – „Сарацины“ ეთნონიმის მნიშვნელობით არის ხმარებული და აღმოსავლეთის სწორედ ეს მომთაბარე ტომებია ნაგულისხმები;



ლა და უდაბნოში მგაზავრობისას მკვდარი ზღვის ნაპირებთან ყაჩაღებმა შეიპყრეს. დაუსახლებელ მღვიმეში დატყვევებული სიკვდილს ელოდა. მაგრამ ყაჩაღებს სასწაულებრივი სასჯელი ეწიათ. მღვიმეში დაბუდებული იყო გველი, რომელმაც ღვინით სავსე მათი ჭურჭელი დააგესლიანა და ყაჩაღებმა სიკვდილი იგემეს. თავისით მოსული ხსნისგან ერთიანად შეძრულმა ხარიტონმა გადაწყვიტა, რომ ამავე შესაფარში მიექლვნა ღმერთისთვის თავი და შემდგომში სახელგანთქმული ფარანის ლავრას დაუდო საფუძველი.

რამდენიმე წლის შემდეგ მისი წმიდა ცხოვრების შესახებ ამბავმა მრავალი მოსწავლე მიიზიდა. მასთან ხეობაში ისწრაფვოდნენ ისინი, რათა ქრისტიანების ბოლო დევნის დროს თავშესაფარი ეპოვათ. მოხუცის ლოცვის იმედი უფრო მეტად ჰქონდათ, ვიდრე კედლებისა და კლიტეებისა. ხალხმრავლობის ტვირთისაგან გადაღლილი, - იგი ახალ უდაბნო - ფეკუაში დაიძალა. მაგრამ მისმა სახელმა იქაც გაიბრწყინა, რადგანაც დიდი სავანე დაარსდა. იმავე ზღვასთან მიმდებარე სუკუმი მესამე სავანე იყო მისთვის, ისიც ცოტა ხანს იყო უხალხოდ. მონაფეები უკვე მომზადებულნი იდგნენ მარტოული, მთის მწვერვალზე გამოკვეთილი და მიუდგომელი სენაკის მახლობლად დასასახლებლად. როცა ღრმად მოხუცებულმა მიახლოებული აღსასრული იგრძნო, მისმა გულმა, იმ ადგილის გარდა, არცერთი არ ისურვა, სადაც განგებამ ასე სასწაულებრივად გადაარჩინა და იმისი საშუალება მიჰმადლა, რომ ამქვეყნად მყოფს სრულყოფისათვის მიეღწია. ძლივსლა სუნთქავდა, როცა მონაფეებმა ფარანის სავანეში მიიყვანეს, თავისი ბებერი ძვლები იმ მღვიმეში მიაბარა მიწას.

ფარანის ლავრა, რომელიც მისმა წმიდა ნაწილებმა გააბრწყინა, პალესტინის ყველა სხვა სავანის დედად და განდევილთა კერად იქცა. ყველა დიდმა განდევილმა მისგან მიიღო წესდება, მისი დამაარსებლის სულით ნასაზრდოებნი უდაბნოს ამ გლოვის ადგილისაკენ, ან კედრების უღრანში ან იორდანის ვრცელ ველზე მიდიოდნენ. იქ, - წმიდა მდინარის პირას დაიარებოდნენ. შემდეგ ოდესღაც ვრცელი მდინარის, მაგრამ ახლა, - თითქმის დამშრალი წყაროს მახლობლად, თავიანთ განმარ-



ტოებულ სენაკებს დგამდნენ. მათი ველური თანამცხოვრებელი იორდანის უსიერ ტირიფებში მიმალული ტახები და ლომები იყვნენ. უდაბნოს მარტოსულ მბრძანებელ განდეგილთა დაძახილზე მხეცები თავიანთი ბუნაგებიდან გამოვიდოდნენ ხოლმე, მორჩილად ბრდღვინავდნენ, ფეხებქვეშ ეგებოდნენ, უხალხო თავშესაფრებს შინაური ცხოველებივით იცავდნენ, - იმიტომ, რომ ეს უდაბნოები განდეგილთათვის უკვე სახლები იყო.

გამოქვაბულებში მცხოვრები მოხუცები, რომლებიც ამ სამყაროსათვის უცნობნი იყვნენ, ზოგჯერ, თავიანთი ამქვეყნიური ცხოვრების ბოლოს, თავიანთი განმარტოებული საცხოვრისის კარს თავადვე ჩაკეტავდნენ ხოლმე და, მუხლებზე დამხობილნი, ზეცისაკენ აღმართული ხელებით, სულს აბარებდნენ ღმერთს. მათ მლოცველ სხეულს, სიკვდილის შემდეგაც ფხიზელს, მრავალი წლის შემდეგ ახალი განდეგილი პოულობდა და ამ მღვიმესა და მასში ადრე მცხოვრების ხვედრს იზიარებდა. იქ, უცნობი ძმის წმიდა ნაწილებზე აღევლინებოდა მისი ლოცვა. შემდეგ, - გარდაცვლილი წინამორბედი ღამეულ ხილვაში განუმჟღავნებდა ხოლმე სახელს და თავისი დაღლილი ძვლებისათვის ცოტა მიწას სთხოვდა, - ახლა უკვე ახალწარმოგზავნილი იდგა უდაბნოსეულ სადარაჯოზე.

ჩვენ დღეს გვაოცებს ამ თანამებრძოლთა ზებუნებრივი გმირობანი. მაგრამ განა დაუჯერებელია, რომ ორმოცდაათი ან მეტი წლის განმავლობაში სხეულებრივ სწრაფვათა განუნყვეტელად დათრგუნვის შემდეგ ადამიანმა, რომელიც სამყაროს მეფედ არის შექმნილი, თავისი სხეულებრივი საფარველი დაიმორჩილოს, სულიერი სისრულის ძალით სტიქიები დაიქვემდებაროს და მომავლისაკენ გადაიხედოს?! თუ სხეულს ძალუძს, რომ ნელ-ნელა დაიმონოს ადამიანი, დაავინყოს ის აზრი, რომ მაღალი დანიშულება აქვს ადამიანს და პირუტყვის დონემდე დაიყვანოს იგი, მაშ, ყოველ საათს სიმაღლეთაკენ აღმავალი სული, რომელიც სხეულებრივ სწრაფვებს მთლიანადა სპობს, რატომ ვერ შეძლებს, რომ ზებუნებრივი ძალები მიიღოს?!

ქრისტიანობის გავრცელება კონსტანტინეს დროს

პალესტინაში ყველა ქრისტიანისათვის დიდი ნუგემის მომგვრელი მოვლენა მოხდა: — ღმრთივკურთხეული დედოფლის, — ელენეს შემწეობით უფლის ცხოველი ჯვარი მოიპოვეს და აღდგომის დიდებული ტაძარი ააგეს. კონსტანტინეს ხლორის ცოლმა ქრისტიანობისადმი თავისი დამოკიდებულებით ყმანვილი შვილის სულში პირველმა დათესა სიკეთის მარცვალი, ხანში შესულმა წმიდა ნათლობა მიიღო და მორჩილების ღვანლით გამოირჩა. ოთხმოცი წლისა იყო, როცა გადანყვიტა, ის ადგილები მოენახულებინა, რომელზეც უფალი ამქვეყნად ყოფნისას დადიოდა. დედოფალი მოგზაურობის დროს ღარიბებსა და ტყვეებს მონყალებას აძლევდა. მოსიყვარულე შვილმა, რომელსაც ავგუსტუსის ტიტული ჰქონდა, სრული უფლებები მიანიჭა დედას. კონსტანტინე წმიდა ეპისკოპოსს მაკარის სწერდა, ოლქის მმართველისათვის ებრძანებინა, რომ ყველა ღონე ეხმარა, — ფულიც, მარმარილოც, რათა დიდებული ტაძარი აეგოთ.

კლდე საფლავისა, რომელშიც ებრაელები საკუთარ დანაშაულს ხედავდნენ, სიძულვილის გამო მინით დაფარეს. წარმართებმა კი, რათა პირველ ქრისტიანებს წმიდა ადგილთა თაყვანისცემის საშუალება არა ჰქონოდათ, გოლგოთაზე ვენერას, საფლავის კლდის პირას იუპიტერის, ბეთლემში კი ადონისის კერპები აღმართეს. გაშმაგებულმა გონებამ ვერ განსაზღვრა, რომ თავიანთ ღმერთთა მოჩვენებების აღმართვით ჭეშმარიტი ღმერთის ხსოვნა უფრო შეინახებოდა. — შეუძლებელი იყო, რომ ცდუნებათა სამყაროში გამქრალიყო მხსნელი ძალა უფლის ჯვრისა.

იერუსალიმში ყველაზე უფრო ხანოვან ებრაელებს უხმეს, რათა ეჩვენებინათ მათ ადგილი, სადაც მათმა წინაპრებმა ჯვარი გადაძალეს. ერთ-ერთი მათგანი მუქარამ აიძულა და



გამოტყდა, რომ ბავშობაში პაპისაგან ჰქონდა გაგონილი, თუ
 სად გადაადგეს გოლგოთიდან ჯვარი. მაგრამ ეშინოდა, რომ
 ჯვრის ჩვენებით თავის სჯულს გაანადგურებდა და დედოფალ
 ელენეს დიდხანს არ უსრულებდა თხოვნას. ბოლოს, როცა ექვ-
 სი დღის განმავლობაში საქმლის გარეშე დამშრალ ჭაში და-
 ტოვეს, გადანყვიტა, სიმართლე ეთქვა. მან დედოფალი კლდის
 ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიიყვანა და აღუთქვა, რომ
 აპოვინებდა სასურველს. საღვთო საქმის აღსრულებას მხურ-
 ვალე ლოცვით შეუდგა ელენე და მიაღწია მიზანს. მაგრამ ნა-
 პოვნი სამი ჯვრიდან რომელი იყო ცხოველმყოფელი? ერთი
 ხანობა ექვმა შეაშფოთა დედოფალი. იერუსალიმის ეპისკოპო-
 სის, - მაკარის რჩევით, ისინი წმიდა ქალაქის ერთი მომაკვ-
 დავი ცნობილი ქალბატონის საწოლთან მიიტანა და ერთ-ერ-
 თზე შეხებისას განიკურნა სნეული. სასწაულით გაოგნებული
 ებრაელები ქრისტიანობისკენ მოიქცნენ და ბოლოს იერუსალი-
 მის პატრიარქი კვირიაკე გახდა.

ელენემ კერპები დაანგრია და ბრძანა, საფლავის კლდე
 მიწისაგან გაენმიდათ და, გადმოცემის თანახმად, შიგნით
 ეკლიანი გვირგვინი და ლურსმნები იპოვა. ისინი, ძელიცხოვე-
 ლის ნაწილთან ერთად, შვილს ნაულო საჩუქრად, ნაწილი
 იერუსალიმში ჯვრის ფორმის მქონე ვერცხლის ლუსკუმაში
 ჩადებული დატოვა და მხოლოდ სულთმოფენობას გამოჰქონ-
 დათ ხოლმე გოლგოთაზე თაყვანსაცემად.

ღმრთივკურთხეულმა ელენემ, რომელმაც ცოდვათაგან
 ადამიანთა გამომსყიდველი საშუალება ქრისტიანებს სამი ას-
 წლეულის შემდეგ დაუბრუნა, იმ ადგილას, სადაც ჯვარი იყო
 აღმართული, დიდებული ტაძარი ააშენა, რომელიც დღემდე
 დგას, მიუხედავად იმისა, რომ, არაერთგზის შემუსვრილა ცე-
 ცხლითა და მახვილით. ფიქრობენ, რომ ამალეების ტაძარს,
 ზეთისხილის მთაზე მდგარს, და ბეთლემის ტაძარს, შობის
 ადგილზე აღმართულს, იერუსალიმში დედოფლის ცოტა ხნით
 ყოფნის დროს ჩაეყარა საფუძველი და სირიისა და ეგვიპტის
 მდიდარი შემოსავლები ამ სინმიდეთა ასაგებად იქნა მიმარ-



თული. მალე მისი მიზაძვით, ან იქნებ ბრძანებით, ოცდაათამდე ტაძარი აშენდა იმ ადგილებში, სადაც მხსნელმა სასწაულებრივ მოახდინა. გარდამოცემა ტაძართა დღეს შემორჩენილ ნანგრევებს მთლიანად მხოლოდ ელენეს სახელთან აკავშირებს: დიდებულ სახელს დიდებული ნაშთის მდუმარება კიდევ უფრო უკეთ წარმოაჩენს. იერუსალიმი და მისი შემოგარენი, - სამარია და გალილეა წმიდა ძეგლებით აივსო. ნაწილი სამრევლო ტაძრები იყო, ნაწილი - ბერ-მონაზონთა სავანეები: საიდუმლო სერობის სახლი, ღვთისმშობლის სამარის მღვიმე გეთსიმანიაში, სილოამის ემბაზი და ლაზარეს აღდგინების სამარხი, ანასა და კაიაფას ეზოები, იოაკიმესა და ანას სახლი, სიმონ ფარისევლის სახლი იერუსალიმში, ველი ბეთლემისა, სადაც ანგელოზები და მწყემსები გალობდნენ, გალილევას კანა, წმიდა ქალწულის საცხოვრებელი ნაზარეთში და ზაქარიასი - გორნიაში, ნათლისმცემლის დილეგი სამარიაში, თაბორი და ტიბერიის ტბები, სადაც ხუთი ათასის დაპურება და მკვდრეთითი აღმდგარი უფლის გამოცხადება მოხდა, იაფა, სადაც პეტრემ ტაბიტა აღადგინა, უფლის გამოცდის მთა და ადგილი, სადაც უფალი იორდანეში მოინათლა, - ეს ყველაფერი ქრისტიანთა გალობამ გააცოცხლა. ყურადღების მიღმა ძველი აღთქმისეული მოვლენებიც არ დარჩენიათ: აბრაამის საფლავის მღვიმე ქებრონში, - მამრეს მუხა და ადგილი, სადაც მელქისედეკის კურთხევა წარმოითქვა, ადგილი, საიდანაც ელიას ცეცხლოვანი ამალღება მოხდა და მრავალი სხვა აღთქმული ადგილი, რომელმაც ღირსეული დიდება მიიღო.

ვინმე იოსებ კომიტი, მეფის დიდებული, ტაძართა ასაშენებლად კონსტანტინეს ნების აღმასრულებელი გახდა. ის ტიბარიადელ ებრაელთა შთამომავალი იყო. იერუსალიმის დაცემის შემდეგ მათი მთავარი მმართველობა და სასწავლებელი იქ გადავიდა და მათი მემკვიდრეობითი პატრიარქები თავიანთი გაფანტული ტომების მართვას იქიდან განაგრძობდნენ. თანამემამულეთა შორის იოსებს ეკავა ყველაზე მაღალი ადგილი. ეს ახალგაზრდა ახალი აღთქმის წმიდა წიგნების კითხვამ,

ქრისტიანთა საუბრებმა და სიზმრისეულ გამოცხადებებმა ვად უფლის ხილვამ მოაქცია და სარწმუნოების მიღების შემდეგ მისი გავრცელების მოშურნედ იქცა იმ ქვეყანაში, სადაც მისი წინაპრები ქრისტიანთა მონაფეებს დევნიდნენ ხოლმე. ტაძრების შენებაში კონსტანტინეს კეთილმსახურება მხოლოდ პალესტინაში როდი გამოჩნდა. ნიკომიდიაში მან გალერიუსის მიერ დანგრეული ეკლესია აღადგინა, ხოლო ანტიოქიაში კიდევ უფრო დიდებული ააშენა. იმპერიის ძველ დედაქალაქში კი თავისი სასახლე წმიდა იოანე ნათლისმცემლის ლათერანულ ეკლესიად გადააკეთა, იქ რომაელ მღვდელმთავართა კათედრა დააარსა და კიდევ შვიდი ტაძარი ააგო, სახელმწიფოს სხვადასხვა ოლქში ყოველ მათგანს მიწები და შემოსავალი უბოძა.

თუმც, იმის გამო, რომ ქრისტიანობისაკენ ასე ისწრაფვოდა და წარმართულ წეს-ჩვეულებებს ანგარიშს არ უნევდა, იმპერატორმა სენატისა და ძველი დედაქალაქის მცხოვრებთა აღშფოთება გამოიწვია. ეს ქალაქი, თავის მხრივ, მისთვისაც საძულველი გახდა. კონსტანტინემ გადაწყვიტა, რომ აღმოსავლეთში ახალი დედაქალაქი დაეარსებინა, - ისეთი, რომელიც დაბერებული რომის კერპთა ჩამორჩენილი სულისაგან გაუცხოებული იქნებოდა; და მან ვოსნორის წითელ ნაპირებზე აზიისა და ევროპის გვირგვინი - კონსტანტინეპოლი დააარსა. ქალაქს წყნარი წყლები ერტყმოდა გარს და ზღვას სრუტესგან ჰყოფდა. მალე ძველი რომის მშვენიერებამ სენატთან და მსოფლიო იმპერიის დიდებულებთან ერთად ახალ დედაქალაქში გადაინაცვლა. მტკიცე კედლები, დიდი ნავსადგურები, სამეფო პალატები, ამფითეატრები, საასპარეზო მოედნები, აბანოები, წყალგაყვანილობები, ბაზრები, - ეს ყველაფერი უცბად აშენდა, მხოლოდ წარმართული კერპები არ აღუმართავთ. არცერთ კერპს არ შეურყვნია სამეფო ქალაქი. კერპები საბერძნეთის წარმართული ტაძრებიდან მოედნების გასალამაზებლად გამოიტანეს, გამოიტანეს დელფოს სამფეხა, რომელიც ამდენ ორაკულს მომსახურებია. დედაქალაქის უმთავრესი მშვენიება



ის წმიდა ტაძრები იყო, დედოფალმა ელენემ რომ ააგო; პირველი - ეს იყო აია სოფიას ტაძარი, რომელიც ოდესღაც მიგდებულ, ახლა კი მდიდარ სამეფო ქალაქად ქცეულ ბიზანტიაში¹⁰⁶ განდიდებულ ეპისკოპოსთა კათედრა გახდა. კონსტანტინემ თავის განსასვენებლად ყველაზე უფრო მშვენიერი აიჩრია, ადრევე მოიშადა მასში სამარე, რათა ქრისტეს მონაფეთა მიერ მთელ ქვეყნიერებაზე ნაქადაგევ ჩრდილში განესვენა. ქრისტიანობისათვის მოშურნე მეფემ მეფეთქალაქში კიდევ ცხრა ტაძარი ააგო; სწავლულ ევსევის, კესარიის ეპისკოპოსს, სწერდა, რომ ტაძრებში ღვთისმსახურებისათვის წმიდა წერილის ორმოცდაათამდე უტყუარი ნუსხის მომზადება ებრძანებინა, წმიდა წერილი საუკეთესო პერგამენტზე უნდა დაენერათ.

ამ დიდ იმპერიაში ქრისტიანობის განმტკიცებას კონსტანტინე დიდი ეკლესიათა შენებით, ახლად მიღებული სარწმუნოების ხელშემწყობი ბრძანებების გამოცემით ცდილობდა, საბერძნეთში, სირიასა და ეგვიპტეში წარმართულ სანახაობებს კრძალავდა და ასე ასუსტებდა წარმართობას. მისმა მეცადინეობამ, პირადმა მაგალითმა, კარგი ნაყოფი გამოიღო, თუმცა, მრავლად მოქცეულ ხალხში მრავალი გულგრილიც მოხვდა და მათ შემდეგ ბევრი ზიანი მიაყენეს ქრისტიანობას.

ნელ-ნელა მთელი ქალაქები ღებულობდა მათთვის ახალ სწავლებას და თავიანთ კერპებს ანგრევდნენ. პალესტინის მაიუმის მცხოვრებლებმა ძველ სარწმუნოებასთან ერთად ქალაქის ძველი სახელიც მოიშორეს და მას კონსტანტინეს სახელი დაარქვეს, ხოლო ბითინიის ქალაქ დრეპანს ელენეს საპატივსაცემოდ მისი სახელი უწოდეს. მხოლოდ იმპერიის შიგნით კი არა, მის საზღვრებთან და საზღვრებს გარეთაც, დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება. დასავლეთში, რაინის, დუნაის, გალიისა და ბრიტანიის შორეულ მხარეებშიც უკვე განათლდნენ იმ ტყვეების დახმარებით, რომელთაც ხელთ რომის საზღვრებზე ხშირი თავდასხმებისას იგდებდნენ ხოლმე. მეოთხე საუკუნეში ათანასე დიდი ქრისტეს ეკლესიის სივრცეს

¹⁰⁶ იგულისხმება ბიზანტიონი;

ქვეყნიერების იმდროისათვის ცნობილ მთელ სივრცესთანაა გივებდა; იმ საუკუნის ერთი მწერალი, – იულიუს მავრიკოსი იმპერატორს ასე სწერდა: „მზის აღმოსავალიდან დასავალამდე, ჩრდილოეთის დასაწყისიდან სამხრეთის დასალიერამდე – ყოველივე ქრისტეს სახელმა აღავსო“.

აღმოსავლეთის მხარეს ქრისტიანობამ სპარსეთის მონარქიაში შეაღწია ღრმად, ინდოეთს მისწვდა და მეფე საპორის მხარეებში მრავალრიცხოვანი ეკლესია გაბრწყინდა. კონსტანტინემ საპორთან სამშვიდობო ზავი დადო, მეგობრული წერილით შეაგონებდა, თავის სამფლობელოში მფარველობა გაენია ქრისტიანთათვის, მათ მდევნელთა მწარე ხვედრს ახსენებდა, განსაკუთრებით, – ხვედრს იმპერატორი ვალერიანესი, რომელიც სპარსელებთან ტყვეობაში იტანჯებოდა. მაგრამ საპორის მხარეებში დიდხანს არ გაგრძელებულა ეს გარეგნული სიმშვიდე, ქრისტიანთა დევნა მალე თავად მეფემ და მოგვებმა, – ცეცხლთაყვანისმცემლებმა წამოიწყეს. ქრისტიანთა დევნა ახალი შეწყვეტილი იყო მეზობელ სომხეთში, საიდანაც ქრისტიანობის ნათელმა სპარსეთში შეაღწია და სადაც ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი თირიდატი¹⁰⁷ დიდხანს ებრძოდა ქრისტიანობისათვის დიდ მოღვაწეს, – სომხეთის განმანათლებელ გრიგოლს, რომელიც, მასავით, სომეხ ხელისუფალთა მეფური გვარიდან იყო წარმოშობილი. გრიგოლმა ახალგაზრდობიდანვე ღმერთის სამსახურს მიუძღვნა თავი, მღვდელმთავრის ხარისხი ეპისკოპოს ლეონტი კესარიელისაგან მიიღო და თავისი სამშობლოს მოქცევას მამაცურად შეუდგა.

იქ მძიმე ტკივილებსა და აშმორებულ ორმოში იყო მანამ, სანამ თირდატს ნაბუქოდონოსორის ხვედრი არ ენია და სანამ მხეცს დამსგავსებული ხელისუფალი სულიერი და სხეულებრივი სწეულებისაგან არ განკურნა. შემდეგ თავისი სამწყსო კათ-

¹⁰⁷ სომხეთის მეფე – თრდატი, რომლის დროსაც ქრისტიანობა სომხეთში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ზოგიერთ საისტორიო წყაროში მოხსენიებულია სახელით – „თირდატი“ (ძირითადად, არაბულენოვანი წყაროების გავლენით); ანდრეი მურავიოვი, როგორც ვხედავთ, ხმარობს ფორმას – „თირიდატი“ (Тиридат);



ედრა შვილს გადასცა გრიგოლ განმანათლებელმა და ერთი ხანობა მისი შთამომავლობა მართავდა სომხეთის ეკლესიას.

მახლობელი იბერიის ანუ საქართველოს¹⁰⁸ მოქცევა უფრო მშვიდად მოხდა. ქრისტიანი ტყვე ქალი ნინო¹⁰⁹ მცხეთის ვენახში დასახლდა, თავისი თმით ვაზის ჯვარი შეკრა და წარმართთა წინაშე განუწყვეტელი ლოცვითა და წმიდა ცხოვრებით გააოცა ისინი. ამ ქვეყანაში გავრცელებული წესის თანახმად, ერთი დედა ავადმყოფ შვილს კარდაკარ დაატარებდა და განსაკურნებლად სხვადასხვა წამალს სცდიდა. ბავშვი მან ნინოს ძაძაზე დააწვინა. ნინომ მკურნალობის ადამიანური საშუალებები არ იცოდა და ბავშვი იესო ქრისტეს სახელით განკურნა. ამ ამბავმა სწული დედოფლის ყურამდეც მიაღწია. ამოდ უხმობდა იგი თავისთან ტყვე ქალს. შემდეგ თვითონ მივიდა მასთან და იმავე ძაძაზე იგივე ცხოველმყოფელი სახელის ხსენებით თვითონაც განიკურნა. რწმენით აღვსებულმა ამ სასწაულის შესახებ მეფეს აცნობა. მეფეს მადლიერების გამოსახატავად უნდოდა, საჩუქრებით აევსო ტყვე ქალი, მაგრამ წმიდა ნინომ უთხრა, რომ მისთვის საუკეთესო საჩუქარი ის იქნება, თუ იგი იესო ქრისტეს იწამებს. მეფე დიდხანს ყოყმანობდა. ერთხელ, ნადირობისას, უეცრად სიბნელემ მოიცვა, აღთქმა დადო, რომ თავის ღმერთებს მიატოვებდა; უფალს მიმართა და არა მხოლოდ ამქვეყნიური, არამედ, – ზეციური გზაც გაეხსნა. იგი და დედოფალი თავიანთ ხალხს თავადვე უქადაგებდნენ ქრისტეს. პირველი ეკლესია მეფემ წმიდა ნინოს მონახაზის მიხედვით ააგო. ეპისკოპოსები და მღვდლები მან კონსტანტინე დიდს სთხოვა. კონსტანტინემ სიხარულით გაუგზავნა სამოცდაათი წმიდა კაცი, წიგნები და საეკლესიო ჭურჭელი. მოყოლებული აქედან, დღემდე, ამდენი საუკუნის განმავლობაში, საქართველომ უწყევად შემოინახა მართლმადიდებლობა, – მიუხედავად ყველა უბედურებისა, რაც თავს გარდახდომია და – იმისა, რომ სომხეთი განდგა.

¹⁰⁸ Грузия;

¹⁰⁹ Нина;



ამასობაში ჩრდილოეთში კიდევ ერთი შორეული ქვეყანა გა-
ნათლდა. ერთი ფილოსოფოსი, – სახელად მირონი, რომელსაც
ეთიოპიის სიმდიდრის შესახებ ჰქონდა გაგებული, შორეულ
გზას დაადგა იქითკენ, თან ორი ყრმა – ედესი და ფრუმენტი
წაიყვანა. მაგრამ ერთ ველურ ნაპირთან მიდგომისას იგი და
მისი მხლებლები დახოცეს. ყრმები გადარჩნენ. ბარბაროსებმა
დაინდეს ისინი და თავიანთ მეფეს მიუყვანეს. მეფემ ედესი
მელვინეთუხუცესად, ხოლო ფრუმენტი – წერილთგამრიგედ
გააზრდევინა. დედოფალმა, რომელმაც მეფის გარდაცვალების
შემდეგ ხელისუფლება თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად
ჩაიბარა, ქვეყნის მართვის ტვირთი ედესთან და ფრუმენტის-
თან ერთად გაინაწილა. ისინი ცდილობდნენ, ჩამოსული ქრის-
ტიანი ვაჭრებისათვის ხელი შეეწყოთ და ყველა საშუალებას
უქმნიდნენ, რომ მსხნელი სწავლება გაევრცელებინათ. როცა
ახალგაზრდა მეფე სრულწლოვანი გახდა, ორივე მმართველმა
სამშობლოში წასვლის ნება სთხოვა მას. აყვავებული ოლქი
დაუტოვეს მეფეს. სამშობლოსაკენ მიმავალმა ფრუმენტიმ
გზად ათანასე დიდს შეუარა, რათა ღვთის საქმენი დაფარული
არ დარჩენილიყო მისთვის და სთხოვა, რომ ახალმოქცეული
ხალხისათვის ღირსეული მწყემსმთავარი შეერჩია. ათანასემ
ეპისკოპოსებს თავი მოუყარა, მათი თანხმობის შემდეგ თავად
ფრუმენტის დაასხა ხელი და აბისინიაში დაბრუნება უბრძანა.
ფრუმენტიმ იქ, ქალაქ აქსუმში, დააფუძნა თავისი კათედრა
და მოციქულებრივ იღვწოდა, მთელ ქვეყანას ნათლავდა და
სახარების სიტყვითა და სასწაულთა ძალით განამტკიცებდა
რწმენას.

ამასობაში უკვე მოახლოვდა ის დრო, როცა ათანასეს მრავალწლიანი ქარიშხალი უნდა დასტყდომოდა თავს. სამჯერ დაატყდა იგი, რათა უფრო განდიდებულიყო სახელი მისი. იმპერატორი მომაკვდავი დის, – კონსტანციას თხოვნამ შეძრა და ნდობით მიიღო მისი ერთი პრესვიტერი, რომელიც არიოზის ერთგული იყო და ერეტიკოსის უდანაშაულობაზე მისი ცრუ და მლიქვნელური ლაპარაკით მოტყუებულმა არიოზი

და მისი მიმდევრები: ევსევი, მარინი, თეოგნოსი ტყვეობიდან გაათავისუფლა. სანამ ეს ეპისკოპოსები თავიანთ კათედრებს დაიბრუნებდნენ, ვალდებულები იყვნენ, დაბრუნების უფლება სხვა საეკლესიო მწყემსთაგან ეთხოვათ. მათი დაბრუნებით ნიკომიდაში, ქალკედონსა და ნიკეაში ერესმა გაიმარჯვა. ათანასე ღიდი და ევსტათი ანტიოქელი მწვალებლობის შეუდრეკელი მონინალმდევრები იყვნენ და არიანელთა სიძულვილიც დაიმსახურეს. ევსევი თავისი და მეფის სახელით ამაოდ სთხოვდა ათანასეს, რომ არიოზის მიმდევართათვის თავისი ტაძრები გაეხსნა. ეგვიპტის მამაცმა მწყემსმა არათუ არ დართო ამის ნება, მან უდაბნოდან განდევილთა დიდი მამა, - ანტონი მოიხმო, რათა მას ალექსანდრიის მოედნებზე ისევე ემხილებინა არიანელები, როგორც ოდესღაც წარმართთა სიცოფეს ამხელდა, - მაშინ, როცა დევნისას გამირობათა აღსრულების ადგილებში დაჰყვებოდა მონამეებს.

უდაბნოს მამა ეგვიპტის დედაქალაქის ხალხმრავალ სავაჭრო ადგილებში გამოჩნდა და არიანელები მთელი ხალხის გასაგონად განკვეთა ეკლესიიდან. მისმა წმიდა გამომეტყველებამ, შთაგონებულმა სიტყვამ, აღსრულებულმა სასწაულებმა სულით სუსტები რწმენაში განამტკიცა, მრავალი წარმართი, მათ შორის, ზოგი ფილოსოფოსი, მოაქცია. შემდეგ ისევ თავის მარტოულ სამყოფელში წავიდა და წერილების გზავნით იქიდან იღვწოდა. როცა მისი წმიდა ცხოვრების შესახებ შეიტყო, მადლიერებით სავსე იმპერატორმა საკუთარი ხელით მისწერა წერილი, მიუდაბნოე ამქვეყნიურ დიდებას არ აჰყოლია და მდაბლად პასუხობდა, დიდებაში მყოფს მორჩილებისაკენ მოუწოდებდა და არწმუნებდა, არ ერწმუნა უღირსი არიოზისა. ანტონიმ თავისი ამალღებული სულით ალექსანდრიის ეკლესიის მომავალი უბედურება დაინახა, - ეს მოხდა მაშინ, როცა ერთხელ, თავის მთაზე მჯდარი, დიდი ხნის ჭვრეტის შემდეგ მოწაფეების წინაშე მწარედ ატირდა და უთხრა მათ, რომ ხედავს ტაძრის გადაბრუნებულ საკურთხეველს და ბევრ ჯორს, რომლებიც ხმაურით ჩლიქებს ურტყამენ მას და ჩაესმის ხმა:



„დაინგრა ეკლესია!“ მაგრამ არც ის დაუმალავს, რომ იმპერატორმა ვალში დაამარცხებდა ეკლესია უწმიდურებას.

როცა ევსევი ნიკომიდიელმა დაინახა, რომ ათანასეს სიმართლით ვერ დაამარცხებდა, მაშინ ვერაგობას მიმართა, – ცილისწამება ასწავლა ათანასესადმი დაუმორჩილებელ იმ ეგვიპტელებს, რომლებიც ეპისკოპოს მელეტის მიმდევარნი იყვნენ, – იმ მელეტისა, რომელიც ჯერ კიდევ წმიდა პეტრე ალექსანდრიელმა გაასამართლა. იმპერატორთან ცილი დასწამეს ათანასეს, – ვითომ თავისი კათედრის სასარგებლოდ იმ შენაწირს ლებულობდა, რომელიც საამისოდ არ იყო განკუთვნილი. ამ ძალიან აშკარა ცილისწამებაში ათანასეს თავის მართლება არ გაძნელება. არ შეშინდა, რომ იმპერატორს ნიკომიდიაში პირადად წარდგომოდა. იმპერატორის ბრძანებით გაამართლეს იგი. მელეტიანებმა მალე ახალი საბეზღებელი წერილი დაუწერეს, – ვითომ ათანასემ ერთ ეპისკოპოსს, – არსენის ჯერ ხელი მოკვეთა და მერე კი მოკლა. გამოგონილი წამებულის გამხმარი ხელიც კი მიიტანეს. არსენი შორეული თეზაიდას მონასტერში იყო დამალული. ათანასეს დროზე შეატყობინეს ეს ამბავი, მან სავანის უფროსი აიძულა, რომ არსენი მისთვის გადაეცა და ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობა იმპერატორს, რომელმაც ისევ უდანაშაულოდ სცნო იგი.

მართლმადიდებლობისათვის მეორე მებრძოლი, – ევსტათი ანტიოქელი ასე წარმატებით ვერ მოქმედებდა. მამხილებელი სიტყვით მან ორივე ევსევის სიძულვილი გამოიწვია, – იმიტომ, რომ სიმართლისადმი მისი სიყვარული ევსევი კესარიელსაც აღიზიანებდა. ნიკომიდიელმა ეპისკოპოსმა მეფისაგან, ნიკეის გარდა, წმიდა ადგილთა მონახულების უფლება მიიღო, გზად კესარიის, სკითოპოლის, ტირის, ლაოდიკიის თანამზრახველ ეპისკოპოსებს მოელაპარაკა და უკან დაბრუნებისას ისინი ყველანი ანტიოქიაში ევსტათის ეწვივნენ. სტუმართმოყვარულად მიიღო ევსტათიმ. უეცრად მის წინააღმდეგ შეიკრიბნენ და მოხუცს თავზედურად ანგარება დააბრალეს. ვერავითრმა თავმართლებამ ვერ შეუნარჩუნა თავის ატირებულ სამწყსოს



ევსტათი, – იმიტომ, რომ მტრებმა მოასწრეს და მის წინააღმდეგ ცილისწამებით ადრევე განაწყეს იმპერატორი. მან თავისი დღენი დევნილობაში, – ფრაკიაში მისი ბედის გამზიარებულ რამდენიმე პრესვიტერთან და დიაკონთან ერთად მყოფმა დაასრულა. მისი ერთ-ერთი თანამზრახველი, – პავლე შემდგომში მეფეთქალაქის კათედრაზე თვითონ გახდა აღმსარებელი. ევსტათის გადამყენებლებს მის ადგილას ევსევი კესარიელის დადგინება უნდოდათ, მაგრამ, როცა ნახა, რომ ანტიოქელი ხალხი აღელდა, ევსევიმ თავადვე თქვა უარი.

ევსტათის ჩამოგდებამ ვერ დააკმაყოფილა ნიკომიდიელი ეპისკოპოსი. მისი სიძულვილის მუდმივი სამიზნე ათანასე იყო. მან ახალი ცილისწამებებით იმპერატორი აიძულა, რომ ათანასეზე სამსჯელოდ ჯერ კესარიაში, ხოლო შემდეგ – ტირში კრება მოეწვიათ. სირიის, მცირე აზიისა და ეგვიპტის სამოცამდე ეპისკოპოსმა, რომელთაგან თითქმის ყველა ევსევის მხარეს ერთგულად იჭერდა, ანტიოქიის არიანელი ეპისკოპოსის, – ფლაკილის თავმჯდომარეობით ცრუ კრება გამართა. დიდი ხნის შეყოვნების შემდეგ ბოლოს მართლმორწმუნე ეპისკოპოსებთან ერთად მობრძანდა ათანასე, – მის მხლებელთა შორის იყვნენ პოტამონი და პაფნუტი, რომელთაც ნიკეის კრებაზე ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული. პოტამონმა, რომელმაც მოსამართლეთა შორის ევსევი კესარიელი დაინახა, არ მოერიდა და ყველას წინაშე ამხილა იგი: – „განა ჩვენ ერთად არ ვიყავით დილეგში მაქსიმინის დროს?!“ – თქვა მან, – „მე იქიდან თვალისა და ფეხის გარეშე გამოვედი, შენ ორივე შეინარჩუნე?!“ – სირცხვილითა და რისხვით სავსე ევსევიმ იქ გაჩერება ვეღარ შეძლო. როცა მეორე აღმსარებელმა, – პაფნუტიმ იერუსალიმის მასავით დაზარალებული ეპისკოპოსი მაქსიმე დაინახა, ცრემლებით მიმართა მას: – „ჩვენ კი ერთნაირი იარები გვაქვს, უღირსთა შეკრებას უნდა ვესწრებოდეთ?!“ – და კრებიდან მასთან ერთად გავიდა. შემდეგ კი ათანასეს წინააღმდეგ ცრუმონაწილობანი დაიწყეს. რაღაში არ სდებდნენ ბრალს: – დაქვემდებარებულ ეპისკოპოსთა მიმართ სასტიკ დამოკიდებ-



ულებაში, იმაში, რომ ალექსანდრიის კათედრაზე არასწორად, – საერთო სურვილის გარეშე იყო დადგენილი, მკრეხელობაში, ვითომდა მისი წაქეზებით, – პრესვიტერი მაკარი სხვა პრესვიტერს, – ისხირასს, მარიოტის ოლქში ლიტურგიკისას მიეჭრა, ნმიდა საზიარებელი ჭურჭელი გადაუყირავა და ბარძიმი გაუტება. ათანასეს მხლებელმა ეპისკოპოსებმა ერთსულოვნად უარყვეს ყველა ბრალდება. მან თავად მშვენივრად წარმოაჩინა, რომ ისხირასისთვის მსგავსს ვერაფერს გააკეთებდნენ, იმიტომ, რომ მას ეკლესია არც ჰქონია, – ის პრესვიტერი არ იყო. მაგრამ ათანასეს მტრებმა მოითხოვეს, რომ ადგილზე მოეხდინათ გამოძიება, ეგვიპტისაკენ ექვსმა, – ყველაზე უფრო არაკეთილგანწყობილმა მოსამართლემ გაცურა. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი კლერიკალები და ხალხი თავიანთი მწყემსის გასამართლებლად მონმობდნენ, მოსამართლეები მაინც ცდილობდნენ, დაემახინჯებინათ ეს მონმობანი. მათ დაბრუნებას არც დალოდებიან, დარჩენილებმა სცადეს, უნესო ცხოვრებაში დაედანაშაულებინათ იგი. კრებაზე შემოიყვანეს ქალი, რომელიც მოთქვამდა, – ათანასემ ნამუსი ამხადაო. უცბად ერთმა ალექსანდრიელმა პრესვიტერმა, ტიმოთემ, ქალს ისე მიმართა, ვითომ ათანასე იყო: – „როგორ, შენზეც მე ვიხმარე ძალა?!“ – შესძახა, – „დაახ, მე შენ ბრალს გდებ!“ – მიუგო ქალმა, რადგან არც შემკითხველსა და არც ბრალდებულს არ იცნობდა. სულელურმა ცილისწამებამ საერთო სიცილი გამოიწვია და ქალი შერცხვენილი გაიყვანეს კრებიდან. ცილისწამებლები უფრო გაღიზიანდნენ. – „როგორა გჯერათ მაგ ვერაგის?“ – ყვიროდნენ, – „მაგას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, მაგან ეპისკოპოსი არსენი მოკლა, აი, ხელი მოკლულისა!“ მათმა მოთქმამ ათანასე ვერ შეაშინა, თავის ერთ შინაურს ანიშნა და კრებაზე თავიდან ფეხებამდე ერთიანად მანტიით დაფარული კაცი შემოიყვანეს. მღვდელმთავარმა თავის მოსამართლეებს ჰკითხა: – „თუ იცნობს რომელიმე თქვენგანი არსენის?“ – და, როცა რამდენიმესაგან დადებითი პასუხი მიიღო, მანტია მოხსნა და ყველასდა გასაოცრად „მკვდარი“ არ-



სენის ჯერ სახე და შემდეგ ორივე ხელი უჩვენა სასამართლოს რისხვისაგან გონდაკარგული ცილისმწამებლები დასახრჩობად მივარდნენ წმიდანს, ახლა ჯადოქარს უძახდნენ, მაგრამ მეფის ერთმა დიდებულმა მკვლელებს ხელიდან გამოგლიჯა ათანასე და იმავ ღამით ჩუმად ალექსანდრიაში გააგზავნა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული სასამართლოზე აღარ იყო, კრება მაინც განაგრძობდა თავის უნესო საქმეებს, დაადანაშაულა იგი და ამის შესახებ იმპერატორს სიგელით აცნობა, თუმცა, განაჩენზე ხელის მონერას რამდენიმე არ დათანხმდა, მათ შორის, - არც მოხუცი მარკილ ანკირელი, რომელიც ბოლოს ამავე ეპისკოპოსებმა მეფეთქალაქში შეკრებისას თვითონაც გადააყენეს. მაშინ კონსტანტინემ, რომელმაც მრავალრიცხოვანი კრება უმთავრესად იმისთვის მოიწვია, რომ წმიდა საფლავზე აღმართული დიდებული ტაძარი ყოფილიყო ნაკურთხი, ყველა ეპისკოპოსს უბრძანა, იერუსალიმში წასულიყო. და განსაკუთრებული სიუხვით მოხდა ქრისტიანობის უპირველესი სინმიდეთაგანის განახლება. ეკლესია ჯვართამაღლების წინ დღემდე ყოველწლიურად აღნიშნავს ამ მოვლენას. მაგრამ იერუსალიმის კრებას დასანანი მოვლენა დაერთო ზედ, - არიოზმა, რომელიც ცდილობდა, თავის მართლმორწმუნეობაში ყველა დაერწმუნებინა, ეპისკოპოსები მოატყუა და ევსევის ძლიერი მხარდაჭერით ეკლესიაში დაბრუნდა.

ათანასემ ამასობაში ალექსანდრია ჩუმად დატოვა და იმპერატორს უეცრად დედაქალაქის ქუჩაში შეხვდა, მისი ცხენი დააკავა და მბრალმდებლებთან ერთად სასამართლოს კიდევ გამართვა სთხოვა. იმპერატორი ჯერ დათანხმდა, მაგრამ შემდეგ დედაქალაქში ეპისკოპოსები შეიკრიბნენ, მართლმადიდებლობისათვის დიად მებრძოლზე ახალი ცილისმამებანი შეთხზეს, - ვითომ მას სატახტო ქალაქის სიკეთე შურდა და ახალ დედაქალაქში ეგვიპტიდან პურის შეტანაში ხელს უშლიდა. ამაზე მეტად, ალბათ, ვერაფერი ატკენდა მეფეს გულს, თავის პირმშოს, - დედალაქს ეკუთვნოდა ეს გული. ათანასეს თავმართლებას მან ყური აღარ ათხოვა და გალიის მთავარ ქა-



ლაქ – ტრევერში გასახლება მიუსაჯა, – იქ მისი ახალგაზრდა შვილი, – კონსტანტინე მმართველობდა. ეპისკოპოსმა იხილა მისი მხარე და მიიღო დიდი დევნილი. იქაც სახელოვნად გაიბრწყინა მისმა კეთილმა საქმეებმა. მართლმადიდებლობის წმიდა სწავლებამ მთელი გალია და იტალია ალავსო, გამოსალაშქრებლად მომზადებული არიანული ერესის წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებდა მათ: რამეთუ მთის მწვერვალზე აშენებულ ქალაქს არ ძალუძდა დამალვა,¹¹⁰ არც სანთელს – ქუეშე ხვამირისა.¹¹¹ ათანასე ისე არ ლაპარაკობდა კონსტანტინეს ნამოქმედარზე, როგორც ეს, შესაძლოა, მისგან შორს მყოფთ ჰგონებოდათ, – დედაქალაქიდან თავის სასწრაფო განდევნასა და მოხერხებული საცხოვრისის შერჩევას იმითი ხსნიდა, რომ მეფე მოძულეთა ხელიდან მის დასახსნელად ზრუნავდა, ტირში უკვე რამდენჯერმე სცადეს დასაპატიმრებლად ხელი ჩაეველოთ მისთვის; ალექსანდრიაში გააფრთხილეს, რომ შხამით მოწამვლას უპირებდნენ. საყვარელი სამწყსოსაგან მოშორება მტკიცედ აიტანა და დევნილობაში მყოფი ახალი გმირობებისთვის ემზადებოდა.

ღმრთივმოშურნეთა სახით მწყემსს სამწყსოც ღირსეული ჰყავდა. ხალხში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ არიოზი, რომელიც იერუსალიმთან ურთიერთობით ამაცობდა, იმედოვნებდა, რომ ალექსანდრიაში ისარგებლებდა ამ ურთიერთობით. მაგრამ იძულებული გახდა, შერცხვენილი გაქცეულიყო დედაქალაქში, სადაც თანამზრახველი ეპისკოპოსები ეკლესიაში მის მიღებას აპირებდნენ. მაგრამ იქ ფხიზლად იყვნენ ასი წლის ეპისკოპოსი, – წმიდა ალექსანდრე და სასწაულთმოქმედი ეპისკოპოსი იაკობ ნიზიბიელი. იმპერატორის წინაშე ალექსანდრემ მკაცრად ამხილა არიოზი და მისი მიმდევრები. მაგრამ არიოზი საშიშად იფიცებოდა, რომ მართლმადიდებელია, თუმც, ნიკეის სიმბოლოს განსხვავებულ შინაარსს გულისხმობდა და, როცა კონსტანტინემ მის მხარეს

¹¹⁰ იხ. მათ. 5: 14;

¹¹¹ იხ. მათ. 5: 15; მარ. 4: 21; ლ. 11: 34; ლ. 8: 16; ლ. 11: 33;



მყოფი ამდენი ეპისკოპოსი ნახა, დოგმატურ კამათში ჩარევა ველარ გაბედა. უკვე ახლოვდებოდა ის დღე, როცა კონსტანტინეს სახალხოვდ უნდა ეღიარებინა ქრისტიე. იაკობის რჩევით, ალექსანდრემ ყველა მართლმორწმუნეს შვიდდღიანი მარხვა დაუდო, თვითონ, საკურთხეველთან დამხობილი, მხურვალე ლოცვით იმ უკერველ კვართს შესთხოვდა უფალს, რომელიც ღმრთისმკრეხელმა არიოზმა დახია, სთხოვდა, რომ, ან დაესრულებინა მისი მოხუცებული სიცოცხლე, რათა ეკლესიის სირცხვილს არ მოსწრებოდა, ან ეკლესიიდან, არიოზის სახით, უღირსობა აღმოეფხვრა. შესმენილ იქნა მართალის ლოცვა: არიოზი ეპისკოპოსთა კრებულთან ერთად ტაძრისაკენ მიდითოდა; მაგრამ, როცა კონსტანტინეს მოედანს მიაღწია, გაჩერებისა და გვერდზე გასვლის საჭიროება იგრძნო; და იქ იყო ამა ქვეყნიდან გასასვლელი საშო, - ფალარათი დაემართა და იუდასებური აღსასრულით დაამთავრა სიცოცხლე ამ მოღალატემ, რომელიც მაცხოვრის ღმერთობას უარყოფდა.

უეცარმა თავსდამტყდარმა ზეციურმა სასჯელმა შეაძრწუნა და გააოგნა მისი მიმდევრები და მართლმადიდებლობის სული გააძლიერა. ცოტა ხნით დაწყნარდა ეკლესია. მაგრამ ამქვეყნად ყოფნის უკვე ცოტა დროლა ჰქონდა დარჩენილი იმას, ვინც ამქვეყნიურ ხელისუფალთაგან პირველი დაემორჩილა მეუფეთა მეუფეს და თავისი მპყრობელური ძალით ქვეყნიერებაზე განამტკიცა ის ეკლესია, რომელიც მანამდე მონამეთა ძვლებზე შენდებოდა. კონსტანტინე სპარსელთა წინააღმდეგ აპირებდა სალაშქროდ წასვლას. მაგრამ მას სულ სხვა გზა ელოდა. მეფეთქალაქში საყოველთაოდ უკანასკნელად აღნიშნა აღდგომა, - დედაქალაქის მოედნები მრავალი ცეცხლით გაანათა იმ არამინიერი ცეცხლის მოსაგონებლად, რომელმაც სამყაროში ქრისტეს საფლავიდან ამოანათა. ამ დროს იგი, როგორც საქვეყნოდ საჩინო მოღვაწე, ეკლესიის სიკეთისათვის დაუცხრომელი მოღვაწე, კეთილი სიტყვით ესაღმებოდა ეპისკოპოსებს, რომელნიც დღესასწაულზე მოსულიყვნენ, ყურადღებით უსმენდა უბრალო ერისკაცს, ევსევო



კესარიელის კათედრიდან წარმოთქმულ ტკბილ სიტყვებს, მგონი
დეგ, როცა ქრისტიანთა სასიკეთო კიდევ რამდენიმე კანონი
გამოსცა, სალაშქროდ წავიდა და მრავალი ეპისკოპოსი იახლა
თან. იორდანის წყალში ეწადა მონათლვა, – წმიდა ნათლობა
ჯერ არ ჰქონდა მიღებული მაგრამ ნიკომიდიის მიდამოებში
სასიკვდილო სნეულება ეწია. როცა აღსასრულის მიახლოება
იგრძნო, მუდარით ითხოვა სულიერი აბანო, ახალგაზრდობის-
დროინდელი ყველა ცოდვა გულწრფელად მოინანია და წმიდა
ნათლობა მიიღო. სამეფო მანტია ახალმონათლულის სპეტაკმა
შესამოსელმა შეუცვალა; თეთრი ნაჭრებით მოირთო მეფის სა-
რეცელიც, საიდანაც, სიკვდილის კარიბჭესთან მდგარი, ახალ
ცხოვრებაში უნდა გადასულიყო. და ზეციური სიხარულით
წავიდა უკეთეს სამყაროში იგი, ვინაც მინიერ დაბრკოლებებს
ჯვრის ძალით სძლია. ტიროდა ხალხი, ტიროდა ეკლესია მაშინ,
როცა დიდი იმპერატორის ცხედარი სულის მოსახსენებელი
საგალობლების შესრულებით თავისივე აშენებულ მოციქულ-
თა ტაძარში გადაასვენეს. აღსრულებულ საქმეთაგან მოცი-
ქულებთან ერთად განისვენა, – წმიდათა დასში შერაცხულმა.

იმპერიის გაყოფა. ათანასეს ბრძოლა არიანელთა წინააღმდეგ

კონსტანტინე დიდის შემდეგ ვრცელი იმპერია მისმა სამმა შვილმა სამ ნაწილად გაყო, იმპერატორის შვილები იყვნენ: კონსტანტინე, კონსტანცი და კონსტანტი. უფროსი იმპერატორის ნაადრევმა გარდაცვალებამ ძმათაშორის ომში უმცროსს გაამარჯვებინა და მთელი აღმოსავლეთის ხელისუფალი იგი გახდა. კონსტანტიმ მცირეხნიან მმართველობაში მოასწრო და სახელგანთქმული დევნილი, – ათანასე ტრევერიდან ალექსანდრიის კათედრაზე დააბრუნა, იქ მას ერთგულ სამწყსოსთან გასახარელი შეხვედრა და მართლმადიდებლობისათვის ახალი დევნა ელოდა. სუსტმა კონსტანციმ, რომელიც ერთი პრესვიტერის ხელში ადვილად ტყუვდებოდა, მთლიანად არიანელთა მხარე დაიჭირა და მის დარბაზებს, სადაც საჭურისები და ქალები ბატონობდნენ, ახლა ღვთისმეტყველების შესახებ ჩხუბიც ზედ დაერთო. მართალია, ერთი ძლიერი ევსევი, კესარიის ცნობილი ეპისკოპოსი, გარდაცვლილი იყო და ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ მრავალ შრომასთან ერთად თავისი რწმენის სინმიდეზე ეჭვიც დატოვა, მაგრამ მეორე ევსევიმ, ნიკომიდიელმა, რომელსაც მეფის ოჯახთან შორეული ნათესაობა აკავშირებდა, უფრო მეტი გავლენა მოიპოვა და, ისევე, როგორც ერთხელ, როცა ვერიტის კათედრიდან ნიკომიდიისაზე წესების დარღვევით გადავიდა, კანონები ახლაც დაარღვია და მეფეთქალაქში წმიდა ალექსანდრეს ადგილი ასე დაიკავა. ასი წლის მღვდელმთავარი, რომელიც აღსასრულის მიახლოებას გრძნობდა, მის გამო ატირებულ ღვთისმსახურებს ეუბნებოდა: – „თუ მწყემსად მალაღჩინოსანი და ამა ქვეყნის ცხოვრებისეულ საქმეებში გამობრძმედილი კაცი გინდათ, მაშინ მაკედონი აირჩიეთ; ხოლო, თუ ისეთი კაცი გინდათ მწყემსად, რომელიც კარგად დაგარიგებთ, გასწავლით, ვინც სამაგალითო



ცხოვრებით ცხოვრობს, მაშინ პავლე აირჩიეთ“. ყველა მართლმადიდებლის საერთო თანხმობით პავლე აარჩიეს, მაგრამ იმპერატორი კონსტანცი არჩევანმა გააღიზიანა და მის ადგილას ევსევი დაადგინა.

ათანასე დიდის წინააღმდეგ ისევ დაიწყო ხრიკები და ცილისწამებანი. ევსეველებმა რომის ეპისკოპოს იულიუსთან, წმიდა სილვესტრის მემკვიდრესთან, მბრალდებლები გაგზავნეს. მაგრამ არც ბრალდებული დარჩენილა უმოქმედოდ, ალექსანდრიაში ასამდე ეგვიპტელი ეპისკოპოსი შეიკრიბა და ირგვლივ ყველა კათოლიკე ეკლესიას მისწერეს წერილები, რომლებშიც კარგად წარმოაჩინეს ყველა ის თავდასხმა, რომელიც არიანელთაგან მიეღოთ და ამონმებდნენ, რომ მათი მწყემსმთავარი უდანაშაულო იყო. ამასობაში, ანტიოქიაში კონსტანტინეს მიერ აშენებული დიდებული ტაძრის საკურთხებლად სხვა კრება გაიმართა. ეპისკოპოსთა უმეტესობა მართლმადიდებელი იყო, მაგრამ მათ ევსევი თავმჯდომარეობდა. დასავლეთიდან არავინ არ ჩასულა, მაქსიმე იერუსალიმელმა მისვლაზე უარი თქვა. არიანელთაგან მთავარი პირები, რადგან გრძნობდნენ, რომ მართლმადიდებლები აჯობებდნენ, რათა მათთან ურთიერთობა შეენარჩუნებინათ, იძულებულნი გახდნენ, უფალ იესოს ღმერთობაზე სარწმუნოების ორი აღსარება გამოეტანათ. ეს ისეთი გამოთქმებით გააკეთეს, – გარეგნულად თითქოს მთლიანად ეთანხმებოდნენ წმიდა დოგმატებს, მაგრამ შინაგანად ორივე არიანული სულით იყო აღსავსე. კრებამ ეკლესიის კეთილმოწყობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. 25 წესი დაადგინა და ისინი ყველგან მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ევსევი კათედრიდან კათედრაზე ხშირად გადადიოდა, ასეთი გადასვლები და ეპისკოპოსთა არჩევნები ადგილობრივი მიტროპოლიტის ნებართვის გარეშე მკაცრად აიკრძალა. ამ ნებართვის გარეშე კლერიკალის მიღება ან ერთი ეპარქიიდან განკვეთილი კლერიკალის მეორეში გადასვლა დაუშვებლად იქნა მიჩნეული. აიკრძალა ოლქის კრებაზე იმპერატორთან ჩივილი. ეს კრება ნელინაღში ორჯელ უნდა



გამართულიყო. ქორეპისკოპოსს ნება არ ეძლეოდა, თავისი სულიწმინდის საზღვრებს გადასცდენოდა. იპოლიტოსისა და მკითხველის გარდა, არავის კურთხევა მას არ შეეძლო. ეპისკოპოსს ნება მიეცა, თავისუფლად ემართა ეკლესიის მთელი შემოსავალი, - ოღონდ, თავისი გადაწყვეტილებების შესახებ ყველა სასულიერო პირისათვის უნდა ეცნობებინა. დადგინდა, რომ აღდგომა, ნიკეის კანონების თანახმად, ყველგან ერთდროულად გამართულიყო.

ანტიოქიის კრების დასრულების შემდეგ ევსევის ერთგულმა ორმოცამდე ეპისკოპოსმა იმ ახალი კანონის სიმკაცრით ისარგებლა, რომლის თანახმად, თავიანთი კათედრებიდან წასულებმა ჩივილით იმპერატორს არ უნდა მიმართონ. ეს კანონი ათანასეს წინააღმდეგ გამოიყენეს და, მეფის იქ ყოფნით გათამამებულებმა, ათანასეს ადგილას ვინმე კაბადოკიელ გრიგოლს დაასხეს ხელი. კონსტანტინე ეგვიპტეში მის დასამკვიდრებლად მეომრების გაგზავნა გადაწყვიტა და ამის აღსრულება თავის ნაცვალს, - ფილაგრუს დაავალა. ალექსანდრიის ეკლესიაში ფილაგრემ სისხლითა და მკრეხელობით დასვა გრიგოლი. მთავარი ეკლესია იერიშით აიღეს. ეზო, სადაც სამრეკლო იყო, ცეცხლს მისცეს. შენაწირი ძირს დაყარეს და რომაელმა მეომრებმა წმიდა ტრაპეზზე წარმართული მსხვერპლი შესწირეს. ქალწულები შერყვნეს. სალოცავად შეკრებილი ხალხი სცემეს. აღდგომა ახლოვდებოდა და ათანასეს ეკლესიის მართლმადიდებლებს იგივე ბედი ელოდა. ისინი საკათედრო ტაძარში იკრიბებოდნენ. მაგრამ მოყვარულმა მწყემსმა დაღუპვისაგან იხსნა შვილები იმით, რომ ნებაყოფლობით წავიდა, - ჩუმად რომში გაიპარა, - ოღონდ ჯერ ირგვლივ დაგზავნილი ეპისტოლეებით არიანული სისულელე ამხილა, ყველა ეპისკოპოსს მოუწოდა, რომ მართალი სარწმუნოება მტკიცედ დაეცვა.

მის შემდეგ ეგვიპტეში ღირსი მეტროპოლი, - ანტონი დიდი დარჩა. როცა ანტონიმ შეიტყო, რომ გრიგოლი თავის ოლქში მეფის ზედამხედველებთან ერთად მიმოდის, რომ აწამებს და მასთან დადგომას ასე აიძულებს მართლებს, და - ის, რომ



მან სახელგანთქმული აღმსარებელი, – ეპისკოპოსი მოკლა კიდეც, უღირი მწყემსი წერილით დაგმო და მისი ნების სასტიკი აღმასრულებლის, – ბალაკის მსგავსი მოულოდნელი სიკვდილი უწინასწარმეტყველა, – ბალაკი ხუთი დღის წინ ცხენმა დარტყმით მოკლა.

თავის მდევნელთა სასამართლოს მოლოდინში ათანასე რომში დასახლდა, იქ წმიდა ანტონის მოსაგრობათა ამბების თხრობით დასავლეთს მონაზვნური ცხოვრება გააცნო. პირველი, ვინც ამგვარი ცხოვრების სურვილი გამოთქვა, ეს იყო დედაქალაქის ერთ-ერთი სახელგანთქმული ქალი, – მარკელა. რომაელი ეპისკოპოსის დაძახილზე მას სხვა ისეთებმაც მიმართეს, რომლებიც თავიანთი კათედრებიდან ჩამოეშორებინათ, ესენი იყვნენ: მარკელ ანკირელი, ასკლენი ღაზელი, ლუკა ანდრიანოპოლელი, სხვა მრავალი აღმოსავლელი, რომელსაც არიანელები, თავიანთი უმთავრესი მფარველის, – ევსევის გარდაცვალების მიუხედავად, მაინც დევნიდნენ. პავლე აღმსარებელი სამეფო ქალაქის კათედრაზე ისევ დაბრუნდა, მაგრამ თეოგნოსტე ნიკეელმა და თეოდორე ჰერაკლიელმა მის ადგილას მაკედონი დაადგინეს, რითაც ხალხში უკმაყოფილება გამოიწვიეს და პავლეს განდევნაში ისევ დადანაშაულებულები აღმოჩნდნენ.

ათანასეს მტრებმა რომის კათედრას ათანასესადმი საჩივრით მიმართეს. მაგრამ, რადგან ეშინოდათ, რომ ათანასე თავად იქნებოდა ძველ დედაქალაქში, ვერ ბედავდნენ, გამოცხადებულიყვნენ კრებაზე, რომელზედაც პაპმა იულიუსმა მიიწვია ისინი. ამიტომ პაპის მიერ გაგზავნილი პრესვიტერები ანტიოქიაში დიდხანს დააყოვნეს და ბოლოს, როცა გაუშვეს, საპასუხო წერილი გაატანეს პაპთან. მასში უარს აცხადებდნენ საქმის ახალ გარჩევაზე, – იმ საბაბით, რომ ტირისა და სამეფო ქალაქის კრებებზე ერთხელ უკვე გადაწყდა საქმე. მაშინ იულიუსმა რომში ორმოცდაათი ეპისკოპოსის საერთო თანხმობით გაამართლა ათანასე და მარკელი, რომელნიც ძე ღმერთის შესახებ არასწორ გამონათქვამებში იყვნენ დადანაშაულებ-



ულნი და აღმოსავლეთის ეპისკოპოსებისადმი გაგზავნილ ცელ ეპისტოლეში იგი სათანადო თავმდაბლობის გამოჩენით უხსნიდა მათ, რომ ორივე კრებაზე არასწორად მოექცნენ ათანასეს. უსამართლობა იყო, როცა ძალით ჩამოართვეს კათედრა, რომელზედაც გრიგოლის უგუნურობებმა იჩინა თავი. გრიგოლს ამ კათედრაზე ასვლის უფლება არ ჰქონდა, - იმიტომ, რომ ეგვიპტელიც არ იყო და თავის სამღვდულოებას არ აურჩევია. იულიუსი მარკელ ანკირელის აზრს ამართლებდა და იქით სდებდა მათ ბრალს იმაში, რომ მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას არ დაემორჩილნენ და არიოზი დაიბრუნეს. ამბობდა, რომ პირველხარისხოვანი კათედრის მღვდელმთავრის, - ათანასეს საქმე, ძველთაგან მიღებული წესებისდა თანახმად, რომისა და სხვა ეკლესიების საერთო თანხმობის გარეშე არ უნდა გადაეწყვეტათ.

მხოლოდ ეპისტოლეთი არ დაკმაყოფილდა და პაპი იმპერატორ კონსტანტინსაც დაუკავშირდა, - გადაყენებული ათანასესა და პავლეს თანადგომას ითხოვდა. კონსტანტიმ ამის შესახებ თავის მეფე ძმას მისწერა, რომელმაც, თავის მხრივ, გალიაში ათანასესადმი ყველაზე უფრო მტრულად განწყობილი ოთხი ეპისკოპოსი გაუგზავნა. მაგრამ მათმა მლიქვნელურმა საუბარმა კონსტანტიზე ვერ იმოქმედა, ტრევეის ეპისკოპოსს, - მაქსიმინსაც არ უნდოდა მათი მოსმენა, - იმიტომ, რომ ისინი, თავიანთ მხრივ, ათანასესთან ურთიერთობას გაურბოდნენ.

გავიდა სამი წელი. ამასობაში არიანელმა ეპისკოპოსებმა ანტიოქიაში სარწმუნოების კიდევ ორი სიმბოლო გამოაქვეყნეს, რათა ნიკეის გადმოცემა როგორმე მოეშორებინათ და თავიანთი მეოთხე, - საკმაოდ ვრცელი მრწამსი მედიოლანში გაგზავნეს. იქ იმპერატორ კონსტანტინსა და ათანასე დიდის მონაწილეობით რამდენიმე ეპისკოპოსი შეიკრიბა. მაგრამ, აღმოსავლელ ეპისკოპოსთა ყველა მტკიცების მიუხედავად, ახალი მრწამსის მიღება დასავლელთაგან არავის სურდა, - იმიტომ, რომ მთელი ეკლესიის მიერ აღიარებულ, გასაგებად გადმოცემულ ნიკეის სიმბოლოს იგი არ თანხვდებოდა. მაშინ იმპერატორს



სთხოვეს, დაერწმუნებინა ძმა, რომ ორი იმპერიის საზღვარზე მოწვევით კრება, რათა შეერთებულიყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები.

აღმოსავლეთის ასი და დასავლეთის სამოცდაათი ეპისკოპოსის სულიერი ერთობისათვის ილირიის ქალაქი სარდიკი შეარჩიეს. სახელოვან ადამიანებად აქ მიჩნეულნი იყვნენ: ოსია კორდუბელი, რომელიც, ისევე, როგორც ნიკეის კრებაზე, აქაც თავმჯდომარე იყო; პროტოგენ სარდინელი, პროტასი მედიოლანელი, მაქსიმე ტრევერელი, სევერი რავენელი, ვერისიმლიონელი, ევფრატ კოლონელი, გრატ კართაგენელი. იულიუს რომაელმა მოიბოდიშა, რომ ეპარქიაში ბევრი საქმე ჰქონდა და ამიტომ ვერ შეძლო ჩასვლა. აღმოსავლელთა მხრიდან კრებაზე წარდგნენ: თეოდორე, ნარკისი და მარკოზი, რომელთაც ათანასეს სიძულვილით უკვე განთქმული ჰქონდათ სახელი; სტეფანე, რომელმაც ანტიოქიაში ფლაკილის ადგილი დაიკავა; აკაკი, – ევსევი კესარიელის შემცველი; მინოფანტ ეფესელი, ურზასი და ვალენტი, რომელნიც მეზობელი ოლქებიდან – მიზიიდან და პანონიიდან იყვნენ; ბასილი და კვინტიანე, – მარკელ ანკირელისა და ასკლეპი ღაზელის კათედრებზე დადგინებულნი; ისხირასი, რომელსაც ათანასეს მტრებმა მხოლოდ იმიტომ დაასხეს ეპისკოპოსად ხელი, რომ ეგვიპტეში ათანასეზე ცილისწამებებით გაითქვა სახელი. იგივე უკმაყოფილების სული სდევდა მათ ამ კრებაზე. ისინი ცალკე დარბაზებში იკრიბებოდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ, დიდი ოსია მოუწოდებდა, არ გაეკეთებინათ ეს, დასავლელებთან ურთიერთობას გაურბოდნენ, – იმიტომ, რომ მეფის მფარველობა ვერ იცავდა და მბრალმდებლებს შორის კრებაზე იმათ ხედავდნენ, ვისაც აღმოსავლეთში დევნიდნენ; ეშინოდათ, იქით არ გაესამართლებინა ისინი ეკლესიას. უფრო მეტად მაშინ შეშფოთდნენ, როცა მათი ორი თანმხლები, – ალექსანდრიის ეპისკოპოსი მაკარი და ასტერი არაბიელი ათანასე დიდის მხარეს გადავიდნენ და კრების წინაშე ამხილეს, თუ როგორ სდევნიდნენ ათანასეს. რათა ასე მძიმე მდგომარეობიდან გამოსულიყვნენ, აღმოსავ-



ლელი ეპისკოპოსები იმ საბაბით, რომ დასავლელთ ბრალდებულებთან უსამართლო დამოკიდებულება ჰქონდათ, თავისი თავიანთი კრებაზე გამოჩენის ნებას არავის აძლევდნენ, - თუმცა, დასავლელთა შეხედულებებს იზიარებდნენ და არიანულ ერესს გაუბრუნდნენ. აღმოსავლელთა უმთავრესი მოთხოვნა ის იყო, რომ განეკვეთათ ათანასე და ეგვიპტეში ჩადენილი მისი ახალი დანაშაულობანი გამოეძიათ. მაგრამ, რადგან დასავლელებმა კარგად იცოდნენ, რომ მათზე გრიგოლი ზემოქმედებდა, კრებას სთავაზობდნენ, მოეწვიათ ბრალდებული და პირადად მისგან გამოეკითხათ ყველაფერი. ბოლოს, აღმოსავლელებმა მოიბოდიშეს, - იმპერატორი კონსტანცი გვიხმობსო და უცბად ფრაკიის ქალაქ ფილოპოლში წავიდა ყველა, - კრებაზე მხოლოდ დასავლელი დატოვეს, მათ კი ათანასე, მარკელი და ასკლეპი ისევ ერთხმად გაამართლეს და თეოგნოსტე ნიკეელი კი გაამტყუნეს იმის გამო, რომ მეფისათვის ყალბ სიგელებს ქმნიდნენ და მთავარ თანამზრახველებთან ერთად ეკლესიიდან განკვეთეს.

კრებამ თავისი გადანყვეტილების შესახებ იმპერატორს, ყველა ეპისკოპოსს, იულიუსს და ალექსანდრიის ეკლესიას აცნობა. მაგრამ უპირველესად ის დაადგინა მტკიცედ, რომ, ნიკეის კრებაზე მიღებულის გარდა, სხვა მრწამსის მიღება აღარ ეცადათ, რათა არიოზის მიმდევართათვის იმისი საშუალება არ მიეცათ, რომ გრძელსა და ძნელადგასაგებ ფორმულებში ნატიფად შეეპარებინათ ერესი. ოსია კორდუბელმა, სხვა ეპისკოპოსთა თანხმობით, ოცი ახალი წესიც შეადგინა, ისინი მთელმა ეკლესიამ სცნო. იკრძალებოდა: საკუთარი ნებით ეპისკოპოსების ერთი კათედრიდან მეორეზე გადასვლა, პატარა ქალაქებში, ოლქის კრების ნების გარეშე, მათი დიდრიცხოვნობით დადგინება; იკრძალებოდა იმპერატორთან საჩივრულად, - იმის მუქარით ხშირი სიარული, რომ კანონების დაუმორჩილებლობისათვის ვინმეს გადააყენებდნენ; ეპისკოპოსებს მკაცრად აეკრძალათ, რომ საქადაგებლად სხვა ეპარქიებში შეჩერებულიყვნენ ან სხვა სასულიერო პირთაგან განკვეთილები



თავისთან მიელოთ; სამღვდელმთავრო კათედრებზე მხოლოდ ხარისხებში უკვე გამოცდილი დიაკვნები და მღვდლები უნდა აერჩიათ, - ახალმოქცეულები, შესაძლოა, ჯერ თავადაც ვერ ყოფილიყვნენ მტკიცენი. რადგან კრება ძირითადად დასავლელთაგან შედგებოდა და მათ შორის რომის ტახტი პირველობდა, ისევე, როგორც აღმოსავლეთში - ალექსანდრიისა და ანტიოქიის ტახტები, ამიტომ ოსია კორდუბელმა კრებას შესთავაზა, ნეტარი პავლესათვის პატივი მიეგოთ და სახალხოდ გასამართლებული ეპისკოპოსებისათვის შეეთავაზებინათ, რომ ეპისკოპოს იულიუსისათვის, თუ კი იგი წყალობას მოიღებდა, მათი საქმის გადახედვა ეთხოვათ. დასავლელ ეპისკოპოსებს ათანასე დიდის მტკიცე დამცველის, - იულიუსისადმი პირადი ვატივისცემა ჰქონდათ და მის სამართალს ნდობით მოეკიდნენ.

სარდინიის კრებასთან დამოკიდებულებაში მხოლოდ მაცურებლებად არ დარჩენილან იქიდან ფილიპოლისში გაქცეული ეპისკოპოსები. მათ წერილები დაუგზავნეს გრიგოლ ალექსანდრიელს, ანთიმოზ ნიკომიდიელს, კართაგენში დონატისტთა უკანონო ეპისკოპოსს, - დონატს და სხვებს, რომლებიც კათოლიკე ეკლესიის ხმამაღალი სახელით იხსენიებდნენ თავს და რომლებიც ჩიოდნენ, რომ კრებამ ყველა წესი დაარღვია, როცა დამნაშავესთან ურთიერთობა დაიწყო, მისი მძიმე დანაშაულობანი დამალა, საბელიოზის ერესის განმარტებელი, - მარკელი გაამართლა და კათედრაზე პავლე, ასკლეპიოსი და ლუკა აღადგინა მას შემდეგ, რაც მათ რომის ეპისკოპოსი და იმპერატორი დაიხმარეს. ამიტომაც იყო, რომ გასამართლებულებთან ერთად ეკლესიიდან იულიუსი, ოსია, პროტოგენი და მაქსიმინიც განკვეთესო. ამის შემდეგ აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთი ხანობა უთანხმოებაში იყვნენ და იმპერიათა საზღვრები ეკლესიათა საზღვრებადაც იქცა. ამასობაში, არიანელთა ძალადობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა: ლუკა ადრიანოპოლელი თავისი ეკლესიის რამდენიმე სასულიერო პირთან ერთად აწამეს და ეს - იმიტომ, რომ მათ სარდიკიიდან გაქცეულებთან ურთიერთობა არ სურდათ. ორი ეპისკოპოსი,



რომელიც იქ მართლმადიდებელთა მხარეს გადავიდა, ლამის უდაბნოებში გაასახლეს. ალექსანდრიიდან რამდენიმე ვიტიერი იმიტომ განდევნეს, რომ თავიანთ კანონიერ მწყემსს ემორჩილებოდნენ. თუ კი ათანასე გამოჩნდებოდა, მისი მოკვლის ნებასაც კი იძლეოდნენ.

იმპერატორმა კონსტანტიმ, რომელსაც დარღვეული ერთობის აღდგენა უნდოდა, დასავლელ ეპისკოპოსთა რჩევით, მედიოლანში მცირე კრება მოიწვია. ამ კრებამ წმიდა სამების წევრთა მკრეხელური აღრევის გამო სირმიუმის ეპისკოპოსი, - ფოტი გადააყენა, ილირიის ეპისკოპოსებს, - ურზასსა და ვალენტინს სასჯელი ახსნა, რადგან მოინანიეს ჩადენილი. ორი შერჩეული ხუცესი მეფის ძმას ანტიოქიაში კონსტანტის სამეფო სიგელით ეახლა და იქ ლამის არიანელთა მსხვერპლად შეიქმნა, ესენი იყვნენ კაპუის ეპისკოპოსი, - ბიკენტი და ევფრატ კოლონი. სტეფანე ანტიოქელს ამ ხუცესთა კეთილი ზეგავლენის ეშინოდა და შეეცადა, მეფის თვალში მათი სახელი დაეკნინებინა, - გარყვნილი ახალგაზრდები მოისყიდა და ხუცესთა საცხოვრისში მეძავი ქალი შეიყვანეს. მაგრამ ჩადენილი უკან შეუტრიალდა და თანამზრახველთა მიერ ვერაგობაში აშკარად მხილებული ეპისკოპოსთა სასამართლოს მიერ კათედრიდან გადააყენეს. კონსტანცი შეძრწუნდა და არიანული პირფერობისაგან დაბინდული თვალები ერთი ხანობა აეხილა. ალექსანდრიელი პრესვიტერები და დიაკვნები მაშინვე დააბრუნა გასახლებიდან და, როცა გაიგო, რომ, ეგვიპტის კათედრაზე ძალით დადგინებული გრიგოლი გარდაიცვალა, დიდ მღვდელმთავარს წერილით სთხოვა დაბრუნება. მეფის ნების ასრულებას არ ჩქარობდა ათანასე, ეჭვი ჰქონდა, რომ ისევ დასჯიდნენ. მხოლოდ ორგზისი თხოვნის შემდეგ დაადგა გზას, ოღონდ, ჯერ მედიოლანში მეფე კონსტანტი, შემდეგ - რომში ეპისკოპოსი იულიუსი მოინახულა, რათა ექვსი წლის განმავლობაში დევნილობის დროს გამოჩენილი სტუმართმოყვარეობისათვის მადლობა ეთქვა. ბოლოს ანტიოქიაში წარდგა. მაგრამ ჩვეული სიმტკიცე იქაც გამოავლინა, - მიუხედავად იმისა, რომ



ამას მისგან მეფე ითხოვდა, ათანასე ქალაქის ახალ ეპისკოპოსს ლეონტისთან ურთიერთობას არ ამყარებდა. ლეონტი, მართალია, არიანელებთან დიდ სიახლოვეს არ იჩენდა, მაგრამ შორს იდგა მართლმადიდებლებისგანაც, რომლებიც თავიანთი ყოფილი მწყემსის, – ეგსტათის ერთგულები რჩებოდნენ. ლეონტი სამი ჰიპოსტასის თანაბრობას არ სცნობდა, ვერ გადაეწყვიტა, რომ წმიდა სამების შესახებ ეს სიტყვები წარმოეთქვა: „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“ და არიანული ჩვეულები-სდა მიხედვით ასე ამბობდა: „დიდება მამასა მეოხებითა ძისა წმიდასა სულში“, ორ მხარეს შორის მერყეობდა და დანაშაუ-ლებრივ მწვალებლურ სიტყვებს იმეორებდა. ათანასე ამაოდ სთხოვდა იმპერატორს, რომ მართლმადიდებლებისათვის ან-ტიოქიაში საკუთრად ერთი ეკლესია მაინც მიეცათ, იმაზეც კი თანახმა იყო, რომ ალექსანდრიაში თავისი ეკლესია არიანელ-თათვის დაეთმო, მაგრამ მათი სიჯიუტის დათრგუნვა ვერ შე-ძლო. თუმც, იგი დიდი პატივით, მეფის სიგელებით აღჭურვი-ლი, გაგზავნეს ანტიოქიაში. მართლმადიდებელი ეპისკოპოსები მთელ გზაზე სიყვარულით ხვდებოდნენ, განსაკუთებული სი-ყვარულით მაქსიმე იერუსალიმელი შეხვდა. წმიდა ქალაქში მართლმადიდებლობისათვის მებრძოლთან შესახვედრად ბევ-რი შეიკრიბა. უფრო დიდი ზეიმით კი თავისი ერთგული სამ-წყსო შეეგება ათანასეს. უსაზღვრო სიხარული იდგა: ლიბიისა და ეგვიპტის ყველა მხარიდან ისწრაფვოდნენ ეპისკოპოსები, ღმერთს ადიდებდნენ თავიანთი მწყემსის გადარჩენის გამო, ქალწულები და ქაბუკები სულიერი სიხარულის ნიშნად ღმერ-თის სამსახურს უძღვნიდნენ თავს.

ასკლეპი ღაზელი, მარკელ ანკირელი და პავლე კონსტან-ტინეპოლელი ერთხანს თავიანთ კათედრებს დაუბრუნდნენ. მაშინ გრატამაც, კართაგენის კანონიერმა მწყემსმა, კონსტანტი იმპერატორს სთხოვა, რომ აფრიკის ოლქის მართლმადიდე-ბელი ეკლესიების მოსამარაგებლად და დონატისტებისათ-ვის თვალყურის სადევნებლად ორი დიდებული გაეგზავნათ, – იმიტომ, რომ მათი მთავარი ეპისკოპოსი, – დონატი, რო-



მელიც კართაგენელის ტიტულით იხსენიებდა თავს, მართლ-
 მადიდებლებს ყველანაირად ავინროვებდა. მას მოსახლეობის
 ერთი უგნური ბრბო ეხმარებოდა, ისინი ცირკუმცელიონებად
 იხსენიებდნენ თავს, - იმიტომ, რომ სოფლებს გარშემო უფ-
 ლიდნენ და ყაჩაღობდნენ და მკვლელობდნენ. ამჯერად იქ ჩა-
 სულ დიდებულებს აუშხედრდნენ და ეს კი თავად მათთვის
 გახდა დამლუპველი, - დონატისტთაგან მრავალი დაუბრუნდა
 მართლმადიდებლობას, - იმიტომ, რომ შეზიზღლათ ცირკუმ-
 ცელიონების საქმეები. ამ შემთხვევის გამო გრატმა კართა-
 გენში კრება მოიწვია, კრებამ ახალი კანონები შემოიღო, ეს
 კანონები სხვა კრებებზე შეივსო. უპირველესად დონატისტთა
 მთავარ ერესს მიექცა ყურადღება, - ნიკეის კრების კანონებით
 აიკრძალა იმათი მონათლვა, ვინც, მართალია, განდგომილე-
 ბი, მაგრამ, - წმიდა სამების სახელით იყვნენ მონათლულები.
 ასევე მიუღებელად მიიჩნიეს, მონამეებად შეერაცხათ ისინი,
 ვინც დონატისტობის დროს იბრძოდნენ რწმენისთვის და ამ
 დროს დააპატიმრეს ან მოკლეს. კართაგენელმა მამებმა სა-
 სულიერო პირებს აღუდგინეს ის კანონი, რომელიც საყო-
 ფაცხოვრებო ყიდვა-გაყიდვით საქმიანობაში გადართვას, ფუ-
 ლის მონაგებისათვის გაცემას და თავის მწყემსთა მორჩილები-
 დან გასვლას კრძალავდა. მათი საქმეების გასასამართლებლად
 მოსამართლეთა რაოდენობა განსაზღვრეს: სამი - დიაკვნისთ-
 ვის, ექვსი - მღვდლისა და თორმეტი - ეპისკოპოსისთვის.

იმპერიაში ეკლესიის დროებითი სიმშვიდე მაშინ დაირღვა,
 როცა დევნა სპარსმა მეფე საპორმა, - მოგვმა და ცეცხლთაყვა-
 ნისმცემელმა, დაიწყო. მას ებრაელები დაუდგნენ გვერდით და
 პირველი მსხვერპლიც გამოჩნდა, - ესენი ეკლესიის მსახურები
 იყვნენ. მოხუცი სვიმონი, სამეფო ქალაქების, - სელევკიისა და
 ქტეზიფონის არქიეპისკოპოსი, შებორკილი წარუდგინეს მეფეს
 და ამჯერად სათანადო წესებით აღარ მისაღმებია მას, რადგან
 მეფის წინაშე იდგა როგორც აღმსარებელი, სასამართლოზე
 წარდგენილი, და არა როგორც - ხელქვეითი. მან ვაჟკაცურად
 თქვა, რომ უარს ამბობს ცეცხლთაყვანისცემაზე და დილეგში



ნაცვანილმა ერთი ევნუხი, სახელად, - უსტახზადი, საშველო აღმზრდელი, სულმდაბლობაში, - იმაში ამხილა, რომ რწმენას ადამიანთა სასარგებლოდ უღალატა. მწყემსის საყვედური ვერ აიტანა უსტახზადმა, შავი ტანისამოსით შებურვილი და მწარედ ატირებული მეფის დარბაზებში მივიდა. „მე შენ მოგატყუე“, - უთხრა თავის აღზრდილ საპორს, - „არა ვარ ღირსი, იმ მზეს ვუყურო, რომელსაც ისე ვცემდი თავყანს, როგორც ღმერთს, დამსაჯე!“ გაოგნდა მეფე, ალერსიანი სიტყვებით ცდილობდა, გადაეთქმევინებინა მოხუცისთვის, მაგრამ, როცა მისი შეუდრეკლობა ნახა, სასიკვდილოდ გაიმეტა. უსტახზადმა სიხარულით მოისმინა განაჩენი და მეფეს მარტო ერთი წყალობა სთხოვა, - ხალხში გამოეცხადებინა, თუ რა დანაშაულისათვის ისჯებოდა უსტახზადი სიცოცხლის ფასად. სურვილი აღუსრულეს და მაგალითს მიმბაძველებიც გამოუჩნდა. მეორე დღეს მთავარეპისკოპოსი სვიმონი და, მასთან ერთად, ასი კლერიკალი, რომლებიც მოგვთა მიერ რომის მომხრეობაში იყო დადანაშაულებული, სიკვდილით დასაჯეს. სვიმონმა, რომელიც სიკვდილის წინ ყოველ მათგანს ამხნევებდა, თვითონ ბოლოს დადო საქონდრაქეზე თავი. სპარსეთის მხარეებში ერთი წლის შემდეგ ყველა ჩინის ქრისტიანთა უკვე დიდი რაოდენობა იყო დაღუპული და, რადგან, მათ შორის მეფისათვის საყვარელი ევნუხი, - აზატიც მოხვდა, მისი სიკვდილით დადარდიანებულიმა საპორმა ბრძანა, რომ მხოლოდ კლერიკალები დაეხოცათ. წმიდა სვიმონის მემკვიდრემ, სადოკმა, თავისი სამწყსოს ასოცდაათ სასულიერო პირთან ერთად, მეფის წინაშე ასევე აღიარა ქრისტესადმი რწმენან და ბორკილებში ბევრი ტანჯვისა და სახალხოდ ცემის შემდეგ თავისი აღმსარებლობა სისხლით აღბეჭდა. სპარსთა ცრუმორწმუნეობის მსხვერპლი გახდა სვიმონის ორი დაც, რომელიც ჯადოქრობაში და დედოფლის ყალბ მკურნალობაში დაადანაშაულეს. კიდევ ერთი სახელგანთქმული ეპისკოპოსი ევნო, - აკუპსი, - ეპისკოპოსი ადიამენისა; მასთან ერთად ორი მღვდელი, - იაკობი და აითალე და ორი დაიკონი, - არადამი და აბდიესი ეწამნენ, ისინი აღმსარე-

ბლობასა და მონამეობაში მისი ერთგულები დარჩნენ. ლენათა თანამედროვე მატინის თანახმად, საპორის სასტიკი დევნის დროს ოცდასამამდე ეპისკოპოსმა, დაახლოებით ორასორმოდგაათამდე კლერიკალმა და თექვსმეტი ათასზე მეტმა საერო პირმა შესწირა ღმერთს მსხვერპლად თავი.

საპორი ჯარებით რომის მისადგომებისაკენ დაიძრა და მოსაზღვრე ქალაქ ნიზიბინს შემოარტყა ალყა. მაგრამ იქ ყველაზე უფრო ძლიერ წინააღმდეგობას ნაანყდა, – ეს იყო ლოცვა სასწაულთმოქმედი ეპისკოპოსის, – იაკობისა. სპარსთა მეფემ ქალაქის კედლების ნაწილი დაანგრია და ნანგრევთა მიღმა თავიანთი მწყემსის მიერ გამხნევებული მოქალაქეების მიერ აღმართულ მტკიცე კედელს გადაანყდა გაოცებული. მტერს იმ სასაკლაოებზე თავად იმპერატორი კონსტანცი უდგა თვალნინ, თუმც, მეფე უშუალოდ იქ არ იმყოფებოდა. მოალყეებს მებრძოლი სული დაუსუსტდათ. წმიდა იაკობი და მისი დიაკონი ეფრემი კედლებს ლოცვით უვლიდნენ. შემოსეული ლეგიონები უკან წავიდნენ. მათ უთვალავმა, – მოულოდნელად შესეულმა მწერმაც აურია თავგზა. ამ მწერებმა ბანაკში ცხენები და სპილოები გააგიჟეს. მალე, ქალაქის გათავისუფლების შემდეგ, აღესრულა დიდი მწყემსი და, რათა ქალაქი მომავალში უცხოტომელთა შემოსევისაგან დაეცვა, გალავნის შიგნით დაკრძალეს. მან ზნეობაში დამმოძღვრავი, სირიულ ენაზე დაწერილი, ბევრი თხზულება დაუტოვა შთამომავლობას.

მოულოდნელმა ცნობამ იმის შესახებ, რომ გალიაში ძმა მოუკლეს, კონსტანცი აიძულა, ნიზიბინის დაცვის ნაცვლად, დასავლეთში წასულიყო. მემამბოხე მაგნენციუსმა იმპერატორად გამოაცხადა თავი. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ სხვა მხედართმთავარმა, ვეტრანიონმა – პანონში, მეფის ძმისშვილმა, – ნეპოტიანმა კი – რომში, შემოისხეს სამეფო მანტიები. მაგრამ დიდი კონსტანტინეს სიყვარული ლეგიონებსა და ხალხის გულში ჯერაც ცოცხლობდა. ვეტრანიონი იძულებული გახადეს, მანტიაზე უარი ეთქვა. მან განმარტოებაში დაასრულა ცხოვრება. მაგნენციუსი, რომელმაც ნეპოტიანი

დაამარცხა, იმპერატორთან წარუმატებელ ომში ჯარისკაცთა ხელით დაიღუპა. კონსტანცი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთადერთი ხელისუფალი გახდა. მას არ დავინწყებია თავისი ორი სხვა ძმისშვილი, - გალი და იულიანი, რომელიც ევსევი ნიკომიდიელის მეთვალყურეობით გაიზარდა და მას შემდეგ, რაც ეკლესიაში მკითხველის წოდება ჰქონდათ მიღებული, მათგან უფროსი კეისრად გამოაცხადა. მაგრამ სამი წლის შემდეგ ამა კეისარმა სპარსელებზე გამარჯვებითა და სირიაში იუდაური ამბოხების ჩაქრობით იმპერატორს ეჭვები აუშალა, ანტიოქიიდან დასავლეთში გაიხმო იგი იმპერატორმა და მოკლა. უმცროსმა იულიანემ, ეკლესიის მომავალმა მღვდელმა, რომელიც სოფისტებთან და მცირე აზიის რიტორებთან იმდროიდან წარმართული ფილოსოფიის შხამით უკვე იკვებებოდა, წვალებით მიაღწია იმას, რომ ბიძისაგან ათენში სწავლის დასრულების ნება მიიღო და მან იქ ფილოსოფოსის მანტია მოისხა.

ასე რომ, რომის იმპერიაში კონსტანტინესეული ერთმართველობა, მისი უმცროსი შვილის სახით, ისევ განმეორდა. ზეცაზე კი ოდესღაც კონსტანტინეს მიერ ხილული სასწაული განმეორდა ჯვრისა: ნათელ აისზე, გოლგოთიდან ელეონამდე, სამი ვერსის სიგრძეზე, ბრწყინვალე ჯვარი გარდაისახა ცაზე. წმიდა ქალაქის ყველა მცხოვრები მონინებით შესცქეროდა ზეციურ ნიშანს. წმიდა კირილემ, იერუსალიმის ეპისკოპოსმა, მაქსიმეს მემკვიდრემ, რომელიც შემდგომ სარწმუნოების მტკიცე აღსარებითა და ქრისტიანობის მიმღებთათვის დამრიგებლური ქადაგებებით გახდა ცნობილი, ამ მოვლენის შესახებ იმპერატორს სიგელით აცნობა და ეკლესიამ დაადგინა, რომ მომავალ თაობებს ეს დღე შვიდ მაისს ეზიმიათ.

კონსტანცის ერთმმართველობა. ათანასესა და მართლმადიდებელთა დევნა

ქრისტეს შობიდან 350-ე წელი

მაგრამ, სიკეთის კეთების სურვილთან ერთად, ამპარტავნობაც შემოეძალა კონსტანცის. არიანელმა ეპისკოპოსებმა მისი ამგვარი განწყობილებით ისარგებლეს და მართლმადიდებელთა წინააღმდეგ ისევ აღდგნენ, – რწმენის მტკიცე დამცველი, – კონსტანტი უკვე აღარ ამინებდა მათ. პირველი მამაცი აღმსარებელი, – დედაქალაქელი პავლე ენამა. იგი ისევ გააძევეს და მის ადგილას მაკედონი აიყვანეს. მეფის ნაცვალი, რომელიც ხელისუფალის მითითებით მოქმედებდა, ხალხის მღელვარებას მოერიდა, მან პავლე სახლში მიიყვანა, ფანჯრიდან გადააპარა, ზღვასთან მიიყვანა და ჩუმად დასვა გემზე. კათედრაზე მაკედონის ასვლას სისხლისღვრა მოყვა, ცრუმოდღრის მოსაყვანად ჯარისკაცთა ხელით ექვსი ათასამდე მართლმადიდებელი დაიღუპა. პავლე ჯერ მესოპოტამიაში, შემდეგ კი ველური სომხეთის ქალაქ კუკუზაში გადაასახლეს და შვიდი დღის განმავლობაში შიმშილის შემდეგ, რამაც მისი წამარხულევი ძალა ვერ დაასუსტა, დილეგში დააღრჩვეს. ორმოცდაათი წლის შემდეგ იმავე ქალაქში სხვა აღმსარებელს, სამეფო ქალაქის ეპისკოპოსს, – იოანე ოქროპირს მოელოდა ტყვეობა და მოწამეობრივი გმირობა.

პავლე ადვილად დაამარცხეს და არიანელებმა ათანასესთან წამოიწყეს ფრთხილი ბრძოლა, – მრავალწლიანი დევნისას უკვე გამოცდილი ჰყავდათ ეს მებრძოლი, იცოდნენ, რომ შეუძლებელი იყო, მართლმორწმუნეობის დარღვევაში დაედანაშაულებინათ იგი, ვინაც მართლმადიდებლობით აღავსო დასავლეთი და აღმოსავლეთი და ვინც კათოლიკე ეკლესიის ოთხას ეპისკოპოსთან იყო დაკავშირებული. არიანელთა

მთავრები ისევ იყვნენ: ლეონტი ანტიოქელი, რომლის მხარეში უყვარდა ხოლმე იმპერატორს ყოფნა; პატროფილ სკითოპოლელი, გიორგი ლაოდიკიელი, აკაკი კესარიელი, ნარკის ნარონიადელი, თეოდორე ჰერაკლიელი, ყველა, გარდა ლეონტისა, სარდინიის კრების მიერ გადაყენებულები იყვნენ. ზოგიერთმა მათგანმა, რომელიც დასავლეთში გაჰყვა კონსტანცის, სირმიუმში თვითონ გადააყენა ეპისკოპოსი ფოტი, რომელიც მედიოლანში უკვე იყო ერესისათვის გასამართლებული. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლეს დასავლელთაგან დაერწმუნებინათ ვინმე, რომ, ნიკეის ნაცვლად, აღმსარებლობის მეხუთე სიმბოლო მიეღოთ, მასში ძე ღმერთის მამა ღმერთთან თანაბრობის დოგმატი მზაკვრულად დახლართულ წინადადებებში იყო შენიღბული.

იმპერატორი მძიმე ცილისწამებებით ათანასეს წინააღმდეგ განაწყეს; მოუგონეს, თითქოს იმპერატორის ძმის სიცოცხლეში ამ ორ ხელისუფალს შორის შუღლის ჩამოგდებას ცდილობდა და ლიბერიუსთან უჩივლეს. ლიბერიუსმა იულიუსის კათედრასთან ერთად მემკვიდრეობად ეკლესიის ამ უდიდესი დამცველის ღრმა პატივისცემაც მიიღო. იგი ეპისკოპოსებმა არიანელთა მცდელობების შესახებ სიგელებით ადრევე გააფრთხილეს და მასთან გაგზავნილი, – კაპუსის ეპისკოპოს ბიკენტის საშუალებით ლიბერიუსმა იმპერატორს ახალი კრების გამართვა სთხოვა. რამდენიმე მწყემსი შეიკრიბა კიდევ არღმში, მაგრამ სუსტ ბიკენტიზე მეფის მუქარამ მოახდინა ზემოქმედება. პავლინმა, მაქსიმე ტრევერელის ღირსეულმა მემკვიდრემ, არ მოინდომა ათანასეს გასამართლება და ამიტომ ფრიგიაში გაასახლეს იგი, იქ დაამთავრა კიდევ სიცოცხლე.

ათანასემ, რომელმაც იცოდა, თუ როგორი დასჯა სჩვეოდათ არიანელებს, იმპერატორს, თავისი მხრიდან, ხუთი ეპისკოპოსი გაუგზავნა, მათი შორის ორი ბერი იყო: სერაპიონი და ამონი, – იმ დროს განდეგილური ცხოვრების წესი უფრო ჩამოყალიბებული გახდა და კათედრებზე მეუდაბნოეთა არჩევა დაიწყეს. ათანასე წერილობით სთხოვდა იმპერატორს, რომ



არ ესმინა ცილისმნამებელთათვის და სწორედ მაშინ დაწინაურდა აპოლოგია, რომელშიც საქმის მთელი ვითარება თავიდან დაწყებული წარმოაჩინა, აჩვენა კრების ყველა საქმე, რაც მის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ იყო წარმართული. მაგრამ იმპერატორმა ათანასესადმი მტრულად განწყობილი ეპისკოპოსების გავლენით მხოლოდ იმისი ნება დართო, რომ იტალიაში ჩასულიყო, თუკი უნდოდა, რომ აღარ დაედანაშაულებინათ; ამით ჩამოაშორა ალექსანდრიას, სადაც ხალხის დიდი სიყვარული იცავდა; შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, თავი მიანება მას.

ქრისტეს შობიდან 355-ე წელი


ამასობაში, ლიბერიუსი, რომელიც ბიკენტის სულმდებლობამ დააღონა, ერთთავად კრების მოწვევას ითხოვდა. თავისი წმიდა ცხოვრებითა და ხასიათის სიმტკიცით განთქმული, - სარდინიის ეპისკოპოს ლუციფერის სტუმრობით ისარგებლა და იგი სიგელებით მედიოლანში იმპერატორთან გაგზავნა და ამის შესახებ სხვა ეპისკოპოსს, - ევსევი ვერკელინელსაც სწერდა. ევსევი მეფის სამყოფელიდან ახლოს ცხოვრობდა და თავისი კეთილი საქმეებისა და მკაცრი განდევილური ცხოვრების გამო საერთო პატივისცემას იმსახურებდა. დასავლეთში ის იყო პირველი, ვინც განდევილური მოსაგრეობა მწყემსის ღვანლს შეურწყა. კრება მედიოლანში დაინიშნა, მასზე შეკრებილი აღმოსავლელი და დასავლელი სრულიად განსხვავებულად იყვნენ განწყობილნი. პირველთა ათანასეს გასამართლება უნდოდათ, მეორენი კი არიანელთა გასამართლებას ესწრაფვოდნენ. ვალენტი და ურზასი არიანელებს შეუერთდნენ და, ისევე, როგორც მათ თანამზრახველთ, არ უნოდათ, ხელი მოეწერათ ნიკეის კრების სიმბოლოზე, როგორც ამას ევსევი, ლუციფერი და დიონისე მედიოლანელი ითხოვდნენ. იმის გამო, რომ მართლმადიდებელ ხალხში შფოთის დაწყების



ეწინოდით, მოსალაპარაკებლად ტაძრიდან მეფის დარბაზებში გადაინაცვლეს. მაშინ კი უკვე თავისუფლად დაიწყეს მოქმედება და უპირველესი, რაც გააკეთეს, ის იყო, რომ კრებაზე ახალი მრწამსი წარმოადგინეს. იგი მეფის სიგელში იყო გადმოცემული. ისე წარმოადგენდნენ საქმეს, თითქოს მეფეს იგი ზეციური შთაგონებით მიეღო. როცა ეს მრწამსი არ იქნა მიღებული, მაშინ ათანასეს გასამართლება მოითხოვეს გადაჭრით. და ისევე მტკიცედ მოწინააღმდეგეებად დადგნენ მამაცი ეპისკოპოსები: ლუციფერი, ევსევი და დიონისე, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ კანონის სანინააღმდეგო მოქმედება იქნებოდა, თუ დაუსწრებლად გაასამართლებდნენ ათანასეს. კონსტანციმ, რომელიც აღმოსავლელთა პირფერობას ბრმად იყო აყოლილი, განრისხებულმა ბრძანა, რომ წაეკითხათ განაჩენი. ხელეები ცისკენ აღმართეს და იმპერატორს სთხოვდნენ, რომის ხელისუფლობა ღმერთის საშინელი სამსჯავროს შიშით საეკლესიო დოგმატებში არ აერია. განრისხებულმა იმპერატორმა ეპისკოპოსებისაკენ მახვილი შემართა და, როცა დაინახა, რომ არ შედრკნენ, მაშინ მხოლოდ განდევნა მიუსაჯა. დაადგნენ თავიანთ გრძელ გზას აღმსარებლები, განირთხეს ფერხთაგან ეკლესიის მდევართა მტვერნი და ყველგან სარწმუნოების ქეშმარიტებას ავრცელებდნენ.

კონსტანცის სურდა, რომ დასავლეთში მართლმადიდებლობის კიდევ ორი ძლიერი დამცველი, – ოსია კორდუბელი და ლიბერიუს რომაელი დაემარცხებინა. მან ლიბერიუსთან საჩუქრებით ხელში ერთი საჭურისი გაგზავნა, რათა მას დაერწმუნებინა და ათანასეზე უარი ეთქმევინებინა. მაგრამ ლიბერიუსმა ირგვლივ აღმსარებლებთან მანუგეშებელი წერილები დააგზავნა, ხოლო საჩუქრები და მლიქვნელური სიტყვები არ მიიღო. „უნდა გაიმართოს ნამდვილი კრება“, – პასუხობდა იგი გამოგზავნილს, – „ისე, რომ ამქვეყნიურ მოსამართლეთა შიში კი არა, ერთადერთი მხოლოდ ღმერთისა და მოციქულთა კანონებისა გვემინოდეს. უკან დაიხიონ არიანელებმა, მივიღოთ ნიკეის კანონები და ათანასეს საქმე ამის შემდეგ გან-

ვიხილოთ“, მუქარით დატოვა იგი გაგზავნილმა, საჩუქრები
კი მოციქულთა საფლავებზე დატოვა. ლიბერიუსმა ბრძანა,
რომ გადაეყარათ ისინი, როგორც სისხლის დასაღვრელად
გაღებული საზღაური. გალიზიანებულმა კონსტანციმ რომის
პრეფექტს უბრძანა, რომ ღამით აეყვანათ ლიბერიუსი, რათა
ხალხში შფოთი არ გამოენვიათ და მედიოლანში მიეყვანათ. იქ
მას თავად იმპერატორისაგან ახალი დაკითხვები და მუქარა
ელოდა. „ხელმწიფო“, – მშვიდად პასუხობდა ლიბერიუსი, –
„საეკლესიო მოსამართლეებს სიმართლე მართებთ, მსოფლიო
ეკლესიამ ათანასე უდანაშაულოდ სცნო“. ერთი არიანელი ეპის-
კოპოსი შეეცადა, რომ ლიბერიუსის მიმართ რისხვით განენყო
მეფე და უთხრა მას, – მხოლოდ იმიტომ ჯიუტობს ლიბერიუსი,
რომ კეისრის შეურაცხყოფით რომში სახელი გაითქვასო. „რო-
გორ ბედავ, რომ მთელ მსოფლიოს უმხედრდები“, – იყვირა
განრისხებულმა კეისარმა. „ხელმწიფო“, – პასუხობდა ლი-
ბერიუსი, – „თუნდ, მარტო ვიყო, – სიმართლე არ დაიკარგება;
იგი ოდესღაც ბაბილონში სამმა ყრმამ დაიცვა. ნიკეის კრების
დოგმატებზე დაყრდნობით მართალი კრება გამართე“. „კრე-
ბა უკვე გაიმართა და ეგ საქმეც გადაწყვეტილია“, – მიუგო
იმპერატორმა, – „შენ კი არჩევანის გაკეთება მოგიწევს: ან
უნდა მოაწერო ხელი განაჩენზე და დაბრუნდე რომში, ანდა
განდევნილობის ადგილი ამოირჩიე; მოსაფიქრებლად სამ დღეს
გაძლეე“. „საფიქრებელი დრო არ მჭირდება“, – პასუხობდა
მამაცი ლიბერიუსი, – „რომში უკვე გამოვემშვიდობე საძმოს,
გამაძევე, სადაც გენებოს“. სამი დღის შემდეგ იგი ფრაკიის
ვერეაში გაასახლეს. იმპერატორმა და მისმა ცოლმა, დიდე-
ბულმა, რომელიც რომში ეკამათებოდა მას, საგზაო ფული
გაუგზავნეს. მოხუცმა მის მიღებაზე უარი თქვა, არიანული
ერესით დაავადებულ დიდებულს კი ურჩია, გაქრისტიანებუ-
ლიყო და ისე ნუ აძლევდა მონყალეზას, როგორც დამნაშავეს.
დემოფილს, ვერეას მტკიცედ არიანელ ეპისკოპოსს, ებრძანა,
რომ თვალყური ედევნებინა ლიბერიუსისთვის. რომში სხვა
ცნობილმა არიოზელმა, – აკაკი კესარიელმა ორ თანამზრახ-



ველთან ერთად დედაქალაქის ეპისკოპოსად მთავარეპისკოპოს ფელიქს დაასხა ხელი, მაგრამ ხალხს არ უნდოდა მისი მიღება.

მალე ეპისკოპოსთა შორის უხუცესზე, აღმსარებელზე, დიდ ოსია კორდუბელზე მიდგა ჯერი. მის ეპისკოპოსობაში უკვე სამოცი წელი იყო გასული. ოსიას მიერ ირგვლივ დაგზავნილ ეპისტოლეებს ყველა კეთილად ლეზულობდა. იმპერატორმა მედიოლანში იხმო იგი და არწმუნებდა, რომ უარი ეთქვა ათანასეზე. მაგრამ ოსიამ, როგორც მოძღვარმა, ამ შეთავაზების გამო უსაყვედურა მას, – იმიტომ, რომ ეს მთელი მართლმადიდებლობის საქმე იყო. ღირსება შეუნახეს და ისე გაუშვეს იგი. მაგრამ მტრებმა კონსტანცი ისევ აიძულეს, რომ სიგელით იგივე შეეთავაზებინა მისთვის და ოსია ასე პასუხობდა: „შენი დიდი პაპის, – მაქსიმიანეს დროს აღმსარებელთა შორის პირველი ვიყავი, ასაკით პაპად შეგეფერები. თუ ახლა შენ აპირებ ჩემს დევნას, მე მზად ვარ; ნუ უჯერებ არიოზის მიმდევრებს, მათ ათანასე იმდენად არ აფიქრებთ, რამდენადაც თავიანთი ერესი. სარდინიის კრებაზე მე უკვე გავიცანი ეგენი. წერილ არს: როგორც შენ აქცევ ყურადღებას, რომ არავინ ხელყოს შენი უფლება, თვითონაც ნუ შეიჭრები ღმერთის სამართალში, ამას შენს გადასარჩენად ვწერ. მე ანათემას გადაცემ არიანულ ერესს და ვინარჩუნებ ურთიერთობას ათანასესთან, რომელიც კრებამ გაამართლა“. ასე წერდა ღირსეული აღმსარებელი. მაგრამ იმპერატორმა მის ღრმა მოხუცებულობას პატივი არ სცა, ისევ გამოიძახა ესპანეთიდან და წელიწადზე მეტ ხანს სირმიუმში ჰყავდა გამოკეტილი.

მართლმადიდებელთა წინააღმდეგ დევნა ყველა ადგილს მოედო. მეფის დიდებულები სხვადასხვა ოლქში სიგელებით დააგზავნეს ეპისკოპოსებთან და მოსამართლეებთან, – პირველებს არიანელებთან უნდა დაეჭირათ კავშირი, მეორეებს კი დაუმორჩილებლნი გაესამართლებინათ. კლერიკალები, – ურზასი და ვალენტი დამბეზლებელთა რანგში თან დაჰყვებოდნენ მათ. არიანელები მკრეხელობდნენ და ზეიმი ჰქონდათ. ქალაქები შიშმა და შფოთვამ მოიცვა. ეპისკოპოსებზე ცი-

ლისნამებებმა და მუქარამ იმატა. ზოგიერთს იმპერატორთან უძახდნენ, სულმდაბლები ათანასეს განაჩენზე ხელს აწერდნენ. მტკიცეებს სასამართლოს გარეშე აპატიმრებდნენ და მათ ადგილებზე უკვე ჩამოყალიბებულ არიანელებს სვამდნენ. ასე შეირყა მსოფლიოს თითქმის ყველა კათედრა. მაგრამ ათანასე არ ირყეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქარიშხალი დაატყდა თავს.

დიდხანს ელოდა ათანასე, თუ რას გადაუწყვეტდნენ. ბოლოს ალექსანდრიაში გამოჩნდნენ იმპერატორის გამოგზავნილი კაცები, რომლებიც ბრძანებდნენ, რომ არიანელებთან ყველას დაეჭირა კავშირი. ერთი დიდებულთაგანი წასვლისაკენ მოუწოდებდა ათანასეს, მაგრამ მღვდელმთავარმა და სამწყსომ მეფის ბრძანების ჩვენება მოითხოვეს. ამბოხის შიშით დიდებულმა ეს ვერ გაბედა, მაგრამ სირიიდან სასტიკი მეთაურის, - სირიანის ხელმძღვანელობით ლეგიონებს მოუხმო. სირიანი ასევე მოუწოდებდა მწყემსს, მიეტოვებინა სამწყსო. მაგრამ, როცა იგივე პასუხი მიიღო, ცოტა ხნით გაჩუმდა. მაშინ ეპისკოპოსმა, რომელიც თავისი სამწყსოს გადასარჩენად ფხიზლობდა, ირგვლივ, - ლიბიისა და ეგვიპტის ყველა ეპისკოპოსს ეპისტოლეები დაუგზავნა, არიანელთა წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებდა და უხსენებდა დიდ მოსაგრეებს, რომელნიც დასავლეთსა და აღმოსავლეთში ჰყოლიათ და ჰყავთ ჯერაც: ყველაზე უწინ ოსია კორდუბელს ახსენებდა. წმიდა წერილის ცხადი მონშობით არიოზის მთელ ერესს ამხელდა და უარყოფდა, ყველას მოუწოდებდა, მტკიცედ დაეცვათ ნიკეის კრების სიმბოლო და თავიანთი რწმენა მხოლოდ აღსარებით კი არა, - მონამეობითაც აღებეჭდათ. ათანასემ სიტყვები მალე საქმით გაამართლა, - ეს მაშინ, როცა სირიანმა მისი დევნა დაიწყო.

რომაელი მხედართმთავარი, რომელიც არიანელთა ერთგული იყო, მოულოდნელად გარს შემოერტყა ეკლესიას, სადაც მღვდელმთავართან ერთად მრავლად შეგროვილ ხალხში ღამისთევის ღოცვა აღესრულებოდა. ათანასე კათედრიდან არ ჩამოსულა და დიაკონს უბრძანა, ეს ფსალმუნი წაეკითხა: „აუ-



არებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე ვარს
 წყალობაჲ მისი¹¹², ხალხს კი ურჩია, რომ წასულიყო, — იმი-
 ტომ, რომ მეომრები ეკლესიაში შეიჭრნენ, შანდლების შუქზე
 ხმლები იშიშვლეს და ისრების სროლა დაიწყეს. რამდენიმე მო-
 ქალაქე მათი დარტყმისგან დაიღუპა, სხვები ბრბომ გადაქელა.
 ქალწულები შეურაცხყვეს. მტერი საკურთხეველისაკენ იწედა.
 მიუხედავად ღვთისმსახურთა თხოვნისა, ათანასეს თავისი ად-
 გილის დატოვება არ უნდოდა. იგი ლოცვად დადგა. მაგრამ
 ღვთისმსახურები გარს შემოერტყნენ და ხალხიდან ძალით გაი-
 ყვანეს. გააფრთებულთა ხელისაგან მისი ხსნა სასწაულადაც
 შეიძლებოდა, მიგვეჩნია. ამას წმიდა ადგილის ძარცვა მოჰყვა.
 მკვლევებს უნდოდათ, დახოცილთა სხეულები გადაემაღათ,
 მაგრამ მორწმუნეებმა მათი მონამეობრივი ნაწილები შეინახეს.
 წმიდა ადგილას მიმოყრილი იარაღი შეაგროვეს და მდევნელთა
 სამხილებლად კედლებზე დაკიდეს. ეს იყო მტკიცებულება ქა-
 ლაქის ხელისუფლების წინაშე, რაც ძალადობას ცხადყოფდა.
 მათ კეისრის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, მაგრამ კეისარმა
 მხარი დაუჭირა კი არა, პირიქით, — ალექსანდრიის მოქალაქეე-
 ბს მწყემსის წინააღმდეგ ამხედრებდა, მაგალითად მოჰყავდა
 კონსტანტინე დიდი, რომელმაც ათანასე გაასახლა. მაგრამ
 მართლმადიდებელი ხალხი სიმართლისგან არ გადადრეკილა.

მეფის დიდებულმა, რომელმაც კონსტანტინის სიგელი მოი-
 ტანა, ეგვიპტის პრეფექტთან ერთად ახალ ძალადობას მიჰყო
 ხელი. ეკლესიაში ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ
 ახლა წარმართთა ბრბო შევარდა, იქ დარჩენილი ქრისტიანების
 ლანძღვა-გინებას მოჰყვა, კათედრა გადააყირავეს, სამსხვერ-
 პლო და ტრაპეზი სხვა ნივთებთან ერთად თავიანთი კერპების
 საპატივცემულოდ ტაძრის კარიბჭის წინ დანვეს. გაიძახოდნენ,
 რომ კეისარს, არიანელებსა და თვითონ ერთი რწმენა აქვთ.
 ამავდროულად, მეორე კაბადოკიელი გიორგი, — ისეთივე უხე-
 ში და უზნეო, როგორც პირველი იყო, ათანასეს ადგილზე
 გაგზავნეს. მაგრამ აღდგომის დღესასწაულზე მივიდა თუ არა,

¹¹² ფსალ. 117: 1; 117: 29; 135: 1;



დაიცალა ეკლესია, - ყველა მართალი სასაფლაოებზე შეკრებიდა. გაღიზიანებულმა გიორგიმ რომაელ მხედარმთავართან ერთად შეიარაღებული ბრბო იახლა და მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს დაესხნენ თავს. ჯერ ემუქრებოდნენ, მერე აიძულებდნენ, რომ ეღიარებინათ არიანელები. ბევრი მონამობრივად დაიღუპა, სხვები უდაბნოში გაასახლეს. დევნა მთელ ალექსანდრიას მოედო. ჯარისკაცები სახლებში იმ საბაბით ვარდებოდნენ, ვითომდა ათანასეს ეძებდნენ, - ქონებას იტაცებდნენ, ყოველგვარ მხეცობას სჩადიოდნენ. ტაძრებიდან ის მღვდლები და დიაკვნები გამოყარეს, რომლებიც საკურთხეველს ჯერ კიდევ წმიდა პეტრეს დროიდან ემსახურებოდნენ. იპოდიაკონი ევტიხი წამებით სიკვდილის პირას მიიყვანეს, ქალაქის ყველაზე უფრო საპატივსაცემო ადამიანები სცემეს და მწამებლებს მათ მამაცობით სძლიეს. ქვრივები და უზოვარნი ეზოებიდან გაყარეს, იქ მათ ეკლესია მფარველობდა. რომაელი მხედარმთავარი სასტიკ გიორგის ქალაქის გარეთაც ეხმარებოდა, - იმიტომ, რომ, მეფის ბრძანების თანახმად, ყველა ეკლესია არიანელთათვის უნდა გადაეცათ.

მაშინ საერთო გლოვამ მოიცვა ეგვიპტე. მართლმადიდებელი მღვდელმთავარნი და მღვდლები, დაბორკილები, დარტყმებისგან იტანჯებოდნენ. ღრმა უდაბნოში ასახლებდნენ, დიდი ნაწილი ზედამდგომელთა სასტიკი მოპყრობისაგან იღუპებოდა. ოთხმოცდაათი ეპისკოპოსიდან - თექვსმეტი გაასახლეს, კათედრიდან ოცდაათი გადააყენეს, ზოგი კი დანებდა. აღმსარებელთა შორის განსაკუთრებულად გამოირჩნენ სერაპიონი და დრაკონტიუსი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში არწმუნებდა ათანასე, რომ ეს ხარისხი მიეღო, - მიუხედავად იმისა, რომ განდევნილობის აღთქმა ჰქონდა დადებული. მონაზონთა სავანეებიც არ დაუნდიათ. არიანელმა ეპისკოპოსებმა დაცარიელებული კათედრები ძალით დაიკავეს და ეგვიპტელთა სარწმუნოება ცრუმწყემსს, - გიორგის დაუმორჩილეს. იგი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ფული საიდან ეშოვა, - ისე, რომ ხალხმა, ლამის იყო და,



ჩაქოლა. იგი ერესს მხარს უბამდა და განადიდა სოფრისტი ბრ-
ეტი, რომელიც დიაკვნად ლეონტი ანტიოქელმა დააყენა, სა-
ტრონობდა მის მონაფე – ევნომიუსს, რომელიც შემდგომში
არიანელთა მეთაური გახდა.

მეუღაბნოეობის განვიტარება

ქრისტეს შობიდან 356-ე წელი

ათანასე პირველივე მძვინვარებისას განერიდა გიორგის, როგორც ამას სახარების მცნება მოგვინოდებს. თავის სიმართლეში დარწმუნებულს იმპერატორთან კიდეე ერთხელ უნდოდა შეხვედრა. მაგრამ, როცა ლიბერიუსის, ოსიასა და სხვა ეპისკოპოსთა დევნის შესახებ შეიტყო, როცა ალექსანდრიის ხალხისადმი მიმართული სიგელები წაიკითხა მეფისა, უღაბნოში განმარტოვდა, რათა ზეციური სასუფეველის სულს სიცოცხლის ძალა გაეძლიერებინა მასში. სწადა, ახლოს გაეცნო ეს მონები ღვთისა, რომლებიც წუთისოფელს ცოცხლად მოუკვდნენ¹¹³ და ამ სამყაროში ერთმანეთისთვის საყრდენნი გახდნენ. მათთან საუბრისას ათანასემ ცხადყო, თუ როგორ უნდა შეერწყას ერთმანეთს მღვდლობა და განდეგილთა სიბრძნე, საქმე და ჭვრეტა. და სულიერი სრულყოფის შესახებ განდეგილებმა მისგან უფრო მეტი ისწავლეს, ვიდრე ათანასემ ბერთაგან. პატივმოსილი მწყემსის დარიგება განდეგილთათვის წესდებად იქცა. ათანასეს გულისათვის ისინი სიცოცხლესაც საფრთხეში იგდებდნენ. არიანელმა ჯარისკაცებმა უღაბნოს სავანეებში ვერსად ვერ შეძლეს ათანასეს მოძებნა, – იმიტომ, რომ ბერები მარხვასა და ლოცვაზე მეტ მოვალეობად იმას მიიჩნევდნენ, რომ უფლის მოღვაწისათვის თავგანწირვით თავად უფლისათვის გაენირათ თავი. ათანასე კი, რომელიც მათ გამო უფრო შიშობდა, ვიდრე საკუთარი თავისთვის, უფრო და უფრო ღრმად შედიოდა უღაბნოში, სანამ სრულიად არ მიიმალა.

დიდი მღვდელმთავარი ემალებოდა ამ სამყაროს და მისგანაც იმალებოდა ზოგი განდეგილი, რათა სრულ მარტოობაში ყოფილიყო. მოხუცი პაბუმი, მას შემდეგ, რაც ტაბენესის სა-

¹¹³ იხ. რომელთა, 6: 1-23...



ვანეში სიხარულით შეხვდა მწყემსმთავარს, რადგან შიშობდა, რომ პრესვიტერად არ დაედგინა ათანასეს, ბერთა სიმრავლეს შუენია და ამით აირიდა მღვდლობა, რის მიღებასაც მოწაფეებსაც უშლიდა ხოლმე, რათა ქედმაღლობა არ სწეოდათ და იმაზე მეტ საქმეებს არ გაეატაცებინათ, რისი გაკეთებაც ძალუძდათ. ათანასესთან შეხვედრის შემდეგ მოხუცს ერთ ღარიბულ ჭილობზე მწოლს მალე მშვიდი აღსასრული ენია. ცხოვრების გლახაკურ წესს ბოლომდე მორჩილად იცავდა, სიცივისაგან დასაცავად სიკვდილის დროსაც კი ვერ გაბედა, სხვა ბერებზე უკეთესი საბურველი დაეფარებინა. სამწყსო ყველაზე უფრო ახალგაზრდა, მაგრამ სულიერ ღვანლთაგან უკვე მოწიფულ მოწაფეს, – თეოდორეს ჩააბარა, მას არასოდეს არ იშორებდა გვერდიდან. როცა აბბა პეტრონი მალე თან გაჰყვა მასწავლებელს, ხოლო აბბა არსისმა მმართველობის საზრუნავზე უარი თქვა, თეოდორემ აღასრულა დიადი ხუცესის ანდერძი და ტაბენესში დავანებულთათვის თვითონ დადგა მის ადგილას.

ათანასეს კი სხვა ნუგეში ერგო, – მან დიდი აბბა ანტონი მოინახულა, – იგი, ვინც თავს დამტყდარი დევნისას მარადიულ სიმშვიდეში იყო განრიდებული. რადგან მიახლოებულ აღსასრულს გრძნობდა, მეზობელი პისპერის სავანე კიდევ ერთხელ ინახულა ანტონიმ და ბერებს უთხრა: „უკანასკნელად გენვიეთ, თავის მოტყუება იქნება და თქვენც მოგატყუებთ, თუ იმედს ვიქონიებ, რომ აქ კიდევ გნახავთ, უკვე ასხუთი წლის ვარ, დროა, მამათა გზას დავადგე“. ტირილით ეხვეოდნენ მოხუცს კისერზე. თვითონ კი ისეთი სიხარულით ემშვიდობებოდა, თითქოს სამშობლოში მიდისო, მხოლოდ იმას სთხოვდა, რომ განდევილობის მოსაგრეობანი განეგრძოთ და წმიდა სარწმუნოება და გადმოცემა შეენარჩუნებინათ. ძმებმა სთხოვეს, სიცოცხლის ბოლომდე მათთან დარჩენილიყო. მაგრამ ანტონიმ სრული სიმდაბლის გამო წასვლა არჩია, არ უნდოდა, მოწაფეებს მისი სხეული კეთილმსახურ ყარიბთა თავყვანისცემისათვის შეენახათ. ეულ მთაზე ორ მოწაფესთან, – მაკარისტან და ამაფთან ერთად დაბრუნდა. თხუთმეტი წელი



იყო გასული, რაც ისინი მოხუცებულობის გამო განუშორებლად ემსახურებოდნენ.; ანტონიმ დაუბარა, რომ მისი უფლი უდაბნოში საიდუმლოდ დაეკრძალათ. „აღდგომის დღეს უფალი განუხრწნელს დამიბრუნებს“, – ეუბნებოდა მათ აბბა, – „ახლა კი მიწას მიაბარეთ იგი. ჩემი ტანისამოსი გაინაწილეთ, ეპისკოპოსს ათანასეს ჩემი ერთი ცხვრის ტყავი და ის მანტია წაუღეთ, რომელიც ოდესღაც ახალი მომცა; აი, უკვე გავცვითე იგი! მეორე ტყავი ეპისკოპოსს სერაპიონს მიუტანეთ, ძაძა თქვენთვის შეინახეთ. მაპატიეთ, შვილებო, მიდის ანტონი და თქვენთან უკვე აღარ არის!“ უკანასკნელად ეამბორნენ, სენაკში დაწვა და ნეტარი სახით განემორა, თითქოს ახლო მეგობრებს მიესალმათ. მონაფეებმა საიდუმლოდ დაკრძალეს. ეპისკოპოსებმა კი ტანისამოსი შეინახეს როგორც ძვირფასეულობა. ცხოვრებისეულ საკითხებში გამოუცდელი იყო, მაგრამ ბერებისათვის ბევრი წესი და შვიდი ისეთი ეპისტოლე დაწერა, რომელიც მოციქულებრივი სულით იყო სავსე. მისი სიტყვები მთელ ქრისტიანულ სამყაროს მოეფინა, ათანასემ თვითონ დაწერა დიადი აბბას ცხოვრება.

ანტონის ნეტარი აღსასრული პალესტინის მიდამოებში მცხოვრები მისი მონაფისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ერთ ღირსეულ ქალს, რომელსაც აბბას მონახულება ეწადა, ილარიონმა ცრემლმორევით უთხრა: – „ეხ, მეც მოვინახულებდი მას, საკუთარ სავანეში ტყვედ რომ არ ვმჯდარიყავ, ეს გზა სიკეთის მომტანი იქნებოდა ჩემთვის; მაგრამ უკვე ორი დღეა, რაც ქვეყნიერებას აღარა ჰყავს დიადი კაცი“. ამის მიუხედავად, ილარიონმა ეგვიპტეში წასასვლელად დაიწყო მზადება, – იმიტომ, რომ ხალხის მოზღვავეებით ძალიან იყო შეწუხებული. ყველა ასაკისა და ხარისხის სასულიერო პირები, ერისკაცები განუწყვეტლად ურღვევდნენ მყუდროებას, რომელშიც უკვე ორმოცდაათი წელი გაეტარებინა. „ამ ცხოვრებას რომ დავუბრუნდი, იმიტომაც მენია სამაგიერო“, – საკუთარ თავზე ასე ჩიოდა ძმებთან. „აი, მთელი პალესტინა რაღაც ამალღებულისათვის მეთაყვანება და ცხოვრებისეულ საქროებათა სა-

ბაბით კი ჩემი სახლი ამქვეყნიური სიკეთეებით ივსება. ამაოდ აკავებდნენ მოწაფეები, გადანვიტა, დაეტოვებინა ისინი. მაგრამ, გაიგეს თუ არა ირგვლივ ეს ამბავი, ათასობით ადამიანი მოაწყდა, რომ ძალით დაეტოვათ მოხუცი. „გამიშვით“, – ეუბნებოდა იგი ატირებულებს, – „არ შემიძლია გულგრილად ვუყურო, როგორ ინგრევა ქრისტეს საკურთხევლები და როგორ იღვრება ჩემს შვილთა სისხლი! თუ არ გამიშვებთ, საქმელს აღარ შევჭამ“.

შვიდი დღე იშიმშილა და მაშინ ხალხი იძულებული გახდა, გაეშვა მოხუცი. ორმოცი ბერის თანხლებით ანტონის უდაბურ მთას მიაკითხა ილარიონმა. გზად ეგვიპტელი აღმსარებლები მოინახულა, – ისინი, ვინც თავიანთი კათედრებიდან გაძევებულები იყვნენ, – ეპისკოპოსები დრაკონტი და ფლეგონტი. ანტონის მთაზე მისი ორი მოწაფე, – ისააკი და პელუსიონი ნახა, – აბბას ცხოვრებას მათთვისაც სახელი მოეტანა. ყველა მხარეში მათთან ერთად მიმოდიოდა. „აქ ლოცულობდა, აქ ფსალმუნებს გალობდა“, – ეუბნებოდნენ ისინი მოსულს, – „აი, აქ მუშაობდა, მუშაობის შემდეგ იქ დაისვენებდა ხოლმე; ეს ვენახი და პალმები მისი დარგულია, ბაღჩაც მან გააშენა, ბაღის მოსარწყავი არხიც მან გაიყვანა; აი, მისი სამეურნეო იარაღებიც“. ილარიონი კლდეში გამოკვეთილ ვიწრო კელიაში, სადაც ძლივს დაეტეოდა კაცი, მონინებით წვებოდა თავისი მასწავლებლის სარეცელზე. მან აბბას საფლავის ადგილიც იკითხა და გამოქვაბულის განაპირა მხარე წაიყვანეს იგი. მაგრამ არ არის ცნობილი, უჩვენეს თუ არა საფლავი, – იმიტომ, რომ ანტონიმ ამის გაკეთება მკაცრად აუკრძალა მოწაფეებს.

მოწაფეთაგან ყველაზე უფრო მეტად გამორჩეულნი იყვნენ: მაკარი, რომელიც პისპერის მიღმა მთაზე ხუთი ათას ბერს მართავდა; ამაფი, რომელმაც იმ მთაზე მოიწყო სავანე, სადაც განმარტოვდებოდა ხოლმე აბბა; ამაფის მემკვიდრე, პიტირიმი, იგი კურნების ნიჭითა და გმირობებით იყო სახელგანთქმული; სარმატი, რომელიც ანტონის აღსრულებიდან



ცოტა ხნის შემდეგ მის სავანეში შეჭრილმა სარკინოზებმა მოკლეს. მაგრამ იქ ღრმა სიბერემდე მიაღწია სხვა ეფემ, - კრონემ, რომელიც მასთან მისულ ბერძნებთან საუბარში მთარგმნელად ემსახურებოდა აბბას. მასთან სიახლოვეთ განთქმულნი იყვნენ: იოსები, რომელიც თავმდაბლობით გამოირჩეოდა, პავლე, რომელსაც გულის განსაკუთრებული სინრფელის გამო უბრალო დაარქვეს. ამ უკანასკნელმა აბბას მორჩილებისას თავისი ნების დაოკებითა და დაუეჭვებელი რწმენით ისეთ სრულყოფილებას მიაღწია, რომ ანტონი დიდი მასთან აგზავნიდა ხოლმე იმ სნეულებსა და ეშმაკეულებს, რომელთა განკურნება თავმდაბლობის გამო თვითონ არ უნდოდა; და პავლე განასხამდა ეშმაკებს, - მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ყველაფერი, რასაც მასწავლებელი უბრძანებდა, გამოუვიდოდა. ერთხელ, როცა ჯიუტობდა დემონი და არა ტოვებდა სნეულს, პავლე ლოცვად დაეყუდა და აღმოთქვა: „უფალო იესო, ჩვენთვის ჯვარცმულო, გარწმუნებ, ქარაფიდან მანამ არ წავალ, მანამ არ მივიღებ საქმელს და სასმელს, სანამ არ განიკურნება გვეშული!“ და განიკურნა იგი. სხვა მოწაფე, პიორი, რომელმაც ანტონი დიდის გვერდით მრავალი წელი გაატარა, ნიტრიის უდაბნოში განმარტოვდა იმიტომ, რომ უკვე აღარ საჭიროებდა ხელმძღვანელს. ამქვეყნიურ ბორკილებს იმდენად გაუბოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ აბბას ბრძანებამ აიძულა, მშობლების გარდაცვალების შემდეგ უნუგეშოდ დარჩენილი დის სანახავად წასულიყო. ეჩვენა მას, მაგრამ - თვალეზიანი, უთხრა: - „დაო, მე პიორი ვარ, ძმა შენი, მიყურე, რამდენიც გინდა“, და შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ, და ყოველნაირად არწმუნებდა, მაინც ისევ უდაბნოში წავიდა. როცა ერთხელ სკიტის მეუდაბნოეები ზოგიერთი ძმის ცოდვებზე მსჯელობდნენ, პიორმა ზურგზე ქვიშით სავსე ტომარა მოიკიდა, მკერდზე ქვიშიანი პატარა კალათა ჩამოიკიდა და ხუცესებს უთხრა: - „ზურგზე რომ მანევს, ეს ჩემი მძიმე ცოდვებია, მათი დანახვა და მათ გამო ტირილი არ მინდა; წინ კი

¹¹⁴ Сарацины (იხ. შენიშვნა № 105);



ჩემი ძმის მსუბუქი ცოდვებია, მათზე ვმსჯელობ და ვტყურო ანტონის სხვა მოწაფეები: პამბა, ისიდორე, ნესტერიონი, ორი დიდი მაკარი, პიორის მსგავსად, თავიანთ მშობლიურ სავანეს, – პისპერს განერიდნენ და შემდგომ სკიტისა და ნიტრიის უდაბნოებში განითქვეს სახელი.

განდეგილობამ სხვა მხარეებშიც შეაღწია. გამოსაჩენად უკვე ემზადებოდა ორი დიადი მოსაგრე, ეკლესიის ორი სვეტი და არიანელობის დამანგრეველი, – ბასილი დიდი და გრიგოლი, – ორივე კაბადოკიელი, მათ ნაზი მეგობრული სიყვარული აკავშირებდა ერთმანეთთან. გრიგოლი ქალაქ ნაზიანზის ეპისკოპოსის, – ქველმოქმედი გრიგოლისა და მართლმორწმუნე ნონას შვილი, ჰუმანიტარული მეცნიერებებისადმი მიდრეკილებით ბუნებისაგან განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. დაწყებითი განათლება მან ორივე კესარიასა და ალექსანდრიაში მიიღო და შემდეგ ათენში გაცურა. გზაზე საშინელ ქარიშხალსა და ზღვის ღელვაში მოხვდა, აღთქმა დადო, რომ წმიდა ნათლობას მიიღებდა და დროებით განათლების ბერძნულ ქალაქში დამკვიდრდა. იქ, მოსწავლეთა შორის, თავის მომავალ მოწინააღმდეგესა და მდევნელს, – იულიანეს შეხვდა. იულიანემ ფილოსოფოსის მანტია მალე სამეფო მანტიაზე გადაცვალა, – მაშინ, როცა კონსტანციმ, რომელიც გალიაში დაწყებულმა მღელვარებამ შეაშინა, მედიოლანში კეისრის ნოდება უბოძა. დასავლეთი უნდა ემართა იულიანეს. როცა მის საძაგელ გამომეტყველებასა და ქრისტიანობიდან ხშირ გადახვევას ხედავდა, გრიგოლი ეკლესიის მომავალ მტერს გრძნობდა და ხშირად წამოიძახებდა ხოლმე: „რა დიდი ბოროტებაა მიმალული რომის წიაღებში, ო, მე რომ ცრუ წინასწარმეტყველი ვყოფილიყავ!“

ათენში მეგობრის ჩასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ იქ ბასილიც ჩავიდა. სწავლა თავის ახლობელ და საყვარელ კესარიასა და შემდეგ მეფის ქალაქში დაიწყო. იგი კესარიის მხა-

¹¹⁵ პიორი ამ საქციელით ბერებს მიანიშნებს, რომ სხვა კი არ უნდა განიკითხონ, საკუთარ ცოდვებს უნდა ინანიებდნენ;



რეში მცხოვრები კეთილშობილი მშობლების შთამომავალი იყო. ისინი დევნის დროს აღმსარებლები იყვნენ. მისმა ღვთისმოსაემა ბებია, - მაკრინემ, რომელიც ყმანვილს თავისთან ზრდიდა და რომელსაც ქვმარიტი სარწმუნოება ნეოკესარიელი სასწავლოთმოქმედის, - გრიგოლის მოსწავლეთაგან ჰქონდა შესწავლილი, შვილიშვილებს სრული სინმიდით შენახული გადასცა ეს სწავლება. შვილიშვილებმა, - ბასილიმ, გრიგოლმა და პეტრემ საეპისკოპოსო კათედრები დაიკავეს, მათმა უფროსმა დამ, - მაკრინემ კი ღმერთს აღთქმა მისცა, რომ ქალწულობას დაიმარხავდა. ბასილის, რომელიც ასაკთან შედარებით ბევრად უფროსი ჩანდა, თავისი ძლიერი გონება გაცილებით უფრო მთავარი საკითხებისაკენ წარუმართავდა ყურადღებას, ვიდრე ეს ათენელი სოფისტების უსაგნო პაექრობა იყო. რომ არა გრიგოლთან გულწრფელი მეგობრობა, თავისთვის საძულველ ქალაქს ადრევე, - დადგენილი სამეცნიერო კურსის გავლამდე, მიატოვებდა.

ბასილი კესარიაში მეგობარზე ადრე დაბრუნდა და იქ ადამიანური ფილოსოფიიდან ღვთაებრივზე გადავიდა, ამქვეყნიური პატივი უარყო, ნებაყოფლობითი სიღარიბე აირჩია და მთელი სულიერი ძალები შინაგანი სრულყოფისაკენ მიმართა. მისი პირველი დამრიგებელი უფროსი და იყო, შემდეგ მასწავლებლებად ეგვიპტისა და პალესტინის დიდი განდეგილები შეექმნენ. მათ შინაგანი განათლების მიღების წყურვილით სავსემ მიმართა მამინ, როცა ყოფითი საქმეებისათვის მიძინებულმა ქრისტიანულ ნათელში გაიღვიძა და წარმავლობის ამაოება უფრო მეტად შეიგრძნო. თავშეკავებით, სიფხიზლით, ლოცვებით, სულის გასათავისუფლებლად სხეულებრივობის დაქვემდებარებით საკუთარი ადამიანური ბუნების დამორჩილება მათგან ისწავლა. ისე წარმოიდგენდა, თითქოს თავისთვის უცხო სხეულში ცხოვრობდა და ქვეყნიერებისათვის ნათელს ხდიდა, თუ რას ნიშნავს, როცა ზეციური მოქალაქე ამქვეყნად ცხოვრობს. ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ მშობლიურ მხარეში უახლოეს მასწავლებლებს ეძებდა და პირველად სებას-



ტიის ეპისკოპოსს, - ევსტათის მიეკედლა.. არიანულ ცდომილებებზე ვერ ხედავდა მასში, - იმიტომ, რომ მის ყურადღებას აქცევდა მისი მონაფეების ცხოვრების მკაცრი წესი იქცევდა უმთავრესად. შემდეგ პონტოს მხარეში, მდინარე ირისის ნაპირას, ერთი უბრალო ეული ადგილი იპოვა. ბებუის გარდაცვალების შემდეგ პონტოში მისი და, - მაკრინე გადასახლდა, რათა მოხუცებული დედის, - ემილიასათვის ნუგეში მიეცა. მაკრინემ იქ, - საკუთარ სახლში, ორმოცი მონამის ეკლესიის გვერდით, დედათა მცირე სავანე მოაწყო.

გრიგოლიც აჩქარდა და დატოვა ათენი, რათა სამშობლოში მეგობართან ერთად ყოფნით გაეხარა. წმიდა ნათლობა მიიღო და სულიერი სწავლისათვის წარმართობის სიბნელესთან ერთად ამსოფლიური სიკეთენიც მიატოვა. იმ მეცნიერებათაგან, რომლებიც აქამდე შეესწავლა, აფასებდა მხოლოდ სიტყვას კაზმულს, რაც ეკლესიის დასამოძღვრად გამოიყენა. ბასილის მსგავსად ეწადა, თავი განდეგილური ცხოვრებისათვის მიეძღვნა, მაგრამ მშობლების მოხუცებულობა იძულებულს ხდიდა, ჯერაც ამქვეყნად ეცხოვრა, რათა საოჯახო საქმეებში მონაწილეობდა მათ. მაგრამ უდაბნოს სიღრმიდან განუწყვეტლად უძახდა ბასილი, მეგობრული, სულიერი ხალისით სავსე მიმონერიდან მათი აზრებისა და ცხოვრების რაგვარობა კარგად ჩანს. მშვენიერია ბასილისეული აღწერა უდაბნოსი.

„გულით რომ მწაღდა, ღმერთმა ისეთი საცხოვრისი მიბოძა“, - წერდა იგი, - „ოდესღაც, თავისუფლებაში ცხოვრებისას რომ ვოცნებობდით, სწორედ ის არის. მაღალი მთა უღრანი, ბნელი ტყითაა დაფარული. ჩრდილოეთის მხარეს მათაა განათებული ნაკადი ეკერის. მთის ძირას წყაროებით მდიდარი ვრცელი ველია. ტყეები ამ ველს ყოველი მხრიდან ისე შემორტყმიან, გეგონება ციხე-სიმაგრეები იცავენო, ლამის კუნძულად გადააქციონ ველი. ორი ღრმა ხევი შუაზე ჰყოფს ამ ველს, ერთ მხარეზე მდინარე გადმოჰქუხს ჩანჩქერად, მეორე მხარე მთას გაუვალი გაუხდია, მხოლოდ ერთი გასასვლელია და ის ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენი სავანე ისე მაღლაა, რომ მთელი ველი



და მდინარე თვალწინა გვაქვს გადაშლილი. თვალს გვიხარებს სწრაფად ხედი. მდინარე სტრიმონზე უფრო მშვენიერი არა მინახავს რა. მდინარეში ბევრი თევზია. იქიდან წამობერილი სიო სიცოცხლით ავსებს ამ ულამაზესი ადგილის ჰაერს. ყვავილების მრავალფეროვნებისა და ჩიტების გალობისაგან სხვა, ალბათ, ხიბლში ჩავარდებოდა, მე კი სადა მცალია, წარმავალ ნეტარებას მივეცე. ბარაქიანი ადგილია და ნაყოფსაც უხვად იძლევა. ჩემთვის კი ყველაზე კეთილი ნაყოფი ქალაქის ხმაურისაგან განრიდებული სიმშვიდე და სინყნარეა. აქ მგზავრსაც კი ვერსად შეხვდები, შესაძლოა, მხოლოდ სანადიროდ გამოსულმა რომელიმე ცხოველმა შემოიხედოს ჩვენს უდაბნოში. საშიში მხეცები აქ არ არიან, - ჩვენს ველზე უფრო კურდღლები, თხები და ირმები დანავარდობენ. განა შეიძლება, რომ ამ ადგილისათვის სხვა მერჩია?! მაპატიე, აქ დარჩენის სურვილი რომ აღმეძრა“.

საკითხიდან გამომდინარე უფრო მნიშვნელოვან, - სხვა წერილში, ბასილი უხსნიდა მეგობარს, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ვნებათა დამორჩილებასა და განზრახვათა განმტკიცებაში განდევნობას. „წუთისოფლიდან გასვლა“, - წერდა იგი, - „იმას კი არ ნიშნავს, რომ ფიზიკურად დავტოვოთ ეს ქვეყანა, არამედ - იმას, რომ სული სხეულის მონობისაგან გავათავისუფლოთ. არ უნდა გყავდეს ოჯახი, არც ახლობლები არ უნდა გყავდნენ, არ უნდა გქონდეს სახლი, არც - საზრუნავი, არც - მამული, ყველაფერი უნდა დაივიწყო, რაც ადამიანთაგან გისწავლია და ღვთაებრივის შემეცნებისათვის მისაღებად შეემზადო. განუწყვეტელი ლოცვითა და ღმრთის დიდებით განდევნობის მოღვაწეობა ანგელოზთა მიბაძვას ჰგავს. აღმოხდების მზე და ისიც ადგება საშრომელად. გონებრივადაც სულ ლოცულობს, - ანუ წმიდა წერილის გააზრებას ცდილობს, რათა მადლს მისწვდეს და წმიდანთა მსგავსად იცხოვროს. კითხვას ლოცვა მოსდევს, რათა ცოცხლად მოქმედი ძალა შეიძინოს კითხვამ. მონაზონი საუბრისას ყოველგვარ ფუჭმეტყველებასა და კამათს უნდა ერიდოს. თავმდაბლური,



წყნარი და ალერსიანი საუბარი უნდა ჰქონდეს. თავმდაბლობა მის მიმოხრაშიც მოჩანს, – თვალეზრებელი, ყველაზე უფრო უბრალო, – მხოლოდ სიცივისა და სიცხისაგან დასაცავად აუცილებელი სამოსით უნდა დადიოდეს. საქმელი მხოლოდ შიმშილის დასაკმაყოფილებლად ეძიოს: პური, წყალი და ცოტაოდენი ბოსტნეულიც საკმარისია, – ოღონდ, ხარბად ნუ მოყვება ჭამას, საჭიროა, სულიერად იაზრებდეს ყოველივეს, – საზრდოს მიღება ლოცვით დაიწყოს და ლოცვით დაასრულოს. დღე-ღამის ოცდაოთხი საათიდან სხეულებრივ საზრუნავს ერთი საათი დაუთმოს. ცოტა იძინოს, – მსუბუქად. განდეგილისათვის შუალამეც ისეთივე უნდა იყოს, რაც სხვათათვის აისია, – ანუ ბუნების სიმშვიდეში დიდი ყურადღებით აღსავსემ ცოდვათა ჩამოშორების საშუალებების მოძიებასა და სიკეთის მატებაზე იფიქროს“.

ეს წერილი განდეგილური ცხოვრების წესების შემოკლებული წესდების მოვალეობასაც ასრულებს. თვითონ ბასილი მას ზუსტად იცავდა, სხეულს მარხვითა და მღვიძარებით იმდენად აუძლურებდა, რომ, კაცს ეგონებოდა, ცოცხალი აღარა ჰქონდა სხეული. ცივ მინაზე ეძინა, საქმელს არ ხარშავდა, ხმელი პურიტა და უმი ბოსტნეულით იკვებებოდა და გადამეტებული თავშეკავებულობით ისედაც სუსტი ჯანმრთელობა კიდევ უფრო მეტად დაიზიანა. ბოლოს შეუერთდა მას მეგობარიც, – გრიგოლი. ამსოფლიურის განუწყვეტლად აკრძალვით ერთად ნეტარებდნენ, ერთად ლოცულობდნენ, ერთად კითხულობდნენ წმიდა წერილს, ერთად მუშაობდნენ, – ხეებს რგავდნენ, ქვებს თლიდნენ, მინას ანაყოფიერებდნენ. მძიმე საქმეები ნატიფ ხელებზე კვალს უტოვებდა. მათ სახლს სახურავი და კარები არ ჰქონდა, კვამლი არასოდეს ამოსულა იქიდან. ყველა ის საერო წიგნი, ახალგაზრდობისას რომ იტაცებდა, მიატოვეს და მხოლოდ წმიდა წერილის განმარტებებით დაკავდნენ. თვითონ შექმნეს წიგნი, რომელსაც სათნოებათმოყვარება უწოდეს. ნეოკესარიის მცხოვრებლებმა წმიდა ბასილის თავიანთი შვილების აღზრდა სთხოვეს, მაგრამ უარი თქვა და თა-

ვის ძმა გრიგოლსაც არ მოუწონა საქციელი, რომ ისეთი ვაღი
დებულება აიღო თავზე, რაც უდაბნოში ღმრთის შემეცნებაში
ხელს შეუშლიდა. ასე, – სულიერ ნეტარებასა და ამაღლებულ
მეგობრობაში გადიოდა დიად განდეგილთა ცხოვრება.

მალე მრავალი მონაფე მივიდა მათთან და ბასილი დიდმა
მართლმორწმუნეობის შესახებ ასკეტურად სახელდებული ის
ბევრი ზნეთსწავლება დაუწერა მათ, რაც მთელი აღმოსავ-
ლეთისათვის დღემდე განდეგილური ცხოვრების საფუძვე-
ლია. ზნეთსწავლებანი უმეტესწილად წმიდა წერილის ამონა-
რიდებიდან შეადგინა. შემდეგ ეგრეთ წოდებულ ვრცელსა და
მოკლე წესებში, კითხვა-პასუხების საფუძველზე, განდეგილთა
ცხოვრების ის სრული წესდება შეადგინა, რომელიც სულიერი
სრულყოფისათვის ცხოვრებაში ყველა მართლმორწმუნე ქრის-
ტიანმა შეიძლება გამოიყენოს.

კონსტანცის უკანასკნელი წლები. არიანელობის გაძლიერება

არიანელები დევნას განაგრძობდნენ. მართლმადიდებლობისათვის მეზობელი ათანასე იმპერატორისათვის მიწერილ ვრცელ აპოლოგიაში თავისი უდანაშაულობის შესახებ ამაოდ წერდა. მამაცი დევნილები დილეგებში იტანჯებოდნენ და მათი რაოდენობა იზრდებოდა. კესარიის ეპისკოპოს აკაკის წმიდა კირილე იერუსალიმელის წმიდა სარწმუნოება არ მოსწონდა. ნიკეის კრების კანონთა დარღვევით გამოჩხრიკა, რომ მის ტახტზე არასწორი გზებით ისწრაფვოდნენ. თითქოს ამაში დამნაშავე კესარიის მიტროპოლიტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სარდინიის კრების განჩინებით თვითონვე იყო გადაყენებული, მღვდელმთავარი კათედრიდან გადააყენა და წმიდა ქალაქიდან გააძევა კიდეც. წმიდა ევსევი ვერკელინელი იმ პატროფილ სკითოპოლელის ხელით იდევნებოდა, ვისაც ერესი ძვალ-რბილში ჰქონდა გამგდარი. არიანელებმა, რომლებიც ხედავდნენ, რომ მის მოსანახულებლად ბევრი მართლმორწმუნე დადიოდა, საცხოვრებლიდან გაიყვანეს და ოთხი დღე შიმშილსა და ბორკილებში ტანჯავდნენ. ხალხი აღელდა და მტანჯველები აიძულა, რომ ცოტა ხნით შეემსუბუქებინათ ევსევის მდგომარეობა. მან ტიბერიელ ებრაელთაგან კონსტანტინე დიდის დროს მოქცეულ იოსებ კომიტის სტუმართმოყვარულ სახლში დაისვენა. იქ ილარიონის მოწაფემ, კვიპროსის მომავალმა ეპისკოპოსმა და საეკლესიო მწერალმა, — წმიდა ეპიფანემ მოინახულა. დასავლეთის სხვა ცნობილი განდეგილებითაც დამშვენდა ფრიგია: პიკტაბიელი ეპისკოპოსი — წმიდა ილარიონი, რომელიც წმიდა სამების დოგმატის შესახებ თავისი ნაშრომებით იყო განთქმული, ქალაქ არლის ეპისკოპოს სატურნინის მეცადინეობით კათედრას იმიტომ ჩამოაშორეს, რომ არიანელებთან თანამშრომლობა არ უნდოდა. მართლ-

მადიდებლობის დასაცავად მან აღმოსავლეთში იღვანა. ხვედრი ტულუზას ეპისკოპოსმა როდონმა გაიზიარა, მაგრამ, ისევე, როგორც პავლინ ტრევერელი, რომელიც მასთან ერთად იყო დევნილი, სანატრელ დაბრუნებას ვერ ეღირსა.

კონსტანტინეპოლში არიანელმა ეპისკოპოსმა, – მაკედონმა ელევზისა და მართონთან ერთად წამოიწყო მართლმადიდებელთა დევნა, ისინი ნიკომიდისა და კიზიკის კათედრებზე დაადგინა. იმასაც მიაღწია, რომ იმპერატორს გამოაცემინა ბრძანება, რომლის თანახმად, ყველა მართლმადიდებელს უნდა ეთანამშრომლა არიანელებთან, თუ არა და ეკლესიებიდან განდევნილნი იქნებოდნენ. დაუმორჩილებლებს ცხელი რკინით შანთავდნენ, ოღონდ, ჯერ სცემდნენ. მარტვირი დიაკონმა და მარკელ წიგნის მკითხველმა, რომლები წმიდა ეპისკოპოს პავლეს დროს მსახურობდნენ, სიცოცხლე ასევე მონამეობრივად დაასრულეს. ნოვატიანელებიც, მიუხედავად იმისა, რომ, მართლმადიდებელთაგან უკვე ასი წელია, რაც განდგომილები იყვნენ, საყოველთაო დევნის ქვეშ მოექცნენ. მათ, სისასტიკით სასონარკვეთილებამდე მისულებმა, სახალხო აჯანყებისას მეფის ჯარისკაცები დახოცეს და იმპერატორ მაკედონის რისხვა გამოიწვიეს. კონსტანცი კი უფრო მეტად მაშინ განრისხდა, როცა მოციქულთა ტაძრის განახლებისას ეპისკოპოსმა კონსტანტინე დიდის საფლავზე შეხება გაბედა. კონსტანცის წინააღმდეგ კი ხალხში მღელვარებამ იმატა.

თავიანთი ეპისკოპოსის მოშორების გამო რომაელთა დრტვინვა იმპერატორს რომის ძველ დედაქალაქშიც ელოდა. თავისი დიდხნიანი მმართველობის დროს მან რომი პირველად მოინახულა. ქალაქის ყველაზე უფრო პატივდებული უხუცესები სთხოვდნენ, რომ ლიბერიუსი დაებრუნებინა. კონსტანცი დათანხმდა მის გაშვებას, ოღონდ – იმ პირობით, რომ ეპისკოპოს ლიბერიუსს სამწყსო იმპერატორის მიერ მის ადგილას დადგინებულ ფელიქსთან ერთად უნდა ემართა. მაგრამ ქუჩებში ხალხი ხმამაღლა გაიძახოდა, რომ მხოლოდ ეპისკოპოსი ლიბერიუსი უნდოდათ. კონსტანციმ რომში ყოფნი-



სას წარმართებისა და ასპარეზობების წინააღმდეგ წარმდგენა
 კანონი გამოსცა, მაგრამ აქ ყოფნა მის გულს არ სთავსებდა
 და ილირიის ქალაქ სირმიუმში წავიდა, სადაც მის გარშემო
 შეკრებილმა არიანელებმა სარწმუნოების კიდევ ერთი ისეთი
 მრწამსი შეადგინეს, რომლიდანაც, ვითომდა იმ მიზეზით, რომ,
 მართალთა შორის უთანხმოებას იწვევდა, საერთოდ ამოღე-
 ბული იყო ისეთი ფრაზები, რომლებიც მამასთან ძე ღმრთისას
 თანაარსობას გამოხატავდა. ლისაბონის ეპისკოპოსი პოტამი,
 რომელმაც ურზასთან და ვალენტინთან ერთად ახალი სიმბო-
 ლო შეადგინა, დაცემის მიზეზად შეექმნა დიდ აღმსარებლს, –
 ოსიას, ვინც უკვე წელიწადზე მეტი იყო, რაც სირმიუმში იტან-
 ჯებოდა. ღრმად მოხუცებულ ოსიას ძალებმა უმტყუნა, ტანჯვა
 ველარ აიტანა და ახალ მრწამსს ხელი მოანერა, თუმც, იმაზე
 არ დათანხმებულა, რომ ათანასე ანათემისათვის გადაეცათ.
 ოსია თავის კათედრაზე დააბრუნეს. გარდაცვალების წინ მან
 ძალადობა ამხილა და არიანული ერესი სახალხოდ შეაჩვენა.

ორწლიანი დევნის შემდეგ მისი მიყოლებით პაპი ლიბერი-
 უსიც დაეცა. დაუძღურებული მოხუცი ფანდებით აიძულეს,
 რომ სირმიუმის მრწამსზე ხელი მოწერა და ათანასესთან კავ-
 შირზე უარი ეთქვა. შეირყა ლიბერიუსის სიმტკიცე. იგი რომში
 დაბრუნდა. ხალხი, რომელსაც მისი სულმდაბლობა არ ენახა,
 ზემით შეეგება, მისი მეტოქე, – ფელიქსი კი ღირსებააყრილი
 გააძევეს. მაგრამ გალიის ეპისკოპოსებმა მამაცურად უარყვეს
 ახალი, – არასწორი მრწამსი და ამის შესახებ დევნილობაში
 მყოფ წმიდა ილარიონს წერილობით აცნობეს. თებაიდაში აგე-
 ნის ეპისკოპოსმა სირმიუმის სიმბოლოს უარმყოფელი წერი-
 ლი დაწერა და ოსიას დაცემის შემდეგ დასავლეთში იგი გახდა
 მართლმადიდებელთა სული და გული. თავის უდაბნოში არც
 ათანასე იყო დადუმებული. კონსტანცისა და მისი დევნის ყვე-
 ლა საშინელებას მკაცრად ამხელდა და მეუდაბნოეებს წერი-
 ლებში სწორ სარწმუნოებას უხსნიდა. მაგრამ საკუთარ ძალებს
 არ ენდობოდა და სთხოვდა, რომ ელოცათ მისთვის, რათა ძე
 ღმერთის შესახებ მის მიერ არასრულყოფილად გადმოცემუ-



ლი სწავლება მართლმადიდებლობის დასაცავად გამომდგარო
ყო. თუ ამ მაღალ საკითხს ვერ სწვდებოდა, - ელოცათ, რომ
იმის გამო მაინც ემოქმედა ნაშრომს სასიკეთოდ, რომ კეთილი
მიზნით იყო ნაკარნახევი. აი, ასე თავმდაბლურად წარმოა-
ჩენდა საკუთარ თავს თავისი და ყველა მომდევნო საუკუნის
ღიადი მნათობი.

თუმც, მოხდა ისე, რომ სუსტი კონსტანცის მეფობის ბოლო
წლებში არიანელობა ორ, - ურთიერთმტრულ ბანაკად დაიყო:
ერთნი - ესენი იყვნენ ყველაზე უფრო ღრმა ერეტიკოსები, -
ეგრეთ ნოდებულები ამონეველები, რომელთა სახელიც ბერძნუ-
ლი სიტყვიდან „ამონიოს“ (არამსგავსი) მოდიოდა, რადგან ისი-
ნი ძისა და მამის არსებათა მსგავსებასაც კი არ სცნობდნენ და
მეორენი - ნახევრადარიანელები, რომლებიც ძეს თანაარსად
არ მიიჩნევდნენ, როგორც ამას ნიკეის კრება აღიარებს, მაგრამ
მამასთან მის მსგავსებას კი სცნობდნენ. პირველთა მამამთა-
ვარი ევდოქსი იყო. ლეონტის გარდაცვალების შემდეგ ანტიო-
ქიის კათედრას იგი ხრიკებით დაეუფლა, - მიუხედავად იმისა,
რომ სხვა საეპისკოპოსო კათედრა ჰქონდა. ის, წინამორბედის
მსგავსად, საკუთარ აზრებს უკვე არათუ აღარ მალავდა, მარ-
თლმადიდებელთა მიმართ აშკარა სიძულვილსაც გამოხატავ-
და; ეგვიპტიდან სოფისტი აიეტი და მისი მოწაფე ევნომი იხმო,
- უნდოდა, რომ პირველისათვის ღიაკენის ჩინი დაებრუნებინა,
რითაც სირიის სხვა ეპისკოპოსთა უკმაყოფილება გამოიწვია,
ისინი ანტიოქიაში მისი თვითნებური შეჭრით გაღიზიანებულე-
ბი იყვნენ.

მისგან დევნილმა ბევრმა კლერიკალმა თავდასაცავად
გიორგი ლაოდიკიელს მიმართა. მან მეფეთქალაქის, ნიკომი-
დიისა და ანკირის ეპისკოპოსებთან წერილები გაატანა, მათში
ევდოქსი იყო მხილებული. ქალაქ ანკირში ტაძრის კურთხევის
გამო რამდენიმე ეპისკოპოსი შეიკრიბა, ადგილობრივმა ეპის-
კოპოსმა, ბასილიმ, მათი საერთო თანხმობით ევდოქსი და ან-
ომეველები დაადანაშაულა, მცირე აზიის ეკლესიებს წერილები
დაუგზავნა და ნახევრადარიანელთა სტილში სარწმუნოების



ახალი სიმბოლო შეადგინა, შემდეგ კი გაემართა სირმიუმში სადაც იმპერატორი იმყოფებოდა. იქ ევდოქსის უკანონო ქმედებათა შესახებ გახდა მისთვის ცნობილი. ნახევრადარიანელებს მრავალმა ეპისკოპოსმა მიმართა. და პაპმა ლიბერიუსმა მიიღო მათ მიერ შედგენილი მრწამსი, რომელშიც ძე ღმერთისა და მამის თანაარსობის შესახებ სიტყვაც კი არ იყო თქმული. ევდოქსის ანტიოქიის დატოვება უბრძანეს, აიეტსა და ევნომის კი გაძევება მიუსაჯეს.

ქრისტეს შობიდან 359-ე წელი

იმპერატორი სირმიუმში შეკრებილი ეპისკოპოსების რაოდენობით უკმაყოფილო იყო. მან მთელი თავისი მეფობა კრებათა ამოო მონვევაში გაატარა. მღვდელმთავართა განუწყვეტელი გადაადგილებით იმპერიის ფოსტების მუშაობაც კი აირია. მერე კრების მონვევა კიდევ ერთხელ, – ჯერ ნიკეაში, ხოლო შემდეგ – ნიკომიდიაში გადაწყვიტა. პირველი კრება კარგად ახსოვდათ არიანელებს, ამიტომ ნიკეაზე უარი თქვეს; ნიკომიდია კი საშინელმა მიწისძვრამ დაანგრია. ბოლოს, ბევრი მსჯელობის შემდეგ, გადაწყდა, რომ აღმოსავლელნი სელევკიაში, – სომხეთის საზღვრებთან, დასავლელნი კი იტალიის რიმინში შეკრებილიყვნენ, თავიანთი შეხედულებები იმპერატორისათვის წარედგინათ და ის კი ამ ორს ერთმანეთთან შეარწყამდა.

დასავლელთაგან ჯერ ოთხასი შეიკრიბა, მათ შორის, – თვრამეტი არიანელი იყო. მართლმადიდებლებმა ცრუ საუბრებისა და მრწამსის წინააღმდეგ ბოლო წლებში გამართული ყველა იმ კრების აღწერა წარადგინეს, რომლებიც აღმოსავლეთიდან წმიდა ილარიმ გამოგზავნა. მათ დოგმატების შესახებ არავითარი კამათი არ დაუწყიათ, სირმიუმის მრწამსი უარყვეს, მხოლოდ ნიკეისას უჭერდნენ მხარს და ამიტომ იმპერატორთან თავიანთი მხრიდან ათი ეპისკოპოსი გაგზავნეს. იგივე გააკეთეს არიანელებმაც. მათ მიერ გაგზავნილებმა დაასწრეს

მართლმადიდებლებს, ისინი კონსტანციიმდე არ მიუშვეს და თავიანთკენ მიიმხრეს იმპერატორი. შეძრწუნდა კრება და მღელვარებამ იმატა მაშინ, როცა ეპისკოპოსებმა გაიგეს, რომ იმპერატორმა მათ თავიანთ კათედრებზე დაბრუნება აუკრძალა. რიმინში დიდი ხნის ყოფნით დაღლილმა და არიანელთაგან იმაში დარწმუნებულმა მართლმადიდებლებმა, რომ ძე ღმრთისას მსგავსების შესახებ გამოთქმები უთანხმოების აღმოფხვრის მიზნით მრწამსიდან ამოღებულია, ნელ-ნელა არიანელთა მხარეს დაიწყეს გადასვლა. ბოლოს თიბადი ეგინელიც შეცდა, – მაშინ, როცა აფრიკის ოლქის ეპისკოპოსის, – ასი წლის მოხუც მუზონის მოწოდებით, მართლმადიდებლობის მოსისხლე მტერმა, – ვალენტიმ სახალხოდ ანათემას გადასცა ისინი, ვინაც ძე ღმრთისას სხვათა მსგავსად შექმნილად აღიარებენ. მაგრამ ამ ორაზროვან სიტყვებში მზაკვრული სიცრუე იყო შენიღბული, რითაც მართლმადიდებლები მოატყუეს. ისინი მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს, – ისე, რომ შინაგანად თავიანთ მიერ გამოჩენილ სულმდაბლობას ვერც კი გრძნობდნენ. იმპერატორთან ათი ეპისკოპოსი, უმეტესწილად – არიანელები გაგზავნეს.

სელევკიის კრების შედეგებიც ასეთივე არაფრის მომტანი გამოდგა. მას დევნილი ილარიც ესწრებოდა. ეპისკოპოსები სამ ნაწილად დაიყვნენ, სარწმუნოების სიმბოლოსა და კირილე იერუსალიმელის საქმეზე ამაოდ იმსჯელებს, ვერაფერში ვერ შეთანხმდნენ. მათ შორის ნიკეის კრების მომხრე სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩებოდა. არიანელები, რომელთაც ევდოქსი ანტიოქელი და აკაკი პატროფილი ხელმძღვანელობდნენ, კრებას სირმიუმის მრწამსის მიღებას სთავაზობდნენ. მაგრამ ეს მრწამსი კრებაზე უფრო მრავალრიცხოვნად მყოფმა ნახევრადარიანელებმა უარყვეს, – მათი ხელმძღვანელები: ბასილი ანკირელი, გიორგი ანკირელი და კონსტანტინეპოლელი მაკედონი იყვნენ. ისინი 340 წელს ტაძრის კურთხევისას ანტიოქიის კრებაზე გადმოცემული მრწამსის მიღებას უჭერდნენ მხარს, – იმიტომ, რომ მართლმადიდებლურ სულთან



ის უფრო ახლოს იყო. ამოდ ეწინააღმდეგებოდა მათ აკაკიმ კესარიელი, რომელიც საკუთარ თავსაც და სხვებსაც აწილი, – კიდევ უფრო მეტად მკრეხელური სიმბოლოებით აბნევდა. ბოლოს ნახევრადარიანელები უკეთესმა აზრმა აამოქმედა, – მათ წმიდა კირილე გაამართლეს, არიანელები გაამტყუნეს და ათი ეპისკოპოსი გაგზავნეს იმპერატორთან, მაგრამ აკაკიმ და ევდოქსიმ კონსტანტინეპოლში ჩასვლა დაასწრეს მათ.

იქ ისევ გაიმართა კრება, რომელიც კონსტანცის დროს უკანასკნელი იყო. კრებაზე აიეტი და ევნომი გაამტყუნეს და ანომეველები კი გააფრთხილეს. დასავლელთა ჩასვლამ ყველაფერი შეცვალა: ურზასმა და ვალენტიმ აკაკისა და ევდოქსის დახმარების ხელი გაუწოდეს და რომინში დამტკიცებულმა მრწამსმა გაიმარჯვა. კონსტანციმ, როცა დაინახა, რომ ამ მრწამსს ბევრი ეპისკოპოსი უჭერდა მხარს, მისკენ სხვათა გადაბირებასაც შეუდგა და უარყოფელებს კი დევნიდა. წმიდა კირილე იერუსალიმელი თავის კათედრას ისევ ჩამოაშორეს. ბასილი ანკირელი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ, მართლმადიდებლობასთან ძალიან ახლოს იდგა და ნახევრადარიანელთა ხელმძღვანელად მიიჩნეოდა, ზოგიერთ სხვასთან ერთად ილირიაში გადაასახლეს. მაკედონის ადგილი თავისი კათედრიდან ჩამოშორებულმა ევდოქსიმ დაიკავა. მან კიზიკში ერესიარხ ევნომის დაასხა ხელი, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, თვითონვე გადაეყენებინა იგი, – იმიტომ, რომ ძე ღმერთზე მისმა მკრეხელურმა გამონათქვამებმა სამწყსოს მრისხანება გამოიწვია. მაკედონი დედაქალაქის გარეუბანში დასახლდა და სხვა, – სასტიკი ერესის, – სულისმბრძოლთა მეთაური გახდა. ერესიარხები ძე ღმერთისა და მამის თანაარსობას არ სცნობდნენ, რითაც წმიდა სამების წევრთა თანასწორობას არ აღიარებდნენ და სულიწმიდის ღმერთობას უარყოფდნენ. ბევრმა ნახევრადარიანელმა გაიზიარა ეს აზრი, ნიკომიდიის ეპისკოპოსმა ეს ერესი ფრაკიაში გაავრცელა.

იმისი შიშით, რომ მართლმადიდებლობას ავრცელებდა, ილარი კონსტანტინეპოლიდან სამშობლოში დააბრუნეს. მან

ნახა, რომ რიმინის მრწამსის მიღების გამო მთელი გალია იტალია აღელვებული იყო და ერესისა და თავად მდევნელი კონსტანცის მხილებით მწყემსებში მართლმადიდებლური სულიერება გააღვიძა. უქმად არც სირიაში, – თავისი გასახლების ადგილას მყოფი ლუციფერ სარდინელი ყოფილა. მისი ნაშრომები ბერძნულ ენაზე თავად ათანასე დიდმა თარგმნა, რათა აღმოსავლეთში არიანელთა და სულისმბრძოლთა მხილება გაეგრძელებინა, – იმიტომ, რომ ძე ღმერთის შესახებ დოგმატის დაცვისას იგი სულიწმიდის ღმერთობის აღსარებასაც მტკიცედ იცავდა. უნდოდა, რომ არიანული შეხედულებების მთელი უაზრობა ცხადად წარმოეჩინა და ამიტომ ყველა მათი კრება, რომელზედაც სარწმუნოების სხვადასხვა მრწამსი მიიღეს, თანამიმდევრულად აღწერა. ოცდახუთი წლის განმავლობაში თექვსმეტი მრწამსი შეადგინეს და ნიკეის სიმბოლოს ვერცერთი ვერ აღუდგა წინ.

უკანასკნელი მრწამსი მათ ანტიოქიაში, – კონსტანცის გარდაცვალების წელს შეადგინეს. კონსტანცი იქიდან სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობას აპირებდა. ამ დიადი ქალაქის ეკლესიაში მან შფოთი ჩამოაგდო. კლერიკალები და ხალხი მწყემსს ითხოვდნენ, – იმიტომ, რომ, როცა ევდოქსი დედაქალაქში გადავიდა, ყველამ ერთსულოვნად წმიდა მელეტი სებასტიელი, – თავმდაბლობით სავსე და ქველმოქმედი კაცი აირჩია. იგი მარხვითა და ღოცვით სიყმანვილის დღეებიდანვე იუძღურებდა სხეულს. აკაკი კესარიელსა და გიორგი ლაოდიკიელს ეგონათ, რომ მელეტი მათ მხარეს დაიკავებდა და პირველებმა სწორედ მათ შესთავაზეს იგი იმპერატორს და მართლმადიდებლებმა, რომლებმაც რწმენის შესახებ მელეტის მტკიცე კარგად იცოდნენ, ეს შემოთავაზება სიხარულით მიიღეს. მთელი ქალაქი სიხარულით შეხვდა თავის მწყემსს. მაგრამ იმპერატორის წინაშე წარმოთქმულმა პირველივე სიტყვაკაზმულმა ქადაგებამ, რომელიც ღმერთის ზემოთსიბრძნეს ეხებოდა და რომლის თემაც თავად იმპერატორმა შესთავაზა, არიანელები გააღიზიანა, მელეტიმ თქვა – „უფალმა მე თავის გზათა დასა-



ბამში შემქმნა¹¹⁶ და სახარებისეული გამონათქვამებით ყველა არიანელი გაალიზიანა, – იმიტომ, რომ ამ გამონათქვამებით მელეტიმ ცხადად დაამტკიცა, უეჭველი რომ არის ძის ღმერთობა და მამასთან მისი თანაარსობა. მელეტის სუსტ იმპერატორთან ცილი დასწამეს და მას სასომხეთში გაძევება მიესაჯა. არჩევიდან ერთი თვის შემდეგ მის ადგილას თავიანთი თანამოაზრე, – ევზო დასვეს. მაგრამ მასთან ურთიერთობა არავის სურდა. მელეტის მცირეხნიანმა ყოფნამ მის სამწყსოზე კეთილი ზემოქმედება მოახდინა, საყოველთო სიყვარულის დამსახურება ძალუძდა მელეტის: დედები მის სახელს შვილებს არქმევდნენ, მოედნებზე და სოფლებში გაისმოდა ეს სახელი, მელეტის გამოსახულებები ყველა სახლში იყო. ხალხი იმდენად დაღონდა, რომ, როცა ქალაქის მმართველმა გასაძევებლად თავისი ეტლით წაიყვანა, მელეტი იძულებული გახდა, მანტიით დაეფარა ეს ჩინოსანი, რათა ხალხის მიერ დაშენილი ქვებისაგან გადაერჩინა. სიმტკიცე ბევრჯელ გამოავლინა წმიდა ევსევიმაც, – სამოსატის ეპისკოპოსმა. მის ხელთა ქვეშ ანტიოქიის კათედრაზე მელეტის არჩევის ოქმი ინახებოდა. იმპერატორი ამ ოქმის დაბრუნებას ითხოვდა, ხელის მოკვეთითაც ემუქრებოდა, თუ კი დაუმაღავდა. ევსევიმ მშვიდად გაუწოდა ხელები, უთხრა, რომ ყოველთვის შეინახავს იმ ოქმს, რომელიც არიანელთა მზაკვრობას ააშკარავებს და კონსტანციმ მის ვაჟკაცობას პატივი სცა. ასე ამრიგად, ანტიოქიის ეკლესია სამ ნაწილად გაიყო, ესენი იყვნენ: არიანელები, რომელთაც ეპისკოპოსად ევზო ჰყავდათ და მართლმორწმუნეები, რომლებიც დოგმატებში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ თავიანთი მწყემსების გამო იყვნენ განცალკევებულები: – ერთნი კონ-

¹¹⁶ ტექსტში – „Господь создал меня в начале путей своих“, – შესაძლოა, მელეტი მამის წიაღიდან ძის გამოსვლით სამყაროს შესაქმნის დაწყებას გულისხმობს; სახარებიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ ძე, ისევე, როგორც მამა, დაუსაბამოა, ნიკეა-კონსტანტინეპოლის მრწამსის თანახმად, იგი არის – „შობილი და არა ქმნილი“; შეად.: „პირველითგან იყო სიტყუა“ (იოან. 1: 1); „ყოველივე მის მიერ იქმნა“ (იოან. 1: 2); „სიტყუა იგი კორციელ იქმნა“ (იოან. 1: 14); „ვიდრე აბრაჰამისა ყოფამდე მე ვარ“ (იოან. 9: 58) და სხვა...

სტანტინე დიდის დროს აღმსარებელად შექმნილ ხშირად ევსტათის მიაგებდნენ პატივს, ისინი მოციქულთა ძველ ეკლესიაში კანონიერი მღვდელმთავრის მოლოდინში ცალკე იკრიბებოდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ, მელეტი მართლმადიდებელი იყო, მისი არჩევა არასწორად მიაჩნდათ იმიტომ, რომ ამ არჩევაში ძირითადად არიანელებმა მიიღეს მონაწილეობა; მელეტის ერთგულებს კი ევსტათელებთან არ უნდოდათ ურთიერთობა.

ასეთ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ეკლესიის საქმეები მაშინ, როცა განდგომილი კეისარი – იულიანე, ბარბაროსებთან გამარჯვებებით განდიდებული, გალიაში იმპერატორად გამოაცხადეს. კონსტანცი შეშფოთდა და ძმისშვილის მიერ გაგზავნილ პატივისცემით სავსე წერილს, რომელშიც იულიანე ტახტზე თავისი ასვლის შესახებ ატყობინებდა, მრისხანე წერილით უპასუხა და უბრძანა, რომ მოეხსნა სამეფო მანტია, – სამაგიეროდ, იმას პირდებოდა, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. კეისარ იულიანეს რაზმები აღელდნენ. იულიანე წარმართმა მკითხავებმა და სიზმრებმა ალაგზნეს, მკითხავეების რჩევებსაც და სიზმრებსაც მისი პატივმოყვარეობა იწვევდა. იულიანე ბიძის წინააღმდეგ დაიძრა. კონსტანციმ სპარსეთის ომი მიატოვა და ანტიოქიიდან სასწრაფოდ დედაქალაქისაკენ გაეშურა, მაგრამ გზად სასიკვდილო ავადმყოფობა დაემართა და არიანელი ეპისკოპოსის, – ევზოსაგან ნათლობა მიიღო. მისი სხეული მოციქულთა ტაძარში დიადი მამის გვერდით დიდი პატივით მიაბარეს მიწას. აღმოსავლეთი და დასავლეთი კონსტანტინეს შტოს უკანასკნელ შთამომავალს, – იულიანეს დაემორჩილა.

იულიანე განდგომილი

იულიანეს გამეფებამ კეისრის სასახლეში ყველაფერი შეცვალა. იქიდან სხვადასხვა მხარეში წავიდნენ ეპისკოპოსები, რომლებიც კონსტანცის ეხვივნენ გარს. კონსტანცისთან დაახლოებული ბევრი მათგანი დასაჯეს. გამოორჩეულმა უბრალოებამ მეფურ სიმდიდრესა და დიდებულებას დაუთმო ადგილი. ახალ იმპერატორს სურდა, რომ ფილოსოფოსად განეთქვა თავი, მან დედაქალაქში მაქსიმესა და სხვა სოფისტებს უხმო, მათთან ოდესღაც მცირე აზიასა და ათენში ჰქონდა ურთიერთობა. იულიანეს მთავარი მიზანი წარმართობის აღდგენა და ქრისტიანობის დამცირება იყო. მაგრამ იმ დროს, როცა გადაგდებულ ან დანგრეულ კერპებს დგამდა ან ანახლებდა და უამრავი მსხვერპლის შესანიშნავად თავის გარშემო ქურუმებსა და მკითხავეებს იკრებდა, ჯერ არ უნდოდა, ქრისტიანთა დევნა დაენყო, – იმიტომ, რომ კარგად ახსოვდა, რა ამაო გამოდგა დიოკლიტიანეს დროინდელი დევნა, რომელმაც ქრისტიანთა მონამეობით უფრო განამტკიცა ეკლესია. იულიანე ჯერ მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ ქრისტიანთა მიმართ აშკარა სიძულვილს ამჟღავნებდა და გალილეველებად მოიხსენიებდა მათ. როცა ქალკედონის ეპისკოპოსმა, – მარინმა ნახა, თუ როგორ შესწირა მან სამეფო ქალაქის მთავარ ტაძარში კერპებს მსხვერპლი, აღშფოთებულმა ვერ მოითმინა და უსაყვედურა უღირსს. „შენ ბრმა ხარ“, – მიუგო კეისარმა, – „და შენი გალილეველი ღმერთი ვერ განგკურნავს“, – „ჰოდა გიხაროდეს, რომ ბრმა ვარ“, – შეეპასუხა ასი წლის მოხუცი, – „რადგან განდგომილის ყურება არ მინევს“. განდგომილმა ვერ გაბედა, ხელი დაეკარებინა მისთვის; დიდსულოვნება მოიმიზეზა.

ქრისტიანთა სიმრავლისა და ხალხისაგან გადმოღვრილი სიძულვილის გამო გადაწყვიტა, რომ განსხვავებული საშუ-



ალელებით დაემარცხებინა ქრისტიანები, - ეკლესიის წიაღში განხეთქილებას თესავდა. ამ მიზნით კონსტანცის მიერ გახლებული ყველა ეპისკოპოსი დააბრუნა. მაგრამ, როცა მელეტი, ევსევი, ლუციფერი და სხვები თავიანთ კათედრებზე დაბრუნდნენ, ამით მართლმადიდებლობას შეეწყო ხელი. იმპერატორმა შემდეგ ის შეღავათები გააუქმა, რაც მისმა წინამორბედებმა სასულიერო პირებს უბოძეს, - მათ კლერიკალები საზოგადოებრივი მოვალეობებისაგან გათავისუფლებული ჰყავდათ და ბევრ ეკლესიას გადასახადს აძლევდნენ, რათა უპოვარნი შეენახათ. იულიანემ სულიერი სიგლახაკის შესახებ სახარებისეული მცნების საბაბით საეკლესიო ქონებაც გაიტაცა და, ასე ამრიგად, დაცინვას სისასტიკეც ზედ დაურთო. ქრისტიანებს სამოქალაქო პატივის მიღება, სასამართლოებში სამართლის ძებნა, სასწავლებლებში კათედრების დაკავება აუკრძალა. ბრძანებდა, რომ მხოლოდ ნმიდა წერილის განმარტებით დაკმაყოფილებულიყვნენ, - იმიტომ, რომ ხალხი, ვისაც ჰომეროსი და სხვა ძველი გენიოსები სძულდა, მისი აზრით, მოსწავლეებისათვის მათ ქმნილებათა სწორად სწავლებას ვერ შეძლებდნენ. განდგომილს ბასილისა და გრიგოლის ათენური მხილებანი ახსოვდა და ემინოდა, რომ სკოლებშიც ისევე დაიქუხებდა ქრისტიანული სწავლება, როგორც - ეკლესიებში. ამიტომ აკრძალვა მხოლოდ მასწავლებლებზე კი არა, - მოსწავლეებზეც გაავრცელა, რათა უვიცობის სიბნელები ქეშმარიტების სინათლე სულ გამქრალიყო. ამტკიცებდა, რომ გალილეელებს არა სჭირდებათ სწავლა იმიტომ, რომ მათ ყველაფერი განსჯის გარეშე უნდა ირწმუნონ.

თვითონ კი იმას ცდილობდა, რომ მათი ნმიდა ზნეობისათვის მიებაძა და წარმართ ქურუმებს შორის დაენერგა ეს ზნეობა. როგორც მთავარი ქურუმი, წერილობით მოუწოდებდა მათ, რომ თავშეკავების აღთქმა დაედოთ, რიტუალების ზუსტად შესრულებას ითხოვდა, - თითქოსდა კერპთა რელიგიის დაძველებული შენობა ქრისტიანობის ყოვლისშემძლე მაცოცხლებელი სულიერების ძალით ნანგრევებიდან აღდგებო-



და. „სირცხვილია თუ ქველმოქმედებაში გალილეველები გვამჯობობენ“, – წერდა განდგომილი და საკერპობებთან არსებულ საავადმყოფო და სასტუმრო სახლების გასამართავად დიდ თანხებს იხდიდა, მონასტერთა მსგავსებანიც კი მოაწყო, ღმერთების საპატივცემულოდ მრავალჯერადი ლოცვა, ჰიმნების მღერა, საიდუმლო წიგნთა განმარტებები დაანესა, ქურუმებს განწმედის სხვადასხვა წესი დაუდგინა, სახალხო სანახაობანი აუკრძალა და მკაცრი წესდებანი დაუნერა; ერთი სიტყვით, უნდოდა, რომ წარმართობის გახრწნილი გვამი ქრისტიანობის ნათელი გარსით გაელამაზებინა და გაეცოცხლებინა. განგებამ საშუალება მისცა, რომ უკანასკნელი უგუნურება ჩაედინა, რათა ცხადად დაენახა ქვეყნიერებას, თუ რა საფუძვლებზეა დამყარებული სარწმუნოება, რომელმაც სამყარო განაახლა და რა ცოტას გაკეთება შეეძლოთ კონსტანტინესა და იულიანეს, რომ თავად ან განედიდებინათ, ან გაენადგურებინათ სარწმუნოება; – იმიტომ, რომ მისი თავკიდური ლოდი იგი იყო, ვინც დასაწყისში უარყვეს მშენებლებმა, და რომ ქრისტიანულ ეკლესიათა ბედი წარმავალ კი არა, არამედ, – ზენაარის მიერ მართულ მარადიულ კანონებზეა დამყარებული.

მაგრამ ყველა აღმსარებლობის მიმართ გამოჩენილი ეს ყალბი გულგრილობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ფილოსოფოსის სახიდან მალე მდევნელმა გამოიხედა და ფარულს ცხადი დევნა მოჰყვა. ისევ გამოჩნდნენ აღმსარებლები და მონამეები. წმიდა გრიგოლის ძმამ, – კესარიოს მკურნალმა, რომელიც მეფის კარზე ღირსებით იყო მიღებული და რომელსაც ხშირად არწმუნებდა ძმა, რომ ამ პატივზე უარი ეთქვა, განდგომილის წინაშე პირველმა აღიარა თავისი რწმენა და, როცა დაინახა, რომ საშიშროება ემუქრებოდა, სასწრაფოდ კაბადოკიაში, – თავის მოხუცებულ მამასთან, – ნაზიანზინის ეპისკოპოსთან გაეშურა. იქ წუთისოფლიდან მალე მარადისობაში გადავიდა და სამარესთან მხურვალედ ატირებული ძმა და აცრემლებულ მშობლები დატოვა. იულიანეს წინაშე მისმა სამმა ჩინოსანმა, სამივემ, რომელმაც შემდგომში მისი ტახტი მიიღო, იოვინი-



ანემ, ვალენტიმ და ვალენტინიანმა ასევე არ დამალა თავისი რწმენა. ამათგან უკანასკნელმა, რომელიც საკერპოში შევიდა, როგორც მეფის მცველი რაზმის უფროსი, ისიც კი გაბედა, რომ მეფის თანდასწრებით ერთი ქურუმი დაჭრა, - იგი, ვინც იულიანეს განსაწმედელ წყალს აპკურებდა. კერპთმსახურმა შემთხვევით ტანისამოსი დაუსველა მას. ვალენტინიანმა სამოსი მაშინვე ჩამოიხია და იგი სასომხეთში გაასახლეს. თუმც, ჩინი არ ჩამოუერთმევიათ. ბევრმა ჯარისკაცმა, რომელიც, ძველთაგან მიღებული წესებისდა თანახმად, დროშაზე მეფის გამოსახულებას უნდა მთხვეოდა, თაყვანცემაზე უარი თქვა იმიტომ, რომ იულიანემ თავის გამოსახულებას იუპიტერის, მარსისა და მერკურისა მიუმატა. სხვები, რომლებსაც ჩვეულებრივად ფულს ურიგებდნენ, იმპერატორის მიერ ახლებური წესით ვერაგულად მოტყუებულები, იძულებულნი შეიქმნენ, მათ წინაშე აღმართული სამსხვერპლოს წინაშე გუნდრუკი ეკმიათ და მხოლოდ მაშინ შეძრწუნდნენ, როცა მეგობრებმა კერპთაყვანისმცემლობაში დაუნყეს მხილება. იმისათვის, რომ უდანაშაულობა დაემონწმებინათ, მოთქმით გაექანნენ დარბაზებისკენ, ოქრო ძირს მიუყარეს იმპერატორს და უნებლიე ცოდვის გამო სასჯელი სთხოვეს. მრისხანების პირველი შემოტევისას იმპერატორმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯა მათ, მაგრამ მერე, რადგან არ უნდოდა, მოწამეთა გვირგვინი მიეცა, იმპერიის შორეულ მხარეებში გააგზავნა.

წარმართები მეფეს ბაძავდნენ, ქრისტიანებს თავხედურად ლანძღავდნენ და ამით მღელვარებას იწვევდნენ. ისევ დაიღვარა მოწამეთა სისხლი, ქალაქის თავები ისევ აიძულებდნენ ქრისტიანთ, რომ მსხვერპლი ეწირათ, - იმიტომ, რომ იულიანე თვითონ მოივლიდა ხოლმე საკერპოებს და კერპებისთვის უხვად სწირავდა მსხვერპლს. ორი ახალგაზრდა, რომელმაც ფრიგიაში მის წინაშე კერპთა დედაზე გაიცინა, თავიანთ დედასთან და ქალაქ პესინუნტის ეპისკოპოსთან ერთად მხეცებს მიუგდეს. ანკორში მამაცმა პრესვიტერმა ბასილიმ და სამმა ახალგაზრდამ თავად კეისრის წინაშე აღიარეს რწმენა და აღსარება

სისხლით აღბეჭდეს. ასე რომ, იულიანეს გზა მნამებლობით იქნა ნიშანდებული. ზოგიერთები კესარიასშიც დაზარალებულნი და მთელი ქალაქი, რომელიც ქრისტიანობისადმი მოშურნეობის გამო სძულდა იულიანეს, საოლქო ქალაქთა რიცხვიდან გამოირიცხა და ყველა უპირატესობა ჩამოერთვა. იულიანემ ეკლესიის ქონება დაიტაცა, კლერიკალები დაბალ თანამდებობას გაუთანაბრა და მძიმე ბეგარა დააკისრა მათ.

კესარიის ეპისკოპოსის, - დიანის გარდაცვალებამ, ლამის იყო და, დიდი დევნის დაწყება გამოიწვია; - იმიტომ, რომ კლერიკალთა შორის გაუგებრობებისა და უთანხმოებების დროს მოქალაქეებმა ეპისკოპოსად ერთხმად აირჩიეს ევსევი, - დიდად კეთილმოქმედი, მაგრამ ჯერაც მოუნათლავი კაცი, და ტაძარში შეკრებილი ეპისკოპოსები აიძულეს, რომ სასწრაფოდ მოენათლათ და ხელი დაესხათ მისთვის. შეშინდნენ და დათანხმდნენ, მაგრამ ევსევის დადანაშაულებას აპირებდნენ, თუმც, ევსევის თვითონაც იძულებით უბოძეს ეპისკოპოსის ხარისხი. იულიანე, რომელიც ქრისტიანების დასამცირებლად შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, უკმაყოფილოებს თანაუგრძნობდა. მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი მუქარისა, ნაზიანზინის მოხუცებულმა ეპისკოპოსმა, - გრიგოლმა ეკლესიის მსახურები სამარცხვინო საქციელისაგან ბრძნული რჩევებით შეაჩერა და ეკლესია მის გასაძარცვავად გაგზავნილ ჯარისკაცთა ძალადობისაგან გადაარჩინა. მას მოშურნედ ეხმარებოდა მართლმორწმუნე შვილი, გრიგოლი, რომელიც მამამ, ხალხის სურვილით, პრესვიტერად ძალით აკურთხა და კათაკმეველთათვის ზრუნვა დაავალა. დაღონებული გრიგოლი ბასილისთან - უდაბნოში გაიქცა, მაგრამ, რადგან მერე ველარ გაბედა, მშობლის ნების წინააღმდეგ დიდხანს მდგარიყო, დაუბრუნდა ახალ მოვალეობას, რათა მმართველობის სიმძიმე მამასთან ერთად ეტვირთა. ძალდატანება მისმა მეგობარმა, - ბასილიმაც იწვინა, მან - ეპისკოპოს ევსევისაგან, რომელიც ახალმონათლული იყო. ევსევის სამწყსოს დასამოძღვრად სასულიერო საქმეებში ბასილის გამოცდილება ესაჭიროებოდა

და ამიტომ პრესვიტერად აკურთხა იგი. მაგრამ ადამიანურ
მა სისუსტემ სძლია და გულგრილად ვედარ უყურებდა, რომ
დიდი სახელით სარგებლობდა ბასილი. მაშინ ბასილი ამსოფ-
ლიურ კანონებს განერიდა და თავის საყვარელ უდაბნოში, –
პონტოს ტყეებში შეკრებილ ბერებს დაუბრუნდა.

იულიანე განდგომილმა, რომელსაც ათენური მხილებანი
არ დავიწყებოდა, ვერ გაბედა, რომ კესარიიში თავის ყოფილ
მეგობრებს შეხვედროდა და ანტიოქიისაკენ განაგრძო გზა, –
იქიდან სპარსელებზე ლაშქრობას აპირებდა. აღმოსავლეთის
დედაქალაქში საზეიმოდ შესასვლელად მან ადონისის წარმარ-
თული ზეიმის დღე შეარჩია და დალონდა, როცა ნახა, რომ
იქ წარმართული კერპებისათვის მსახურება მიეცოვებინათ, –
იმიტომ, რომ მთელი ანტიოქია ქრისტიანობით ბრწყინდებოდა.
თუმცა, ქალაქის გარეუბნებში თავისიანები მაინც მოძებნა.
ძველი კერპთაყვანისმცემლები სიხარულით აღდგნენ ქრის-
ტიანთა წინააღმდეგ და დაცარიელებული ტაძრებისაკენ დაიძ-
რნენ. მათმა მძულვარებამ არეფუზის მოხუცებული ეპისკოპ-
ოსი დააზიანა. მან ოდესღაც სირიის ერთი ცნობილი საკერპო
დაანგრია. ძველი წყენის გამო შურის საძიებლად ხალხმა ბევრი
სცემა და ლანძღა მოხუცი, ბინძურ სანიაღვრეებში აგდებდნენ
და ბოლოს ბავშვებს სათამაშოდ მიუგდეს, – მათ ჯერ ბევრი
ანვალეს, მერე თაფლი წაუსვეს და შუადღის ხვატში კალათში
ჩასმული მწერების შესაჭმელად გაკიდეს. მწამებლები ითხოვდ-
ნენ, რომ ტაძრის განადგურების გამო საფასური გადაეხადა,
ფასს სულ უფრო და უფრო დაბლა სწევდნენ, მაგრამ მაინც
ვერაფერს გამორჩნენ. ასე რომ, ამგვარი იშვიათი სიმტკიცით
თვითონვე შერცხვენილები იძულებულნი გახდნენ, გაეშვათ
მოხუცი.

მაგრამ ფინიკიის ილიოპოლისში წარმართებმა დიაკონი
კირილე მოკლეს, – კონსტანტინე დიდის დროს იგი კერპებს
ანგრევდა. რისხვის პირველი შეტევა ისეთი მძლავრი იყო
წარმართებში, რომ მისი ღვიძლი შეჭამეს. იმავე ღმრთივმო-
შურნეობისათვის ღაზაში სამი ძმა: ევსევი, ნესტერიონი, ზე-



ნონი და, მათთან ერთად, ყმანვილი ნესტორი ალესროდნენ მოწამეობრივად. წარმართებმა ბევრი მღვდელი და ქველსული დაგლიჯეს და სხეულები ღორებს მიუგდეს. იულიანე ყველა ამ საშინელებას გულგრილად უქერდა, ვითომც ვერ პოულობდა დამნაშავეებს. ლაზელი წარმართები, რომელთაც დიდი ილარიონის სასწაულები და კერპების დანგრევის სურვილი ახსოვდათ, მის მოკვლას ეგვიპტის გარეთაც ცდილობდნენ, – სავანეების მონახულებითა და დამოძღვრით მან ანტონი შეცვალა. მაგრამ წმიდა მოხუცმა სულით განჭვრიტა საშიშროება, რაც მას და საძმოს ემუქრებოდა და გაუვალი უდაბნოს გზით შორეულ ოაზისში გადაიმალა. იქიდან გადავიდა სიცილიაში, სადაც, ბოლოს, მისმა დიდი ხნის განმავლობაში მძებარმა მოწაფემ, – ისიხიმ მოძებნა. მაგრამ სასწაულთაგან მოსული დიდების გამო მოხუცი იძულებული ხდებოდა, სხვადასხვა ადგილზე გადასულიყო. ეპიდავრაში ზღვის პირას მიმავალთ მან მოწყალედ გაუწოდა ხელი, კვიპროსში კურნებათა სასწაულებს ახდენდა. იქ, ქვეყნიერებისაგან სულის მიერ შორს წაყვანილი, ზეციურ სამშობლოში გადავიდა. წარმართებმა სამარიაში წინასწარმეტყველის წმიდა ძვლები არ დაინდეს. იერუსალიმელმა ბერებმა მათი ნაწილი ძლივს გადაარჩინეს და უდაბნოში ათანასე დიდს გაუგზავნეს. ანტიოქიაში იმპერატორი მართლებს ლანძღავდა, კერპთმსახურებისათვის საჭირო წყალს ყველა იმ სასმელ წყალში და საჭმელზე ასხამდა, რომლებიც კი ბაზრებზე გაჰქონდათ.

ალექსანდრიელებმა თავიანთ პრეფექტ არტემიზე იჩივლეს, რომ კონსტანტინეს მეფობის დროს იგი კერპებს ანგრევდა. იულიანემ ანტიოქიაში გამოიძახა არტემი და თავის იმ რამდენიმე მეომართან ერთად, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვას აიძულებდნენ, სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ალექსანდრიის წარმართი ბრბოს შეჩერება აღარანაირ ძალას არ ძალუძდა და მან ქრისტიანების რბევა დაიწყო. ბევრი ჩაქოლეს, სხვები შეურაცხყოფის მიზნით ჯვარზე გააკრეს, ეკლესიიდან



ათანასეს მდევნელი ეპისკოპოსი გიორგი გაიყვანეს და ქუჩებში მოკლეს. გვამი დანვეს და ფერფლი ზღვაში გადაყარეს. მუცის დიდებულებმა ეს ამბოხი ძლივს ჩააცხრეს.

მაშინ ათანასე წასვლიდან შვიდი წლის შემდეგ უდაბნოდან დაბრუნდა. ზეიმითა და ამავდროულად სიმდაბლით შევიდა თავის საეკლესიო ოლქში. უამრავ ადამიანს შორის იგი სახედარზე ამხედრებული მოდიოდა, შორიდან მოემართებოდნენ მის შესახვედრად. გეგონებოდა, მთელი ეგვიპტე შემოკრებილა შესაგებებლადო. ყველა ბორცვზე შემდგარიყო ხალხი, რათა დაენახათ მაინც, ან სანატრელი ხმა გაეგონათ, ან მისი ჩრდილით განწმენდილიყვნენ, როგორც ეს ოდესღაც, მოციქულების დროს, ხდებოდა. საერთო ზეიმზე დიდი ქალაქის სხვადასხვა ტომი შეიკრიბა, სხვადასხვაენოვანი გალობით გამოხატავდნენ სიხარულს. ქუჩებში საკმეველს აკმევდნენ, მთელი ღამეების განმავლობაში ჩირალდნები ენთოთ. სახლებსა და ბაზრებში ერთნაირად ხარობდა ყველა. არიანელები ისევ გაიქცნენ. მათი ყველა ეკლესია მართლმადიდებელთა ხელში გადავიდა. ათანასე არავის არ აგდებდა, მიუხედავად მრწამსის განსხვავებულობისა, დევნილთაგან ყველას უმსუბუქებდა ხვედრს. მან მხოლოდ ის ბრძანა, რომ წმიდა ადგილები უღირს კლერიკალთაგან, ხოლო სწორი სარწმუნოება — მკრეხელური დოგმატებისაგან გაენმინდათ.

დევნილი ევსევი ვერკელინელის და ლუციფერ სარდინიელის დაბრუნებით ისარგებლა და, რათა ქეშმარიტი სარწმუნოება განემტკიცებინა და ანტიოქიის ეკლესია დაემშვიდებინა, ათანასემ ალექსანდრიაში მხოლოდ იმ ოცი ეპისკოპოსისაგან შემდგარი მცირე კრება მოიწვია, რომელთაგან ყველა აღმსარებელი იყო. არიოზულმა ქარიშხალმა, რომელიც კონსტანტის გრძელხნიანი მეფობის დროს რომის სამყაროს აშფოთებდა, მძიმე კვალი დატოვა. თითქმის ყველა ეპისკოპოსმა, რომელმაც რიმინიის კრების ბოლო სიმბოლოზე ხელი მოაწერა, — ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, არიანელად აღიარა თავი და, როცა ტყუილი დაინახა, სახალხოდ იფიცებოდა,



– გულით გვჯეროდა, რომ ბოროტი ერესისაგან შიშის უიდე-
 ექითო. მაგრამ ის მცირენი, ვისაც სიმბოლოზე არა შექონდა
 ხელი მონერილი, მათთან ურთიერთობას გაურბოდნენ და
 ასეთი ურთიერთგათიშულობა კი, რომელმაც ყველა ადგილი
 მოიცვა, თავად ერესივით საშიში ხდებოდა. საჭირო იყო, რომ
 ეკლესიის წყლულების მკურნალობა ძალიან დიდი სიფრთხილ-
 ითა და შემწყნარებლობით დაენყოთ, – ისე, რომ დაცემულე-
 ბი არ გაესასტიკებინათ და სულმდაბლები არ ეცდუნებინათ.
 ათანასე დიდმა, რომელსაც თავისი დროის საჭიროებები ღრ-
 მად ჰქონდა გაცნობიერებული, მიუხედავად იმისა, რომ, რწ-
 მენაში თვითონ არ შეფერხებულა, კრებაზე დაადგინა, რომ,
 თუ კი მოინანიებდნენ, ეპატიებინათ ერესის დამწყებთათვის;
 ოღონდ, კლერიკალთა შორის არ ლებულობდა, – კლერიკა-
 ლებში მხოლოდ იმათ ადგენდა, რომელნიც თავიანთი ნებით
 არ შერყვნილან, რომელნიც უნებურად ჩავარდნენ ცოდვაში.
 ნიკეის სიმბოლო, როგორც საფუძველი ჭეშმარიტი სარწმუ-
 ნოებისა, ისევ შესთავაზეს ყველა ეკლესიას და კრებაზე ნათ-
 ლად იქნა გადმოცემული სწავლება არსის ერთიანობასა და
 წმიდა სამების ღირსებით თანაბარი და განუყოფელი სამი ჰი-
 პოსტასისა და კაცთა მოდგმის გამოსახსნელად ძე ღმერთის
 საიდუმლო ხორცშესხმის შესახებ.

შემდეგ ათანასემ და სხვა მამებმა ანტიოქიის ეკლესიას
 მშვიდობისმომწოდებელი წერილი მისწერეს, – მოუწოდებდნენ,
 რომ ეპისკოპოს მელეტისა და ნეტარი ევსტათის ხსოვნის ერთ-
 გულ პრესვიტერ პავლინის მიმდევარ მართლმადიდებლებს შო-
 რის მშვიდობა ჩამოვარდნილიყო, არიანული უღირსობის წი-
 ნალმდეგ გაერთიანებას შთააგონებდნენ. მაგრამგლუციფერ
 სარდინიელი, რომელმაც ანტიოქიაში მხარეთა მოსარიგებლად
 სხვა გაგზავნილებს დაასწრო, ამოდ გაისარჯა და უფრო
 გააღრმავა უთანხმოება იმით, რომ, მელეტის უფლებების
 გაუთვალისწინებლად, პრესვიტერად პავლინს დაასხა ხელი.
 როცა ალექსანდრიის კრების მამათა უკმაყოფილება დაინახა,
 მათთან კავშირი განყვიტა და დაცემულთა მიმართ შემწყნარე-



ბლური დამოკიდებულება არ მოუწონა. ასე ამრიგად, ანტირუსული იის სამწყსოს სამი ეპისკოპოსი მართავდა: მელეტი და პავლინი მართლმადიდებლებს, ევზო არიანელებს განაგებდნენ და ეს უთანხმოება კიდევ ხუთ-ათ წელიწადს გრძელდებოდა. ლუციფერი სარდინიაში დაბრუნებიდან მალე გარდაიცვალა, მაგრამ იტალიასა და გალიაში ევსევი და ილარი განაგრძობდნენ მოქმედებას, - ალექსანდრიის კრების დადგენილება სისრულეში მოჰყავდათ და იმ ეპისკოპოსებს აერთიანებდნენ, რომლებიც რიმინიის მრწამსს არ აღიარებდნენ. მათი მცდელობით, მიუხედავად იმისა, რომ, წარმართები, ისევე, როგორც აღმოსავლეთში, დასავლეთშიც მძლავრობდნენ, მთელი დასავლეთი ისევ მოიქცა მართლმადიდებლობისკენ. მეფის მფარველობით აფრიკაში დონატისტებმა ისარგებლეს, მართლმადიდებლებს თავს ესხმოდნენ, სინმიდეებზე მრისხანებდნენ და კლერიკალთაგან ბევრი მოკლეს.

ალექსანდრიელმა წარმართებმა დიდი ხნით არც ათანასე დატოვეს მოსვენებული. იმპერატორთან მათი სინმიდეების გაფლანგვა დააბრალეს ათანასეს და იულიანემ ადრინდელ კეისართა მიერ უკვე მრავალჯობის გასამართლებულ ათანასეს, მართლმადიდებელთა ჩივილის მიუხედავად, განდევნა მიუსაჯა. საკუთარი ხელით ეგვიპტის პრეფექტს მისწერა, რომ მთელ ოლქს ბეგარას დაადებდა, თუ ათანასე დადგენილი დროისათვის განდევნილი არ იქნებოდა. იულიანემ ალექსანდრიის მთავარი ტაძრის დასაწვავად ჯარისკაცები გააგზავნა და უბრძანა, რომ მოეკლათ იგი. მართალნი ცრემლით ევედრებოდნენ, არ წასულიყო. „ეს ერთადერთი ღრუბელია, მალე გადაივლის“, - თქვა ათანასემ და მდინარეს აღმა გაუყვა ცურვით თებაიდისკენ. როცა მისი გაქცევის შესახებ შეიტყვეს, მტანჯველებმა მადევარი დაადევნეს, მეგობრები ურჩევდნენ, ნაპირზე გასულიყო და უდაბნოში გაქცეულიყო. იმაში დარწმუნებულმა, რომ მისი მფარველი მდევრებზე ძლიერია, ათანასემ, პირიქით, ბრძანა, ნავი შეებრუნებინათ და ალექსანდრიისაკენ ეცურათ. როცა მკვლევები ნავს შეხვდნენ, მოცურავეებს ჰკითხეს: -



„შორს არის ათანასე?“ – მგზავრებმა მიუგეს: – „თუ დაწინაურდებით, მალე დაენვეით“. თავიანთ მსხვერპლს ასე განუმარტეს მწამებლები.

განდგომილი ამასობაში სპარსელებთან ომისათვის კერპებისადმი განუწყვეტელი მსხვეპლშენირვით ემზადებოდა, ამოდ ცდილობდა, ომის წარმატების საიდუმლო მსხვერპლად შენირული ცხოველების ცეცხლმოკიდებული შიგნეულობებიდან ამოეკითხა. აპოლონის ტაძრის ქურუმებმა დაარწმუნეს, რომ დაფნის გარეუბანში შენახული, – წამებულ ბაბილას წმიდა ნაწილები უშლიდა ხელს მკითხაობაში და განდგომილმა ბრძანა, რომ მათი საუკუნო მყუდროება დაერღვიათ. ანტიოქიის მოქალაქეებმა განუხრწნელი ნაწილები ეპისკოპოსის ყოფილ კათედრაზე სულიერი ზემოთ გადასვენეს და რამდენიმე დღის შემდეგ მესმა დაფნის საკერპო დაანგრია. იმპერატორმა ქრისტიანებზე იძია შური: ანტიოქიის ეკლესიები დახურეს, მდიდარი საჭურჭლე გაანადგურეს და შეურაცხვევს, მღვდლები გაიქცნენ. ერთი მამაცი პრესვიტერი დარჩა, სახელად – თეოდორე და ისიც მოკლეს. კლერიკალთა და ხალხს შორის სხვებიც ეწამნენ: იულიანემ ბრძანა, რომ კონსტანტინეს სახელგანთმული დროშიდან ჯვრის ნიშანი მოეცილებინათ: მაგრამ მეფის ჯარისკაცებმა, – ბონოსმა და მაქსიმილიანემ არ ინდომეს თავიანთი დროშის ლალატი და, მას შემდეგ, რაც ჯერ აწამეს, ეპისკოპოსი მელეტი დასასჯელი ადგილისაკენ გაჰყვა მათ. იმპერატორის ბიძა, მისი სეხნია, მასავით განდგომილი, დევნაში ეხმარებოდა იულიანეს და მას უეცარი სიკვდილი ეწია, რაშიც მართალნი თავად მწამებლის ახლო აღსასრულს ხედავდნენ.

თავისი წარმართული ცრურწმენებით ანტიოქიის ხალხისათვის ახლა ის გახდა საძულველი და ამფითეატრში მის გამო არაერთხელ ამტყდარა დრტვიწვა. უბრალო ხალხი დასცინოდა და ამით გაღიზიანებულმა, – მთელ ქრისტიანობაზე მწარე სატირით, მათი სარწმუნოების წინააღმდეგ ვრცელი ქმნილებით, იძია შური, – მის უარყოფას ფილოსოფიურ საბუთებზე

დაყრდნობით ცდილობდა. გაბედა, რომ საქმით დაედასტურებინა, თითქოს იერუსალიმის ტაძრის საბოლოო გატიალების შესახებ ქრისტიანული წინასწარმეტყველება მართალი არ არის, იუდეველებს მის ასაშენებლად უხმო და მეფურ განძეულობასაც შეპირდა. თანამედროვე წარმართმა ისტორიკოსმა, - ამიანე მარცელინემ მომავალ საუკუნეებში ჭკუის სასწავლებლად აღწერა ეს ამბავი. ყოველი მხრიდან შეიკრიბნენ ებრაელები, ძველი სინმიდის განახლების სურვილით იყვნენ ანთებულნი, იერუსალიმელ ქრისტიანებს უკვე ლანძღვით ავსებდნენ. მაგრამ პატიმრობიდან დაბრუნებული წმიდა ებისკოპოსი კირილე თავისიანებს იმის რწმენას უძლიერებდა, რომ წინასწარმეტყველებანი შესრულდებოდა. ებრაელი ცოლები ქმრებს მონდომებაში ტოლს არ უდებდნენ: ყველა ძვირფასეულობას იხსნიდნენ, ტაძრის მშენებლობის საქმეს სწირავდნენ მას და მდიდრული ტანისამოსის კალთებით თვითონ ეზიდებოდნენ ქვებს, ვერცხლის ნიჩბებით თხრიდნენ მიწას. ოლქის მმართველი ყველა საშუალებას მიმართავდა, რომ საქმეს ნაყოფი გამოეღო, მაგრამ, როცა უძველეს საძირკველს მიადგნენ, ცეცხლოვანი ენები ამოვარდა მიწიდან, მშენებლები ცეცხლით შეიტრუსნენ და, რადგან განუწყვეტლად იწვოდნენ, იძულებულნი გახდნენ, დაენებებინათ თავი მუშაობისთვის. საშინელმა მიწისძვრამ დაანგრია მიმდებარე შენობები, სადაც ებრაელები მოთავსებულიყვნენ და ირგვლივ მიმოყარა ყველა შეგროვებული ქვა, იარაღები - ზოგი ქარმა წაიღო და ზოგი ცეცხლმა დაწვა. სასწაულით გაოცებული ბევრი იუდეველი და წარმართი მოინათლა.

განდგომილმა ღმერთის ნიშნებს ყურადღება არ მიაქცია, ევფრატისმილმა უდაბნოსაკენ დაიძრა, გამარჯვებაში დარწმუნებულმა უკან დარჩენილი ფლოტი დაწვა. ღამით, ბრძოლის წინააღმდეგ ბოლოს, კარავში ფხიზლად მყოფს შავი სული გამოეცხადა, მისი აზრით, ეს იყო იმპერიის გენია, რომელიც ერთხელ პარიზში უკვე ეწვია, - მაშინ, როცა მეფედ იქნა არჩეული. სულმა შეაძწრუნა იგი. დილით სპარსთა ჯარების



ბანაკი შემოერთყა და შეიარაღების დრო აღარ მიეცა, მტრის ისარმა სხეულში გაუარა იულიანეს. იგრძნო, რომ ილუპებოდა, პეშვით სისხლი აასხურა ზეცისაკენ და მწარედ ღალადყო: „შენ გაიმარჯვე, გალილეველო!“ – და სული განუტევა.

ზოგიერთმა წმიდა კაცმა განდგომილის გარდაცვალების შესახებ მაშინვე აცნობა ყველას. ოზროენელმა განდევილმა, იულიანე საბასმა, კეისრის ბანაკიდან ოცი დღის სავალით შორს მყოფმა, მონაფეებს უთხრა, რომ მძლავრი ტახი, რომელიც უფლის ბაღს ანადგურებდა, მკვდარი ნევს; ანტიოქიაში იმპერატორის ერთმა მასწავლებელმა და მეგობარმა, სოფისტმა, ლიბანიუსმა, ერთ ქრისტიან რიტორს დაცივნით ჰკითხა: – „დღეს რას აკეთებს ხუროს ძე?“ – ცხადია, ქრისტეს გულისხმობდა, და ასეთი პასუხი მიიღო: – „სამარეს!“ დიდძალი ბრძამ, ალექსანდრიის ცნობილმა მასწავლებელმა, ღამით ცხენებით მომავალი მხედრები იხილა, ისინი ეუბნებოდნენ: – „ადექი, ეპისკოპოს ათანასესთან წადი და უთხარი, რომ დღეს ალესრულა იულიანე“. მაგრამ ათანასეს უკვე ნაუნყები ჰქონდა.

რადგან სულ საშიშროება ემუქრებოდა, იგი ისევ ქვემო თებაიდაში წავიდა და იქ ორ განდევილს, – პამბასა და დიდი პახუმის მოსწავლეს, – თეოდორე განწმედილს მოეთათბირა, თუ სად დამალვოდა კეისრის მრისხანებას. მათ ტაბენესის ერთი სავანე შესთავაზეს და მღვდელმთავარი მათთან ერთად ნავზე ავიდა. მაგრამ საპირისპირო ქარი მდინარეზე სვლას აძნელებდა. ათანასე მთელი სულით წუხდა და ლოცულობდა, პამბას მისი გამხნეება უნდოდა, მაგრამ ეკლესიის დიდმა მამამ მიუგო: – „ჩემს თავს როდი ვწუხვარ; მე ისეთივე მშვიდი ვარ, მშვიდობიანობის დროს რომ ვიყავი, იმიტომ, რომ ქრისტეს გამო ვითმენ, მისი წყალობით ჩემი გული ყველაფრისათვის მზად არის, რასაც ღმერთი გამომიგზავნის“. ასე ლაპარაკობდა და ათანასემ უეცრად შეამჩნია, რომ აბბა თეოდორე აბბა პამბას უღიმის და ისიც ამგვარივე ღიმილით პასუხობს. ათანასემ ამ უეცარი გამხიარულების მიზეზი ჰკითხა. მისთვის პასუხის მიცემას ორივენი აცდიდნენ ერთმანეთს. ბოლოს



თეოდორე განათლებულმა თქვა: – „შენ თეზაურში დაიმჯობე არა გჭირდება, იულიანე კეისარი ახლა სპარსეთში გარდასულია, აღსრულდა მასზე წერილის სიტყვები: კაცი მზაკვარი ვერ განარსულებს თავის დღეებს¹¹⁷, მიდი მის შემცვლელთან და ღირსეულად დაუბრუნდები შენს ეკლესიას“. ამის შესახებ თავად ათანასე ყვებოდა. იგი დაბრუნდა ალექსანდრიაში, სადაც, მღევნელის შესახებ ამბის გარდა, ახალ იმპერატორ იოვინიანისაგან მოსაწვევი სიგელი მიიღო. იმპერატორს განდგომილის წინაშე ერთხელ უკვე ელიარებინა ქრისტე. ზუსტად ტახტზე არჩევის დროს ლეგიონებს გამოუცხადა, რომ ის წარმართების საშუალებით ვერ იწინამძღვრებს. სწორი მრწამსის შესახებ კითხვაზე ათანასემ მას უპასუხა: – „ერთადერთი ნიკეის სიმბოლო არის ჭეშმარიტი, მას უნდა მიჰყვეს დასავლეთი და აღმოსავლეთი“ და მღვდელმთავარი დაეშურა, რომ ანტიოქიაში თვითონვე წარმდგარიყო იმპერატორის წინაშე.

ღვენის დასრულებას მართლმადიდებლები ყველგან ზეიმობდნენ, ყველას გასაგონად ქუხდა გრიგოლის სიტყვა, რომლითაც იულიანეს ამხელდა. სულმდაბალთა განსამტკიცებლად ისევ გაცხადდა წარმართობის უგნურობა. ქრისტიანები ენამჭევრი მასწავლებლის ბაგეთაგან დამმოძღვრავ გაკვეთილებსაც ისმენდნენ, – თუ როგორი თავმდაბლობით უნდა იზეიმონ მათ მშვიდობის დაბრუნება და იმპერატორის წყალობა. უკანასკნელი წარმართული დაკრძალვა ტარსიში, – იულიანეს მსგავსი მღევნელის, – მაქსიმინ დაის ნეშტის დასაფლავებისას მოხდა. და ამის შემდეგ კერპთაყვანისმცემლური უღირსობა აღარ აღმდგარა: იულიანესთან ერთად სრულად დაეცა იგი.

არიოზის მიმდევრები და მაკედონელები ამოდ ცდილობდნენ, რომ იოვინიანის დროს ათანასე დიდზე ახალი ცილისწამებებით შეერყიათ მართლმადიდებლობა. შედეგად მხოლოდ ის მიიღეს, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

¹¹⁷ იხ. ფსალ. 54: 23, – „კაცთა მოსისხლეთა და მზაკუართა ნუ განაზოგნენ დღენი მათნი“;



ნახევრადარიანელებს, რომელთაც წინამძღვრად ბასილი ან-
კირელი ჰყავდათ, ასევე სურდათ, რომ რიმინის მონასტისაკენ
გარდაედრიკათ იმპერატორი; მაგრამ იოვინიანმა, რომელმაც
ანტიოქიაში რამდენიმე ეპისკოპოსი შეკრიბა, ირგვლივ დაგ-
ზავნილი ეპისტოლეებით ისევ დაამონმა ნიკეის სიმბოლო და
გაბრაზებულმა უსაფუძვლოდ მიიჩნია ათანასეს მტერთა მიერ
მის მიმართ აღსრულებული ყველა სასჯელი, – იმიტომ, რომ
ეკლესიის წინაშე მის უდიდეს დამსახურებას პირადად იცნობ-
და. მაგრამ იმპერატორის ნაადრევმა გარდაცვალებამ ეკლე-
სიის კეთილდღეობა ისევ დაარღვია.

იმპერატორები ვალენტინიანი და ვალენტი. ბასილი დიდის წმიდა მღვდელმთავრობა

შენყდა კონსტანტინე ხლორის შთამომავლობის მეფობა. ეს შტო, – კონსტანტინე დიდის სიყვარულის გამო ეკლესიისათვის ასე საყვარელი, სამოცდაათი წლის განმავლობაში მართავდა იმპერიას. მეფეთა ადგილი ისევ ლეგიონთა მეთაურებმა დაიკავეს, – ვალენტინიანი, რომელმაც იულიანე განდგომილის დროს მამაცურად აღიარა ქრისტეს სახელი, წინამორბედ იოვინიანის უეცარი გარდაცვალების შემდეგ იმპერატორად გამოაცხადეს. მეფეთქალაქში ჩასვლის შემდეგ მან თანამართველად თავისი ძმა, – ვალენტი აირჩია, რათა მასთან ერთად დაეცვა უზარმაზარი იმპერია, რომელსაც დასავლეთის მხარეს ბარბაროსები, ჩრდილოეთში – გუთები, აღმოსავლეთში – სპარსელები ამარცხებდნენ ხოლმე. ილირიიში სამუდამოდ დაშორდნენ ძმები ერთმანეთს, პირველი დამკვიდრდა მედიოლანში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ, მართლმადიდებლობისათვის მოშურნე იყო, უნდა ითქვას, რომ, არ დაუჯერა წმიდა აღმსარებლებს, – ილარისა და ევსევის, რომლებიც ადგილობრივ ავქსენტის არიანელობაში ამხილებდნენ; მეორე კი დედაქალაქის ეპისკოპოსმა, ბოროტმა ერეტიკოსმა, – მან, ვისი ხელიდანაც გუთებზე ლაშქრობის დროს ნათლობა მიიღო, – ევდოქიმ აცდუნა და არიანელობის მხურვალე დამცველად აქცია. და ეკლესიამ ამ დროს, მისი მპყრობელობისას, იმდენივე დანაკლისი განიცადა, რამდენიც – იულიანესა და კონსტანტინის დროს.

თუმცა, მეფობის დასაწყისში ქვეყნის შიგნით მღელვარებებმა და გარეთ კი – ომმა, ვერ შექმნა იმისი პირობა, რომ ახალი იმპერატორის შინაგანი სახე გამომჟღავნებულყო. აღმოსავლეთის ეპისკოპოსები, ნახევრადარიანელთაგანნი, ლამპაკსში შეიკრიბნენ, ანომეველთა ერესი და რიმინის მრწამსი



დაგმეს და ერთსულოვნად მიიღეს ძველი, - ანტიოქური იდეა
 მათ ვალენტს შესთავაზეს, მაგრამ, რადგან ევდოქსის ბრძოლის

გამო უკუგდებულ იქმნენ, ვალენტიანიანსა და პაპ ლიბერიუსს მიმართეს და, რათა დასავლელ ეპისკოპოსებთან უფრო დაახლოებულიყვნენ, ანტიოქიის ნაცვლად, ნიკეის კრების მრწამსი მიიღეს. ასე ამრიგად, მართლმადიდებლობაში განმტკიცდნენ, მართალთა საყოველთაოდდა გასახარად აღმოსავლეთში დაბრუნდნენ და თავიანთი აღმსარებლობა ქალაქ ტიანში ევსევი კესარიელის თავმჯდომარეობით გამართულ მცირე აზიის ეპისკოპოსთა ახალ კრებაზე განამტკიცეს. ირგვლივ მიმონერილმა ეპისტოლეებმა აღმოსავლეთის სხვა მწყემსებს მართლმადიდებლობის წიაღში მათი ბედნიერი დაბრუნების შესახებ ამცნო. დაახლოებით იმავე დროს ფრიგიის ქალაქ ლაოდიკიაში მრავლრიცხოვანი კრება გაიმართა. ამ კრებამ სამოც კანონში გადმოსცა ბევრი რამ, რაც საეკლესიო ხარისხს, წმიდა წერილის წიგნებს, ასევე, - ცხოვრების წესს, კლერიკალთა და ეპისკოპოსთა დადგინებას, ლიტურგიას, დღესასწაულებს, მარხვებსა და სინანულის სხვადასხვა დონეს, საერთოდ, ეკლესიის შინაგან და გარეგან მხარეებს ეხებოდა.

ვალენტიმ, რომელმაც გუთები დაამარცხა, დუნაისპირეთში, სკვითების ქალაქ ტომის ეწვია და იქ ეპისკოპოს ბრიტანიონის სიმტკიცის წინაშე დამარცხდა. ბრიტანიონს არათუ არ უნდოდა არიანელთა აღიარება, არამედ, ეკლესია მთელ ხალხთან ერთად დატოვა კიდეც, როცა იმპერატორი მასში შევიდა. სკვითების შიშის გამო იმპერატორი იძულებილ იყო, ეპატიებინა მწყემსისათვის, მაგრამ ჯავრი უფრო მორჩილი ქალაქების სხვა ეპისკოპოსებზე იყარა. როცა დედაქალაქის მცხოვრებლებმა ოთხმოცკაციანი დელეგაცია გაუგზავნეს და იმ ახალ ეპისკოპოს - დემოფილზე გამოთქვეს უკმაყოფილება, რომელმაც ევდოქსის ადგილი დაიკავა, განრისხებულმა ვალენტიმ ბრძანა, რომ გემზე აეყვანათ ისინი და ღამით ზღვაში დაეწვათ. ყველა აღმსარებელი დაიწვა ტალღებზე.

დაიწყო თუ არა დევნა, ათანასე დიდიც მაშინვე ეწყო, -

იმიტომ, რომ იმ საუკუნეში მისი სახელი ეკლესიაში მომხდარ ყველა მოვლენას უკავშირდებოდა. გამოაქვეყნეს ოლქების მმართველებისადმი მეფის ბრძანება, მასში იყო მუქარა, რომ ყველა, ვინც არ დამორჩილდებოდა, დაისჯებოდა და რომ ყველა იმ ეპისკოპოსს, რომელიც კონსტანციმ გადააყენა და იულიანემ დააბრუნა, ისევ დაეტოვებინა კათედრა. ალექსანდრიის მოქალაქეები თავიანთი მწყემსის გამო ამაოდ სთხოვდნენ პრეფექტს, - ყოველივეს ისე წარმოუდგენდნენ, რომ ათანასე ჰერობილობიდან თავად კონსტანციმ, შემდეგ კი - იოვინიანმა დააბრუნეს. პრეფექტს ხალხის მღელვარებისა ეშინოდა, ხალხის დამშვიდებას ცდილობდა და რამდენიმე დღის შემდეგ, ღამით, ათანასეს სახლს ალყა შემოარტყა, უნდოდა, სამწყოსათვის საიდუმლოდ მოეშორებინა იგი. მაგრამ დიდმა მწყემსთმთავარმა ზეციური შთაგონებით წინასწარ განჭვრიტა მზაკვრული განაზრახი და ბოლო წუთებში დაიმალა, ქალაქგარეთ, - მამამისის საფლავზე დადგმულ ქანდაკში იმალებოდა. იქ, თავისი ოჯახის მშობლიურ ჩრდილში შეფარული, ოთხი დღის განმავლობაში ემალებოდა მღევნელებს მანამ, სანამ ხალხის უკმაყოფილო ლაპარაკმა, მთელი დასავლეთის აღშფოთებამ და ასეთი სახელოვანი მოხუცის დევნის გამო ვალენტინიანის საყვედურებმა არ აიძულეს ვალენტი, რომ მშვიდობაში და თავის კათედრაზე დაეტოვა იგი. ამის შემდეგ თავის კათედრაზე კიდევ რამდენიმე წელს მართავდა საყოველთაო ეკლესიას და დასავლეთსა და აღმოსავლეთს დამაჯერებელი წერილებით ქრისტეს ღმერთობის შესახებ მრწამსის აღიარებისა და არინელთა სანინააღმდეგოდ ერთიანობისაკენ მოუწოდებდა.

საეკლესიო საქმეებში შემცვლელი უკვე მზად ჰყავდა, ეს იყო ბასილი დიდი, რომელიც არიანელებსა და კეისარს პირისპირ უკვე ეპაექრებოდა ისე, რომ მართლმადიდებლობას არ თმობდა. როცა მისმა მეგობარმა და უდაბნოსეულმა თანამოსაგრემ, - გრიგოლმა კესარიასთან ვალენტის მოახლოების შესახებ შეიტყო, პონტოს ტყეებიდან გამოიხმო განდეგილი, გულწრფელი, ოღონდ სუსტი ნებისყოფის მქონე ეპისკოპოსი



ევსევი შეარიგა მასთან და ვალენტის მლიქვნელური მცდელობა, რომ თავისკენ გადაებრებინა სახელოვანი კაცი, ბასილისეული რწმენის ბურჯზე დაიმსხვრა. არიანელები კესარიიდან გაიქცნენ. პრესვიტერი ბასილი არქიეპისკოპოსის მარჯვენა ხელი და ერთადერთი მრჩეველი გახდა და, იობის მსგავსად, იგი თვალი იყო ბრმათათვის, ფეხი ხეიბართათვის, – იმიტომ, რომ ყველა ყარიბი და უპოვარი მისი საფარველისკენ ისწრაფვოდა. შიმშილობის მძიმე წელს ქუჩებში თვითონ დაატარებდა საჭმელს და ავადმყოფთა შესაფარებლად ხანაგებს აწყობდა. მამა განდეგილებისა, რომლებსაც თავის წესებს აცნობდა, მთელი სამღვდელთა მნათობი გახდა. მან ქარტიაში გადმოსცა ღვთაებრივი ლიტურგიის წესი, რომელიც მოციქულთა დროიდან ზეპირი გზით გადმოიცემოდა, – იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო წესი ესე მხოლოდ ზეპირ გადმოცემებში დარჩენილიყო, რადგან პრესვიტერთა რიცხვი უსაზღვროდ უნდა გაზრდილიყო და არასწორი დანამატებებისაგან დაცული ყოფილიყო. ასე რომ, უფლის ძმის, – იაკობის იერუსალიმური ლიტურგია, რომელიც ზოგიერთი შემოკლებითა და ლოცვის უფრო მეტად დოგმატური და ღვთისმეტყველური განწყობით არის გადმოცემული და რომელიც დროის საჭიროებებს პასუხობდა, ბასილი დიდის საღვთისმეტყველო წესებშია შემონახული და აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში დღემდე უცვლელად გამოიყენება.

გრიგოლი მეგობრულად ინანილებდა თავისი ყმანვილობისდროინდელი თანამოღვაწის ქველმოქმედურ საზრუნავს და ცდილობდა ენუგეშებინა მაშინ, როცა მისთვის ძალიან საყვარელი დედის გარდაცვალებამ ლოგინად ჩააგდო ბასილი, თუმც, სიკვდილმა თვით მას ძმა კესარიოსი და და გორგონი წაართვა. მან ისინი საეპიტაფიო სიტყვებით დაიტირა. ეს სიტყვები შთამომავლობას მისი ოჯახის კეთილმოქმედმა ადამიანებმა შემოუნახეს. გრიგოლი თან ბასილის ამხნევებდა და თან მთელი არსებით ეხმარებოდა თავის მოხუცებულ მამას, – მონაზვნები შეარიგა მასთან, – ისინი გაბოროტებულები იყვნენ



თავიანთ მწყემსზე იმის გამო, რომ სხვებთან ერთად ოდესმე დასწრისადაც რიმიანის მრწამსს მოაწერა ხელი. განგებამ წლებითა და ავადმყოფობით დამძიმებული მოხუცი დაიფარა და ზუსტად აღდგომის დღეს სასიკვდილო სარეცელიდან სასწაულებრივად წამოაყენა, და ეს – მაშინ, როცა მისი გადარჩენის იმედი ყველას გადანურული ჰქონდა. უეცრად წამოდგა და სანოლთან ლოცვა აღავლინა, – სულიერად იმ სამწყსოსთან ერთად იყო, რომელიც ტაძარში ბრწყინვალე აღდგომას დღესასწაულობდა, მეორე დღეს კი მართალთა სანუგეშებლად ეკლესიაში თავადვე შეძლო აღესრულებინა ლიტურგია, ბასილი კი ზეციდან კესარიის საეპისკოპოსო კათედრაზე აღსაყდრების გამირობისათვის იყო მოწოდებული.

ეპისკოპოსი ევგენი გარდაიცვალა და დიად მიტროპოლიაში ის მღელვარება განახლდა, რომელიც ძალადობრივი გზით მისი დადგინებისას დაიწყო. ოლქის ეპისკოპოსებმა ვერ მოილაპარაკეს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მისი შემცვლელი და ეს მაშინ მოხდა, როცა ერთ არასწორ ნაბიჯს მთელი აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის შერყევა შეეძლო, – იმიტომ, რომ კესარიის დაწინაურებულ ტახტზე იყო დამოკიდებული, ან მისგან იღებდა მაგალითს მცირე აზიის ეკლესიათა დიდი ნაწილი. გრიგოლი გრძნობდა, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო ეს მომენტი, სულმა მოხუცი ჭაბუკური ძალით აამოქმედა. მისი ეპისტოლეები, რომლებიც ზოგჯერ მანუგეშებელი, ზოგჯერ მამხილებელი იყო, მთელ ოლქს უვლიდა. იგი ყველას ბასილისაკენ მოუწოდებდა, მართლმადიდებლობის ერთადერთ საყრდენად მას მიიჩნევდა. როცა ზოგიერთი ეპისკოპოსი ეპასუხებოდა, რომ ბასილი ფიზიკურად სუსტი იყო, გრიგოლი მწვავედ ამხელდა მათ, – ეუბნებოდა, რომ ეკლესიას მორკინალი კი არა, არამედ, მღვდელმთავარი ესაჭიროებოდა და მან მართლმორწმუნე ევსევი სამოსატელი დაარწმუნა, რომ კესარიის კრებაზე მისულიყო და ბასილის სასარგებლოდ ემოქმედა. როცა გაიგო, რომ კანონიერი გზით არჩევისათვის მას ერთი ხმა არ ჰყოფნიდა, გრიგოლი ავადმყოფის სარეცელიდან

წამოდგა, ბრძანა, ქალაქში წაეყვანათ იგი, რათა უკანასკნელად ამოსუნთქვამდე ეკლესიის სიკეთისათვის ეზრუნა, ეპისკოპოსთა შორის მივიდა მათდა გასაკვირად, – ხან ბრძანებებს აძლევდა, ხან სთხოვდა მათ. ბოლოს ხელი დაასხა ბასილის, კათედრაზე დაამკვიდრა და თითქოს თავისივე ღვანლით გახალისებული სიხარულით სავსე დაბრუნდა ნაზიანზინში. იქ მან სიმდაბლითა და მოთმინებით დაამარცხა უკმაყოფილო ეპისკოპოსები, რომლებიც მისი და ბასილის წინააღმდეგ მხედრდებოდნენ, დიდი კაცის არჩევას მანამ უშლიდნენ ხელს, სანამ ასარჩევს კეთილ თვისებათა გაცნობის შემდეგ მათში შურს გაოცება დაამარცხებდა. თავისი მოკლე, – რვანლიანი მწყემსმთავრობის განმავლობაში ბასილიმ უკვე ნათელი გახადა, თუ რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა მისგან საყოველთაო ეკლესიას.

არიანელთაგან დიდი ხნის განმავლობაში დევნის შემდეგ აღმოსავლეთის ეკლესიაში ნანახ დაცემათა და განხეთქილებათა გამო მთელი სულით დარდობდა და ცდილობდა, მშვიდობა დაემკვიდრებინა ეკლესიაში. ამ ყველაფრის შემდეგ მან დიად მოხუცს, – ათანასეს მიმართა როგორც – შეურყეველ საფუძველს მართლმადიდებლობისა: „შენ, ღირსო მამაო“, – წერდა იგი, – „მოგეთხოვება, რომ შენთვის შესაფერისი ღირსეული ძეგლი დატოვო იმით, რომ მართლმორწმუნეობის განსამტკიცებლად შექმნილი ნაშრომები კიდევ ერთი ღვანლით დაავირგვინო. მე ბევრი არ მინახავს და მადარდიანებს ეკლესიაში მომხდარი უბედურებების ხილვა, რამდენად უფრო დიდი იქნება დარდი შენი, ვინც ოდესლაც ხედავდი, თუ როგორ ურთიერთსიყვარულსა და ღვანლში ცხოვრობდნენ მორწმუნენი! მე ასე მგონია, რომ ერთადერთი ხსნა ის არის, რომ დასავლეთის ეპისკოპოსებთან ერთად გადავრჩეთ, – მთავარია, რომ ჩვენს მიმართაც გამოიჩინონ ის მოშურნეობა, რასაც თავისთან ავლენენ. მაგრამ ვის შეუძლია, დიდ საქმეთა კეთებისათვის აღძრას ისინი? ვაგზავნე დასავლეთში შენი ეკლესიის რჩეული კაცები, რათა ეპისკოპოსებს ჩვენი სადარდებელი კარგად აღუწერონ



და ასწავლონ, თუ როგორ უნდა დაგვეხმარონ. ყველა ეკლესია სიისათვის სამუდამო გახდი, აცრემლებული ხალხის სადარდელს ჩასწვდი, ლოცვა აღუვლინე უფალს, რომ დაგვამშვიდოს და ისევ სიწყნარე დაამკვიდრე. უწამლე ანტიოქიის ეკლესიას, როგორც მკურნალმა ხელოვანმა, მართალთა შორის თანხმობა ჩამოაგდე, რომ აღმოსავლეთის ამ თავიდან მთელ სხეულს ჯანმრთელობა მოეფინოს“.

ასეთივე საპატივცემულო სიტყვებით წერდა ბასილი რომის ეპისკოპოსს, დამაზს, რომელიც ლიბერიუსის გარდაცვალების შემდეგ, მართალია; დაადგინეს ეპისკოპოსად, მაგრამ კათედრაზე ჯერ არ იყო განმტკიცებული, – იმიტომ, რომ რამდენიმე მემამბოხე კლერიკალმა ამავდროულად თავიანთთვის სხვა ეპისკოპოსი, ურზინი, ირჩია და რომის სამწყსოში დაწყებული მშფოთვარება მხოლოდ მეფის ხელისუფლების ჩარევის შემდეგ დაცხრა. „კარგი იქნებოდა, ღირსო მამაო, ძველი ურთიერთ-სიყვარული აღგვედგინა და ის დაკარგული მშვიდობა დაგვებრუნებინა, რომლითაც ოდესღაც ჩვენი მამები ნეტარებდნენ: მთელი აღმოსავლეთი, ილირიიდან ეგვიპტემდე, იმ საშინელი ქარიშხლისაგან ღელავს, რომელიც არიოზის მწვალებლობამ ამოაგდო. ვიმედოვნებდით, შენი ჩამოსვლა ოდნავ მაინც ჩამოაგდებდა სიმშვიდეს. ახლა კი დასამშვიდებლად შენი სახელით სანუგეშოდ რამდენიმე ისეთი კაცი მაინც გამოგვიგზავნე, რომელთაც შეუძლიათ, ღმერთის ეკლესიებში თანახმიერობა ჩამოაგდონ. ჩვენ უჩვეულოს არაფერს გწერთ, – იმიტომ, რომ ვიცით, თუ როგორია ის სიყვარული, რომელიც ასეთი ღვანლისკენ ოდითგანვე უბიძგებს ხოლმე წმიდანებს. გადმოცემათაგანაც გვსმენია, რომ ერთ-ერთმა შენმა წმიდა წინამორბედმა, დიონისემ, თავისი ღვთისმოსავობით ასე განთქმულმა, კესარიის ეკლესიას თავისი ეპისტოლეებით სცა პატივი მაშინ, როცა მძიმე დრო ედგა. ჩვენ სხეულის ბორკილებისა კი არა, მწვალებლობის სულიერი ბორკილისა გვეშინია. თუ არ იჩქარე, გადასარჩენიც აღარ იქნება არავინ“.

ერთად მოქმედებისათვის მეზობელი მხარეების ოლქებ-



საც მოუწოდებდა ბასილი და თავის მიძიმე მდგომარეობას ამაღლებელი სიტყვებით გამოხატავდა: „თქვენ იცით, რომ მე ამ ბოროტ მწვალებლობას ისე ველოები, როგორც მაღალი კლდეები – მრისხანე ტალღებს. მათგან წამოქროლილ ქარიშხალს ვაკავებ და იმისი წარტაცების საშუალებას არ ვაძლევ, რაც ჩემს უკანაა. ამას საკუთარ სიმტკიცედ კი არა, ღვთის წყალობად მივიჩნევ, ადამიანურ უძლურებაში იგი ავლენს ძალას, როგორც თავად ამბობს წინასწარმეტყველის პირით: „არ გეშინიათ ჩემი, ვინც ზღვას ქვიშით ვაკავებ?“ ქვიშის მარცვალზე სუსტი და უფრო მეტი არარაობა არაფერია, მე კი მასზე სუსტი ვარ. მაგრამ უფალი მათით ზღვის მორევს აკავებს. ნეტა მოსულიყავით, საყვარელო ძმებო, გენახეთ სევდიანი და ჩემს მიზნებში გაგემხნევენინეთ, ან ცოდვათაგან გამოგეყვანეთ, რათა სადმე სწორ გზას არ გადავცდე, როგორც ეს ადამიანურ სისუსტეს სჩვევია“.

ასეთი არაყალბი თავმდაბლობით ლაპარაკობდა თავის თავზე ბასილი, რომელსაც დიდი ათანასე ეკლესიის დიდებას უწოდებდა, ხოლო გრიგოლი, მისი მეგობარი, ეკლესიაში მოკი-აფე საუკეთესო სხივად იხსენიებდა მაშინ, როცა წმიდა კაცის მიმართ შურით სავსენი საყვედურობდნენ, რომ სულიწმიდის ღმერთობაზე ისეთი სიცხადით არ გამოხატავდა სწავლებას, როგორითაც ძე ღმრთისაზე ქუხდა. წმიდა დოგმატის მტკიცე დამცველ ბასილის, რომელიც მაკედონელთა მიმდევართაგან მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ ნიკეის სიმბოლო მიეღოთ, მათდამი მონყალე დამოკიდებულებისათვის, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ არიანულ შუღლს კიდევ ახალი შფოთი არ დამატებოდა, სახელის წახდენა მოუწოდომეს. ბასილი გრიგოლს მოუწოდებდა და მისი მეგობარიც თავისი ოლქის კათედრებიდან ქადაგებდა ხოლმე სულიწმიდის შესახებ, თვითონ ბასილი კი, როგორც უფროსი მიტროპოლისის ეპისკოპოსი, ქადაგებაზე მეტად, – მოქმედებდა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის უპირველეს ეკლესიათა და ეპისკოპოსთა მიმართ დაგზავნილ მრავალრიცხოვან მიმოფანტულ დამრიგებლურ წერილს კრებ-

და, რაც მის დაუღალავ ღმთივმოშურნეობაზე მეტყველებს. ბასილის დამაჯერებელი სიტყვები უდაბნოში არ ჩაკარგულა. მის მონოდებას პაპმა დამაზმა იმით მიუგო, რომ რომში იტალიელი ეპისკოპოსები მოიწვია და მტკიცე არიანელები, – ურზასი, ვალენტი, ავქსენტი მედიოლანელი და მათი თანამზრახველები გაამტყუნა და ამის შესახებ აღმოსავლეთს ეპისტოლეთი აცნობა. გალიასა და ილირიაში ადგილობრივმა კრებებმა მიიღეს ნიკეის სიმბოლოს შესახებ რომის გადაწყვეტილება. და ათანასე დიდი, რომელმაც ალექსანდრიაში თავისი ეპისკოპოსები შეკრიბა, აფრიკის ეკლესიის მწყემსებს ქვეყნიერებაზე სარწმუნოების ამა შეურყეველი საფუძვლის დაცვისაკენ მოუწოდებდა, რომის ეპისკოპოსს ავქსენტის წინააღმდეგ სწერდა, ბასილისთან მიწერილ წერილში მის ღმრთივმოშურნეობას აქებდა და ცილისმწამებელთაგან იცავდა. მაგრამ დასავლეთის ეპისკოპოსებს აღმოსავლეთის საქმეებში ქმედითი მონაწილეობა მაინც არ მიუღიათ, – ბასილის დიაკონი დოროთე, ვინც რომში იყო გაგზავნილი, უკან მხოლოდ ეპისტოლებით ხელში დაბრუნდა. აღმოსავლეთის ეკლესიამ ანტიოქიის კრებაზე არიანელების წინააღმდეგ დასავლელთა გადაწყვეტილებები დაამტკიცა და მათ წინაშე მდგარ უბედურებათა შესახებ ამაღელვებელი ეპისტოლეთი იუწყა. მელეტის, ევსევო სამოსატელის და ბასილის სახელები სხვათა სახელების წინ ეწერა:

„ოხვრა, რომელიც გულის სიღრმიდან ამოითქმის, ოდნავადაც ვერ ამშვიდებს ადამიანს, ღვარად მდინარი ცრემლი კი ნაღველს უფრო აძლიერებს. ჩვენ ჩვენი წყლულები არ დაგვიმალავს, რადგან იმედი გვაქვს, რომ განიკურნება ისინი. იქნებ მოინდომოთ აღმოსავლეთის ეკლესიათა დახმარება იმიტომ, რომ მძიმე და ხანგრძლივია ჩვენი განსაცდელი. თქვენ კი, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმებო, მოგეხსენებათ, რომ კანონის სისრულეს სიყვარული ქმნის. შენუხდით ჩვენს უბედურებათა გამო, ნუ დაიწყებთ მოუცლევლობის გამო პატიების თხოვნას. საქმე უკვე ერთ ან ორ ეკლესიას აღარ ეხება, – ქარიშხალი ილირიის საზღვრებიდან თებაიდანვე მძვინვარებს. უღირსმა



არიოზმა თესლი ჩააგდო და ახლა კი მწარე ნაყოფს ვიშკით
 დოგმატებს სინმიდე დაეკარგა; კავშირი დარღვეულია; ბა-
 ტონობის ვნება იპყრობს ადამიანებს, რომლებსაც ღმერთისა
 აღარ ეშინიათ; მათ უღირსობას კათედრები ეწირება: მკრეხ-
 ელები თავისი მრევლისაგან არჩეულებს კათედრებს სტაცე-
 ბენ; მღვდელმთავრობისადმი პატივი დაიკარგა; მწყემსებმა
 ღმრთის სამწყსო მიატოვეს¹¹⁸, ღარიბთათვის განკუთვნილ
 წყალობას იტაცებენ; საეკლესიო წესებს აღარ მიმართავენ;
 ყველგან თვითნებობა და უკანონობაა: ვნება და ფლიდობაა
 სასამართლოებში, ხალხში დაუმორჩილებლობა; საეკლესიო
 ჩინის მფლობელები ყმებად უდგებიან იმათ, ვისაც მათზე მეტი
 ხარისხი აქვს და მართლებს კი ნებისმიერი საბაბით დევნიან,
 ანდა, როცა მხილებისა ეშინიათ, შფოთს აგდებენ; არამართა-
 ლი ადამიანები კი, ამ უწესრიგობის შემხედვარენი, ხარობენ;
 სარწმუნოება ყველგან ირყევა; წრფელი გულის პატრონი ადა-
 მიანები ჩუმად არიან, უღირსები კი პირს არ აჩერებენ; სინ-
 მიდეები შეურაცხვეს, მარლთლმადიდებლები უდაბურ ადგი-
 ლებში გარბიან, რათა ცისკენ ხელები აღაპყრონ და ღმერთს
 შეჰლაღადონ; ქალები, ბავშვები და მოხუცები ავდარში ქალაქ-
 იდან გარბიან და ხსნას ზეციდან ელიან; სიტყვები არ გვყოფ-
 ნის, რომ სრულად გამოვხატოთ ბოროტების მთელი სიღრმე.
 დააჩქარეთ, სანამ ძველი ღვთისმოსავობის ნაშთები კიდევ
 დარჩენილა, დახმარების ხელი გამოუწოდეთ თქვენს წინ მუხ-
 ლმოყრილთ, ნუ შეიძულებთ ნახევარ მსოფლიოს. სულიწმიდა
 წარგმართავთ; უფრო მეტი ძმა გამოგზავნეთ, რათა შეივსოს
 მსოფლიო კრება და ისევ გაბრწყინდეს ნიკეის მრწამსი!”

¹¹⁸ იხ. იოან. 10: 12-13;

ვალენტის არიანული მდევნელობა

აღმოსავლეთის ეკლესიის მდგომარეობა უფრო უარესი იყო, ვიდრე ამას თავიანთ ეპისტოლეში ეპისკოპოსები აღწერდნენ, – იმიტომ, რომ შინაურ უნესრიგობას გარედან დევნაც ზედ დაერთო. ვალენტიმ ანტიოქიის მონახულება დაიწყო და წმიდა მელეტი ისევ გააძევა მცირე სომხეთში. მართლმადიდებელთა სხვა ეპისკოპოსი, პავლინი, ხალხზე თავისი მცირე გავლენის წყალობით გადარჩა. ანტიოქიაში არიანელი ევზოი გაბატონდა და მართლმორწმუნეებმა, რომელთაც ყველა ეკლესიიდან და აკლდამიდან¹¹⁹ ნელ-ნელა აძევებდნენ, ქალაქგარეთ, – ორონტის ნაპირებთან დაიწყეს შეკრება, – მდევნელებს მის ტალღებში ბევრი ჰყავდათ დახრჩობილი. მაშინ წმიდა ცხოვრებით განთქმული ორი განდევნილი, – აფრატ სპარსი და იულიანე საბასი, რომელმაც განდგომილი კეისრის, იულიანეს, გარდაცვალება იწინასწარმეტყველა, უდაბნოების სიღრმეებიდან წარმოემართა, რათა სიტყვისა და სასწაულთა აღსრულების ძალით ჭეშმარიტი რწმენის ერთგულნი გაემხნევებინა. პირველმა მათგანმა მამაცურად ამხილა იმპერატორი. მაგრამ არ შეწყვეტილა დევნა. მოხდა ისე, რომ ანტიოქიაში ქრისტიანთა სისხლი წარმართ ჯადოქართა სისხლთან ერთად დაღვარეს, ეს – მაშინ, როცა ვალენტის წინააღმდეგ მათი შეთქმულება გამჟღავნდა. სირიის ეპისკოპოსები თავიანთ კათედრებს ნელ-ნელა კარგავდნენ, ბასილი დიდი მარტოდ დარჩენილ სამწყსოებს დამრიგებლური ეპისტოლეებით ანუგეშებდა, – იმიტომ, რომ, პავლე მოციქულის სიტყვით რომ ვთქვათ, ყველა ეკლესიისათვის განუწყვეტლად ზრუნავდა. პელაგი ლაოდიკიელი არაბეთში გაასახლეს, წმიდა კირილე იერუსალიმელმა კათედრა ვერ შეინარჩუნა, კესარიაში ვერც თავისი ძმისშვილი გელასი დატოვა. ორივე კათედრას არიანელები დაეპატრონნენ. ედესე-

¹¹⁹ ძველ ქრისტიანთა შესაკრები ადგილები ხშირ შემთხვევაში აკლდამები იყო;



ლი ეპისკოპოსი, - ვარსენი ჯერ ფინიკიაში, შემდეგ თებაღდათში გაასახლეს. მაგრამ მისი სამწყსოდან არავის უნდოდა, დამორჩილებოდა ვალენტის, როცა მან ედესა მოინახულა. ყველანი მინდორში გაიქცნენ და იმპერატორი შეშინდა, როცა დაინახა, რომ მონამეობისათვის მზად იყო ისინი. ამოდ ცდილობდა, იარაღით გაერეკა შეგროვილი ხალხი. ქაღწულები და ბავშვები ისწრაფოდნენ, რომ სახლები მიეტოვებინათ და მართალი სარწმუნოებისათვის ვნებულებოდნენ. შურისძიება მხოლოდ კლერიკალთაგან მიმართა და იმპერიის შორეული მხარეებში დატყვევებულმა დაახლოებით ოთხმოცმა სასულიერო პირმა კეთილი საქმენი მოიღვა და წმიდა სწავლება მოჰფინა იქაურობას. ჯერი ეგვიპტეზე მიდგა.

ქრისტეს შობიდან 373-ე წელი

ნეტარად, მშვიდად აღესრულა დიდი ათანასე, რომელმაც სამოცდაექვსი წლის განმავლობაში მღვდელმთავრობას შეაღია თავისი დღენი და საქმენი. ტიროდა ალექსანდრია, ასეთი მწყემსი მანამდე არა ჰყოლია, მსგავსი არც შემდეგ ჰყავდა ვინმე. ათანასეს წასვლის შემდეგ მისი ეკლესიის კეთილმდგომარეობის რღვევა დაიწყო, - ვალენტი ეკლესიას მხოლოდ დიადი მოხუცის მიმართ პატივისცემის გამო უწევდა ანგარიშს. როგორც კი თავად ათანასეს მიერ დადგინებულმა და სასულიეროებისა და მთელი ხალხის მიერ არჩეულმა მოხუცმა, პეტრემ, მიცვალებულს უკანასკნელი ვალი მიაგო და პირველხარისხოვან კათედრებთან ურთიერთობა დაამყარა, მაშინვე დაიწყო დევნა.

არიანელმა ეპისკოპოსმა ევზოიმ ეს საქმე თავის თავზე აიღო და იმპერატორის თანხმობით ალექსანდრიის კათედრაზე სხვა არიანელი, - ლუკა დაადგინა, - იგი ადრევე ჰყავდათ არჩეული. მაგრამ ათანასეს ვერ ამარცხებდა ლუკა. მათ ეპისკოპოსი პეტრე შეიარაღებული ძალით აიძულეს, რომ წასული-

ყო. მერე ებრაელებთან და წარმართებთან ერთად სამრევლო ეკლესიაში შეიჭრნენ, იქაურობა ლანძღვით აიკლეს და ხალხი დახოცეს. გარყვნილი ახალგაზრდები არ მოერიდნენ, სატრაპეზოზე ავიდნენ და სამღვდელმთავრო კათედრაზე მკრეხელური ყვირილით აცვივდნენ. ეგვიპტის პრეფექტი მხარს უჭერდა მათ. ცხრამეტი მღვდელი და დიაკონი, რომელნიც უკვე ჭალარით იყვნენ მოსილნი, სარწმუნოების მტკიცედ აღსარებისათვის ბევრი წამების შემდეგ სირიაში გაასახლეს. სხვებს, უმეტესწილად, – ბერებს, ან დილეგებში ჩაგდება ან სიკვდილი მიუსაჯეს იმის გამო, რომ მათი თანაგრძნობა გაბედეს. ყოველივე ამის შემდეგ ევზოი, რომელმაც ეკლესია არიანელების ხელში ჩააგდო და მთელი ქალაქი ცრემლით აავსო, ანტიოქიაში დაბრუნდა, სადაც ახალი ბრძანება გამოითხოვა. ამ ბრძანების თანახმად, ალექსანდრიიდან და ეგვიპტიდან ყველა მართლმადიდებელი უნდა განედევნათ. სასტიკი დევნა წამოიწყეს, – მსგავსი იმისა, რაც ქრისტიანთა პირველი დევნისას ხდებოდა. ბერული ცხოვრებით განთქმული თერთმეტი ეპისკოპოსიდან ზოგი დიო-კესარიაში ებრაელებთან ერთად საცხოვრებლად, ზოგი კი პონტოს შორეულ ოლქებში გაასახლეს. ამალეღვებელი საქციელი ჩაიდინა მელას რინოკურურელმა იმ ჯარისკაცთა წინაშე, რომლებიც მას ეძებდნენ: ჯარისკაცებმა ნახეს ერთი მოხუცი, რომელიც შანდლებისათვის სანთლებს ამზადებდა და ჰკითხეს, თუ სად იყო ეპისკოპოსი. „ახლავე გიჩვენებ“, – მიუგო მან, – „ოღონდ ნამგზავრები ხართ, ჯერ დაისვენეთ, საჭმელი მიირთვიეთ“. სატრაპეზოდ მიიწვია, უმასპინძლა, მერე კი უთხრა თავისი სახელი და არ ინდომა ის თავისუფლება, რასაც მისი კეთილშობილებით გაცემული ჯარისკაცები სთავაზობდნენ. ასეთივე სიმტკიცე გამოიჩინა სხვა აღმსარებელმა – მოსემ, რომელსაც უსჯულოები იმპერატორისგან თავის ეპისკოპოსად ითხოვდნენ. პალესტინის მოსაზღვრე მხარეებიდან ხელდასასხმელად ძალით ნაიყვანეს განდეგილი; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ, ყველანაირად არწმუნებდნენ და ემუქრებოდნენ, არ ინება, არიანელი ლუკასაგან მიელო



ეპისკოპოსობა ეგე და გარემოებათა გამო ლუკა იძულებული გახდა, მართლმადიდებელ ეპისკოპოსთათვის დაეთმო მოსე, რათა სწორად აღესაყდრებინათ იგი. კანონიერი მწყემსმთავარი, პეტრე, რომში გაიქცა. დევნამ უდაბნოშიც შეაღწია, – იმიტომ, რომ ისე არაფერი აშინებდა ლუკას, როგორც წმიდა დოგმატები, რომლებსაც განდევნილები წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით განამტკიცებდნენ. მღვწეულები ხელებს ჩააფლებდნენ ხოლმე მათ, განდევნილები კი ქრისტეს სახელით, რომელსაც ლუკა სდევნიდა, მაინც განაგრძობდნენ სწულთა კურნებას და ხალხი ჯგუფად მისდევდა მათ.

განდევნილთა სიმტკიცით განრისხებულმა და იმით შეშინებულმა, რომ მეზობელ – კელიებისა და ნიტრიის უდაბნოებში ბევრნი იყვნენ ისინი, გადაწყვიტა, მათ შორის უხუცესები მოეშორებინა. ორი სახელოვანი მაკარი, მღვდელი ისიდორე და რამდენიმე სხვა აბბა წარმართებით დასახლებულ ველურ კუნძულზე გაასახლეს. მაგრამ შეპყრობილები მათი გამოჩენის შემდეგ იქაც განიკურნნენ და კერპთაყვანისმცემლური წყვილიანი განქარდა. ხალხის თხოვნამ მღვწეულები აიძულა, რომ თავიანთ განმარტოებულ ადგილას დაებრუნებინათ დიადი მოხუცები, – იმიტომ, რომ ორივე მაკარის სახელი მათ უდაბურ ადგილს უკვე შორს გასცდენოდა.

მათგან უფროსს ეგვიპტელს უწოდებდნენ. მან სიყმანვილეში მშობლიური სახლი და საცოლე დაუტევა¹²⁰, რათა განდევნილური ღვანლისათვის მიეძღვნა თავი და, რაც შეიძლება, მაღალ დონეზე შეეცნო ის ცხოვრება, რომელიც შემდეგ სულის ხსნის შესახებ მის დამრიგებლურ საუბრებში აისახა. ცოცხლებს თუ კურნავდა, მკვდართ აღადგენდა, – იმიტომ, რომ ქრისტეს უღელის ამლებს ყველაფერი ემორჩილებოდა. ასე მოაქცია წარმართები, რომელთაც აღდგომისა არა სწამდათ. ერთხელ ერთი ისეთი ახალგაზრდა ნახა, რომელსაც მკვლევლობას ტყუილად აბრალებდნენ. ბრძანა, რომ მკვდართან მიეყვანათ და ჰკითხა, მოკლა თუ არა ის ამ ახალგაზრდამ?

¹²⁰ იხ. მათ. 19: 29;



და მაშინ, როცა ყველასდა გასაოცრად მკვდარმა გაამართლა ახალგაზრდა, მოსამართლეებმა თხოვნა დაუწყეს, რომ თუ ვინ არის ნამდვილი მკვლელი. მაგრამ მაკარი განვიდა მათგან.

ისეთი თავმდაბალი იყო, რომ ერთხელ თვით მაცდურმა ძალამ, რომელიც ხილვაში წარუდგა, თავისდაუნებურად აღიარა, რომ მისი ღვთისმოსავობის წინაშე დამარცხდა. სათნოების ბევრი მაგალითი აჩვენა აბბამ, და სხვებსაც მოუწოდებდა მისკენ. ერთხელ მისი მოწაფე უდაბნოში ქურუმს შეხვდა, ლანძღვა დააყარა მას და თვითონაც მოხვდა.¹²¹ შემდეგ იმ ქურუმს მაკარი მიენია და ისეთი თბილი სიტყვებით მოიკითხა, რომ ამ დიადი მოხუცის კეთილგანწყობით გაოგნებული ქურუმი, ღმერთისაკენ მოიქცა. როცა ერთმა სხვა მოწაფემ სულიერი სრულყოფის შესახებ ჰკითხა, აბბამ უბრძანა, რომ სასაფლაოზე წასულიყო, მკვდრები ელანძღა და მერე ქვები დაეშინა მათთვის, შემდეგ ისევ წასულიყო იქ და ყველა მათგანი დაელოცა; – „როცა ლანძღავდი, რა გიპასუხეს მკვდრებმა?“ – ჰკითხა მაკარიმ ახალგაზრდას, – „არაფერი, მამაო“, – მიუგო მან, – „დალოცვაზე?“ – „არაფერი, მამაო“, – გაუმეორა ახალგაზრდამ. – „ჰოდა შენც ასე მოიქეცი“, – თქვა აბბამ, – „ქვეყნიერებისაგან შეურაცხყოფისა და მისგან მოფერებისას მკვდარივით იყავ და გადარჩები“.

უმცროს მაკარის ალექსანდრიელს უწოდებდნენ. მას ეგვიპტესთან სულიერი სიახლოვე აკავშირებდა. მაკარი ალექსანდრიელი ნიტრიის უდაბნოში მღვდელი იყო. მასთან ერთად იქ ხუთი ათასი ძმა იყო დაყუდებული. ისინი მდუმარებდნენ და კვირიაკის შვიდი დღიდან ხუთს ყოველი მათგანი თავის სენაკში განმარტოებული მუშაობდა. იკრიბებოდნენ შაბათს, – მწუხრის ლოცვაზე, რათა კვირა დღის ლიტურგიკის შემდეგ ისევ განცალკევებულიყვნენ. მათი აბბას თავშეკავება ძალიან მტკიცე იყო. რაიმე არანმიდას გაფიქრების შემთხვევაში რამ-

¹²¹ „წმიდა მამათა ცხოვრების“ თანახმად, მოწაფე ამ სიტყვებით მიესალმა ქურუმს: – „დილა მშვიდობისა, დემონო!“;



დენიმე დღით თვითონ ისჯიდა თავს იმ ჭაობში ყოფნით, როდესაც მელიც მწერებით იყო სავსე, რათა ერთიანად დაეკბინათ მისი სხეული. ერთხელ ყურძნის შეჭმა მოუვიდა აზრად, მაგრამ მაშინვე მოინანია და მტევანი სხეულ ძმას გაუგზავნა; ამ ძმამ სხვას გადაუგზავნა; ყურძნის მტევანმა მთელი საძმო შემოიარა და ბოლოს ისევ მაკარისთან მივიდა. ერთხელ თავის სენაკთან კაცი ნახა, რომელიც მის ღარიბულ ქონებას იპარავდა; დარჩენილი ნივთების აქლემზე დატვირთვაში თვითონვე მიეხმარა და მშვიდობით გაუშვა. როცა ტაბენესის ბერთა მკაცრი ცხოვრების შესახებ შეიტყო, გადანყვიტა მწირის სამოსით სწვეოდა მათ სავანეს; ძლივს დაითანხმა პახუმი დიდი, რომ თავის საძმომი მიეღო, - ეგონა, ტაბენესის წესდების შესრულებას ვერ შეძლებდა; როცა მაკარიმ ნახა, რომ დიდმარხვის დროს პახუმის ბერები სხვადასხვაგვარ ღვანლს იღებდნენ თავზე, თვითონ მთელი დიდმარხვის განმავლობაში სენაკში გამოიკეცა, კედელზე მიყრდნობილი ორმოცი დღის განმავლობაში იდგა და კალათებს წნავდა, კვირაობით მხოლოდ ცოტა ბოსტნეულს ჭამდა და განუწყვეტლად ლოცულობდა. სავანეში დრტვინვა დაიწყეს. „რად მოიყვანე ეს უსხეულო ჩვენს სასჯელად? - ეუბნებოდნენ ბერები თავიანთ იღუმენს, - „ან წავიდეს, ან ჩვენ წავალთ“, - და პახუმიმ, რომელიც სულით მიხვდა ამ დიადი მოსულის სახელს, მადლობა უთხრა მაკარის იმის გამო, რომ სიმდაბლე ასწავლა საძმოს.

დასავლეთიდან მოსულები, რომლებმაც ეგვიპტე მის დასამოდღვრად მოინახულეს, ასევე გახდნენ დევნის მსხვერპლნი, ესენი იყვნენ: სწავლული მღვდელი - რუფინუსი, რომელმაც განდევილთა ცხოვრება აღწერა და დიდი მელანია, ვინც სციპიონთა სახელგანთქმული გვარის შთამომავალი იყო. ნაადრევად დაქვრივებულმა და დაობლებულმა ქალმა მთელი თავისი საგანძური, ღარიბებისათვის წყალობის სახით, უფალს შესწირა, რათა, როგორც ყარიბს, იმ ადგილებში ესახლა ხოლმე, სადაც უფალი ამქვეყნიური ცხოვრებისას დადიოდა. ისიდორემ, ალექსანდრიის ხანაგის უცხოთშემწყნარე-



ქართული
ენების
აქადემია

ბელმა, რომელიც მელანიას რომიდან ჯერ კიდევ მამის იცნობდა, როცა დიდებით იყო ეს ქალი მოსილი, დედაქალაქში ნეტარ ათანასესთან ერთად ყოფნისას მიიღო კეთილშობილი ქალბატონი და რუფინუსთან ერთად მახლობელ უდაბნოში ათასობით ბერის მამა, - აბბა ორესთან და აბბა ჰამბასთან მიიყვანა. ჰამბა კალათს წნავდა და ბრძანა, რომ მელანიას მიერ მიტანილი მდიდრული საგანძური, - სამასი ლიტრი ვერცხლი, რომელიც მელანიამ ამ სავანეს შესწირა, სხვა ღარიბებისთვის დაერიგებინათ, - ისე, რომ ზედაც კი არ დახვდა ძღვენს. ასეთი უყურადღებობით გაოგნებულმა მელანიამ მიტანილი ვერცხლის რაოდენობა დაუსახელა, მოხუცმა მიუგო: - „შვილო, მან, ვისაც შესწირე, ზომაც იცის და წონაც, რამეთუ სამყაროს არსებობა ღვთიური ძალის ხელთაა და ორი გროშის შენანირსაც არ თაკილობს“.

რუფინუსი ალექსანდრიის სკოლაში დიდძალ ბრძმის ხელმძღვანელობით სწავლობდა. დიდძალ ბავშვობაში დაკარგა მხედველობა. იგი საუკეთესო ღვთისმეტყველად და ანტონი დიდისა და ათანასე დიდის მეგობრად ითვლებოდა. ერთხელ ანტონიმ ჰკითხა მას, - თუ დარდობს, რომ მხედველობა დაკარგა? და, როცა დიდძალს უნებლიედ თანხმობა წამოსცდა, თქვა: - „მიკვირს, რომ ასეთი ბრძენი კაცი იმ სიკეთის დაკარგვას დარდობს, რაც ყველა მწერსა აქვს, პირიქით, - უნდა ხარობდეს, რომ მოციქულთა მსგავს მადლს ეღირსა; სჯობს, სულიერი თვალთ ხედავდე, ვიდრე ფიზიკურით; ფიზიკური თვალეებით ერთმა შეხედვამ შეიძლება სამუდამოდ დაგლუპოს“. ამ მასწავლებლისგან ხელმძღვანელობის შემდეგ რუფინუსს საპყრობილეში მოუწია წასვლა, შემდეგ კი მართლმადიდებლობის აღსარების გამო განდევნეს. მელანია მათ პალესტინაში გაყვა. დღეში ზოგჯერ ხუთი ათას დევნილს აპურებდა და მონის სამოსი ეცვა, რათა საპყრობილეებში შესულიყო. როცა ეს პალესტინის მმართველმა შეიტყო, ბრძანა, დიღეგში ჩაედოთ. მელანიამ მმართველს შეუთვალა: „მე სციპიონთა შვილი ვარ, ეპარქის ცოლი ვიყავი, ან ქრისტეს მონა ვარ; ზიზლით



ნუ უცქერ ჩემს უპოვარებას და გეშინოდეს მოსალოდნელი
შეშინებულმა მმართველმა სრული თავისუფლება მისცა, რომ
მიხმარებოდა აღმსარებლებს იერუსალიმში. მელანიამ იქ ოც-
დაექვსი წელი გაატარა. სავანეებს აწყობდა და შეენეოდა
ქრისტიანებს.

ბასილი დიდის ღვანლი

როცა ეგვიპტის უდაბნოებში დევნა მძვინვარებდა, მღვდელმთავრის ტახტზე მყოფმა, ბერთა სხვა მამამ, – ბასილიმაც ვერ დააღწია ამ დევნას თავი, – იმიტომ, რომ იგი ბურჯი და მსოფლიო ეკლესიის ჭეშმარიტი წარმომადგენელი იყო. ერთ კაცში, სხვა სიკეთესთან ერთად, ბერი, მასწავლებელი და ეპისკოპოსი შერწყმოდა ერთმანეთს და, სანამ ასეთი მნათობი ნათობდა, მღვდენელი ვალენტი მშვიდად ვერ იქნებოდა. იგი თვითონ ჩავიდა კესარიაში და დიადი კაცი გამოსაცდელად ჯერ მეფის ეპარქთან, – სასტიკ არიანელ მოდესტთან მიიყვანეს: „მიუხედავად შემოქმედსა და შექმნილს შორის მანძილისა, ღმერთთან ურთიერთობა უფრო ადვილია, ვიდრე ურთიერთობა შენთან და კეისართან, ქრისტიანთა რწმენა ასეთია; თქვენ კი თავად უფალი მიგაჩნიათ შექმნილად. შენი მუქარა ახლოსაც ვერ მეკარება, – რაჲ ძეს ჩემი და შენი?!¹²² ჩემს მამულს ნაიღებ?! – ამით ვერც შენ გამდიდრდები და არც მე გავღარიბდები, ან რაში გამოიყენებ ძველ ტანისამოსსა და რამდენიმე წიგნს, ჩემი სიმდიდრე სულ ესაა; გასახლების არ მეშინია, – იმიტომ, რომ ეს ქვეყნიერება ჩემი არაა, – ღმერთისაა და ყველგან ჩემი სამშობლოა; ტანჯვა არ მაშინებს, – იმიტომ, რომ ის სანუკვარ მიზანთან მიმიყვანს; პირველივე დარტყმა მომიღებს ბოლოს; ხომ ხედავ, სხეული თითქმის აღარც კი შემრჩა; სიკვდილი ღმერთთან მისვლაში დამაჩქარებს“. გაცებულმა ეპარქმა აღიარა, რომ ასე გაბედულად მასთან ჯერ არავის ელაპარაკა, – „შენ, ალბათ, ეპისკოპოსთან არასდროს გისაუბრია“, – შეეპასუხა ბასილი, – „ჩვენ ყოველთვის მშვიდნი და თავმდაბალნი ვართ, მაგრამ, თუ ვინმემ ღმერთისა და

¹²² ტექსტის ამ სიტყვებში სახარებისეული სტილია დაცული, – „რაჲ ძეს“, – რა გინდა? „რაჲ ძეს შენი და მაგის კაცისა მართლისაა“ (რა გინდა მაგ მართალი კაცისგან?), – მათ. 27: 19; „რაჲ ძეს ჩემი და შენი, დედაკაცი?“ (რა გინდა ჩემგან?) – იოან. 2: 4;



სიმარტლისაგან განშორება მოგვეთხოვა, მაშინ ამ სიმარტლისათვის ყველაფერს დავთმობთ“. როცა ასეთი სიმტკიცე

ნახა, ეპარქი მოღბა და ჰკითხა: – „თუ ეამებოდა მას, კეისარი ენახა თავის ეკლესიაში? ამისათვის მხოლოდ ის იქნებოდა საკმარისი, რომ სარწმუნოების სიმბოლოდან ერთადერთი სიტყვა – „თანარსი“ ამოეგდოთ“, – „გამეხარდება, თუ ეკლესიაში ვნახავ კეისარს, – მე ყველა ადამიანის ხსნა მახარებს, მაგრამ სიმბოლოში ერთი ასოს შეცვლის ნებასაც არ მოგცემთ“, – მიუგო მამაცმა მღვდელმთავარმა. – „ხვალამდე იფიქრე“, – მოდესტის ბოლო სიტყვა ეს იყო და – „რაც დღეს ვარ, ხვალაც ის ვიქნებიო“, – ბოლო სიტყვად ეს მიუგო ბასილიმ.

ღმერთის განცხადების დღესასწაულზე იმპერატორი, დაცვით გარშემორტყული, იმ ეკლესიაში შევიდა, სადაც ბასილი ლიტურგიას აღასრულებდა და ხალხში ჩადგა. როცა სათნო შესახედაობის მქონეთა ტკბილხმოვანი გალობა მოისმინა და, როცა გამართულ წესებს შეხედა ღვთაებრივი მსახურებისა, რომელსაც ის წმიდა ღმრთისმსახურები აღასრულებდნენ, ვინც ანგელოზებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე – ადამიანებს, როცა ნახა თვით ბასილი, – საკურთხეველის წინ უძრავად მდგარი, ვისაც მთელი ყურადღება ღმერთისაკენ მიემართა და ვისაც მღვდლები შიშით შემოჯარვოდნენ გარს, შეძრწუნდა ვალენტი, საკურთხეველთან მისვლა ეწადა, მაგრამ ნაიბორძიკა და ერთმა დიაკონმა შეაშველა ხელი; ვერავინ ბედავდა, სეფისკვერი გამოერთმია მისთვის, – არ იცოდნენ, უნდოდა თუ არა ეპისკოპოსს მასთან ურთიერთობა. მაშინ ბასილიმ, რომელსაც ადამიანის სისუსტის გაგება და თანაგრძნობა შეეძლო, თვითონ გამოართვა მოტანილი ძღვენი.

სხვა დროს ასეთი შემთხვევა მოხდა, – იმპერატორი ისევ მივიდა მართლმორწმუნეთა ლოცვაზე და ბასილის, მის მეგობარ გრიგოლთან ერთად, თვით საკურთხეველში ესაუბრა დიდხანს, მისი ზეციური საუბრით გრიგოლი კეისარზე ნაკლებად როდი ხარობდა. ამის შემდეგ საყოველგანო დევნა შემცირდა, თუმც, თავად ბასილიმ ორჯელ ისევ იწვნია იგი. არიოზის მიმ-



დეკრებს მისი კეთილი ზეგავლენისა ემინოდათ, – მათი მტკიცე ელობის შემდეგ დევნილობაში ამ დიდი კაცის წასაყვანად იცვო მომზადებული იყო ეტლი, რომ ყრმა უფლისწულის უეცარმა ავად გახდომამ ვალენტი აიძულა, რომ მსჯავრდებულებთან მუდარით მისულიყო. ბასილი ლოცვად დადგა და განკურნა ბავშვი, ოღონდ, – იმ პირობით, რომ მის აღზრდას მართლმადიდებლებს მიანდობდნენ. იმპერატორმა პირობას გადაუხვია და მისი ძე, რომელიც არიანულად იყო მონათლული, აღესრულა. წუხილით სავსე მამა აპირებდა, რომ გასახლების ბრძანებაზე ისევ მოენერა ხელი, მაგრამ კალამი ხელში გადაუტყდა. მაშინ თავი ანება ბასილის და კესარიიდან წავიდა. ყოფილმა მდევენელმა, – მოდესტმა მღვდელმთავრის ლოცვით თვითონ მიიღო კურნება და ამის შემდეგ მისი გულწრფელი მეგობარი გახდა. ბასილიმ თავმდაბლობით ის სხვა ეპარქიც დაამშვიდა, რომელმაც ერთხელ გაბედა და წმიდა კაცის წინააღმდეგ იმის გამო აღდგა, რომ მან ერთი ღვთისმოსავი ქალი მოძალადეებისაგან დამალა. რათა დაემცივებინა, მდევენელმა ბრძანა, მანტია მოეხადათ მისთვის, ბასილიმ კი თავისი კვართიც შესთავაზა¹²³ და, როცა მდევენელი ემუქრებოდა, რომ სხეულს რკინის მარწუხებით დაუგლეჯდა, მშვიდად უთხრა: – „უფრო მეტ სიკეთეს გამიკეთებ, თუ ბარემ ღვიძლსაც ამომაგლეჯ, სწირად მანუხებს ხოლმე“. ამასობაში, მოქალაქეები, რომლებმაც გაიგეს, რომ თავიანთ მწყემსს საფრთხე ემუქრებოდა, შეიარაღებულები მივიდნენ მის გადასარჩენად: მაშინ ეპარქი იძულებული გახდა, სიმშვიდე გამოეჩინა და ბასილიმ ხალხის მრისხანებისაგან იხსნა იგი.

გარედან მდევენელობასა და დაუსრულებელ ავადმყოფობებს მისი ეპარქიის შიდა არეულობები და გულდასაწყვეტი მოვლენები დაერთო ზედ. ბასილი იძულებული გახდა, ურთიერთობა გაენწყვიტა იმ კაცთან, რომელსაც ახალგაზრდობიდან სცემდა პატივს, – ეს გახლდათ სებასტიის ეპისკოპოსი

¹²³ იხ. უფლის სიტყვები: – „თუ ვინმეს სურს გიჩვილოს და წაგართვას შენი პერანგი, მიეცი მას მოსახსნამიც“, – მათ. 5: 40;



ვესტათი, რომელმაც ქრისტეს ღმერთობის შესახებ მრწამსი მიიღო; ბასილის მოსიყვარულე გულისათვის სხვა მნიშვნელოვანი ასატანი იყო. სხვა ეპისკოპოსთაგან მის მხილებას დიდხანს არ იჯერებდა, – ეგონა, რომ რწმენაში რიმინის სიმბოლოსთან დაკავშირებული ძველი მერყეობა უკვე, დიდი ხანი იყო, რაც, წარსულს ჩაბარდა. მის საზრუნავს დაქვემდებარებულ სომხეთის ოლქში სამწყსოსათვის დაუდევარი მწყემსების განსამტკიცებლად ეკლესიების შემოვლისას იგი საგანგებოდ ეწვია ვესტათის, ადგილობრივი არქიეპისკოპოსის, – თეოდოტისა და წმიდა დევნილის, – მელეტი ანტიოქელის წინაშე იცავდა მას, თვითონ არც აინტერესებდა, უფრო სხვათა დასარწმუნებლად სარწმუნოების საკითხებზე ესაუბრებოდა ვესტათის და, რადგან ცარიელ სიტყვებს არ უჯერებდა და, რათა თანამოღვაწენი დაემშვიდებინა, სარწმუნოების აღსარება ქარტიით მიიღო მისგან; მაგრამ ყველა მცდელობა ამაო გამოდგა. ვესტათიმ თავის მიერ აღიარებული მრწამსი უარყო და ტაძარში მის დაძახილზე არ მივიდა; თავს ისე იჭერდა, თითქოს შერიგება უნდოდა ბასილისთან და ერესსა და ერეტიკოსებთან კავშირში იქით ადანაშაულებდა; ასე რომ, დიდი ხნის დუმილის შემდეგ ბასილი იძულებული გახდა, თავის დასაცავად ვრცელი აპოლოგია დაენერა.

სხვა მძიმე გულდანყვეტაც ელოდა დიდ მღვდელმთავარს: მისდამი დაქვემდებარებული, შურით აღვსილი, ეპისკოპოსების, განსაკუთრებით, – ანთიმოზ ტიანელის მეცადინეობით ეპარქიის ნახევარი ჩამოართვეს მაშინ, როცა მეფის ბრძანებით, კაბადოკიის ოლქი ორ ნაწილად გაიყო და ტიანა კესარიას შეუერთდა. ანთიმოზი ამტკიცებდა, რომ სასულიერო მმართველობა საეროს უნდა შეესაბამებოდეს და ეკლესიის საქმეებში ინყო ჩარევა, – მთავარეპისკოპოსის უფლებები თვითონვე მიინიჭა და მოტყუებულ ეპისკოპოსებს თვითნებურად ინვევდა საოლქო კრებებზე. ბასილი, რომელიც გრძნობდა, რწმენაში მერყეობისას რა სიავე შეიძლებოდა მოყოლოდა ასეთ უადგილო დაყოფას, თავის მხრივ, ყველა საშუალებას მიმართავდა.



და საიმისოდ, რომ ანთიმოზის თვითნებობანი ეპისკოპოსთა არჩევითა და გამრავლებით შეეჩერებინა. კაბადოკიის ქალაქ ნისაში უკვე მღვდელმთავრობდა მისი უმცროსი ძმა, – გრიგოლი; ბასილის უნდოდა, რომ თავისი სახელოვანი მეგობრის – გრიგოლისადმი ანთიმოზის საეკლესიო ოლქის საზღვართან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ საზიმის ეპისკოპოსად დაესხა ხელი, დიდი გარჯა მოუხდა იმისათვის, რომ გრიგოლი ეპისკოპოსის ხარისხის მიღებაზე დაეთანხმებინა. გრიგოლი უარს იმ მიზეზით ეუბნებოდა, რომ განმარტოებას ესწრაფვოდა და არც იმ ადგილას სიამოვნებდა ყოფნა, რომელიც ორი ეპარქიისათვის სადავო გამხდარიყო. ბასილი პირად მეგობრობაზე მაღლა იმას აყენებდა, რაც საზოგადოებისათვის სასიკეთო იქნებოდა და ამ უხუცესი მამის სურვილმა გაიმარჯვა. მაგრამ გრიგოლმა ანთიმოზისაგან წინააღმდეგობის გამო თავისი სამწყსოს მართვა ვერ შეძლო. მაშინ ნაზიანზინში დაბრუნდა გრიგოლი და მმართველობის უღელი თავის ასი წლის მამასთან ერთად გაინანილა. მამა მალე გარდაეცვალა და მეგობრის თანდასწრებით დაიტირა იგი, – გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ლამაზად აღწერა ის სიკეთენი, რომელთაც ეს ღვთისმოსავი მოხუცი მწყემსობისას და საოჯახო საქმეებისას ავლენდა. სანამ ახალ მწყემსს აირჩევდნენ, გრიგოლმა ნაზიანზინში თავისი ყოფნით ოდნავ ანუგეშა იქაური ეკლესია, შემდეგ კი მღუმარებისა და სულიერი სიმშვიდის საძებრად იზავრიის უდაბნოში განმარტოვდა. სიმშვიდით ნეტარების საშუალებას ხალხი და საზრუნავი არ აძლევდა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი განდეგილობა, რადგან დედაქალაქის სასანთლედან გამობრწყინება ელოდა გრიგოლს.

ამასობაში ბასილის დასავლელთათვის დახმარების თხოვნა არ შეუნწყვეტია, – აღმოსავლეთის უბედურებებს აღუწერდა ეპისტოლეებში. მაგრამ ეპისკოპოსები თავიანთი კათედრებიდან არ იძვროდნენ, რომ საძმოს დასახმარებლად წამოსულიყვნენ. იტალიიდან მხოლოდ ცალკეული ადამიანები მიდიოდნენ ეგვიპტესა და პალესტინაში, რათა დიდ განდეგილთაგან

დარიგებანი მიელოთ. ნეტარი იერონიმე, წარმოშობით – დაღმარებული, რომელმაც საერო განათლება რომში, სოლო, სასულიერო, ვალერიანეს დროს, აქვინის ეპისკოპოსთან მიიღო; აღმოსავლეთს ანტიოქელ მღვდელთან, – ევაგრესთან ერთად ეწვია და ერთი ხანობა ბერებით უკვე სავსე სირიის უდაბნოებში დაეყუდა, რათა იქ თავის ახალგაზრდულ, – რომაულ განცხრომაზე ფიქრებიც კი დაეინყებოდა. თავისივე აღსარება მოწმობს, თუ როგორ ძნელად ეგუებდა მისი მგრძობიარე ბუნება განდეგილობას:

„ოჰ, რამდენჯერ ყოფილა, რომ ამ მწველი მზისაგან გახურებულ უსაზღვრო უდაბნოში რომის სიამენი გამხსენებია! მწარე ფიქრებით სავსე მარტო ვმჯდარვარ; სახე მტვრით მქონდა მოსვრილი; ეთიოპიური სიშავით დამფარვოდა კანი; ერთი გრილი წამობერვა ჩემთვის მთელი განცხრომა იქნებოდა; როცა ძილი მასთან მეზრძოლ სხეულს ერეოდა, ასე მეჩვენებოდა, ჭრიალით მხოლოდ ძვლები წვება-მეთქი მიწაზე; და მე, ვინც გენის შიშით თვითონ ჩავიგდე თავი ამ ჯურღმულში, მე, ვინც მხეცებთან და მორიელებთან ერთად ვცხოვრობდი, ისევ ვახერხებდი და ფიქრებით ზოგჯერ ქალწულთა ქოროებში გადავსახლდებოდი ხოლმე; ჩემმა სახემ, მარხვათაგან მიმკვდარებულმა, სიკვდილამდე უკვე მოჭამა ეს წუთისოფელი, მაგრამ გაგრილებულ სხეულში ზოგჯერ ისევ მიდუღებოდა მხურვალე ვნებები... და, რადგან ამ დროს ვერავინ მშველოდა, მაცხოვრის წინაშე დავემხობოდი ხოლმე; ცრემლებს ვღვრიდი, თმებს ვიგლეჯდი, შვიდდღიანი მარხვით ვიუძღურებდი სხეულს; მახსოვს, რამდენჯერ ყოფილა, რომ, – ლამით იძულებული გამხდარვარ, მკერდში მჯილი დამეშინა, რათა სასურველი სიმშვიდისათვის მიმეღწია; ჩემი სენაკისაც კი მეშინოდა, რადგან ჩემს უწმიდურ აზრთა მოწმე იყო და საკუთარი თავის კიცხვით უდაბნოში გავრბოდი; ველთა სიღრმეში, მათა მწვერვალებზე, ქარაფთა შორის, – ხეობებში ვეძებდი სალოცავ ადგილს, – იმას, რომელიც ჩემს დამღუპველ სხეულს დასჯიდა; და იქ, ცრემლების საბურველით სავსე, მშვიდი ზეცისაკენ წარვმართავდი მზერას და თავს ანგელოზთა



შორის მყოფად წარმოვიდგენდი ხოლმე; და სიხარულით მათ ჩინულოთ
 თან ერთად საოცარ საგალობელთ ვგალობდი“. წმიდა სერგიონის
 ლის სათარგმნად უდაბნოში ებრაულ ენას სწავლობდა წმიდა
 იერონიმე, დასავლეთის ცნობილი ღვთისმეტყველი ესე რამ-
 დენჯერმე დაუბრუნდა მშობლიურ იტალიას და იქიდან ახალი
 განდეგილები მიჰყავდა პალესტინაში.

სირიის უდაბნოსა და ლიბანის მთებს, ანტიოქიის მიმდებ-
 არე ტყეებს მრავალმა ბერმა განუთქვა სახელი. წმიდა მარონ-
 მა ლიბანის მთებში დააარსა ბევრი საფანე, აონესი კი მესოპო-
 ტამიაში გახდა განდეგილთა მამა. მისი მოწაფეები, რომელთაც
 მძოვარ ბერებს ეძახდნენ, ველებსა და მთის ნაპრალებში და-
 დიოდნენ ლოცვით, მხოლოდ ბალახეულით იკვებებოდნენ და
 აღმოსავლეთის მხურვალე ცის ქვეშ ყოველგვარ ამქვეყნიურ
 სიამეზე უარს ამბობდნენ. მაგრამ ყველაზე უფრო სახელ-
 განთქმული ედესის ეკლესიის დიაკონი ეფრემ ასური გახდა.
 ხარისხში იგი თავად იაკობ სასწაულთმოქმედმა, ნიზიბიელმა,
 აიყვანა. ეფრემს არავითარი ამქვეყნიური სწავლა არ მიუღია და
 იგი ზეციური სწავლების ერთ-ერთი უდიდესი მესაიდუმლე და
 ღვთის სიტყვის ენამჭევრი მქადაგებელი გახდა. უკანასკნელი
 სამსჯავროს შესახებ მისი ძლიერი ქადაგება მორჩილთ ცრემ-
 ლებს ადენდა და ისინი, კი, ვისაც ცოდვები ჯერ არ მოენანიე-
 ბინა, ძრწოლაში მოჰყავდა; მისი მოსმენისას სულით ქრისტეს
 სასამართლოზე გადასახლებული მოუნანიებელნი მამხილებელ
 სიტყვას ზოგჯერ შეანყვეტიდნენ ხოლმე და ცოდვათა შენ-
 დობას ითხოვდნენ. ზემთაგონებით შექმნილი მისი საგალო-
 ბლები ბაგედან ბაგეს გადაეცემოდა და მწვალებლური სიმ-
 ლერები კი დავიწყებას ეძლეოდა.

თავისი სიცრუის სწავლებით სირიას იმ დროში აპოლინარი
 ამფოთებდა. მაცხოვრის ხორცშესხმის შესახებ ისე მსჯელობ-
 და, თითქოს იესო ქრისტე სრული ადამიანი არ ყოფილა და
 მან მხოლოდ ის სხეული მიიღო ჩვენი, რომელიც ამაღლები-
 სას მოჩვენებასავით გაქრა, ხოლო ადამიანის გონიერი სამშ-
 ვინველის ნაცვლად მასში მხოლოდ ღმრთეება იყო. თავისი
 მკაცრად მარხული ცხოვრების გამო ღვთისმოსავი ადამიანები

პატივს სცემდნენ და მაცდუნებელი შეიქმნა აპოლინარის მიერ დანერილი ორი მწვალებლური წიგნი, რომელიც ეკლესიის დოგმატებს მთლიანად ეწინააღმდეგებოდა. ამ დოგმატთა განვიცით, რომ ღმერთი ქვეყანაზე წარმოჩნდა როგორც სრული ღმერთი და სრული ადამიანი, – სამშვინველითა და სხეულით; ჩვენი ბუნება მთლიანად მიიღო, რომ სამშვინველითა და სხეულით ცოდვებში დანთქმული ადამიანი ბოლომდე ეხსნა. მწვალებლის მავნე, დახლართულ აზრებს ღმრთივმოშურნე ეფრემმა კეთილი მიზნით ეს ფანდი დაუპირისპირა, – როცა შეიტყო, რომ აპოლინარის წიგნები მის ერთ ნაცნობ ქალთან ინახებოდა, წასაკითხავად ითხოვა ისინი და ყველა ფურცელი ისე შეაწება, რომ მათი გადაფურცვლა შუძლებელი გახდა; მრავალი წლის შემდეგ უკვე ხანში შესულმა ცრუმასწავლებელმა, რომელიც თავის მახსოვრობას ველარ ენდობოდა, მწვავე კამათისას თავის წიგნებთან მიიღობინა, გაოგნდა და დადუმდა, როცა ნახა, რომ თითქოს გაქვავებულიყო ისინი.

ეფრემისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სათნოება სრული უანგარობა იყო, როგორც ეს თავის ანდერძში თვითონვე გვითხრა: „ეფრემს არასდროს ჰქონია ოქრო, არცა ვერცხლი, არცა საფასე, რამეთუ ისმინა კეთილი მასწავლებლის, ქრისტესი, რომელიც იტყვის: „ნუ იგროვებთ საუნჯეს ქვეყანაზე“¹²⁴. მხოლოდ სიმდიდრეს კი არა, – ყოველგვარ პატივს გაურბოდა; როცა გაიგო, რომ ედესის ხალხს ეპისკოპოსად უნდოდა მისი არჩევა, ქრისტესათვის სულელად¹²⁵ მოაჩვენა ხალხს თავი, სავაჭროებში შიშველი დაეხეტებოდა და მოჩვენებითი სიხ-

¹²⁴ „ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეს ამ ქვეყნად, სადაც ფანგი და მლილი ღრღნის მას, და სადაც მპარავნი თხრიან და იპარავენ. არამედ დაიუნჯეთ თქვენ საუნჯე ზეცად, სადაც ვერც ფანგი და ვერც მლილი ვერა ღრღნის მას, და სადაც მპარავნი ვერ თხრიან და ვერ იპარავენ“, – მათ. 6: 19;

¹²⁵ ლაპარაკია სალოსზე, – ადამიანზე, რომელიც ამქვეყნიური პატივისაგან სრულიად განსარიდებლად ძალით ისპობს ამ პატივის საშუალებას და ღმერთს ასე მიელტვის... მისი საქციელის მიზეზი ამქვეყნიურ განსჯას ძნელად ექვემდებარება... მათ ქრისტესათვის სულელებადაც იხსენიებდნენ; ეფრემ ასური სალოსი არ ყოფილა, თუმცა, ამ შემთხვევაში სალოსური საქციელია აღწერილი;



არბით იტაცებდა პურს მანამ, სანამ ეპისკოპოსად სხვა არ დაადგინეს. ერთხელ, ედესაში შესვლისას, ღმერთს სთხოვა, რომ ვინმე სულიერი დამრიგებელი შეხვედროდა და, როცა ქალაქის კარიბჭესთან ერთ ქალს შეხვდა, ძალიან დამნუხრდა. ორივე შეჩერდა, შესცქეროდნენ ერთმანეთს. „რას შემომყურებ?“ – ჰკითხა ქალს ბოლოს განდევილმა, – „მე შენ უნდა გიყურო“, – მიუგო ქალმა, – „იმიტომ, რომ, როგორც წმიდა ნერილშია ნათქვამი, ქალი კაცის გვერდიდან არის შექმნილი, აი, შენ კი მე ნუ მიცქერ, მინას უყურე, იმიტომ, რომ კაცი მინისაგან არის შექმნილი“. და ეფრემმა ამ უბრალო ქალის დამრიგებლური სიტყვების გამო დიდება აღუვლინა უფალს.

როცა ქალაქსა და უდაბნოში მრავალს აღუძრა მონანიების სურვილი იმ ქადაგებებით, რომლებიც ეკლესიაში დღემდეა შემონახული, ეფრემი ზეციურმა გამოცხადებამ იმისთვის აღძრა, რომ კესარიის მნათობი, – ბასილი მონებახულებინა და კესარიაში მაშინ მივიდა, როცა ბასილი ტაძარში ხალხს განსწავლიდა. ხალხის შუაში მდგარი ეფრემი იძახდა: „ჭეშმარიტად დიდია ბასილი, ჭეშმარიტად ეკლესიის ბურჯია ბასილი, ჭეშმარიტად სულიწმიდა მეტყველებს მის ბაგეთაგან! მე ვხედავ წმიდაა წმიდათაში არჩეულ ჭურჭელს, ღვთაებრივი სიტყვებით გამშვენიერებულს; ვხედავ, რომ ტაძარს მისი სიტყვები სულიერი საზრდოთი ავსებს, – ცრემლებს, მის გარშემო რომ იღვრება; ვხედავ ლოცვებს, ფრთებით მალლა რომ მიაქვს სულს!“ როცა ზოგიერთმა იქ მყოფმა არ მოიწონა, ეპისკოპოსს ასე რომ განადიდებდა მოსული, ბასილიმ თავისთან იხმო და ჰკითხა: – „შენ ხარ ეფრემი, რომელსაც უფლის უღელი ახალგაზრდობიდან დაუდგამს და ვისზეც, ეს ეს არის, რაც, შევიტყე?“ – „მე ვარ“, – მიუგო ეფრემმა, – „ზეციურ სარბიელზე სულ ბოლოში მავალი; როცა მღვდელმთავრმა ჰკითხა, თუ რა იყო მიზეზი, რომ ეკლესიაში ასე ხმამაღლა წარმოთქვამდა მის საქებარ სიტყვებს, ედესის ღვთისმოსავი დიაკონი შეეპასუხა: – „ვიხილე, რომ თეთრი მტრედი გეჯდა მარჯვენა მხარზე და სამწყსოსათვის სათქმელ სიტყვებს შთაგაგონებდა“.



ხანგრძლივი სულიერი საუბრის შემდეგ ერთმანეთს ეამბოვინებ და მშვიდობიანად დაცილდნენ, - ერთი ისევ უდაბნოს უკან და განმარტოებულებიყო, მეორე კი რამდენიმე წელიწად იბრწყინებდა ეკლესიაში, - მოახლოებული იყო მისი აღსასრულის უამი.

განდევილობისადმი მიდრეკილება საეპისკოპოსო კათედრაზეც არ მოცილებია ბასილის. მან კესარიასა და მიმდებარე მხარეებში მცხოვრები ბერები თავის ირგვლივ შემოიკრიბა, რათა სამწყსო მათი მაგალითით დამოძღვრილებიყო, მკაცრად ადევნებდა თვალყურს, თუ რამდენად ასრულებდნენ წესდებას, რაც სენაკში ქცევის წესებსაც კი ითვალისწინებდა და ამით ცოდვაში ჩავარდნისაგან იცავდა ბერებს. ამდენსავე ზრუნავდა იგი ვრცელი ეპარქიის სასულიეროთათვის, ქორეპისკოპოსებს სთხოვდა, რომ ეკლესიის დაბალ მსახურთა ზუსტი სია მიეცათ მისთვის, ესენი იყვნენ: იპოდიაკონები, მკითხველები, შემფუცველნი, ფარგალიტნი; თავისი ნებართვის გარეშე მათ მილებას კრძალავდა, - იმიტომ, რომ მღვდლები და დიაკნები ზოგჯერ თავს ნებას აძლევდნენ და თვითნებურად ირჩევდნენ ხოლმე მათ და ამის შედეგად სასულიეროთა შორის უღირსი ადამიანები ხვდებოდნენ. მწყემსის ასეთმა ყურადღებამ ეპარქიის სასულიეროთა შორის ზნეობა დახვეწა. მეზობელი საეპისკოპოსოებიდან მრავალნი მოდიოდნენ და თავიანთთვის მღვდლებსა და ზოგჯერ კათედრებზე შემცვლელებსაც სთხოვდნენ; უპოვარნი და მწირნი კი ყველა მიმდებარე მხარიდან მოდიოდა მის ვრცელ თავშესაფარში, რომელიც კესარიის გარეუბანში ქალაქივით მოაწყო; ბასილის შემდეგ იგი ბასილიადას სახელით იყო დიდხანს ცნობილი და მასში ყველანაირი უძლური მიდიოდა სამკურნალოდ.

ბასილი, - მოღვაწეობის სურვილით სავსე, მხოლოდ თავის სამწყსოს კი არა, მეზობელ ეპისკოპოსებსაც ეხმარებოდა თავისი სიტყვით, ეს განსაკუთრებით წმიდა ამფილოქე იკონიელზე ითქმის. ბასილის მასთან მეგობრობაც აკავშირებდა. იკონიის კათედრაზე ის საკუთარი ნების გარეშე აირჩიეს. ბასილიმ მისი თხოვნით დანერა წიგნი სულიწმიდაზე, რომელშიც ცხადად

გადმოსცა სწავლება იმის შესახებ, რომ სულიწმიდა მამისა-
გან ღვთაებრივად გამოდის და იგი ძესთან ერთად იდიდება.
ბასილი გადმოცემის მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა იმათ, ნი
ნაალმდეგ, ვისაც მიაჩნდა, რომ წმიდა დოგმატები მხოლოდ
წმიდა წერილზე შეიძლება იყოს დაფუძნებული.

„ეკლესიაში დაცულ დოგმატთა და ქადაგებათაგან ზოგი
წერილობით შემოგვენახა, ზოგი კი მოციქულთა გადმოცემე-
ბიდან საიდუმლო მემკვიდრეობითობით მივიღეთ. კეთილმსახ-
ურებისათვის ერთიც და მეორეც თანაბარი ძალის მქონეა. ამას
ვერაგინ უარყოფს, თუნდ ეკლესიის დადგენილებებში კარ-
გად ვერ ერკვეოდეს. რადგან, თუ გავბედავთ და უარვყოფთ
დაუწერელ წეს-ჩვეულებებს, როგორც თითქოსდა ნაკლები
მნიშვნელობის მქონეთ, ამით სახარებას მთავარში ვავენთ
და მოციქულის ქადაგებიდან მხოლოდ ცარიელი სახელიდა
შეგვრჩება. უპირველესად ყველაზე მთავარსა და საყოველ-
თაოზე მოგახსენებთ: ვინ გვასწავლა წერილობით, რომ ჩვენი
უფლის, – იესო ქრისტეს მოსავეებმა პირჯვარი გამოისახონ?
რომელმა წერილმა გვასწავლა, რომ ლოცვისას აღმოსავლე-
თისაკენ ვიდგეთ? ან რომელმა წმიდანმა დაგვიტოვა წერილი
ეკქარისტის პურის გატეხვისა და კურთხევის სასმისის¹²⁶ შეს-
ახებ? ჩვენთვის ხომ არაა საკმარისი მხოლოდ ის სიტყვები,
რომლებსაც მოციქული და სახარება ახსენებენ: მანამდეც და
შემდეგაც ის სხვა სიტყვებიც წარმოგვითქვამს, რომლებსაც
საიდუმლოს აღსასრულებლად დიდი ძალა აქვს, ისინი ჩვენ
წერილობითი სწავლებიდან არ გვაქვს მიღებული. რომელი
წერილის მიხედვით ვაკურთხევთ ნათლისღების წყალს და
ზეთს ცხებისათვის ან თავად იმას, ვისაც ვნათლავთ? განა
ზეპირი ან საიდუმლო გადმოცემის მიხედვით არ ვაკეთებთ ამ
ყოველივეს? რა ვთქვა კიდევ? თავად ზეთისცხება რომელმა
წერილმა გვასწავლა? ან საიდან მოდის სამგზის შთაფვლა ადა-
მიანისა და ის სხვა, რაც ნათლობასთან არის დაკავშირებული?

¹²⁶ ბასილი დიდი წმიდა ბარძიმს სიტყვებით – „კურთხევის სასმისი“ ბიბლიის
მიხედვით იხსენიებს, იხ. – I კორ. 10: 16;



რომელი წერილიდან გვისწავლია, რომ სატანა და მისი ანგელები ლოზები უნდა უარყოთ?¹²⁷ განა იმ გამოუქვეყნებელი და ხარმოდუთქმელი სწავლებიდან არა, რომელიც ჩვენმა მამებმა ისე შემოინახეს, რომ ცნობისმოყვარეთათვის მიუწვდომელი, მდუმარებისაგან გამოუძიებელი ყოფილიყო, განა ისინი საფუძვლიანად არ იყვნენ განსწავლულნი, რომ საიდუმლოთა სინმიდე მდუმარებით შეენახათ? განა ღირსსაფერი იქნებოდა, რომ წერილობით გამჟღავნებულიყო ის სწავლება, რისი შეხედვაც კი არ შეიძლება მოუნათლავთათვის?“

ამფილოქესთვის იმ სამ ეპისტოლეში, რომელიც მთელმა ეკლესიამ კანონიკურად ჩათვალა, მონანიებისა და დაცემულთათვის სხვადასხვა ცოდვისაგან გახსნის, დანაშაულის სიმძიმისა და, სინანულის ხარისხიდან გამომდინარე, ეპიტიმის ვადის განსაზღვრის შესახებ ბევრი წესი გადმოსცა; იმ ეკლესიებისათვის ზრუნავდა, რომლებიც დევნის დროს დაობლდნენ. როცა გაიგო, რომ ევსევი გაასახლეს, მანუგეშებელი წერილი მისწერა სამოსატელ მოქალაქეებს, რომლებმაც თავიანთი მწყემსისათვის ამდენი იღვანეს. ევსევი, ვინც მართლმადიდებლობისათვის თავისი მოშურნეობით არიანელებს აღიზიანებდა, უბრალოების სამოსით მოსავდა სომხეთის ეკლესიებს და ყველგან ადგენდა მღვდლებსა და დიაკვნებს, – ეპისკოპოსებსაც კი. ფრაკიაში მისი გასახლების შესახებ მეფის ბრძანებამ ევსევისთან საღამოს მიაღწია. რათა შფოთი არ ამტყდარიყო, მან მეფის მიერ გამოგზავნილი კაცი დამალა და ღამისთვის ლოცვის შემდეგ ევფრატზე პატარა ნავით მახლობელი ქალაქისაკენ გაემგზავრა. მაგრამ მეორე დღეს მდინარე ურიცხვმა ნავმა დაფარა. მართლმორწმუნებმა თავიანთი მწყემსი იპოვნეს და აცრემლებულებმა სთხოვეს, არ დაეტოვე-

¹²⁷ რამდენადაც სახარებაში უწმიდური ძალები ნახსენები არიან, ჩანს, ამ შემთხვევაში ბასილი დიდი ნათლობის რიტუალს გულისხმობს; ეს სიტყვები გვავარაუდებინებს, რომ IV საუკუნეში ხსენებულ რიტუალზე არა მხოლოდ სატანის, არამედ – მის ანგელოზთა უარყოფის შესახებაც წარმოითქმებოდა სიტყვები; სახარებაში, ცხადია, არის ზეთისცხებაზე ლაპარაკი, წმიდა ბარძიმიც ნახსენებია, – ბასილი დიდი ლიტურგიის წესების შესახებ წერს;



ბინა სამწყსო. ევსევიმ მათ ხელისუფლებისადმი მორჩილების შესახებ სახარებისეული სიტყვები შეახსენა¹²⁸. მაშინ სთხოვეს რომ ფული და ტანისამოსი მაინც წაეღო, მოსამსახურეები მაინც წაეყვანა თან. მაგრამ ევსევიმ ისევ მოციქულთა მაგალითს მიმართა, – მათი სიღარიბე გაახსენა და დაადგა გრძელ გზას. მაგრამ არიანელებმა ვერ დაიმორჩილეს მისი სამწყსო, – იმიტომ, რომ მათთან ეკლესიაში ურთიერთობა კი არა, მათ ეპისკოპოსთან ერთად აბანოშიც კი არ შევიდოდა არავინ.

ქრისტეს შობიდან 374-ე წელი

ევსევის დევნამ წმიდა ბასილი დაამწყურა, მაგრამ მედიოლანის კათედრაზე წმიდა ამბროსის არჩევის ცნობითა და ამ დიდი კაცის გულითადი სიგელებით გაიხარა. იგი სახელგანთქმული რომაელი წინაპრების შთამომავალი იყო და პირად ღირსებათა გამო იმპერატორ ვალენტინიანეს პატივისცემით სარგებლობდა, იმპერატორმა იგი ახალგაზრდა დანიშნა მედიოლანის მმართველად. შფოთმა, რომელიც ქალაქში მართლმადიდებლებსა და არიანელებს შორის იმის გამო ატყდა, რომ ვერ შეთანხმებულიყვნენ, ავქსენტის გარდაცვალების შემდეგ ვინ უნდა გამხდარიყო ეპისკოპოსი, ხალხს ჭეშმარიტი მწყემსის არჩევისაკენ უბიძგა, – ეს იყო ქალაქის მმართველი, – ჯერ მხოლოდ კათაკმეველი. როცა ტაძარში შევიდა ამბროსი, ისე დამაჯერებლად ილაპარაკა, ორივე დაპირისპირებულმა მხარემ წამოიძახა: „ამბროსი ავირჩიოთ ეპისკოპოსად!“ ასეთი მოულოდნელი წამოძახილებით შეშინებული, ეკლესიიდან სასამართლოსაკენ გაეშურა, რომ სიმკაცრით იქით შეეშინებინა ხალხი და ბრძანა, რომ გასამართლებულები მის თვალწინ ენამებინათ, მაგრამ ხალხი იძახდა: – „ჩვენზე იყოს შენი ცოდვა!“ მაშინ ღამით ქალაქიდან გაიქცა, მაგრამ კარიბჭესთან იპოვეს;

¹²⁸ რომაელ. 13, 1-8; გადასახადების შესახებ, – მათ. 22, 21; მარ. 12, 17; ლ. 20, 25;



მერე მეგობრის მამულში დაიძალა; მაგრამ მეგობარი იძულებული გახდა, მეფის ბრძანების თანახმად, ხალხისათვის დაეცა იგი, რადგან ასეთი ბედნიერი არჩევანით გახარებული იყო ვალენტინიანი. რვა დღის შემდეგ ამბროსი მონაოლეს და წესების დაცვით ყველა სასულიერო ხარისხში თანამიმდევრულად აიყვანეს. ახალმა ეპისკოპოსმა თავისი ქონების დიდი ნაწილი უპოვარებსა და ეკლესიებს დაურიგა და სამეურვეო საქმე ძმას, – სატირს ჩააბარა. თვითონ კი მხოლოდ წმიდა წერილის შესწავლითა და ეკლესიის მამათა ნაწერების კითხვით დაკავდა. ეს განსაკუთრებით ბასილის ნაწერებზე ითქმის. და იგი ღვთის სიტყვას ქადაგებდა, – ენატკბილად არიგებდა კათედრიდან იმ საგანძურს, რომელიც თავის სენაკში ყურადღებით შეეკრიბა. დიდი ხნის განმავლობაში მღვდელმთავრობის შემდეგ მან მთელ იტალიაში მოსპო არიანელობა. – „მხნედ იყავ, ღვთის კაცო, რომელმაც უფალ იესო ქრისტესათვის ყველა ამქვეყნიური სიკეთე მოიძულე“, – სწერდა მას ბასილი, – „მხნედ იყავ: რამეთუ, ისევე, როგორც პავლემ, შენ სახარება კაცთაგან კი არა, თავად ღმერთისაგან მიიღე, ამქვეყნიურ მოსამართლეთაგან მან აგიყვანა მოციქულთა ტახტზე“.

ამბროსი დიდის დადგინება უკანასკნელი კეთილი საქმე იყო, რაც ვალენტინიანემ ეკლესიისათვის გააკეთა. იგი პანიონში ნაადრევად გარდაიცვალა და დასავლეთში მემკვიდრეობა მის ორ ძეს გადაეცა, – გრატიანს, რომელიც, უკვე დიდი ხანი იყო გასული, რაც, მის თანამმართველად გამოეცხადებინათ და მცირეწლოვან ვალენტინიანს, რომელიც იმპერატორად ლეგიონებმა გამოაცხადეს და რომელსაც სახელმწიფო დედამისის, – იუსტინას მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ემართა. ვალენტინიანი არიანელობით იყო დაავადებული. გრატიანი ნაადრევად გარდაიცვალა. ქრისტიანობისათვის იგი მამაზე არანაკლებ ზრუნავდა. მან წარმართი მღვდელმთავრის, – მთავარქურუმის ნოდება გააუქმა. კეისრები აღიარებდნენ ამ ნოდებას. რომში, შეძლებისდაგვარად, სპობდა ძველ ადათებსა და წარმართულ კერპებს. ძმის გარდაცვალებამ ვალენტს, რომელიც არიანელ-



თა აშკარა მფარველობით სარგებლობდა, აღმოსავლეთში გაუფხვრა, რომ კათედრებიდან უფრო მეტად განედევნა თლმადიდებლები, მათ შორის მოხვდა წმიდა გრიგოლ ნოსელი, – ბასილის ძმა. თუმც, ის კი ვერ გაბედა, რომ თავად ბასილის შეხებოდა, ფხიზლად იყო ბასილი და ყველასათვის ზრუნავდა.

ქრისტეს შობიდან 376-ე წელი

დიდი მღვდელმთავარი დასავლელთა გულგრილობის გამო პეტრე ალექსანდრიელთან ჩიოდა და მიანიშნებდა მას, რომ პაპი დამაზი უადგილოდ განადიდა. იგი აღმოსავლელთაც საყვედურობდა იმის გამო, რომ სრული სიყვარული არ იყო მათ შორის და ერესსაც აჰყვებოდნენ ხოლმე. ზღვისპირეთის ეპისკოპოსთა და ნეოკესარიის ეკლესიებისათვის გაგზავნილ მამხილებელ წერილებსა და ევსტათის წინააღმდეგ დაწერილ მის აპოლოგიას დიაკვნები მთელ მცირე აზიაში დაატარებდნენ და მართლმადიდებელთა შორის ურთიერთკავშირს ინარჩუნებდნენ. ბასილი დიდზე სრულდებოდა ფსალმუნის სიტყვები: „დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი, ხოლო შენ არა მიგეახლნენ“¹²⁹. წმიდა ბასილი მართლმორწმუნეებს აფრთხილებდა, რომ აპოლინარის მწვალებლობისაგან დაეცვათ თავი.. ეს მწვალებლობა, რომელშიც ევსტათი სდებდა ბასილის ბრალს, რომში ამხილეს. ბასილი მხოლოდ სიტყვით კი არა, საქმითაც ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა ევსტათის. როცა შეიტყო, რომ ევსტათი ბედავს და ნიკოპოლში, სომხეთის მეტროპოლიაში, არიანელ ეპისკოპოსს ადგენს, მან იქ ქალაქ კოლონიიდან მართლმადიდებელი მწყემსი, – ევფონი გადაიყვანა და ქალაქის მცხოვრებნი რწმენაში განამტკიცა. ევსტათისა და მისი მიმდევრების მიერ შემოტანილი სიახლეები მალე ლანგრის კრებაზე უარყვეს, ეკლესიის მონესრიგებისათვის მოქმედი ცრუმზრუნველების წინააღმდეგ ამ კრებაზე ოცი

¹²⁹ ფსალ. 90: 7;

კანონი მიიღეს. ეს ადამიანები ეკლესიის კანონებს არღვევენ.

ასეთივე მოშურნეობით იღვწოდა ბასილი ანტიოქიის ეკლესიისათვის, რომლის ერთობასაც შინაუთანხმოებანი არღვევდა. მას მუდმივი კავშირი ჰქონდა წმიდა დევნილ მეღვთისთან. პავლინთან ურთიერთობას თავს არიდებდა, რადგან არასწორად იყო ის არჩეული და დასავლეთი უმართებულოდ უჭერდა მხარს. თავს არიდებდა სხვა ეპისკოპოსებსაც, რომლებიც ანტიოქიაში ხელისუფლებას ელტვოდნენ. მეფის ეპარქს არ აძლევდა უფლებას, რომ საეკლესიო საქმეებში ჩარეულიყო და წმიდა ეპისკოპოს ევსტათი კვიპროსელს, დიდი განდევნილის, - ილარიონის მოწაფეს, არწმუნებდა, რომ მშვიდობის დამყარებაში მიხმარებოდა, - იმიტომ, რომ კვიპროსი მაშინ ანტიოქიის ოლქში შედიოდა. მაგრამ ეპიფანეს მცდელობამაც არ გამოიღო ნაყოფი, - მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში თავისი მკაცრი განდევნილური ცხოვრების წესითა და დამრიგებლური ნაშრომებით საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდა. ეპიფანე თავისი დროის ერთ-ერთი მნათობი და მამხილებელი იყო ყველა მწვალებლობისა, რომლებიც ოთხმოცამდე ნაშრომში აღწერა და რომლებშიც ყველა მწვალებლობას შესაბამისი სულიერი მკურნალობა დაუპირისპირა.

მისი ნაშრომებიდან ცხადი ხდება, თუ როგორ იყო მეოთხე საუკუნეში ეკლესია მოწყობილი, ჩამოთვლილია იერარქიული ხარისხები: ეპისკოპოსი, პრესვიტერი, დიაკონი; ამ ხარისხის მფლობელებს უმეტესწილად უბიწოებს, ქვრივებსა და ერთგზის დაქორწინებულთა შორის ირჩევდნენ; მღვდლად ხელდასხმის შემდეგ მეორედ დაქორწინება იკრძალებოდა; სხვა საეკლესიო თანამდებობები იყო: იპოდიაკონები, მკითხველები, შემფუცებლები, დამკრძალავები და დიაკონისები, რომლებსაც უპოვართათვის უნდა მიეხედათ. ეპიფანეს სიტყვით, საეკლესიო შეკრებები მოციქულთა მიერ ოთხშაბათობით, პარასკევობით, შაბათობითა და კვირაობით იმართებოდა; უფლისა გაცემისა და ჯვარცმის გასახსენებლად პირველი ორი დღე



სამარხოვო იყო, გამონაკლისი სულთმოფენობისა და ღმრთის განცხადების დღეებში იყო დაშვებული; აღდგომამდე ორმოცი დღით ადრე მარხვა, განსაკუთრებით, – ბოლო შვიდი დღე, განსაკუთრებული ღვანლითა და სიფხიზლით სრულდებოდა. ჩვეულებრივ ლოცვებს, მწუხრისას და ცისკრისას, თან საღიდებელი საგალობლები და ფსალმუნთა კითხვა ერთვოდა; ეკლესიაში მიცვალებულთა სახელები ლიტურგიაზე უსისხლო მსხვერპლშენივრისას იხსენიება. ის სიმკაცრე, რომელსაც ეკლესია თავის მსახურთა ზნეობის დაცვისას იჩენდა, – დავაში ჩარევის აკრძალვა ან ამქვეყნიურ სიამეებს აყოლა, კვიპროსელი მღვდელმთავრის წიგნებში ისევე ნათლად არის ასახული, როგორც – იმდროინდელი ცალკეული საეკლესიო კრებების კანონებსა და საკუთრივ ბასილი დიდისეულ წესებში; ბასილი დიდს, რომელიც, მოციქულის სიტყვით რომ ვთქვათ, სამეუფეოდ იყო ხელდასხმული, უნდოდა, რომ ყველას მიეზაძა მისთვის, – ისევე, როგორც თვითონ ქრისტეს ბაძავდა.

ქრისტეს შობიდან 378-ე წელი

თითქოს განგებამ მხოლოდ იმისათვის შემოინახაო ეკლესიის ეს დიდი კაცი, რომ მის საფარველქვეშ გადაევიდა არიანულ ქარიშხალს და მწვალებლობის მფარველ ვალენტისთან ერთად დასრულებულიყო. ვალენტის ადრეული აღსასრული ენერა. სახელგანთქმული ეპისკოპოსი, – ულფილა გუთების მღვდელმთავარი, რომელმაც სიგელი შექმნა და თავისი ხალხისათვის წმიდა წერილი თარგმნა, მეფეთქალაქში იმპერატორთან მივიდა და სთხოვა, რომ გუთებისათვის ფრაკიაში დასახლების ნება დაერთო. სასურველს მიაღწია. ამის შემდეგ არიანული მამებლობის სენი შეეყარა და მისადმი დამორჩილებულ მთელ ხალხში გაავრცელა მწვალებლობა. იმპერიის საზღვრებზე მეფის ბრძანება არ შესრულდა და ამის გამო გამძვინვარებულმა გუთებმა დუნაი ძალით გადალახეს. ვალ-



ენტი მათთან საბრძოლველად ჯარით გაემართა. ძმისშვილები
 – გრატიანის დახმარებას არ დაელოდა. გადამწყვეტ ბრძოლაში
 ამდენ რამდენიმე დღით ადრე იმპერატორს მამაცი განდევნილი
 ისააკ დაღმატელი გზაზე დახვდა, ცხენი შეუჩერა და უთხრა:
 – „რატომ მიდიხარ ბარბაროსთა წინააღმდეგ, ისინი ღმერთმა
 ავიმხედრა, ღმერთის წინააღმდეგ ნუ წახვალ, თორემ ვერ და-
 ბრუნდებით უკან ვერც შენ და ვერც შენი ჯარი“. განრისხებ-
 ულმა ვალენტიმ ბრძანა, შეებორკათ იგი და ცრუ წინასწარმ-
 ეტყველების გამო დაესაჯათ. – „დამსაჯე, თუ დაბრუნდები“, –
 მშვიდად მიუგო ისააკმა. სისხლისმღვრელ ჩეხვაში რომაელები
 დამარცხდნენ. დაჭრილი ვალენტი მცირერიცხოვან სასახლის
 კაცებთან ერთად ერთ ქოხში დაიმალა. ბარბაროსებმა, რომ-
 ლებმაც არ იცოდნენ, რომ მეფე იმყოფებოდა იქ, ცეცხლს
 მისცეს ქოხი. აღმოსავლეთის ეკლესიაში მის მიერ ატეხილი
 თოთხმეტწლიანი მღვლავარების შემდეგ ასე დაიღუპა მართლ-
 მადიდებლობის მღვწელი.

ქრისტეს შობიდან 379-ე წელი

ვალენტის შემდეგ მალე გამოჩნდა მართლმადიდებლობის
 მამაცი დამცველი, რომელმაც მძვინვარე ქარიშხალს გაუძლო
 და ეკლესიის საჭე მშვიდი ნავსაყუდელისაკენ მიატრიალა.
 როცა აღმსარებლებმა თავიანთ კათედრებზე დაბრუნება დაი-
 ნყეს, ბასილი საყოველთაო ტირილის ქვეშ ზეციურ სამშობლო-
 ში გადავიდა. ხალხი შემოჯარულიყო მის სხეულთან, სწეულე-
 ბი სამოსს ეხებოდნენ და, როგორც ოდესღაც მოციქულთა
 სამოსელისგან, ისე ელოდნენ მისგან კურნებას. საეკლესიო
 გალობას მოთქმის ხმა ახშობდა. წარმართები და ებრაელებიც
 მისუღიყვნენ მართლმორწმუნეთა შორის. ახლობლები იმით
 ინუგეშებდნენ თავს, რომ მარად მასთან ერთად იყვნენ; ზოგი
 ცდილობდა, რომ მასავით ჩაეცვა, საზრდოდ ის მიელო, რასაც
 იგი ღებულობდა, მასავით მოქცეულიყვნენ, ისიც კი უნდოდათ,



რომ ბასილივით ფერმკრთალები ყოფილიყვნენ და მასაგნით
 ნელა ელაპარაკათ. ბასილის ქმნილებებს საერთოა და სასულიერო
 ეროთა დასარიგებლად სახლებშიც კითხულობდნენ და ეკლესიებშიც. ეს ნაშრომები თვით წარმართებსაც კი აკვირვებდა. დიდი მღვდელმთავრის სადიდებლად სხვადასხვა დროს ოთხი საქებარი სიტყვა წარმოითქვა ეკლესიის ცნობილ კაცთა მიერ, ესენი იყვნენ: ეფრემ ასური, ამფილოქე იკონიელი და ბასილის გულთან ახლოს მყოფი ორი გრიგოლი, ერთი, – ძმა და მეორე, – მეგობარი, რომლებმაც მისი ნაადრევი გარდაცვალება მწვავედ განიცადეს. მაღლიერმა ეკლესიამ ბასილი მალე შერაცხა თავის წმიდა დამცველთა შორის და მისი ნეტარი აღსრულების ხსენება დაანესა, რამეთუ იგი სიცოცხლეშივე იყო მსოფლიო მასწავლებელი და მისი სიმშვიდის საწინდარი.

დიადი კაცის შემდეგ კესარიის კათედრა ელაღიმ დაიკავა. ბასილის ძმას, – გრიგოლს მალე თავიანთი საერთო აღმზრდელისათვის, – ნეტარი დის, – მაკრინესათვის მისსავე დაარსებულ სავანეში მოუხდა უკანასკნელი პატივისგება. სასიკვდილო სარეცელზე სულის უკვდავების შესახებ მაკრინეს დამრიგებლური საუბარი გრიგოლს სასულიერო ნაშრომის შექმნაში მიეხმარა, განუწყვეტელ ლოცვაში მისმა მშვიდმა აღსასრულმა კი იმისაკენ უბიძგა, რომ თავის აღსასრულშიც მისაბაძ მაგალითად გაეხადა მაკრინე. მის დასაკრძალავად მონაზონ ქალებს მისი საუკეთესო სამოსი სთხოვა, მათ ღარიბულ შესამოსელზე მიუთითეს, რომლითაც იყო მაკრინე შემოსილი და რომელიც ერთადერთი შემორჩენოდა იმის შემდეგ, რაც სხვები ღარიბებს დაურიგა; გრიგოლი იძულებული გახდა, თავისი მანტია გადაეფარებინა მიცვალებულისათვის, ძმასთან – პეტრესთან ერთად მშობლების ნეშტის ახლოს, – ორმოცი მონამის ეკლესიაში მრავალრიცხოვანი ხალხისა და მეზობელ მონაზონთა თანხლებით დაკრძალა იგი.

**იმპერატორი თეოდოსი დიდი.
გრიგოლ ღვთისმეტყველის ღვაწლი.
მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება**

ამასობაში, აღმოსავლეთის ეპისკოპოსებმა იმპერატორ გრატიანის მოწყალე ბრძანების წყალობით თავიანთი ეპარქიებისაკენ დაიწყეს დაბრუნება. გრატიანი, რომელიც ამბროსი დიდის შთაგონებით მოქმედებდა, მართლმადიდებლებს აშკარად სწყალობდა და მთელი დასავლეთიდან აძევებდა არიანელებს. მან თანამმართველად თეოდოსი აირჩია. თეოდოსი სამხედრო და სამოქალაქო საქმეებში ღირსეულად წარმოჩენილი ტრაიანე კეისრის შტოდან იყო წარმოშობილი. გრატიანმა მას აღმოსავლეთი ჩააბარა. მისმა ბრძნულმა მმართველობამ გააცოცხლა აღმოსავლეთი. ანტიოქიან თავისი თავმდაბალი ეპისკოპოსის, – მელეტის დანახვით ისევ გაიხარა. მელეტის მხოლოდ მშვიდობის მიღწევის სურვილი ამოძრავებდა და მოწინააღმდეგე პავლინს შესთავაზა, რომ ერთად ემართათ ეკლესია მას შემდეგ, რაც სახარება კათედრაზე დადო და ღმრთის სიტყვის სამსახურებლად მის გარშემო დასხდნენ. ნმიდა კირილე იერუსალიმელი, გელასი კესარიელი, ევსევი სამოსატელი ისევ წარუდგნენ თავიანთ დაობლებულ სამწყსოებს. მაგრამ ეკლესიის საქმეთა მონესრიგებაში ევსევის მოშურნეობა მისი მოწამეობრივი აღსასრულის მიზეზი გახდა. სირიის ერთ პატარა ქალაქში მართლმადიდებელი ეპისკოპოსის დადგენას აპირებდა. ქალაქი არიანელებით იყო სავსე. მას ქვა მოხვდა და ღმერთს მისცა სული. თან თავისი მკვლელისათვის პატიება სთხოვა უფალს.

კონსტანტინეპოლის ეკლესიასაც უჭირდა. უკვე ორმოცი წელი იყო გასული, რაც იგი არიანელებს ეპყრათ. მართლმადიდებელთა მცირე ნაწილმა ბასილის მეგობარი, – გრიგოლი



დაითანხმა, რომ თავისი უდაბნო დაეტოვებინა და დედაქალაქში დასახლდეს. ის ეკლესია ისევე ემართა, როგორც ოდესღაც ნაზიანზის ეკლესიას მართავდა. გრიგოლი დიდხანს იყო უარზე, მაგრამ დაობლებულთა უზომო მოთქმამ შემდეგ იმოქმედა მასზე. გრიგოლის ღარიბულმა შესახედაობამ, დაუძლურებულმა სხეულმა, უბრალოებამ, რომელსაც ურთიერთობისას იჩენდა, დასაწყისში ხალხის სათანადო პატივისცემა ვერ გამოიწვია, - იმიტომ, რომ ეს ხალხი დედაქალაქის მწყემსთმთავრების სიმდიდრეს იყო მიჩვეული. არიანელები და სულისმბრძლნი მწვალებლობის დასამხობად მისულის წინააღმდეგ შეიკრიბნენ და სამსჯავრო მოუწყეს, - ბრბოს მოუწოდებდნენ, რომ ქუჩებში ქვეები დაეშინათ ამ უცხო მოხუცისთვის. გრიგოლს მართლმორწმუნეთა შესაკრები ადგილიც კი არა ჰქონდა, დედაქალაქში ნათესავებმა თავიანთ სახლში შეიფარეს მისული. გრიგოლმა იქ აღდგომის მცირე ეკლესია მოაწყო იმის საწინდრად, რომ მართალი სარწმუნოება აღდგებოდა.

და მაშინ, როცა ამ პატარა ეკლესიაში გრიგოლის ტკბილმეტყველება გაისმა, როცა მისმა ღვთისმეტყველების საღამურმა რიტორთა საყვირები ჩაახშო, პირველი უარყოფითი განწყობილება საყოველთაო გაოცებამ შეცვალა. მწვალებლები და წარმართები მისმა უჩვეულო ენამჭევრობამ გაიტაცა და მოაწყდნენ ვინრო ტაძარს, რადგან მეფეთქალაქის კათედრიდან მსგავსი ჯერ არაფერი სმენოდათ. გრიგოლმა, რომელიც სწავლებას მსმენელთა სულიერი ზრდის შესაბამისად აღრმავებდა, ხუთ საუბარში გადმოსცა წმიდა დოგმატები წმიდა სამების, ძის, მამისა და სულიწმიდის თანაარსობის, მამისაგან სულიწმიდის გამოსვლის შესახებ. ეკლესიის მჭერმეტველს თანხმობის ნიშნად განუწყვეტლად ტაშით აწყვეტინებდნენ სიტყვას და განუშორებელი წოდება, - ღვთისმეტყველიც სამუდამოდ შემორჩა მას. ეს წოდება, სხვა მამებისაგან განსხვავებით, მხოლოდ მას და ერთ მოციქულს, - იოანეს აქვთ. მეუდაბნოე იერონიმემ, რომელსაც ანტიოქიაში უკვე დაასხეს მღვდლად ხელი, დედაქალაქში მოინახულა გრიგოლი, რათა წმიდა წერი-



ლი ამ დიადი მნათობის ხელმძღვანელობით ესწავლა ადგილობრივი წერილებში აღგვიწერს, თუ როგორ აღფრთოვანდებოდა ხოლმე ხალხი ღვთისმეტყველის ყოველი ქადაგებისას.

მაგრამ სულიერ სიმშვიდეს მძიმე ნაღველიც მოჰყვა, – მთელი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში სადარდებელი სულ თან სდევდა. იგი გულით უბრალო და მიმნდობი ადამიანი იყო და მოხდა ისე, რომ გველი გაზარდა უბეში მაშინ, როცა ფილოსოფოსი მაქსიმე დაიახლოვა. მაქსიმე მკაცრი ქრისტიანის ნიღაბს ირგებდა და მძიმე ვნებებსა და უმადურობას კი იმა-ლავედა სულის სიღრმეში. აფრთხილებდნენ გრიგოლს, მაგრამ ამას გამოდგა გაფრთხილება. სანამ ცხოვრებამ აშკარა მტერი არ გამოავლინა, ამ ცრუმეგობრის გულწრფელობაში არ შეეძლო ეჭვის შეტანა. მაქსიმემ თავისკენ პეტრე ალექსანდრიელი და რამდენიმე ეპისკოპოსი გადაიბირა ეგვიპტისა, საიდანაც იყო წარმოშობით და დედაქალაქის ეპისკოპოსად თავისი არჩევის საჭიროებაში დაარწმუნა ისინი, – მიზეზად ის მოჰყავდა, რომ თითქოს გრიგოლი არ იყო კანონიერი მწყემსი, რადგან თავისი მცირე ეპარქია საზიმში ებარა. მისმა ასეთმა სულმდაბლურმა საქციელმა ყველა სასულიერო და კონსტანტინეპოლის მთელი ხალხი გააღიზიანა. მაქსიმე დედაქალაქიდან გააძევეს და ამის შემდეგ თესალონიკში – თეოდოსის, ხოლო ალექსანდრიაში – პეტრეს ამაოდ მიმართავდა. მისი ხვედრი საყოველთაო სიძულვილი გახდა. გრიგოლს უნდოდა, დაეტოვებინა სამწყსო, რათა თავის საყვარელ მარტოობას დაბრუნებოდა, მაგრამ ხალხის საყვედურით სავსე ძახილმა, რომ წმიდა სამებასაც ატოვებინებს იქაურობას, იძულებული გახადა, დარჩენილიყო კათედრაზე. მართლმორწმუნეებთან დიდი ხნის კამათის შემდეგ იძულებული შეიქმნა, სიტყვა მიეცა მათთვის, რომ ეპისკოპოსების მოსვლამდე დარჩებოდა დედაქალაქში.

იმპერატორ თეოდოსის მისვლამ კი საბოლოოდ დატოვა იგი. იმპერატორი, რომელიც წმიდა დოგმატებით იყო აღზრდილი, დასავლეთიდან თესალონიკში რომ ჩავიდა, უეცრად ავად გახდა და მართლმადიდებელი ეპისკოპოსის, – ასკოლის



ხელთაგან ნათლობა მიიღო; ეპისკოპოსმა უფრო განამტკიცა რწმენაში. იმპერატორმა იქ სამი კეისრის სახელით ბრძანება გამოაქვეყნა, მასში სამი ჰიპოსტასის შესახებ სწორი სწავლება გადმოსცა და ყველა მართლმორწმუნეს უბრძანა, საყოველთაო ეკლესიასთან ერთად მოციქულთა წმიდა სწავლებას დაფუძნებოდნენ და მწვალებლებს კი იმ სასჯელს პირდებოდა, რასაც იმსახურებდნენ. როცა დედაქალაქში მივიდა, უპირველესი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ, არიანელ ეპისკოპოსს, – დემოფილეს ნიკეის მრწამსი შესთავაზა და შემდეგ კი, გაჯიუტებულს, უბრძანა, ალექსანდრიიდან გამოძევებულ ლუკასთან ერთად დედაქალაქი დაეტოვებინა, გრიგოლი კი განსაკუთრებული პატივით მიიღო. იმპერატორმა თავად მიაცილა იგი საკრებულო ტაძარში, რათა დაედგინა მღვდელმთავრის კათედრაზე, რომელიც არიანელებს ასე დიდხანს ეპყრათ ხელთ. ხალხის გახარებული შეძახილების ქვეშ – „გრიგოლი იყოს ეპისკოპოსი!“ – ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეიყვანა იგი ტაძარში. მორჩილი მწყემსი იძულებული გახდა, ცოტა დაეოკებინა თავისი სამწყსოს ეს მოშურნეობა; ჯერ არ უნდოდა კათედრაზე ასვლა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, ხალხის სურვილისათვის დაეთმო. თავისი ცხოვრების ეს ბრწყინვალე დღე იმითი დაამშვენა, რომ ერთ ახალგაზრდას, რომელიც მის ფერხთითი დაემხო და ცრემლებით აღიარა, რომ მოკვლას უპირებდა, შეუნდო. მოხუცმა თავმდაბლურად წამოაყენა მკვლელი, ოღონდ სთხოვა, ამიერიდან არ დავიწყებოდა ღმერთი. ასეთივე დიდსულოვნება გამოიჩინა არიანელთა მიმართ, რომელთაც სამრევლო ტაძრის ქონება დაიტაცეს, გასამართლება მათსავე სინდისს მიანდო. მიუღებლად მიიჩნია, რომ შემოსავლის საქმეებზე სამოქალაქო სასამართლოსათვის მიემართა. და ასე ამგვარად, თავმდაბლობით შეარცხვინა უღირსობა და კეისრისა და ხალხის სიყვარული დაიმსახურა. გრიგოლის ცხოვრებაში ეს ყველაზე უფრო ბრწყინვალე, და, ამავდროულად, – მძიმე პერიოდი იყო, რაც მეგობრისადმი მიწერილი მისი ბასილი ერთი წერილიდანაც ჩანს:



„შენ მეკითხები, როგორი მდგომარეობაა ჩემს ირგვლივ? – წერდა იგი, – „ძალიან მძიმე! აღარ მყავს ჩემი ბასილი, აღარც კესარიუსი, – ჩემი სულიერი და ხორციელი ძმა. ახლა შეიძლება დავითთან ერთად ვთქვა: დედამან ჩემმან და მამამან ჩემმან დამაგდეს მე¹³⁰; სხეული დამიუძღურდა და სიბერე თავს დამდგომია, საზრუნავი კი ბევრია, საქმეები – მოუნესრიგებელი; მეგობრები ერთგულნი არ არიან, ეკლესია უმწყემსოდ არის; ყველაფერი კარგი უკან დარჩა და სიავე წამოგვეწია; ღამით მივცურავთ, გზის მაჩვენებელი შუქურა კი აღარ ჩანს, ქრისტეს სძინავს¹³¹. როგორი მოთმინებაა საჭირო! მხოლოდ სიკვდილს ძალუძს, ამაცილოს უბედურებები; ამქვეყნად ტანჯვათათვის ვარ განწირული, მომავალში უნდა მეშინოდეს მათი“.

ქრისტეს შობიდან 381-ე წელი

იმპერატორ თეოდოსის იმაზე მხურვალედ არაფერი სწადა, როგორც აღმოსავლეთის ეკლესიებში მშვიდობის დამყარება იყო. არიანელ მწყემსთა გაძევება საკმარის შედეგს არ იძლეოდა, საჭირო იყო, ანტიოქიის მართლმადიდებლები გაეერთიანებინათ, დასავლელები აღმოსავლელებთან მოერიგებინათ, – იმიტომ, რომ იქ ერთნი პავლინს, მეორენი კი –

¹³⁰ ფსალ. 26: 10;

¹³¹ მინიშნებაა ფსალმუნის სიტყვებზე, – „განიღვიძე, რად გძინავს უფალო“? (ფსალ. 43: 23); იხ. აგრეთვე, – „განიღვიძე, დიდებო ჩემო“ (ფსალ. 56: 80); „განიღვიძე შემთხუვევად ჩემდა და ვრბიოდე“, ფსალ. – 58, 5; 58, 6); „და აჰა ესერა აღძვრა იყო დიდი ზღუასა შინა, ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ღელვათაგან. ხოლო თავადასა ეძინა. და მოუჭდეს მას მონაფენი მისნი და აღადგინეს და ეტყოდეს: უფალო, წარვწყმდებით. და თავადმან ჰრქუა მათ: რასა შეშინდით, მცირედ-მორწმუნენო? მაშინ აღდგა და შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა. და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ“ (მათ. 8: 24-26); გრიგოლ ღვთისმეტყველი ფსალმუნების სიტყვებსა და მათე მოციქულის სახარებაზე მინიშნებით მწყემსის გარეშე დარჩენის შემდეგ სამწყსოში ქრისტიანული სულიერების შესუსტების გამო გამოწვეულ განსაცდელზე ლაპარაკობს;



მელეტის სცნობდნენ; საჭირო იყო, რომ დედაქალაქში კანონიერი მწყემსი დაედგინათ. მან აღმოსავლეთის ყველა კოპოსი მიიწვია სამეფო ქალაქში, – რიცხვით ასორმოცდაათი, და ეს შეკრება გამოტანილ გადანყვეტილებათა მნიშვნელობისა და იმის გამო, რომ მისი კანონები მთელმა დასავლეთმა ერთსულოვნად მილო, მსოფლიო კრებად იქნა ცნობილი. ორ მღვდელთან, – ფლაბიანესა და ელპიდისტან ერთად ანტიოქიიდან ღვთისმოსავი მოხუცი, – მელეტი წარემართა, რათა თავის წამებულ ცხოვრებაში ეს უკანასკნელი საქმეც აღესრულებინა. და მშვიდ აღსასრულამდე თავმჯდომარეობდა იგი კრებას, – ახლოვდებოდა ჟამი, როცა მისი მოსიყვარულე მთელი ეკლესიის წინაშე უნდა ჩამქრალიყო ეს დიადი მნათობი. განსაკუთრებული პატივით მიიღო ეს მოხუცი თეოდოსიმ, რომელმაც მეფედ არჩევამდე რამდენიმე დღით ადრე სიზმარში ნახა მღვდელმთავარი, – თითქოს სამეფო გვირგვინს ადგამდა იგი. კეისარმა თავის დარბაზში შესვლისთანავე იცნო მისი კეთილშობილი სახე. აღმსარებლები: წმიდა კირილე იერუსალიმელი და გელასი კესარიელი, მისი ძმისშვილი დიოდორე ტარსელი, პელაგი ლაოდიკიელი, ევლოგი ედესელი, რომელიც თავის კათედრაზე ახალი დაბრუნებული იყო, ბასილი დიდის მემკვიდრე ელადისტან, მის ძმებთან, – გრიგოლ ნოსელთან და პეტრე სებასტიელთან, მის მეგობარ ამფილოქე იკონიელთან და ევსევის მემკვიდრე – ანტიოქე სამოსატელთან ერთად ასევე წარდგნენ კრებაზე. მსოფლიო კრებაზე ახლობლებისა და მეგობრების სახეში სულიერად დიდი მღვდელმთავარი ბასილი წარმოჩნდა, იგი განსაკუთრებით გრიგოლ ღვთისმეტყველის სახეში წარმოჩნდა, სწორედ ამის შესახებ გალობს ეკლესია: „ერთი სული ორ სხეულში იქმნა განუყოფლად ხორცუმესხმული, გრიგოლში არის ბასილი და ბასილიში არის გრიგოლი, ღვთაებრივი სურვილით არიან გაერთიანებულნი“.

იმპერატორმა ნახევრადარიახელი ეპისკოპოსები და მაკედონის მიმდევრებიც მიიწვია. მათ ელევზი კიზიკელმა უნი-



ნამძღვრა, რათა ეკლესიასთან შეერივებინა. მაგრამ მისი წყალობა და ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ მტკიცედ განდგნენ განზე. მაშინ ეკლესიის მამებმა კავშირი განწყვიტეს მათთან და კიდევ ერთხელ აღიარეს ნიკეის მრწამსი, რომელსაც მამის, ძისა და სულიწმიდის ღმერთობის შესახებ კიდევ რამდენიმე წინადადება დაუმატეს, რათა ურწმუნოები ემხილებინათ. მამისაგან სულის გამოსვლისა და ძესთან ერთად მისი დიდების, ეკლესიის ერთიანობისა და აღდგომის იმედის შესახებ მათ საკუთრივ სახარების სიტყვები გამოიყენეს. ასეთი სახით დღემდე შეუცვლელად შემონახა ეკლესიამ ნიკეა-კონსტანტინეპოლის მრწამსი, რომლისათვის ერთი სიტყვის მოკლების ან დამატების უფლება არ მოუცია მესამე მსოფლიო კრებას, რათა სრულად ყოფილიყო დაცული სარწმუნოების წმიდა დოგმატები:

„მნამს ერთი მამა ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდმობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხორებისათვის გარდამოხდა ცათაგან, და ხორციანი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა. და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო და დაეფლა. და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა. და ამალდა ცათამდე, და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა. და კუალად მომავალ-არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ. და სულიწმიდა უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იციებების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ. ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა. მოველი აღდგო-



მასა მკუდრებით. და ცხორებასა მერმისა მის საუკუნესა, ამინ¹³².

კრების ერთ-ერთი პირველი საქმე მაქსიმე ცინიკოსის გადაყენება იყო, მას კონსტანტინეპოლის ტახტი ჰქონდა მიტაცებული. მაქსიმეს ადგილას, მიუხედავად იმისა, რომ, ამ სამღვდელმთავრო ხარისხს ცრემლითა და მოთქმით უარობდა, გრიგოლი დაამტკიცეს. მელეტის რჩევითა და კეისრის მტკიცებებით, ყველა ეპისკოპოსმა საზეიმოდ აიყვანა იგი კათედრაზე. და ეს იყო უკანასკნელი ღვანლი მელეტისა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი საყოველთაო ტირილის ქვეშ ბაგეთაგან მშვიდობისაკენ მომწოდებელი სიტყვების ამოთქმით გარდაიცვალა. წესი მოციქულთა ტაძარში აუგეს. ენამჭევრმა მოღვაწეებმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვეს. ჩვენ მხოლოდ გრიგოლ ნოსელისა შემოგვჩა. წმიდა კაცის სხეული მისი მშობლიური ანტიოქიის მიწას მიაბარეს. ანტიოქიას იგი ოცი წლის განმავლობაში შეუწყვეტელ დევნაში მწყემსავდა. ტაძარში მისი ადგილი გრიგოლ ღვთისმეტყველმა დაიკავა. იგი თავმჯდომარე იმიტომ გახდა, რომ მისი სამწყემსმთავრო კათედრა იყო ყველაზე მაღალი. მაგრამ მაშინ კი მოხდა უთანხმოება, როცა საქმე იმას შეეხო, თუ ვინ უნდა გამხდარიყო მელეტის მემკვიდრე.

ამაოდ მოუწოდებდა ღვთისმეტყველი ყველას, რომ მემკვიდრედ მოხუცი პავლინი ელიარებიანთ, მრავალი წელი იყო გასული, რაც ანტიოქიის ეკლესიას, ერთი ხანობა, მელეტისთან ერთად, ხელმძღვანელობდა. თვითინ მელეტიმ შესთავაზა მას, რომ, ვინც მათ შორის ცოცხალი დარჩებოდა, ის გამხდარიყო კანონიერი მწყემსი. ამ გზით, დასავლეთი, რომელიც პავლინს უჭერდა მხარს, შეურიგდებოდა აღმოსავლეთს. „საჭიროა“, – ამბობდა იგი, – „რომ მხოლოდ ანტიოქიის ეკლესიაზე კი არა, არამედ, საყოველთაო ეკლესიაზე ვიზრუნოთ. ორ ეპისკოპოსს კი არა, ორ ანგელოზს რომ მოსვლოდა კამათი იმის შესახებ,

¹³² სარწმუნოების სიმბოლოს გადმოცემისას ვეყრდნობით თანამედროვე ქართულ ტექსტს, რომელიც საქართველოს ეკლესიაშია მიღებული; ამასთან, ვითვალისწინებთ იმ ნიუანსებს, რომელებიც ანდრეი მურავიოვისეულ ტექსტშია დაცული;



თუ ვის უნდა ემართა მართლმადიდებელი სამწყსო, ქვეყნიურება მათ გამოც არ უნდა დაცალკევდეს. ღმერთმა თავად მოგვამადლა მშვიდობის საშუალება. ზოგჯერ უკეთესია, თუ დავთმობთ. მივცეთ პავლინის საშუალება, რომ თავის კათედრაზე მშვიდად გალიოს დღენი. თუ გგონიათ, რომ პირადი მდგომარეობიდან გამომდინარე სურვილები მალაპარაკებს ასე, მაშ, იცოდეთ, – ერთადერთი წყალობა, რასაც გთხოვთ, ეს არის, – ნება მიბოძეთ, დავტოვო ტახტი, რომ დარჩენილი დღენი პავლინისა და საშიშროებების გარეშე გავატარო“.

მაგრამ უმცროსი ეპისკოპოსები გრიგოლის აზრს წინ აღუდგნენ და უხუცესებიც აიყოლიეს, – არ უნდოდათ, დასავლელთა და ფლაბიანესაგან მიეღოთ კანონები. ეპისკოპოსთა კრებულმა ყველა სიკეთით სავსე, – ანტიოქელი მღვდელი აირჩია. ამ კრებულში არ იყო გრიგოლი, რომელიც სხდომებს აღარ ესწრებოდა და ღმრთის შესამეცნებელი ფიქრებისათვის სულ უფრო მეტად მარტოვდებოდა ხოლმე სენაკში. ფიზიკური ძალაც აღარ მოსდევდა. ბევრი მოსაგრეობისაგან სხეული დაუძღურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამწყსო ცრემლით ევედრებოდა, ერთთავად სრულ განმარტოებაზელა ფიქრობდა. როცა ეგვიპტიდან პეტრეს ძმისა და მემკვიდრის, – ტიმოთე ალექსანდრიელის მეთაურობით ეპისკოპოსები ჩავიდნენ, როცა მათ ასკოლი თესალონიკელის ხელმძღვანელობით მაკედონელი ეპისკოპოსებიც დაემატნენ, მაშინ გრიგოლი თავისი გადანყვეტილების სისწორეში საბოლოოდ დარწმუნდა, – ამ ეპისკოპოსებმა უმართებულოდ მიიჩნიეს, რომ გრიგოლი, რომელსაც საზიმსა და ნაზიანზინში თავისი საკუთარი კათედრა ჰქონდა, დედაქალაქის ეპისკოპოსად იქნა არჩეული. როგორც კი შეიტყო, რომ ამგვარი რამ წამოაძახეს, გრიგოლი სიხარულით წარდგა კრებაზე. „მსურს, რომ ეკლესიაში სიმშვიდის დამყარებას შევუწყო ხელი“, – თქვა მღვდელმთავარმა, – „თუ ჩემს გამოა ამტყდარი ლელვა,¹³³ მაშ, იონა ვიქნები;

¹³³ გამოძახილია ძველ აღთქმაზე, რომლის თანახმად, ზღვის ლელვაში დამნაშავედ იონა მიიჩნიეს, – იხ. წინასწარმეტყველება იონასი, 1; 2: 1-11;



ადექით და გადამაგდეთ ზღვაში, რათა ქარიშხალი ჩადგეს თუმც, მე არ ამომიგდია ეგ ქარიშხალი. თუ სხვებიც მტყუნავენ, მაშინ ეკლესიაში ყოველგვარი შფოთი ჩაცხრება. მე უკვე საკმაოდ დამღალა წლებმა და სნეულებებმა და შემიძლია სიმშვიდეს ვესწრაფო; ვუსურვებ ჩემს მემკვიდრეს, რომ ასეთივე მოშურნეობით დაეცვას სარწმუნოება“.

ეპისკოპოსებმა მისი გადადგომა მიიღეს და მათი კრებულიდან სიხარულით გავიდა გრიგოლი, თითქოს ტვირთის სიმძიმისაგან გათავისუფლებულაო, მხოლოდ იმას ნუხდა, რომ სამწყსოს შორდებოდა. იგი იმპერატორისკენ გაეშურა. „ერთადერთ წყალობასა გთხოვ, ხელმწიფეო“, – ეუბნებოდა გრიგოლი, – „არცა ოქროს ან საჭურჭლეს ეკლესიისთვის, არც ჩემს ახლობელთა პატივს, არა, – უფრო მეტს, – ნება მომეცი, შურს ავერიდო, ქვეყანამ მომიძულა იმიტომ, რომ მე არ ვუყურებ ადამიანურ სახეს იქ, სადაც საქმე ღმერთს ეხება¹³⁴. განა შენ არ იყავი, ჩემი სურვილის წინააღმდეგ რომ დამადგინე ამ კათედრაზე? მაშ, ახლა გამიშვი!“ აღელვებულმა კეისარმა გაუშვა იგი. ზოგიერთ ეპისკოპოსს გულის სიღრმეში შურდა გრიგოლისა და მისი მამხილებელი სიტყვისაც ეშინოდა; სხვები კი იმის გამო დათანხმდნენ, რომ ხედავდნენ, სხეულებრივად როგორი დაძლურებული იყო და იმისთვის ზრუნავდნენ, რომ მისი გადადგომით საერთო თანხმობის დამყარებას შეწყობოდა ხელი. მაგრამ მრავალმა ტირილით დატოვა კრება, რათა არ ენახა მძიმე სანახაობა, როცა დიდი მნათობი წავიდოდა მათგან. ერთხელ კიდევ გამოჩნდა იგი კრებაზე, მეფისა და კრების თანდასწრებით გამოეთხოვა სამწყსოს, მისმა სიტყვამ დიდი სინანული აღძრა მრავალთა გულში:

„ირწმუნა ბოლოს და ბოლოს თქვენმა გულმა?“ – წამოიძახა ენამტყვერმა მოხუცმა და წასვლის მრავალი მიზეზი დაასახელა, – „გავიმარჯვე თუ კიდევ უფრო მეტია საჭირო, რომ თავი ვიმართლო? გემუდარებით სახელით წმიდა სამებისა,

¹³⁴ გრიგოლ ღვთისმეტყველი სახარების შემდეგ სიტყვებზე აკეთებს მინიშნებას, – „უკეთუ სოფელი გძულობს თქვენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა“, – იოან. 15: 18;



რომელსაც ვევედრებით ხოლმე მეც და თქვენც, საერთო ნუგეშისმცემლის სახელით გევედრებით, ერთადერთ თხოვნაზე ნუ მეტყვით უარს: დათანხმდით ჩემს წასვლას, ეს იქნება ჩემი მოსაგრეობის საზღაური; მეც ისევე მომეცით დათხოვნის ბარათი, როგორც კეისრები აძლევენ ხოლმე ჯარისკაცებს მათი მრავალწლიანი სამსახურის შემდეგ; თუ დავიმსახურე, კეთილი დახასიათებით გამიშვით და ღირსებას ნუ ამყრით; თუ არა და, რაც გენებოთ, იგი ჰქმენით; ამის გამო სამსჯავროზე არ წაგიყვანთ, ჩვენს საქმეებს ღმერთი ხედავს; ოღონდ, კარგად იფიქრეთ იმაზე, თუ ვის ირჩევთ მწყემსად: უფალი ხედავს ცხოვართა მწყემსს, როგორც ოდესღაც ყოვლადდასანვეელი მსხვერპლი დაინახა! ერთს გთხოვთ, ისეთ ვინმეს კი ნუ აირჩევთ, ვინც პარადად გიყვართ, არამედ, ვინმე ისეთი აირჩიეთ, ვინც, იქნებ, გძულთ კიდეც, მაგრამ იცით, რომ ყველასათვის ყველაფერს გაიღებს და მაღალი მიზნისათვის ზოგჯერ განყენინებთ კიდეც; აქ რომ ერთია სასიამოვნო, იცოდეთ, სხვაგან სულ სხვა რამ არის სასარგებლო. ჩაუფიქრდით ჩემს უკანასკნელ სიტყვას და მიიღეთ ჩემგან მშვიდობის სურვილი.

მაპატიე, აღდგომის პატარა ტაძარო, ასე გინოდეს ღვთისმოსავმა ადამიანებმა, – იმიტომ, რომ შენში აღდგა აქამდე მოძულებული მართლმადიდებლური სწავლება! მაპატიე ძღვევის სარბიელო, ახალო სილოამო, რომელშიც ისევ აღიმართა მათი კარავი, ვინაც ორმოცი წელი დაეხეტებოდნენ უდაბნოში. შენც მაპატიე სამრევლო და და განთქმულო ტაძარო, – მემკვიდრეობავ ჩვენო, ახალო, ვინაც ღმერთის სიტყვისაგან მიიღე დიდება და ჩვენს მიერ ევსეველთა საცხოვრისიდან იერუსალიმად გადაიქეცი; თქვენც შემინდეთ დიდებულო ტაძრებო, ქალაქის სხვა მხარეებში რომ უფლობთ და თითქოს ერთმანეთზე გადაგიბამთ ეს მხარეები; ჩვენმა უძღურებამ კი არა, არამედ, ჩვენთან, – სასონარკვეთილებთან მყოფმა მაღლმა აღგავსოთ ლოცვით; მაპატიე, მოციქულთა საოცარო სავანევ, მოციქულები მასწავლიდნენ მოსაგრეობას! თუ ბევრჯელ ვერ მო-



ვასნარი, რომ მეზეიმა მათი ხსენება, - მხოლოდ იმიტომ, რომ, ისევე, როგორც ოდესღაც პავლეს, მეც, ჩემდა სასარგებლოდ, სატანის ანგელოზს ვატარებდი სხეულით და ამის გამოა, რომ სნეული განვალ აქედან. მაპატიე, ჩემო საყდარო, საშიშო სიმალღევ, რომლისაც ასე შურთ! მწყემსმთავრებისა და მწყემსების, წარჩინებულებისა და დროებისაგან პატივდებულთა კრებულო, მაპატიე ყველა სხვა ჩინოსანო, რომლებიც ღმერთს წმიდა ტრაპეზის წინაშე ემსახურებით, ისინი მას მიეახლებიან, ვინც იახლოვებს; მაპატიეთ ნაზარეველთა შესახედაობისანო, ფსალმუნთგალობის სიტკბოებავ, ღამისთევის ლოცვებო, დედათა უბინოებავ, ქვრივთა და ობოლთა კრებულო, ღვთისაკენ და ჩვენსკენ უპოვართა მიერ შემომართულო მზერავ! მწირთა თავშესაფარო, სადაც უძღურებისას მეც შემიფარებია თავი; მაპატიეთ ჩემს სიტყვათა მოსმენის მოყვარულებო, რომელნიც ყოველი მხარიდან მოემართებოდით ხოლმე, ყველასაგან სახილველო და უხილავო სწაფმწერნო¹³⁵, შენც მაპატიე, ტაძრის კარიბჭევ, რამდენჯერ შეძრულხარ სიტყვის მსმენელთა შემოჯარვისგან; მაპატიეთ მეფენო და დარბაზნო მეფისა, პალატების ყველა დიდებულო და სახლეულნო, არ ვიცი, - მეფის ერთგულნი იყავით თუ არა, მაგრამ ღმერთის ერთგული უმეტესი თქვენგანი არა ყოფილა; ტაშით შეეგებეთ, თქვენი მშვენიერი ხმით შეჰლაღადეთ, აღამაღლეთ თქვენი ახალი რიტორი; ეს ბოროტი და მრავლისმეტყველი ენა კი დუმდება თქვენთვის; მაგრამ მთლიანად არ დადუმდება; ხელითა და მელნით ისევ ვიბრძოლებ, თუმც, ან ვდუმდები. მაპატიე, დიადო ქალაქო, ჭეშმარიტად ქრისტესმოყვარეო, თუმც, ყოველთვის გონიერი არა ყოფილა ღმრთივმოშურნეობა შენი! განშორება უფრო შემწყნარებელთ გაგვხდის ხოლმე; მიმართეთ ჭეშმარიტებას, - გვიან, მაგრამ, მაინც, მოიქეცით მისკენ; უფრო მეტად ადიდეთ ღმერთი, ვიდრე ამას ახლა ხარო ჩვეულნი; სამარცხვინო არ იქნება, თუ კეთილად შეიცვლით გულისთქმებს, ბოროტებაში ჯიუტად

¹³⁵ იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც მქადაგებლის მიერ ზეპირად წარმოთქმულ ქადაგებებს ინერდნენ ხოლმე;

დარჩენაა დამღუპველი. მაპატიე აღმოსავლეთო დღესასწაულეთო, რომელთათვისაც ამდენი ვიბრძოლე და რომლებიც ამდენს მებრძოდნენ; ჩვენი შერიგება ღმერთს ძალუძს, ღმერთი, იქნება მოწმე და ვნახავთ, თუ ბევრი მოიძებნება ნასვლაში ჩემი მომბაძველი?! მაგრამ ტახტიდან ჩამოსულნი ღმერთს არ წყდებიან, არა, ისინი მთასა ზედა აღმართულ ტახტზე ადიან, რომელიც ქვეყნიურ ტახტზე მაღლა დგას და სახიფათოც არ არის. და ბოლოს, მაპატიეთ ანგელოზებო, – ამ ეკლესიისა და ჩემი აქ ყოფნისას და აქედან ნასვლისას მფარველნო; თქვენ გვფარავთ, ოლონდ, ჩვენს საქმეებს ღმრთის ხელი წარმართავს! ო, მაპატიე, სამებავ, რომ ვასწავლიდი და ვაქებდი! გვედრები, – დაიცვას შენი ერთგულება და დაიცავი ხალხი ესე! ჩემია იგი, თუმცა, ვშორდებით ერთურთს; დაე, გავიგო, რომ ჩემი სანყსო მაღლდება და შეერთდა სიჭყით და საქმით. ჩემო შვილებო, შეინახეთ ჩემი მონაბარები, გახსოვდეთ ჩემი ბოროტად გვემა. ჩვენი უფლის, – იესო ქრისტეს კურთხევა იყოს ყოველ თქვენთაგანზე, ამინ“.

გრიგოლის გადადგომის შემდეგ იმპერატორმა ეპისკოპოსები მიიწვია, რათა ღირსეული მემკვიდრის ასარჩევად ეზრუნათ. ამა არჩევანმა არცთუ ცოტა კამათი გამოიწვია. მოხდა ისე, რომ დედაქალაქში ერთი მოხუცი, სახელად ნექტარიუსი, – კილიკიის ქალაქ ტარსის პრეტორი, წლებითა და გარეგნობით დამშვენებული, კეთილმსახურებათა გამო პატივდებული, ოლონდ, ჯერ ნათელღებული არ იყო. როცა სამშობლოში ბრუნდებოდა, მან თავისი ეპისკოპოსი დიოდორე მოინახულა. სწორედ იმ წუთებში ფიქრობდა დიოდორე, თუ ვინ უნდა გამხდარიყო დედაქალაქის ეპისკოპოსი. უეცრად ერთმა აზრმა გაუნათა გონება, – ეპისკოპოსად ნექტარიუსი აერჩიათ და ასარჩევთა სიის ბოლოში მისი სახელი მიაწერა, სიას კრებისაგან იმპერატორი ითხოვდა. თეოდოსის თავისდაუნებურად გაექცა ყურადღება უცნობ სახელზე, ეს ღვთის მინიმნებად მიიჩნია და დედაქალაქის ეპისკოპოსად იგი ირჩია. გაოგნდნენ ეპისკოპოსები და კითხულობდნენ, თუ ვინ არის ნექტარიუსი.

ბევრი უხსნიდა იმპერატორს, რომ იგი ქრისტიანის სახელსაც კი არ ატარებდა. მაგრამ თეოდოსი ჯიუტობდა. მისი ნებითა და თანხმობით ხალხისა, რომელიც მწყემსს ითხოვდა, მოხუცი ნექტარიუსი საკათედრო ტაძარში მონათლეს და ჯერაც ახალ-მონათლულის თეთრი სამოსით მოსილი ეპისკოპოსად გამო-აცხადეს და მალე, - რამდენიმე დღის შემდეგ ხელი დაასხეს. თუმც, მელეტისა და გრიგოლის შემდეგ დასაწყისში იგი კი არ უძღვებოდა კრებას, არამედ, - ტიმოთე ალექსანდრიელი. თავად დიდი ღვთისმეტყველიც არ გაუბრბოდა კრებას, - მართლმადიდებლობას განმტკიცება სჭირდებოდა.

კრების მამები გამოწვლილვით არჩევდნენ იმ დროის მწვა-ლებელთა ცდომებს და დაადგინეს, რომ ეკლესიის წიაღში დასაბრუნებლად ზოგი მათგანისათვის მხოლოდ წმიდა მირონ-ცხება იყო საკმარისი, - იმიტომ, რომ ისინი წმიდა სამების სახელით იყვნენ ნათელლებულნი, - ეს შეეხებოდა, სახელ-დობრ, არიანელებს, მაკედონიანებს, აპოლინარიელებს, ნოვა-ტიანელებს ანუ წმიდებს, მათაც, ვინც აღდგომას მსოფლიო კრებათა წესდების მიხედვით არ აღნიშნავდნენ. ევნომის, მონ-ტანის მიმდევრებისა და იმ სხვებისათვის, რომლებიც ერთხელ შთაფლვით იყვნენ ნათელლებულნი, როგორც წარმართათ-ვის, მეორედ მონათლვა დადგინდა. მსოფლიო კრების სხვა წესებით ეპისკოპოსთა უფლებებია განსაზღვრული და დად-გენილი. სულ შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრებაა ცნობილი. მკაცრად აიკრძალა, რომ მათზე საეკლესიო საქმეებთან და-კავშირებული შესმენანი ისეთ კაცთაგან მიეღოთ, რომლებიც ნდობას არ იმსახურებდნენ. შესმენათა მიღება ეკლესიიდან განკვეთილების, მწვალებელთაგან, განკანონებულ სასული-ერო ან საერო პირთაგან ასევე იკრძალებოდა, გამონაკლისი მხოლოდ მძიმე დანაშაულთან და პირად წყენასთან დაკავ-შირებული საჩივრები იყო. ერთ საეპისკოპოსოში ეპისკოპო-სის ადგილობრივ სასამართლოს, შემდეგ მთელ საეკლესიო ოლქს, შემდეგ საეკლესიო კრებას თანდათან და საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა საკითხი, - ისე, რომ სრულიად აღარ იყო



საჭირო რომის ჩარევა, როგორც ეს დასავლეთში სარდლიკის ადგილობრივმა კრებამ დაადგინა; პირიქით, – საოლქო ეპისკოპოსებს, ანუ – ეგზარხებს, ე. ი. დიდ ეკლესიათა მმართველებს, რომელთა დაქვემდებარებაში მრავალი ეპისკოპოსი იყო, თავისი ოლქის გარეთ მდებარე ეკლესიაზე საკუთარი უფლების გავრცელება კანონებით აეკრძალა. ასე ამრიგად, წესების მიხედვით, ალექსანდრიის ეპისკოპოსს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიები უნდა ემართა; აღმოსავლეთის მთავარეპისკოპოსებს მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთის ეკლესიების მართვის უფლება ჰქონდათ, – ოღონდ, მათ შორის, უპირატესობა ანტიოქიის ეკლესიას ენიჭებოდა; ასევე საკუთარ საზღვრებში იყვნენ მოქცეულნი აზიის ოლქის, ე. ი. ეფესოს, პონტოს, ე. ი. კესარიისა და ფრაკიის, ე. ი. კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსები, ისინი არავის დაქვემდებარებაში არ შედიოდნენ. მღვდელმთავრის უპირატესობა, ერთადერთი, მხოლოდ კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს მიეცა, რადგან მისი ქალაქი არის ახალი რომი. ამ შესანიშნავი კანონის სიტყვათა უშუალოდ გაცნობა ცხადად წარმოგვიჩვენს, თუ რას ნიშნავდა პირველ საუკუნეებში საყოველთაო ეკლესიისათვის რომის კათედრის პირველობა, რაც ძველი დედაქალაქის პირველობას ეფუძნებოდა; მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც შეუცვლელად შემოინახა სიმბოლო და საყოველთაოდ აღიარებული იმ მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები, თავისი იერარქიის მყარ საფუძვლად დღემდე მათ აღიარებს.

ირგვლივ დაგზავნილი ეპისტოლეებით, რომლებშიც სიმბოლო და შვიდი კანონი იყო გადმოცემული, კრების მამებს რომის იმპერატორისათვის არ მიუმართავთ, – მიაჩნდათ, რომ კრებაზე დამტკიცება საკმარისი იყო. ეპისტოლეები იმპერატორ თეოდოსის გაუგზავნეს, რათა მას იმპერიაში გაეგრძელებინა ისინი. იმპერატორმა მათთან შეთანხმებით ბრძანა, რომ მართლმორწმუნეთათვის წართმეული ეკლესიები დაებრუნებინათ და მართლმადიდებლებად ეცნოთ ისინი, ვინც ფრაკიაში ნექტარიუს კონსტანტინეპოლელთან, ეგვიპტეში ტიმოთე



ალექსანდრიელთან, პელაგისტან, აღმოსავლეთში – კირილესთან და თეოდორესთან, ელადი კესარიელთან, პონტოსა და აზიაში – გრიგოლ და ამფილოქესთან და, ბოლოს, სკითიისა და მიზიის ეპისკოპოსებთან იქნებოდა დაკავშირებული; არიანელთა და სულისმბრძოლთაგან აღმოსავლეთის ყველა ოლქი მთლიანად უნდა გათავისუფლებულიყო. ამავდროულად, ევნომიელთა და მანიქეველთა წინააღმდეგ გამოსცა სხვა მკაცრი კანონები; პატივი მიაგო აღმსარებელ პავლეს, დედაქალაქის ეპისკოპოსს, რომელიც კონსტანცის დროს ევნო და ბრძანა, რომ მისი განუხრწნელი ნაწილები განდევნილობის შორეული ადგილიდან დედაქალაქში გადაესვენებინათ.

შესანიშნავია, რომ ანკირიის კრებამ, რომელიც ადგილობრივი მთავარეპისკოპოსის, – ვალერიანეს თავმჯდომარეობით გაიმართა და რომელმაც ორი უკანასკნელი არიანელი ეპისკოპოსი, – პალადი და სეკუნდიანი ამხილა, ირგვლივ დასაგზავნი სიგელებით პაპ დამაზს კი არა, არამედ, – იმპერატორებს გრატიანესა და თეოდოსის მიმართა, რათა საეკლესიო მშვიდობის მისაღწევად მათ ეზრუნათ. ამა კრების სულისჩამდგმელმა, – ამბროსი დიდმა, ისევე, როგორც ოდესლაც ოსია კორდუბელმა, თეოდოსის ჰკითხა, თუ რა იყო მიზეზი, რომ ანტიოქიაში ფლავიანე, დედაქალაქში კი – ნექტარიუსი აირჩიეს მაშინ, როცა პავლინი და მაქსიმე ცოცხლები იყვნენ და, როცა დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, მთელ დასავლეთთან ერთად დაუკავშირდა ნექტარიუსს; თუმც, ფლავიანესგან მაინც შორს იდგა, – იმიტომ, რომ დასავლეთის ეპისკოპოსებთან, უკვე დიდი ხანი იყო, რაც, მოხუც პავლინს ჰქონდა კავშირი. პაპი დამაზი ამა საქმისათვის რომში ამაოდ უხმობდა აღმოსავლელთ; ისინი გზის სიშორისა და იმის გამო, რომ თავიანთ მხარეებში თვითონ მართავდნენ კრებებს, წასვლაზე უარს ამბობდნენ. თეოდოსი დიდმა, მოკლე დროში, იგივე ეპისკოპოსები ორჯელ ისევ მიიწვია კონსტანტინეპოლში, რათა დაემშვიდებინა ეკლესია და ბოლომდე ემხილებინა ევნომელები, რომლებიც მაშინ შერცხვნენ, როცა მათ ბელადებს, – ევნო-



მის, დემოფილსა და ელევზის სარწმუნოების მრწამსს ქართველნი აზე ხელის მოწერა მოსთხოვეს. მათი მთავარი მამხილებელი წმიდა გრიგოლ ნოსელი და ამფილოქე იკონიელი იყვნენ. ამ უკანასკნელმა თეოდოსი კიდევე უფრო მეტად განაწყო იმ მწვალებელთა წინააღმდეგ მოქმედებისთვის, რომლებიც ძე ღმერთისა და მამის თანასწორობას არ სცნობდნენ. ერთხელ დიდი პატივისცემით ეახლა იმპერატორს და განზრახ საჭირო პატივი არ მიაგო მის მცირეწლოვან ძეს, – არკადის, რომელიც ცოტა ხნის წინათ კეისრად გამოაცხადეს, – მხოლოდ ისე მიუაღერსა, როგორც ბავშვს; როცა გაბრაზებულმა იმპერატორმა ბრძანა, რომ მოხუცი შეურაცხყოფილი გაეძევებინათ დარბაზებიდან, ამფილოქემ მამაცურად ამხილა იგი: – „შენ იმის გამო მრისხანებ, რომ შენს ძეს, კეისარს, ისე არ სცემენ თაყვანს, როგორც შენ, მაგრამ იმას კი გულგრილად უცქერ ხოლმე, როცა შენს წინაშე ძე ღმერთს უგულვებელჰყოფენ და არ ეთაყვანებიან როგორც მამის თანაარსს“.

გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი სიყვარულითა და პატივისცემით აღსავსე იმპერატორმა ორჯელ მიიწვია იგი კრებაზე. მაგრამ წლებითა და მიყენებული ტკივილებით დაუძღურებული მოხუცი უარობდა, თუმცა, თავისი მარტოული სამყოფელის სიღრმიდან წერილების წერით მართალი სარწმუნოების დაცვას არ წყვეტდა. მან ჯერ თავისი მშობლიური ნაზიანზინის ეკლესია მოაწესრიგა, ღირსი ეპისკოპოსი, – ევლალი უბოძა მას, ევლალიოსს გადააბარა ყველა ის ტვირთი, რომლითაც აქამდე თვითონ იყო დამძიმებული; შემდეგ, როცა გზად კესარიასი გაიარა, ბასილის ხსოვნას მის საფლავზე წართქმული მჭერმეტყველური სიტყვით უკანასკნელი მეგობრული პატივი მიაგო და თავისი ცხოვრების საუკეთესო დღეთა მეგზურის წინაშე ამ ქვეყანაზე ისევ აღენტო მისი მგზნებარე სული. თავისი ეკლესიებისადმი ზრუნვის მიზეზით დახმარებაში ოდნავ შეყოვნებათა გამო ისე ებოდიშებოდა, როგორც – ცოცხალს; ნეტარ მეგობართან ასე დაასრულა სამარისპირა საუბარი:

„მოდით და გარს შემომერტყით ყველა, ვისაც ბასილის



გვერდით გხედავდნენ ხოლმე; საკურთხეველთა მსახურნი, მალაღონო და დაბაღონო, ჩვენს სიტყვებს ერთად ჩავატყვევოთ მისდამი ქება, ყველამ რომელიმე სათნოება გავისხენოთ მისი. ტახტზე მჯდომარენო, კანონშემოქმედი ეძებეთ მასში; უბრალო ხალხო, – ეძებეთ მასში კეთილ ნესებზე თქვენი დამადგინებელი; სიტყვის მკვლევარნო, – ეძებეთ მასში მასწავლებელი, ქალწულნო, – ზეციური სასიძოსაკენ მეგზური; დედანო, – კეთილგონიერების მოძღვარი; მეუდაბნოენო, – ღმერთისაკენ თქვენი ფრთოვანმქმნელი; სულით გლახაკნო, – ასეთივე გლახაკი გამკვლავი გზისა; მთაზე მყოფო მჭვრეტელნო, – უმაღლესი ღვთისმეტყველი; ბედნიერნო და უბედურნო, – იგი ეძებეთ მასში, ვისაც დამშვიდება და ნუგეში ძალუძს თქვენი; მოხუცებო, – საყრდენი; ყრმებო, – წინამძღვარი; უპოვარნო და ქვრივნო, – მფარველი; ობოლნო, ღარიბნო და მწირნო, – მამა და ყარობთმოყვარე; ნებისმიერი სნეულებისგან დაუძღურებულნო, – ექიმი; სხეულითა და სულით ჯანმრთელნო, – სიმრთელის დარაჯი. ყველასათვის ყველაფერი იყო იგი, მოციქულის დარად, რათა ყველა ან მრავალი მიეყვანა ღმერთთან! ეს მიიღე ჩვენგან ძღვნად, ბასილი, ჩვენი ენისგან, რაც გიყვარდა ოდესღაც, როცა ღირსი ვიყავ შენთან ყოფნისა. მაღლობა შენდა, რადგან შენზე მონდობილი ვქადაგებ! თუ ჩემი სიტყვა შენს ღირსებას შეეფერება, შენ გამაღობ ამისთვის! თუ დაგაკელი რაიმე, მაპატიე სიბერის, სნეულებების და შენდამი გულწრფელი სიყვარულის გამო დატანჯულს; მხოლოდ ის მაპატიე, რაც ძალგიძს, რაც ღმრთისთვის სათნოა. შენ, ო, ღვთაებრივო მთავარო! მაღლიდან გადმოგვხედე და ლოცვებით დათრგუნე ხორციელი სნეულებანი, რაც სასჯელად მომეცა, ან მასწავლე, როგორ გავეძლო მათ მოთმინებით, სიკეთისაკენ წარმიმართე ცხოვრება. როცა აღვესრულები, შენს საფარველქვეშ მიმიღე, რათა ერთად ვიცხოვროთ და შეუბურველი პირისახით ვუმზერდეთ წმიდა სამებას, რომლის მხოლოდ ანარეკლი გვინახავს აქ, სურვილები მანდ დაგვიკმაყოფილდება და აღსრულებული მოსაგრეობის გამო საზღაურსაც მივიღებთ. მიიღე ჩემგან ეს



საქებარი სიტყვა; მე, – აქედან შენს შემდეგ მომავალს ვინაა
შემაქებს? – თუნდ, სიტყვებზე უფრო ღირებული რამ დავ-
ტოვო ჩვენი უფლის, – იესო ქრისტესთვის. მისი არის დიდება
უკუნისამდე, ამინ!“

გრიგოლი მამისეულ სახლში დამკვიდრდა, ღრმა სიბერ-
ემდე მიაღწია. უფრო მეტი სულიერი ტკივილი თავის სიტყ-
ვაკაზმულ პოემაში გამოხატა; ბრწყინვალე ახალგაზრდობის
ყველა განუხორციელებელი ოცნებისა და იმ მიძიმე გამოც-
დილების შესახებ წერდა, რაც მრავალტანჯული ცხოვრების
ღელვამ ამ წარმავალი ნუთისოფლის გზაზე აგემა.

ამბროსი დიდის ღვანლი

როცა აღმოსავლეთში ეს ორი დიადი მნათობი ჩაქრა და მესამე ჯერაც არ გამოჩენილიყო, დასავლეთში მთელი ძალით გაიბრწყინა დასავლელთა დასში შესულმა ამბროსი დიდის სახელმა. დასავლეთს მხოლოდ მოძღვრად, მხოლოდ საეკლესიო კი არა, არამედ, – სამოქალაქო საქმეთა მომწესრიგებლად და კეისართა შემარიგებლად ებოძა იგი, კეისრები მისგან დაცვას საჭიროებდნენ. მის სულიერ სიბრძნესა და დარიგებას არიანელთა სენისაგან დასაცავად ახალგაზრდა იმპერატორი, – გრატიანი საჭიროებდა. გრატიანი მას თავის მამად იხსენიებდა. მაღლითმოსილმა მწყემსმა ხელმწიფე შვილს უფალი იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოების შესახებ ხუთი წიგნი დაუწერა. შემდეგ თავისი დის, – რომაელ მონაზონ მარკელასა და ღმერთისათვის თავშენირულ სხვა კეთილმსახურ ქალწულთა თხოვნით, უფლის მცნებათა მიხედვით ქალწულობისა და ქვრივობის შესახებ თავისი ხუთი ქადაგება შეკრიბა და ამქვეყნად მყოფი სხვადასხვა ხარისხის მქონე ყველა ქრისტიანის მოვალეობათა შესახებ წიგნი დაწერა. მალე ნაადრევად გარდაცვლილი კეთილშობილი გრატიანის დატირება მოუხდა, – გრატიანი ლიონში ამბოხებულმა მხედართმთავარმა მაქსიმემ მოკლა. სახელისუფლებო საქმეები ეკლესიის დიდ კაცს დააწვა მხრებზე, – მას უნდა დაეცვა ყრმა ვალენტინიანი, რომელსაც არიანელობაში განმტკიცებული დედა, – იუსტინა მეთვალყურეობდა. მაქსიმე კი ცდილობდა, რომ ტახტიდან ჩამოეგდო ვალენტინიანი. ამბროსიმ ძნელი მიზანი დაისახა, – გალიაში უნდა გამგზავრებულიყო და ტირანი მაქსიმე დაეწყნარებინა. ღმრთივმოშურნე კაცს ეს არ აშინებდა, – იმიტომ, რომ ობოლი ვალენტინიანის ჭეშმარიტ მამად მიიჩნევდა თავს. მაქსიმეს იგი ტრევერში წარუდგა, მთელი ზამთარი გაატარა მასთან, მაგრამ წმიდა საიდუმლოთა აღსრულებისას მაქსიმესთან, რო-

გორც თავისი კანონიერი მეფის, – გრატიანის მკვლელობის, არ ურთიერთობდა. მიუხედავად ამ შეურიგებლობისა, ვალენტინიანის მიმართ მაინც კეთილად განაწყო საქსიმიე.

ავაზაკი იყო საქსიმიე, მაგრამ მართლმადიდებლობის მიმართ დიდი მოშურნეობის გამოჩენა კი ეწადა. ამასაც ეკლესიის წესების დარღვევით აკეთებდა, – ისევე, როგორც უკანონოდ გამეფდა. მან სიკვდილი მიუსაჯა პრისცილიანეს, რომელიც მანიქველური მწვალებლობით იყო დაავადებული და ესპანეთსა და გალიის სამხრეთის მხარეებში მისით ბევრი დაასწებოვნა. ესპანეთის რამდენიმე ეპისკოპოსი, რომელმაც მწვალებელი ამხილა, თვითონვე შეძრწუნდა, როცა ასეთი სასტიკი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო. მსგავსი რამ ეკლესიას ჯერ არ სმენოდა. ტურონის ეპისკოპოსი, წმიდა ილარიონის მოწაფე, თავისი სასწაულთქმედებებით მთელ გალიაში განთქმული მარტინი ამოდ ცდილობდა, ეს სასტიკი განაჩენი შეეცვლევინებინა საქსიმესთვის. განაჩენმა საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია და მწვალებლობა უფრო გააძლიერა.

წარმართებისა და არიანელების წინააღმდეგ ძალიან ბევრის მოსურნე იმპერატორის წინაშე მედიოლანში უფრო წარმატებით მოქმედებდა ამბროსი. რომის პრეფექტი და ცნობილი რიტორი სიმასხი, მრავალ სენატორთან ერთად, უფრო სიძველის, ვიდრე იმ ძველი სალოცავების სიყვარულის გამო, რასაც განათლებულთათვის უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ისევ კერპებს ემსახურებოდა. სენატორები ცდილობდნენ, ვალენტინიანის მცირეწლოვანებით ესარგებლათ და ძველი რელიგიის ასაღორძინებლად ისევ წამოეწყოთ ბრძოლა. აქაოდა, ძველი რომის სახელით ვწერთო, ვალენტინიანის სახელზე, სიტყვაკაზმული თხოვნა გაგზავნეს, – სენატში გამარჯვების საკურთხეველის აღდგენას ითხოვდნენ. ეს საკურთხეველი ჯერ კონსტანტინემ აიღო, შემდეგ – გრატიანმა; იმპერიის ყველა უბედურებას იმითი ხსნიდნენ, რომ ძველი სალოცავი მოიძულეს. ქრისტიანი სენატორები შემოფოთდნენ. პაპმა დამაზმა მათი საჩივარი წმიდა ამბროსის გადაუგზავნა, –



სთხოვდა, გვერდით დადგომოდა მართლმადიდებლებს. მამინ ამაბროსიმ ძლიერი და დამაჯერებელი წერილი დანერა, სიმანის ყველა გამიზნული საჩივარი უარყო და სიგელი თავისი ხელით გადასცა ვალენტინიანს:

„შენ შენი ქვეშევრდომები გემსახურებიან, შენ კი ღმერთს ემსახურები და ცრულმერთთა თაყვანისცემა არ უნდა დაუშვა. ვინ ჩივიან?! – წარმართები, რომლებიც ჩვენს სისხლს ღვრიდნენ და ტაძრებს ანადგურებდნენ! იქნებ, იმისთვის ითხოვენ უფლებებს, რომ იულიანე განდგომილის დროს სწავლებასა და ქადაგებასაც კი გვიკრძალავდნენ?! დაე, ნურავინ ისარგებლებს შენი სიყმანვილით! ქრისტიანი სენატორები წარმართულ საკურთხეველთან არ მოვლენ. როგორც ეპისკოპოსი, იმ სხვა ეპისკოპოსთა სახელითაც, რომელნიც შემომიერთდებოდნენ, დრო რომ ჰქონოდათ, მოვითხოვ, – ნუ თვითნებობ და უპირველესად მამაშენს, – თეოდოსის დაეკითხე ხოლმე. თუ სხვაგვარად მოიქცევი, როცა ეკლესიაში შეხვალ, შენთვის ეპისკოპოსს ვეღარ იპოვი, ან ისეთს შეხვდები, რომელიც წინ აღგიდგება და შენგან შენანირს აღარ მიიღებს“. მამინ იმპერატორმა სიმანის წინადადება უარყო და წარმართობამ თავის წამოყოფა მეტად ვეღარ შეძლო, დასავლეთში იგი ამაბროსიმ, ხოლო აღმოსავლეთში – თეოდოსიმ დასცეს. რამეთუ კონსტანტინე დიდს ბაძავდა თეოდოსი და ცნობილი საწარმართოების დანგრევას განაგრძობდა, რათა ხალხური ცრურწმენები და ძველი საკულტო შენობებისაკენ ლტოლვა აღმოეფხვრა.

ქრისტეს შობიდან 385-ე წელი

წარმართთა დაძლევის შემდეგ ამაბროსიმ იმ მძიმე ბრძოლაშიც გაიმარჯვა, რომელიც მის წინააღმდეგ იმპერატორიცა იუსტინამ წამოიწყო. დედოფალმა შვილის მცირეწლოვანებითა და მაქსიმესთან მშვიდობის ჩამოგდებით ისარგებლა და გუთუებს შორის დაბადებულმა და მათ მწვალებლობაში გაზ-



რდილმა, მღვდელმთავრისაგან მოითხოვა, რომ არიანულები სთვის აღდგომის აღსანიშნავად მედიოლანის ერთ-ერთი ეკლესია გადაეცათ. იმპერატრიცამ მიიღო მტკიცე პასუხი, რომ ღმერთის ტაძრის გადაცემა ეპისკოპოსს არ ძალუძს. ლაზარეს შაბათს ქალაქის პრეფექტი ღვთისმსახურებისას იმავე თხოვნით თავად მივიდა ამბროსისთან და მასაც იგივე პასუხი მისცეს. მეორე დღეს, ქადაგებისას, ამბროსის აცნობეს, რომ მეფის მსახურებს ქალაქგარეთ უკვე დაეკავებინათ ის ეკლესია, რომელსაც ითხოვდნენ და მასზე მენამული ფერის ფარდები ჩამოეკიდათ იმის ნიშნად, რომ ეკლესია კეისარს ეკუთვნის; აცნობეს, რომ აღელვებულ ხალხს ერთი არიანელი ეპისკოპოსი ჰყავდა შეპყრობილი. ამბროსიმ ღვთისმსახურება მშვიდად განაგრო და დაკავებულის გასათავისუფლებლად დიაკვნები გაგზავნა, რათა მართლმადიდებლებს მისი ცოდვა არ დაედოთ. და ეს – მაშინ, როცა არიანელები პირიქით მოიქცნენ, – ვნების კვირის დიდ დღეებში დილეგები ღვთისმოსავი ვაჭრებით გაავსეს, დიდ გადასახადს სთხოვდნენ იმ საბაბით, რომ თითქოს ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ ისინი. კომიტები და ტრიბუნები ისევ ეახლნენ ამბროსისს. – „რა უნდა კეისარს ჩემგან?“ – ჰკითხა მამაცმა ეპისკოპოსმა, – „ჩემი მიწები? ფული? ნაილოს, თუმც, ისინი ღარიბებისთვისაა განკუთვნილი. ის, რაც ღმერთის ხელთაა, მას არ ეკუთვნის. ჩემი სხეული უნდა? – წამოგყვებით, ხელები მზად მაქვს ბორკილებისთვის, სასიკვდილოდაც მზად ვარ. თავდასაცავად ხალხს არ შემოვიკრებ გარს, სიცოცხლის გადასარჩენად საკურთხეველთან არ დავეცემი, სჯობს, მოგვკვდე ამ საკურთხეველისთვის!“ კეთილი მწყემსი შიშით ფიქრობდა, რომ შესაძლო იყო, უდანაშაულო სისხლი დაღვრილიყო, – გაგონილი ჰქონდა, რომ ჯარისკაცები უკვე გაეგზავნათ, რათა განრისხებული ხალხისათვის ეკლესია წაერთმიათ. რათა ქალაქის მცხოვრებლები დაემშვიდებინა, გარსმომდგარ დიდებულებს თავმდაბლურად პასუხობდა: – „მე მარტო ის შემიძლია, რომ არ ავამბოხო ხალხი, დამშვიდება კი მხოლოდ ღმერთს ძალუძს. თუ გგონიათ, ამბოხს მე ვინწევ,

რომელ უდაბნოშიც გინდოდეთ, იქ გამასახლეთ“.

ეს თქვა და ტაძრიდან განზრახ იმისთვის წავიდა სანდო, რომ მეფის ჯარისკაცებს ღამით დაეპატიმრებინათ. დილით კი მშვიდად დაბრუნდა ტაძარში, — მართლმადიდებელმა მეომრებმა იმპერატორს უთხრეს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაყვებოდნენ, თუ ამბროსისთან მართლმორწმუნეთა შეკრებისას მივიდოდა. ტაძარს, სადაც მღვდელმსახური ქადაგებდა, გარს ისე შემოერტყნენ, რომ ძალადობა არ გამოუჩენიათ და, როცა ხალხი ამ ამბის გამო აღშფოთდა, ჯარისკაცები ხალხს შეერივნენ და ხმამაღლა იძახდნენ, რომ ლოცვა სწადიათ და არა — მართლმორწმუნეებთან ომი. ამბროსი იობის წიგნს განმარტავდა, იობის ტანჯვაზე საუბარს ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას უსადაგებდა და იობისებური მოთმინებისკენ მოუწოდებდა ხალხს. იმ დროს, ისევე, როგორც ახლა, ვნების შვიდეულის პირველ დღეებში იობს კითხულობდნენ ხოლმე. და ამბროსიმ მაშინაც მშვიდად განაგრძო ლაპარაკი, როცა უთხრეს, რომ ეკლესიაში მენამული ფარდები უკვე ჩამოხსნეს და რომ მასში შეკრებილი ხალხი თავის მწყემსს ითხოვს. ეკლესიაში მან მღვდლები გაგზავნა და კეისრის გულის მობრუნებისთვის ხმამაღლა მაღლი აღუვლინა ღმერთს. თუმც, მეფის ერთი დიდებული ისევ მივიდა მასთან და თვითნებობისთვის საყვედური უთხრა. — „რისთვის მსაყვედურობ?“ — ჰკითხა ამბროსიმ, — „მე ეკლესიიდან არც კი გამოვსულვარ, განა ვიბრძოდი, მხოლოდ ვოხრავდი. თუ მეამბოხე გგონივართ, განმგმირეთ, რაღას ელოდებით? ჩემი იარაღი — ეს ჩემი თავია, რომელსაც დაგიდებთ საქონდრაქეზე! ტირან მაქსიმესაც კი არ უწოდებია ჩემთვის ვალენტინიანის ტირანი, პირიქით, საყვედურებით მავსებს, რომ იტალიაზე გამოლაშქრებაში ხელი შეეუშალო!“

მეორე დღეს, ქადაგებისას, ამბროსის სასიხარულო ამბავი აცნობეს, — გუთებმა ქალაქგარეთ მთლიანად დატოვეს ეკლესია და იმპერატორმა ყველა ტყვე გაუშვაო. ხმამაღალი შეძახილები გაისმა, აღფრთოვანება მოედო ხალხს. ამბროსიმ თავის დას, — მარკელას მთელი ეს დევნა დაწვრილებით აღუ-

წერა წერილში და მოსალოდნელი უბედურებანი იწინასწარმ
ეტყველა, რადგან გაგონებული ჰქონდა, რომ იმპერატორმა
სასახლის კაცებს უთხრა: „თქვენ უკვე მზად ხართ იმისთვის,
რომ შეკრული გასცეთ ამბროსი!“ მეფის საჭურისი იმასაც კი
არ მოერიდა, რომ თავის მოკვეთით დაემუქრა ამბროსის: –
„დაე, იყოს ნება ღვთისა და აღსრულდეს შენი მუქარა! მე ვე-
წამები როგორც ეპისკოპოსი, შენ კი ისე მოიქცევი, როგორც
საჭურისის შეეფერება“. მაგრამ მალე თავად იმ საჭურისის ეწია
ის, რასაც სხვას ემუქრებოდა.

ერთი წლის შემდეგ, ისევ აღდგომის დღესასწაულზე,
დევნა განმეორდა. იმპერატორმა არიანელთა სასარგებლო
რამდენიმე კანონი გამოსცა. მედიოლანში მან ეპისკოპოსად
ავესენტი სცნო და ორივე გამოიძახა საბჭოდ. ამბროსი მიმდე-
ბარე ეპისკოპოსებს მოეთათბირა და ვერ გაბედა, რომ სარწ-
მუნოების დოგმატები ამქვეყნიურთა განსასჯელად გაემეტე-
ბინა. მან რიმინის კრებაზე მიღებული მრწამსის შეცდომები
წერილობით ამხილა, – არიანელებს ნიკეის მრწამსის ნაცვლად
ისევ მათი შემოტანა უნდოდათ. ფხიზელი მწყემსი დიდ შვი-
დეულში დღესა და ღამეს ტაძარში ატარებდა, განუწყვეტლად
განსწავლიდა ხალხს, რომელიც უფრთხილდებოდა თავის ეპის-
კოპოსს, რადგან ეშინოდათ ჯარისკაცების, რომლებიც მის ირ-
გვლივ იმისათვის დადიოდნენ, რათა მართლმორწმუნეთაგან
გამოცალკევებული მოეხელთებინათ. ამბროსი ცდილობდა,
დაემშვიდებინა ხალხი, პირობას აძლევდა, რომ თავისი ნებით
არ დაცილდებოდა მათ და მხოლოდ მაშინ დანებდებოდა, თუ
ძალას მიმართავდნენ. მაგრამ ყველას მკაცრად აფრთხილებ-
და, რომ მის დასაცავად იარაღი არ გამოეყენებინათ და არ
შეეშალათ ხელი, მსხვერპლად შესწირვოდა იესო ქრისტეს, –
გაგონებული ჰქონდა, რომ ბევრჯელ მოინდომეს მისი მოკვლა.
რათა მორწმუნეები შეექცია, მედიოლანის ეკლესიაში, აღმოსავ-
ლელთა მიბაძვით, მთელი დღის განმავლობაში ორივე კლირო-
სზე ანტიფონთა მორიგეობით გალობის წესი შემოიღო. ეს წესი
აქ დღემდეა შემონახული და მას ამბროსიულს უწოდებენ. ამ



განსაცდელის დროს უფალმა მონამეების, - გერვასისა და პროტასის განუხრწელი წმიდა ნაწილების გამოჩინებით შევება. ეს წმიდა ნაწილები ამბროსის მიერ შექმნილ ეკლესიის კედლებთან მოიპოვეს. როცა მათგან მრავალგზის მოხდენილი კურნების შემდეგ ამ ნაწილების სინმიდეში დარწმუნდა, ამბროსიმ ისინი საკურთხეველის საფუძველში დაასვენა. განსაკუთრებით შესანიშნავი სასწაული ბრმადშობილისათვის თვალის ახელა იყო. ეს ამბავი მრავალმა თვითმხილველმა აღწერა და დაამონმა მისი სიმართლე. „წმიდა ნაწილები“, - ამბობდა ამბროსი, - „იქ დავასვენოთ, სადაც თავად მსხვერპლი, თავად ქრისტე, იმყოფება. ოღონდ, უფალი, ყველასათვის წამებული, საკურთხეველზე უნდა იყოს, ისინი კი, - მისგან გამოსყიდულნი, საკურთხეველის ქვეშ იყონ. მეც იქ მინდოდა, დავსვენებულიყავ, გამართლებულიც იქნებოდა, რომ ეპისკოპოსმა იქ განისვენოს, სადაც მღვდელმსახურებას აღასრულებდა ხოლმე, მაგრამ საუკეთესო ადგილს ჩემზე ღირსეულთ ვუთმოვ“. მრავლად მომხდარმა სასწაულმა არიანელებს ენა დაუდუნა. მალე დევნა შეწყდა და ეს იმპერატორ მაქსიმესაგან აღძრული შიშის გამო მოხდა, - მაქსიმემ ვალენტიანიანს მისწერა, რომ, თუ კი მაქსიმეს გვერდით მშვიდობიანად ცხოვრება სურდა, ამბროსისა და მართლმადიდებელთათვის თავი დაენებებინა.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერატრიცა დევნიდა ამბროსის, დიდსულოვანმა მწყემსმა უარი არ თქვა, სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო და კიდევ ერთხელ გადალახა ალპები, რათა გალიაში სასტიკი მაქსიმეს წინაშე დედოფლის მცირეწლოვანი შვილისათვის შუამდგომლობა გაენია. ცალკე კი არა, როგორც ეს ეპისკოპოსთან შეხვედრისას არის მიღებული, თავის საბჭოში მიიღო ტირანმა იგი ამაყად. თუმცა, შესაგებებლად ფეხზე წამოდგა. მაგრამ მღვდელმთავარმა არ ინდომა, ამქვეყნიური ამბორი მიეცა მისთვის. - „რა საჭიროა ეს მისალმება, როცა ჩემს ხარისხს არ აღიარებ? ეპისკოპოსის ადგილი აქ არ არის“, - თქვა ამბროსიმ. განაწყენებულმა მაქსიმემ საყვედურები დაუწყო იმის გამო, რომ ოდესღაც იტალიაში შესვლაში ხელი



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი


შეუშალა. დადანაშაულებულმა მშვიდად მიუგო: - ნინაშე ვარ, პირადად გეახელი, რომ თავი ვიმართლო. თუმცა, ჩემთვის სასახელოა, იმის გამო მოვისმინო საყვედური, რომ ობოლი გადავარჩინე. მითხარი, - რომელი ლეგიონები დავუყენე ნინ შენსას? თუ სუსტმა ყრმამ შეძლო და მან გაგინია ნინა აღმდგომა იმ ზამთარში?" შემდეგ გრაციანის სიკვდილში ამხილა და ითხოვა, რომ სხეული მაინც დაებრუნებინათ მოკლულისა და მოუწოდებდა, მოენანიებინა თავისი მეფის მართალი სისხლის დაღვრა. მარტო მასთან კი არა, იმ ეპისკოპოსებთანაც არ უნდოდა ურთიერთობა, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ, მწვალებელი იყო, მაინც ძალიან სასტიკად ექცეოდნენ პრისცილიანეს. მწყემსის ვალი მოიხადა და იტალიაში დაბრუნდა. მაქსიმესაგან შევიწროებულთა დამცველად კი მარტინ ტურონელი დარჩა. მისმა თხოვნამ ბევრი ის უდანაშაულო გადაარჩინა, რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი.

წმიდა ამბროსი კეთილ იარაღად ექცა ეკლესიის იმ დიად კაცს, რომელიც დასავლეთში, იქნებ, - კეისართა შორის და მათ სამპყრობელოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის განუული ღვანლისათვის არა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თავისი ნაწერებით, შემცვლელი გახდა ამბროსისა, ეს არის დასავლეთის ეკლესიაში ყველაზე უფრო აღიარებული და პატივდებული, ავგუსტინე. ნუმიდიაში დაბადებული, კეთილშობილ მშობელთა შვილი, კართაგენში სწავლობდა და თანაც ახალგაზრდული ვნებებით სავსე, - უწესო ცხოვრებას ელტვოდა. იგი წარმართულ ფილოსოფიას სწავლობდა და მანიქეველურ მწვალებლობაში გადავარდა, რაც ძალიან აღონებდა მის ღვთისმოსავ დედას, - მონიკას, რომელიც დღე და ღამ შვილის ხსნისთვის ლოცულობდა. მან ერთ ეპისკოპოსს სთხოვა, რომ ჭეშმარიტების გზაზე დაედგინა ავგუსტინე. - „ჯერ დრო არ მოსულა“, - მიუგო გამოცდილმა მოხუცმა, - „თავისი წოდება ყმანვილს ძალიან აამაყებს. დაანებე თავი და ილოცე მისთვის. შეუძლებელია, შენს თვალთაგან მდინარი ამდენი ცრემლი უკვალოდ დაიკარგოს!“ და შესემნილ იქმნა დედის ლოცვა.

ბევრმა იმედგაცრუებამ წუთისოფლის, უფრო მეტად კი, ნიქეველთა წარმავალი სწავლებისადმი, ნელ-ნელა გული აუცრუა ავგუსტინეს. ჭეშმარიტებას ესწრაფვოდა, მაგრამ ვნებებს ვერ ერეოდა. დედის სურვილის საწინააღმდეგოდ მან რომისაკენ გაცურა, რაც ღვთის იდუმალი ნების გარეშე არ მომხდარა, - განგებამ იგი მედიოლანში მიიყვანა. იქ მჭერვეტყველების კათედრა ჩააბარეს და ხსნაც იქა ჰპოვა. მოსიყვარულე დედა თან გაჰყვა შვილს. ამბროსიმ მამა-შვილური სიყვარულით მიიღო ორივენი და ავგუსტინემ - გაოცებულმა მოისმინა მის ბაგეთაგან ჭეშმარიტების შესახებ სიტყვა. მქადაგებლის ენაჭევრობამ ჯერ აღაფრთოვანა, ბოლოს მისი ქადაგების სიღრმე ბიძგის მიმცემად გაუხდა და მოხუცებული პრესვიტერის, - სიმპლიტიანის ხელმღვანელობით წმიდა წერილის კითხვას შეუდგა. სიმპლიტიანი ოდესღაც თავად ამბროსის მასწავლებელი იყო.

ერთხელ თავის სულიერ მეგობრებთან მან წმიდა ანტონისა და მისი მოსაგრეობის შესახებ შეიტყო. ავგუსტინესთვის ეს წუთი გადამწყვეტი გამოდგა, - მადლი შეეხო მის გულს, რომელიც ჭეშმარიტებას ელტვოდა. სახე და სული უეცრად შეეცვალა და მეგობრებს შესძახა: - „ჩვენ კი რას ვჩადით?! უცოდინრები იტაცებენ ზეციურ სასუფეველს და ჩვენ კი მთელი ამ ცოდნით სავსენი ხორცსა და სისხლში ვეშვებით, ის კი არა და, გვრცხვენია, რომ მივყვეთ მათ, ან, რაც უფრო დიდი სირცხვილია, იქნებ, არც კი ძალგვიძს, რომ მივყვეთ?!“ მოზღვავებულ გრძნობათაგან აღელვებული ავგუსტინე გვერდზე მდებარე ბაღში გავიდა, რომ გრძნობები თავისუფლად ამოეთქვა და მწარედ ატირებულმა ამოიძახა: „როდემდე, უფალო, როდემდე განმირისხდები მე?¹³⁶ რატომ ხვალ, რატომ დღეს არა?!“ და მაშინ მეზობელი სახლიდან ბავშვის ხმა მოესმა: „აილე და წაიკითხე, აილე და წიკითხე!“ ავგუსტინეს გაახსენდა, რომ ანტონი დიდი სახარებისეული სიტყვების გაგონებისას მოიქცა ღმერთისკენ, ეს ხმა ზეციურ

¹³⁶ პერ. - „ვიდრემდის, უფალო, დამივნყებ მე სრულიად?“, - ფსალ. 12: 3;



შთაგონებად მიიჩნია, შინ დაბრუნდა, წმიდა მოციქულ მსვლელს წიგნი აიღო და რომაელთა მიმართ გაგზავნილი ეპისტოლეს ეს სიტყვები გადაეშალა თვალწინ: „როგორც დღეში, ისე ვიაროთ ღირსეულად, ნუ მივეცემით გემოთმოყვარებასადა ლოთობას, მრუშობასა და სიბილწეს, ჩხუბსა და შურს, არამედ, შევიმოსოთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ხორცზე ზრუნვას ავხორცობამდე ნუ მივიყვანთ“¹³⁷. მოციქულის შეგონებით შეძრულმა გადაწყვიტა, რომ ცხოვრების ძველ წესზე, თვით კათედრაზეც უარი ეთქვა, რათა თავი მთლიანად ღმერთის სამსახურისთვის მიეძღვნა და ამ სასიხარულო ცნობით გაახარა თავისი კეთილი დედა. რათა წმიდა ნათლობისათვის უკეთესად მომზადებულიყო, მედიოლანის გარეუბანში განმარტოვდა და აღდგომის წინ თავის მეგობარ ალიპისტან და შვილ ადეოდატუსთან ერთად წმიდა ამბროსის ხელთაგან მიიღო ნათელი. იმასაც კი ფიქრობენ, რომ ამბროსიმ ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად დანერა წიგნი წმიდა საიდუმლოთა შესახებ. მასში ნათლად არის წარმოჩენილი ნათლობის წმიდა საიდუმლოს წესები, – მირონცხება და ლიტურგია, რაც სრულიად ემთხვევა წესების იმ აღწერებს, რაც საიდუმლოთა შესახებ წმიდა კირილე იერუსალიმელის სწავლებაში არის შემონახული. ნუგეში გვეძლევა, როცა ვხედავთ, თვით წესებსა და ლოცვებშიც როგორი თანხვედრა იყო მაშინ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის, როგორ არ შეცვლილა არაფერი მას შემდეგ აღმოსავლეთის ეკლესიაში.

რწმენით განათლებულმა ავგუსტინემ დედასთან ერთად აფრიკაში გაცურა და გზაგასაყარზე ოსტინში გაჩერდა დასასვენებლად. მაგრამ დედამისს იქ მარადიული განსვენება ელოდა. ერთხელ, მშვიდ საუბარში, ისინი აზრობრივად მთელ ხილულ სამყაროს გასცდნენ, სულიერად წმიდა სულთა სასუფეველში მოექცნენ და ნეტარმა მონიკამ შვილს უთხრა: – „ახლა უკვე აღარაფერი მწაღია ამქვეყნად, ტყუილადღა ვაყ-

¹³⁷ პერ. რომაელთა. 13: 13-14, – „შეიმოსეთ უფალი იესო ქრისტე და ხორცისთვის ზრუნვას ნუ აქცევთ ავხორცობად“;

ოვნებ; შენ ქრისტიანი და მართლმადიდებელი ხარ და ღვთის
სამსახურსაც კი მიუძღვენი თავი. უფალმა იმაზე მეტი მომცა,
რაც ვთხოვე“. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მშვიდად? განვიდა
ღმერთთან, შვილს სთხოვა, რომ მისი ნეშტის დაკრძალვაზე
არ ებრუნა, მაგრამ საკურთხეველთან ხშირად მოეხსენიებინა
ხოლმე მისი სული.

ავგუსტინემ უკანასკნელი პატივი მიაგო ძალიან საყვარელ
დედას, აფრიკაში მგზავრობა ცოტა ხნით გადადო, რომში
დასახლდა და წერილებში თავის მიერ მიტოვებულ მანიქევე-
ლურ მწვალებლობას ამხელდა, – მათ ტლანქ ზნეობას ქრის-
ტიანთა წმიდა მორალთან ადარებდა. მაგრამ ეკლესიის მდი-
დრული ცხოვრებისა და თავგზის ამბნევი, – დედაქალაქური
ცხოვრების ზოგიერთი ცოდვა მაშინდელი რომის სასული-
ეროებში უკვე შეპარულიყო. „გამდახეთ რომის ეპისკოპოსი“,
– დაცნვით ამბობდა ერთი ნასწავლი წარმართი, – „და მე
მაშინვე მოვიქცევი“. ნეტარი იერონიმე, მეუდაბნოეობის სუ-
ლით აღსავსე, რომელიც მაშინ რომში იმყოფებოდა და კლერი-
კალთა უზნეობას გულგრილად ვერ უყურებდა, თავისუფლად
ამხელდა მათ და ამის გამო საერთო სიძულვილი დაიმსახურა;
იმაშიც კი სდებდნენ ბრალს, რომ რომიდან სახელოვანი უხუ-
ცესები მიჰყავდა პალესტინაში. მალე, პაპ დამაზის გარდაცვა-
ლებისა და სირიციუსის არჩევის შემდეგ, იძულებული გახდა,
დამძიმებული გულით დაეტოვებინა ძველი დედაქალაქი, რათა
სულიერი სიმშვიდე ისევ აღმოსავლეთის უდაბნოებში ეძებნა.
იერონიმემ ალექსანდრია და ანტიოქია მოინახულა, გარდაცვა-
ლებული ტიმოთესა და წმიდა კირილეს ადგილას იქ ორი ახალი
მწყემსი, – ათანასე დიდის ნათესავთაგანი, – თეოფილე და
მონაზონი იოანე დაყუდებულიყო, ბეთანიის მღვიმეში სამუ-
დამოდ დამკვიდრდა იერონიმე და ამ მღვიმისეულ მყუდროე-
ბაში პავლეს ეპისტოლეთა განმარტებას შეუდგა.

„არ ვიცი“, – თავის სახელგანთქმულ რომაელ მოწაფეებს
სწერდა განდევილი, – „არ ვიცი, გაქვთ თუ არა მაგ ბაბი-
ლონში დასვენებით ნეტარების საშუალება და ოხრავთ თუ



არა ბეთლემის მონატრებით? მე კი ბოლოს და ბოლოს ვბრუნდები ნანატრი სიმშვიდე; აქ, ბაგაზე, საუკუნეთა უწინარესი ყრმის ტირილი მესმის, როგორ მინდა, რომ თქვენცა გრძნობდეთ მის ცრემლთა დენას და წყნარი ჩვილი გესმოდეთ მისი". იერონიმეს მონოდებითა და სციპიონთა შთამომავლის, - დიდი მელანიას მიბაძვით, პაულამ თავის ასულ ევსტოქიასთან ერთად, რათა ყარიბის კვერთხით მოეწყო პალესტინა, ეგვიპტე და შემდეგ, ცხოვრების დასასრულამდე, ბეთანიის მღვიმეში დასახლებულიყო, მან იქ ყარიბთა შესაფარად ორი სავანე დააარსა. ნეტარი იერონიმე მის ღმრთივკურთხეულ გზას აღწერს და ამ აღწერიდან ყველა იმდროინდელი წმიდა ადგილი მოჩანს: „ანტიოქიიდან ეს ქალი სიდონში მოვიდა და წინასწარმეტყველ ელიას პატარა კოშკი მოინახულა; კესარიასი ასმეთაურ კორნელიუსის სახლი ნახა, იგი ეკლესიად არის გადაკეთებული; ნახა დიაკონ ფილიპესა და მისი ოთხი წინასწარმეტყველი ქალიშვილის სახლი. პალესტინის მმართველმა იცოდა, რომ კეთილშობილი გვარის შთამომავალია პაულა და უნდოდა, დარბაზები მოემზადებინა მისთვის, მაგრამ მან ღარიბული სენაკი ირჩია და ისეთი ღვთისმოსავობით დადიოდა წმიდა ადგილთა მოსანახულებლად, რომ, ერთადერთი, მხოლოდ ახალი სინმიდის მონახულების სურვილი აიძულებდა, დაეტოვებინა ის, რომლის წინაშეც გულმხურვალედ იყო დამხობილი. გოლგოთაზე, - ჯვრის ქვემოთ მინას მიკრული, გეგონებოდა, თავად ჯვარცმულს ევედრებო; წმიდა საფლავში შესული ჯერ იმ ქვას კოცნიდა, რომელიც ანგელოზს გაუფარდა, შემდეგ კი - თავად იმ ადგილს, სადაც ღვთაებრივი სხეული ესვენა; სიონის მთაზე ძელი უჩვენეს, რომელსაც ოდესღაც მასზე მიკრული მაცხოვრის სისხლის სითბო ჯერაც შერჩენოდა და რომელიც ეკლესიის საგანძურს ამშვენებდა; უჩვენეს ნაგებობა, სადაც სულიწმიდა გარდამოვიდა მოციქულებზე. იერუსალიმში მდიდრული წყალობა გაიღო და ბეთლემის გზაზე რაქელის საფლავი მოინახულა; იქ, - შობის მღვიმეში მწყემსებთან და მოგვებთან ერთად სცა თავყვანი ყრმა იესოს. არც ის ადგილები



დავინყებია, სადაც ბეთლემის ღამეული მწყემსები დარაჯებად
დამდგარიყვნენ, არც – ლაზარეს საფლავი ბეთანიაში, არც –
მართასა და მარიამის სახლი; არ დავინყებია სამარიაში ნი-
ნასნარმეტყველთა საფლავების მონახულება; ნათლისმცემლის
საფლავის შესახებ კი განსაკუთრებულად უნდა ითქვას, –
იქ შიშით შეყურებდა იმ ძალებს, რომლებიც შეპყრობილთა
სანკურნებლად იღვრებოდა იოანესგან.

ბრწყინვალეა იმპერატორ თეოდოსისა. ოქროპირის ეპოქის დასაწყისი

ქრისტეს შობიდან 378-ე წელი

ღვთისმოსავური მიმოსვლა ჯერაც არ დაესრულებინა პაულას, როცა ანტიოქიაში ამბოხებამ იფეთქა. ამ ამბოხებამ თეოდოსის მეფური, ხოლო – ფლაბიანეს მღვდელმთვრული, განსაკუთრებით კი, – იოანე ოქროპირის სიქველე ნათლად წარმოაჩინა, – ეკლესიის ცის კაბადონზე სწორედ მაშინ გამო-ბრწყინდა იოანე ოქროპირი. კეთილშობილ მშობელთა შვილი, მაგრამ მამით ბავშვობიდან დაობლებული, ერდადერთი იყო, ვინც მისი მოსიყვარულე დედის საზრუნავი გამხდარიყო. დე-დას უნდოდა, რომ სახელგანთქმული რიტორის, – ლიბანიუსის ხელმძღვანელობით საერო მჭერმეტყველების ასპარეზზე გახ-სნოდა შვილს გზა და ამქვეყნიური პატივი ღირსებოდა. მაგრამ ღმერთი სული ღმრთისა უდაბნოსაკენ მოუწოდებდა იოანეს, უკვე ყრმობის ასაკში შეიგრძნო მისმა გულმა ამაოება ნუთი-სოფლისა.

თავის მეგობართან და თანამოსაუბრე ბასილისთან ერთად გადანყვიტა, რომ მეზობელი ანტიოქიის მთებში ანტიოქიის მიმდებარე მთებში განმარტოებულიყო. ეს მთები მეუდაბნოე-ბით იყო სავსე. მაგრამ მოსიყვარულე დედა განაზრახს მიუხე-და და ამაღელვებელი სიტყვებით შეაჩერა შვილი: – „მამაშენ-თან ერთად დიდხანს სიხარულს მე ვერ ველირსე, შვილო; მის-მა სიკვდილმა შენ დაგაობლა, მე ქვრივად მაქცია; ვერაფერმა მაფიქრებინა, მეორედ შევსულიყავ ქორწინებაში და მამაშენის სახლში სხვა ქმარი მომეყვანა; მძიმე დღეში ვიყავ, ღმერთის გულისთვის ყველაფერს ვუძლებდი, ჩემი ერთადერთი სიხარუ-ლი ის იყო, რომ შემეძლო, შენი სახისთვის მეყურა, მამას რომ გიგავს; ქვრივობის სიდუხჭირეში მამული არ გაგინადგურე,



ყველაფერი სრულად შეგინახე; გთხოვ, შვილო, ახლა შენც დადამაქვრივე, შენ მაინც ნუ დამტოვებ მარტო, თავიდან ნუ დამანყებინებ ძლივს მივიწყებულ ტირილს; ჩემს სიკვდილამდე მოითმინე, - ვიცი, მალე მოვა; მამაშენის ძვლების გვერდით რომ დამასაფლავებ, მაშინ ისე მოიქეცი, როგორც გინდოდეს!”

აღელვებულმა იოანემ დედის ცრემლებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. სამი წლის შემდეგ, როცა შვილის ხელებმა თვალები დაუხუჭა დედას, ქონება ღარიბებს დაურიგა და მთებში წავიდა. მონაზვნური ცხოვრების მთელ სიმკაცრეს იცავდა, - იუძღურებდა სხეულს, რომელიც ბუნებით ისედაც სუსტი ჰქონდა. თავის მეგობარ ბასილის, რომელიც წუხდა, რომ მღვდლობის ხარისხში ადრე აიყვანეს, იქიდან მისწერა სიტყვაკაზმული წერილი, რომელშიც წუთისოფლისაგან განკიცხულ მონაზვნობას იცავდა. თვითონ იოანე თავისი განმარტოებული სამყოფელიდან წმიდა მელეტი ანტიოქელმა გამოიძახა, დიაკვნად დაასხა ხელი და გამუდმებით გვერდით ჰყავდა. მელეტის მემკვიდრე - ფლაბიანემ კი მღვდლად დაასხა ხელი და სამრევლო ტაძარში ქადაგების საქმე ჩააბარა. მაშინ სულის ხსნის შესახებ ხალხს გულდასმითი სწავლება დაუწყო; ხშირად ყოველგვარი წინასწარ მომზადების გარეშე ასწავლიდა და სამწყსოს საერთო გაოცებას იწვევდა. ისეთი მაღლი იღვრებოდა იოანეს ბაგეთაგან, რომ მსმენელებს კიდევ უნდოდათ მის ტკბილ სიტყვათა მოსმენა და მრავალი სწრაფმწერი იწერდა ქადაგებებს ქარტიაზე, რათა შემდეგ სავაჭრო ადგილებსა თუ ტრაპეზობისას ესმინათ იგი. მოწყურებული მოდიოდა ხალხი მის ქადაგებაზე. როგორც კი ხმა გავარდებოდა, - ეკლესიაში იოანემ უნდა იქადაგოსო, მოსამართლეები სასამართლოებს ტოვებდნენ, ვაჭრები - სავაჭროებს, ხელოსნები საქმეს თავს მიანებებდნენ ხოლმე, რადგან, იცოდნენ, ბევრს დაკარგავდნენ, თუ მის ტკბილ სიტყვას ვერ მოისმენდნენ. ეკლესიის ახოვანი მხედარი მოღვაწეობის დასაწყისში ძიებათა სიღრმეებში შეიჭრა და ზოგჯერ ისე ქადაგებდა, რომ მისი ნათქვამი ყველასათვის გასაგები ვერ იყო. მაგრამ ერთმა უბრალო ქალმა ასწავლა,



რომ მეტი სიმარტივე იყო საჭირო: – „ოქროპირო იოანეს ხალხიდან დაიძახა მან და ეს სახელიც იმდროიდან იოანეს, – „შენი ცოდნის ჭა ძალიან ღრმა არის, ჩვენი გონების თოკები კი მოკლეა და ფსკერამდე ვერ აღწევს“. ამის შემდეგ თავის სულიერ ძალას სამწყსოს გაგების უნარს შეუფარდება და ხოლმე და ასე, – მარტივად, ოღონდ, – ამალღებულად, განმარტა მათეს, იოანეს სახარებები, საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლეები, დოგმატთა განმარტებას ზნეობრივ დამოძღვრას ყოველთვის დაურთავდა ხოლმე.

გადასახადთა გადიდებამ ანტიოქიაში ხალხის უკმაყოფილოება გამოიწვია. გალატაკებულმა ბრბომ თეოდოსისა და მისი უკვე გარდაცვლილი ცოლის, – კეთილშობილი ფლაკილასა და მათი შვილების, – არკადისა და ჰონორის ქანდაკებები დაამტვრია, მათგან პირველი უკვე კეისრად იყო გამოცხადებული. ხანმოკლე გამძვინვარების შემდეგ საყოველთაო გულგატეხილობამ მოიცვა ქალაქი, დამსახურებულ სასჯელს ელოდნენ. გავრცელდა ხმები, რომ განრისხებული იმპერატორი ანტიოქიისათვის ყველა უპირატესობის ჩამორთმევას აპირებდა, მინასთან მისი გასწორება და აღმოსავლეთის დედაქალაქის ლაოდიკიაში გადატანაც კი გადაეწყვეტა. აღელვებულმა ხალხმა თავის ეპისკოპოსს, – ფლაბიანეს სთხოვა, რომ განრისხებული კეისრის დასაწყნარებლად წასულიყო. მოხუცი ფლაბიანე, მიუხედავად ასაკისა გაზაფხულის დროს ატალახებული გზებისა ახალგაზრდას დაემსგავსა, რათა თავისი სამწყსო გადაერჩინა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, რადგან გზაზე უკვე შემოხვდნენ მეფის დიდებულები, რომელნიც მკაცრი გამოძიებისათვის გაეგზავნათ ანტიოქიაში. იქ მალე დაიწყო ნამებანი და სასჯელთაღსრულებანი.

ძლიერი ნუგუმისმცემელი კი უბედურ დღეში მყოფ ქალაქში დარჩა. იოანე დიდმარხვის დაწყებისთანავე კათედრაზე ავიდა. იობის მეგობრებს მიემსგავსა, რომლებიც, სანამ სანუგეშო სიტყვას იტყოდნენ, იობის სანუხარის გამო შვიდ დღეს მდუმარებდნენ, შემდეგ კი ყოველდღიური ენამჭევრული სი-

ტყვიტ წუთისოფლის მთელი ამოება და ამქვეყნიურ სიამებთა წარმავალობა დაანახვა. ხალხს მოუნოდა, რომ ეს უბედურება სასიკეთოდ გამოყენებინა და ცოდვათაგან შინაგანი განწმედა დაენყო; ხარობდა, როცა ხედავდა, რომ ეკლესია სავაჭროთაგან დაცარიელდა, როგორც მყუდრო ნავსაყუდელი¹³⁸. ნამებათა დღეებში რამდენიმე დღე მდუმარებდა, შემდეგ ისევ გამოჩნდა ტაძარში, რათა იმედი მიეცა ხალხისთვის, რომ მონყალე იქნებოდა მეფე და რომ მათი მწყემსი უშუამდგომლებდა, ამაღელვებელი ქადაგებით დაანახვა ხალხს, თუ რა დონეზე იყვნენ მოქალაქენი სასონარკვეთილების ცოდვაში ჩავარდნილნი და რომ წარმართ ფილოსოფოსთა შორის მოქცეულები ხსნას თავმდაბალ განდგეილთაგან თავისთავად ღებულობდნენ. გაიგეს თუ არა, რომ დაინყო ნამებანი, რამაც ანტიოქია უდაბურ ადგილად გადააქცია, მეუდაბნოეები თავიანთი უდაბნოსეული სავანეებიდან გაუბედურებული ქალაქის ქუჩებში შევიდნენ, საკუთარ თავზე აღარ ფიქრობდნენ, სასამართლო დარბაზებს შემოეჯარნენ და ისეთი დაჟინებით ითხოვდნენ შეწყალებას, ბოლოს და ბოლოს დარწმუნდნენ მოსამართლეები, რომ სასჯელთაღსრულებანი მეფის ახალ გადწყვეტილებამდე უნდა შეეჩერებინათ. მეუდაბნოეებმა მოსამართლეებს ისიც კი შესთავაზეს, რომ დედაქალაქში ჩავიდოდნენ და დამნაშავეთათვის შუამდგომლობას გასწევდნენ; კეისარს თავიანთი სახელით თხოვნის სიგელი გაუგზავნეს. ერთმა მათგანმა, მაკედონიმ, რომელიც ცხოვრების მკაცრ წესს მისდევდა და ველურ მთებში მხოლოდ ბალახეულით იკვებებოდა, რომელსაც კრიტოფანს ეძახდნენ, ქუჩაში მეფის დიდებულები გააჩერა და უბრძანა, რომ ცხენებიდან გადმოსულიყვნენ. ამ უპოვარი მოხუცის გაბედულებით ჯერ გაოგნდნენ, მაგრამ, როცა განთქმული სახელი გაიგონეს, მის ფერხთით დაემხნენ. მეუდაბნოემ უთხრა: „ჩემო მეგობრებო,

¹³⁸ მინიშნება სახარების იმ ადგილზე, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გამოდევნა მაცხოვარმა ტაძრიდან მოვაჭრეები და უთხრა მათ: „დანერილია: ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“, - მათ. 21: 12-13; მარ. 11: 15-17; ლ. 19: 45-46; იოან. 2: 14-16;



კეისარს უთხარით: შენ ღვთის ხატად დაბადებული ხარ და იმის გამო კი განრისხებულხარ, რომ სპილენძის სახულებები დაგიმტვრიეს, - ეგ გამოსახულებები ცოცხალ და გონიერ გამოსახულებებს ვერ შეედრება: პირველთ ადვილად აღადგენ, უკვე არის კიდეც აღდგენილი, მაგრამ თმის ერთ ღერსაც ველარ დაუბრუნებ იმათ, ვისაც დახოცავ".

მოხუცმა ფლაბიანემ ამასობაში დედაქალაქს მიაღწია. იგი თავდახრილი შევიდა მეფის დარბაზებში, - თითქოს თვითონ ყოფილიყოს ამბოხში დამნაშავე. მორიდებით მიუახლოვდა იმპერატორი და მისი სამწყსოს უმადურობის გამო დაიჩივლა. ცრემლებით მიუგო კეთილმა მწყემსმა: - „ვერაჯითარი სასჯელი ვერ გაუტოლდება იმ დანაშაულს, რაც ქალაქის მცხოვრებლებმა ჩაიდინეს, თუმც, ჩადენილი ბოროტება სიკვდილზე უფრო მწარე იქნება მათთვის, - უმადურობაზე საშინელი რა უნდა იყოს?! ბოროტმა ანგელოზებმა გადანყვიტეს, შენი მოწყალეობა მოაშორონ ქალაქს, რომელიც ოდესღაც ასე გიყვარდა; თუ დაანგრევ მას, მაშინ ბოროტ ანგელოზებს აამებ, თუ აპატიებ, მკაცრად დასჯი მათ და შუბლს უფრო ბრწყინვალე გვირგვინით შეიმოსავ, ვიდრე ახლა გადგას; - იმიტომ, რომ ეს გვირგვინი სხვისი დიდსულოვნების წყალობით გადგას, ის მეორე გვირგვინი კი საკუთარი სიკეთის შედეგად გექნება მიღებული. შენი გამოსახულებები დაამტვრიეს, მაგრამ შენ შეგიძლია უფრო ძვირფასები ქვეშევრდომთა გულებში აღმართო და მაშინ იმდენი ქანდაკება გექნება, რამდენი კაციცაა ამქვეყნად“. კონსტანტინეს დიდსულოვნება, - მის მიერ თქმული სიტყვები გაახსენა, რომელიც აღდგომის დღესასწაულზე დამნაშავეთა გათავისუფლებისას წარმოთქვა: „ოჰ, ნეტა შემეძლოს, რომ მკვდრებიც აღმედგინა!“ შემდეგ განაგრძო: - „შენ შეგიძლია, აღადგინო ანტიოქია. გააკვირვე წარმართები და ებრაელები, რომლებიც კარგად გხედავენ, უჩვენე, რა ძალა აქვს ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელსაც ადამიანთა დამშვიდება ძალუძს, „დიდ არს ქრისტიანთა ღმერთი!“ - ძალაუნებურად წამოიძახებენ ისინი, - ადამიანები თავიანთ ბუნებაზე მაღლა აჰყავს! როგორ



დიდად გაგეთქმება სახელი, თუ მომავალ საუკუნეებში მოყვებიან ხოლმე, რომ, როცა დიადი ქალაქი ერთიანად დაწმინდულობებმა მოიცვა და მმართველთა და მოსამართლეთა შორის, შიშის გამო, ვერავინ გაბედა, მის დასაცავად სიტყვა დაეძრა, ერთი უპოვარი მოხუცი, რომელსაც ღმერთის სამსახურისთვის გადაედო თავი, ეახლა და უბრალო საუბრით შეუძრა გული. ცოტა პატივი როდი მოგაგო უბედურებაში მყოფმა ანტიოქიამ მაშინ, როცა მე ამირჩია თავის დამცველად, – მიუხედავად თავიანთი უღირსობისა, მაინც, ხედავენ, რომ შენ ყველაზე მეტად ღმერთის მსახურთ სცემ პატივს. მე მხოლოდ ხალხის სახელით არ მოვსულვარ, – ღვთისა და ანგელოზთა სათქმელს გეუბნები, – თუ ადამიანებს მიუტევებ დანაშაულს, ზეციური მამა შენც მოგიტევებს ცოდვებს¹³⁹. მაშ, გახსოვდეს ის საშინელი დღე, როცა ჩვენ ჩვენს საქმეებს წარვადგენთ. გაიაზრე, რომ, თუ რაიმე ცოდვა გაქვს, ახლა ერთი სიტყვით შეგიძლია მათი ჩამოშორება! სხვა წარმოგზავნილები ოქროსა და სხვა ძღვენს მოგართმევენ ხოლმე, მე მხოლოდ წმიდა მცნებები მოგიტანე და მოგიწოდებ, მიბაძო ღვთაებრივ მასწავლებელს, რომელიც უხვ მაძლს არ გვაკლებს, – მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველდღიურად შევურაცხყოფთ მას!”

ასე ლაპარაკობდა მოხუცი და ცრემლებამდე მისულმა აღელვებულმა თეოდოსიმ წამოიძახა: – „რა არის გასაკვირი, რომ ჩვენ – ადამიანებმა შევძლოთ ჩვენთა მსგავსათვის მიტევა, როცა სამყაროს პატრონი ჩვენთვის მონის სახით გარდამოხდა მინაზე და ჯვარცმული თავისი მკვლელებისთვის ლოცულობდა!“ კეისარმა არა მარტო აპატია დამნაშავეებს, ფლავიანეს იმისი ნებაც კი აღარ მისცა, რომ აღდგომის დღესასწაული დედაქალაქში გაეტარებინა, სურდა, რომ თავისი მისვლით სასწრაფოდ დაემშვიდებინა აღელვებული სამწყსო. მშვიდობის მაცნესა და თავისი ქალაქის განახლების შესახებ ცნობას სულიერი ზეიმით შეხვდა მთელი ხალხი. მწყემსის ღვანლის ამბავი, მისი და კეისრის სიტყვები ოქროპირის სი-

¹³⁹ იხ. მათ. 6: 14-15; ლ. 6: 34; 17, 4; მარ. 11: 25; მათ. 18: 35;



ტყეებმა შემოგვინახა, ამ საუბრებით იგი სულიერად და ცემულთ ამხნევებდა.

ფლაბიანე, რომელმაც განუული შუამდგომლობის გამო ყველას გული მოიგო, ნუგეშად იმისი ღირსიც გახდა, რომ ნახა, თუ როგორ აღმოიფხვრა ანტიოქიის ეკლესიაში ასე დიდხანს გაგრძელებული განხეთქილება. როცა მოხუცებული ეპისკოპოსი, – მისი მონინაალმდეგე პავლინი გარდაიცვალა, მასთან უთანხმოებაში მყოფებმა პრესვიტერი ევაგრე აირჩიეს. დასავლეთმა კანონების დარღვევით მასთან დაამყარა კავშირი და ითხოვდა, რომ ამ ანგარიშსწორების გამო ფლაბიანეს შესახებ რომში ემსჯელათ. ფლაბიანემ თეოდოსის წინაშე მამაცურად უარყო ბრალდება: „თუ სარწმუნოების საკითხებში, ან უღირს ცხოვრებაში მდებენ ბრალს, მაშინ გამასამართლონ ბრალმდებლებმა; თუ მხოლოდ ჩემს ტახტს ეხება საქმე, მე ბრძოლას არ დავიწყებ, იმ პირველივეს დავუთმოვ, ვინც მოინდომებს“. ევაგრე მალე გარდაიცვალა და მის შემდეგ აღარავინ აურჩევიათ. ასე რომ, ბოლოს ანტიოქიის ერთადერთ მწყემსად ფლაბიანე დარჩა.

მას შემდეგ, რაც თეოდოსიმ საკუთარ თავზე გამარჯვება შეძლო, გაცილებით იოლი გამარჯვება თავის მონინაალმდეგე მაქსიმესთან ელოდა. მაქსიმე იტალიაში შეიჭრა და რომი დაიკავა. ახალგაზრდა ვალენტინი დედასთან ერთად თესალონიკში გაიქცა და იქ მისი მდევენელის წინააღმდეგ იარაღსხმული თეოდოსი ნახა. სანამ ბრძოლას დაიწყებდა, თეოდოსიმ აბბა იოანესთან კაცი გაგზავნა, რათა ეკითხა, მოიპოვებდა თუ ვერა წარმატებას. იოანე ეგვიპტის სასწაულთმოქმედი განდევილი იყო. იგი ოცდაათი წლის განმავლობაში ვინრო სენაკში, – მიუდგომელ ქარაფზე ცხოვრობდა, წინასწარმეტყველებდა და კურნავდა. როცა დადებითი პასუხი მიიღო, იმპერატორი რწმენით აღსავსე წავიდა წინასწარმეტყველების აღსასრულებლად. დამარცხებული მაქსიმე თავისმა ჯარისკაცებმა გასცეს და მოკლეს. გამარჯვებული დროებით მედიოლანში დამკვიდრდა. იქ პირველად შეეპაექრა ამბროსი დიდს, რომელსაც ხვედრად

ის ერგო, რომ ქვეყნის ყველა მეფესთან ეპაექრა. ორივე სარიცა და ეპისკოპოსიც, ერთნაირი სულიერი წყობისა იყო, თითქოს ერთ კოლოსალურ ყალიბში ჩამოუსხამთო. მათ მცირე ებრაული სინაგოგის შესახებ იკამათეს, – იგი ქრისტიანებმა დაწვეს. თეოდოსიმ ბრძანა, რომ სინაგოგა საეპისკოპოსოს ხარჯით აღედგინათ. ამბროსიმ ჯერ პატივისცემით აღსავსე სიგელში აუხსნა, რომ არ იქნებოდა სწორი, თუ ქრისტიანებს ამ გადასახადს დაადებდნენ და შეახსენა, თუ რამდენი ეკლესია დაანგრის იულიანეს დროს ებრაელებმა, მერე კათედრიდან პირში უთხრა თეოდოსის სიმართლე და ლიტურგია მანამ აღარ აღასრულა, სანამ ეკლესიისათვის ეს სამარცხვინო ბრძანება უკან არ წააღებინა. მალე მან სიმტკიცის ახალი უჩვეულო მაგალითი აჩვენა, რაც მრავალ მატინაეშია აღწერილი, მას, ერთადერთი, იმპერატორის დამშვიდების ამბავი თუ შეედრება. თესალონიკში ამბოხებამ იფეთქა და შედეგები ანტიოქიისაზე დამლუპველი იყო. ხალხი, რომელიც რბოლაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული მხედრის დაპატიმრებამ განარისხა, ქალაქის მმართველს მიეჭრა და, ზოგიერთ სხვა დიდებულთან ერთად, მოკლა. ამის გაგონებაზე თეოდოსის ადვილადგზნებადი სული მრისხანებისაგან აენთო. მაგრამ ამბროსიმ მრისხანების ეს პირველი შემოტევა ჩაუცხრო და იმისი პირობაც კი მიიღო, რომ დამნაშავე ქალაქს ეპატიებოდა. მაგრამ კეისართან დაახლოებულებმა, განსაკუთრებით კი, – უფროსმა დიდებულმა, რუფინუსმა, ისევ გაალიზიანეს იგი და იმპერატორს ეპისკოპოსისაგან მალულად თესალონიკზე სისხლიანი სამსჯავროს მოწყობის გადწყვეტილება მიაღებინეს. მეფის ჯარისკაცებმა ხალხს ცირკის გარშემო ალყა შემოარტყეს, ასპარეზის შუაგულში შეიჭრნენ და ორივე სქესისა და სხვადასხვა ასაკის შვიდი ათასამდე უდანაშაულო და დამნაშავე განურჩევლად დახოცეს.

ამ მკვლევლობათა შესახებ რომ გაიგო, შეძრწუნდა ამბროსი, მედიოლანიდან მაშინვე წავიდა, რათა მეფეს როგორმე გადმოეღვარა მრისხანება და აბოპოქრებული გონს მოგებუ-



ლიყო. მხოლოდ ის გააკეთა, რომ საკუთარი ხელით ძლიერ ნერილი დაუნერა და ბრალი დასდო იმაში, რომ, ერთადერთი, მხოლოდ მას უმაღლავენ, თუ რა მოლაპარაკებები ხდება მეფის დარბაზებში; ეუბნებოდა, რომ სინდისი აიძულებს, სიმართლე თქვას, – იმიტომ, რომ, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, მღვდელი, რომელიც არ ამხილებს ცოდვილს, რომელიც სასიკვდილო ცოდვას სჩადის, თვითონ არის მის ცოდვაში დამნაშავე. ამბროსიმ თესალონიკში მომხდარი სისხლისღვრის მთელი საშინელება აღუნერა და ეკლესიური მონანიება შესთავაზა; ევედრებოდა, რომ უდანაშაულოთა სისხლში არ ჩარჩენილიყო, დემონისათვის მასზე გამარჯვების საშულება არ მიეცა და ღმერთისათვის მსხვერპლად სული შემუსვრილი და გული დამდაბლებული¹⁴⁰ მიეტანა. „მე შენ მიყვარხარ, შენი ერთგული ვარ და ვლოცულობ შენთვის“, – ასე ამთავრებდა ეპისკოპოსი ნერილს, – „თუ გჯერა ჩემი, მაშ, აღიარე, რომ სიმართლე ამ სიტყვებში, თუ არ ირწმუნებ, მაშინ, ნუ გამსჯი იმის გამო, რომ ღმერთი ვარჩიო შენს თავს“. როცა მედიოლანში დაბრუნდა, ეკლესიაში შესვლა აუკრძალა თეოდოსის. იმპერატორმა დავითის დანაშაული მოუყვანა მაგალითად¹⁴¹, ამბროსიმ მიუგო: – „დანაშაულში კი არა, – სინანულში მიბაძე“. იმპერატორი დაემორჩილა და რვა თვის განმავლობაში ეკლესიაში აღარ შესულა.

აღდგომის დღესასწაული დადგა და იმპერატორი კი თავის დარბაზებში მწარედ მოთქვამდა. რუფინუსმა, ვისაც მის დანაშაულში ბრალი მიუძღოდა, მიზეზი ჰკითხა. „ეჰ, ყველაზე უფრო ლატაკს აქვს ღმერთის ტაძარში შესვლის უფლება“, – მიუგო მან, – „მე კი ტაძარიც გადამეკეტა და ზეცაც!“ მაშინ რუფინუსმა სთხოვა, რომ წასულიყვნენ და შევედრებოდნენ ამბროსის. „ამაო გარჯა იქნება“, – განაგრძო თეოდოსიმ, – „ვგრძნობ, სამართლიანად ვისჯები, ვიცი, მეფისადმი პირფერობას არ დაინწყებს და ღვთის მცნებას არ გადაუხვევს“.

¹⁴⁰ ფსალ. 50: 17;

¹⁴¹ დავით მეფემ ურია ხეთელს ცოლი წაჰგვარა, ამ ცოდვის მოსანანიებლად დაწერა 50-ე ფსალმუნი

რუფინუსი ამბროსისაკენ გაეშურა და კეისარი შეწყალებული იმედით ნელა აედევნა უკან. მაგრამ ამბროსიმ, ღვთივმოშურნეობით აღვსებულმა, დიდებულს განუცხადა, რომ ტაძრის შესასვლელთან პირადად გადაუკეტავს გზას იმპერატორს და სიხარულით დაიღუპება. სასახლის კაცი შეშინებული გაიქცა თეოდოსისკენ, რათა შეეჩერებინა. მაგრამ მომნანიე და კეთილი გრძნობებით აღვსებული თეოდოსი გზას განაგრძობდა, – განზრახული ჰქონდა, დამსახურებული სირცხვილი მიეღო. ეკლესიაში არ შესულა, ერთ-ერთ კარიბჭესთან მჯდარ ეპისკოპოსს მიუახლოვდა და შეევედრა, შესვლის ნებართვა მიეცა. – „შენ ღმერთის წინააღმდეგ მიდიხარ და მის კანონებს ფეხქვეშ თელავ“, – მამაცურად მიუგო მწყემსმა, – „არა“, – მიუგო კეისარმა, – „მე მათ პატივს ვცემ და ჩემთვის ეპიტიმისას გთხოვ, – იმიტომ, რომ მონანულთათვის დახურული არ არის უფლის კარი“. ეპისკოპოსმა მას სახალხოდ სახილველი სასჯელი დაადო და მოსთხოვა, გამოეცა ბრძანება, რომ ოცდაათი დღის განმავლობაში არავის დასჯიდნენ სიკვდილით. მაშინ წინაკარში შეუშვა. თეოდოსიმ ყველა სამეფო შემკობილობა მოიხსნა, ტაძარში დადგომა ვერ გაბედა, ფიცარნაგზე დაემხო, მკერდში და სახეში ხელებს იცემდა¹⁴² და მომნანიე მეფე წინასწარმეტყველის ფსალმუნს იმეორებდა: „მიეახლა სული ჩემი მიწასა; მაცხოვრე მე სიტყვისაებრ შენისა. გზანი ჩემნი გითხრენ შენ, და ისმინე ჩემი; მასწავენ მე სიმართლენი შენნი“¹⁴³. მის გარშემო ოხრავდა მლოცველი ხალხი, ხედავდა მორჩილებას თავისი მპყრობელისა, რომელსაც მთელი ცხოვრება ახსოვდა ის მძიმე ცოდვა.

კეთილმოსურნეობით აღვსებული ხელისუფალი მთელი სიმკაცრით იცავდა საეკლესიო წესებს, ასეთსავე მოშურნეობას იჩენდა წარმართობის აღმოსაფხვრელად, ძირითადად, –რომსა

¹⁴² მინიშნება სახარებისეულ იგავთან ფარისევლისა და მეზვერის შესახებ, – ფარისეველი უცოდველად მიიჩნევს თავს, მებაჟე კი „იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო მიღბინე ცოდვილსა ამას,“ მეზვერე უფრო გამართლებულია, ვიდრე ფარისეველი, იხ. – ლ. 18: 10-13;

¹⁴³ ფსალ. 118: 25-26.

და ალექსანდრიაში წარმართობა ისევ შენარჩუნებული იყო. ამ ბროსის შთაგონებით მან ისევ უარყო გამარჯვების საკურთხეველის შესახებ სენატის თხოვნა და ახალგაზრდა იმპერატორ ვალენტინიანთან ერთად კერპთათვის მსხვეპლშენირვა და თაყვანისცემა აკრძალა, ვალენტინიანი ეკლესიის საქმეთა მოწყობაში არ ჩამოუვარდებოდა მას. როცა ალექსანდრიაში ამბოხი მოხდა იმის გამო, რომ ქრისტიანთა მხილებებით გაღიზიანებული წარმართებმა ბევრი ადამიანი მოკლეს და თავად კი სერაპისის გამაგრებულ ტაძარში ჩაიკეტნენ, თეოდოსიმ ბრძანა, გაენადგურებინათ ეს საკერპო. ეგვიპტის დედაქალაქში იგი გამორჩეული იყო და თაყვანს სცემდნენ როგორც წარმართულ ტაძართა შორის ყველაზე უფრო დიდებულს, მასში პტოლემეოსის ბიბლიოთეკის ნაწილიც იყო მოთავსებული. ეგვიპტის პრეფექტმა, არქიეპისკოპოსმა თეოფილემ და მრავალმა ქრისტიანმა ალყა შემოარტყეს საკერპოს, ამბოხებულები გაყარეს და მეფის ბრძანების აღსრულებას შეუდგნენ. სერაპისის კოლოსალური კერპი, რომელშიც წარმართები თავიანთი ხსნის სანინდარს ხედავდნენ, მათ თვალთა წინაშე დაანგრიეს. ამ ამბავმა ჯერ შიში, შემდეგ კი – სიცილი გამოიწვია, რადგან მისი თავიდან უამრავი ვირთხა გადმოძვრა. მის დამცვრეულ ნაწილებს მთელ ქალაქში დაათრევდნენ. საფუძვლებითურთ დაანგრიეს საკერპო, მხოლოდ ქვების გროვა დატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ წარმართებს სხვა იმედი ჰქონდათ, ნილოსის წყალმა იმ წელს ჩვეულებრივზე უფრო იმატა, რამაც მდიდარი მოსავალი მოიტანა. ბრბოს ცრურწმენამ იკლო; სახლებში სერაპისის ყველა კერპი მოსპეს; ეპისკოპოსები, თეოფილეს მიბაძვით, მხოლოდ ალექსანდრიაში კი არა, – ყველა ქალაქსა და სოფელში ანგრევდნენ საკერპოებს; სინათლეზე გამოჰქონდათ ყველა ის სამარცხვინო საიდუმლო, რომელსაც კერპთმსახურები დიდი ხნის განმავლობაში მინისქვეშეთის უკუნში აღასრულებდნენ.



მას შემდეგ, რაც თეოდოსი აღმოსავლეთში გადავიდა, ახალგაზრდა ვალენტინიანს წარმართების ძლევამოსილებისათვის რომში წინააღმდეგობის განევა გაუძნელდა. წარმართთა მეთაურები იყვნენ: სიმახი და მეფის წერილთგამრიგე, - რიტორი ევგენი, კომიტი არბოგასტი, - წარმოშობით ფრანკი, ვინც თავისი ხელისუფლის ტირანად შეიქმნა. მეფურმა ახალგაზრდამ, რომელიც ქრისტიანულ სათნოებასა და ხელისუფლის მოვალეობას - ორივეს შესრულებას ყოველდღიურად ასწრებდა, ვერ აიტანა ეს დამცირება, გალიაში წავიდა და დასახმარებლად თეოდოსის უხმო; დასახმარებლად გალიაში ამბროსი დიდსაც უხმობდა, - მისი ხელიდან წმიდა ნათლისღება უნდა მიეღო. იმ დროს მიღებული გაუმართლებელი ადათის თანახმად, ბევრნი მხოლოდ მონიფულ ასაკში ინათლებოდნენ იმიტომ, რომ ეშინოდათ, მხსნელი ნათლობის შემდეგ ახალგაზრდობის მძიმე ცოდვებში არ ჩავარდნილიყვნენ და მოულოდნელი სიკვდილი კი ეწეოდა ხოლმე მრავალს. იგივე უბედურება დაემართა ვალენტინიანს: არბოგასტმა იგი მდინარე რონის ნაპირებთან დააღრჩო. რადგან არბოგასტმა თავისი წარმოშობის გამო პორფირით შემოსვა ვერ გაბედა, კეისრად ევგენი გამოაცხადა. ამბროსი, რომელიც ახალგაზრდის მოსანათლავად მიდიოდა და გზაზე მხოლოდ მის ნეშტსლა შეხვდა, რომელიც მედიოლანში მიეტოვებინათ, საერთო ტირილის ქვეშ მიაბარა იგი მინას. მიცვალებულის ორი მოსიყვარულე დის სანუგეშოდ უფალს შეევედრა, რომ, რადგან მეფური წამებული ნათლობას აპირებდა, ეკლესიის მხურვალე ლოცვით მართალთა შორის დაემკვიდრებინა მისი სული.

თეოდოსიმ ომისათვის მზადება დაიწყო. მაგრამ უნდოდა, რომ მანამდე ისევ გაეგონა განდევნილ იოანე ეგვიპტელის წინასწარმეტყველური სიტყვა და დედაქალაქში მის მოსაწვევად სასახლის კაცი, - საჭურისი ევტროპი გაგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრიის ეპისკოპოსი არწმუნებდა, ნასული-



ყო, მეუდაბნოე ველური მღვიმის დატოვებაზე არ დათანხმდა, თუმც, ის კი უთხრა იმპერატორს, რომ გამარჯვებდა, როდესაც – სისხლისმღვრელი იქნებოდა ომი, რომ იტალიაში წყნარი აღსასრული ელოდა და მისი შვილები მეფეებად შეიქმნებოდნენ. მაშინ თეოდოსიმ, რომელსაც ღმერთის შეწვევის იმედი უფრო ჰქონდა, ვიდრე – იარაღის ძალისა¹⁴⁴, ომამდე დარჩენილი დრო კეთილ საქმეებს დაუთმო, – მონამეთა და მოციქულთა საფლავების მოსანახულებლად დადიოდა, ღარიბებს წყალობას აძლევდა და განუწყვეტელ მარხვასა და ლოცვაში იყო, ან სასულიერო პირებთან საუბრობდა. იმათი დევნაც კი აკრძალა, ვინც მისი მადაგებელი იყო; ეს განსაკუთრებული დიდსულოვნება ბრძანებაში გადმოსცა: „თუ იმიტომ იქმან ამას, რომ სულელნი არიან, ყურადღებას არ იმსახურებენ, თუ უგუნურობით მოსდით, – შესაბრაღისნი არიან, თუ ბოროტი ზრახვით, – შეეფნდით“.

კიცხვას ასე არ უყურებდნენ ევგენი, მისი დამცველი არბოგასტი და წარმართები. თითქოს მაქსენციუსისა და იულიანეს დრო დაბრუნებულიყო რომში, – წარმართული სამსხვერპლოები ისევ აენტო, მკითხავებმა შეწირული მსხვერპლის შიგნეულობასა და ირგვლივ მფრინავ ჩიტებზე მკითხაობა დაიწყეს. სიმახის მეგობრის, – რომელი პრეფექტის, – ფლაბიანეს რჩევით, იტალიისაკენ სვლისას ტახტის მიმტაცებელი გზად თან კერპებს აღადგენდა, სენატში გამარჯვების საკურთხეველი დადგა, საკერპოებს წართმეულ ქონებას უბრუნებდა. ამბროსი დიდს არ უნდოდა, მედიოლანში შეხვედროდა მას, არც იმისი სურვილი ჰქონია, რომ ეკლესიას შენანირი მიეღო მისგან, წერილობით ამხილა აგრობასტი, ღმერთის სამსჯავროთი ემუქრებოდა. ამბროსი ბოლონიასა და ფლორენციაში გაემგზავრა, იქ ბევრი სნეული განკურნა და წინასწარმეტყველ ელისეს მსგავსად მკვდარი ყრმა აღადგინა. როცა ევგენი მის საეკლესიო ოლქს გასცდა, მედიოლანში დაბრუნდა და თეოდოსის გამარჯვების ლოდინი დაიწყო.

¹⁴⁴ იხ. ფსალ. 146: 10;

თეოდოსიმ ალპები გადალახა და ტირანის ჯარებს კავშირის მიღვრებზე დახვდა. მისმა თანამგზავრმა გუთებმა, შემდგომში ცნობილი ბელადის, – გაიკანასის მეთაურობით, აგრობასტის პირველ შეტევას ვერ გაუძლეს. ღამემ დაამორიშორა ურთიერთმბრძოლნი. ევგენი გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდა და საჩუქრებს არიგებდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ თეოდოსისთვის უკან დასახევი გზა მთებში მოეჭრა. თეოდოსის საუკეთესო მეთაურები ურჩევდნენ, რომ უკან დაეხია. – „ნუთუ ჯვრის ბაირალი ჰერკულესის კერპს დაუთმობს გამარჯვებას?“ – პასუხობდა კეთილმსახური ხელისუფალი და მთელი ღამე მთის წვერზე მდებარე პატარა სალოცავში განმარტოვდა. დიდი ხნის ლოცვის შემდეგ ჩაეძინა, დილით სპეტაკი სამოსით ორნი წარმოუდგნენ და საბრძოლველად გაამხნევეს. იგივე ხილვის შესახებ რიგითმა ჯარისკაცმა ამცნო. სულიერად გამხნეებულმა იმპერატორმა ლაშქარი დაძრა მტრისკენ, რაზმს ქვეითად თვითონ წარუძღვა, წამოიძახა: „სადა ხარ ღმერთო თეოდოსისა?“ ამოვარდა ძლიერი ქარი, რომელიც მტერს სახეში ეძგერა, მტვერი შეაყარა და გასროლილ ისრებს უკან უქცევდა. ევგენის ლაშქარი უკუიქცა და იარაღს ყრიდა. გამარჯვებაში დარწმუნებულმა ევგენიმ იფიქრა, – „უკვე მოჰყავთ დატყვევებული თეოდოსიო“ და გამარჯვებული თეოდოსის ხელში თვითონ აღმოჩნდა, – ხელებდაბორკილი. თეოდოსიმ ვალენტიანიანის მოკვლის გამო დაადანაშაულა იგი და დამსახურებულ სასჯელს გადასცა. არბოგასტს მთებში დაედევნენ. შეწყალების იმედი აღარ ჰქონდა და არბოგასტმა თავი მოიკლა. სხვებს დიდსულოვნად აპატია იმპერატორმა.

მაგრამ, მიუხედავად გამოჩენილი შემწყნარებლობისა, მედიოლანში დაბრუნების შემდეგ რამდენიმე ხანს წმიდა საიდუმლოებებს ველარ ეზიარა, რადგან ბრძოლაში სისხლი დაღვარა. შვილების ნახვით ნუგეშცემულმა ისინი, როგორც ერთგულ ზედამხედველს, ამბროსის ჩააბარა. თვითონ, რადგან იოანე ეგვიპტელის წინასწარმეტყველება ახსოვდა, ამ ქვეყნის დასატოვებლად უკვე ემზადებოდა და თავისი ვრცელი იმპერია

ამიტომ დროულად გადააბარა ორ შვილს, – არკადის აღმოსავლელს
ლეთი მისცა, – მრჩევლად რუფინუსი დაუნიშნა; მცირეწლოვან
ონორს დასავლეთი გადასცა, – ხელმძვანელობა გამოცდილ
ბელადს, – სტილიკონს ჩააბარა. რადგან უნდოდა, რომ გარ-
დაცვალებამდე მოესწრო და იტალიასა და რომში განემტკიცე-
ბინა ქრისტიანობა, სენატორებს არწმუნებდა, განრიდებოდნენ
კერპთა სიბნელეს. მაგრამ ბევრ მათგანს არ უნდოდა, ძველ
ცრურწმენაზე უარი ეთქვა, – ეგონათ, რომ წარმართული სა-
მყაროს დედაქალაქი ორასი წლის განმავლობაში ძველი სარ-
წმუნოების ძალით იდგა. ათ წელსაც არ გაეველო, რომ მის
თავზე გუთებისაგან ამტყდარმა ქარიშხალმა გადაიარა. მაგრამ
რომის წარჩინებულ გვართა უმეტესობა ქრისტიანობას მიე-
კუთვნებოდა. თეოდოსიმ გადაწყვეტილად გამოაცხადა, რომ
სახელმწიფო ხაზინას არ შეუძლია, რიტუალებისა და კერპების
მსხვერპლშენირვისათვის საჭირო გადასახადები გაიღოს და ეს
ხარჯი ჯარის შენახვისაკენ წარმართა. ამის შემდეგ საკერპოე-
ბი დაიცალა და ქურუმები მიმოიფანტნენ.

როცა იტალიაში უკანასკნელად იყო თეოდოსი, დასავლე-
თის ეპისკოპოსებმა კიდევ ერთხელ მიმართეს თხოვნით, რომ
ფლაბიანე ანტიოქელი სასამართლოზე გამოეძახათ იმის გამო,
რომ თითქოს უკანონოდ იყო კათედრაზე დადგინებული. იმ-
პერატორმა თქვა: – „ფლაბიანე მე ვარ, მე გამასამართლეთ,
პასუხს მე მოგცემთ!“ მათმა მცდელობამ ნაყოფი ვერ გამოიღო.
ფლაბიანე, თავის მხრივ, აღმოსავლეთში იყო ფხიზლად, – მან
მასალიანების მწვალებლობა ამხილა. ესენი იყვნენ მოხეტიალე
მონაზვნები, რომლებიც ისე ცხოვრობდნენ, თითქოს ღმრთის
შემეცნებას ესწრაფვოდნენ და სინამდვილეში კი ამქვეყნიურ
გრძნობებს იყვნენ აყოლილნი. იმავე წელს დედაქალაქის სხვა
სახელოვან ეპისკოპოსებთან ერთად ადგილობრივ კრებაზე მი-
იღო მონაწილეობა, ეს კრება მოციქულთა ტაძრის საკურთხევე-
ლად არკადიმ მოიწვია.



თეოდოსი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი მმართველობის განმავლობაში სამეფო და ეკლესია დაამშვიდა ის ნუგეში დაიმსახურა, რომ თავისი მშვიდი აღსასრულის წინ მანამდე გაბატონებული წარმართობისა და მწვალებლობათა დამარცხება ნახა. ნოვატიანელები, არიანელები და მაკედონიანები ერთმანეთში დაიყვნენ და საშიშები უკვე აღარ იყვნენ. თვით დონატისტების სექტაც კი, რომელიც ასეთი ძლიერი იყო აფრიკაში, სადაც მრავალრიცხოვან ჯგუფებს კრებდა, კართაგენის ეპისკოპოსის არჩევასთან დაკავშირებით, ორ მტრულ ბანაკად დაიყო და, თვითონ მართლმადიდებლობისაგან დაცილებულნი, ერთმანეთთან ურთიერთობას გაურბოდნენ. მედიოლანში, შვილებთან მყოფმა, ამბროსის ხელებში, მშვიდად დალია სული თეოდოსიმ. უკანასკნელი საქმე, რაც თავის კეთილად აღსრულებულ ცხოვრებაში გააკეთა, ის იყო, რომ ყველა მტერს შეუნდო. თავისი მჭერმეტყველური გამოსამშვიდობებელი სიტყვით ამბროსიმ საკადრისი პატივი მიაგო მას, - ყველა სიკეთე გაუხსენა და, როცა სხეული დედაქალაქში წაასვენეს, ჯარსა და ხალხს თეოდოსის მცირეწლოვანი შვილისადმი ერთგულების ფიცი მიაცემინა. ისე იქცეოდა, როგორც ეს ონორის ქვამარიტ დამცველს შეშვენოდა, - უკვე მიჩვეული იყო, რომ ობოლ ბავშვთა მფარველი ყოფილიყო. რომის იმპერიაში, რომელიც უკვე აღსასრულს უახლოვდებოდა, აღარ ყოფილა კეისარი, - მსგავსი თეოდოსისა.

ამბროსის უკანასკნელი წლები.
 ნეტარი ავგუსტინე.
 აღმოსავლეთ-დასავლეთის სხვა სახელოვანი
 ეპისკოპოსები და განდეგილები

ამბროსი დიდის ნეტარ აღსასრულამდე ბევრი დრო აღარ იყო დარჩენილი. ეს დრო მან თავისი და მიმდებარე ეკლესიების საქმეთა მოწესრიგებას დაახარჯა, – იგი მხოლოდ მედიოლანის კი არა, – მთელი დასავლეთის მწყემსად მიიჩნეოდა. მისი სიბრძნის მოსასმენად მეზობელი და შორეული მხარეების ეპისკოპოსები მოემართებოდნენ. მეზობელ კათედრებზე ამბროსის ბევრი მოწაფე, – ზოგი თავად ამბროსის სიცოცხლეში, მისივე ხელდასხმით, ზოგი – მის შემდეგ, ეპისკოპოსი გახდა. ესენი იყვნენ: ჰავდენტი ქალაქ პრესცინში, თეოდულე – მოდენში, ონორატი – ვერკელში, ორი ფელიქსი – ბოლონიასა და კომაში, ვენერიუსი – მედიოლანში, წმიდა პავლინი – ნოლში. ეს უკანასკნელი, რომელმაც წმიდა ამბროსის ცხოვრებაც აღგვიწერა, რომის კეთილშობილ მშობელთა შთამომავალი იყო და თავისი გვარისათვის შესაფერისი მაღალი განათლება ჰქონდა მიღებული. როცა წმიდა ნათლობა მიიღო, ახალგაზრდა ცოლი დატოვა, – ცოლს ისე სცემდა პატივს, როგორც საკუთარ დას. ჯერ ესპანეთში გაემგზავრა, სადაც თავისი სურვილის წინააღმდეგ პრესვიტერად დაადგინეს, შემდეგ მედიოლანში ამბროსი დიდის საფარველქვეშ, ბოლოს კი – კამპანიის ქალაქ ნოლში წმიდა ღვთისმსახურ ფელიქსის საფლავზე დაემკვიდრა. ფელიქსის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული ამოძრავებდა. მკაცრი მონაზვნური ცხოვრების გამო მრავალს გულით შეუყვარდა იგი და ისევ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ამჯერად ეპისკოპოსად დაადგინეს. მღვდელმთავრობისას



სასწაულებით განეთქვა სახელი.

ამბროსის სახელი მხოლოდ მახლობელ ქვეყნებში როდი ჰქუხდა, – მისი სიბრძნით დასატკობად შორეული მხარეებიდან მიემართებოდნენ, ბარბაროსებიც ენდობოდნენ. ორი ცნობილი სპარსი მოგვი მედიოლანისკენ მხოლოდ იმისთვის დაადგა გრძელ გზას, რომ ესაუბრა ამბროსისთან. ფრანკთა მეფეები მიიჩნევდნენ, რომ რომაელები მისი წმიდა ლოცვით იმარჯვებდნენ. მდიდრული ძღვენით მარკომანთა დედოფალმა – ფრიტიგილამაც გაგზავნა მასთან ელჩები და ქრისტიანულ სარწმუნოებაში დამოძღვრა სთხოვა. როცა საჯარო წერილი მიიღო, ქმარი და ხალხი დაარწმუნა, რომ ქრისტიანობა მიეღოთ და რომს დამორჩილებოდნენ, თვითონ მედიოლანში გაეგზავრა, მაგრამ დიდ მწყემსს ცოცხალს ვეღარ მიუსწრო.

ქრისტეს შობიდან 379-ე წელი

პავის ეპისკოპოსის ხელდასხმის შემდეგ ამბროსი დაუძღურდა და დასწავლებული ლოგინად ჩავარდა. ამ ამბის გაგებით შეშინებულმა იტალიის მმართველმა, – სტილიკონმა ჭეშმარიტი მეგობრები გაუგზავნა, რათა შევედრებოდნენ, რომ ჯერ არ დაეტოვებინა თავისი კეთილნადვანი ქვეყანა, – რომ ღმერთისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება ეთხოვა. თავმდაბალმა მწყემსმა მოტირალთ ასე მიუგო: – „მე ისე არ მიცხოვრია თქვენს გვერდით, რომ შემრცხვენოდა კიდევ ცხოვრების, მაგრამ არც სიკვდილი მაშინებს, – იმიტომ, რომ კეთილი პატრონი მყავს“. მისი სარეცელიდან შორს მყოფი დიაკვნები ერთმანეთში საუბრობდნენ, თუ ვის უნდა შეეცვალა იგი, ჩუმად მისი მასწავლებლის, – სიმპლიტიანეს სახელი ახსენეს; სულით ჩასწვდა მომაკვდავი მათ ნათქვამს და სამჯერ შესძახა, თითქოს პასუხობსო: – „მოხუცია, მაგრამ – კეთილი!“ სიმპლიტიანე მართლაც მისი მემკვიდრე გახდა, შემდეგ ვენერიუსმა, ერთ-ერთმა მოსაუბრე დიაკონთაგანმა,



შეცვალა იგი. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით დანს სახეზე უეცრად ზეციური ნათელი მოეფინა, – იმ ცეცხლოვანი ენების მსგავსი, რომელიც ოდესღაც მოციქულებზე გარდამოვიდა; მალე ლოცვისას თავად ქრისტე იხილა, – მისკენ სიხარულის გამომხატველი მზერით მომავალი; ჟამიერი ცხოვრების უკანასკნელი საათები დუმილით ლოცვაში გაატარა, – ხელები ჯვრისებურად ჰქონდა დაკრებილი. ზუსტად იმ ნუთებში, როცა უნდა აღსრულებულიყო, ვერკელინის ეპისკოპოსს, – ონორატს ძილში უეცრად ჩაესმა: „ადექი, ის მიდის“, – გაეშურა მომაკვდავის სარეცელისკენ, მოასწრო, რომ კიდევ ერთხელ ეზიარებინა ამბროსი დიდი, რომელმაც მარადიული სიცოცხლის საგზალი მიიღო და მშვიდად მისცა უფალს სული. ეს დიდი შაბათის წინ მოხდა და აღდგომის დღესასწაულზე მედიოლანის ეკლესია დიდმა გლოვამ მოიცვა. მის წმიდა ნაწილთაგან მრავალი ეშმაკეული და სნეული განიკურნა. მრავალ ახალმონათლულს გამოეცხადა მწყემსი, თითქოს ემბაზიდან მასთან მისულთ თეთრი შესამოსელით ეგებებოთ. პატარა ბავშვები მისკენ უთითებდნენ გაოგნებულ მშობლებს, – თითქოს კათედრასთან იჯდა; მისი აღსასრულის დღეს პალესტინაში ზოგიერთ წმიდა კაცს ლოცვისას გამოეცხადა.

ამბროსი დიდის ერთი ცნობილი მოსწავლე და დასაველეთში მისი სახელის მემკვიდრე უკვე მღვდელმთავრობდა თავის შორეულ სამშობლოში; – ნეტარმა ავგუსტინემ თავის მეგობარ ალიპისთან ერთად კართაგენში პირველი სამი წელი სრულ მარტოობაში გაატარა; მთლიანად მარხვასა და ლოცვას მიეცა; სულის სასარგებლო წიგნებს წერდა. ალიპი მალე ქალაქ ტაგასტის ეპისკოპოსად დაადგინეს. ავგუსტინე, რომელსაც იგივე ხვედრის ემინოდა და, რადგან იცოდა, რომ, მის შესახებ უკვე გავარდნილი იყო ხმა, გაურბოდა ისეთ ქალაქებს, რომელშიც ეპისკოპოსი არ ჰყავდათ. მაგრამ ერთხელ მეგობრებმა მეზობელ იპონიაში დაუძახეს, ეკლესიაში ხალხმა შეიპყრო და ეპისკოპოსმა ვალერიმ ძალით დაასხა მღვდლად ხელი. წარმოშობით ბერძენი ვალერი მოხუცი იყო, – გაუნ-



არდა, რომ გამოჩნდა კაცი, ვინაც ლათინური იცოდა. ცრემლი
 ერეოდა, მაგრამ დამორჩილდა ავგუსტინე და ხალხი მოწყურ-
 ბული ისწრაფვოდა, რომ ფსალმუნების, დაბადების წიგნისა და
 „საქმე მოციქულთას“ შესახებ მისი ბრძნული განმარტებები ეს-
 მინა. მართლმადიდებლები და დონატისტები ერთად მიდიოდნენ
 მასთან, რათა ემხილებინათ მანიქეველები, რომლებიც ზოგჯერ
 ბედავდნენ და მასთან სახალხო პაექრობას მართავდნენ, შემდეგ
 შერცხვენილები ტოვებდნენ კრებას; თვით დონატისტი ეპისკოპ-
 ოსებიც გაუმართავდნენ ხოლმე კამათს, მაგრამ ძალაუნებურად
 დუმდებოდნენ და მრავალ მომხრეს კარგავდნენ.

ქრისტეს შობიდან 395-ე წელი

მოხუცებულმა ვალერიმ, რომელიც თავისი მღვდელმ-
 თავრის ღვანლს სამართლიანად აფასებდა, ნუმიდიის მთავარ-
 ეპისკოპოსი დაითანხმა, რომ სხვებთან ერთად იპონში ჩასული-
 ყო და მღვდელმთავრის სიცოცხლეში მის მემკვიდრედ ავგუს-
 ტინე დაედგინათ, – მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიკეის კანონებს
 ეწინააღმდეგებოდა. უარობდა ავგუსტინე, მაგრამ იძულებულ
 გახდა, დათანხმებოდა მწყემსებს და სამწყსოს და სამღვდელმ-
 თავრო კათედრაზე უფრო მეტი მოშურნეობით განაგრძო მოღ-
 ვანობა. აფრიკის უხუცეს ეპისკოპოსს, – კართაგენის ტახტზე
 მყოფ, კეთილმსახურ ავრელიანთან კარგი დამოკიდებულება
 მთელი მხარისათვის სასარგებლო აღმოჩნდა. ხშირმა ხალხმრავ-
 აღმა კრებამ, რომელსაც ავრელიანი ეკლესიის მოხერხებული
 მართვისათვის აფრიკის სამ ოლქში, ნუმიდიასა და მავრიტა-
 ნიაში პერიოდულად იწვევდა ხოლმე, ბევრი შეპარული უწეს-
 რიგობა აღმოფხვრა და კათოლიკე ეკლესიის მიერ აღიარებული
 ასორმოცდაათამდე წესი შემოგვინახა. ამ კრებათა მოწვევის
 ერთ-ერთი მიზეზი დონატისტთაგან ჩამოგდებული მძლავრი
 და დიდხინანი განხეთქილების აღმოფხვრა იყო, – მიუხედა-
 ვად იმისა, რომ შინაგანხეთქილებანი ჰქონდათ, დონატისტებს



თავიანთ კათედრებზე მართლმადიდებელთა მონინააღმდეგ
 ოთხსამდე ეპისკოპოსი ჰყავდათ და მართლმადიდებელთა
 ნალმდეგ ყველა ქალაქში თავიანთ კათედრებს აარსებდნენ.
 დაყვავებისა და სიმკაცრის ყველა საშუალება უკვე გამოცდი-
 ლი იყო, კრებებზე ამაოდ უხმობდნენ განდგომილებს, შემწყ-
 ნალებლური წინადადებებით მოსალაპარაკებლად საუკეთესო
 ეპისკოპოსებს აგზავნიდნენ ხოლმე. ყველა ეპისკოპოსს ევალე-
 ბოდა, რომ თავის ეპარქიაში მეგობრულად ეკამათა მათთან,
 ეკლესიის წიაღებში დაბრუნებულნი თავინთ კათედრებსა და
 ხარისხებს ინარჩუნებდნენ; ზოგჯერ კი კრების მამები იმპერა-
 ტორებს მიმართავდნენ, რათა ხელისუფლების საშუალებით
 შეეჩერებინათ ისინი, ვინც სამოქალაქო კანონებს არ ემორ-
 ჩილებოდნენ, როცა მრისხანებით სავსენი მართლმადიდებელ-
 თაჲსოფლებს ესხმოდნენ თავს. ახალი ცერკუმცელიონები თა-
 ვიანთი საშინელი სისხლისმღვრელი საქმეებით ძველებს აჭარ-
 ბებდნენ. მღვდელმთავრები იმპერატორებს აფრიკის ოლქებში
 კერპთაყვანისმცემლობის ნარჩენთა განადგურებას სთხოვდ-
 ნენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კართაგენის კრება შიდა საქ-
 მეების მოწყობაში განსაკუთრებული სიფრთხილით იქცეოდა,
 ზუსტად განსაზღვრავდა, თუ რა ზნეობრივი და სამოსამსახ-
 ურო მოვალეობები ჰქონდათ სასულიერო პირებს, როგორ და
 რის მიხედვით უნდა აერჩიათ მაღალი და დაბალი იერარქიის
 მღვდელმსახურები; წმიდა მამები იმისთვის ზრუნავდნენ, რომ
 ყოველი ეპარქიის საოლქო, ან კართაგენის საერთო კრებაზე
 გასამართლებულებს ზღვის იქით არ ეძებნათ სამართალი, -
 ზოგჯერ ხდებოდა, რომ ზოგიერთ ზნეობრივად ჩამოუყალი-
 ბებელ და კანონიერად მსჯავრდებულს იმედი ჰქონდა, რომ
 იმ მოსამართლეთაგან გამართლდებოდნენ, რომლებმაც მათ
 ცოდვათა შესახებ არაფერი იცოდნენ. კრება თავიანთ ეპის-
 კოპოსთა ნებისდამრთველი სიგელის გარეშე იტალიაში გამგ-
 ზავრებასაც მკაცრად კრძალავდა, რომის საზღვარგარეთულ
 სასამართლოზე სიმართლის ძებნას კანონიერად არ მიიჩნევდა.
 იგი კეთილგონივრულად განსჯიდა, - მიიჩნევდა, რომ ნები-



სმიერ სასამართლოს შეუძლია, დანაშაულის ადგილას იქნას გამართული და რომ სულმა წმიდამ თავისი მადლი ქრისტეს სახელით მოწვეულ მწყემსთა მთელ კრებას მოჰფინა და არა მათი საქმეებისაგან განაპირებულ ერთ განსაკუთრებულ მწყემსს. რათა ამქვეყნიური ამპარტავნება დაემორჩილებინათ, მამებმა, მიუხედავად იმისა, რომ, მავრიტანიისა და ნუმიდიის არქიეპისკოპოსთა უფროსობა და კართაგენის უპირატესობა აღიარეს, არ აძლევდნენ იმის ნებას, რომ პირველმღვდლებად ან ხუცესთა მთავრებად ან იმ რაიმე მსგავსი სახელით ყოფილიყვნენ წოდებულნი, რაც მშვიდობას დაარღვევდა.

ქრისტეს შობიდან მე-400 წელი

ნეტარი ავგუსტინე, რომელიც ავრელიანესთან ერთად კრებათა სულისჩამდგმელი იყო, სხვაზე უფრო მეტი მოშურნეობით იბრძოდა. ეს განსაკუთრებით დონატისტებზე ითქმის, - ისინი მის მოკვლასაც კი ცდილობდნენ. მაგრამ გამძვინვარებულთაგან განგება იხსნიდა ხოლმე. დოგმატების, მართლმადიდებლური სარწმუნოების საიდუმლოთა, წმიდა სამების ღმრთეების, ოთხი სახარების ერთმანეთში შეთანხების შესახებ დანერვილი მისი დამრიგებლური წიგნები მხოლოდ მთელ აფრიკაში კი არა, - სრულიად რომის იმპერიაში ვრცელდებოდა. ეს განსაკუთრებით ღმერთის ქალაქზე შექმნილ შესანიშნავ ნაშრომს ეხება, - მასში ვრცლად წარმოაჩინა, რომ ღმერთის მიერ წინასწარ იყო გადაწყვეტილი სამყაროს შექმნა, გამოსყიდვა. მორჩილების განწყობილებით სავსე ნეტარმა ავგუსტინემ თავისი ძველი შეცოდებები მჭერმეტყველურ აღსარებაში გაამჟღავნა. მათზე სახალხოდ საუბრისა არ შეეშინდა, - უნდოდა, სხვებსაც შეძლებოდათ და ენახათ ცოდვილი, რომელმაც მოინანია. დოგმატთა შესახებ ბევრი დასავლელი ეპისკოპოსი ეკითხებოდა; დასავლეთისა და აღმოსავლეთის საუკეთესო ღვთისმეტყველებთან ჰქონდა წერილობითი ურთიერთობა,



განსაკუთრებით უნდა ითქვას – ნმიდა პავლინ ნოღანენე, ვისდამიც გამორჩეული პატივისცემა აკავშირებდა და მთელი მელ განდეგილ – იერონიმეზე, რომელსაც ზოგჯერ შენიშვნებს აძლევდა და სამაგიეროდ მისგანაც ლებულობდა.

იმ დროს აღმოსავლეთი ორიგენეს ერესმა შეაშფოთა და ორ დიდ მწყემსს, – იოანე იერუსალიმელსა და ნმიდა ეპიფანე კვიპრელს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ამ უკანასკნელმა თავის სავანეში პრესვიტერად იერონიმეს ძმა, – პავლინი აკურთხა. ეს სავანე იოანეს საეკლესიო ოლქს მიეკუთვნებოდა და ამით მისი უკმაყოფილება გამოიწვია. იოანემ თეოფილე ალექსანდრიელთან იჩივლა, თეოფილეს ორივე კათედრა ექვემდებარებოდა. ეპიფანე და იერონიმე, რომლებიც პავლინის კურთხევას სამართლიანად მიიჩნევდნენ და თეოფილეს სასამართლოს არ ეთანხმებოდნენ, იოანეს ორიგენეს ცდომაში, – იმ საკითხთან დაკავშირებით სდებდნენ ბრალს, რომელიც სხეულებზე ადრე სულების შექმნას, ტანჯვათა არამარადიულობასა და ქვეყნიური სამოთხის ალეგორიულ გაგებას ეხებოდა. ამ აზრის გავრცელებაში მთავარ დამნაშავეებად ისინი აქვინელ პრესვიტერს, ორიგენეს მთარგმნელს, – რუფინუსს მიიჩნევდნენ. იგი დიდ მელანია რომაელთან ერთად დიდხანს იყო პალესტინაში; დამნაშავედ მიიჩნევდნენ ასევე – პალადი განდეგილს, რომელმაც ეგვიპტის უდაბნოებში დიდი ბერის, – ისიდორეს ხელმძღვანელობით მრავალი წელი გაატარა; ეჭვი ჰქონდათ, რომ ისიდორეც ორიგენეს მიმდევარი იყო. რუფინუსმა, იტალიაში დაბრუნებისას, ორიგენეს თამამი ქებით დასავლელ ეპისკოპოსთა მრისხანება დაიმსახურა. ბოლოს იგი რომში გაასამართლეს. სასჯელი ორიგენეს ნაშრომებზეც გავრცელდა, – ისე, რომ მეფის ბრძანებით მათი, როგორც სულისათვის მავნებლურის, კითხვა აიკრძალა. თვითონ იერონიმე რუფინუსთან დიდი ხნის ურთიერთობის შემდეგ იძულებული გახდა, თავის გასამართლებლად მის წინააღმდეგ მამხილებელი წერილი დაენერა, – იმიტომ, რომ ყოფილი მეგობარი ცდილობდა, ჩრდილი მიეყენებინა და ისიც ორიგენეს მიმდევრად



წარმოეჩინა. წმიდა ეპიფანე კვიპროსში, დასავლეთის მიზიდვით, სახელგანთქმული, მაგრამ ცოდვისაკენ გადადრეკილი ალექსანდრიელი მასწავლებლის ქმნილებათა წინააღმდეგაც ასევე ძლიერად აღდგა. მის ნატიფ მშვენიერებას ყველა ვერ სწვდებოდა, თვით თეოფილეზეც კი მიჰქონდათ ეჭვი და მწვალებლად ერყვენებოდათ. ეგვიპტის დედაქალაქის მეზობლად მცხოვრები მრავალრიცხოვანი მონაზვნის მღელვარებამ ეპიფანეც აიძულა, მთელ ეგვიპტეში დაგზავნილი წერილებით ხმამაღლა გაემტყუნებინა ორიგენეს წიგნები.

ქრისტეს შობიდან 395-ე წელი

თეოფილეს ეპისკოპოსობის პერიოდი დიდი მოსაგრეებით დასახლებული ნიტრიისა და სკიტის უდაბნოებისათვის ყველაზე უფრო აყვავებული იყო. რუფინუსისა და პალადიუსის შემდეგ მათი აღწერა ნეტარმა კასიანემ შემოგვინახა. კასიანემ სოცმანვილიდან ღმერთის სამსახურისთვის გადადო თავი და ბეთლემის ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა. შემდეგ მან და მისმა მეგობარმა გერმანემ ცოტა ხნით ეგვიპტეში ითხოვეს წასვლა, – უნდოდათ, რომ სულიერ ცხოვრებაში მეტი სრულყოფისათვის მიეღწიათ. ტენესის ქვემო ნაპირებთან მიცურეს და იქ პანეფის მოხუცებული ეპისკოპოსი არხივი ნახეს. იგი მორჩილად დათანხმდა, რომ მცირე მადლობების წყალუხვ ადგილებში დასახლებულ ბერთა მიმდებარე სენაკებისკენ მათი წინამძღოლი გახდებოდა. ბერები პირველად ყველაზე უფროსს, – ქერემონს მიუყვანა. იგი ისე იყო დაბერებული, რომ მხოლოდ ხელებითლა ცდილობდა გადაადგილებას, მაგრამ ცხოვრების მკაცრ წესზე უარს მაინც არ ამბობდა. დიდი გარჯის შემდეგ მიაღწიეს იმას, რომ დამრიგებლური სიტყვა მოესმინათ მოხუცისაგან. იგი დიდხანს ბოდიშობდა, რომ უკვე მოხუცი იყო და კიდევ – იმიტომ, რომ, დიდი ხანი იყო, რაც, მონაფეებს მის გვერდით დასახლებას უკრძალავდა,

რათა ცუდი მაგალითი არ გადაეღოთ მისგან და მონაწილეობა არ მიიღოთ მისი დაუძღვრება არ მონდომებოდათ; ბოლოს, სულით აღსრულებული უბინოებასა და სიყვარულზე ილაპარაკა, — ეს არის უმაღლესი სრულყოფილებაო; ილაპარაკა ღმრთის მადლზე, რომლის გარეშეც ეს სათნოებანი ვერ მიიღწევა. შემდეგ ორი სახელოვანი მოხუცი, — აბბა ნესტერიონი და აბბა იოსები სულიერ შემეცნებასა და იმ განსხვავებაზე ესაუბრნენ, რაც ქმედითა და ჭკრეტისაკენ მიდრეკილ ცხოვრებათა შორის არსებობს, ესაუბრნენ ღვთაებრივ ნიჭთა შესახებ, ჭემმარიტ სიყვარულზე, — მასზე, რამაც ეს ორი მოსული გააერთიანა.

პანეფისის მახლობლად თავიანთი მოძღვარი, — აბბა პანუფი იპოვეს. განსაკუთრებული მორჩილებისა გამო მან ორჯელ დატოვა მასზე დაქვემდებარებული სავანე, რათა შორეულ მონასტრებში ყველა მორჩილებითი ღვანლი აღესრულებინა. იგი ბეთლემში ისე მიიღეს, როგორც ერთ-ერთი დამწყები და ახალგაზრდა კასიანესა და გერმანეს სენაკში მიუჩინეს ადგილი. მონაფეებმაც სწორედ იქ იპოვეს. თავისი პალესტინელი ნაცნობები სიყვარულით მიიღო პანუფმა. ჩვეული სიმდაბლით აღსავსეს, მიუხედავად იმისა, რომ, მოძღვრის თანამდებობა ჰქონდა, უნდოდა, სენაკში მათთან ერთად ეცხოვრა. აბბა იოსებმა დაარწმუნა მოსულები, რომ, თუ ეგვიპტის უდაბნოებში სულისათვის სარგებელს ხედავდნენ, ნუ აჩქარდებოდნენ და ჯერ ნუ დაბრუნდებოდნენ ბეთლემში. ცოტა მოშორებით, — ნილოსის ნაპირებთან ერთ-ერთმა განდეგილმა, — მოხუცმა არხივმ დაუთმო მათ საცხოვრებლად თავისი ადგილი.

იქ ისინი ეგვიპტის ერთ უძველეს განდეგილს, — მღვდელ პიამონს დაუახლოვდნენ; მან სამი სახის ბერთა შესახებ უამბო, ესენი არიან: ერთად დასახლებულნი, ე. ი. — რომელიმე სავანეში პახუმი დიდის წესდების მიხედვით მცხოვრებნი, განდეგილები, რომლებიც პავლესა¹⁴⁵ და ანტონის ბაძავენ და ეგრეთ

¹⁴⁵ იგულისხმება პავლე თებაიდელი, — ანტონი დიდის წინ მოღვაწე განდეგილი, რომლის შესახებ ზემოთ იყო მოთხრობილი; მუუდაბნოეობას ანტონი დიდმა განუთქვა სახელი, უამრავი მიმბაძველი შეიძინა, ჩამოყალიბებული სახე მისცა განდეგილურ ცხოვრებას და ამიტომ მიიჩნევა იგი სამონასტრო



წოდებული – სარავაიტები, რომლებიც საკუთარი თავისათვის ყოველგვარი სარგებლის მოტანის გარეშე, სადაც უნდა იქ, დაიარებიან. მეზობლად მდებარე ილუმენ პავლეს სავანეში მოხუცმა იოანემ, რომელიც უდაბნოში მოსაგრეობის შემდეგ მეტი მორჩილებისათვის მონასტრის კედლებს დაუბრუნდა, იმ მოსალოდნელ საფრთხეთა შესახებ ამცნო, რაც განდევილთა და ერთად დავანებულთა ყოფას ემუქრებოდა. მაგალითად ორი მაკარი მოჰყავდა, – ისინი, მიუხედავად იმისა, რომ განდევილობასა და ამქვეყნიური საზოგადოებისაგან მთლიანად დაცილებას ესწრვაფვოდნენ, მნახველების სიმცირეს არ უჩიოდნენ, საძმოში, თავიანთ განცალკევებულ სენაკებში, ისეთი განსაკუთრებული შემწყნარებლურობით ღებულობდნენ ხოლმე მათ, თითქოს ყოველთვის მათთან ერთად ეცხოვროთ. კასიანე და გერმანე იქ აბბა თეოფანეს მონახულებამ ანუგეშა. თეოფანემ, რომელიც ცოლ-ქმრობის ბორკილებით იყო შეკრული, ცოლი და ქონება ქრისტეს გამო დაუტევა და მას შემდეგ, რაც ქონება ღარიბებს დაურიგა, სავანეშიც მონაწილის გამღებად იქცა. როცა ეგვიპტეში დიდი ხნის განმავლობაში გამოცდის შემდეგ ყარიბებს სამშობლო მოენატრათ, აბბა აბრაამმა, რომელსაც ბავშვს ეძახდნენ იმის გამო, რომ სულ უბოროტო იყო და ბავშვურად სუფთა სული ჰქონდა, საუბრით განამტკიცა ისინი თავიანთ ძველ გადანყვებილებაში, რომ ჭეშმარიტი მოსაგრეობა, სრული განდგომა და აუცილებლად ხელსაქმით დაკავება იყო საჭირო, რათა ამქვეყნიურ ფიქრთაგან განერთოთ თავი.

მაშინ ისინი ამქვეყნიურ გზათაგან ძალიან დაშორებულ უდაბნოს სიღრმეში შევიდნენ. იქ წმიდა მაკარი ალექსანდრიელმა დამოძღვრა სულიერად. იგი მღვდელი და ნიტრიის სა-

ცხოვრების ფუძემდებლად (ნეტარი იერონიმე მას „სამონასტრო ცხოვრების სიმბოლოს“ უწოდებს, – Творения блаженного Иеронима Стридонского, ч. 4, с. 1, – А. И. Сидоров, – Древнехристианский аскетизм и зарождение монашества, М., 1998, с. 121); თუმც, მას წინამორბედებიც ჰყავდა; „მონაშეთა აქტები“ ცხადყოფს, რომ II-III სს-ების ეგვიპტეში უკვე არსებობდა განდევილთა სავანეები (отт I. Les moines en Occident, t. I., 1985, – ხსენებულ საკითხებზე იხ. ა. ი. სიდოროვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 121 და სხვა);



ვანეებსა და მთელ ეგვიპტეში მიმოფანტულ, - ოდიფანვე
სახელგანთქმულ სენაკებში დასახლებულ მონაზონთა ნინამძღვარი იყო. სკიტის ეულ უდაბურ ადგილებში მის კიდევ ერთ დიდ მეგობარს, - მაკარი ეგვიპტელს შეხვდნენ. იგი უშუალო ნინამძღვარი არ ყოფილა ცალკეული სავანეებისა მოღვაწე მრავალრიცხოვანი განდეგილებისა, მაგრამ მათი საერთო ნინამძღვრის მიერ პატივდებული იყო. როცა საბჭოდ შეიკრიბებოდნენ ხოლმე, მის რჩევას განსაკუთრებით ენდობოდნენ სკიტელი ძმები. უდაბნოს დიად მნათობებად ნათობდნენ: მოხუცებული ისიდორე და ალექსანდრიელი მღვდელი და ყარობთშემწყნარე ისიდორე, ორი პატნუფი, კეფალი და ვუვალი, ანუ კამეჩი, რომელსაც ასე იმიტომ შეარქვეს, რომ ყველაზე უფრო ველური ადგილები უყვარდა; პიმენი, რომელიც მამისეული სახლიდან ახალგაზრდობაში ექვს ძმასთან ერთად გაიქცა, რათა უდაბნოში დამკვიდრებულიყო; გადარაზული მღვიმის კართან ამოდ მივიდა დედა: - „სად გინდა, რომ გვხედავდე?“ - ჰკითხა პიმენმა ატირებულ დედას, - „აქ მოკლე დროით თუ მარადიულად - სამარისაგან თავდაღწეულებს?“ დედამ მარადიულობა არჩია. აბბა დანიელი, ისააკი და მოსე ლიბიელი ღმერთისადმი სიყვარულის გაგრილების მიზეზთა შესახებ, ჭემმარიტ ლოცვაზე, გადარჩენის იმ საშუალებებზე ესაუბრნენ კასიანეს, რომელიც განდეგილმა უნდა დაიცვას.

სხვა მოსეც იყო სკიტის უდაბნოში, - არანაკლებად დამოძღვრავი; ქრისტესკენ ჭემმარიტად მოიქცა იგი, როცა მკვლევლობის გამო გაქცეული იძულებული გახდა, თავშესაფარი სავანის კედლებში ეძებნა. ილუმენი და ძმები შეძრწუნდნენ, როცა თავიანთი კარებთან მდგარი ყაჩალი ნახეს; და გაოცდნენ, როცა მისი ღრმა სინანული იხილეს, - იმიტომ, რომ სულიერი მოსაგრეობით მან მოკლე დროში სხვა მონაზვნებს აჯობა: ასე ძლიერად მისწვდა ღმერთის მადლი. მაკარი დიდის რჩევით იგი ეულ ადგილას განმარტოვდა, რათა ვნებები ჩაეცხრო. უჩვეულო ძალით აღსავსე ხსნის იარაღად გამოადგა ოთხ სხვა ყაჩაღს, რომლებიც შეკრულები მიიყვანა სკიტის ეკლესიაში.

მთელი ღამეები უდაბნოში დადიოდა, რათა უძლურ მოხუცთა სარწყულები შორეული ქიდან მოტანილი წყლით აეცხო, ამით თავის ამბოხებულ სხეულსაც აუძლურებდა. ტკბილი საუბრის ნიჭი ჰქონდა ზეციდან ბოძებული, რათა ნუთისოფლიდან მოსულები საკუთარი გამოცდილებით სწორ გზაზე დაედგინა. მაგრამ, როცა თავის ძველ სასტიკ ცხოვრებას და ქრისტეს სიტყვებს იხსენებდა, რომ ყველა, ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე დაიღუპება¹⁴⁶, მონამეობრივი აღსასრულისათვის ემზადებოდა და არ უნდოდა, რომ ბარბაროსთა შეტევებს დამალვოდა, მაზიკთა ველურმა ტომებმა მოკლე დროში სამჯერ გაანადგურეს სკიტის უდაბნო და ბევრი მოსაგრე გააგდეს.

აბბები: ესაია, ალათონი და სერაპიონი ასევე იმ დიდ განდეგილებში ითვლებოდნენ, რომელთაგანაც გამშვენიერებულიყო სკიტის უდაბნო. იქ დაყუდებულიყო ბესარიონი, რომელმაც ღარიბებს ქრისტეს გამო ჯერ ზედა სამოსი გაუნანილა, შემდეგ – ქვედა¹⁴⁷, ბოლოს გაასაჩუქრა თავისი ერთადერთი წიგნიც, – სახარება, რომელმაც გადააწყვეტინა ეს ნებაყოფლობითი გაღარიბება. ღარიბთა გამოსყიდვის მიზნით სერაპიონმა ორჯერ მონად გაყიდა თავისი თავი რათა ღარიბები გამოესყიდა. იოანე ტანდაბალი კაცი იყო, მას სახელად კოლოვს ეძახდნენ; იოანე კოლოვთან დარიგებების მისაღებად უდაბნოს მთელი სამყო მოდიოდა. ადრე მან თვითონ აჩვენა სულიერი მოძღვრისადმი მორჩილების იშვიათი მაგალითი, – მაშინ, როცა მისი სურვილით ქვიშაში ჩასმულ კვერთხს ორი წლის განმავლობაში რწყავდა იმ იმედით, რომ გაიხარებდა. და კვერთხი, იოანეს რწმენით, ბოლოს გაიზარდა და მრავალთა გასაოგნებლად ნაყოფი გამოიღო. მისი თავმდაბლობა და მორჩილება შემსმენელობასთან იყო შეზავებული. სულ მცირე უსიამოვნო სიტყვის წამოცდენისას უდაბნოში გარბოდა, რადგან ძმის აკიცხვისა ეშინოდა. მისი ლოცვა კი ისეთ სიმალეებს აღწევდა, რომ, თითქოს, მთლიანად ზეციური ალით შემოსილაო, მინაზე

¹⁴⁶ იხ. მათ. 26: 52;
¹⁴⁷ იხ. ესაია, 3: 21;



უკვე ველარ გრძნობდა თავს. დიდ მასწავლებელთან ერთად მისი ღირსი მოწაფე, იმპერატორთა მამად წოდებული, არსენი მიიყვანეს, – ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ იგი მართლაც მასწავლებელი იყო არკადისა და ონორისა. სასახლის ბრწყინვალეობამ თავი მოაბეზრა მას, შინაგანი ხმის ძახილით უდაბნოში გაიქცა, – ხალხიდან შორს მოუწოდებდა ეს ხმა.

იოანემ იცოდა, თუ რა მაღალი ჩინი ჰქონდა უდაბნოში დაყუდების ახალ მსურველს, უნდოდა, გამოეცადა, კეთილშობილური სურვილის შესაბამისი ის თავმდაბლობა თუ გააჩნდა, რომლის გარეშეც მონაზვნად გახდომა შეუძლებელია, მისულისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ღარიბულ ტრაპეზს სხვა ძმებთან ერთად მიუჯდა, არსენის კი, როგორც რომელიღაც ძაღლს, მინაზე პური მიუგდო. მაგრამ ყოფილი დიდებული მეუღლანობამდე უკვე გაზრდილიყო და გაიგო, თუ რას ეკითხებოდა მოხუცი უსიტყვოდ. ძაღლს მიემსგავსა, მიგდებულ პურთან ოთხით მიფორთხდა და სენაკის კუთხეში მორჩილად გაკბინა იგი. მაშინ მოძღვარმა, რომელიც ახალი მოსაგრის სულიერ მზაობაში დარწმუნდა, შორეულ უდაბნოში გაგზავნა იგი. არსენი ისე ძლიერად განუდგა ამ ქვეყანას და ისე ძლიერად მოსპო საკუთარ თავში ძველი დიდებულება, რომ დღესა და ღამეს განუწყვეტელ ცრემლში ატარებდა. ამ ცრემლებმა ნელ-ნელა წამწამებიც კი გაუცვინა. არსენის იმაზე უფრო არაფრისა ეშინოდა, როგორც ეს ადამიანებთან ლაპარაკი იყო. მხოლოდ მომნახულებს კი არა, – საძმოსა და თავად მწყემსმთავარ თეოფილესაც გაუბოდა, – ღრმა პატივისცემას გრძნობდა თეოფილესადმი. ერთხელ თეოფილემ დამრიგებლური სიტყვა სთხოვა: – „შეინახავ ჩემს მცნებას?“ – ჰკითხა არსენიმ და, როცა დადებითი პასუხი მიიღო, უთხრა: – „რომელი ადგილის შესახებაც არ უნდა გითხრან, რომ იქ არის არსენი, არ დაიჯერო!“ სხვა დროს თეოფილესაგან გაგზავნილ ერთ კაცს, რომელიც სენაკში შესვლის ნებას სთხოვდა, უთხრა: – „ვერ ვბედავ, რომ ეპისკოპოსს კარი დაუჭეკტო, მაგრამ შემდგომად ამა სენაკში ველარ მპოვებენ“.



ერთი კეთილმსახური მწირი, რომელიც მასთან სენაჟში ბერებმა მიიყვანეს, არსენის მღუმარების გამო დაღონდა და შემდეგ კი ითხოვა, რომ სულისათვის სასარგებლო საუბრისათვის მოსე ეთიოპელთან წაეყვანათ. სიზმრისეულ ხილვაში ორი ნავი წარმოუდგა, ეს ნავები ნილოსზე მიცურავდნენ: ერთში აბბა არსენი იყო და ამ ნავს სული წმიდა ღრმა სიმშვილითა და მღუმარებით მართავდა, მეორეში აბბა მოსე იყო და მას ღვთის ანგელოზები მიუძღოდნენ, მოსეს ანგელოზები პირს თაფლით უვსებდნენ. როცა მეუდაბნოე მარკოზმა ჰკითხა, თუ რად გაუბრბის ძმებს, – „ღმერთმა იცის, თუ რა ძალიან მიყვარხართ“, – მიუგო არსენიმ, – „მაგრამ არ შემიძლია ერთდროულად ღმერთთანაც ვიყო და ადამიანებთანაც, – იმიტომ, რომ ცათა სიღრმეში მირიად ანგელოზს ერთი ნება აქვს, ადამიანებს კი ბევრი ნება და გზა აქვთ; ბევრი ლაპარაკის გამო ხშირად მიწანია, იმის გამო კი – არასოდეს, რომ მღუმარი ვყოფილვარ!“ ამიტომაც იყო, რომ განუწყვეტლად ეკითხებოდა ხოლმე თავს: „არსენი, რად მიატოვე ის სოფელი?“ – ეწინოდა, ისევ არ გაეტაცებინა წუთისოფლის ამაოებას. ზოგიერთები გაოცდებოდნენ ხოლმე, რომ ასეთი ღრმა ცოდნით სავსე რომელიმე ძალიან უბრალო და უსწავლელ კაცს სთხოვდა დამოძღვრას: „მართალია, ბევრი ვიცი, მაგრამ ამ უბრალო მონაზვნის ანი და ბანი ჯერ ვერ ვისწავლე“. ყოფითი ცხოვრების უმცირეს სიკეთეზეც კი უარს ამბობდა, რათა ძველ ტკბობათა ხსოვნაც კი გაექრო. არსენი ხარობდა, რომ ავადმყოფობის დროს იძულებული გახდა, აუცილებელი თეთრეული მოწყალებად მიეღო და რომ მისი შეძენის საშუალება არ ჰქონდა, რომ სკიტის მღვდელმა ეკლესიის შესასვლელში ღარიბულ სანოლზე დაანვინა და სხვა შესაფარი არ ჰქონდა. „ო, აბბა არსენი“, – წამოიძახა მწყემსმთავარმა თეოფილემ, როცა მისი განუწყვეტელი ტირილის შესახებ შეიტყო, – „რა ბედნიერი ხარ, რომ აღსასრულის საშინელი საათი მუდამ გახსოვს!“

ასეთი მოსაგრეებით აივსო სკიტის უდაბნო მაშინ, როცა ისინი ნეტარმა კასიანემ მოინახულა. ბერები მთელი ეგვიპ-

ტის უთვალავ სავანეში იყვნენ დასახლებულნი. სხვა მონასტერთა გარდა, ანტონი დიდის შემდეგ ქვემო თებაიდას ორ მონასტერში ხუთი ათასი ძმა დარჩა, თხუთმეტი ათასზე მეტი მონაზონი პახუმი დიდის წესდებას მისდევდა. შუა ეგვიპტეში, ქალაქ არსინოს მახლობლად, აბბა სერაპიონი ათი ათას მონაზონს ხელმძღვანელობდა, ნიტრიის სავანეში მათი რიცხვი ხუთი ათასამდე, სკიტის უდაბნოში კი – ხუთასი იყო; ალექსანდრიასთან ახლოს და სკიტის ველურ სიმარტოვეში დიდ განდევილთა ხელმძღვანელობით ორი ათასზე მეტი მონაზონი ჰქონდა თავი შეფარებული; ქვემო თებაიდაში მთელი ქალაქი ოქსირინგი ერთ დიდ სავანეს დამსგავსებოდა, – იმიტომ, რომ ყველა ძველი საკერპო, მათი კოშკები მონაზონთა მიერ იყო გავსებული, მათი რიცხვი ათი ათასს აღემატებოდა; იქვე ოცი ათასმა მონაზონმა ქალმა მიუძვნა ღმერთის სამსახურს თავი. დღითა და ღამით საღვთო გალობა ისმოდა ქალაქში. რათა ღარიბებსა და ყარიბებს შესვლაში ხელი არ შეშლოდათ, ქალაქის კარიბჭესთან დარაჯები არ იდგნენ. ამა ქალაქის მსგავსად მთელი ეგვიპტე ერთ დიდ ტაძარს დაემსგავსა, – სადიდებლად იმისა, ვინც ოდესღაც მასში ეძებდა ჰეროდეს მძვინვარებისაგან დასამალავ ადგილს.

ასე აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველება კერპთა დაქცევისა და სულიერი ნათლით ეგვიპტის გაბრწყინების შესახებ: „აჰა, ამხედრებულია უფალი მსუბუქ ღრუბელზე და მიდის ეგვიპტეში. შეირყევიან მის წინაშე ეგვიპტის კერპები და დაუდნებათ ეგვიპტელებს გულები“¹⁴⁸.

¹⁴⁸ ესაია, 19: 1;

ოქროპირის წამებანი და მოსაგრეობა

ქრისტეს შობიდან 397-ე წელი

როცა დედაქალაქში ნექტარის გარდაცვალების შემდეგ კათედრა დაობლდა, დადგა დრო ღმერთის დიდი მსახურის, – იოანე ოქროპირის დიდებისა. იოანეს დიდი სახელით ბიძგმიცემულმა სასულიეროებმა და მთელმა საერო ხალხმა იმპერატორ არკადისტან ერთად იგი ერთსულოვნად აირჩიეს, – მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იყო ანგარებით მოსილი, ვინც ტახტს ეძებდა. უფრო ძნელი ის იყო, რომ ყველასათვის საყვარელი მღვდელი ანტიოქიიდან გამოეტყუებინათ. ხალხში მღალვარების დაწყების შიშმა საჭირო გახადა, რომ პატარა ტყუილისათვის მიემართათ. ევტროპიმ, ევნუხმა და მეფის დიდებულმა, აღმოსავლეთის იმპერატორს მისწერა, რომ საიდუმლოდ გამოეგზავნა იოანე. იმპერატორმა ვითომდა მოსალაპარაკებლად ქალაქგარეთ გამოიძახა, შემდეგ ძალით ეტლში ჩასვეს და ჯარისკაცებთან ერთად დედაქალაქში წაიყვანეს. ასე რომ, მისი მოსვლაც და წასვლაც ძალადობით მოხდა! მაგრამ იმპერატორს სურდა, საზეიმოდ დაედგინა იოანე და ამიტომ დედაქალაქში პირვეხარისხოვან ეპისკოპოსთა კრება გამართა. მისვლისაგან თავის არიდებას ამაოდ ცდილობდა მთავარი ტაძრის მღვდელმთავარი, – თეოფილე ალექსანდრიელი, რომელსაც უნდოდა, რომ სატახტო ქალაქში თავისი მღვდელი, – ისიდორე ყარიბთპატრონი ენახა, – იმიტომ, რომ იოანეს დაუთმობელი ხასიათი იცოდა. მაგრამ იძულებული გახდა, დათანხმებულიყო, რადგან დედაქალაქში ბევრი საჩივარი მიდიოდა მასზე და თეოფილემ თავად დაასხა ხელი ოქროპირს.

ახალი მღვდელმთავრის პირველივე ქადაგებამ მისდამი ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა. მან თავი სამწყსოს სიყვარულს მიანდო და ყველას ურთიერთსიყვარულისკენ



მოუნოდებდა. თავმდაბალი დავითის მსგავსად გოლიათს, მრავალრიცხოვან მწვალებელს ებრძოდა, დედაქალაქში აც ძლიერები იყვნენ ისინი. გრიგოლ ღვთისმეტყველის ძლიერ ქადაგებათა დასრულების შემდეგ მათ დიდხანს აღარ ჰყოლიათ მამხილებელი. მეფის მიერ ეკლესიის სასარგებლოდ და მისგან განდგომილთა სანინა აღმდევოდ გამოცემული ბრძანებები იოანეს სიტყვებში მაშინვე აისახებოდა ხოლმე. მათ შორის ერთი არმოსაწონი ბრძანება გამოქვეყნდა, - იგი ეკლესიას დამნაშავეთა შეფარვის ნებას ართმევდა. მეფემ ევტროპის შთაგონებით იწვინა ეს ბრძანება და ამ ბრძანების მთელი სიმძიმე ევტროპიმ მალე თავის თავზე გამოსცადა. ამ ქედმაღალმა დიდებულმა დიდების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და უეცრად სხვა ძლიერი დიდებულის, - გუთების მთავარსარდლის, - გაინასის მეცადინეობის შედეგად დამხოვილ იქმნა. გაინასმა სუსტი არკადი აიძულა, რომ თავისი საყვარელი ევტროპი გაესამართლებინა. მსჯავრდებული ეკლესიაში გაიქცა და იქ ოქროპირმა თავისი სიტყვების საფარველში შეიყვანა, - ჯერ თითქოს ამხილა, ხალხში მისდამი სიბრალოელი აღძრა მაშინ, როცა წარმოაჩინა, თუ რა წარმავალი ამქვეყნიური დიდება, - სულ ცოტა ხნის წინათ ეს კაცი მეფის მრისხანე დიდებული იყო, ახლა კი შეძრწუნებული იმ საკურთხეველებს ეხვეოდა, რომლებთან მიახლოებაც სხვა ასეთსავე გაჭირვებაში მყოფებს აუკრძალა; შემდეგ დაარწმუნა მოქალაქეები, რომ კეისართან ევტროპის შეწყალების სათხოვნელად წასულიყვნენ. თუმცა, მღვდელმთავარმა ბრძოლის გარეშე ვერ შეძლო გამარჯვება: ეკლესიაში იარალი ელვარებდა და მეფის დარბაზებში მასაც ტყვესავით დაატარებდნენ, სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ - ამოდ, - არ შემდრკალა იგი, არ გასცა ევტროპი, კლდეზე, დაშენებული ეკლესიის შეურყეველი სიმტკიცე წარმოაჩინა, - მძიმე ურდულით კი არა, - ღვთისმსახურთა სინმიდით იყო ეს სიმტკიცე დაცული. ევტროპის კვიპროსში გაძევება მიუსაჯეს, შემდეგ კი შურისმაძიებელმა გაინასმა სიცოცხლე წაართვა მას.

ოქროპირი ღმრთივმოშურნეობით შეუდგა თავისი სასული-

ერო პირების ზნეობისათვის ზრუნვას; მძიმე გრძნობიერებით
ერებებს ამხილებდა, რითაც სასულიერო პირთა უკმაყოფილე-
ბა გამოიწვია, ისინი ეპისკოპოსთა მხრიდან სირბილეს იყვნენ
შეჩვეულები. იოანე ამა ქვეყნის ძლიერთაც არ ინდობდა, ისინი
განცხრომასა და გარყვნილებას მისცემოდნენ. იოანეს მახვი-
ლი სიტყვები საასპარეზოებსა და ამფითაეტრებს მოეფინა. ეს
ადგილები სიტყვათაგან უკვე ისეთი დაცლილი იყო, როგორც
ქარიშხლისას სანაპიროები დაიცლება ხოლმე ტალღებისაგან.
ზღვა ხალხი მიანყდა ეკლესიას, იოანეს ოქროს სიტყვები კათ-
ედრიდან ყველას ვედარ სწვდებოდა. იგი იძულებული გახდა,
ეკლესიის შუაში, ამბიონიდან ელაპარაკა. კვირაში სამი დღე
ქადაგებდა, ზოგჯერ ყოველდღიურად განმარტავდა „საქმე
მოციქულთასა“ და ეპისტოლეებს, ანტიოქიაში დოგმატთა
განმარტებას მწვალებელთა მხილებასა და ზნეობრივ რჩევ-
ებს უმატებდა. მაგრამ ყველაზე მგზნებარედ ღარიბების სი-
ყვარულისა და მათი მოწყალებისაკენ მოუწოდებდა, ეს არის
მონანიების საუკეთესო საშუალებაო. ყველას სთხოვდა, რომ
ღარიბთათვის სახლში ერთი ოთახი მაინც გამოეყოთ და რომ
კვირაში ერთხელ თავიანთი მონარჩენიდან მათთვის რაიმე მც-
ირედი სანოვაგე მაინც გადაედოთ; ამის მაგალითს თავადვე
აჩვენებდა, – ეკლესიის ხარჯები თავშესაფართა მოსაწყობად
წარმართა, ღარიბებს მათში თვითონვე ემსახურებოდა. „ქა-
ლაქში განა მდიდრებზე უფრო მეტი ღარიბია?“ – წამოიძა-
ხებდა ხოლმე, – „შესაძლებელია, რომ ყველა დავაკმაყოფი-
ლოთ და კმაყოფა ჩვენც არ მოგვაკლდეს, მაშინ ჩვენ შორის
აღარ იქნება აღარც ღარიბი და აღარც წარმართი, რადგან
ასეთი კეთილი საქციელის წყალობით ღმერთისაკენ ყველანი
მოიქცევიან“. მონადერძეებს ემუდარებოდა, რომ სიკვდილის
დროს თავის მემკვიდრეებს შორის საკუთარი უპოვარი სულიც
არ დავინწყებოდათ და საკუთარი სულისათვის მცირე ქონება
მაინც მიეცათ იმით, რომ ღარიბებს რაიმეს დაუტოვებდნენ;
ვნებათმოყვარეებს შთააგონებდა, რომ თავიანთი მდიდრული
სანოლებიდან წამომდგარიყვნენ ღამით და ზეციურ სანთელ-



თა წინ განმაცოცხლებელსა და სულისათვის შვების მომცემ ღრმა მდუმარებასა და დიდ სიჩუმეში ჩაძირულიყვენ, იმიტომ, რომ უკუნი და დაწყნარება განცხრომაში აგდებენ ადამიანს, საწოლებში გართხმული ადამიანიები თითქოს სამარეში არიანო, სამყაროს აღსასრულს მოგვაგონებენ. „გაიღვიძეთ და აღემართენით“, – ამბობდა მწყემსი, – „ტირილით მოიდრიკეთ მუხლები; თუ პატარა ბავშვები გყავთ, ისინიც წამოაყენეთ, მთელი თქვენი სახლი სალოცავ სახლად გადააქციეთ!“

როცა სამწყსოს ღვთისმოსავობისკენ მოუწოდებდა, ღვთისმსახურების საეკლესიო წესიც კიდევე უფრო დახვეწა, – ადამიანური სისუსტე გაითვალისწინა. ამიტომ იყო, რომ გრძელი ლიტურგია შეამოკლა. წმიდა ბასილიმ ეს წესი ქართიაზე ისე დაწერა, როგორც მოციქულთა დროიდან ზეპირი გზით შემონახულიყო. ბასილი დიდის ლიტურგია აღდგომის დღეებისათვის დიდმარხვის პერიოდში და სხვა საგანგებო დღესასწაულებზე გამოიყენება, ოქროპირის ლიტურგია კი ყოველდღიური გახდა. რადგან უნდოდა, რომ წინ აღდგომოდა არიანელებს, რომლებიც, თავიანთი ერესიარქის მიბაძვით, საეკლესიო საგალობლებში მცდარ დოგმატებს ურევდნენ, რათა ხალხის ცნობიერებაში უკეთ ჩაბეჭდილიყო ისინი, ფხიზელმა მწყემსმა საღვთისმეტყველო საგალობლები შეადგინა და ლამისთევის ლოცვა დააწესა ამ დროს განათებულ ტაძრებში მრავლად შემოჯარული, – წესების დიდებულებით აღფრთოვანებული ხალხი ორივე კლიროსიდან ტკბილხმოვან სახეთა მიერ თანამიმდევრულად გამოვრებულ მართლმადიდებლობის სწორ სწავლებას ისმენდა. იმპერატრიცა ევდოკია, არკადის ცოლი, საეკლესიო ნივთებისათვის აუცილებელ ხარჯებში ეხმარებოდა იოანე ოქროპირს; თავად მწყემსის შთაგონებით იმპერატორიც დაცილდა არიანელობას.

ძლიერი განსაცდელი ელოდა მას გუთების მძლავრი ბელადის, – გაინასის მხრიდან. მას და მის ხელქვეით მყოფ მეომრებს არიანელობა ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი. რუფინუსის გარდაცვალებისა და ევტროპის დაცემის შემდეგ

გაინასი იმპერიის პირველი დიდებული გახდა და დედაქალაქში არიანელთათვის ცალკე ეკლესიას ითხოვდა. იოანემ აუხსნა იმპერატორს, რომ არ აქვს უფლება, ღმერთის ტაძრები იმათ ჩაუგდოს ხელში, ვინც ქრისტეს ღმერთობას ებრძვიან და ქედმაღალ გუთს არკადის წინაშე ებაექრა. გაინასმა ამოდ წარმოაჩინა ყველა ის დამსახურება, რაც რომის ტახტის წინაშე მიუძღოდა. ბრძენმა მწყემსმა შეახსენა, თუ როგორი უბადრუკი ცხოვრება ჰქონდა გაინასს ადრე და სამოქალაქო ცხოვრებაში დამსახურების გამო როგორი დიდებულია ერგო საჩუქრად. შესთავაზა, მართლმადიდებლებთან მოსულიყო და მისთვის ყველა ტაძრის კარი გაიხსნებოდა. იმაზე კი არაფრით არ დაეთანხმა, რომ კანონგარეშე, თუნდ, ერთი ეკლესია დაეთმო მისთვის. და როცა გაინასმა თავისი ხელისუფალის წინააღმდეგ, ცოტა ხნის შემდეგ, ცხადად აიღო იარაღი და მისი მძვინვარების მოლოდინში შიშისაგან ყველა შეძრწუნდა, ერთადერთი იოანე იყო, ვისაც არ შეშინებია და ამბოხებულის ლაშქრისკენ გასწია, რათა მშვიდობისაკენ მოებრუნებინა ისინი. მისმა დიდსულოვნებამ და ღმრთივღირსეულობამ შეძრა გაინასის სასტიკი გული, ღირსეულად მოიქცა და მასთან შესაბამედრად გამოვიდა და შვილები მწყემსის წინაშე დააჩოქა; გაინასმა უკან დაიხია. თუმც, საბოლოოდ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ ჩაცხრა ამბოხი.

მხოლოდ კონსტანტინეპოლის ეკლესიისთვის კი არა, – მთელი ვრცელი საეგზარხოზოსო ახლობელისა და შორეულისათვის ასეთი ღმთივმოშურნეობით ზრუნავდა ფხიზელი მწყემსი. წესიერება დანერგა ფრაკიის ექვს, აზიის თერთმეტ, პონტოს, ასევე, – თერთმეტ ეპარქიაში. ველური სკვითებიც არ დავიწყებია, ყველა საშუალებით ცდილობდა, არიანელობისა და წარმართობისაგან მოეცილებინა ისინი, – მათი ენის მცოდნე მღვდლებსა და დიაკვნებს, მკითხველებს უგზავნიდა; მამისეულ მზრუნველობას არც იმათ აკლებდა, ვინც დუნაის ნაპირებზე კარვებში მომთაბარეობდნენ; მოციქულთა მსგავსი კაცები მივიდნენ მათთან საქადაგებლად. მათი ეპისკოპოსი, – თეოტიმე,



რომელიც ქალაქ ტომში ბრიტანიონის მემკვიდრე განდობილი მოშობით სკვითი, ბარბაროსულ ტანისამოსს ატარებდა, მაგრამ ცხოვრების სინმიდით იყო განთქმული. ველური გუთები მას პატივს სცემდნენ და რომაელთა ღმერთს ეძახდნენ.

იმის გამო დაღონებული, რომ დასავლეთის ეკლესია ანტიოქიისასთან განხეთქილებაში იყო, ოქროპირი ცდილობდა, თავიანთი საყვარელი ეპისკოპოსი, - ფლაბიანე რომთან და იტალიის სხვა პირველხარისხოვან კათედრებთან შეერიგებინა. მისი შთაგონებით ალექსანდრიის არქიეპისკოპოსმა, - თეოფილემ რომში ვერეს ეპისკოპოსი აკაკი და მღვდელი ისიდორე გაგზავნა, მათ წმიდა ფლაბიანესთან ბოლოს და ბოლოს ჩაიტანეს დასავლეთის ვრცელი სიგელები. იოანემ წმიდა ეპისკოპოსს პორფირისაც გაუწია დიდი ღვაწლი, - პორფირი თავისი ნების გარეშე აკურთხეს ღაზაში, რომელშიც კერპთმსახურება იყო მოდებული; მან თავის მიტროპოლიტ იოანე კესარიელთან ერთად საკერპოების დანგრევის ნებართვა ითხოვა. დედაქალაქის მღვდელმთავარმა სტუმართმოყვარულად მიიღო იგი და მეფის დიდებულთა მეშვეობით იმპერატრიცასთან მათი შეხვედრის ნებართვას მიაღწია, - იმპერატრიცა მაშინ ორსულად იყო. როცა უწინასწარმეტყველეს, რომ ვაჟის ბედნიერი დედა გახდებოდა, ახალშობილი თეოდოსის ნათლობის დღეს იმპერატორს მათთვის სასურველი ბრძანება გამოსთხოვა და ამის შემდეგ დაეცა ღაზას ბილნი კერპები; მთავარი კერპის ადგილას წმიდა პორფირიმ ნათლისმცემლის ბრწყინვალე ეკლესია ააშენა.

იოანესთან აზიის მეზობელ ეპარქიათა ეპისკოპოსებიც მიდიოდნენ ხოლმე და იოანე იძულებული ხდებოდა, მათ შორის შუამავალი გამხდარიყო. ევსევი ლაოდიკიელმა მასთან თავის ეპისკოპოსს, - ანტონი ეფესელს სიმონიასა და მკრეხელობაში დასდო ბრალი. თავმდაბალი მწყემსი ამაოდ ცდილობდა ევსევის დამშვიდებას. ევსევი დაბეჯითებით ითხოვდა სასამართლოს, პირობას დებდა, რომ მოწმეებს მიიყვანდა, მაგრამ დათქმულ დროზე არ გამოცხადდა, - იმიტომ, რომ საიდ-



უმლოდ შეურიგდა ანტონის, შემდეგ თვითონ გახდა კანონის მსხვერპლი. ამასობაში, ანტონი გარდაიცვალა და ეფესოს ეკლესია, რომელიც ყოფილი მიტროპოლიტის გამო მოუწესრიგებელი იყო, ოქროპირის სთხოვდა, მისულიყო და პირადად დაენერგა მასში სიმშვიდე. იოანე ამ დაძახილზე მაშინვე გაეშურა, – იმიტომ, რომ ეფესოს მიტროპოლიაზე იყო დამოკიდებული აზიის ბევრი ეკლესია, რომელშიც არიანელობა ისევ მძვინვარებდა. მის ადგილას დედაქალაქში მისი ყალბი მეგობარი, – გავალის ეპისკოპოსი სევერიანი დარჩა. ეფესოში იოანე თავის სამ სხვა ეპისკოპოსთან ერთად მივიდა. იქ აზიის, ლიდის, ფრიგიისა და კარიის სამოცდაათამდე ეპისკოპოსი შეკრებილიყო. იოანემ ანტონის საქმეები კარგად შეისწავლა, კათედრაზე, მის ადგილას, თავისი კეთილმსახური დიაკონი, სკიტის უდაბნოს ყოფილი განდევილი, – ჰერაკლიდე დააყენა, არიანელები და ნოვატიანელები დაანყნარა და უკან წამოსვლისას, მიუხედავად ხალხში ბუზღუნისა, ნიკომიდის ეპისკოპოსი, გერონტი, გადააყენა. გერონტი ამბროსი დიდმა გააძევა. გერონტიმ შემდეგ ხრიკებით ეს კათედრა მოიპოვა. სამი თვის არყოფნის შემდეგ თავის კათედრაზე დაბრუნებული იოანე სევერიანის ვერაგობის მომსწრე გახდა, – სევერიანს მისი შეცვლა უნდოდა და ხალხს სიტყვაკაზმული ქადაგებებით, დიდებულებს კი – მლიქვნელობით თავს აწონებდა. მთავარეპისკოპოსმა სერაპიონმა პირველმა უმხილა იოანეს მისი იდუმალი მტერი და დედაქალაქიდან გააძევეს ვერაგი. მაგრამ, რადგან დედოფალმა შუამდგომლობა გაუწია, დიდსულოვანმა მწყემსმა ისევ მიიღო იგი, მაგრამ ამის შემდეგ ველარ ენდობოდა.

ოქროპირის წინააღმდეგ ეგვიპტიდან მალე ძლიერი ქარიშხალი დაიძრა და ამ ქარიშხალმა ბოლოს მაინც ჩამოაგდო იგი ტახტიდან. დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა ცის თაღზე ღრუბლები. ამ ღრუბლებს წმიდა იოანეს თავზე თეოფილე ალექსანდრიელი აგროვებდა. იგი ადრიდანვე არ მოსწონდა იოანეს, – თეოფილე პირად მტრობას ორიგენიზმთან ბრძოლის საფარველქვეშ მალავდა. ასე დაიწყო სასჯელთაღსრულებანი.



ალექსანდრიის მოხუცებულმა ეპისკოპოსმა, - ისიდორი, ყარბთპატრონმა, თავისი მბრძანებლის რისხვა დაიმსახურა იმის გამო, რომ ერთი სახელოვანი ქალბატონის მიერ ქვრივობოლთა მონყალებისათვის შეწირული ათასი ოქრო გადამალა. ქალმა იცოდა, რომ თეოფილე უსარგებლო მშენებლობებში ყრიდა ხოლმე ფულს და სიკვდილის წინ ისიდორეს შეევედრა, მიზარებული ქონება საიდუმლოდ გამოეყენებინა. გაბრაზებულმა ეპისკოპოსმა წმიდა მოხუცის მიმართ ძველი კეთილგანწყობა დაივიწყა, მძიმე ცოდვაში დაადანაშაულა, დაუსწრებლად გაასამართლა და მსჯავრდებული იძულებული გახდა, ნიტრიის უდანოში გაქცეულიყო. მაგრამ იქაც არ მოასვენა თეოფილემ. პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ალექსანდრიაში ნიტრიის მხცოვან განდევილთა ჩასვლა ითხოვა და, ვითომდა ორიგენეს მიმდევრობის გამო, სახალხოდ გაასამართლა ოთხი დიდი ძმა: ეპისკოპოსი დიოსკოროსი, ამონი, ევსევი და ევფონი¹⁴⁹, რომლებსაც სიმაღლისა და მაღალსულიერი ცხოვრების გამო ეძახდნენ ასე¹⁵⁰. ისინი ხორციელადაც ძმები იყვნენ. ამით არ დაკმაყოფილდა და შემდეგ შეიარაღებული ძალით უდაბნოში ისიდორეს საძებრად შეიჭრა, მიუსაფარი სენაკები გადანვა, განდევილები გაყარა. გასამართლებული ძმები და, მათთან ერთად, ორმოცდაათი მონაზონი, პალესტინაში გაიქცნენ, მაგრამ ეპისკოპოსთაგან ვერავინ გაბედა, თავშესაფარი მიეცა მათთვის, რადგან ძლიერი თეოფილესი ეშინოდათ.

მათ ყველგან დევნიდნენ და ბოლოს ოქროპირს მიაწყდნენ. ჭალარით მოსილი და უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი, მონყალებისა და დახმარების მთხოვნელი ამდენი პატიოსანი მოხუცი რომ ნახა, აღელდა ეს მდაბალი მღვდელმთავარი და, როცა

¹⁴⁹ „წმიდა იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ქართულ თარგმანში ეს სახელი მოხსენიებულია ფორმით - „ევთვიმიოს“, - იხ. „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, 968 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რუსუდან გვარამიამ, „მეცნიერება“, თბილისი, 1986, გვ. 81;

¹⁵⁰ „დიოსკოროს და ამონიოს და ევსევიოს და ევთვიმიოს, რომელთა ერქუა „გრძელი“, - იქვე; ანდრეი მურავიოვთან სულიერ სიმაღლეზე ყურადღება გადატანილი;



დედაქალაქში მყოფ ეგვიპტელ სამღვდლოთაგან მათ შესაძლებელია ახებ საქებარი სიტყვები გაიგონა, გადანყვიტა, შეეფარებინა დევნილები, თუმც, მათი მწყემსისაგან ნებართვის მიღებამდე ურთიერთობაში არ შესულა მათთან. თეოფილეს მოკრძალებული წერილი გაუგზავნა, - როგორც შვილი, ძმა, თანამოღვაწე, არწმუნებდა, რომ მონყალებისაკენ მოდრეკილიყო. მაგრამ ეპისკოპოსს მშვიდობაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდა, პირიქით, - მას შემდეგ, რაც ხუთი თანამოაზრე მონაზონი სხვადასხვა საეკლესიო ხარისხში აიყვანა, ორიგენიზმში დადანაშაულებულ დიდ ძმათა ბრალდასადებად დედაქალაქში გაგზავნა ისინი. ოქროპირს კი მრისხანე წერილით უპასუხა, შეახსენა, რომ ნიკეის კრების კანონები ეპისკოპოსებს სხვა სასულიერო პირთა განსჯას უკრძალავს; ამის შესახებ წმიდა ეპიფანესაც მისწერა, - სთხოვა, რომ სახალხოდ განეკიცხა ორიგენეს აზრები, რაც კეთილმა მოხუცმა ისე შეუსრულა, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა უღირსი განზრახვა ამოძრავებდა თეოფილეს.

როცა. დიდმა ძმებმა წმიდა იოანე ოქროპირის მხრიდან საიმედო დაცვა ვერ ჰპოვეს, ჩივილით იმპერატორს მიმართეს და სათანადო გამოძიების შემდეგ მათი მბრალმდებლები, რომლებიც ცრუ მონმეობაში ამხილეს, მთავარი მოთავის, - თეოფილეს მისვლამდე დილეგში ჩაასვეს. მეფის დიდებულმა მოითხოვა, რომ კონსტანტინეპოლში სასამართლოზე გამოცხადებულიყო იგი. მაგრამ, სანამ სინდისისაგან შეწუხებისა და იმის გამო აყოვნებდა, რომ გარშემო ერთგულ ეპისკოპოსებს იკრებდა, დედაქალაქში მოხუცი ეპიფანე ჩავიდა სასწრაფოდ. ისიც თავიდანვე იოანეს წინააღმდეგ განენყო, მისგან პატივით მიღებაზე უარი თქვა, მომზადებულ სახლში გაჩერება და მღვდელმთავრის დანახვაც კი არ უნდოდა, ორიგენიზმში ადანაშაულებდა მას. რამდენიმე ეპისკოპოსი შეკრიბა, კვიპროსის კრების დადგენილება წაუკითხა და დაარწმუნა, რომ ორიგენეს ბრალდებაზე ხელი უნდა მოეწერათ. სკვითების ეპისკოპოსმა, - თეოტიმემ უარი თქვა, - ამბობდა, რომ არ უნდა

შეხებოდნენ იმ მიცვალებულებს, რომლებიც ეკლესიას მათ სიცოცხლეში არ გაუსამართლებია; ოქროპირი, რომელიც მოხუცი ეპიფანეს ღირსეულად განვლილი ცხოვრებისადმი პატივისცემით იყო განწყობილი, რამდენჯერმე შეეცადა, მეგობრული ურთიერთობისკენ მოექცია იგი, ოღონდ, წინააღმდეგი იყო, შეესრულებინა მისი დაბეჯითებითი მოთხოვნა, რომ წინასწარი საეკლესიო განხილვის გარეშე გაესამართლებინათ ორიგენე და დიდი ძმები. როცა შეიტყო, რომ არამეგობარი ადამიანების მიერ მოტყუებული ეპიფანე უგუნურ მოშურნეობას ჰყავდა ატანილი და მოციქულთა ტაძარში მის სახალხოდ გამტყუნებას აპირებდა, იოანემ თავისი მთავარდიაკონი გაგზავნა მასთან, რათა ხალხში მღელვარება არ დაწყებულიყო, ამჯერად უკვე არა მხოლოდ შეჩერდა ეპიფანე, არამედ, მას შემდეგ, რაც კარგად გააცნობიერა, რომ არასწორად იქცეოდა და იოანე უდანაშაულო იყო, გადაწყვიტა, დაეტოვებინა ამოებას აყოლილი დედაქალაქი და ცხოვრება თავის საყვარელ სამწყსოსთან დაესრულებინა. იღუმალი წინათგრძნობა აიძულებდა, საჩქაროდ გამგზავრებულიყო. გემზე დასაჯდომად უკვე მზად იყო, როცა ოქროპირის წინასწარმეტყველური სიტყვები გადასცეს: „ძმაო, ეპიფანე, მართალია, ჩემს გაძევებას დათანხმდი, მაგრამ ვიცი, რომ შენს ტახტს ველარ ეღირსები“. „ძმაო იოანე“, – ასევე შორსმჭვრეტელური სიტყვებით მიუგო მოხუცმა, – „გამაგრდი, ვერც შენ მიაღწევ გასახლების ადგილს!“ ორივეს აუხდა წინასწარმეტყველება.

ქრისტეს შობიდან 401-ე წელი

ბოლოს და ბოლოს მრავალ ეგვიპტელ ეპისკოპოსთან ერთად ჩამოვიდა თეოფილე, – ჩამოვიდა როგორც მოსამართლე, მიუხედავად იმისა, რომ, პასუხისგებისთვის თვითონ იყო გამოძახებული. იოანესთან ურთიერთობას გაურბოდა, მისთვის მომზადებულ საცხოვრებელშიც არ ისურვა ცხოვრება, –

ქალაქგარეთ გაჩერდა და იქ ოქროპირის მონინაალმდეგეთა თავშეყრას შუდგა. მონინაალმდეგეთა რაოდენობა სასულიერო-თა და საეროთა შორის საკმაოდ დიდი იყო. მთავარ მონინაალმდეგეებად მიიჩნეოდნენ: ვერეს ეპისკოპოსი აკაკი, სევერიან გავალელი, ანტიოქე პტოლემიადელი, – მისი დიდების გამო შურით აღვსილები, ასევე რამდენიმე კლერიკალი, რომლებსაც გარყვნილი ცხოვრების გამო ხარისხი ჩამოართვეს, მეფის სასახლის დიდებულები, სამი სახელოვანი ქალბატონი, რომელიც თავის ძლიერ ქადაგებებში მათი არასწორი ცხოვრების გამო ამხილა მღვდელმთავარმა, თავად იმპერატრიცა, რომელსაც იოანეს მიერ კათედრიდან წარმოთქმული მართალი სიტყვები ხშირად აღიზიანებდა ხოლმე. მის მტერთა რიცხვს აზიის ის რამდენიმე ეპისკოპოსი შეუერთდა, რომელიც იოანეს მკაცრი სასამართლოთი უკმაყოფილო იყო. მართლმადიდებელთა დიდად გასაკვირად განსასჯელმა თეოფილემ, იმის ნაცვლად, რომ, თავი ემართლებინა, ქალკედონის გარეუბანში თვითონ გამართა მრავალრიცხოვანი კრება, რომელსაც ფრაკიის ტახტის მთავარი კათედრის მიტროპოლიტი, – პავლე ჰერაკლელი თავმჯდომარეობდა. დედაქალაქის ეპისკოპოსები, ძველი წესებისდა მიხედვით, ხელდასხმას მისგან ლებულობდნენ ხოლმე. რაც კი შეეძლოთ, ყველანაირი ცილი დასწამეს იოანეს: აბრალეზდნენ ამპარტავნებასა და იმას, რომ მღვდლებს მკაცრად ეპყრობოდა, რომ თითქოს თეოფილეს მიერ გაგზავნილები დილეგებში ჩახოცა, რომ საეკლესიო წესები დაარღვია, რომ ქონება გაანიავა, გარყვნილი ცხოვრებაც კი დააბრალეს იმას, ვინაც ცხოვრება მთლიანად თავშეკავებასა და მოსაგრეობაში განვლო.

სანამ თეოფილე ქალკედონში ამ უღირს კრებას მართავდა, იოანეს გარშემო მის ჯვრიან დარბაზში, ეგვიპტიდან მოსულის თავხედობითა და სასახლის მერყეობით გაცელებული ორმოცამდე ეპისკოპოსი შეკრებილიყო. – „ჩემო ძმებო“, – მოკრძალებით უთხრა მათ მღვდელმთავარმა, – „ილოცეთ, და თუ უფალი იესო ქრისტე გიყვართ, ჩემს გამო არცერთმა თქვენთა-



განმა არ დატოვოს თავისი ეკლესია, – იმიტომ, რომ, როგორც მოციქული ამბობს: „მე უკვე მსხვეპლად მწირავენ და ჩემი ნასვლის დრო დადგა“¹⁵¹;...ვიცი, რაც უნდა სატანას, ვერ ეგუება იმ მძიმე ბრძოლას, რომელსაც ჩემი სიტყვით ვუცხადებდი; ლოცვით მომიხსენეთ და ღმერთი შეგინყალებთ!“ მაშინ ტირილი დაიწყეს კრებულში, აცრემლებული ეპისკოპოსები თავიანთ მწყემსმთავარს ბაგეებს, თვალებსა და შუბლს უკოცნიდნენ; შემდეგ თვალები ძირს დახარეს და მწუხარე ღუმილს მიეცნენ. იოანემ თავმდაბლური საუბრით ისევ დაარღვია ღუმილი: – „ნუ დამტირით, ძმებო, გულს ნუ გამიხეთქავთ; მოციქულს უთქვამს, – „ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა, ხოლო სიკვდილი – მონაგები“¹⁵²; გაიხსენეთ, რამდენჯერ მითქვამს, რომ სიცოცხლე მხოლოდ მწირობაა. განა ჩვენ პატრიარქებს, წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს ვჯობივართ, რომ სამუდამოდ დავრჩეთ ამქვეყნად?“ როცა ერთ-ერთი იქ მყოფთაგანი შეეპასუხა: – „ჩვენ ჩვენსა და ეკლესიის დაობლებას, კანონების დარღვევასა და უღირსობის გამარჯვებას, უპოვართა უფრო გაღარიბებასა და იმას ვტირით, რომ სამწყსო სულიერად გალატაკდება“, – ოქროპირმა მიუგო: – „გეყოფა, ძმაო ჩემო, გეყოფა, ოღონდ, ეკლესიას ნუ დატოვებ, ჩემით არ დანყებულა იგი და არც დამთავრდება ჩემით!“ – „მაგრამ, თუ დავრჩით“, – უთხრა ბეთანიის ეპისკოპოსმა ელევზიუსმა, – „გვაიძულებენ, რომ შენს მტრებთან ურთიერთობა ვიქონიოთ და შენს განაჩენზეც მოვანეროთ ხელი“. – „ურთიერთობა იქონიეთ“, – განაგრძო იოანემ, – „რომ განხეთქილება არ მოხდეს, მაგრამ განაჩენზე არ მოანეროთ ხელი, ჩემს სინდისს ისეთში არაფერში ვუშხილებივარ, რომ დამხობის ღირსი ვიყო“.

თეოფილესგან გაგზავნილები იოანესთან კრების სიგელით შევიდნენ, სიგელში ეპისკოპოსადაც კი არ იხსენიებდნენ მას და სასამართლოზე იბარებდნენ. იოანეს თანმხლებთაგან კრებაზე სამი ეპისკოპოსი გაგზავნეს, რომელთაც კრებას მოუ-

¹⁵¹ იხ. II ტიმ. 4: 6; ფილიპ. 2: 17;

¹⁵² იხ. ფილიპ. 1: 21;

ნოდეს, რომ განხეთქილება არ ჩამოეგდოთ, არ დაევიწყებოდნენ ნიკეის კრების წესები, – ამ წესების მიხედვით, ერთი ოლქის ოცდათექვსმეტ ეპისკოპოსს არ ჰქონდა უფლება, სხვა ეპარქიის ის მღვდელმთავარი გაესამართლებინა, რომლის მხარესაც შვიდი მიტროპოლიტი და სხვადასხვა ოლქის ოცდაათზე მეტი ეპისკოპოსი იყო, მით უმეტეს, რომ თავად მოსამართლე, თეოფილე, თავის გასამართლებლად იყო გამოძახებული. იოანე კი პასუხობდა, რომ მასთან აქამდე არავითარი საჩივარი არა ჰქონიათ და რომ, თუ გასამართლებას უპირებენ, მაშინ ჯერ მასთან უსიამოვნებაში მყოფი თეოფილე, აკაკი, სევერიანი და ანტიოქე მოაცილონ იქაურობას, რადგან თეოფილე ამკარად ტრაბახობდა, რომ მის გადასაყენებლად მოდიოდა. იოანე ამბობდა, რომ ამის შემდეგ, თუნდ, მსოფლიო კრებაზე წარდგება, სხვაგვარად კი მიწვევას არავითარი აზრი არა აქვს!

იმპერატორისაგან გაგზავნილებიც მივიდნენ იოანესთან და კრებაზე მისვლა უბრძანეს; ამასთან, იოანეს ნაცვლად გაგზავნილი სამი ეპისკოპოსი ლანძღეს, სცემეს და შებორკეს. მაგრამ იოანე თავის დარბაზებში რჩებოდა და ეკლესიაში ქადაგებდა. ხდებოდა ისე, რომ იოანეს ყოველი სიტყვა მის წინააღმდეგ ბრუნდებოდა. დააბრალებს, რომ ხალხში შფოთის ჩამოგდებას ცდილობდა მაშინ, როცა თქვა: „ძლიერი ქარიშხალი აპირებს ამოვარდნას, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია წყალში დანთქმის, – იმიტომ, რომ ლოდს ვეყრდნობით; რისი უნდა მეშინოდეს? სიკვდილისა? ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა, ხოლო სიკვდილი მონაგები¹⁵³, განდევნის? მაგრამ უფლისა არის ქვეყანა და საესება მისი¹⁵⁴; ქონებას წამართმევენ? ჩვენ არაფერი მოგვიტანია ამქვეყნად და არც არაფერს წავიღებთ¹⁵⁵; ეკლესია კი ურყევია და სიყვარული ყოველთვის ჩემს სამწყსოსთან დამტოვებს“.

ცილისწამებებზე ასე პასუხობდა: „იცით, ძმებო, რად უნდათ ჩემი გადაყენება? – იმიტომ, რომ მდიდრული ქსოვილები

¹⁵³ იხ. ფილიპ. 1: 21;

¹⁵⁴ ფსალ. 23: 1;

¹⁵⁵ იხ. იობი, 1: 21; ფსალ. 48: 18; პავლ. II ტიმოთ. 6: 7;



არ მახადია, აბრეშუმის შესამოსელი არ მაქვს და ნადიმის არ ვმართავ. იქედნეთა ნაშობი მძვლავრობს¹⁵⁶, იეზაბელისა უთა მომავლობა ისევ ებრძვის ელიას, ახლა ჟამია ტირილისა და ულირობისა¹⁵⁷, ისევ გაცოფებულა ჰეროდია, ისევ მოითხოვს იოანეს თავს და ამიტომ როკავს¹⁵⁸. იოანეს მტრებმა ეს სიტყვები იმპერატრიცას გადასცეს და შურისძიებისთვის განაწყეს იგი. თეოფილეს სასამართლომ, როგორც გამოძახებაზე არმოსული, – დაუსწრებლად გაასამართლა იოანე და განაჩენი იმპერატორს გადაუგზავნა. მან ბრძანა, რომ დედაქალაქიდან გაეძევებინათ იოანე. მღვდელმთავარი საღამოს შეიარაღებულიებმა გაიყვანეს ეკლესიიდან და ღამით პატარა ნავით აზიის ერთ-ერთ კუნძულ – ვოსპორზე გადაიყვანეს. მაგრამ მისი დევნა მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა, – დედაქალაქი მომდევნო ღამით საშინელმა მიწისძვრამ შეძრა: ირყეოდა კეისრის დარბაზები. შეშინებული დედოფალი არკადის ეხვეწებოდა, რომ დაებრუნებინათ მღვდელმთავარი. დედოფალმა იმავე ღამით დამაჯერებელი წერილი მისწერა იოანეს, ბოროტის მსურველ ადამიანებს გადააბრალა ყველაფერი, ახსენებდა, რომ ყველა მისი შვილი მან მონათლა, გამთენიისას კი თავისი დიდებულებიც გაუგზავნა და შეევედრა, რომ მალე დაბრუნებულიყო.

ვოსპორი ოქროპირის მძებნელმა ნავებმა დაფარა. დედაქალაქის მოედნებზე ხალხი ღელავდა. ყველგან კრებასა და თეოფილეზე დრტვინავდნენ. სევერიან გავალელმა სცადა, რომ ხალხი იოანეს მხილებით დაენყნარებინა, მაგრამ ამით უფრო განარისხა იგი და ხალხი მეფის დარბაზებისკენ ჯგუფებად დაიძრა. როცა გაიგეს, რომ დიდებული უკვე გაგზავნილია, რათა სასურველი მწყემსი ჩამოიყვანოს, ზღვის ნაპირისკენ გაეშურა ყველა. დედები ძუძუთა ბავშვებიანად ისწრაფოდნენ გემებისკენ, რათა შეხვედროდნენ იოანეს. და ზემით დაბრუნდა იგი. ოცდაათზე მეტი ეპისკოპოსი მოაცილებდა. მაგრამ ქალაქში

¹⁵⁶ იხ. მ., 3: 7; 12, 34; მ. 23: 33; ლ. 3: 7;

¹⁵⁷ იხ. – ეკლეს. 3: 2-8;

¹⁵⁸ „როკვიდა ასული ჰეროდიაისი“, – მ. 14: 6; „და შვიდა ასული ჰეროდიაისი და როკვიდა“, – მარ. 6: 22;



შესვლას მანამ არ აპირებდა, სანამ დიდი კრება არ გააშკარებდა. ქალაქის მცხოვრებლებს მის გარეშე აღარ შეეძლოთ ყოფნა, ხელთ სანთლებაპყრობილებმა, გალობით ძალად წაიყვანეს თავიანთი მწყემსი გარეუბნიდან, აიძულეს, რომ სამრევლო ტაძარში შესულიყო, რათა თავის კათედრაზე ასულიყო და სანუგეშო სიტყვები ეთქვა. აი, ასე სწყუროდა ყველას მისი თაფლმდინარი ქადაგებები. ოქროპირმა სახალხოდ დიდება აღუვლინა ღმერთს, მადლობით მოიხსენია კეისარი, მოყვა იმპერატრიცას ღვანლზეც, რაც მის დასაბრუნებლად გასწია.

თეოფილეს უნდოდა, რომ ქალკედონში თავისი უსამართლო კრება განეგრძო და გაესამართლებინა ჰერაკლიდეც, რომელიც ეფესოს კათედრაზე დაადგინა იოანემ. მაგრამ მოსამართლეთა შორის დაპირისპირება მოხდა, მასში მონაწილეობა ხალხმაც მიიღო. ეგვიპტელ არქიეპისკოპოსზე განრისხებული იყო ხალხი, დედაქალაქის ბრბო მასთან ერთად ჩასულ ალექსანდრიელებს თავს დაესხა და იმუქრებოდა, რომ წყალში გადააგდებდა მათ მბრძანებელს. სისხლი დაიღვარა ზღვისპირეთში. სევერიანი, ანტიოქე და ოქროპირის სხვა შეშინებული მტრები გაიქცნენ, - მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი თავისი სიგელებით მოუწოდებდა, პირადად სთხოვდა, რომ შეკრებილიყვნენ და გაემართლებიათ იოანე. თეოფილე ღამით ავიდა გემზე და სირცხვილით სავსემ მალულად გაცურა ეგვიპტისაკენ. მანამდე თავის დიდ ძმებს შეურიგდა. მათგან ეგვიპტეში მხოლოდ ორი დაბრუნდა. დანარჩენები კი დედაქალაქში გარდაიცვალნენ. ასე ჩაიშალა წმიდა კაცის წინააღმდეგ პირველი გალაშქრება, მაგრამ სიმშვიდე დიდხანს არ შერჩენია მას.

ორი თვის შემდეგ ახალი ანგარიშსწირება წამოიწიეს. წმიდა სოფიას ტაძართან, მარმარილოს სვეტზე იმპერატრიცას ვერცხლის ქანდაკება დადგეს. ამა ქანდაკების აღმართვის გამო გამართული წარმავალი მხიარულებანი, რომელსაც სიმღერები და ცეკვები სდევდა თან, ეკლესიაში ღვთისმსახურებას ხელს უშლიდა. ღმრთივმოშურნე მწყემსმა მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით ამხილა ასეთი უადგილო მხიარულება და



გაბრაზებულმა ევდოკიამ გადაწყვიტა, ოქროპირის ნიშნულ-
მდეგ ისევ მოენვია კრება. მაგრამ თეოფილემ დედაქალაქში
გამოჩინა ველარ გაბედა და თავის ნაცვლად სამი ეპისკოპოსი
გაგზავნა. მათ, თავიანთ მხრივ, მიმდებარე მხარეთა მიტროპო-
ლიტებს უხმეს სირიიდან, პონტოდან და მცირე აზიიდან, ეს-
ენი იყვნენ: ლეონტი ანკირელი, ოლიმპი ლაოდიკიელი, აკაკი,
ანტიოქე, სევერიანი და სხვები, რომელთაც იოანეს მტრობა
ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჟღადარი. ზოგიერთმა უარი თქვა
და მისდამი სიყვარული შემოინახა. მაგრამ მოსამართლეებმა,
მიუხედავად იმისა, რომ, სასახლის მიერ გაღებული მონყალე-
ბით ცდუნებულები იყვნენ, ძველი ბრალდებების წაყენება ვე-
ლარ გაბედეს. მხოლოდ იმას ეყრდნობოდნენ, რომ ანტიოქიის
კრება ერთხელ გასამართლებულ ეპისკოპოსს უკრძალავდა,
რომ თავისი ეპარქიის მართვას დაბრუნებოდა, ან იმპერატო-
რისათვის მიემართა და დიდი კრებისაგან კი არ ყოფილიყო
გამართლებული. ოქროპირის მოწინააღმდეგეებსა და მომხრეე-
ბს შორის დიდი კამათი გაიმართა. მომხრეები მას კანონდ-
არღვევაში არ მიიჩნევდნენ დამნაშავედ, - ამბობდნენ, რომ
ის კანონები არიანელებმა ათანასე დიდის საწინააღმდეგოდ
გამოიგონეს. საქმე იმპერატორამდე მივიდა. მაშინ ლაოდიკიის
მოხუცებულმა ეპისკოპოსმა, - ელპიდიმ აკაკის, ანტიოქესა
და სევერიანს ურთიერთქიშპის მოსასპობად შესთავაზა, ხელი
მოეწერათ, რომ იმათი მრწამსის მომხრეები არიან, ვინც ეს
წესები შეადგინა. ამ უბრალო სიტყვამ ისე შეაშინა, რომ შერ-
ცხვენილებმა დატოვეს მეფის დარბაზები. ასე გაიარა ათმა
თვემ. ოქროპირი, რომელსაც ორმოცზე მეტი ეპისკოპოსი ჰყ-
ავდა, ეკლესიის მართვას განაგრძობდა.

დაიწყო დიდმარხვა. მტრებმა, რომელთაც იოანეს გავლენ-
ა აშინებდათ, იმპერატორი დაარწმუნეს, რომ იგი აღდგომის
დღესასწაულამდე გაეძევებინა. მღვდელმთავარმა არკადის
მიერ გაგზავნილებს მიუგო: - „მე ღმერთმა ჩამაბარა ეკლესია,
რათა სამწყსო დავიცვა და ვერ დავტოვებ მას“; ქალაქი კი შენ
გეკუთვნის, - თუ გინდა იძალადე და ისე გამაგდე, რომ მც-



ნების წინაშე მართალი ვიყო“. გამოცხადდა მეფის დარბაზის რაზმი და იოანე ტაძრიდან გააძევეს. ოლონდ, უბრძანეს, რომ მიტროპოლიიდან არ წასულიყო, დიდ შაბათს კი გააგებინეს, რომ დედაქალაქი უნდა დაეტოვებინა. იმპერატორს წმიდა დღისა და ხალხის მღელვარების ემინოდა, აკაკი და ანტიოქე კიდევ ერთხელ გამოიძახა და სულელური რჩევების გამო უსაყვედურა. მათ კი ისეთი სიტყვები წამოიძახეს, როგორც ოდესღაც – ებრაელებმა ქრისტეზე: – „იოანეს გასამართლების გამო ჩვენს თავზე ვიღებთ პასუხისგებას!“ ტაძარში ამოდ ეახლა არკადის იოანესთან ურთიერთობაში დარჩენილი ორმოცი ეპისკოპოსი; აცრემლებულნი ამოდ ევედროდნენ მას და ევდოკის, დიდი დღესასწაულის გამო დაენდო ქრისტეს ეკლესია და ამდენი ადამიანი, ვინც ნათლობისთვის ემზადებოდა. არ იქნა მათი თხოვნა შესმენილი და მაშინ სახლებში წავიდნენ, რათა მარტო შეხვედროდნენ აღდგომას, – იმიტომ, რომ ყველა ტაძარი არაკეთილმოსურნეთა ხელში იყო. იოანეს ერთგულმა მღვდლებმა კონსტანტინეს აბანოებში შეაგროვეს და იქ მონათლეს კათაკმევლები.

დაცარიელებული ეკლესიების დანახვაზე შემფოთდნენ აკაკი, ანტიოქე და სევერიანი, – იმიტომ, რომ იმპერატორს, შესაძლოა, შეემჩნია იოანესადმი ხალხის სიყვარული; მათ მეფის დარბაზების მთავარი დიდებული აიძულეს, რომ წარმართი ლუკა ოთხას ჯარისკაცთან ერთად გაეგზავნა და ხალხი ტაძარში მოეწვია, ანდა, თუ არ დაუჯერებდნენ, კონსტანტინეს აბანოებიდან ძალით გამოეყარათ ისინი. ღამის მდუმარებაში, იმ სინმიდეში, რომელიც საიდუმლოთა აღსრულებისას დასაუდგურებელიყო, მახვილშემართულები შეიჭრნენ ხალხში, დიდი ემბაზის წყალშიც კი ჩავიდნენ, წმიდა მირონით ხელში მდგარი დიაკონი გადააგდეს, მოხუცი მღვდლები დაჭრეს, – ასე რომ, მათი სისხლი სანათლავ წყალს შეერია. გახდილი ქალწულები და ქალები ემბაზიდან შეშინებულები გარბოდნენ, რათა შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ მათთვის, ზოგიერთს მიაყენეს კიდევ. მათმა ღალატებამ და ბავშვების ყვირილმა

გალობა გადაფარა. ჯარისკაცებმა საკურთხეველს ალცა შე-
მოარტყეს და წმიდა საეკლესიო ჭურჭელი გაიტაცეს. ქრისტეს
ღვთაებრივი სისხლი შეესხათ ტანსაცმელზე. საკურთხეველის
მსახურები დილეგებში ჩაამწყვდიეს, ერისკაცები ქალაქიდან
გააძევეს. მეორე დღეს მრავალი ახალმონათლული, ჯერაც თე-
თრებით მოსილი, მიუსაფარი იარებოდა მთელ ქალაქში. არკა-
დი გადაეყარა მათ და ბრძანა, რომ გაეყარათ, რადგან დაა-
ჯერეს, რომ ესენი მწვალებლები იყვნენ. დილეგებში წაიყვანეს
და ტაძრებად იქცა ეს დილეგები. ეკლესიებში კი იმათი კვნესა
ისმოდა, ვინც იოანეს უარყოფაზე უარს ამბობდა.

თავად იოანე განუწყვეტელი საშიშროების ქვეშ იმყოფე-
ბოდა. მის სახლში ერთი ისეთი კაცი დაიჭირეს, რომელიც
თავს იგიუიანებდა და ხელში ხანჯალი ჰქონდა. სასამართლო-
ში პრეფექტთან წაიყვანეს იგი, მაგრამ იოანემ ეპისკოპოსები
გაგზავნა, რომ გაეთავისუფლებინათ მკვლელი. სხვა, უფრო
მეტად გაშმაგებული, სამი ხანჯლით შეიარაღებული შეიჭრა
მიტროპოლიაში, მისი დაკავების მცდელი შვიდი კაციდან ზოგი
დაჭრა და ზოგი მოკლა. ხალხმა შეიპყრო იგი და ამ ხალხ-
მა ამის შემდეგ თავისი მწყემსის დაცვა დაიწყო. პრეფექტის
თვალთმაქცობის გამო მკვლელი დაუსჯელი დარჩა. ბოლოს,
სულთმოფენობიდან ხუთი დღის შემდეგ, აკაკიმ, ანტიოქემ და
სევერიანმა ისევ მიმართეს იმპერატორს, ისევე, როგორც ერთ
დროს კაიაფამ, მათაც ითხოვეს, რომ ერთი კაცის გულისთვის
ყველას ნუ დალუპავდა¹⁵⁹ და დაბალი სულის მქონე არკადიმ
იოანეს მტკიცედ უბრძანა, რომ წასულიყო, რათა ამბოხი არ
მომხდარიყო. დამორჩილდა მღვდელმთავარი. თავისი დარბა-
ზებიდან რამდენიმე ახლობელ ეპისკოპოსთან ერთად ეკლესია-
ში შევიდა, თქვა: — „კიდევ ერთხელ ვილოცოთ აქ და გამოვემშ-
ვიდობოთ ამ ეკლესიის ანგელოზს“, მაგრამ გააფრთხილეს,
რომ ჯარისკაცებთან ერთად მახლობლად მხედართმთავარი

¹⁵⁹ მაცხოვართან არის იოანე ოქროპირი შედარებული, კაიაფამ მაცხოვრის
შესახებ თქვა: — „უმჯობეს არს ჩუენდა, რასთა ერთი კაცი წარწყმდეს
ერისათვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს“, — იოან. 11: 50; იოან. 18:
14;

ლუკა იდგა და აპირებდა, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ძალით გაეყვანა იოანე. მაშინ ცრემლმორეული ოქროპირი ატირებულ ეპისკოპოსებს გამოსამშვიდობებლად ეამბორა. რადგან მწარედ ტიროდნენ, ვერ შეძლო, ყველას გადახვეოდა. საკურთხეველთან დატოვა ისინი, დაამშვიდა, – ვითომ დასასვენებლად მიდიოდა; დრო არ დაკარგა, ტაძრის კარიბჭესთან მივიდა, იქ დედაქალაქის ის სახელოვანი ქალბატონები იხმო, ვინც ამქვეყნიური სიკეთენი დათმეს, რათა ნებაყოფლობითი სიღარიბით, მარხვითა და ლოცვებით ემსახურათ ეკლესიისათვის, ესენი იყვნენ: დედაქალაქის პრეფექტის ქვრივი, – ოლიმპიადა, მავრიტანელი მეფის ასული, – სილვია, პროკულა და პენტადია; – „მოდით ჩემთან, შვილებო“, – უთხრა ოქროპირმა, – „მომიახლოვდა აღსასრული, უკვე გავლიე ჩემი ასპარეზი და მეტად ველარ ნახავთ ჩემს სახეს. მაგრამ გვეედრებით, – ეკლესიისადმი არ გაგრილდეს თქვენი ღმრთივმოშურნეობა, და თუ ვინმეს წესიერად, საერთო თანხმობით, დაადგინებენ ჩემს ადგილზე, დაემორჩილეთ, როგორც მე მემორჩილებოდით; – იმიტომ, რომ ეკლესია უეპისკოპოსოდ არ უნდა დარჩეს. და ისევე, როგორც თქვენ გინდათ, რომ ღმერთმა შეგინყალოთ, მეც არ დამივიწყოთ თქვენს ლოცვებში!“ ხმამაღლა აქვითინებულები დაეცნენ მის ფერხთით, მაგრამ მღვდელმთავარმა ერთ-ერთ მღვდელს უბრძანა, წაეყვანა ისინი, რათა ხალხში მღელვარება არ ამტყდარიყო. და დადუმდნენ ქალები. მაშინ იოანე ტაძრის აღმოსავლეთი მხრიდან გავიდა. ხალხი მის ცხენთან დასავლეთის მხარეს შეგროვილიყო. ორ ეპისკოპოსთან, – კირიაკესა და ევლისისთან ერთად პატარა ნავით ბეთანიაში გაცურა. იქ დაცვამ დააპატიმრა.

ქრისტეს შობიდან 404-ე წელი

ტაძრიდან გამოსული არ იყო, რომ იმ კათედრაზე, რომელზედაც ყოველთვის ქადაგებდა ხოლმე, უეცრად ძლ-



იერი ალი ავარდა, ცეცხლი სწრაფად გავრცელდა გუმბათისკენ, მთელ ეკლესიას მოედო და ყველა კარიბჭესთან თაღ შთანთქა იგი. თითქოს იმიტომ, რომ ძვირფასეულობის გატაცებაში არ დაედანაშაულებინათ განდევნილი, გადარჩა მხოლოდ პატარა საცავი, სადაც მთელ ამ ძვირფასეულობას ინახავდნენ. ძლიერმა ქარმა ალი მთელ მოედანზე გადაატარა და სენატის დარბაზებამდე მიიტანა. ისინიც დაიწვა, ოღონდ, ცეცხლი ეკლესიის მხრიდან კი არა, მეფის დარბაზებიდან გავრცელდა. ეს დარბაზებიც შთანთქა ცეცხლმა. მაგრამ ამ საშინელ ხანძარში არავინ დაღუპულა. მართლმადიდებლებმა ცეცხლი მწყემსის მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო ზეციურ შურისგებად მიიჩნიეს. მაგრამ მისმა მტრებმა, მწვალებლებმა და წარმართებმა, ხანძრის გაჩენაში მართლმადიდებლები დაადანაშაულეს, - მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეებს ვერ მიაგნეს, სასტიკ წამებებს მიმართეს.

პირველი, ვინც ეწამა, უბინო და სუსტი სხეულის მქონე ერთი ახალგაზრდა მღვდელი, - ევტროპი იყო. კომბლებითა და მათრახებით შეუბრალებლად სცემეს, გვერდები რკინის მარწუხებით დაუგლიჯეს, მერე დაუწვეს ჭრილობები, ძვლები გამოუჩნდა ევტროპის. მაგრამ წამებაში ისე დალია სული, რომ არაფერი უღიარებია. სასტიკმა მოსამართლეებმა ჩუმად დამარხეს. ყმანვილის სინმიდე ზეციურ ანგელოზთა გალობაში იხილვებოდა. მღვდელი ტიგროსიც იმ ზომამდე აწამეს, რომ სახსრებიდან ძვლები გამოუჩნდა, შემდეგ იმ ორ ეპისკოპოსთან და სხვა მღვდლებთან ერთად გაასახლეს, რომლებიც იოანეს ბოსფორის გავლით მიაცილებდნენ. კეთილმსახური დიაკონისების ჯერიც დადგა, მათ შორის იყო ოლიმპიადა, რომელმაც აურაცხელ სიმდიდრეზე თქვა უარი და ათასობით მონა გაათავისუფლა, რათა ღარიბთა მსახური გამხდარიყო და მოწყალება მთელი იმპერიის გაჭირვებულთათვის ეძლია. იგი თავისი დროის ყველა წმიდა ეპისკოპოსთან კეთილ დამოკიდებულებაში იყო. ეს განსაკუთრებით ბასილი დიდის ოჯახსა და იოანეზე ითქმის. მან ბოლოს იოანეს მტრებშიც კი გააღ-



ვიდა სიკეთე. იგი უეცრად ხანძრის გაჩენაში დაადანაშაულებს და პრეფექტის სასამართლოზე გამოიძახეს. – „მე იმგვარად არ მიცხოვრია“, – პასუხობდა ოლიმპიადა, – „რომ ასეთი ეჭვის ღირსი გავმხდარიყავი, უამრავ განძს ხანძრებისათვის კი არა, ტაძართა ასაშენებლად ვიძლეოდი“. – „მე ვიცი, როგორც ცხოვრობ!“ – უთხრა დამორცხვებულმა პრეფექტმა. – „ბარემ, ჩამოდი მოსამართლის სკამიდან“, – მიუგო წმიდანმა, – „და ჩემს მბრალდებელთა შორის დადექ, სხვამ გაგვასამართლოს!“ პრეფექტი იძულებული გახდა, გაეშვა იგი, თუმცა, დიდი ჯარიმა დაადო იმის გამო, რომ ახალ ეპისკოპოს – არზასთან ურთიერთობა არ უნდოდა ოლიმპიადას. არზასი, მიუხედავად ოთხმოცი წლის ასაკისა და იმ პირობისა, რომელიც ოდესღაც ძმას, – ნექტარს მისცა, რომ მეფეთა ქალაქის ეპისკოპოსი არასოდეს გახდებოდა, მაინც აირჩიეს კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსად. ის მართლმადიდებლები, რომლებიც იოანიტების სახელით იხსენიებოდნენ, გაურბოდნენ მასთან ურთიერთობას და ოლიმპიადაც, ასევე ცნობილი წარმოშობის მქონე სხვა დიაკონისებთან ერთად, დედაქალაქიდან წავიდა. უსამართლო მოსამართლეები იძულებულნი გახდნენ, შეენწყვიტათ დევნა და ხანგრძლივი და ამაო მცდელობის შემდეგ დილეგებიდან გამოეშვათ დატყვევებულნი.

იოანე ჯერაც ნიკეაში იყო, თავის ხვედრს ელოდებოდა და ეკლესიაზე ზრუნვას არ წყვეტდა. მან იქ წარმართთა მოქცევისათვის მოშურნე ერთი ბერი ნახა და ფინიკიაში პრესვიტერ კონსტანტინისთან გაგზავნა იგი. კონსტანტინის ამა საქმის აღსრულება აღმოსავლეთის ოლქებში ევალებოდა. მალე მოვიდა ცნობა, რომ იოანეს გასახლების ადგილად მცირე სომხეთის ქალაქი კუკუზა შეარჩიეს, – ეს ადგილი ველური იზავრების შემოსევებისაგან გაპარტახებული იყო. სანამ წმიდანი მათ მეზობლად მშვიდად იმყოფებოდა, ვერ ისვენებდნენ იოანეს მტრები. ჯარისკაცები განსაკუთრებული სიმკაცრით ადევნებდნენ თვალყურს. ზაფხულის ხვატითა და აღმურით გავარვარებულ გრძელ გზას დაადგა იოანე, – ამ გზამ სულ გამოუფიტა ძა-

ლები. ხალხი ტირილით ხვდებოდა და მიაცილებდა დევენილს ტავრის ხეობებში ბერები და მონაზონი ქალები ჯგუფებად აწყდებოდნენ და იძახდნენ: „სჯობდა მზეს დაეფარა სხივები, ოღონდ, იოანე არ დადუმებულიყო!“

უნდოდა, რომ კესარიასი ცოტა დაესვენა და ავადმყოფობისაგან ოდნავი შვება მაინც ენახა; პური და სუფთა წყალი, აბანო უნდოდა, რაც მისი სუსტი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი იყო. მაგრამ ეპისკოპოს ფარეტრის ბოროტებამ ესეც არ აღირსა. მრისხანებდა იგი, როცა იმ სითბოს ხედავდა, რომლითაც კესარიის მცხოვრებნი დიდ განდეგილს ხვდებოდნენ, – სასულიერონი, დიდებულები, თვითონ სოფისტებიც კი ისწრაფვოდნენ იოანესკენ. ფარეტრი ქალაქის მიმდებარე ადგილებში მცხოვრებ უხეშ განდეგილებს, მოელაპარაკა, რომ განედევნათ ოქროპირი, – იზავრთა ტრიბუნის არყოფნით ისარგებლეს და ისინი ყვირილით მიანყდნენ ოქროპირის სახლს. იოანეს სუსტმა დაცვამ, რომელიც ამ ველურ განდეგილებში უფრო მეტ საშიშროებას ხედავდა, ვიდრე – ბარბაროსებში, სთხოვა იოანეს, რომ დროზე წასულიყო. ვერც პრეფექტმა, ვერც იმპერიის ყოფილი მმართველის, – რუფინუსის ქვრივმა, რომელმაც დევენილს ქალაქის გარეთ მდებარე თავისი სახლი შესთავაზა, გაბოროტებული ფარეტრის დამშვიდება ვერ შეძლეს. იოანე იძულებული გახდა, შუადღის ხვატში, ხალხის ტირილის ქვეშ, დაეტოვებინა კესარია და შუალამისას კი კეთილმსახური სელევკიას სოფლიდან გაქცეულიყო, – იმიტომ, რომ იზავრთა შემოსევის შესახებ გავრცელდა ხმა. სიბნელესა და მღელვარებაში მღვდელმთავრის საკაცე გადაუყირავდათ და ქარაფების პირას ფეხით განაგრძობდა ავადმყოფი სახიფათო გზას, – ბარბაროსთაგან ყოველ წუთს სიკვდილს ელოდა. ბოლოს, სამოცდაათი დღის შემდეგ, კუკუზას მიაღწია და იქ სნეულებისაგან ცოტა შვებაც მიეცა და კეთილი ეპისკოპოსისაგან შეწევნაც მიიღო. ეპისკოპოსი იმისთვისაც მზად იყო, რომ თავისი კათედრა დაეთმო იოანესთვის. ქალაქის მდიდარმა მცხოვრებმა, – დიოსკორემ თავის სახლში სტუმართმოყვარე-

ლად უმასპინძლა მას. იოანემ რამდენიმე ახლობელიც იწვიოდა – იქ ფინიკიელი მღვდელი კონსტანცი და სახელგანთქმულ ნინაპართა შთამომავალი, – დიაკონისა საბინა ელოდნენ. თავისუფლად ამოისუნთქა იოანემ და განდევნილობის სხვა ადგილი აღარ უნდოდა.

ცოტა გამოცოცხლდა თუ არა, მაშინვე ზრუნვა დაიწყო მათთვის, ვინც კონსტანტინეპოლში მასზე დარდში მყოფი დატოვა და ვინც გაჭირვებული იყო; განსაკუთრებით ზრუნავდა წმიდა ოლიმპიდაზე, რომელმაც მის მიმართ ამდენი სიყვარული გამოამჟღავნა. იოანემ ქრისტიანული ნუგეშის შესახებ ორი ვრცელი და გულთბილი და ჩვიდმეტი სიტყვაკაზმული წერილი მისწერა ოლიმპიდას, – მათში თავის მდგომარეობაზე საუბრობდა და ეკლესიის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. დედაქალაქის არც სხვა კეთილმსახური ღვთივმოშურნენი დაუწყებია. მღვდელმთავარს განსაკუთრებით აწუხებდა ხვედრი დევნილი ჰერაკლიდე ეფესოელისა და მარუფასის ეპისკოპოსისა, რომელმაც სპარსთა მეფესთან მისი მოგვების სიცრუე ამხილა და ქრისტიანობაზე მრავალნი მოაქცია, მაგრამ ბოლოს ოქროპირის მტერთა მხარეს დადგა. იოანე წუხდა იმის გამო, რომ მის მიერ ხელდასხმული, გუთების ეკლესიის ეპისკოპოსის, – ულინასის გარდაცვალების შემდეგ გუთების ეკლესია დაობლდა. წმიდა მოძღვარი ანტიოქიის არქიეპისკოპოსის, – ფლაბიანეს გარდაცვალებამ ძალიან შეაშფოთა. ხალხს მის ადგილას ოქროპირის მეგობრის, – მღვდელ კონსტანცის დადგინება უნდოდა. მაგრამ დიაკონ პორფირის მცდელობამ ხალხის უმეტესი ნაწილი დაჯაბნა, – მას სასახლეში ძლიერი კავშირები ჰქონდა. სამი უღირსი ეპისკოპოსი: აკაკი, ანტიოქე და სევერიანი, რომლებმაც კონსტანტინეპოლის საეკლესიო სამყაროში ერთხელ უკვე შეიტანეს შფოთი, სიმშვიდე ანტიოქიაშიც დაარღვიეს მაშინ, როცა სახალხო თამამობებისას ეპისკოპოსად პორფირეს პორფირის საიდუმლოდ დაასხეს ხელი და მერე ქალაქიდან გაიქცნენ. საერო ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ გაღიზიანებული მოქალაქეები დაენწყარებინა, მა-

გრამ მართლმორწმუნეებს ცრუმოდღვართან ურთიერთობა არ უნდოდათ.

ასეთ მძიმე ვითარებაში, როცა აღმოსავლეთის უმაღლესი კათედრიდან ჩამოგდებული და ალექსანდრიისა და ანტიოქიის ორი სხვა მღვდელმოდვრის მიერ დევნილმა იოანემ დასავლეთს მიმართა, პაპის, – ნეტარი ინოკენტისა და მედიოლანის და აქვილის ეპისკოპოსების, – ვენერის და ქრომატისადმი გაგზავნილ წერილებში ითხოვდა, რომ მხოლოდ მისთვის კი არა, აღმოსავლეთში მყოფი ყველა ვნებული მართლმადიდებლისათვის დაეჭირათ მხარი. ეპისტოლე რომში, მის მხარეზე მყოფ ორმოცი ეპისკოპოსისა და დედაქალაქში მცხოვრებ მართლმადიდებლების სიგელთან ერთად, ოთხმა ეპისკოპოსმა ჩაიტანა. ისინი თეოფილე ალექსანდრიელისა და მისი მიმდევრების მიერ გამოტანილ სასჯელს უარყოფდნენ. ინოკენტი წერილით მოუწოდებდა მათ, რომ შერიგებოდნენ იოანეს. მღვდელმთავრის მეგობრებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს რომში ჩასვლა, – იმიტომ, რომ არკადის ბრძანებით კათედრებიდან გადაყენებულებად გამოცხადდა ყველა ის, ვისაც არზასთან, თეოფილესთან და პორფირისთან ურთიერთობა არ უნდოდა. სინადის ეპისკოპოს კირიაკეს შემდეგ გამოცხადდნენ ევლისი აპამეელი, – ის, ვინც ტაძრიდან ოქროპირთან ერთად გამოვიდა, პალადი ელეონოპოლელი, ვინც მისი ცხოვრება აღწერა, ნეტარი მეუდაბნოეები, – გერმანე და კასიანე, – ვინც მღვდლობისა და დიაკვნის ხარისხებში ოქროპირის მიერ იყვნენ აყვანილნი, და სხვანი, მრავალნი, – სატახტო ქალაქიდან. ინოკენტიმ ყველანი გულთბილად მიიღო და შემდეგ იმპერატორ ონორს მიმართა, – სთხოვდა, დაეყოლიებინა ძმა და ორი იმპერიის საზღვარზე, – თესალონიკში იოანეს საქმის შესასწავლად მსოფლიო კრება გაემართათ.

მაგრამ ინოკენტის შუამდგომლობამ და იმპერატორის მიერ მპყრობელი ძმისთვის გაგზავნილმა სიგელმა, კონსტანტინეპოლში ხუთი დასავლელი ეპისკოპოსისა და ოთხი აღმოსავლელის წარგზავნამ ნაყოფი არ გამოიღო. თუმც, როგორც ღვთის

აშკარა სასჯელი, იოანეს ბოროტ მდევნელებს ნაადრევად სიკვდილი ენია, – უპირველესად იმპერატრიცა ევდოკიას, მის განდევნაში დამნაშავეს, კირილე ქალკედონელს, ვის ეპარქიაშიც იოანეს სანინაალმდეგო კრება გამართეს, არზასს, ვინც უსამართლოდ ჩაიბარა მისი კათედრა. მაგრამ გამოჩნდნენ სხვა მტრებიც, რომლებიც სისასტიკეში პირველებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ატიკი, ვინც დედაქალაქის მთავარეპისკოპოსად სატახტო ქალაქის მღვდელთაგან შეარჩიეს, იმავე სიძულვილით იყო სავსე, რაც თეოფილეს კრებაზე ოქროპირის წინააღმდეგ გადმოღვარა. რომიდან გაგზავნილები ყველა საღვთო და საერო კანონის დარღვევით იმპერატორთან არ შეუშვეს და მძიმე მგზავრობით დალლილები დააპატიმრეს და კალაბრიის ნაპირზე გადაიყვანეს. მათთან ერთად მყოფი აღმოსავლელი ეპისკოპოსები კი აღმოსავლეთის შორეულ უდაბნოებში გაასახლეს, – იქ სადაც განუწყვეტლად დათარეშობდნენ ველური სარკინოზები¹⁶⁰.

სასტიკმა მდევნელებმა არ მოასვენეს იოანე, – უნდოდათ, უფრო დაემძიმებინათ მისი მდგომარეობა და, რადგან იცოდნენ, თუ როგორ იტანჯებოდა მისი სნეული სხეული ზამთრის სიცივისგან, უფრო ცივ მხარეში გადაიყვანეს, – ეს იყო იგივე სომხეთის ციხე არაბისი, რომელსაც იზავრები განუწყვეტლივ ესხმოდნენ ხოლმე თავს. ასე რომ მღვდელმოძღვარს თავის ერთგულებთან ურთიერთობა უფრო გაუძნელდა. მაგრამ წმიდა ოლიმპიადას საშუალებით იქიდანაც ახერხებდა, რომ დედაქალაქში დარჩენილ ერთგულებზე, გუთებისა და სკვითების ეკლესიაზე, მღვდელ კონსტანტის საშუალებით ფინიკიასა და არაბეთში კერპების საბოლოო განადგურებაზე ეზრუნა. დასავლეთში – რომის, მედიოლანის, აქვილის, კართაგენის, აღმოსავლეთში – იერუსალიმისა და კესარიის პირველხარისხოვან მღვდელმთავრებს განუწყვეტელი სიგელებით ეკლესიებში მშვიდობის დანერგვისკენ მოუწოდებდა; ასე რომ, შორეული განდევილობიდან იგი ისევ ამხნევებდა და თითქოს

¹⁶⁰ Сарацины (იხ. 105-ე და 114-ე შენიშვნები);

ისევ მართავდა აღმოსავლეთის ეკლესიას.

მტერთა სამხილებლად ორმა დიდმა მეუდაბნოემ აღნიშნა, რომ თავისი ძლიერი ხმა: არქიეპისკოპოს თეოფილეს ნათესავმა ისიდორემ, რომელიც ეგვიპტის ქალაქ პელუსიის მახლობლად ღარიბულ სენაკში ცხოვრობდა და რომელიც სიტყვაკაზმული ეპისტოლეებითა და პირადი მაგალითით ყველა მიმდებარე მხარეს სიკეთით ავსებდა ვინც თანაბრად მკაცრი იყო ხელისუფალთა, ეპისკოპოსთა და ჩვეულებრივი ხალხის მიმართ, უსამართლობის გამო არაერთხელ თავად თეოფილეს გაუმტყუნებია. სხვა განდეგილმა, – ნმიდა ნილმა, რომელსაც სატახტო ქალაქში ერთ დროს, არსენი დიდის მსგავსად, ეპარქის ადგილი ეკავა, ყველა ამქვეყნიურ პატივზე უარი თქვა, რათა ახალგაზრდა შვილთან, – თეოდულესთან ერთად სინაის ველურ უდაბნოში დასახლებულიყო, – იმ მთის ძირას, რომელიც, ძველი აღთქმისეული გადმოცემის თანახმად, ცეცხლოვანი იყო და რომელზეც მოსე ღმერთს ეძიებდა და ღმერთიც ასმენდა მას სიტყვას.

„რა გაძლევს იმის იმედს“, – სწერდა იგი იმპერატორ არკადის, – „რომ დედაქალაქი მიწისძვრებსა და ციურ ცეცხლს თავს დააღწევს, – მაშინ, როცა ამდენი დანაშაული ხდება მასში და დაუსჯელად ბატონობს ბიწი?! მაშინ, როცა ეკლესიის სვეტი, ნათელი ჭეშმარიტებისა, ქრისტეს საყვირი, ნეტარი იოანე განდეგნილია? როგორ ვილოცო იმ ქალაქზე, რომელსაც ღმერთის მრისხანება ანგრევს, რომელიც განუწყვეტლად მის ქუხილს მოეღის, მე, ვისაც სევდა მჭამს, სული მიშფოთავს, გული მეგლიჯება იმის გამო, რომ ასე გაავსო ბოროტებამ ბიზანტია. რად დაუჯერე იოანეს მტრებს?! რად მოაკელი ეკლესიას მისი ნმიდა დარიგებები?! მოინანიე!“

მაგრამ უკვე საფლავის პირას ნაადრევად მისულმა სუსტმა არკადიმ არ მოინანია. თითქოს იოანეს აღსასრულს ელოდებოდა, რომ ეს ქვეყანა დაეტოვებინა, – თვითონაც მიყვა მას. ოქროპირისათვის კი დადგა დრო ყოვლადდასანველ მსხვერპლად შექმნილიყო; განასრულა ასპარეზი, რწმენა შეინახა,



როგორც პავლე მოციქულს, მასაც ელოდა სიმართლის გვერდნი, რომელსაც ყველა იმას უბოძებს ღმერთი, ვისაც მიხედვით მოცხადებისა სწამს. იოანეს მტრებმა, – პორფირიმ ანტიოქელმა და სევერიან გავალელმა ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს იმას, რომ იმპერატორს მიაღებინეს ბრძანება, რომლის თანახმად, უფრო შორს, – არასტუმართმოყვარე პონტოს პირას, პიტიუნტის¹⁶¹ უდაბურ ადგილას უნდა გაესახლებინათ იოანე (ამჟამად მას, აფხაზეთის დანარჩენ სანაპიროსთან ერთად, პიციონდა¹⁶² ჰქვია, რუსეთის ვრცელი იმპერიის საზღვრებში შედის და იმ ეკლესიის ბრწყინვალე ნანგრევებით არის დამშვენებული, რომელიც, შესაძლოა, დიდი განდევილის სახელზე იქნა აგებული).

ქრისტეს შობიდან 407-ე წელი

სამი თვე გრძელდებოდა დამქანცველი გზა. ორი ჯარისკაცი მიჰყვებოდა წმიდანს, დასვენების მცირე საშუალებასაც კი არ აძლევდნენ. თუმცა, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც უფრო კაცთმოყვარე იყო, ზოგჯერ ჩუმად ეხმარებოდა ხოლმე. მეორე ჯარისკაცი, სასტიკი და მხეცური ხასიათის მქონე, იმაზეც კი მრისხანებდა, როცა გზად ვინმე შემხვედრი სთხოვდა, რომ შეებრალებინათ სუსტი მოხუცი. განზრახ კოკისპირულ წვიმასა და შუადღის ხვატში დაატარებდა თავის ტყვეს, რათა ერთიანად დაესველებინა იგი ან წმიდა შუბლი დასწვოდა, უთმო თავზე სიცხეს დაეკრა; ქალაქებსა და სოფლებში გაჩერების ნებას არ აძლევდა, რათა აბანოთი მაინც მოძლიერებულიყო, რაც მისი დაუძღურებული სხეულისათვის აუციელებელი იყო. ასე მიაღწიეს ქალაქ კომანს, გვერდი აუარეს მას და ღამის გასათევად განცალკევებულ ეკლესიაში გაჩერდნენ. ეს იყო კომანის ეპისკოპოსის, სასტიკი მაქსიმინ დაის დროს ანტიოქიის მღვდელ ლუკიანესთან ერთად წამებული წმიდა ვასილისკოს ეკლესია.

¹⁶¹ ტექსტში – Пифион;
¹⁶² Пиционда – ბიჭვინთა;



ლამით წმიდა ბასილისკი გამოეცხადა მძინარე მოსაგრეს და უთხრა: „გამხნევი, ძმაო იოანე, ხვალ ერთად ვიქნებით“. იმ ეკლესიის მღვდელმსახურსაც დროულად გამოეცხადა და უთხრა: „ადგილი განუზადე ჩემს ძმას, – იოანეს, რადგან უკვე მოდის“. დილით ამაოდ ევედრა ოქროპირი ჯარისკაცებს, რომ შუადღემდე მაინც არ წაეყვანათ იქიდან, – იმედი ჰქონდა, რომ მანამდე დაასრულებდა მძიმე ცხოვრებას, მაგრამ აიძულეს, განეგრძო გზა. იმდენად გაუძლიერდა ავადმყოფობა, რომ თავად მწამებლები გახდნენ იძულებულნი, დაბრუნებულიყვნენ. და, როცა აღსასრულის მიახლოება იგრძნო, იოანემ საჭმელი აღარ მიიღო, ტანისამოსი გამოიცვალა და მთლიანად თეთრებით შეიმოსა, ფეხსაცმელებიც კი თეთრი ჩაიცვა; იქ მყოფებს ის ცოტაოდენი რამ მისცა, რაც კი ებადა და მას შემდეგ, რაც ქრისტეს საშინელ საიდუმლოთ ეზიარა, ყველას წინაშე წარმოთქვა უკანასკნელი ლოცვა, რომელიც ჩვეული სიტყვებით დაასრულა, – „მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის!“; შემდეგ ჩუმი, სიკვდილისპირა „ამინ“ ამოთქვა, დაწვა სარეცელზე და განუტევა სული. როცა უდაბურ ადგილას, – კომანის ეკლესიაში კრძალავდნენ, მეზობელი სომხეთიდან და პონტოდანმრავალი ბერი და მონაზონი ქალი მივიდა. ახალი მონამის წმიდა სხეული ამა ადგილის მფარველის, – მასავით წამებული ვასილისკოს გვერდით პატივით მიაბარეს მინას.

ოცდაათ წელსაც არ გაევილო, რომ მღვდელმთავრის განუხრწნელ წმიდა ნაწილებს უფრო მეტი პატივი დასდეს. თითქოს უმცროსი იმპერატორის, – თეოდოსისა და თავისი მონაფის, – დედაქალაქის ეპისკოპოსის, – პროკლეს იმ სამლოცველო სიგელმა იმოქმედაო მასზე, რომელიც სანათლავიდან მოისმინა, სულიერ გმირობათა იმ საასპარეზო ადგილას იქნა გადაყვანილი იოანე, რომელზეც აღასრულა ღვანლი. იგივე კათედრაზე დაასვენეს, რომლიდანაც ისმოდა ოქროს სიტყვები. მაღლიერმა ეკლესიამ თავის დამცველთა და მსოფლიო მასწავლებლებს, – ბასილი დიდსა და გრიგოლ ღვთისმეტყველს შორის მოიხსენია იგი. როგორც სულიერი სიმაღლითა და



მღვდელმთავრობისას მიღებული მრავალმონამეობით მსგავს-
ნი, სამივეს ერთად იხსენიებს მას სადღესასწაულო გალობაში:

„სამკვიდრებელნო სულისა წმიდისა, საყვარებო ღვთაე-
ბრივი ქუხილისა, გამოელვებანო ქადაგებისა! თქვენ, ვინც
ღმრთისაგან მიიღეთ სიბრძნე და მადლით გონებრივ მეთე-
ვზეებად შეიქმენით¹⁶³, თქვენ განამტკიცეთ დოგმატნი მარ-
თლისა სარწმუნოებისა!“

მას შემდეგ, რაც ახალი რომის¹⁶⁴ მღვდელმთავარმა უდაბ-
ნოში სამუდამოდ დაიდუმა ოქროს ენა, ძველი რომის მღვდელმ-
თავარი ბარბაროსთაგან ხსნის გზებს ეძებდა, – ირყეოდა მათ
შემოტყვათაგან მსოფლიოს უძველესი დედაქალაქი. რამეთუ
ახლოვდებოდა ჟამი, როცა ეკლესიის წიაღში უამრავი წარმარ-
თი უნდა შესულიყო. აღმოსავლეთიდან ხალხთა კრებულები
ერთმანეთის მიყოლებით ტალღებივით დაიძრნენ, ერთმა-
ნეთს ეხლებოდნენ და რომის იმპერიის სანუკვარ საზღვრებს
ასე მიანყდნენ, – ალპები, რაინი, დუნაი სისხლის ფასად
უნდა გადაელახათ და შემდეგ კი რწმენა მიეღოთ. ადამიანთა
ამოუცნობ ბედს ასე შეუცნობელი გზებით განაგებს ღმერთი
თანამედროვეებს შეზღუდული ადამიანური ცნობიერების გამო
საშინელი ეჩვენებოდათ ეს გზები. ბეთლემის მღვიმიდან მძიმე
სურათი წარმოგვიდგინა ენაძვევრმა განდეგილმა იერონიმემ:

„მე მხოლოდ ცალკეული უბედურებანი კი არ მანუხებს,
– ყველა ადამიანის უბედურებას ვტირი: გული შეგინუხდება,
როცა იმ ნანგრევების კვალს შეხედავ, ჩვენს საუკუნეს რომ
ენია. ოც წელზე მეტია, კონსტანტინეპოლსა და ალპებს შორის
ყოველდღე იღვრება რომაელთა სისხლი. სკვითიაში, ფრაკიასა
და მაკედონიაში, აქაიაში, ეპირსა და დაღმატიაში, ზემო და
ქვემო პანონიაში, გუთი და სარმატი, კვადი და ალანი, ჰუნები
და ვანდალები, მარკომანები იავარქმნიან, ძალადობენ და ყაჩ-
ალობენ. რამდენი პატივდებული ქალბატონი, რამდენი ქალ-
წული, რამდენი წმიდა და კეთილშობილი სული შეურაცხყვეს!

¹⁶³ იხ. მარ. 1: 17;

¹⁶⁴ კონსტანტინეპოლი;



ეპისკოპოსები სამარცხვინო ტყვეობაში ჩაყარეს, მღვდლები ხმლებს მიანებეს, სასულიერო ხალხი გაიფანტა, ღმერთის ტაძრები დანგრეულია, ქრისტეს საკურთხევლები ბაგებად გადააქციეს, წმიდანთა ნაწილები საფლავებიდან ამოთხარეს. ყველა ქვეყანაში კენესა ისმის, ყველგან მოთქმაა, ყველგან სიკვდილის აჩრდილი დადის! ირყევა რომის სამპყრობელო, და მხოლოდ სიამაყელა გვაიძულებს, რომ თამამად გავუსწოროთ თვალი ჩვენი იმპერიის ნანგრევებს. სადღაა ღირსება კორინთელების, ათენელების, სპარტანელთა და არკადიელთა? სად არის დიდება ჩვენი საბერძნეთისა? ბარბაროსთა უღელქვეშ ყველაფერი განადგურდა!”

„მაგრამ ყველა ის ქალაქი როდი ვახსენე, რომელიც ოდესღაც დამოუკიდებლობის ნებართვით სარგებლობდა. ისე ჩანდა, რომ, ერთადერთი, აღმოსავლეთი მაინც გადაურჩა ყოვლის დამანგრეველ დარტყმებს. ჯერ მხოლოდ მოსალოდნელ საშინელებებზე მოარული ხმები აშფოთებდა მას. მაგრამ, აი, გასულ წელს უკვე არაბი კი არა, არამედ, ჩრდილოელი მგლები შემოგვესივნენ კავკასიის ველური მწვერვალებიდან, აღმოსავლეთის ქვეყნებზე გადაიარეს. რამდენი სავანე გახდა მათი მონაპოვარი! რამდენი კაცის სისხლი დაღვარეს! ანტიოქია უკვე ალყაში ჰყავთ. გალისის, ცინდას, ორონტისა და ევფრატის ქალაქებს უკვე ემუქრება მათი იარაღი. შიშმა მოიცვა არაბეთი, ფინიკია, პალესტინა და ეგვიპტე. ათასი ენა რომ ვიცოდე, ათასი ბაგე რომ მქონდეს, ჩემი ხმა საყვირივით რომ დასძახოდეს, მაშინაც ვერ შევძლებდი იმისი გამოხატვას, თუ რა სასჯელი დაგვადო განგებამ. მაგრამ მე ისტორიას არ ვწერ, მხოლოდ ჩვენს უბედურებებზე ვყვები, მხოლოდ ტირილი მინდა მათ გამო“.

„და ყოველივე ამის მიუხედავად, სიცოცხლე მაინც გვინდა. კი არ ვხარობთ იმათ გამო, ვინც ამ სატირალ სანახაობას ველარ ხედავს, არამედ, დავტირით მათ. უკვე დიდი ხანია, რაც ზეციურ მრისხანებას ვგრძნობთ. მაგრამ მაინც არ გვინდა, ღმერთს წყალობა ვთხოვოთ. განა ჩვენი ცოდვების გამო არ



გახდნენ ბარბაროსები ასე თავხედნი? განა ჩვენს უკანონო ბათა გამო არ ხდება, რომ რომის ჯარები ყველგან მარცხდებიან? ჩვენ გვსურს, ყველგან ვიმარჯვებდეთ, მაგრამ სულ ვმარცხდებით, – რა სირცხვილია! რა დაუჯერებელი დაბინძვება გონების!”

„ამბობენ, რომ ქსერქსემ, იმ ძლიერმა ხელისუფალმა, რომელსაც მთების მოთხრა ძირიანად შეეძლო და ზღვაზე გზას გაიყვანდა, ფერდობიდან თავის ურიცხვ ჯარებს თვალი გადაავლო და ცრემლი მოერია იმის გაფიქრებაზე, რომ ასი წლის შემდეგ მის წინაშე შეკრებილი ათასებიდან აღარცერთი აღარ იქნებოდა ცოცხალი. ოჰ, ნეტა ჩვენც შეგვეძლოს ისეთ სიმალლეზე ასვლა, საიდანაც მთელი დედამიწა გამოჩნდებოდა! მე თქვენ დაგანახებდით, თუ როგორ აღგვის ერთი ტომი მეორეს მიწის პირიდან; როგორ ამხოზენ სამეფოები სამეფოებს; როგორ ილუპებიან ერთნი წამებაში, სხვები კი ხმლით განგმირულნი ეცემიან; ზოგნი ზღვის ტალღებში იხრჩობიან, მეორენი ტყვედ მიჰყავთ; ერთ ადგილას რომ ქორწინების სიმღერები ისმის, მეორეგან – ტირილი და მოთქმა; ერთნი იზადებიან, მეორენი იხოცებიან; ერთნი განცხრომაში დანთქმულან, მეორენი სილარიბეში იტანჯებიან; მაშინ გაიცნობიერებდი, რომ მხოლოდ ქსერქსეს მრავალრიცხოვანი ჯარები კი არა, არამედ, მთელი ქვეყნიერების მცხოვრებნი, ახლა რომ ცოცხლები არიან, მალე აღიგვებიან მიწის პირიდან. როგორ აღვწერო, თუ რა საშინლად წარმავალია ეს ყველაფერი? ჩემი სიტყვები უძლურია!“

ქრისტეს შობიდან 410-ე წელი

მალე მის მშვიდ მღვიმეში საშინელმა ცნობამ მიაღწია, რომ დაეცა რომი, – საოცნებო, მარადიული ქალაქი, ქვეყნიერების შუაგული, გუთების მეფის, – ალარიკის ორგზისი შეტევის შემდეგ ბოლოს მაინც დაეცა იგი. პირველი შეტევისას ოქროთი

85

62 / 510



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

დაიხსნა რომმა თავი, მეორე შეტევისას კი თავისი მოქალაქეების სისხლსა და ცეცხლმოდებულ დარბაზებში შთაინთეს. ბარბაროსთა მრისხანებისგან, ერთადერთი, მხოლოდ მოციქულების, - პეტრესა და პავლეს სახელი შველოდა, მხოლოდ ტაძარში წმიდა ნაწილებთან შეიძლებოდა ცეცხლისა და სიკვდილისაგან, ტყვეობისა და გაძარცვისაგან თავის დაღწევა. მალე სახელგანთმული რომაელები მსოფლიოში მიმოიფანტნენ და სციპიონთა და კეისართა გაღარიბებული შთამომავლები პალესტინის სავანეებში დაეძებდნენ თავშესაფარს. მაშინ ისევ მწარე სიტყვებმა მოიცვა განდევნილის შემუსვრილი გული; ეჩვენებოდა, რომ სამყაროს აღსასრული ახლოვდებოდა, ამა საშინელ მოვლენაში ღმერთის ხელსა და წარმართთა უკანასკნელ სამეფოზე წინასწარმეტყველებათა აღსრულებას ხედავდა. და ასე წერდა ადამიანური ყოფის წარმავლობაზე:

„რასაც დასასრული აქვს, დიდხნიანს ვერაფერს დავარქმევთ. მარადისობა რომ არ გვექონდეს წინ, წარმავალ დროს არავითარ მნიშვნელობას აღარ მივანიჭებდით. ძველთაძველი წესია: რაც იბადება, უნდა მოკვდეს, რაც იზრდება, ბერდება, კაცის ხელთ ისეთი არაფერია, რასაც დრო არ გააქრობს. მაგრამ, ჰოი, ვინ იფიქრებდა, რომ თვით რომიც კი, რომელმაც მთელი ქვეყნიერება დაიპყრო, ოდესმე დაეცემოდა, და ის, ვინც ხალხთა დედა იყო, მათ სამარედ იქცეოდა, და რომ აფრიკისა და აღმოსავლეთის ზღვისპირეთი მსოფლიო ქალაქის ნანგრევებიდან გაქცეულებით გაივსებოდა, რომ ბეთლემის ღარიბული მღვიმე მისცემდა თავშესაფარს ამ ქვეყნიერების ყველაზე უფრო მდიდარსა და სახელგანთქმულ მოქალაქეებს. ჰოი, ამოება ამოებათა, და ყოველივე ამო არს...“¹⁶⁵



წიგნი დაიბეჭდა
საქართველოს საპატრიარქოს სტამბაში
„შ.პ.ს. „მეგობრობა“

¹⁶⁵ ეკლესიასტე. 1: 2.

K317.879
36195520
303441033

ISBN 978-9941-27-476-3



9 789941 274763